ჩეხანოვი

სასიყვარულო თამაშები



თარგმნა სოსო კაჩკაძემ

თბილისი „მერანი"
1994

84. 4 ფრან. — 44
ბ 152

წინამდებარე თარგმანი კაზანოვას ვრცელი მემუარების ადაპტირებული ტექსტია. იგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გვაცნობს მისი მშფოთვარე ცხოვრების ეპიზოდებს და „სასიყვარულო ამაშებს“. სიყვარული კაზანოვას არსებობის უხვნაესი ელემენტია. სწორედ სიყვარულმა და ეროტიკამ აქცია იგი თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ, თითქმის ლეგენდალურ პიროვნებად.

რედაქტორი იზოლდა ლეონავა

მხატვარი სპარტაკ ციცაგი

© გამომცემლობა „ფერანი“ 1994

ავტორისგან

მკითხველს თავდაბვე ვაუწყებ, რომ ყველა კეთილსა და უკეთურ საქციელს, ჩემს ცხოვრებაში რომ ჩამიდენია, განვიხილავ, როგორც ჭირადად ჩემს დამსახურებებსა და შეცოდებებს და, აქედან გამომდინარე, ვალიარებ ნების თავისუფლებას.

სტოიკოსებისა და ყოველგვარი სხვა სექტის მოძღვრებანი, ადამიანზე ბედისწერის გავლენას რომ ამტკიცებენ, არის წარმოსახვის ქიმერა, ათეიზმისაკენ რომ იხრება. მე კი არა მარტო მონოთეისტი ვარ, არამედ ქრისტიანიც. და ჩემი რწმენა ფილოსოფიითაა შეჯერებული, რასაც არასოდეს არაფერი წაუხდენია.

მე მწამს ღმერთის — ყოველი არსის შემოქმედისა და უფლის არსებობა. ამაში არასოდეს დავეჭვებულვარ, მუდამ მქონდა განგების იმედი, ძნელბედობის ჟამს ლოცვას აღვავლენდი ხოლმე და ეს ლოცვა ყოველთვის შეისმინებოდა. მწუხარება ჭკლავს ადამიანს. ლოცვა აქარვებს მწუხარებას და მლოცველი კაცი უფრო თავდაჯერებული და გულწყნარი ხდება. ხოლო იმ ძალის შეცნობა, რომლის მეშვეობითაც უფალი თავის მაკედრებლებს გარდაუვალ უბედურებათაგან იცავს, ადამიანის გონების შესაძლებლობებს აღემატება. და სწორედ იმ მკისიერებაში, როცა ადამიანი ღვთაებრივი ძალის შეუცნობლობას იაზრებს, ის აუცილებლად მუხლს იყრის მის წინაშე. განგების შეუცნობლობაა მთელი ჩვენი თაშესაფარი. ჭეშმა-

რიტად ბედნიერნი არიან ისინი, ვინც მას სასოებენ. ამრიგად, ჯერის ლოცვა და მის პასუხად გარდამოვლენილი მადლის რწმენა, მაშინაც კი, როცა აინამდვილე მას არ გვიდასტურებს.

ადამიანი თავისუფალია, მაგრამ იგი კარგავს მას, თუ ამ თავისუფლების არ სჯერა. და რაც უფრო მეტ ძალას მიაწერს ბედისწერას, მით უფრო აკლდება ის მადლი, ღმერთმა ვონების სახით რომ მიუბოძა. ჩვენი ვონება არის შემოქმედის ღვთაებრიობის ნაწილი. თუ მას იმისათვის კიყენებთ, რომ თავნიერნი და სამართლიანნი ვიყოთ, ჭეშმარიტად ვაამებთ იმას, ვინც ეს მადლი მოგვანიჭა. ღმერთი არ ღმერთობს მხოლოდ იმათთვის, ვინც მისი არარსებობის შესაძლებლობას ეშვებს. და ასეთი აზროვნება ყველა სასჯელთა უმაღლესი სასჯელია.

და თუმცა ადამიანი თავისუფალია, მაინც არ ეგების იმისი ფიქრი, რომ შეუძლ. აკეთოს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება, რადგან რა წამსაც მის საქციელს ვნებები დაეუფლება, მყისვე ვონად იქცევა იგი. ჭეშმარიტად ბრძენია ის, ვისაც ძალუძს დროულად შედგეს და გული დაიმშვიდოს. მაგრამ ასეთი ადამიანები იშვიათად გვხვდებიან.

ბოლოხელი ამ მემუარებში შენიშნავს, რომ მე სიცოცხლეში არასოდეს მქონია გამოკვეთილი გეზი და ვემორჩილებოდი მხოლოდ ერთადერთ სისტემას — თუ შეიძლება მას ასე ეწოდოს — რაც იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა მევლო იქით, საითაც ქარი დამიბერავდა.

ჩემი წარმატებები და მარცხები მასწავლიდა, რომ ამქვეყნად, როგორც ფიზიკურ ისე სულიერ სამყაროში, სიკეთე ყოველთვის ბოროტებისაგან წარმოდინდება ისევე, როგორც ბოროტება — სიკეთისაგან. ჩემი შეცდომები გონიერ ადამიანს უკეთმართ გზებს აარიდებს ანდა სიფრთხილის ხელოვნებას შეასწავლის. ყველაფერი სიმამაცეზეა დამოკიდებული, რამეთუ ფუჭია ძალა თავდაჯერების გარეშე. ხშირად დავკვირვებივარ, რომ ბედნიერება რაღაც ისეთი უკეთო საქციელის შემდეგ მეწვეოდა ხოლმე, რასაც, საცა სამართალი იყო, უფსკრულში ენდა გადავეჩეხე. მეორე მხრივ, ისიც შემინიშნავს, რომ დიდი უბედურებები, არცთუ იშვიათად, ფრთხილ და კეთილგონიერ საქციელს მოჰყოლია. ეს ამბავი ძლიერ მაც-

ბუნებდა, მაგრამ საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული თავს იოლად ვინუგეშებდი.

ანაქებო ზნეობრივი საფანელის მიუხედავად — ჩემს სულში დამკვიდრებული ღვთაებრივი საწყისების ბუნებრივი ნაყოფი — მთელი ცხოვრება საკუთარი გრძნობების მსხვერპლი ვხდებოდი. დიდ სიამოვნებას მანიჭებდა სწორი გზიდან გადახვევა, გამუდმებული შეცდომებით ვცხოვრობდი და სანუგეშოს ვერაფერს ვპოულობდი გარდა იმისა, რომ ეს ჩემი ცხოვრება იყო.

ამრიგად, იმედი მაქვს, ძვირფასო მკითხველო, რომ ჩემს მოთხრობას უსინდისო კვეხნად კი არ ჩამითვლით. არამედ აღსარებად მიიღებთ. ამავე დროს, ჩემი თხრობის სტილში ვერ აღმოაჩენთ კერძო მომნანიე ცოდვილის ტონს, ვერც იმ ადამიანის შეცბუნებას, რომელიც სირცხვილეული სიწითლით აღიარებს თავის ოინებს. ყველაფერი ეს ახალგაზრდობის ქარაფშუტული გატაცებებია. თქვენ დაინახავთ, რომ თვითონვე დავცინი ჩემს საქციელს, და თუ გულკეთილნი ბრძანდებით, თქვენც ჩემთან ერთად გაიცინებთ.

გაგეცინებათ, ალბა რა იქნება, როცა დაინახავთ, თუ როგორ არ ვთაკილობდი დოყლაპიების, თაღლითებისა და ჩერჩეტების გაბრიყვებას, როცა ეს მჭირდებოდა. რაც შეეხება ქალებს, ამ საქმეში ხომ სულ ერთიმეორეს ასულელებენ და ეს არაა სათვალავში ჩასაგდები, რადგან იქ. სადაც საქმეში სიყვარული ჩაერევა, როგორც წესი, ორივე მხარე თანაბრად გაბითურებული რჩება. ბრიყვებთან კი საქმე სულ სხვაგვარადაა. ყოველთვის სიამაყით ვიგონებ, თუ როგორ ებმებოდნენ ისინი ჩემს ბადეში, რადგან თავიანთი ყოყოლოჩინობითა და ამპარტავნობით გონიერებას ორთაბრძოლაში იწვევდნენ. ბრიყვის გასულელებისათვის გონების დიდი ძალისხმევაა საჭირო, რადგანაც იგი უკვეთი ჯავშნითაა დაცული და ხშირად არც ერცი, სად უნდა უმარჯვო. ამრიგად, მე მგონია, რომ ბრიყვის გაპამპულება გონიერი ადამიანის ღირსეული საქციელია. მიზეზი, რამაც ბრიყვთა მოდგმის სიძულვილი გულში გაჩენის დღიდან ჩამინერგა, არის შეგნება იმისა, რომ მე თავადაც ყოველთვის ბრიყვად ვიქცეოდი, როცა მათ საზოგადოებაში აღმოვჩნდები ხოლმე. მაგრამ ბრიყვები მიამიტ ადამიანებში არ უნდა აე-

რითა, ეს უკანასკნელნი მიუვარან კიდეც, რადგან ასეთებად მხოლოდ არასაკმარისმა განათლებამ აქცია. მათ შორის ძალზე წესიერი ადამიანებიც შემხვედრიან, რომლებიც თავიანთი გულუბრყვილობით საკმაოდ გონებამახვილნიც არიან და საღად მოაზროვნენიც. რითაც ბრიყვებისაგან საკსებით განსხვავდებიან.

როცა ამ წინასიტყვაობის გამჭოლავ სულისკვეთებას შეიგრძნობთ, თქვენ, ძვირფასო მკითხველებო, ჩემს მიზანს იოლად ჩასწვდებით. იგი იმიტომ დავწერე, რომ წიგნის კითხვის დაწყებამდე გაგაცნოთ თავი, რამეთუ უცნობებთან მხოლოდ ყავახანებში და სასტუმროების საერთო სუფრებთან საუბრობენ.

მე დავწერე ჩემი ცხოვრების ისტორია და ამის გამო ვერავინ დამძრახავს. მაგრამ სწორად ვიქცევი კი, როცა იგი იმ საზოგადოების სამსჯავროზე გამომაქვს, რომლის ცუდ თვისებებს კარგად ვიცნობ? რა თქმა უნდა, არა. შეგნებული მაქვს, რომ დაუფიქრებლად ვიქცევი, მაგრამ თუკი მინდა, რომ რაიმეთი გავერთო და ვიცინო, თავი რატომ უნდა შევიკავო?

ძველი მოაზროვნე გვირჩევს, თუ ჩაწერის ღირსი არაფერი შეგიქმნია, წაკითხვის ღირსი რამე მაინც შექმენიო. ეს წესი ისეთივე შესანიშნავია, როგორც ინგლისში დახვეწილი წმინდა წყლის ბრილიანტი, მაგრამ ჩემთვის არ გამოდგება, რადგან არც რომანს ვწერ და არც გამოჩენილი ადამიანის ისტორიას. ღირსია თუ არა, ჩემი ცხოვრება ჩემი თემაა და ჩემი თემა — ჩემი ცხოვრება. წუთისოფელი ისე გავლილ, არც მიფიქრია თუ ისეთი დღე დადგებოდა, ჩემი ცხოვრების აღწერას რომ შევუდგებოდი. და იქნებ ამიტომაც იგი უფრო საინტერესოდ წარიმართა, ვიდრე მაშინ წარიმართებოდა, წიწასწარვე რომ მქონოდა განზრახული მისი სიბერეში აღწერა და, ჰით უმეტეს, გამოქვეყნება.

ახლა, 1797 წელს, როცა შეშიძლია ვთქვა vixi (მე ვიცხოვრე), თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, ძნელია იმაზე უფრო სასიამოვნო გასართობის გამოგონება, ვიდრე ისაა, რომ საკუთარ ცხოვრებაზე ვისაუბრო და სიცილის მშვენერი საბაბი მივცე კარგ საზოგადოებას, რომელშიც გამუდმებით ვტრიალებდი. იმისათვის, რომ კარგად მეწერებოდეს, თავი უნდა

დავაჯერო, რომ ჩემი საზოგადოება აუცილებლად წამოიკითხავს და გამიგებს.

კითხვას ვერც უბირთ და უმეცართ ავუკრძალავ, მაგრამ დიდად მანუგეშებს იმის შეგნება, რომ მათთვის ნამდვილად არ ვწერ.

ვიხსენებ ჩემი ცხოვრების სიამეებს, თავიდან განვიცდი მათ, ხელმეორედ ვტკბები და ვიცინი იმ სიმწარეებზე, რაც თავს გადამხდენია. როგორც სამყაროს ნაწილი, სამყაროსვე ვესაუბრები და მგონია, რომ მას ჩემი საქციელების ანგარიშს ვაბარებ, მსგავსად იმ მოურავისა, თავის ბატონს წასვლის წინ ქონებას რომ მიუთვლის. რაც შეეხება მომავალს, ყოველთვის მშვიდად ვუყურებდი, რამეთუ მის შესახებ არაფერი ვიცოდი. ხოლო როგორც ქრისტიანი, გეტყვით, რომ რწმენამ არ უნდა საჯოს და ყველაზე ქვეშმარიტი რწმენა მუდამ ულრმეს დუმილშია დაუნჯებული. მე კიცოდი, რომ ვარსებობდი, რამეთუ ვგრძნობდი, და ისიც ვიცი, რომ ალარ ვიარსებებდი, გრძნობები რომ დამშრეტოდა.

თუ ისე მოხდა, რომ სიკვდილის შემდეგაც ვიგრძნობ, ამაზე მეტად არაფერში დავეჭვდები. მაგრამ სიცრუეში ვამხელ ყველას, ვინც მეტყვის, რომ მე მოვკვდი.

ჩემი ცხოვრების ისტორია უნდა დაიწყოს ყველაზე შორეული მოვლენიდან, ხსოვნაში რომ შემომრჩენია, ესე იგი, რვა წლისა და ოთხი თვის ასაკიდან. თუ მართალია, რომ vivere cogitare est,* ამ დრომდე ჯერ კიდევ არ ვცოცხლობდი. რამდენადაც ადამიანის აზროვნება მოვლენათა შეჯერებებით ვლინდება, არ შეიძლება ის წინ უსწრებდეს მეხსიერებას. მეხსიერებისათვის განკუთვნილი ორგანო კი ჩემს თავში მხოლოდ დაბადებიდან რვა წლისა და ოთხი თვის შემდეგ განვითარდა. სწორედ მაშინ შეიძინა ჩემმა სულმა შთაბეჭდილებათა აღქმის უნარი. ხოლო ის, თუ რა გზით ახერხებს არამატერიალური სუბსტანცია შთაბეჭდილებათა აღქმას, ისეთი საიდუმლოა, რომელსაც ადამიანი ვერასოდეს ამოხსნის.

ის დამამშვიდებელი ფილოსოფია, რელიგიას რომ ეთანხმება, მიიჩნევს, რომ სულის დამოკიდებულება გრძნობის ორ-

* სიცოცხლე ნიშნავს აზროვნებას (ციცერონი).

განოებზე შემთხვევითი და წარმავალია და სული ნეტარებას მაშინ ჰპოვება, როცა სხეულის სიკვდილი მას ამ მონური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებს. შესანიშნავია: მაგრამ ურელიგიოდ ამას განა დავიჯერებდით? ამრიგად, რაკილა სულის უკვდავებას ეხლოდ მაშინ ვირწმუნებ, როცა ფეხს გავჭიმავ, უნდა მეპატიოს, რომ ამ ჭეშმარიტების წაცნობას არ ვიჩქარობდი, რადგანაც ყოდნა, რომელიც სიცოცხლის ფასად გვიჯდება, ძალიან ძვირი გამოდის. სიკვდილის მოლოდინში კი პატივს ვცემ ღმერთს, აღვიკვეთავ ყოველგვარ უგვანო საქციელს, ბოროტ ადამიანებს განვერიდები და არც მათ შევამთხვევ რაიმე ბოროტებას, თუმცა ასეთთანთვის სიკეთის ქმნასაც ალ ვიჩქარებ, რადგან თქმულა, რომ არ ეგების გველებისათვის საზრდოს მიწოდება.

ორიოდე სიტყვა ჩემი ტემპერამენტისა და ხასიათის გამოც უნდა მოგახსენოთ. თანამიმდევრობით გამოვიარე ტემპერამენტი: ყოველი სახეობა: ბავშვობაში ფლეგმატიკოსი ვიყავი, სიჭაბუკეში — სანგვინიკი, მოგვიანებით გავხდი ქოლერიკი და ბოლოს — მელანქოლიკი. ალბათ, აწი აღარ შევიცვლები. მუდამ ჩემი კონსტიტუციის შესაბამისად ვიკვებებოდი და ამიტომ ყველთელი ვიყავი. ადრეული წლებიდან შევიცანი ჭეშმარიტება, რომ ადამიანს ყოველგვარი გადაჭარბებაც და თავშეკავებაც ერთნაირად ვნებს და ამიტომ არასოდეს არანაირი ექიმისათვის არ მიმიმართავს, გარდა საკუთარი თავისა. თუმცა, აქვე ენდა ვალიარო: მეტისმეტი თავშეკავება უფრო საზიანოდ მომაჩნდა, ვიდრე მეტისმეტი გადაჭარბება, რადგანაც თუ ამ უკანასკნელს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლამდე მივყავართ, პირველს მივყავართ სიკვდილამდე.

ამ სიბერეში, მიუხედავად კუჭის შესაშური მდგომარეობისა, იძულებული ვარ, დღეში მხოლოდ ერთხელ ვჭამო, მაგრამ ამ დათმენის ჯილდოდ ტკბილი ძილი და ლაღი აზროვნების უნარი მეძლევა, ამიტომ წერისას სათქმელის გამოსახატავად არ მჭირდება არც პარადოქსები და არც სოფიზმები, რომლებიც თვით ავტორს უფრო აბნევენ, ვიდრე მკითხველს.

სანგვინიკურმა ტემპერამენტმა ხორციელი სიტკბოების მიმართ მეტად მგრძნობიარე გამხადა. მხიარული ხასიათი მქონდა და მუდამ მზად ვიყავი, ერთი სიამოვნება მეორეზე გადა-

მება. უეჭველად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ახალ-ახალ ნაცნობებს იოლად ვიძენდი და ასევე იოლად ვკარგავდი. ეს საესებით შეგნებულად მომდიოდა და არა ქარაფშუტობის გამო. ტემპერამენტის ნაკლებობა გამოუსწორებელი რამაა, რამეთუ იგი ჩვენი ძალისხმევისაგან დამოუკიდებლად ყალიბდება. ხასიათს კი ფული და გონება ჰქმნის. ტემპერამენტი აქ არაფერ შუაშია. ამიტომ ხასიათი აღზრდაზეა დამოკიდებული და ამდენად, შესაძლოა მისი შეცვლა და გამოსწორება.

იმის განსჯა, კარგია ეს თუ ცუდი, სხვებისთვის მიმინდვია, მაგრამ ისეთია, როგორიც არის და ამას არაფერი ეშველება. ჩემი ხასიათი სახეზე მაწერია და დაკვირვებული კაცი მას იოლად გამოიცნობს. სახე ხასიათის სარკეა. ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი ფიზიონომია არა აქვთ, არც ის სიკეთე გააჩნიათ, რასაც ხასიათს უწოდებენ. ასეთები კი ბლომად არიან.

მთელი ცხოვრების განმავლობაში უმეტესად გრძნობების გაელენით ვმოქმედებდი და არა გონების კარნახით. ჭკუა და ხასიათი ერთმანეთის შეურიგებელი მტრები არიან. მათ გამუდმებულ კინკლაობაში ვერასოდეს ვიჩენდი ვერც საკმარის გონიერებას, რათა ჩემსავე ხასიათს მოვრეოდი, და ვერც საკმარის ხასიათს, რომ გონების ხმა დამედუმებია.

გრძნობისმიერი სიამეები ჩემი ცხოვრების მთავარი საქმე იყო: ამაზე უფრო მნიშვნელოვანი არაფერი მიკეთებია. ძშვენიერი სქესისათვის დაბადებულს ქალები მიყვარდა და მათგანაც საპასუხო სინაზესა და უშურველობას ვითხოვდი: ძალიან მიყვარდა აგრეთვე კარგი სუფრა და ისეთი რამეები, ცნობისმოყვარეობას რომ აღმიძრავდა.

მე მყავდნენ გულითადი მეგობრები და ბედნიერი ვარ, რომ მათთვის ჩემი მადლიერება არაერთგზის დამიმტკიცებია. მყავდნენ დაუძინებელი მტრებიც და თუ მათი განადგურება ვერ მოვახერხე, მხოლოდ იმიტომ, რომ საკმარისი ძალა არ გამაჩნდა. როცა ადამიანი შეურაცხყოფას ივიწყებს, ეს არ ნიშნავს, რომ იგი პატიობს თავის შეურაცხმყოფელს. ის უბრალოდ ივიწყებს და მეტი არაფერი. პატიება დიდსულოვნებასა და ვაჟკაცობას გულისხმობს, ხოლო დავიწყების მიზეზია ცუდი მეხსიერება ან უნიათობა და უდარდელობა, ხშირად კი მშვიდი და წყნარი ცხოვრების მოთხოვნილება, რამეთუ ხანგრძ-

ლიეი სიძულვილი იმას უფრო აშფოთებს, ვინც ამ გრძნობით არის შეპყრობილი.

მიუხედავად ყველაფრისა, უსამართლობა იქნებოდა, ჩემთვის რომ გრძნობებს აყოლილი ადამიანი ეწოდებინათ, რამეთუ უძლიერეს ვნებებსაც კი დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებაში ხელი არასოდეს შეუშლიათ.

კერძებიდან გამორჩეულად მიყვარდა: კარგი ნეაპოლელი მხარეულის ნახელავი მაკარონის პაშტეტი, წებოვანი ნიუფაუდლენდური ვირთევზა, სუნელშეზელილი ნანადირევი და ყველი, რომლის ღირსებაც მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდება, როცა შიგ წარმოქმნილი ციცქნა არსებანი ხილულნი გახდებიან.

რა უკულმართი გემოვნებაო! — იტყვიან ჩემი მკითხველები, — რა უტიფრობაა გაუწითლებლად ამის აღიარებაო! ასეთი კრიტიკა სიცილის გუნებაზე მაყენებს. ჩემი უჩვეულო გემოვნების გამოისობით სხვებზე ბედნიერად ვთვლი თავს, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ იგი უფრო მიმძაფრებს ტკბობის უნარს. ნეტარ არიან ისინი, ვისაც ძალუძთ სხვისთვის ზიანის მიუყენებლად ისიამოვნონ. მხოლოდ უგუნურთ სჯერათ, რომ უზენაესს ახარებს დათმენა, თვითგვემა და მარტვილობა, ახირებული ადამიანები მის საამებლად რომ განიცდიან. ღმერთს შეუძლია თავის ქმნილებებს მხოლოდ იმ სათნოებათა გახარება მოსთხოვოს, რომელთა თესლებიც მათ სულებში მიმოაბნია. ყველაფერი რაც ღმერთმა გვიბოძა, გვიბოძა მხოლოდ იმისათვის, რომ უფრო ბედნიერები გავხდეთ: თავმოყვარეობა, უკეთესობისაკენ ლტოლვა, ჭკუა, ქველობა და ის უნარი, რომელსაც ვერარა ძალა ვერ წაგვართმევს — უნარი თვითმკვლელობისა, თუ სწორი ან მცდარი განსჯის შედეგად, საუბედუროდ, სხვა გაზოსავალს ვერ მივაგენით. ეს არის ჩვენი ზნეობრივი თავისუფლების ყველაზე ნათელი დადასტურება, რის წინააღმდეგაც სოფისტიკა ამდენს იბრძოდა. მაგრამ მაინც, ეს უნარი ბუნებას ეწინააღმდეგება და რელიგიაც საკვლევით სამართლიანად ჰგმობს მას.

მაკანმა, თავისუფალ მოაზროვნედ რომ ითვლებოდა, ერთხელ მითხრა, რომ შეუძლებელია ფილოსოფოსი ვიყო და იმავდროულად ზეშთაგონებას ვაღიარებდე. მაგრამ თუ ფიზიკურ სამყაროში მისი არსებობა არ გვეეჭვება, რელიგიურ

სფეროში რატომ უნდა გვეეჭვებოდეს? აქ მხოლოდ გარეგნული სხვაობაა. იმ საწყისის წვდომა, მთელი ჩვენი ცოდნა რომ ემყარება, შეიძლება მხოლოდ ზეშთაგონებით, რაც ყველა დანარჩენის თავის თავში მომცველი უზენაესი საწყისიდან მომდინარეობს. სკაში მოფუსფუსე ფუტკარი, ბუდის მთხზველი მერცხალი, საკუთარი ბინის მშენებელი ჭიანჭველა, აბლაბუდას მქსოველი ობობა ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებდნენ ამ დასაბამიერი ზეშთაგონების გარეშე. ან ეს უნდა ვირწმუნოთ ან მატერიის აზროვნება უნდა დავიჯეროთ. მაგრამ რაკიღა მატერიისათვის ესოდენი პატივის მინიჭებას ვერ გავბედავთ, მოდით ბარემ ისევ ზეშთაგონებას მივენდოთ.

მცდარია აზრი, თითქოს სიკეთისათვის ჯილდოს მიღების სურვილი ეშმარიტ ზნეობასთან შეუთავსებელი და მისი სიწმინდისათვის საზიანო რამ იყოს. პირიქით, იგი ასაზრდოებს და განამტკიცებს მას, რამეთუ ადამიანი მეტისმეტად სუსტია საიმისოდ, რომ სათნოებისაკენ მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის ისწრაფოდეს.

რაც შეეხება მე, ჯილდოდ ვითხოვ ჩემი მკითხველის მეგობრობას. პატივისცემასა და მადლიერებას: მადლიერებას, თუ ამ მემუარების წაკითხვა რაიმეს ასწავლის და მცირეოდენ სიამოვნებასაც მიანიჭებს; პატივისცემას, — თუ სამართლიანნი იქნებიან და ჩემში უფრო მეტ დადებით თვისებას შენიშნავენ, ვიდრე უარყოფითს; და მეგობრობას, — თუ სიწრფელისა და გულახდილობის გამო ამის ღირსად ჩამთვლიან, რამეთუ ყოველგვარი თვალთმაქცობისა და ფარისეველობის გარეშე მათ სამსჯავროზე გამომყავს ჩემი თავი, ისეთი, როგორიც სინამდვილეში ვარ.

ჩემი მკითხველები დაინახავენ, რომ ძალიან მიყვარდა ეშმარიტება, ისე ძალიან, რომ ხშირად იძულებული ვიყავი, მეცრუა, ოღონდ კი ეს ეშმარიტება იმათ თავებში ჩამეტენა, ვისაც არა და არ ესმოდა. მკითხველები არც იმისათვის გამკიცხავენ, რომ საკუთარი ახირებების დასაკმაყოფილებლად მეგობართა ჯიბეებს ვაცარიელებდი, რადგან ისინი მუდამ რაღაც უაზრო და განუხორციელებელი პროექტებით დაწანწალებდნენ, მე კი მათი აღსრულების იმედებს ვუნერგავდი და ვაცუცურაკებდი, რათა ჭკუა მესწავლებინა, და ამის გამო თავი

დანაშაულად ირულებით არ მიმაჩნია, რადგან სიხარბით არ ჩავდიოდი. მე მხოლოდ ვერთობოდი იმ ფულით, რომელიც ბუნების კანონებით განეხორციელებელ ღონისძიებათა დასაფინანსებლად იყო განკუთვნილი. დამნაშავედ მაშინ ჩავთვლიდი თავს, ახლა რომ მდიდარი ვყოფილიყავი, მაგრამ ერთი გროშიც არ მაბადია — ყველაფერი გავანიავე. ესაა ჩემი გამართლება და გულარხეინობის მიზეზი. ის ფული ქარის მოტანილი იყო და ქარსავე გავატანე.

თუ ჩემი მკითხველისათვის თავის მოწონების იმედი არ გამომართლდა, გამოვტყდები, რომ გული დამწყდება. მაგრამ არა იმდენად, რომ დაწერილი ვინანო. ამ საქმით განცდილ სიამოვნებას ვერაფერი გამიქარწყლებს. ო, ულმობელო მოწყენილობავ! ხოლოდ და ხოლოდ გულმავიწყობის გამო არ მოგათავსეს ჯოჯოხეთის სატანჯველთა შორის.

„თუმცა ისიც უნდა ვაღიარო, რომ მეშინია არ მირტვინონ. ეს ძალიან ბუნებრივი შიშია და სულაც არ მამშვიდებს იმის გაფიქრება, რომ როცა ეს მემუარები გამოქვეყნდება, შეიძლება მიწაში ჩემი ძვალიც აღარ იყოს.

არ შემიძლია ჩემთვის ესოდენ საძულველ სიკვდილთან რაციონალური ხელშეკრულების დადებაზე შეუძრწუნებლად ვიფიქრო, რადგან სიცოცხლე, ბედნიერია ის თუ უბედური, არის ადამიანისათვის ბოძებული ერთადერთი სიკეთე და ვისაც ის არ უყვარს, არც არის სიცოცხლის ღირსი. თუ ვინმე ღირსებას მასზე უფრო დიდ საქმედ მიიჩნევს, მხოლოდ იმიტომ, რომ სარკეული სიცოცხლეს აუფასურებს, და როცა ალტერნატივას ზოგჯერ თვითმკვლელობამდე მივყავართ, ფილოსოფიამ სასაცილოდ ჩაიმიდოს.

ამ მემუარებში ყველა ჩემი თავგადასავალი არ შემიტანია, რადგანაც ზოგიერთი შესაძლოა არ მოსწონებოდათ იმ პირებს, რომლებიც თავიანთ თავს არახელსაყრელი კუთხით დაინახავდნენ. მთელი ჩემი თავდაჭერილობის მიუხედავად, შეიძლება ზოგჯერ კადნიერიც გამოვჩნდე და ეს არ მსიამოვნებს. თუ სიკვდილია წინ ჭკუა-გონება მომემატა, მთელ ჩემს ნაწერებს ცეცხლს მივცემ. ახლა ამისათვის სიმამაცე არ მყოფნის:

შესაძლოა მოეჩვენოთ, რომ ზოგიერთ სასიყვარულო სცენას მეტისმეტი დაწერილებით აღვწერ, მაგრამ დაე ნუ გამკი-

ცხავენ ამისათვის, მითუმეტეს, თუ ეს სცენები ცუდად არ იქ-
ნება დახატული. კინ უნდა გაამტყუნოს ბერიკაცი, რომელსაც
უკვე სიამეთა განცდა აღარ შეუძლია და მხოლოდ წარსულის
მოგონებებითღა ოხუნჯს გულს. გარდა ამისა, ზნეობაზე თავ-
გამოდებულ ადამიანს უფლება აქვს გამოტოვოს მისი კეთილ-
გონივრების შეურაცხყოფელი სცენები. ამ რჩევის მიცემა
სავალდებულოდ მომაჩნია. ხოლო თუ ვინმე ამ წინასიტყვაობას
არ წაიკითხავს, ეს უკვე ჩემი ბრალი აღარ იქნება, ვინაიდან
ყველამ უნდა იცოდეს, რომ შეგნისათვის წინასიტყვაობა იგი-
ვეა, რაც სუბიექტისათვის — აფიშა. ერთიც და მეორეც აუცი-
ლებლად უნდა წავიკითხოთ.

ჩემს ბიერ არჩეული დევიზი — Ne quidquam sapit qui sibi non sapit* ამართლებს იმ წიაღსვლებსა და კომენტარებს, რომლებიც, მოქმედებათა აღწერისას, შესაძლოა მოჭარბებულიც კი იყოს. სიამოვნებით გავიმეორებდი აქ ერთ აქსიომას — Nemo laeditur nisi a seipso,* კაცობრიობას იმ მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებისა რომ არ შეშინოდეს, რომლებიც ყოველ თავიანთ შეცდომაზე ერთნაირად გაიძახიან, ეს ჩემი ბრალი არ არისო. დავუტოვოთ მათ ეს მცირეოდენი ნუგეში, რადგან უამისოდ საკუთარ თავს შეიძულებდნენ, საკუთარი თავის სიძულვილს კი ხშირად თვითმკვლელობის დამლუპველ ახრამდე მივყავართ.

რაც შემეხება მე, იმდენად რამდენადაც ჩემი წარმატებებისა თუ წარუმატებლობების უმთავრეს მიზეზად ყოველთვის საკუთარი თავი მომაჩნდა, მას მუდამ ჩემს მოწაფესავით ვეუბურებდი, მოწაფე კი ვალდებულია, თავისი მასწავლებელი უყვარდეს.

დონ იაკობ კახანოვამ — არაგონიის დედაქალაქ საარაგოსას მკვიდრმა და დონ ფრანცისკოს უკანონო ვაჟმა, 1428 წელს, მონაზვნად აღკვეცის მეორე დღესვე მონასტრიდან მოიტაცა დონა ანა პალათოსი და მასთან ერთად რომში გაიქცა, სადაც ერთწლიანი ტუსაღობის შემდეგ პაპმა მარტინ მესამემ ლტოლვილებს ჯვრისწერის ნება დართო. ამ ქორწინების შედეგად

* ვინც არ იცის საკუთარი თავი, იმან არაფერი

** ყოველი მხოლოდ თავის თავს ვნებს.

გაჩენილი ყველა შვილი პატარაობაშივე დაიღუპა, გარდა დონ ხუანისა, რომელმაც 1475 წელს ცოლად შეირთო დონა ელეონორა ალბინი და მისგან ეყოლა ვაჟი, სახელად მარკუს ანტონიუსი.

1481 წელს ნეაპოლის სამეფო ჯარის ოფიცრის მკვლელობის გამო, დონ ხუანი იძულებული გახდა რომი დაეტოვებინა და ცოლ-შვილთან ერთად კომოს გადახვეწილიყო. მაგრამ დიდხანს არც იქ დარჩენილა, ბედის საძებნელად კოლუმბს გაჰყვა და 1493 წელს გზაში გარდაიცვალა.

მარკუს ანტონიუსი კარგი პოეტი გახდა. პომპეის კარდინალის მდივნად ყოფნის დროს, ჯულიო მედიჩის წინააღმდეგ მიმართული სატირული ნაწარმოების გამო, რომიდან გააძევეს და კომოში დაბრუნდა, სადაც ცოლად შეირთო აბონდია რეძინიკო. მაგრამ, გარკვეული ხნის შემდეგ, იმავე ჯულიო მედიჩიმ მას პატიების სიგელი უბოძა და ცოლთან ერთად რომში დააბრუნა. იქ 1526 წელს შავი ჭირით გარდაიცვალა.

მარკუს ანტონიუსის სიკვდილიდან სამი თვის თავზე მისმა ქვრივმა შვა ვაჟი — ჯაკომო კაზანოვა, რომელიც ღრმა სიბერეში გარდაიცვალა, ერთ დროს კი ომ არმიის პოლკოვნიკი იყო, რომელსაც ჰენრიხ ნავარელის წინააღმდეგ ბრძოლებში ფარნეზე ხელმძღვანელობდა. მას დარჩა ვაჟი, რომელიც ტერეზა კონტიზე დაქორწინდა. ამათმა შვილმა ჯაკომომ ცოლად შეირთო ანა როლი. ჯაკომოს ორი ვაჟი ჰყავდა: ჯოვანი ბატისტა და გაეტანო ჯუზეპე ჯაკომო. უფროსი 1712 წელს გაემგზავრა პარმიდან და უკან აღარ დაბრუნებულა.

აი, ყველაფერი, რასაც მე მამაჩემის არქივში მივაგენი. დანარჩენს დედის მონაყოლის მიხედვით მოგახსენებთ.

1715 წელს ცხრამეტი წლის გაეტანო ჯუზეპე ჯაკომომაც აიკრა გუდანბადი და პირმშვენიერ მსახიობ ფრიგოლეტას გაეკიდა. ჯიბეგახვრეტილმა შეყვარებულმა ჭაბუკმა გადაწყვიტა შემოსავლის წყაროდ თავისივე თავი ექცია და მოცეკვავე გახდა. ხოლო ხუთი წლის შემდეგ სცენაზე თამაშიც დაიწყო.

თავისი მერყეევი ხასიათისა თუ ეჭვიანობის გამო ფრიგოლეტა მიატოვა და კომედიანტების დასში შევიდა, რომელიც ვენეციის თეატრ სან-სამუელის სცენაზე გამოდიოდა. მისი ბინის პირდაპირ ცხოვრობდა ხარაზი ფარუსო, მეუღლე მარცი-

ასთან და თექვსმეტი წლის ქალიშვილ ძანეტასთან ერთად. ახალგაზრდა კომედიანტს მოეწონა ეს გოგო, მისი გულის მონადირება შეძლო და მიჯნურებმა გაქცევა გადაწყვიტეს. სხვა გზა არც ჰქონდათ, რადგან არც მარცია და არც მით უმეტეს ჯერონიმო ცოცხალი თავით არ გაატანდნენ შვილს ისეთ საძაგელ არსებას, როგორიც მათ თვალში ნებისმიერი კომედიანტი იყო. ახალგაზრდა შეყვარებულები ფეცილებლად საბუთებით აღიჭურვნენ და ორი მოწმის თანხლებით ვენეციის პატრიარქს მიადგნენ, რომელმაც მათ ჯვარი დასწერა. ძანეტას დედა მარცია თმებს იპუტავდა, მამამ კი სიშმაგისაგან სული განუტევა. ამ ქორწინების ცხრა თვის თავზე, 1725 წლის 2 აპრილს, ქეყანას მოვეელინე მე — ჯოვანი ჯაკომო კაზანოვა.

მეორე წელს ბებიამ დედას ყველაფერი აპატია და შეუერიგდა, რადგან მამაჩემმა პირობა მისცა, რომ მის შვილს სცენაზე თამაშს არ დაანებებდა. ასეთ აღთქმას დებს ყველა კომედიანტი, ვინც ქალაქელ გოგოზე ქორწინდება, ოღონდ დანაბირებს არასოდეს ასრულებენ, რადგან არც არავინ ითხოვს მის შესრულებას. ეს კი არა, დედაჩემს ბედიც ჰქონია, რომ სცენაზე თამაში ისწავლა, ორივემ როცა ცხრა წლის შემდეგ დაქვრივდა და კისერზე ექვსი შვილი დაწვა, მათ აღსაზრდელად არავითარი სახსარი არ ექნებოდა.

ერთი წლის ვიქავი, როცა მამამ ვენეციაში დამტოვა და სათამაშოდ ლონდონს გაემგზავრა. ამ დიდ ქალაქში შედგა დედაჩემის თეატრალური დებიუტიც. იქვე 1727 წელს დაიბადა ჩემი ძმა ფრანჩესკო, ცნობილი ფერმწერი-ბატალისტი, რომელიც 1783 წელს ვენაში დასახლდა, სადაც ახლაც ცხოვრობს და თავის საქმეს აკეთებს.

1728 წელს ჩემი მშობლები საშშობლოში დაბრუნდნენ და ორი წლის შემდეგ ამქვეყნად მოაელინეს ჩემი ძმა ჯოვანი, რომელიც 1795 წელს გარდაიცვალა დრეზდენში, სამხატვრო აკადემიის დირექტორად მუშაობისას. მომდევნო სამ წელიწადში დედაჩემს კიდევ სამი გოგო ეყოლა, რომელთაგან ერთი სიყრმეში გარდაიცვალა, მეორე კი დრეზდენში გათხოვდა და ახლაც იქ ცხოვრობს.

ახლა ჩემი შეგნებული არსებობის დასაწყისზე გადავდიეარ.

მეხსიერების ორგანო 1733 წლის აგვისტოსათვის განმივი-

თარდა. მაშინ რვა წლისა და ოთხი თვის ვიყავი. მანამდე არაფერი მახსოვს. აი, ჩემი პირველი მოგონება:

ოთახის კუთხეში კედელს მიყრდნობილი ვდგავარ, თავი ხელებით მიჭირავს და თვალს არ ვაშორებ აისხლს, რომელიც ცხვირიდან მომდის და იატაკზე იღვრება.

ბებია მოიჩქარის თავისი აკუთარი შეილიშვილისაკენ, ცივი წყლით მბანს სახეს, მთელი ოჯახისაგან მალულად გონდოლაში მსვამს და ვენეციიდან ნახევარი მილით დაშორებულ მჭიდროდ დასახლებულ კუნძულზე მურანოში მივყავარ.

გადმოვდივართ ნაპირზე, შევდივართ რომელიღაც ხუხულაში, სადაც ზინტლიან ტახტზე დედაბერი ზის, ხელში კატა უჭირავს და გარშემოც კიდევ ხუთი ექვსი კატა შემოჰხვევია. ეს იყო გრძნეული. ორივე მოხუცმა ქალმა გრძელი საუბარი გააბა, რომლის თემაც, რა თქმა უნდა, მე ვიყავი. ბოლოს გრძნეულმა ბებიას ვერცხლის დუკატი გამოართვა, კიდობანი გაალო, ხელი მტაცა და შიგ ჩამჩურთა, თან არ შეგეშინდესო, მეუბნებოდა, რაც, გონებაზე რომ ვყოფილიყავი, ავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ შიშით სული გამძრომოდა. მაგრამ მთლად გამოვლენჩდი; გაუნძრეველად ვიჯექი თავდახურულ კიდობანში, ნესტოებზე ცხვირსახოცი მქონდა მოჭერილი, რადგან აისხლის დენა არა და არ მიჩერდებოდა, და გულგრილად ვუსმენდი გარედან შემოსულ ხმაურს. ხან სიცილი მესმოდა, ხან — ტირილი, ხან — აიმღერა. ხანაც — ყვირილი და კიდობანზე ბრახუნი, მაგრამ ეს ყველაფერი თითქოს მე არ მეხებოდა. ბოლოსდაბოლოს კიდობნიდან ამომიშვეს. სისხლის დენა შემიწყდა. უცნაურმა დედაბერმა დამიყვავა, ტანსაცმელი გამხადა, საწოლზე დამაწვინა, რალაც შინაური წამლები მოწვა და ზეწარს შეუხრჩოლა, მერე შიგ გამახვია. შემოლოცა და პირში ხუთი დაშაქრული ნუშის ლებანი ჩამჩარა. თუ არავის ეტყვი როგორ მოგარჩინე, სისხლისდენა თანდათან გაგიელისო, მითხრა, ხოლო თუ ამ საიდუმლოს ვერ შეინახავ, მოკვდებიო. ასეთი რჩევა-დარიგების შემდეგ მაცნობა, რომ იმ ღამეს ერთი მზეთუნახავი ქალი მეწვეოდა, რომელიც, თუ ნებისყოფას გამოვიჩენდი და მისი სტუმრობის ამბავს გულში ჩავიმარხავდი, დიდ ბედნიერებას მომიტანდა. შემდეგ შინ დავბრუნდით. ლოგინში ჩაწოლაც ძლივს მოვას-

წარი, რომ ძილმა წამართვა თავი. მოსალოდნელი საოცარი სტუმარი ჰთლად გადამავიწყდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ გამოშელვიძა და დავინახე (თუ მომეჩვენა), რომ ბუხრიდან ვამოვიდა მდიდრულსაბარდიანი ბრწყინვალე ქალი, ტანთ ძვირფასი კაბა ემოსა და თავზე ცეცხლივით მოელვარე პატოსანი თვლებით შემკული გვირგვინი ედგა. დინჯი ნაბიჯით მომიახლოვდა და საწოლზე ჩამომიჯდა. შემდეგ ჯიბიდან რამდენიმე პატარა კოლოფი ამოიღო და რაღაცს ბუტბუტით თავზე გადმომიპირქვავა. მერე გრძელი სიტყვა წარმოთქვა, რომლისგანაც ვერავითარი აზრი ვერ გამოვიტანე. მაკოცა და საიდანაც მომეცალინა, იქითვე გაუჩინარდა. და მაშინვე ისევ ჩამეძინა.

დილით ბებია შემოვიდა და მითხრა, თუ გავბედავდი და წუხანდელ საჩუქულზე ვინმესთან სიტყვა დამცდებოდა, აუცილებლად მოვკვდებოდი. ამ გაფრთხილებამ გადავიწყებული საოცარი ზმანება მომაგონა და იგი, სამუდამო ბეჭდით დაბეჭდილი, ჩემი ჩანახატოვანი მეხსიერების ცხრაკლიტულში ჩავძალეთ. კაცმა რომ თქვას, ამ უცნაური საიდუმლოს გამხელას არც ვაპირებდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ ვიცოდი დააინტერესებდა თუ არა ვინმეს, და მერე იმიტომაც, რომ გულისხმიერი თანამოსაუბრეც არ მეგულებოდა. ავადმყოფობამ კუშტ და გულჩათხრობილ ბავშვად მაქცია. ამიტომ გარეშემონი მხოლოდ სიბრალულით მიყურებდნენ და ურთიერთობით არ მაწუხებდნენ. ახლობლები უდღეურად მთვლიდნენ, ხოლო ისინი, ჩემს გაჩენაში რომ ბრალი ედოთ, გაბუტულებიცით მექცეოდნენ.

მურანოში მგზავრობისა და ფერის ღამეული სტუმრობის შემდეგ სისხლისდენა თუმცა არ შეწყვეტია, მაგრამ დღითიდღე მიმცირდებოდა, მეხსიერება კი სულ უფრო მივითარდებოდა. ერთ თვეზე ნაკლებ დროში კითხვაც ვისწავლე.

რა თქმა უნდა, სასაცილო იქნებოდა, რომ ჩემი გამოკეთება ამ სასულელეებისათვის დამებრალებინა, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ რაღაც ძალა ნამდვილად ჰქონდა. რაც შეეხება მზეთუნახავის გამოცხადებას, მას ყოველთვის სიზმარეულ ზმანებად ვთვლიდი, თუ მთლად საგანგებოდ გათამაშებული სახიობა არ იყო. მაგრამ უებარი წამლები ყო-

ველთვის აფთიაქებში რიდი იშრევება. ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით ისეთ მოვლენებს, ჩვენს უმეცრებას რომ გვიდასტურებს, და მგონი იმის მიზეზიც აქ იმალება, რომ იშვიათია ისეთი სწავლული, გონება ცრურწმენებით რომ არ ჰქონდეს დაბინდული. მართალია, არავითარი გრძნეულები ამქვეყნად არ არსებულან და არც იარსებებენ, მაგრამ ისიც არანაკლებ სწორია, რომ ჯადოქრული ძალა ყოველთვის იმათ სწამდათ, ვისაც თაღლითთა ანკესზე წამოგებისა და თავის მოტყუების სურვილი აქვთ.

რაც ადრე ძხოლოდ ჩვენს წარმოსახვაში არსებობს, რეალობა ხდება და, აქედან გამომდინარე, მრავალი მოვლენა, რწმენის მიერ სასწაულმოქმედებად რომ აღიქმება, შესაძლოა სულაც არ იყოს საოცრება, თუმცა რწმენის უსაზღვრო ძალმოსილების ტყვეობაში მყოფ ადამიანებს ამაში ვერ დააჯერებ.

მამაჩემი სიცოცხლეს თავისი ძალების გაფურჩქვნის ხანაში გამოეთხოვა. ის სულ ოცდაექვსი წლისა იყო და საფლავში ჩაიტანა საზოგადოების გულწრფელი სინანული და პატივისცემა.

სიკვდილამდე ორი დღით ადრე, აღსასრულის მოახლოება რომ იგრძნო, ყველანი თავის სარეცელთან შეგვკრიბა, დაგვლოცა და აქვითინებულ დედას ფიცი დაადებინა, რომ არც ერთ შვილს თეატრის სცენას არ გააკარებდა, სამი პატრიციუსი კი ამ აღთქმის ურღვევობას თავმდებად დაუდგა.

ფეხმძიმობის მეშვიდე თვეზე დედამ თეატრიდან შვებულება აიღო. ახალგაზრდა ლამაზმა ქალმა ყველა ხელის მთხოვნელი უარით გაისტუმრა და შვილების აღზრდა ღვთის წყალობასა და საკუთარ შესაძლებლობებს მიანდო.

ჩემზე ზრუნვა მან თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია, არა იმდენად იმიტომ, რომ გამორჩეულად ვეუყვარდი, არამედ უფრო ჩემი ავადმყოფობის გამო.. უსუსური ვიყავი, საჭმელს არ ვიკარებდი, ლენჩის გამომეტყველება მქონდა. ექიმებს კი მიზეზი ვერ გაეგოთ. „კვირაში ორ ფუნტამდე სისხლს კარგავს — ამბობდნენ ისინი, — სულ კი თექვსმეტ — თვრამეტ ფუნტზე მეტი არ ექნება, აბა საიდან მოდის ამდენი

სისხლი!?" ერთი ამბობდა, რომ ჰთელი ლიმფა სისხლის წარმოქმნაზე მეხარჯებოდა, მეორე ამტკიცებდა, ყოველი ჩასუნთქვა ფილტვებში სისხლის რაოდენობას უზრდის და ამის გამოა, რომ სულ პირი აქვს დაფჩენილიო. ეს ყველაფერი ექვსი წლის შემდეგ მამაჩემის დიდი მეგობრის სენიორ ბაფოსაგან შევიტყვე. სწორედ მან მიმართა კონსულტაციისათვის პადუელ მკურნალ მაკოპეს, რომელმაც წერილობით ჩამოაყალიბა თავისი აზრი. იგი ამტკიცებდა, რომ სისხლი ელასტიკური სითხეა და იზრდება ან მცირდება არა მისი რაოდენობა, არამედ სიმკვრივე. ამიტომ ჩემი სისხლდენის მიზეზიც, მისი აზრით, მხოლოდ სისხლის მასის სიმკვრივე იყო. და რამდენადაც ამ მოვლენას მხოლოდ ჰაერი იწვევდა და სხვა არაფერი, პირველ რიგში მისი გამოცვლა იყო საჭირო, თუ არა და ჩემს დაღუპვას უნდა შერიგებოდნენ. მისი აზრით, ჩემი ბრიყვული სიფათიც სისხლის სიმკვრივის ბრალი იყო.

პროფესორ ჰაკოფეს დიაგნოზმა აზრთა სხვადასხვაობას ბოლო მოუღო და აბატმა გრიმანიმ ჩემთვის პადუაში საიმედო თავშესაფარის პოვნა იკისრა. მან დახმარება ერთ იქაურ ნაცნობ ქიმიკოსს ოტავიანის სთხოვა. მალე შესაფერისი სახლიც მოიძებნა და 1734 წლის 2 აპრილს, ცხრა წლისა რომ გავხდი, ბურკიელოზე დამსვეს და პადუაში წამიყვანეს.

ბურკიელო პატარა მცურავი სახლივითაა. ოთხკუთხა, წაგრძელებული, შემინულფანჯრებიანი და დარაბებიანი. ნაგებობის სახურავზე გემბანია გამართული. მოგზაურობა რვა საათს გაგრძელდა. ორან მახლდნენ აბატი გრიმანი, სინიორ ბაფო და დედა. მე და დედაჩემს საერთო ოთახში გვეძინა, ჩვენმა ორივე მეგობარმა კი ღამე კაიუტაში გაათია. დედა უთენია წამოდგა, საწოლის მოპირდაპირე სარკმელი გააღო და სახეში შემოფრქვეულმა მზის სხივებმა თვალის გახელა მაიძულა. ლოგინი ძალიან დაბლა ეგო და მიწას ვერ ვხედავდი. სარკმელში მხოლოდ სანაპიროს ხეთა კენწეროები მოჩანდა. ოჩხომელი ისე თანაბრად მიცურავდა, რომ გაშტერებული ვუყურებდი სარკმლის ჭრილში ერთიმეორის მიყოლებით მოძრავ და თითო-თითოდ გაუჩინარებულ ხეებს და ვერაფერი გამეგო. „რა არის ეს, დედიკო, — წამოვიყვირე მე, — ხეები დადიან!" ზუსტად იმ წუთას ოთახში ორივე სენიორი შემოვიდა და განც-

ვიფრებისაგან თავალდაჭყეტილი რომ დამინახეს, მკითხეს, რა დაგემართაო. „რატომ მოძრაობენ ხეები?“ — ვკითხე მე.

მათ გაეცინათ, დედამ კი ამოიოხრა და მითხრა: „ხეები კი არა, ოჩხომელი მოძრაობს. აბა, ჩაიცვი“.

ჩემმა ნორჩმა და თავისუფალმა გონებამ ეს მოვლენა ელვის უსწრაფესად გაიაზრა. „მაშინ ისიც ხომ შეიძლება — წარმოვთქვი მე, — რომ მზე კი არ მოძრაობდეს ცაზე, არამედ ჩვენ ვმოძრაობდეთ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ?“

— რა სისულელეა! — ყვირის ჩემი ქეთილი დედიკო ამ სიტყვების გაგონებაზე. აბატი გრიმანი სინანულს გამოთქვამს ჩემი სიბრიყვის გამო, მე კი ნაწყენი და გაბუტული ვარ და სატირლად ვემზადები, მაგრამ სულის მხნეობა სინიორ ბიფომ დამიბრუნა. მაშინვე ჩომაშურა, ნაზად მომეხვია და მითხრა: „მართალი ხარ, ჩემო შვილო: მზე არ მოძრაობს. გული გაიმაგრე და ყოველთვის თამამად გამოთქვი შენი აზრი. ამათ კი რამდენიც უნდათ იმდენი იცინონ“.

შეცბუნებულმა დედამ ჰკითხა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე, ბავშვს ასეთ გაკვეთილს რომ უტარებო. მაგრამ ფილოსოფოსმა ყურიც არ ათხოვა და მშვიდად განაგრძო ჩემი შეურყვნელი და მიამიტური გონების წვრთნა. ეს იყო პირველი ჭეშმარიტი სიამოვნება, რაც ჩემს ცხოვრებაში განვიცადე. აქ რომ სინიორ ბიფო არ ყოფილიყო, ეს ერთი წუთი ჩემი გრძნებისა და შეგნების დასამახინჯებლად საკმარისი იქნებოდა. დედისა და აბატის უმეცრება უეჭველად წარმოსახვის უნარს დამიჩლუნგებდა და თავისუფალი აზროვნების სურვილსაც დამიკარგავდა. და თუმცა დიდ მოაზროვნეობას ვერ დავიჩემებ, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ სწორედ თავისუფალ აზროვნებას უნდა ვუმადლოდე იმ დიდ სიამოვნებას, საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენისას რომ განვიცდი.

პადუაში დილაბნელზე ჩავედით და ოტავიანისთან გავჩერდით. მისმა მეუღლემ ალერსით ამავსო.

ოტავიანიმ იმ სახლში წაგვიყვანა, სადაც მე უნდა მეცხოვრა. იგი სანტა მარია ინ ვონტის ეკლესიიდან ორმოცდაათიოდე ნაბიჯით იყო დაშორებული. ჩემს მომავალ დიასახლისს, მოხუც სლავ ქალს, სლავი პოლკოვნიკის მეუღლის, ქალბატონ მიდის, სახლის პირველი სართული ეჭირა. მას ჩემი ნივთების

ნუსხა გადასცეს და ექვსი თვის ქორა — ექვსი ცეხინი წინაპ-
წარ ჩაუთვალეთ. ამ მცირე თანხაში შედიოდა ჩემი ჭამა-სმის,
დარეცხვა-დაუფთავებისა და სკოლაში სწავლის საფასურიც.
დედაბერმა შევაჭრება სცადა, მაგრამ ჩემმა თანამგზავრებმა
ყურიც არ ათხოვეს, გადამკოცნეს, ჭკუით იყავიო, დამიბარეს
და წავიდნენ. ასე იოლად მომიშორეს თავიდან.

სლავის ქალმა სხვენზე ამიყვანა და ჩემი ლოგინი მაჩვენა.
იქ კიდევ ოთხი საწოლი იყო ჩამწკრივებული. სამი მათგანი სამ
ჩემს თანატოლს ეკუთვნოდა, რომლებიც იმ წუთას სკოლაში
იყვნენ, მეოთხე კი — მოახლეს, რომელსაც ჩვენი საქციელი-
სათვის თვალ-ყური უნდა ედევნებინა. შემდეგ დიასახლისმა
დაბლა ჩამიყვანა და სადილის მოლოდინში ბაღში სეირნობის
ნება დამრთო.

მე ვდუმდი. არც ბედნიერად ვთვლიდი თავს და არც უბე-
დურად: არც შიშს განვიცდიდი, არც იმედს და არც ცნობის-
მოყვარეობას; არც მხიარული ვიყავი და, არც სევდიანი.

ერთადერთი, რამაც უამურად გამაოცა, დიასახლისის პი-
როვნება იყო. თუმცა არც სილამაზეზე და არც სიმახინჯეზე
ჯერ არავითარი წარმოდგენა არ მქონდა. მაგრამ მისი გარეგ-
ნობა, მანერები, საუბრის კილო და ყველაფერი ჩემში ზიზღს
იწვევდა. ყოველთვის, როცა საუბრისას სახეში ვუყურებდი,
მისი მამაკაცური ნაკვთები გულს მირევდა. ჯარისკაცივით ახ-
მახი და კუთხოვანი იყო, ყვითელი კანი, შავი თმა და დაბურ-
ჩხული წარბები ჰქონდა. ნიკაპს კარგა ბლომად გრძელი ბა-
ლანი ეუმშვენებდა. პორტრეტის დასასრულებლად იმასაც
ვიტყვი, რომ სანახევროდ მოშიშვლებული ამზრზენი მკერდი
თითქმის წელამდე ტალღებად ეწლაწებოდა. ალბათ, ორმოც-
დაათი წლისა იქნებოდა.

სახლში ერთადერთი მოსამსახურე მსუქანი გლეხის ქალი
იყო. ის, რასაც ბაღს უწოდებდნენ, ასე ოცდაათი — ორმოცი
ნაბიჯის სიგრძის ოთხკუთხა სივრცეს წარმოადგენდა, რომლის
ერთადერთი სასიამოვნო თვისება მისი სიმწვანე გახლდათ.

შუადღისას ჩემი სამი ამხანაგიც მოვიდა. ძველი ნაცნობე-
ბივით შემხვდნენ და ათასგვარი ისეთი რამ მიამბეს, რაზეც
ადრე წარმოდგენაც არ მქონდა. ჩემი დუმილით სულაც არ

შეკბუნებულან და დიდი ჩიჩინის შემდეგ მაიძულეს, მათ უწყინარ გართობაში მონაწილეობა მეც მიმეღო: დავრბოდით, ერთმანეთს ზურგით დაკათრევდით, ყირამალა გადავდიოდით და ვიდრე სადილად არ გვიხმეს, ბევრ ამისთანა რამეში გამიცნობიერეს.

სუფრას მივუსხედით. ჩემს წინ დადებულ ხის კოვზს ხელი დავტაცე, სადღაც მოვისროლე და ბებიაჩემის ნაჩუქარი ვერცხლის სერვიზი მოვითხოვე. მოახლემ ამიხსნა, დიასახლისს სურს, ყველანი თანაბარ პირობებში იყოთ და ამიტომ ბილებულ წესებს უნდა დაემორჩილოო. ეს ამბავი სულაც არ მეპიტნავა, მაგრამ რაღას ვიზამდი. რაკიღა შევიგნე, რომ ყველაფერში თანასწორობა უნდა ყოფილიყო, გამალებით დავიწყე საერთო ჯამიდან წვნიანის ხვრეპა, რათა ამხანაგებს არ ჩამოვრჩენოდი. მაგრამ მათ ისე უცებ ამოაშრეს ჯამი, რომ ვაოცებული დავრჩი, ამის უფლებას როგორღა აძლევენ-მეთქი. საკმაოდ გულის ამრევ წვნიანს მოჰყვა კამხმარი ვირთევზას მცირე ულუფა, შემდეგ — ვაშლი, და სადილიც დასრულდა. იმხანად მარხვა იყო. არც ფინჯნები მოუციათ, არც ჭიქები და ყველანი ერთი თიხის ტოლჩით ვსვამდით გრასპიად ხმობილ საზიზღარ სასმელს, რომელშიც წიპწაგაცლილი ყურძნის მარცვლები იყო ჩახარშული. ამის შემდეგ მარტო უბრალო წყალს ვსვამდი. ასეთმა სუფრამ ჩემში მხოლოდ გაოცება გამოიწვია, რადგან არ ვიცოდი, მქონდა თუ არა მისი დაწუნების უფლება.

ნასადილევს მოახლემ სკოლაში წამიყვანა და ახალგაზრდა ბატონთან დოქტორ გოცისთან დამტოვა, რომელსაც ჩემი დიასახლისი თვეში ორმოც სალდოდ გაურიგდა.

ვინაიდან წერა არ ვიცოდი, ხუთი-ექვსი წლის ბავშვებთან დამსვეს, რომლებმაც უპირველეს ყოვლისა, სიცილი დამაყარეს.

შინ რომ მოვედი, ვახშამზე დამიძახეს, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვახშამი სადილზე უარესი გამოდგა. გაკვირვებული ვიყავი, რომ ჩივილის უფლებას არ მაძლევდნენ. შემდეგ ლოგინში ჩამაწვინეს, სადაც ყველასათვის კარგად ცნობილი პარაზიტების სამმა სახეობამ ღამე თეთრად გამათენებინა. ამას დაემატა ვირთხები, ზოგელ სხვენზე რომ დაშლი-

გინებდნენ და ისეთ შიშის ზარს ვცემდნენ, რომ ძარღვებში სისხლი მეყინებოდა. აქ პირველად განვიცადე ნამდვილი სატანჯველი და აქვე ვისწავლე მისი მოთმინებით ატანა.

სისხლის მწოველი მწერები ვირთხების თარეშით გამოწვეულ შიშს მინელებდნენ, შიში კი, თავის მხრივ, პარაზიტების ნაკბენებს მიამებდა. ბოროტებათა ამ შეჯიბრში ჩემმა სულმა რაღაც სასარგებლოც კი ჰპოვა, ჩემი სასოწარკვეთილი ყვირილი კი, რა თქმა უნდა, მოახლის ერთ ყურში რომ შედიოდა, მეორეში გამოდიოდა.

აისის პირველ სხივებთან ერთად დავტოვე ჩემი მარტვილობის სარეცელი, მოახლეს გადატანილი ტანჯვის ამბავი მოვახსენე და ახალი საცვალი მოვითხოვე, რადგან ჩემი პერანგისათვის ზიზღის გარეშე ყურება არ შემეძლო. მაგრამ მან უარი მითხრა, საცვლებს მხოლოდ კვირადღეობით ვცვლითო, და დიასახლისთან გიჩივლებ-მეთქი, რომ დავემუქრე, გულიანად გადაიხარხარა.

ამხანაგების დაცინვებიც რომ მოვისმინე, ჩემს ცხოვრებაში პირველად ავტირდი მწუხარებისა და სიბრაზისაგან. საბრალოები ჩემს გასაჭირს კი თანაუგრძნობდნენ, მაგრამ ეს მათთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო და ამით ყველაფერი ნათელია.

უძინარი და მწერებისაგან დაოსებული სკოლაში მთელი დილა თავს ვაკანტურებდი. ერთმა ამხანაგმა, საცინლად რომ ავეგდე, ყველაფერი დოქტორს უამბო. მაგრამ ამ კეთილმა ადამიანმა, რომელიც თითქოს განგებამ მომიგზავნა, გულდასმით მომისმინა და როცა კანზე მიმოფენილი ბებერებიც ვაჩვენე, ჩემი ნათქვამის სისწორეში თვალნათლივადაც დარწმუნდა. სულის სიღრმემდე აღშფოთებულმა დოქტორმა მაშინვე ლაბადა მოისხა, სახლში წამომყვა და დიასახლისი აიძულა ჩემი გაუბედურებული სხეულისათვის შეეწყვიტა, იმან კი, ვითომ გაოცებულმა, ყველაფერი მოახლეს გადააბრალა, ხოლო როცა დოქტორის დაჟინებული მოთხოვნით იძულებული გახდა მისი ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და ჩემი ლოგინი ეჩვენებინა, მასზე არანაკლებ დაზაფრული დავრჩი, როცა დავინახე, თუ რა ბინძურ ჩვრებში გამიტარებია ის ჯოჯოხეთური ღამე. წყეული ქალი ისევ მოახლეს ადანაშაულებ-

და ‘ა დოქტორს არწმუნებდა, დაუყოვნებლივ დავითხოვო. მაგრამ ამ დროს სცენაზე თავად მოახლე გამოვიდა, დიასახ ლისის აბაყვედურები ვერ აიტანა და პირდაპირ მიახალა, ყველაფერი შენი ბრალიაო. და მართლაც. როცა ჩემი ამხანაგების ლოგინებსაც გადააძრო საბნები, დავრწმუნდი, რომ ჩემზე უკეთეს დღეში არც ისინი იყვნენ. გაცოფებულმა დიასახლისმა ლაზათიანი სილა უთავაზა, მოახლემ ხურდა დაუბრუნა და უკანმოუხედავად გაქუსლა. დოქტორმა სახლში დამტოვა, წასვლისას კი დიასახლისს დაუბარა, რომ თუ იმ დღიდან სხვა მრწაფეებივით მოწესრიგებული არ ვიყლიდი, სკოლაში არ დამიშვებდა. მისი წასვლის შემდეგ უსასტიკესი საყვედური მივიღე, რასაც ასეთივე მუქარაც მოჰყვა, რომ თუ მსგავსი ამბავი განმეორდებოდა, უბოდიშოდ ქუჩაში მომისვრიდნენ.

თავგზა ამებნა. თითქოს სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. აქამდე მხოლოდ ერთ სახლს ვიცნობდი, იმას, სადაც დავიბადე და აღვიზარდე, და სადაც სიკეთე და სიუხვე სუფევდა. აქ კი უხეშად მეექცეოდნენ, მლანძღავდნენ, მიჯავრდებოდნენ, თუმცა არავითარი დანაშაული არ ჩამედინა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ როკამბა პერანგი სახეში მომაფერთხა. ერთი საათის შემდეგ კი ახალი მოსამსახურე გამოგვეცხადა და ლოგინის თეთრეული გამოგვიცვალა. შემდეგ სადილად დავსხედით.

სკოლის დამრიგებელმა განსაკუთრებული პატივი დამდო და თავის მაგიდასთან დამსვა. მისი ყურადღება რომ გამემართლებინა, სწავლას დიდი მონდომებით შევუდექი და სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ისე კარგად ვწერდი, რომ გრამატიკა დამაწყებინეს.

ცხოვრების ახალმა წესმა, მუდმივმა შიმშილმა და ყველაზე უფრო კი, რა თქმა უნდა, პადუის ჰაერმა ჯანმრთელობა ისე გამიკაჟა, რომ საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. ამასთანავე, ძალების ასეთი მოკარბება, თავის მხრივ, შიმშილის გრძნობას უკიდურესად მიმძაფრებდა და ეს თანდათან აუტანელი ხდებოდა. რას არ ჩაიდენს მშიერი კაცი! სამზარეულოს განჯინაში რამდენიმე თავი შებოლილი ქაშაყი შევნიშნე, პირი შევაჩეიე და მთელი ეს მარაგი ნელ-ნელა სულ შემომეჭამა. ამას მივაყოლე ღუმელის თავზე დაკიდებული ძეხვის აცმა. ქურდობაში რომ არ ჩაველოთ, ღამღამობით, ხელისცეცებით ვიპარავდი.

ქათამს კვერცხი დადებული არ ჰქონდა, რომ უკანა ეზოში გადავძვრებოდი და ჯერ კიდევ თბილი კვერცხებით ყელს ვიკოკლოზინებდი, არც ჩემი დამრიგებლის საბსარეულოს ვაყრიდი ხეირს.

ქურდს რომ ვერ წავაწრო, გაშწარებული დასახლისი მოახლეებს დაერია და ერთმეორის მიყოლებით გაპყარა სახლიდან. მაგრამ ყოველთვის როდი მეძლეოდა ქურდობისათვის ხელსაყრელი შემთხვევა და ამიტომ მაინც ჩონჩხივით ჩამომხმარი ვიყავი.

სწავლაში კი სწრაფად დავწინაურდი და ოთხი თვის შემდეგ დოქტორმა დეკურიონად დამნიშნა. ჩემი მოვალეობა იყო, რომ ოცდაათი ამხანაგისათვის გაკვეთილების მომზადება შემემოწმებინა, შეცდომები გამეწოლებინა, ვინც რას იმახურებდა ისე შემეფასებინა და შედეგები მასწავლებლისათვის მოეხსენებინა. მაგრამ ჩემს ობიექტურობას მალე მოეღო ბოლო, რადგან ზარმაცმა მოწაფეებმა ჩემი მოთვინიერების ხერხს მიაგნეს: როცა ლათინურში ბევრ შეცდომას ვეპოვდი, ჩემს სიმკაცრეს კატლეტებით, შებრაწული ვარიებითა და ხშირად ფულითაც ამბილებდნენ. ისე გავხარბდი და გავმუნაგდი, რომ დადებითი ნიშნისათვის ხარკს ეკვე მარტო უვიცებისაგან კი არ ვკრებდი, არამედ, ნამდვილი ტირანივით, იმათაც კონტრიბუციას ვუწესებდი, ვინც კარგად წავლობდა. ბოლოს-დაბოლოს ამხანაგებმა ჩემი ესამართლობა კელარ აიტანეს და დამრიგებელთან მიჩივლეს, მან კი, როცა დაინახა, რომ გამოძალვაში მამხილეს, თანამდებობიდან გადამაყენა. რა თქმა უნდა, ასეთი შერცხვენის შემდეგ მიწა უნდა გამაქრომოდა, მაგრამ თვით ბედმა მიხსნა ანტიკიბანსაცდელისაგან.

ერთ დღეს დოქტორმა თავის კაბინეტში მიხმო და მკითხა, ხომ არ მსურდა ალავი ქალისაგან თავი დამეხსნა და საცხოვრებლად მასთან გადავსულიყავი. სიხარულით ცას ვეწივე. დოქტორმა სამი წერილი დამაწერინა, რომელთაგან ერთი ბაბატ გრიმანის უნდა გაგზავნოდა, მეორე — ჩემს მეგობარ ბაფოს და მესამე — ჩემს კეთილ ბებიას. პანსიონში ყოფნის ექვსი თვე გადიოდა, იმხანად დედაჩემი ვენეციაში არ იმყოფებოდა. უნდა გვეჩქარა. წერილებში ჩემი საკალალო ყოფა-ცხოვრება უშავესი ფერებით დავხატე და მუქარაც შევთვალე, რომ თუ

სლავი დედაკაცს ხელიდან არ გამომგლეჯდნენ და ჩემი სკოლის დამრიგებელს არ მიმბარებდნენ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მეწერა.

სინიორ გორმანიმ პასუხის ნაცვლად ოტავიანს ჩემი გაჯორვა დაავალა, სამაგიეროდ სინიორ ბაფო სასწრაფოდ გაგზავნა ჩემს ბებიასთან, რომელიც წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მოეთათბირა მას და წერილი მომწერა, რომლითაც ბედნიერების მოახლოებას მაუწყებდა. და მართლაც, სულ რაღაც ერთი კვირის შემდეგ ეს საოცარი ქალი პადუაში ჩამოვიდა და კარს იმ დროს მომადგა, სადილად რომ ვჯდებოდი. იგი ჩემს დიასახლისს შემოჰყვა და დავინახე თუ არა, მაშინვე მივვარდი, ყელზე ჩამოვეკიდე და კურცხლები გადმოვაღვარღვარე. შემდეგ ბებია სავარძელში ჩაჯდა და ჩემი ამბები გამომკითხა. მე სითამამე ვიგრძენი, დიასახლისის იქ ყოფნას არ შევუშინდი და სხაპასხუპით ჩამოვუყაჟე ჩემი საჩივრები. ჯერ ის მათხოვრული სარჩო ვაჩვენე, რითაც ვიკვებებოდი, შემდეგ ბაღლა ავიყვანე ლოგინის სანახავად, ბოლოს ვთხოვე, სადმე წავსელიყავით და ექვსთვიანი შიმშილობის შემდეგ ნორმალურად დაეპერებინე. უტიფარი სლავი ქალი გაიძახოდა, ამ ფულით მეტი რა შემეძლოო. მართალს კი ამბობდა, მაგრამ ვინ აიძულებდა ისეთი პანსიონის გახსნას, სადაც ბავშვებს დედობის მაგივრად ჯალათობას გაუწევდა?

ბებიამ წყნარად და მშვიდობიანად განუცხადა ბავშვი აქედან უნდა წავიყვანოო და ჩემი ბარგი-ბარხანის ჩალაგება მიბრძანა.

იმ სასტუმროში მიმიყვანა, სადაც ბინად გაჩერებულიყო, და სადილად დავსხედით. მაგრამ თვითონ თეფშს არც გაკარებია და გაოგნებული მიყურებდა, როგორ ხარბად ვნთქავდი მონატრებულ საჭმელს. ამ დროს დოქტორი გოლიც მოვიდა. მისი გარეგნობა და მანერები ბებიას ძალიან მოეწონა. თხუთმეტ წუთში ყველაფერი მოგვარებული იყო. ბებიამ წინასწარ გადაუხადა მთელი წლის ფული — ოცდაოთხი ცეხინი, და ხელწერილი ჩამოართვა. კიდევ სამ დღეს დარჩა, აბატის სამოსში გამომაწყო და პარიკიც შეუკვეთა, რადგან ჩემს წაბილწულ თმას ვერაფერი მოუხერხა და იძულებული გახდა, თავი გადაეხოტრა.

დოქტორ გოცის ოჯახში იყვნენ: უპირველეს ყოვლისა — დედა, რომელიც მას დიდად აფასებდა იმის გამო, რომ წარმოშობით გლეხის ქალს, თანაც შეუხედავ და ბუზღუნა დედაბერს, თავი სასულიერო პირის დედობის ღირსად არ მიაჩნდა. მერე — მამა, რომელიც ხარაზი იყო, მთელ დღეს თავაუღებლად შრომობდა და სუფრასთანაც კი კრინტს არ სძრავდა, მხოლოდ უქმე დღეებში ლაღობდა, დილიდან საღამომდე ამხანაგებთან დუქანში ქეიფობდა და შინ ისეთი გამობრუეული ბრუნდებოდა, რომ ფეხზე ვერ იდგა და ერთთავად ტანსოს ლექსებს მღეროდა. ღვინით გახალისებული, ლაპარაკის საღერღელაშლილი მოხუცი დაწოლაზე არასდიდებით არ თანხმდებოდა, ჯიუტობდა და უხეშობდა, ლოგინისაკენ წათრევას რომ დაუპირებდნენ, სულ ტლინკებს ისროდა. თავში ზუსტად იმდენი ჭკუა ჰქონდა, რასაც ღვინოს გამოსწრუპავდა, სიფხიზლეში კი წვრილმანი ოჯახური საქმეების განსჯაც არ შეეძლო. მისი ცოლი ამტკიცებდა, ცოცხალი თავით არ შემირთავდა, ჯვრისწერამდე კარგად რომ არ გაძოგვეძლოო.

დოქტორ გოცის ჰყავდა ცამეტი წლის და — ბეტინა. ლამაზი, მხიარული გოგო იყო და რომანების კითხვა უყვარდა. დედ-მამა სულ იმის გამო ეჩხუბებოდა, რომ დღენიადაგ ფანჯარაში იყო გამოკიდებული. ეს გოგო თვითონაც არ ვიცი რატომ, მაშინვე მომეწონა, სწორედ მან შემაპარა გულში იმ საოცარი ენების პირველი სხივები, რომელიც შემდეგ და შემდეგ ჩემს ცხოვრებას მთლიანად დაეუფლა.

ამ ოჯახში გადმობარგების ექვსი თვის თავზე დოქტორი უმოწყალოდ დარჩა: ყველანი გაექცნენ, რადგან მთელ თავის დროსა და ყურადღებას მხოლოდდამხოლოდ მე მითმობდა. ამის გამო გადაწყვიტა, მცირეწლოვანი ბავშვებისათვის პატარა სასწავლო პანსიონი გაეხსნა, მაგრამ ეს ორი წლის შემდეგ ძლივს მოახერხა, მანამდე კი მე გადმომცა მთელი თავისი ცოდნა, რითაც, სიმართლე რომ ითქვას თავი მაინცადამაინც არ უსკდებოდა. მაგრამ ეს ცოდნა იმისათვის კი საკმარისი აღმოჩნდა რომ მეცნიერების სამყაროში შემეჭვრიტა. ვიოლინოს დაკვრაც მან მასწავლა. უკეთილშობილესი დოქტორი გოცი, რომელიც ფილოსოფოსი სრულებითაც არ გახლდათ, პერიპათეტიკოსების ლოგიკასა და ძველ პტოლემესეულ

კოსმოგრაფიას მასწავლიდა, რაზეც გულიანად ვიცინოდი და მასწავლებელს ჩემი შეკითხვებით ჩიხში ვამწყვდევდი. ემწიკვლო ზნეობის ადამიანი იყო. მის მკაცრ რელიგიურობას ფარისეველობასა და პირფერობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ღრმა რწმენა ყოველგვარ განსაცდელს აძლევინებდა. სჯეროდა მსოფლიო წარღვნა, ისიც, რომ ადამიანები ამ კატასტროფამდე ათას წელიწადს ცოცხლობდნენ და ღმერთთან საუბრობდნენ, და ისიც, რომ ნოე თავის კიდობანს ას წელიწადს აშენებდა, ხოლო ჰაერში გამოკიდებული დედამიწა ურყევად იდგა შუაგულ სამყაროში, რომელიც ღმერთმა არარაობისაგან შექმნა. როცა შევბედავდი, არარსებობის არსებობა უაზრობაა და არაფრისაგან არაფრის შექმნა არ შეიძლებამეთქი, იგი საუბარს სწყვეტდა და სულელი ხარო, მეუბნებოდა. უყვარდა კარგი ძილი, ერთი ტოლჩა ღვინის დალევა, ოჯახურ წრეში გართობა. არ უყვარდა ოხუნჯი ადამიანები, მახვილგონიერებაა, კრიტიკა, რომელიც ავენოვანთა გართობად ეჩვენებოდა, და დასცინოდა იმათ სიბრიყვესა და გულუბრყვილობას, რომლებიც გაზეთებს კითხულობდნენ, რადგან მისი აზრით, გაზეთები მუდამ ცრუობდნენ და ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. არაფერი ისე არ აშფოთებდა, როგორც მერყეობა და ამიტომ თავისუფალი აზრი ყოველგვარ უბედურებათა სათავედ მიაჩნდა. ქადაგება მისი ვნება იყო და უნდა ითქვას, რომ ამაში ხმაც და გარეგნობაც ხელს უწყობდა, ამიტომ მისი აუდიტორია მთლიანად ქალებისაგან შედგებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი დაუძინებელი მტერი იყო და ქალს საუბრის დროსაც კი სახეში არ უყურებდა. ავხორცობა ყველაზე საშინელ ცოდვად მიაჩნდა და ამიტომ წონასწორობას ჰკარგავდა, როცა ვეუბნებოდი, რომ ეს თითქმის ყველაზე მცირე ცოდვა იყო. მისი ქადაგებანი გაძეძგილი იყო ბერძენი ავტორების ციტატებით, რომლებსაც ლათინურად თარგმნიდა. ერთხელ შევაპარე, იტალიურად თარგმნა ჯობს, რადგან ქალებს ლათინური ინჩი-ბინჩი არ ესმით-მეთქი, მაგრამ ისე გაგულისდა, რომ მეტად ამ თემაზე კრინტი აღარ დამიძრავს. საერთოდ კი მე ისე მიყურებდა, როგორც საოცრებას, რადგან გრამატიკის დახმარებით სავსებით დამოუკიდებლად შეეისწავლე ბერძნული ენა.

1736 წლის დიდმარხვაში დედამ დოქტორს მისწერა, რომ პეტერბურგს გამგზავრების წინ ჩემი ნახვა უნდოდა და სთხოვდა, სამი დღით ვენეციაში გვესტუმრეთო. ამ მიწვევამ დიდ სგონებელში ჩააგდო, რადგან არც ვენეცია და არც მაღალი საზოგადოება არასოდეს ენახა, რაიმე საქმეში ახალბედად გამოჩენა კი ძალიან არ უნდოდა. მაინც გავემგზავრეთ და ბურკილიომდე მთელმა ოჯახმა გაგვაცილა.

დედაჩემი დოქტორს მაღალი წრის ადამიანისათვის ბუნებრივი უშუალობით შეხვდა, მაგრამ მზიანი დარვით მშვენიერმა ქალმა ჩემი საბრალო დამრიგებელი დიდ გასაჭირში ჩააგდო: დოქტორის სახეში შეხედვას ვერ უბედავდა და თავდახრილი ესაუბრებოდა. მისი უცნაურობა დედაჩემს არ გამოპარვია და გადაწყვიტა, თავის შეკავების ეს იშვიათი შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა. რაც შემეხება მე, საყოველთაო ყურადღება მივიპყარი. ყველანი მიჩვეულნი იყვნენ ჩემს მოსულელო ბავშვობას და ორ წელიწადში ამგვარი ფერიცვალებით ფრიად გაოცებულნი დარჩნენ. დოქტორს სიამაყისაგან სახე უბრწყინავდა, რადგან ამ სასწაულს მთლიანად მას მიაწერდნენ.

პირველი, რამაც დედა უამურად განაცვიფრა, ქერა პარიკი იყო, რომელიც მეტისმეტად არ ეხამებოდა ჩემს შავგვრემან სახეს და შავ თვალ-წარბს. იკითხა, რატომ გადაკრეჭეთ, განა საკუთარი თმა ასე არ დაევარცხნებოდაო? რაზეც დოქტორმა უპასუხა, რომ პარიკის სუფთად მოვლა მისი დისათვის უფრო იოლი იყო. ამ გულუბრყვილო განმარტებამ საყოველთაო სიცილი გამოიწვია, რაც გულიან ხარხარში გადაიზარდა მას შემდეგ, ჩემს დამრიგებელს რომ ჰკითხეს, შენი და გათხოვილი თუ არისო და მის მაგივრად მე რომ კეპასუხე, ბეტინა მხოლოდ თოთხმეტი წლისაა და ჩვენს უბანში ყველაზე ლამაზი გოგოა-მეთქი. მაშინ დედა დოქტორს დისათვის კარგ საჩუქარს შეპირდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ამიერიდან ჩემს საკუთარ თმას დამვარცხნიდა. შემდეგ დალაქი მოიწვიეს, რომელმაც ჩემი სახის ფერთან შეხამებული ახალი პარიკი დამიმზადა.

ყველანი, დოქტორის გარდა, ბანქოს სათამაშო მაგიდას შიუსხდნენ, მე კი ძმების სანახავად ბებიის ოთახში გავედი;

ფრანჩესკომ თავისი არქიტექტურული ნახაზები მაჩვენა, რომლებიც დიდსულოვნად მოეუწონე, ჯოვანის არაფერი უჩვენებია და ამიტომ ყურადღების ღირსადაც არ ჩავთვალე. დანარჩენები კი მთლად პატარები იყვნენ.

ვახშამზე დოქტორი დედაჩემის გვერდით იჯდა და, ალბათ, ხმასაც არ ამოიღებდა, ერთი ლიტერატურულად განსწავლული ინგლისელი სტუმარი ლათინურად რომ არ გასაუბრებოდა. მაგრამ ჩემმა დამრიგებელმა ვერაფერი გაუგო და მორცხვად უპასუხა, ინგლისური არ ვიცი. ამან სიცილის აფეთქება გამოიწვია. მდგომარეობას სინიორ ბაფიმ უშველა, განმარტა ინგლისელები ლათინურად კითხვისას და საუბრისას ბგერებს ისევე გამოთქვამენ, როგორც საკუთარ ენაზე ლაპარაკისასო. მე ამაზე მივუგე, რომ ინგლისელები ისევე ცდებიან, როგორც ჩვენც შევცდებოდით, თუ ინგლისურად ლაპარაკისას ლათინური გამოთქმის წესებს ვიხმარდით-მეთქი. ჩემი ჭკუით გაკვირვებულმა ინგლისელმა მაშინვე დაწერა ეს ძველებური დისტიქი და გადმომცა:

Dicite, grammatici, cur mascula nomina cunnus,
Et cur femineum mentula nomen habet.

ხმამაღლა წავიკითხე და წამოვიძახე:

— აი, ლათინურიც ამას ჰქვია!

— ეს ჩვენც ვიცით, — მითხრა დედამ, — მაგრამ ახსნაა საჭირო.

— ახსნა არ კმარა, — ვუპასუხე მე, — ეს ისეთი საკითხია, პასუხს რომ ითხოვს. — და წუთიერი ფიქრის შემდეგ ასეთი ჰენტამეტრი დავწერე:

Disce quod a domino nomina servus habet.

ეს იყო ჩემი პირველი ლიტერატურული ცდა და ამ წუთიდანვე ჩამივარდა გულში მწერლური დიდების ჟინი, რადგანაც უცებ ავარდნილმა ტაშმა ბედნიერების მწვერვალზე ამტყორცნა. ინგლისელი აღტაცებული იყო, განაცხადა, ვერც ერთი თერთმეტი წლის ბავშვი ამის მსგავს რამესაც კი ვერ შეძლებსო, რამდენჯერმე გადამკოცნა და თავისი საათი მაჩუქა. ცნობისმოყვარეობით ანთებულმა დედამ სინიორ გრიმანის

ჰკითხა, ეს ლექსები რას ნიშნავსო, მაგრამ მასზე მეტი ვერც აბატმა გაიგო. მაშინ სინიორ ბაფიმ ყურში უჩურჩულა ლექსის ახრი. ჩემი ცოდნითა და უნარით განცვიფრებული დედა წამოდგა, ოქრის საათი მოიტანა და ჩემს დამრიგებელს უსახსოვრა, რომელიც მეტად კომიკურ სიტუაციაში ჩავარდა, ვინაიდან არ იცოდა, თუ რა სიტყვებით გამოეხატა თავისი მადლიერება. ამ გასაჭირიდან რომ გამოეყვანა, დედამ საკოცნელად ლოყა მიუშვირა, რითაც მთლად მოუთავა ხელი. საქმე ეხებოდა სულ რაღაც ორ ამბორს ანუ წესიერ საზოგადოებაში მიღებულ საკვლებით ჩვეულებრივ და უწყინარ რამეს, მაგრამ საბრალო დოქტორმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს გავარკვარებული ნაკვერჩხლისათვის ენდა ეკოცნა. მიწა რომ გასკდომოდა, ის ერჩივნა, თავჩაღუნული კუთხეში მიიკუნჭა და ამის შემდეგ აღარც გახსენებიათ. ოთახში მარტონი რომ დავრჩით, დოქტორმა გული გადამიშალა, მითხრა, რომ პადუაში ვერც დისტექსა და ვერც ჩემს პასუხს ვერ გამოაქვეყნებდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თავის მოჭრა იქნება.

— კი მაგრამ, განა შესანიშნავი არ არის?

— ახლა დავიძინოთ და ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ. შენი პასუხი კი საოცარი იმითაა, რომ ლექსის თხზვის ხელოვნება არ გისწავლია.

მართალიც იყო. ჩემს ზოძღვარს ჰქონდა გაოცების მიზეზი, რადგან თვით მას, თუმცა კი პროსოდიას მასწავლიდა, პწკარის პწკარზე გადაბმაც არ შეეძლო.

ოთხი დღის შემდეგ. გამომშვიდობებისას, დედამ ბეტინასათვის შეპირებული საჩუქარი გადმომცა, აბატმა გრიმანიმ კი წიგნების საყიდლად ოთხი ცეხინი მაჩუქა. ერთ კვირაში დედაჩემი პეტერბურგს გაემგზავრა.

პადუაში დაბრუნების შემდეგ ჩემი სათნო დამრიგებელი ყოველ დღე და ყოველგვარი საბაბით დედაჩემზე ჩამომიგდებდა ხოლმე საუბარს. ბეტინამ კი მისთვის გამოგზავნილ შეკვრაში ხუთი არშინი შავი ლუსტრინი და თორმეტი წყვილი ხელთათმანი აღმოაჩინა და ამის შემდეგ განსაკუთრებით შემეთვისა, ჩემი თმის მიმართ კი ისეთი მზრუნველობა გამოიჩი-

ნა, რომ ნახევარ წელიწადზე უფრო ადრე პარიკი მოვიშორე. თმის დასავარცხნად ყოველდღე მოდიოდა, ის კი ალა, ძალიან ხშირად საწოლში დამადგებოდა თავზე — სად მცალია შენს ადგომასა და ჩაცმას რომ ველოდოო, და ხელ-პირს, კისერსა და მკერდს მბანდა, ბავშვსავით მეფერებოდა და ცს, როგორც მაშინ შეჩვენებოდა — უწყინარი ალერსი, ტკბილად აღმაგზნებდა ხოლმე. იმდენად, რამდენადაც ბეტინა ჩემზე სამი წლით უფროსი იყო, მიმაჩნდა, რომ არ შეიძლებოდა მის სიყვარულში რაიმე ქვენა გრძნობები გარეულიყო და ამიტომ ჩემი საკუთარი განცდები მაბრაზებდა. როცა საწოლზე ჩამომჯდებოდა და განმიცხადებდა, რომ სულ უფრო და უფრო ვსუქდებოდი და ამაში საკუთარი ხელის შეხებით უნდა დარწმუნებულიყო, საოცარი მღელვარება მიპყრობდა, მაგრამ მაინც წყნარად ვიჯექი იმის შიშით, რომ ჩემი გრძნობები არ გამემჟღავნებინა. ხოლო როცა კანის სინაზეს მიქებდა და მისი ალერსიანი ხელების ფათური ლოგინში ზღარბივით მბღუნკავდა. იმაზე ვწუხდი, რომ სამაგიეროს მიგება ვერ გამებედნა. იმავე დროს კი ჩემი თავშეკავებითაც აღტაცებული ვიყავი და გრძნობების ასეთი დოკება ნამდვილ გმირობად მიმაჩნდა. მაგრამ ერთხელ, როცა ბეტინამ გაუბედაობისათვის გაქილიკება დამიწყო, ეშმაკს მივაფურთხე და მის ნაზ ამბობს უფრო მადიანი კოცნებით ვუპასუხე, მაგრამ ახლაც თავი მალე მოვთოკე, რომ დაუკრეფავში არ გადავსულიყავი. ამის შემდეგ უფრო მკაცრი გავხდი, მის ყოველ მოალერსებაზე თავს განზე ვაბრუნებდი, ისეთ სახეს ვიღებდი, თითქოს რაღაც უნდა მომეძებნა, ხელით ვიშორებდი და ისიც მიდიოდა, მაგრამ მარტო დარჩენილი სასოწარკვეთილებაში ვეარდებოდი იმის გამო, რომ ჩემს ბუნებრივ ლტოლვას ბოლომდე არ მივყევი. ვერ ვხვდებოდი, რატომ შეეძლო ბეტინას ეკეთებინა ყველაფერი, რაც მოესურვებოდა, მე კი მთელ ძალას სურვილების დასაოკებლად ვხარჯავდი. ასეთი დაფიქრების შემდეგ გულში აღთქმას ვდებდი, რომ მომავალ შეხვედრაზე სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი.

შემოდგომის დამდეგს დოქტორმა სამი ახალი მოწაფე მოიყვანა და ერთი თვეც არ გასულიყო, რომ მომეჩვენა, თითქოს ერთმა მათგანმა, დაახლოებით თხუთმეტი წლისა რომ იქნე-

ბოდა, ბეტინასთან საკმაოდ გულითადი ურთიერთობა გაბ

ამ დაკვირვებამ ისეთი გრძნობა აღმიძრა, რაზეც აქამდე წარმოდგენაც არ მქონია. და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შევძელი მასში გარკვევა. ეს არ იყო არც ეჭვი და არც განრისხება, არამედ იყო რაღაც ქედმაღლური ზიზღი, რაც სულ არ მეთაკილებოდა, რადგან ეს უკიცი, უხეში, გონებაჩლუნგი, უზრდელი, უბადრუკი მეფუნდუკის შვილი კარდიანი ჩემს ფრჩხილადაც არ ღირდა და მხოლოდ ასაკით იყო ჩემზე აღმატებული, ამიტომ არც შეიძლებოდა ჩემი ბედნიერი მეტოქე ყოფილიყო. ასე მეჩვენებოდა და ბავშვური თავმოყვარეობაც ამ თავდაჯერებას მიმტკიცებდა. მე აღვიქვამდი ზიზღში არეული სიამაყის გრძნობით და იგი ბეტინას წინააღმდეგ მივმართე, რადგანაც თურმე მიყვარდა და ამის ბაიბერშიც არ ვიყავი.

ჩემი ცელილება ბეტინას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რადგან დასავარცხნად რომ მოდიოდა, ძველებურად აფართქალებული აღარ ვხვდებოდი, აღარც კოცნაზე ვპასუხობდი და არც ალერს ვანებებდი. შეურაცხყოფილმა ასეთი საქციელის მიზეზი რომ მკითხა და პასუხი არ გავეცი, დამცინავად დამიყვავა და ღიმილით მითხრა, რომ მე უბრალოდ, კარდიანიზე ვეჭვიანობდი. ეს, რა თქმა უნდა, დამამცირებელ ცილისწამებად მეჩვენა და ღვარძლიანად განვუცხადე, რომ მას და კარდიანის სავსებით შესაფერის წყვილად ვთვლიდი. სიცილით წავიდა. მაგრამ გულში უკვე შურისძიების გეგმას ელოლიავებოდა. გადაწყვიტა, რომ ეჭვიანობით გავეგიჟებინე, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ჯერ ჩემთვის თავი უნდა შეეყვარებინა. და შეუდგა კიდეც საქმეს.

ერთ დილას, ლოგინში თავს რომ დამადგა, თავისი ხელით მოქსოვილი ერთი წყვილი თეთრი წინდა მომიტანა. თმის ვარცხნაში მითხრა, მე თითონ უნდა მოგაზომო, რათა ხარვეზები დავინახო და მომაელისათვის გავითვალისწინოო. დოქტორი წირვაზე იყო. წინდებს რომ მაცმევდა, მოიგონა, ჭუჭყიანი ფეხები გაქვსო და ნებართვა არც უთხოვია — დაბანა დამიწყო. მე შემრცხვა იმის გამჟღავნება, რომ მრცხვენოდა, თავის ნებაზე მივუშვი და არც მიფიქრია, თუ რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა. ჩემს ლოგინზე ჩამომჯდარმა ბეტინამ ძალიან

შორს შეტოპა და მისმა ცნობისმოყვარეობამ ისეთი ჟინი აღმიძრა, რომ თავი ვეღარ შევიკავე და მხოლოდ მაშინ გამოვფხიზლდი, როცა იმას იქით წასვლა აღარ შეიძლებოდა. გონს რომ მოვეგე, სინდისის ქენჯნა ვიგრძენი და ბოდიში მოვუხადე. სულ რომ არ ველოდი, წუთით ჩაფიქრდა, შემდეგ კი შემწყნარებელი ღიმილით წარმოთქვა, რომ დამნაშავე თვითონ იყო და ეს მეტად აღარ განმეორდებოდა. ამის შემდეგ მარტოდმარტო დამტოვა და მე ღრმა ფიქრებში ჩავიძირე.

ეს მძიმე ფიქრები იყო. მეჩვენებოდა, რომ ბეტინა გავაუპატიურე, რომ შეურაცხყავ ოჯახი, ნდობა, დავარღვიე სტუმართმოყვარეობის წმინდა წესები, ჩავიდინე საზარელი დანაშაული, რომლის გამოსყიდვას მხოლოდ ბეტინაზე დაქორწინებით შევძლებდი, თუ ის თანახმა იქნებოდა, რომ ჩემისთანა უღირს და უსინდისო ადამიანს. ცოლად გაჰყოლოდა.

ასეთი ფიქრების გამო ღრმა მელანქოლიამ მომიცვა. ამას ისიც დაემატა, რომ ბეტინამ სულ შეწყვიტა თავისი დილის ვიზიტები. პირველ კვირას გოგოს თავშეკავება კეთილგონიერებად მომეჩვენა და მძიმე კაეშანი, ალბათ, მალე იდეალურ გრძნობად მექცეოდა, ბეტინასა და კარდიანის ურთიერთობას ჩემი სული ეჭვიანობის შხამით რომ არ გაეჟღინთა. თუმცა არასოდეს მიფიქრია, რომ ბეტინა კარდიანისთანაც იმასვე შეებოდა, რასაც ჩემთან აკეთებდა. მაგრამ მერმინდელი დაკვირვებებით იმ დასკვნამდე მივედი, რომ გოგო თავის საქციელს ნანობდა და ჩემთან დაბრუნებას მხოლოდ ამიტომ ვერ ბედავდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს აზრი ჩემს შელახულ პატივმოყვარეობას კიდევაც ესალბუნა, რადგან იმის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო, რომ ბეტინას ნამდვილად ვუყვარდი. ასე სულაფორიაქებულმა გადავწყვიტე, რომ მისთვის გამამხნევებელი წერილი მიმეწერა.

შევთხზე მცირე უსტარი, რომელიც, ჩემი აზრით, გოგოს გული ორსავე შემთხვევაში უნდა დაემშვიდებინა: მაშინაც, თუ თავს მართლა დამნაშავედ გრძნობდა და მაშინაც, თუ ჩემი განცდები და მოქმედება მის თავმოყვარეობას შეურაცხყოფდა. მომეჩვენა, რომ ეპისტოლარული ჟანრის ეს შედევრი საკმარისზე მეტიც კი იყო იმისათვის, რომ ბეტინას გულს დავუფლებოდი და კარდიანი გამენადგურებინა. წერილის მი-

ლებიდან ნახევარი საათის შემდეგ ბეტინამ მიპასუხა, რომ ხვალ ღილით ჩემს ოთახში მოვიდოდა. მაგრამ ამაოდ ველოდი. საშინლად შეურაცხყოფილი ვიყავი. ამიტომ, როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი გაოცება, როცა სადილზე ბეტინამ მითხრა, ამ დღეებში ჩვენი მეზობელი ექიმი ოლივე მეჯლისს აწყობს და ხომ არ წამოხვიდოდი. რადგან ამ წინადადებას ყველა მიესალმა, მეც დავთანხმდი, ვიფიქრე, რომ ამაზე უკეთეს შემთხვევას ვერ ვიპოვიდით იმისათვის, რომ ერთმანეთის წინაშე თავი გვემართლებინა და ისევ გულითადი მეგობრები გავმხდარიყავით. მაგრამ ერთმა შემთხვევამ არა თუ ხელი შეგვიშალა, არამედ პირელი ეს ამბავი ტრაგიკომედიად აქცია.

დოქტორ გოცის ნათლიმამამ, მღიდარმა მოხუცმა კაცმა, სოფელში რომ ცხოვრობდა და კარგა ხანია ავადმყოფობდა, სიკვდილის მოახლოება იგრძნო და ჩემს დამრიგებელთან ცხენები გამოგზავნა, რათა ის და მამამისი უკანასკნელი დარიგებების მისაღებად დაუყოვნებლივ ჩასულიყვნენ. მოხუცმა სარაზმა მგზავრობის საშიშროები იმითი დაიწყო, რომ ერთი ბოთლი არაყი გამოყლურწა, შემდეგ საგარეო ტანსაცმელში გამოეწყო და შვილთან ერთად ეზას გაუდგა.

რადგანაც ვიფიქრე, რომ ეს მშვენიერი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გამეშვა (ბეჯლისამდე ხომ ჯერ კარგა დიდი დრო იყო და მოიმზინება არ მეყოფნდა) დრო ვიხელთე და ბეტინას ვუჩურჩულე, რომ ღამით, როცა ყველა ეძინებდა, გალერეაზე გამავალი ოთახის კარს ღიად დავტოვებდი და მის მოსვლას დაველოდებოდი. აუცილებლად მოვალო, მიპასუხა. ქვედა სართულზე ეძინა და მის ოთახს მამამისის საძინებლისაგან მხოლოდ ტიხარი ჰყოფდა. დოქტორი შინ არ იყო. მე მარტოკა ვიწექი დიდ ოთახში: ის სამი ალსაზრდელი სახლის მეორე ბოლოში ცხოვრობდა, ასე რომ არავითარი დაბრკოლებისა არ უნდა მშინებოდა. აღტაცებული ვიყავი: ნანატრი წუთი ახლოვდებოდა.

დასაძინებლად რომ გავემართე, ეპირველეს ყოვლისა, ერთი კარი ჩავკეტე და მეორეს, გალერეაზე გამავალს, ურდული ავხსენი. ასე რომ. ბეტინას მხოლოდ ხელი უნდა ეკრა და გაიღებოდა. შემდეგ შუქი ჩავაქრე და გაუხდელად ჩავწექი.

როცა ასეთი ამბავი რომანში შეგვხვდება, ჩვეულებრივ,

ვადაჭარბებად გვეჩვენება ხოლმე, მაგრამ სულაც არ არის გადაჭარბება, და ის, რასაც არიოსტო ალჩინას მოშლილნი რუჯეროზე გვიამბობს, ნატურიდან გადახატული მშვენიერი პორტრეტი გახლავთ.

შუალამემდე თითქმის უშფოთველად ველოდი, მაგრამ როცა არც დილის ორ საათზე, არც სამზე და არც ოთხზე არ გამოჩნდა, სისხლი ამიდუღდა. ფანჯრის მილმა ხვავრიელად ბარდნიდა, მე კი სიშმაგისაგან უფრო ვკანკალებდი, ვიდრე სიცივისაგან. განთიადამდე ერთი საათით ადრე, რაკიღა მეტს ბოთმენა აღარ შემეძლო, გადავწყვიტე, ქვევით ჩავსულიყავი და ბეტინას ოთახის კარიდან ოთხიოდე ნაბიჯზე კიბის ქვეშ დავმალულიყავი. იმ შემთხვევაში, თუ ბეტინა ოთახიდან გამოსული იქნებოდა, კარი ღია უნდა ყოფილიყო. ახლოს მივიპარე და დავინახე, რომ კარი ჩაკეტილი იყო და რაკი ჩაკეტვა მხოლოდ შიგნიდან შეიძლებოდა, ვიფიქრე, ძინავს-მეთქი. დაკაკუნება გადავწყვიტე, მაგრამ იმის შიშით, რომ ხმაურზე ძაღლს არ გაღვიძებოდა, გავჩერდი. კარიდან ძაღლის სადგომამდე ათი-თორმეტი ნაბიჯი იყო. აღარ ვიცოდი რა მექნა და დაღონებული კიბის ქვედა საფეხურზე ჩამოვჯექი. მაგრამ გამთენიისას, ტანდაბუჟეებულმა, სიცივისაგან აძაგძაგებულმა და იმით შეშინებულმა, რომ მოახლეს არ დავენახე და გიჟი არ ვგონებოდი, უკან წაბუნძურება გადავწყვიტე. ავდექი, და იმავ წუთს ბეტინას ოთახიდან ხმაური შემომესმა. ძალების მოზღვავება ვიგრძენი და კარს ვეცი... კარი გაიღო, მაგრამ ბეტინას ნაცვლად კარდიანი შემრჩა ხელში, რომელმაც მუცელში ისეთი წიხლი ჩამაზილა, რომ კარგა შორს გავფრინდი. კარდიანიმ დრო არ დაჰკარგა და სასწრაფოდ შევარდა ოთახში, სადაც თავის ორ ამხანაგთან ერთად ცხოვრობდა.

ფეხზე წამოვხტი და შურისძიების ცეცხლით ანთებული ბეტინასაკენ გავექანე. მაგრამ კარი აქაც დაკეტილი დამხვდა. მთელი ძალით მივაწექი, ბრახუნი ავტეხე, ძაღლი აყეფდა, მაშინვე ზევით ავირბინე, ოთახში ჩავიკეტე და ლოგინზე დავეცი. მკვდარზე უარესად ვიყავი.

მოტყუებულმა, დამცირებულმა, შეურაცხყოფილმა, ბედნიერი და მოზეიმე კარდიანისაგან აბუჩად აგდებულმა სამი საათი შურისძიების ერთიმეორეზე შავბნელი გეგმების შემუ-

შაეებაში გავატარე. იმ საზარელ წუთებში ორთავეს მოწამეს სასჯელად კი არა ბედის წყალობად მეჩვენებოდა, ამიტომ მეორე პროექტი ვარჩიე, პირველზე არანაკლებ საძაგელი და ეერაგული: დაუყოვნებლივ ყველაფერი მისი ძმისათვის მეცნობებინა. მე მხოლოდ თორმეტი წლისა ვიყავი და ჯერ კიდევ არ მქონდა იმის უნარი, რომ გმირული შურისძიების გეგმა ციეი გონებით ამეწონ-დამეწონა. ამგვარ საქმეებში სრულიად გამოუცდელი ვიყავი.

აი, ასეთი გახლდათ ჩემი სულიერი მდგომარეობა, როცა უცებ ბეტინას დედის ჩახლეჩილი ხმა შემომესმა. სასწრაფოდ ქვეკეთ ჩამოდი, ბეტინა კვდებაო, მეძახდა.

მეოთხე დღეს ბეტინას ყვავილმა გამოფინა. კარდიანი და მისი ორივე ამხანაგი, რომლებსაც ეს სენი მოხდილი არ ჰქონდათ, მაშინვე სახლიდან გახიზნეს. ამრიგად, მარტო დავრჩი.

საბრალო გოგოს იმე მოედო ფეფხები, რომ მეექვსე დღეს სხეულზე ერთი ბეწო სუფთა ადგილიც აღარ დარჩა. თვალები დაეხუჭა, პირი და სახა კი ისე გაუსივდა, რომ რამდენიმე წვეთ თაფლს ძლივს აყლაპებდნენ. სიცოცხლის ნიშანი მხოლოდ სუნთქვაზეღა ეტყობოდა. დედამისი წამითაც არ შორდებოდა, მე კი ავადმყოფის ოთახში ჩემი მაგიდა და რვეულები გადავზიდე და ამით საყოველთაო აღტაცება დავიმსახურე. უბედური გოგო რაღაც საზარელ არსებად იქცა: თავი გოდორივით გაუსივდა, ცხვირი აღარ უჩანდა, ცოცხალიც რომ გადარჩენილიყო, დაბრმავება ელოდა. მაგრამ ყველაზე ძნელი მაინც მისი ოფლის სუნის ატანა იყო.

მეათე და მეთერთმეტე დღეს ისე ცუდად გახდა, რომ ყოველ წუთას მის აღსასრულს ელოდნენ. სენმა კრიზისს მიაღწია. ავადმყოფი ყარდა. მის სიახლოვეს უკვე ვეღარავინ ჩერდებოდა, მარტო მე არ ვტოვებდი. ადამიანის გული შეუცნობელი უფსკრულია! ვინ დაიჯერებს, რომ სწორედ ამ საზარელ მდგომარეობაში აღმოძრა ბეტინამ ის ნაზი გრძნობები, რასაც მისი გამოჯანმრთელების შემდეგაც განვიცდიდი.

მეცამეტე დღეს ცოცხ-ცხელებამ გაუარა. ახლა აუტანელი ქავილისაგან იტანჯებოდა და ვერავითარი წამალი ისე ვერ ამშვიდებდა, როგორც ყოველსშემძლე სიტყვები, წამდაუწუმ

რომ ეუბნეორებდი: „ბეტინა, გახსოვდეთ, აუცილებლად მორჩებით, მაგრამ თუ ფხანას ვერ მოითმენთ, ისე დამახინჯდებით, რომ აღარავინ შეგიყვარებთ“.

აბა სინჯონ მთელი მსოფლიოს მედიკოსებმა და იპოვონ ამ სიტყვებზე უფრო უებარი წამალი იმ ქალიშვილისათვის, რომელსაც თავისი ძველი სილამაზე აბსოვს და შეგნებული აქვს, რომ თუ ფხანას ვერ მოითმენს, სიმახინჯისათვის არის განწირული.

როგორც იქნა, ბეტინამ თავისი მომხიბვლელი თვალები ეაახილა. ლოგინი გამოუცვალეს და სხვა ოთახში გადაიყვანეს. ქრისტეშობამდე მაინც ვერ წამოდგა. რამდენიმე ფუფხი გადამედო და სამმა მათგანმა სახეზე წარუშლელი კვალი დამაჩნია, მაგრამ ამას სულ არ ვდარდობდი. მთავარი ის იყო, რომ შემეძლო მისდამი მზრუნველობა ამ მარადიული საბუთით თავი მომეწონებინა და ბეტინაც იძულებული იქნებოდა, ეღიარებინა, რომ მისი პატივისცემის ღირსი ვიყავი. და მართლაც, ალალი გულით შემიყვარა და მეც ასევე გულწრფელად მიყვარდა, ხოლო ის ყვავილი, მე რომ არ მოვწყვიტე, ცრურწმენით გაბრიყვებულმა ბედისწერამ ხელუხლებლად მის მომავალ მეუღლეს შეუნახა. მაგრამ რა უბედურად მეუღლეს! ორი წლის შემდეგ ბეტინა ერთ ხარაზს მისთხოვდა. საძაგელმა ნაძირალამ ისე გააუბედურა ქალი, რომ მისი ძმა, დოქტორი გოცი, იძულებული გახდა შინ წამოეყვანა და პატრონობა გაეწია. თხუთმეტი წლის შემდეგ დოქტორი სან-ჯორჯო-დელა-ვალეს პროტოპრესვიტერად აირჩიეს და კეთილშობილმა კაცმა თავისი დაც თან წაიყვანა. თვრამეტი წლის წინ დოქტორს რომ ვეწვიე, უკვე ბებერ, სნეულ, მომაკვდავ ბეტინასაც შევხვდი. იგი 1776 წელს, ჩემი ჩასვლის მეორე დღეს გარდაიცვალა. ჩემს თვალწინ დალია სული.

დაახლოებით ამავე დროს დედაჩემი პეტერბურგიდან ჩამოვიდა. იმპერატორ ანას, თურმე, არ მოსწონებია იტალიური კოშედია. უკვე მთელი დასი სამშობლოში დაბრუნდა და დედაჩემი არლეკინ კარლინო ბერტინაცისთან ერთად მოგზაურობდა. პადუაში ჩამოსვლისთანავე გვაცნობა თავისი ადგილსამყოფელი და დოქტორმა გოციმ დაუყოვნებლივ მასთან წამიყვანა. სასტუმროში იდგა. ერთად ვისადილეთ და განშორე-

ბისას დედამ დოქტორს საუცხოო ქურქი აჩუქა, მე კი ბეტინასათვის ლამაზი ფოცხვერის ბეწვი გადმომცა. ექვის თვის შემდეგ დედამ ვენეციაში გამომიძახა, რადგან დრეზდენში გამგზავრებამდე ჩემი ნახვა სურდა. იქ საქსონიის კურფიურსტმა, პოლონეთის მეფე ავგუსტ მესამემ მუდმივ ამბახურში მიიწვია. დედამ ჩემი რვა წლის ძმა ჯოვანიც თან წაიყვანა. იგი გამგზავრებისას გულამოსკვნით ქვითინებდა, რაც დიდ სიხუელელად მომეჩვენა, რადგან ამ ამბავში არაფერი ტრაგიკული არ ყოფილა.

ამის შემდეგ პადუაში კიდევ ერთი წელი გავატარე და სამართალი შევისწავლე. თექვსმეტი წლისამ დოქტორის ხარისხი დავიცავი.

ჩემი მოწოდება მედიცინა იყო. საექიმო მოღვაწეობისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას ვგრძნობდი, მაგრამ ამისათვის უურადღება არავის მიუქცევია. უნდოდათ, რომ აუცილებლად კანონები შემესწავლა, მე კი ეს საქმე საშინლად მძულდა. მათ ეგონათ, რომ მხოლოდ ადვოკატობით შევძლებდი ქონების მოხვეჭას, და რაც უფრო უარესია, საეკლესიო საქმეების ადვოკატობას მიქადდნენ. ჭეტი რომ ეფიქრათ, ექიმობას არ დამიშლიდნენ. ეს ისეთი პროფესიაა, სადაც შარლატანობა შეიძლება ეფრო გამოვადგეს, ვიდრე ადვოკატურაში. საბოლოოდ ვერც ადვოკატი გამოვედი და ვერც ექიმი. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. შესაძლოა, რომ სწორედ ამიტომ არასოდეს მიმიმართავს ადვოკატისათვის, როცა სასამართლოში მქონდა საქმე, და არც — ექიმისათვის, თუ ავად გავხდებოდი. სასამართლო გაცილებით მეტ ოჯახს ანგრევს, ვიდრე ინარჩუნებს, ხოლო ისინი ვინც ექიმების ხელით იღუპებიან, იმათზე ეაცილებით მრავალრიცხოვანნი არიან. ვისაც ისინი ჰკურნავენ. აქედან, აშკარაა, რომ სამყარო გაცილებით უფრო ბედნიერი იქნებოდა, არც ერთი რომ არ ყოფილიყო და არც მეორე.

უნივერსიტეტში ლექციებს რომ დავსწრებოდი, ქალაქში მარტოდმარტოს უნდა მევლო. გაოცებული ვიყავი ახალი შეგრძნებებით. მანამდე დამოუკიდებელი არასოდეს ვყოფილვარ, ამიტომ სურვილი გამიჩნდა, ჩემი თავისუფლება სრულყოფილად გამომეყენებინა. სასწრაფოდ გავიცანი ყველაზე პო-

პულარული სტუდენტები, მაგრამ ამ წრეში ყველაზე პოპულარულნი ხომ ყველაზე საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანები არიან: გარყვნილები, ყომარბაზები, ავაზაკები, ლოთები, პატიოსანი გოგოების შემცდენლები, მოძალადეები, თაღლითები, რომლებსაც სათნოებისა და კეთილშობილების ნასახი არ გააჩნიათ. აი, ასეთ საზოგადოებაში დავიწყე სამყაროს შეცნობა.

დოქტორმა გოცემ ქუჩაში მარტო გამოსვლის პრივილეგია მოპანაჭა და ამის წყალობით ისეთი ჭეშმარიტებანი შეეიცანი, რომელთა არსებობა ეჭვადაც არ წარმომედგინა. ცხოვრებაში გაჭოჯეკილი სტუდენტები გამოჩენისთანავე ქორებივით დამარცხდნენ და დამაწიაწეს. მათ თვალში სრულიად ახალბედა და უმეცარი ვიყავი და მაშინვე ჩემს აღზრდას შეუდგნენ. იმით დაიწყეს, რომ მთელი ჩემი ჯიბის ფულით თამაშში ჩამითრიეს და კუდის რიკამდე რომ გამფცქვნეს, პატიოსან სიტყვაზე მათამაშეს, შემდეგ კი, ვალები რომ გადამეხადა, ათასგვარი შავბნელი საქმე შემასწავლეს. პირველად აქ გავიგე, რას ნიშნავდა ნამდვილი მწუხარება. მაგრამ ეს მკაცრი გაკვეთილები მანც ძალიან გამომადგა, რადგან პირმოთნეებისა და თავგამოდებული კეთილმოსურნეების უნდობლობა მასწავლა. წესიერი კაცი მათ ყოველნაირად უნდა გაურბოდეს, თუ უნდა, უფუსკრულის პირას არ აღმოჩნდეს. რაც შეეხება მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, მათ ბადეში არასოდეს გავბმულვარ, რადგან სილამაზით ბეტინასთან შეტოქება არც ერთ მათგანს არ შეეძლო. პატივმოყვარეობას კი ყოველთვის როდი ვერეოდი.

იმ დროს პადუელი სტუდენტები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ამ პრივილეგიებს საფუძვლად ედო ხანგრძლივი დროით დაკანონებული სამართალდარღვევები: ყველა პრივილეგიის წარმომავლობა ხომ ესაა. ხშირად სტუდენტები დანაშაულს იმიტომაც ჩადიოდნენ, რომ მათ პრივილეგიებს ძალა არ დაკარგვოდათ. დამნაშავეებს არც იშერდნენ, რადგან სახელმწიფოს ეს ხელს არ აძლევდა: რეჟიმის გაკაცრება უარყოფითად იმოქმედებდა სტუდენტთა ნაკადზე, რომელიც ამ სახელგანთქმულ უნივერსიტეტში ევროპის ყოველი კუთხიდან ჩოედინებოდა. ვენეციის მთავრობა სახელოვან პროფესორებს დიდ ხელფასებს უხდიდა და მათი ლექციების მოსასმე-

ჩად ჩამოსულ სტუდენტებსაც სრულ თავისუფლებას ანიჭებდა. სტუდენტები მხოლოდ თავიანთ ხელმძღვანელს ემორჩილებოდნენ, რომელსაც საგანგებო შტატი ჰყავდა და სტუდენტების საქ

რაზმი, რომელშიაც მე შევდიოდი, ერთ სბირსაც კი ვერსად წააწყდა.

ომის დამთავრების შემდეგ ამ ამბავს რომ ვიხსენებდი, დოქტორი სულ დამცინოდა, ბეტინა კი ჩემი სიძაბაცით აღტაცებული იყო.

ახლა დავიწყე დამოუკიდებელი ცხოვრება. მეგობრების წინაშე თავი რომ არ შემერცხვინა, მთელს ჩემს ქონებას გართობებში ვანიავებდი, უამრავი ნივთი გავყიდე ან დავაგირავე და იმოდენა ვალი დავიდე, რომ გადახდაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სხვა საშველი რომ ვერ გამოვნახე, ისევ ჩემს კეთილ ბებიას მივწერე და დახმარება ვთხოვე. მაგრამ ის ფულს მაგივრად თავად გამომეცხადა პადუაში, დოქტორსა და ბეტინას ჩემზე ზრუნვისათვის მადლობა გადაუხადა და ვენეციაში გამაქანა.

განმორებისას აცრემლებულმა დოქტორმა თავისი ყველაზე ძვირფასი ნივთი მაჩუქა. ეს რელიკვია, უკვე აღარ მახსოვს რომელი წმინდანისა, აქამდე შენახული მექნებოდა, ოქროთი რომ არ ყოფილიყო მოჩარჩოებული. მისი მოვლენილი სასწაული ის გახლდათ, რომ ჩემი ცხოვრების ძნელბედობის ჟამს კეთილი სამსახური გამიწია. მას შემდეგ ყოველთვის, როცა სწავლის საქმეებზე პადუაში ჩავდიოდი, აუცილებლად ჩემს კეთილ მოძღვართან ვჩერდებოდი ხოლმე და გულდამძიმებული ვუყურებდი ბეტინას გვერდით მყოფ გაუთლელ პირუტყვს, ქმრად რომ ეკუთვნოდა და არამც და არამც მისი სილამაზის ღირსი არ იყო. მწარედ ვნანობდი, რომ ცრურწმენამ მაიძულა ამ ცხოველისათვის დამეტოვებინა ყვავილი, რომელიც თავად უნდა მომეწყვიტა.

ის პადუიდან ჩამოვიდა, სადაც მეცნიერებას ეუფლებოდა — ასეთი იყო ფორმულა, რომელიც ჩემს გამოჩენას ყველგან თან ახლდა. როგორც კი ეს წარმოითქმებოდა, იმწამსვე იწვევდა ჩემი თანატოლების პირდაფჩენილ ცნობისმოყვარეობას, ოჯახის მამების პირფერულ მოსალმებებს და მოხუცი ქალბატონების დედაშვილურ ალერსს. ახალგაზრდა ქალები მზად იყვნენ რამდენიმე წელიც კი მიემატებინათ, ოღონდ კი ჩემი კოცნის უფლება ჰქონოდათ. წმინდა სამუელის ეკლესი-

ის წინამძღვარმა თავის სამწყსოს მიმაწერა და ვენეციის პატრიარქთან წარმადგინა, რომელმაც ტონზურა მომცა, ხოლო ოთხი თვის შემდეგ თავისი განსაკუთრებული წყალობით, პირველ ოთხ სასულიერო წოდებაში აღმავლინა.

თუმცა ჩემი მთავარი მეფარველი აბატი გრიმანი უნდა ყოფილიყო, მას ძალიან იშვიათად ვხვდებოდი. განსაკუთრებით შევეთვისე სინიორ მალიპიეროს, რომელთანაც ჩემმა კურატმა მამა ტოზელომ წარმადგინა. სინიორ მალიპიერო იყო სამოცდაათი წლის სენატორი, რომელიც სახელმწიფო საქმეებს ჩამოშორდა და თავის სახლში არხეინად ცხოვრობდა. კარგი სმაჭამა უყვარდა და ყოველ საღამოს თავს უყრიდა რჩეულ საზოგადოებას, რომელიც მრავალსმნახველი ქალბატონებისა და ენაწყლიანი ვაჟბატონებისაგან შედგებოდა. სინიორი უცოლო და მდიდარი მოხუცი იყო, მაგრამ საუბედუროდ, წელიწადში სამ-ოთხჯერ პადაგრის მწველე შეტევები ემართებოდა, რამაც სხეულის ხან ერთი და ხან მეორე ნაწილი დაუდამბლავა, ასე რომ, არსებითად მთლად დახეიბრებული იყო. ხელუხლებლად მხოლოდ თავი, ფილტვები და კუჭი შერჩენოდა. ლამაზი იყო, ავხორცი და ღორმუცელა, ჰქონდა გამჭრიახი გონება, დიდი ცოდნა, ვენეციელის მეტრფეტყველება და უჩვეულოდ სწრაფი აზროვნება, რაც სახელმწიფოს ორმოცწლიანი მართვის განმავლობაში გამოუმუშავდა. ქალების დევნას მხოლოდ მაშინ შეეშვა, როცა ორი ათეული საუკარლის გამოცვლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ უკვე ამ საქმისათვის აღარ ეამოდგებოდა. ეს ერთიანად დადამბლავებული ადამიანი საკარძელში ან სუფრასთან ჯდომისას საღ-სალამათი და ძლიერი ჩანდა, დღეში მხოლოდ ერთხელ და ეულად მიირთმევდა, რადგან სავსებით უკბილოს საკმლის ნელ-ნელა ღეჭვა უხდებოდა და არ სურდა, ზრდილობიანი თანამეინახენი თავისი გაჭიანურებული ტრაპეზით შეეწუხებინა. ეს უხერხულობა თავის ახლობელთა წრეში სადილობის ხალმოვნებას ართმევდა, რასაც თვითონაც და მისი მზარეულიც ძალიან განიცდიდნენ.

სინიორ მალიპიერისთან პირველივე სტუმრობისას ენერგიულად დავიწყე იმ მიზეზების გაბათილება, სენატორი თავისი ჩვეულების გასამართლებლად რომ იყენებდა. ეუთხარი,

რომ ამ გასაჭირს თავს ოდლად დააღწევდა, თუ ისეთ სტუმრებს შეარჩევდა, თითოს ორი კაცის მადა რომ ექნებოდათ.

— მასეთი ხალხი სად ვიპოვო?

— ეს დელიკატური საქმეა, — მივუგე მე, — თქვენმა ალმატებელებამ, უპირველეს ყოვლისა, თავისი მუდმივი სტუმრები უნდა გამოცადოს და მას შემდეგ, როცა შესაფერის ადამიანებს შეარჩევს, ისინი, ცალკე უნდა მოიწვიოს თანაც წვეულებმა არავითარ შემთხვევაში მოწვევის მიზეზი არ უნდა იცოდნენ, რადგან, ალბათ, არ მოიძებნება მათ შორის თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ისურვებდა, რომ საზოგადოებაში ხმა გავრცელებულიყო: ესა და ეს კაცი თქვენს ალმატებელებასთან იმიტომ სადილობს ან ვახშმობს, რომ ორი ადამიანის ულუფას ნთქავსო.

ჩემი არგუმენტების სათანადოდ შეფასების შემდეგ სენატორმა მეორე დღისათვის სადილად დამპატიჟა და როცა დარწმუნდა, რომ პრაქტიკულ მაგალითს უფრო უკეთ ვიძლეოდი, ვიდრე რჩევა-დარიგებებს, თავის ყოველდღიურ თანამეინახედ გამიხადა.

ეს ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავის გარდა თითქოს ყველაფერზე უარი თქვა, ხანდაზმულობისა და პადაგრის მიუხედავად, შეყვარებული გახლდათ: მეზობლის ყმაწვილ ქალს ტერეზა იმერს ეტრფოდა. ტერეზა ჩვიდმეტი წლის ლამაზი, თავნება, კეკლუცი გოგო იყო. მისი სახლის ფანჯრები სენატორის საძინებელი ოთახის წინ გამოდიოდა, სულ სარკმელთან იყო მომდგარი, ბერიკაცს ეპრანჭებოდა და მოაჯადოვა კიდეც, მაგრამ ძალიან უგულოდ ექცეოდა. ყოველ დღე სასახლეში ეწვეოდა ხოლმე, მაგრამ მარტო კი არ მიდიოდა, დედაც მუდამ თან ახლდა. ეს ქალი ადრე მსახიობი იყო, მოხუცობაში ულის სახსენებლად სცენა მიატოვა და იმავე დროს, როგორც ხდება ხოლმე, გულში ციური ინტერესების მიწიერთან შერწყმის ღვთივკურთხეული სურვილი აღიძრა. ყოველ დილით ქალიშვილი წირვაზე დაჰყავდა, კვირაში ერთხელ აღსარებას ავალდებულებდა, ეკლესიიდან კი შეყვარებულ მოხუცთან მიაცილებდა და საკუთარი ხელით ჩააბარებდა. სენატორი თავზარს მცემდა თავისი მრისხანებით, როცა ტერეზა კოცნაზე

უარს ეუბნებოდა იმ საბაბით, რომ დილით წირვაზე იყო და ახლა ასეთი საქციელი ღმერთის შეურაცხყოფა იქნებოდა.

წარმოიდგინეთ, როგორი სანახაობა უნდა ყოფილიყო ეს თხუთმეტი წლის ბიჭისათვის. მე ხომ, სენატორის ნებართვით, ამ ეროტიკული სცენების ერთადერთი მოწმე ვიყავი. ულრსი დედა ქალიშვილის შეუპოვრობას აქებებდა და იმასაც კი კადრულობდა, რომ ნამუსში ჩაეგდო ბერიკაცი, რომელიც დედა-შვილის მეტისმეტად ქრისტიანული თუ საკუთარი არაქრისტიანული მოსაზრებების უარყოფას ვერ ბედავდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ პირველივე ხელში მოყოლილი საგანი მათთვის თავში არ ეთესლიშა. ასეთ ორპოფულ მდგომარეობაში მყოფი, ავხორცული ყინის ნაცვლად მრისხანებას აფრქვევდა და როგორც კი დედ-შვილი წავიდოდა, ვნებას ჩემთან ფილოსოფიურ საუბრებში იცხრობდა.

მას შემდეგ, რაც ასეთ სცენებს რამდენჯერმე შეკეთებდა და მათ მომყოლ დიალოგებშიც მორიდებული მონაწილეობა მივიღე, სენატორის ფავორიტი გავხდი. მან თავის საღამურ ასამბლეებზეც დამიშვა, სადაც. როგორც უკვე მოგახსენეთ, ხანდაზმული ქალბატონები და მათი ენამოსწრებული რაყიფები იკრიბებოდნენ. იგი მარწმუნებდა, რომ აქ გაცილებით მეტ სიბრძნეს შევიძენდი, ვიდრე ფილოსოფიურ წიგნებსა და მოძღვრებებში. რამდენიმე რჩევაც მომცა, რომელიც მკაცრად უნდა დამეცვა, თუ მინდოდა, რომ ასე ახალგაზრდა კაცი მისი სტუმრების რჩეულ წრეში შევსულიყავი: მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მელაპარაკნა, თუ ეშუალოდ ჩემდამი მომართულ შეკითხვაზე პასუხის გაცემა დამჭირდებოდა. განსაკუთრებით საკუთარი აზრის გამოთქმისაგან უნდა შემეკავებინა თავი, რადგან ჩემს ასაკში საკუთარი აზრის ქონა უზრდელობა იყო.

სინიორ მალიპიეროს ძალიან უყვარდა, როცა ასამბლეაზე გაცნობილი პატივცემული ქალბატონები ჩემი წარმატებების ამბებს მეკითხებოდნენ. ლაპარაკს არ მაცლიდა და ჩემს მაგივრად თვითონ პასუხობდა ხოლმე. მეუბნებოდა, რომ ისინი პატიოსნებისა და თავმდაბლობის განსახიერება იყვნენ და მთელი ქვეყანა გამკიცხავდა, თუ გავბედავდი და რაიმე ისეთი წამომიდებოდა, რაც მათ კეთილ რეპუტაციას შელახავდა.

ამით იგი ენახე კბილის დაჭერის ბრძნულ წესებს მასწავლიდა.

სენატორის სასახლეში, სხვათა შორის, გავიცანი სინიორა მანცონიც, ნოტარიუსის მეუღლე. მასზე საუბარი კიდევ მოგიწევს. ამ ღირსეულმა ქალბატონმა, რომელსაც ძალიან შევეთვისე, ცხოვრებისეული სიბრძნის მრავალი გაკვეთილი ჩამიტარა. მისი დარიგებებისათვის ყური რომ მეგდო, ჩემი ცხოვრება ასე ბობოქარი და უთავბოლო არ იქნებოდა, მაგრამ, ალბათ, ახლა არც აღწერის ღირსად ჩავთვლიდი.

ერთხელ ჩემმა დიდმა მფარველმა ასეთი სიტყვით მომმართა: — მე, როგორც წმინდა ევქარისტიის სამეფოს თავმჯდომარე, ვალდებული ვარ, ამ თვის მეოთხე კვირას — შობის მეორე დღეს — პანეგირიკის წარმოსათქმელად მქადაგებელი ავარჩიო. ჰოდა, მხედველობაში შენ მყავხარ. ვფიქრობ, ჩემს არჩევანს წინამძღვრისაგან წინააღმდეგობა არ შეხვდება. რას იტყვი ამ ტრიუმფზე, კმაყოფილი ხარ?

ამ წინადადებამ ძალიან გამაკვირვა. რადგან ქადაგობა თავში არასოდეს მომსვლია და არც ის მიფიქრია, რომ ქადაგების შეთხზვა და მისი წარმოთქმა შემეძლო. დარწმუნებული ვიყავი, რომ ხუმრობდა და ასეც ვუთხარი, მაგრამ როცა მიპასუხა, რომ სავსებით სერიოზულად მეუბნებოდა, წუთითაც არ მიყოყმანია, მის მტკიცებებს ავყევი და თავადაც დავიჯერე, რომ საუკუნის უდიდეს ქადაგად ვიყავი დაბადებული, და თუ საკმარის ქონს მოვიკიდებდი, კიდევაც გაეხდებოდი; მაგრამ ვაგლახ, რომ გასუქებამდე კარგა ხნის ლოდინი მომიწევდა, რადგან იმ ჟამად ჯერ კიდევ მთლად გაჩხინკული გახლდით. უკვე არც ჩემს ხმაში და არც ჟესტებში ეჭვი არ მეპარებოდა, ხოლო რაც შეეხება თვით ქადაგების კომპოზიციას, საკმარის ძალას ვგრძნობდი საიმისოდ, რომ ნამდვილი შედევრი შემექმნა.

ერთ კვირაში შევთხზე და გადავათეთრე ჩემი ქმნილება. ეს პანეგირიკი ახლაც შენახული მაქვს და უნდა ვთქვა, რომ, მიუხედავად ასაკისა, დღესაც ბრწყინვალედ მიმაჩნია.

იმის უნარი სადა მაქვს, ბებიაჩემის სიხარული აღვიწეროთ. ცრემლებს ვერ იკავებდა იმის გამო, რომ მოციქული შვილიშვილი ეყოლებოდა. ნაწარმოები წამაკითხა და უმშვენიერესად მიიჩნია. სინიორ მალიპიეროს აზრით კი ჩემი ქადაგება

წინამძღვარს მონაცემებიც არ ეპიტნავებოდა. თემად ჰორაციუსის ლექსი ავიღე:

> Ploravare suis non respondare favorem
> speratum meritis...

ქადაგებაში ადამიანთა მოდგმის ბოროტებასა და უმადურებაზე ვგოდებდი, რამეთუ მან მონანიების ღვთიური წინასწარდასახულობა ვერ გაამართლა. სენატორს არ მოსწონდა, რომ თემად ერეტიკოსი ავტორის სიტყვები ავიღე. მაგრამ ივან კი საოცრად აღაფრთოვანა, რომ ტექსტი ლათინური ციტატებით მქონდა გაძეძგილი. წინამძღვართან წავედი, რომ ჩემი ნაწარმოები მისთვისაც მეჩვენებინა, მაგრამ შინ არ დამხვდა. გადავწყვიტე, ეკლესიაში, მის დისწულ ანჯელას მივუცუცქდი და კიდევ შემიყვარდა. მანაც თვალები ჩამიუუქუნა და გამომიტყდა, რომ დიდი ხანია ჩემი გაცნობა უნდოდა.

ანჯელათი გატაცება ჩემთვის საბედისწერო გამოდგა, რადგან იგი სხვა ორი უბედურების მიზეზი გახდა, რომლებმაც, თავის მხრივ, კიდევ სხვები გამოიწვია და საბოლოო ჯამში მაიძულა, უარი მეთქვა ჩემს საყვარელი კარიერაზე. მაგრამ წიდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

შინ დაბრუნებული წინამძღვარი, ეტყობა, არ გაბრაზებულა, მე რომ მის დისწულთან ჰუკუუში შემომისწრო. ჩემი ქადაგება გადავეცი. წაიკითხა და განმიცხადა: მართალია იგი მშვენიერ აკადემიურ დისერტაციას წარმოადგენს, მაგრამ ეკლესიის კათედრისათვის სრულიად ეკარგისიაო.

— მე შემოგთავაზებთ ერთ-ერთ ჩემს ქადაგებას, — დაუმატა მან, — რომელსაც არავინ იცნობს. ზეპირად დაისწავლეთ. ნებას გრთავთ, თქვენად გააცალოთ.

— დიდი მადლობა, ფრიად პატივცემულო მამაო, მაგრამ მე მსურს, ჩემი საკუთარი ქადაგება წარმოვთქვა, ანდა სულაც არ გამოვალ.

— მაგრამ ამას ჩემს ეკლესიაში ვერ იქადაგებთ:

— ეს სინიორ მალიპიერიოსთან ერთად გადაწყვიტეთ. მანამდე კი ჩემს ქადაგებას ცენზურაში წავიღებ, შემდეგ მონსინიორ პატრიარქს წავაკითხებ და თუ სუყველა უარყოფს, დასაბეჭდად მივცემ.

— მშვიდად ბრძანდებოდეთ, უმაწვილო, პატრიარქის აზრჩემს აზრს არ დაუცილდება.

საღამოს სინიორ მალიპიერომ ასამბლეაზე წინამძღვართან კამათის ამბავი მოვუყევი. პანეგირიკის წაკითხვა მთხოვეს და ყველამ ჰხარი დამიჭირა. მეტადრე იმისათვის შემაქეს, რომ თავმდაბლობა გამოვიჩინე და წმინდა მამები არ დავიმოწმე, რამეთუ ჩემს ასაკში მათი ცოდნა უკადრის საქციელად ჩამეთვლებოდა. განსაკუთრებით ქალები აღფრთოვანდნენ, რადგან ჩემს ნაწარმოებში ლათინური ციტატის ქაქანება აღარ იყო, გარდა ჰორაციუსისა, რომელიც თუმცა თავისუფალი მოაზროვნე კი იყო, მაგრამ ხანდახან სავსებით ჭკვიანურ აზრებსაც გამოთქვამდა. იმ საღამოს ასამბლეაზე მყოფი პატრიარქის დიაწული შემპირდა, რომ თავის ბიძასაც გააფრთხილებდა, მაგრამ სინიორ მალიპიერომ მეორე დღისათვის ამ თემაზე სასაუბროდ შინ დამიბარა და მითხრა, რომ მანამდე არავითარი ნაბიჯი არ გადამედგა. დავუჯერე.

როცა მეორე დღეს ეენატორთან მივედი, მან წინამძღვართან კაცი გაგზავნა და ისიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა. წინასწარ იცოდა საუბარი რაზეც იქნებოდა და მაშინვე თავისი აზრის ჩამოყალიბება დაიწყო. მის ხანგრძლივ მსჯელობებში არ ჩავრეულვარ, მაგრამ როცა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, შევაწყვეტინე და განვუცხადე: პატრიარქს ქადაგების სრულ ტექსტს წარვუდგენ. ორიდან ერთი იქნება — ან მოიწონებს, ან - არა. პირველ შემთხვევაში ეკლესიაში გამოვალ და თქვენ ამის გამო არავითარ პასუხს არ აგებთ, ან არადა მის გადაწყვეტილებას დავემორჩილები-მეთქი.

ჩემი შეუპოვრობით შეცბუნებულმა წინამძღვარმა უცებ დამითმო:

— პატრიარქს ნუ შეაწუხებთ, — მითხრა მან, — მე ვიწონებ თქვენს ქადაგებას, ოღონდ ერთ რამეს გთხოვთ: ეპიგრაფი სხვა ავტორისაგან აიღეთ, რადგან ჰორაციუსი ნაძირალაა.

— რატომ? — შევეპასუხე მე, — თქვენ იმოწმებთ სენეკას, ტერტულიანეს, ორიგენეს? ისინი ხომ ერეტიკოსები იყვნენ და, აქედან გამომდინარე, მათ უფრო საძაგლებად უნდა თვლიდეთ, ვიდრე ჰორაციუსს, რომელსაც, ბოლოსდაბოლოს არ შეეძლო ქრისტიანი ყოფილიყო.

თუმცა, სინორ მალიპიეროსათვის რომ მეამებინა, ბოლოს მაინც დავთანხმდი ეპიგრაფის სხვა ტექსტით შეცვლას, რომელიც წინამძღვარმა შემომთავაზა, თუმცა სიუჟეტს სრულად არ შეეფერებოდა. მისი დისწულის ნახვის საბაბი რომ მომცემოდა, ჩემი პანეგირიკი გადავეცი და ვეთხარი, წასაღებად ხვალ შემოგივლით-მეთქი. თავის მოსაწონებლად ასლი დოქტორს გავუგზავნე. მაგრამ ამ პატიოსანმა ადამიანმა ბევრი მაცინა, როცა ქადაგება დამიბრუნა და მითხრა, რომ გიჟი ვიყავი, და თუ ამას ეკლესიის კათედრიდან წავიკითხავდი, მეც და მასაც, ჩემს მასწავლებელს, თავი მოგვეჭრებოდა.

ასეთმა პერსპექტივამ ვერ შემაკრთო და დათქმულ დღეს ჩემი პანეგირიკი წმ. ეკატერინეს ტაძარში ყველაზე რჩეული აუდიტორიის წინაშე წავიკითხე. ქება-დიდება შემასხეს და ბრწყინვალე მომავალი მიწინასწარმეტყველეს. ამბობდნენ, რომ საუკუნის უპირველეს ქადაგად გახდომა მეწერა. რადგან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ თხუთმეტი წლის ასაკში ვინმე კათედრაზე ასეთი წარმატებით გამოსულიყო.

საეკლესიო ტოლჩაში, სადაც ჩვენულებრივ, მრევლი მქადაგებლის სახელზე თავის წილ შესწირავს ყრის, ორმოცდაათ ცეხინთან ერთად რამდენიმე სატრფიალო ბარათიც აღმოჩნდა, რის გამოც სათნონი ღვთისა განგაშმა და აღშფოთებამ შეიპყრო. ერთმა ანონიმურმა ბარათმა, რომლის ავტორზე არცთუ უსაფუძვლო ეჭვი მქონდა, ერთგული საჩოთირო საქციელისთვისაც წამაქეზა, მაგრამ ამ ამბავს აქ დუმილით გვერდი უნდა ავუარო, მძიმე ფინანსური შეჭირვების ჟამს ასეთმა ხვავრიელმა მოსავალმა მქადაგებლის სარბიელზე სერიოზულად დამაფიქრა და რჩევისათვის ჩემს წინამძღვარს მივმართე. ამით მასთან ყოველდღიური სტუმრობისა და ანჯელასთან კურკურის შესაძლებლობაც მოვიპოვე. მაგრამ ანჯელა თავს იფასებდა. ჩემს სიყვარულს არ უარყოფდა, მაგრამ თავის პირობებსაც მიყენებდა: სასულიერო კარიერა უნდა დამეთმო და მასზე დავქორწინებულიყავი. მისდამი დიდი ლტოლვის მიუხედავად, ამაზე დათანხმება ვერ გავბედე. მაგრამ იმის იმედით, რომ იქნებ როგორმე გადამეთქმევინებინა, შეხვედრებს მაინც განვაგრძობდი.

ერთხელ წინამძღვარმა, რომელსაც ჩემი პანეგირიკი ჭკუ-

აში დაუჯდა, დამავალა, რომ მეორეც შემეთხზა და წმინდა იოსების დღეს წამეკითხა. როცა წერა დავასრულე, ჩემი საბრალო წინამძღვარი აღტაცებას ვერ მალავდა, მაგრამ თურმე ბედის წიგნში ერთადერთი ქადაგება მეწერა. აი, ეს სამწუხარო ისტორია, რომელიც გულქვა ადამიანებს რატომღაც სასაცილოდ ეჩვენებათ.

რადგან ახალგაზრდა და თავდაჯერებული ვიყავი, ქადაგების ზეპირად დასწავლა საჭიროდ არ ჩავთვალე. ჩემი დაწერილი იყო. აზრების თანმიმდევრობა გონებაში მქონდა ჩაბეჭდილი და მისი დავიწყება ფიზიკურად შეუძლებელ საქმედ მიმაჩნდა.

დადგა 19 მარტი — წმინდა იოსების დღე. ოთხ საათზე კათედრაზე უნდა ავსულიყავი, მაგრამ ეშმაკი შემიჩნდა და გრაფ მონტორეალესთან სადილობის სიამოვნებაზე უარი არ მათქმევინა. გრაფი ჩემთან იყო დაბინავებული და სტუმრად ჰყავდა პატრიციუსი ბაროტი, რომელიც შობის შემდეგ მის ქალიშვილზე დაქორწინებას აპირებდა.

ჯერ კიდევ სუფრას ვუსხედით, როცა მედავითნე მოვიდა და გელოდებიანო, მაცნობა. გემრიელი საჭმელით გასისინებული და ღვინით თავგახურებული ეკლესიაში გავიქეცი და კათედრაზე ავედი.

შესავალმა მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ რამდენიმე ფრაზის შემდეგ ბრინჯივით დავიბენი და რას ვლაპარაკობდი და რა უნდა მეთქვა, აზრზე არ ვიყავი. თავს ძალა დავატანე, სათქმელის დალაგება ვცადე, მაგრამ მთლად აბდაუბდის რეშვა დავიწყე. შეწუხებული აუდიტორიის ბუნდმა ერიამულმა ხელი სულ მომითავა. დავინახე, რომ ბევრი უკვე ეკლესიას ტოვებდა, აქა-იქ სიცილიც გაისმა. ტარაბუა დამესხა და ამ საკვალაო მდგომარეობიდან გამოსვლის იმედი საბოლოოდ გადავიწურე.

ვერ ვიტყვი, მოვიგონე თუ გული მართლა შემიწუხდა, მაგრამ ერთი რამ კი დანაშდვილებით ვიცი: კათედრის საფეხურზე დავგორდი და თავი კედელს ვერეხვე. გონს მოსულმა სიკვდილი ვინატრე.

ოთხმა მედავითნემ წამომაყენა და საცავში შემიყვანა, სადაც უსიტყვოდ ავიღე ლაბადა და ქუდი, შინ წამოვედი და

ოთახში ჩავიკეტე. ჩაიცვი მოკლე კაბა, აბატები ქალაქგარეთ. გასვლისას რომ იცვამენ, ჩემოდანი ჩავალაგე, ფულის სათხოვნელად ბებიასთან შევიარე და პადუაში გავემგზავრე. მესამე გამოცდისათვის უნდა მოვმზადებულიყავი. შუალამისას ჩავედი და დოქტორ გოცის მივადექი კარზე. ჩემს ფათერაკებზე მასთან სიტყვა არ დამიძრავს.

პადუაში იმდენ ხანს დავრჩი, რამდენიც სადოქტორო გამოცდისათვის მოსამზადებლად დამჭირდა. შობის შემდეგ ვენეციაში დავბრუნდი, სადაც უკვე მოესწროთ ჩემი მარცხის დავიწყება.

ამაღლების დღესასწაულის წინა დღეს სინიორ მანცონიმ წარმადგინა ახალგაზრდა კურტიზან ქალთან, ვისი სახელიც მაშინ მთელ ვენეციას პირზე ეკერა. იმის გამო, რომ მამამისი ლაქების ამომყვანი იყო, ამ ქალს მეტსახელად კავამაკეს ეძახდნენ, რაც მას დამამცირებლად მიაჩნდა და მოითხოვა, რომ მისი საგვარეულო სახელის მიხედვით პრეატი ეწოდებინათ, მაგრამ ამაოდ. მეგობრები ნათლობის სახელს — ჯულიეტას ამჯობინებდნენ. აი, ამ ჯულიეტამ სახელი გაითქვა პარმელი დიდებულის მარკიზ სავანტალის წყალობით, რომელმაც მისი ალერსი ასი ათას დუკატად შეაფასა. მთელი ვენეცია ჯულიეტას სილამაზეზე ლაპარაკობდა. მის წრეში მოხვედრილი ან თუნდაც ერთხელ მასთან დალაპარაკებული ადამიანი თავს უბედნიერეს არსებად თვლიდა. ვინაიდან ჩემი მოთხრობის განმავლობაში ამ ქალზე საუბარი რამდენჯერმე მომიხდება, მკითხველი არ დამძრახავს, თუ მის მოკლე ისტორიაზეც შევჩერდები.

ერთხელ ჯულიეტას, როცა ის სულ რაღაც თოთხმეტი წლისა იყო, მამამ ერთ კეთილშობილ ვენეციელთან გაწმენდილი ტანისამოსი გაატანა. მიუხედავად იმისა, რომ გოგო კონკებში იყო გახვეული, სინიორი მისი სილამაზით მოიხიბლა და მამის სახლში ეწვია. თან იახლა ცნობილი ადვოკატი ბასტიანო უჩული, რომელსაც გოგოს სიტურფე და ენარობა კი არა, მისი უცნაური ხასიათი მოეწონა. ოთახი ექირავა, მუსიკის მასწავლებელი მიუყვანა და პაუვარლადაც დაისვა. ბაზრობების დღეებში ბასტიანომ ქალი საზოგადოებრივი გართობის ადგილებში წაიყვანა, სადაც მან თავისი სილამაზით ყველა

მონუსხა და ქალების მცოდნეთა ქებაც დაიმსახურა. მუსიკაში წარმატებებს მალე მიაღწია და ექვსი თვის შემდეგ თეატრალურ ანტრეპრენიორთან კონტაქტიც გააფორმა. იმან ვენეციაში წაიყვანა და მეტასტაზიოს ოპერაში საშურისის როლი მისცა.

ადვოკატმა გადაწყვიტა, რომ ჯულიეტასთან განშორების დრო დადგა და იგი მდიდარ ებრაელს დაუთმო, რომელმაც ქალს უმშვენიერესი ბრილიანტი აჩუქა და მალე მიატოვა.

ვენაში ჩასული ჯულიეტა სცენაზე გამოჩნდა და სილამაზემ ისეთი წარმატება მოუტანა, რასაც თავისი, ბევრი რომ არ ვთქვათ, საშუალო ტალანტით ვერასოდეს მიაღწევდა.

ქალის თაყვანისმცემელთა ბრბო დღითიდღე იზრდებოდა. მისი სახელის ირგვლივ ისეთი ხმაური ატყდა, რომ უავგუსტესმა მარია ტერეზამ თავის დედაქალაქში ახალი კერპი ვერ აიტანა და ხალხის ჭკუიდან შემშლელი ქალის განდევნა ბრძანა.

მაშინ მას გრაფი სპადი დაეუფლა და ვენეციაში ჩამოჰყვა, საიდანაც ჯულიეტა პარმაში გაემართა, რათა იქაურ ოპერაში ემღერა. აი, იქ დაიპყრო მარკიზ სანვიტალის გული. მაგრამ ერთხელ ისე მოხდა, რომ მარკიზის მეუღლემ თავის ლოჟაში შეუსწრო. ჯულიეტა კადნიერად მოექცა, ქალბატონმა ცილი გააწნა და თავნება მსახიობს სცენის დატოვება მოუხდა. ის ვენეციაში დაბრუნდა, სადაც ვენიდან გამოქცეულის წოდება დიდ წარმატებებს უქადდა. მისი პროფესიის ქალებისათვის ეს წოდება საამაყო იყო. უნიჭო მსახიობზე ან მოცეკვავეზე იტყოდნენ, იმდენად არ დაუფასებიათ რომ ვენიდან გამოაგდესო.

პირველ ხანებში მისი ოფიციალური საყვარელი ვინმე სტეფანო კვერინი და პაპოცესი იყო, მაგრამ 1740 წლის გაზაფხულზე მარკიზმა სანვიტალიმ ქალის დაუფლება კვლავ მოინდომა და თავის შემცვლელს აჯობა კიდეც. აბა, მარკიზის მეტოქეობას ვინ გასწევდა. მან იმით დაიწყო, რომ თავის მზეთუნახავს ათასი დუკატი აჩუქა, ხოლო მფლანგველობისათვის, რომ არ გაეკიცხათ, განაცხადა, რომ ეს ფულიც კი არ იყო საკმარისი ჯულიეტასათვის მისი მეუღლის მიერ გაწნული სილის საზღაურად. თუმცა დაზარალებულს თავისი შეურაცხყოფის აღიარება სულაც არ ეპიტნავებოდა, რადგან ამით პა-

ტივმოყვარეობა ელახებოდა და მის მშვენიერებასაც თითქოს ბრწყინვალება აკლებოდა. ამიტომ საყვარლის საჩუქარი ჩვეულებრივ გულუხვობად მიიღო და მართალიც იყო: განა არ ერჩია, რომ გაწხული სილამაზისა კი არა, თავისი ღირსებებისათვის დაეფასებინათ!

ჯულიეტა თვრამეტი წლისა იყო. თვალისმომჭრელი ქათქათა კანი, წითელი ლოყები, ალისფერი ტუჩები და მოშველდული შავი წარბები მე უფრო ხელოვნების ქმნილებად მომეჩვენა, ვიდრე ბუნებისა. მარგალიტის ორი მწკრივივით მოკამკამე კბილები პირის მეტისმეტ ალფერთოვეს ჩქმალავდა. და ბუნებრივი იყო თუ ნაძალადევი, ბაგეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა. გაზაფხულ მზეებულ საბურველში გახვეული ყელი თითქოს მოსახვევად ჰქონდა შეღერებული. მაგრამ მისი ნაკვთების თვალშისაცემი სიტურფე მაინც ვერ მატყუებდა. თითებზე ასხმული ბეჭდების სიმრავლე და ძვირფასი სამაჯურები ხელების სილამაზისა და ხორციანობას ვერ უნილბავდა, და მიუხედავად იმისა, რომ ფეხების დამალვას ყოველნაირად ცდილობდა, კაბის ქვემოდან გამომზირალი მოღალატე ფეხსაცმელი თვალნათლივ აჩენდა ქალის სიმაღლისა და ფეხის ზომის ისეთ თანაფარდობას, რომელიც მარტო ჩინელებსა და ესპანელებს კი არა, ნატიფი გემოვნების მქონე არც ერთ ადამიანს არ მოსწონს. მოკლედ, ლამაზი კი იყო, მაგრამ როცა ყოველი მხრიდან გავჩითე და მისი გარეგნული მონაცემები ასი ათას დუკატს შევუფარდე, ჩემდა გასაოცრად, გულცივი დავრჩი და ითმინოდენა სურვილიც ვერ ვიგრძენი, რომ თუნდაც ერთი დუკატი გადამეხადა იმ მშვენებათა ხილვაში, ჩემს თვალებს მისი სამოსი რომ უმალავდა.

მას შემდეგ, რაც ჯულიეტას სახლში მიმიღეს და კიდევ ოთხჯერ თუ ხუთჯერ ვეწვიე, მის სხვა თვისებებსაც კარგად ჩავწვდი და როცა სინიორ მალიპიეროს ერთ-ერთ ასამბლეაზე ამ ქალის შესახებ აზრი მკითხეს, განვაცხადე, ის შეიძლება მხოლოდ გემოვნებაწამხდარ ავხორცებს მოსწონდეთ, რადგან არც ბუნებრივი სილამაზე გააჩნია, არც ვონებამახვილობა, არც ნიჭი, არც უშუალობა, — ერთი სიტყვით, არც ერთი ის თვისება, რასაც ქალში წესიერი ადამიანები ეძებენ-მეთქი. ჩემი განაჩენი ყველას მოეწონა, მხოლოდ სინიორ მალიპიე-

რომ გამაფრთხილებლად მიჩურჩულა, რომ ჩემს მიერ დახატულ პორტრეტს ჯულიეტას უეჭველად მიუტანდნენ და მისი სახით დაუძინებელ მტერს შევიძენდი. ის მართალი გამოდგა.

ძალიან უცნაურად მეჩვენებოდა ის, რომ ჯულიეტა იშვიათად თუ გამომელაპარაკებოდა და ყოველთვის ან ლორწეტში მიმზერდა ან მოწკურვით შემხედავდა, თითქოს არ სურდა, მისი უდავო ლამაზი თვალების ხილვით დავეტკბე.

ჩემს მიერ სინიორ მალიპიეროს ასამბლეაზე დახატული პორტრეტის ამბავი ჯულიეტას მაშინვე მიუცუნცულეს. ერთ სადამოს, როცა სინიორ მანცონისთან ერთად მის სახლში ვიჯექი, ჯულიეტამ მაც უთხრა, რომ თურმე ერთმა ქალების დიდმა მცოდნემ მასში ბევრი ნაკლი აღმოაჩინა. ეს კი უთხრა, მაგრამ ამ ნაკლოვანებების ჩამოთვლა ფრთხილი დუმილი არჩია. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ რიკოშეტით მე მიმიზნებდა, და მოვემზადე კიდეც მოსალოდნელი ოსტრაკიზმისათვის, მაგრამ თითქმის მთელი საათი მალოდინა. ბოლოსდაბოლოს, როცა საუბარი ამასწინანდელ კონცერტს შეეხო, აქტიორმა იმერმა რომ გამართა და სადაც მისი ქალიშვილი ტერეზა წარმატებით გამოვიდა, ჯულიეტამ მოულოდნელად პირდაპირ მე მომმართა, რა საქმე აქვს ტერეზასთან სინიორ მალიპიეროსო. მე კუპასუხე, მისი აღმზრდელია-მეთქი.

— მან იცის ეს საქმე, — მიპასუხა ჯულიეტამ, — იმიტომ, რომ ჭკვიანი კაცია. მაგრამ თქვენთან რაღას აკეთებს?

— ყველაფერს, რაც შეუძლია.

— მე მითხრეს, რომ თქვენ მოსულელოდ გთვლით. მართალია?

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველამ გაიცინა, მე კი შეცბუნებისაგან აღარ ვიცოდი რა მეპასუხა. საბრალო სახით კიდევ თხუთმეტიოდე წუთს ვიჯექი, შემდეგ თავის დაკვრით გამოვემშვიდობე და წამოვედი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ ამიერიდან ამ სახლში ფეხი არ დამედგა. მეორე დღეს ამ ამბავმა ჩემი მოხუცი სენატორი გულიანად აცინა.

როგორც ერთგულმა მიჯნურმა, მთელი ზაფხული ანჯელას გვერდით გავატარე. მაგრამ მისი უკიდურესი თავშეკავება საშინლად მალიზიანებდა და სიყვარულს ჯოჯოხეთის ტანჯვად

მიქცევდა. ჩემი ბუნებრივი მგზნებარების გამო, ბეტინას სტილის საყვარელი მჭირდებოდა, რომელიც გულში დანთებულ ცეცხლს კი არ გამინელებდა, არამედ უფრო აღმიგზნებდა. ჯერ კიდევ სუფთა გული მქონდა და ამ არსებისადმი უკიდურეს მოკრძალებას განვიცდიდი. სასიყვარულო საქმეებში ახალბედა კაცი გათხოვილ ქალებს ეუცხოობდი, მაგრამ იმდენად ბრიყვი ვიყავი, რომ მათ ქმრებზე ვეჭვიანობდი.

ასე აფორიაქებულმა შემოდგომის დამდეგს გრაფის მეუღლე მონტერეალესაგან წერილი მივიღე — თავის მამულში სტუმრად მეპატიჟებოდა. იქ, პასეანოში, ბრწყინვალე საზოგადოება უნდა შეკრებილიყო, მათ შორის მისი ქალიშვილიც იქნებოდა, რომელიც უკვე მომხიბვლელი და მეტად გონებამახვილი ვენეციელი ქალბატონი გახდა და ცალი დაკარგული თვალის წილ მეორე თვალის საოცარი სილამაზით იყო დაჯილდოებული. მოწვევა მივიღე და როცა ხალისიან და უდარდელ პასეანურ ცხოვრებაში გადავეშვი, ჩემი მოუდრეკელი ანჯელა დროებით გადავივიწყე.

ქვედა სართულზე კარგი ოთახი გამომიყვეს, რომელიც პირდაპირ ბაღში გადიოდა, და ისე კარგად ვგრძნობდი თავს, რომ მეზობლებით სულ არ დავინტერესებელვარ. მეორე დილით კარგად გაღვიძებული არც კი ვიყავი, რომ ჩემს თვალებს აღმაფრთოვანებელი სურათი წარმოუდგა: ოთახში შემოვიდა თვალწარმტაცი არსება და ფინჯანი ყავა შემოიტანა. ჯერ ისევ საძინებლით ყმაწვილი იყო. დიდი-დიდი თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ ტერფად აღნაგი ახალგაზრდა ქალის გარეგნობა ჰქონდა. მისი ალებასტრის მსგავსი კანი, კუპრივით შავი, სასიამოვნოდ აბურდული თმა, ცეცხლოვანი და უბიწო შავი თვალები მხოლოდ ჰერანგისა და მოკლე ქვედატანისაგან შედგენილი სამოსი, რომელიც მისი ჩამოქნილი ფეხებისა და სიფრიფანა ტერფების დანახვის საშუალებას მაძლევდა, ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ, რათა ეს სრულყოფილი და ჰოულოდნელი სილამაზე ჩემი მზერისათვის მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოედგინათ. მონუსხული ვუყურებდი.

თვითონ კი ისე შემომციცინებდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით.

— ლოგინით კმაყოფილი ბრძანდებით? — მკითხა მან.

— ძალიან. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი დაგებულია. ვინა ხართ?

ლუჩია, მეკარის ქალიშვილი. არც ძმა მყავს და არც და. მე კი თოთხმეტი წლისა ვარ. ძალიან მიხარია, რომ მსახური არა გყავთ. თქვენი მომსახურება დამაეალეს. დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩებით.

ასეთი დასაწყისით აღფრთოვანებული ლოგინზე ჩამოვჯექი. ის ხალათის ჩაცმაში დამეხმარა, თან გამუდმებით ტიტინებდა. მე კი ერთი სიტყვაც არ მესმოდა. ყავა მოვსვი. მისმა სილამაზემ იმდენად შემძრა და პაოცარმა უშუალობამ ისე დამაბნია, რომ რა მექნა არ ვიცოდი. საწოლზე ჩამომიჯდა და ეს თავისუფალ• საქციელი არაფრით გაუმართლებია. მხოლოდ იცინოდა და ყველაფერს ამით ამბობდა.

ლუჩიას დედა და მამა რომ შემოვიდნენ ისევ ყავას ვსვამდი, გოგო აღგილიდან არ განძრეულა, თითქოს ამაყობდა იმით, რომ ასე უცებ გამიშინაურდა. ამ ჩინებულმა ადამიანებმა შვილი ალერსიანად დატუქსეს, მე კი ბოდიში მომიხადეს და ლუჩია თავის საქმეზე წავიდა.

დღემ მხიარულად ჩაიარა.

მეორე დილით გაღვიძებისთანავე ზარი დავაწკარუნე და გეშინდელივით ბუნებრივი და ხალისიანი ლუჩია შემოცქრიალდა. ჭალში ყველაფერი უჩვეულო სიწმინდითა და მიამიტობით ბრწყინავდა. ვერ გამეგო, როგორ შეეძლო ამ ჯანსაღ, წესიერ, საკუთარ გონიერ გოგოს ახალგაზრდა მამაკაცთან ასე უბრალოდ და თამამად მოსულიყო და არაფრის არ შეშინებოდა. „უეჭველია, — ვამბობდი გულში, — რაკიღა მსუბუქ ანცობებს არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ალბათ, სხვა მხრივაც მაინცდამაინც თავშეკავებული არ იქნება“. რაკი ეს გავიფიქრე, გადავწყვიტე, ჩემი სიმართლე კიდეც დამემტკიცებინა.

ხელის მოკიდება დავუპირე, მან კი უნებლიეთ უკან დაიხია და ვითომ რაღაცის მოსაძებნად შეტრიალდა, მაგრამ მივხვდი, რომ გულს იმშვიდებდა. წუთის შემდეგ ისევ მომიახლოვდა. ეტყობოდა, ოდნავ რცხვენოდა, რომ ასე უქმურად მოვექცა და მაინცდამაინც ცუდად ვაიგო ჩემი პაქციელი, რომელიც შესაძლოა პავსებით უწყინარი და საზოგადოებაში მი-

ლებულიც კი იყო. მალე ისევ იცინოდა თავისი ხალასი და კრიალა სიცილით. თვალის დახამხამებაში ამოვიკითხე მისი ალალი გულისთქმანი და მივხვდი, რომ ჯიქურ მისვლით საქმეს გავაფუჭებდი, ამიტომ გადავწყვიტე, ხვალ დილით საუბარში გამოვეწვია.

დილით ჩემი გეგმის განხორციელებას შევუდექი და როცა სიტყვაზე დავიჭირე, ვეთხარი, თუ გცივა, შეგიძლია ჩემს გვერდით წამოწვე და გათბე-მეთქი.

— ხელს არ შეგიშლით? — მკითხა მან.

— არა, არა მგონია. თუ უცებ ფეიდაშენი შემოვიდა, შეიძლება ის კი გაბრაზდეს.

— ის ცუდს არაფერს იფიქრებს.

— მაშინ დაწექი. ოღონდ, ლუჩია, იცი კი რა საფრთხეში იგდებ თავს?

— რა თქმა უნდა. მაგრამ თქვენ უკვე ჰკვიანი ხართ, თანაც აბატი.

— ჰოდა, დაწექი, ოღონდ ჯერ კარი ჩაკეტე.

— არა, არა! ეგონებათ, რომ...

ბოლოსდაბოლოს გვერდით მომიწვა. ენა არ გაუჩერებია, მე კი არაფერი მესმოდა, რადგან ამ ყოფაშიც მტკიცედ ვებრძოდი საკუთარ თავს და მთლად გამოვლენჩდი.

ლუჩიას დაუდევრობა და უეცველად ბუნებრივი მიამიტობა ისე მომწონდა, რომ ჩემი ნამდვილი ზრახვების გამხელას ვერ ვბედავდი. ბოლოს გამოეცხადა, თხუთმეტი საათია და მოხუცმა გრაფმა ალეთ პოზაში რომ შემოგვისწროს, მასხარად აგვიგდებსო. „ივი ისეთი აღამიანია, — დაუმატა მან, — როცა დაინახავ, უკანმოუხედავად გაკრბეკარ ხოლმე. „ამ სიტყვებზე საბნიდან გამოცურდა და გაქცა.

გაშეშებული და გაშტერებული დიდხანს ვწევდი, აფორიაქებულ განცდებს ვაკვირდებოდი და ვფიქრობდი. მეორე დილით უკვე აღარ მინდოდა თავის გამოცდა და მხოლოდ საწოლზე ჩამოჯდომის უფლება მივეცი. ათას რამეს ვეკითხებოდი და მისმა გონიერმა პასუხებმა დამარწმუნა, რომ სამართლიანად იყო თავისი პატიოსანი მშობლების კერპი. ისიც დავიჯერე, რომ მისი თავისუფალი აზროვნება და სილაღე მხოლოდ მიამიტობიდან და სულიერი სიწმინდიდან მომდინარე-

ლიდა. საკმაო ძალა მქონდა საიმისოდ, რომ შემდეგ საკუთარი თავი არაფერში გამემტყუნებინა, აბიტომ გადავწყვიტე, ამგვარი ურთიერთობებითაც დავკმაყოფილებულიყავი და ჯერ-ჯერობით მისი აქ ყოფნაც ჩემი ვაჟკაცური ძალისხმევის ჯილდოდ მიმეღო. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი ის აქსიომა, რომ კიდრე ბრძოლა გრძელდება, არ შეიძლება გამარჯვებაში დარწმუნებული იყო.

ასე გავიდა ათი-თორმეტი დღე. ვიცოდი, რომ ორად-ორი გზა მქონდა: ან ყველაფერს ერთბაშად ბოლო უნდა მოღებოდა ან ნაძირალა გავმხდარიყავი. მეორე გზაზე გამარჯვების არავითარი ნიშანი არ ჩანდა, მეტის მოთმენა კი ალარ შემეძლო. ჩემს გულში დაგზნებული ცეცხლი წუთიდან წუთზე ღვივდებოდა და გადავწყვიტე, თვით გოგოსათვის მეთხოვა, რომ ამიერიდან ჩემთან ალარ მოსულიყო. ჩანაფიქრის ალსრულება მეორე დღისათვის გადავდე. ვერ აგიწერთ როგორ გავატარე ის ღამე — სულ ლუჩიას სახება მელანდებოდა და გული მიკვდებოდა იმის წარმოდგენაზე, რომ დილით უკანასკნელად ვნახავდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ლუჩია არა მარტო დამთანხმდებოდა, არამედ მთელი ცხოვრება ჩემი მადლიერი და პატივისმცემელი იქნებოდა.

და აი, ის იყო გათენდა, რომ ლუჩია — გაბრწყინებული, გასხვოსნებული, მოღიმარე და მომხიბვლელად თმაგაჩეჩილი ლუჩია მკლავებგაშლილი გამოექანა ჩემი საწოლისაკენ, მაგრამ უცებ სახეზე სევდისა და განგაშის ჩრდილმა გადაჰკრა და შეჩქვიფებული შედგა, რადგან ფერმკრთალი, ნაღვლიანი, თავჩაქინდრული დამინახა.

— რა დაგემართათ? — მკითხა შეშფოთებულმა.

— მთელი ღამე არ მძინებია.

— რატომ? რა მოხდა?

— იმიტომ, რომ გადავწყვიტე გითხრათ ერთი რამ, რაც ჩემთვის ძალიან სამწუხარო იქნება, მაგრამ თქვენს პატივისცემას კი მომიპოვებს.

— თუ ის სათქმელი ჩემს პატივისცემას მოგიპოვებთ, მაშინ პირიქით, უნდა გიხაროდეთ. მაგრამ მითხარით, სინიორ აბატო, რატომაა, რომ გუშინ შენობით მელაპარაკებოდით, ახლა კი ისე მომმართავთ, თითქოს ქალბატონი ვიყო? რა და-

გიშავეთ? ახლავე ყავას მოგიტანთ, დალეკთ და მერე ყველაფერს მეტყვით. მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს.

მიდის. ბრუნდება. მე ყავას ვსვამ. ხედავს, რომ ისევ მოღრუბლული ვარ და ცდილობს გამახალისოს. იმდენს ახერხებს, რომ მეცინება და აღტაცებული ჭყლობინებს. შემდეგ კარს კეტავს და ჩემი ლაპარაკიდან ერთი სიტყვაც რომ არ გამორჩეს, გულუბრყვილოდ მთხოვს, რომ ჩემს გვერდით დაჯდომისნება დავრთო. უარს ვერ ვეუბნები, რადგან ვგრძნობ, რომ მღელვარებისაგან სული მიგუბდება.

გულახდილად გავუმხილე, რა დღეში ჩამაგდო მისმა ბუნებამ, როგორ ვიტანჯებოდი, როგორ ვებრძოდი გაუძლეს სურვილებს, მერე ვუთხარი, რომ უკვე ასეთი წამების ატანა აღარ შემეძლო და ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, მისთვის მეთხოვა, რომ ამიერიდან აღარ შემბვედროდა. სათქმელის მნიშვნელობამ და ჩემი გრძნობების გულწრფელობამ მკვერმეტყველების უნარი გამიასკეცა. განსაკუთრებული მონდომებით იმის ახსნას ვცდილობდი, თუ რა საშინელი შედეგების გამოღება შეეძლო ხვაგვარ საქცელს და რა უბედურება მოჰყვებოდა ამას ჩვენთვის.

ამ გრძელი სიტყვის დასასრულს ცრემლებიც გადმოცვივდა. ლუჩიამ მოინდომა თავისი პერანგის კალთით ამოემშრალებინა ჩემი თვალები და ამ დაუფიქრებელი და ალალმართალი მოძრაობით ორი ისეთი ნახევარსფერო გააშიშვლა, რომელთა დანახვა ყველაზე გამოცდილ მესაჭესაც კი სწორი კურსიდან გადააცდენდა.

რამდენიმე წუთს გაგრძელებული ეტყვი სცენის შემდეგ სათნო ქალიშვილმა სევდიანი ხმით მითხრა, ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ თქვენი ცრემლების მიზეზი გავხდებოდი და ახლა რომ გიყურებთ, გონი მემლვრევაო.

— ყველაფერი, რაც ახლახან მითხარით, — განაგრძო მან, — მიდასტურებს, რომ ძალიან გიყვარვართ. მაგრამ არ ვიცი, რატომ გაღელვებთ ასე ეს ამბავი მაშინ, როცა თქვენი სიყვარული მე უსაზღვრო სიხარულით მავსებს. თქვენ ჩემი გაგდება გინდათ, რადგან სიყვარული გაშინებთ. მაგრამ მაშინ რას იზამდით, ერთმანეთი რომ გვძულებოდა? განა დამნაშავე ვარ, რომ მოგწონვართ? და თუ სიყვარული, რომელიც მე ჩ-

ვინკრავთ, დანაშაული, გარწმუნებთ, რომ მისი ჩადენის განზრახვა არ მქონია და ამიტომ არც ჩემი დასჯის უფლება გაქვთ. ამაკვ დროს, არ დაგიმალავთ, რომ თქვენი სიყვარული დიდ სიხარულს მანიჭებს. კარგად ვიცი, რომ სიყვარული საფრთხეში აგდებს ადამიანებს, მაგრამ ჩვენზეა დამოკიდებული, შეეუშინდებით თუ არა ამ საფრთხეს. და მიკვირს, რომ მე, უბრალ გოგოს, ეს ძნელ საქმედ არ მიმაჩნია, მაშინ, როცა თქვენ — როგორც ყველა ამბობს, სწავლული კაცი — ასეთი შეშინებული ჩანხართ. მაოცებს, რომ სიყვარულმა, რომელიც სულაც არ არის სენი, თქვენ ავად გაგხადათ, მე კი ფრთები შემასხა. განა შეიძლება, რომ ვცდებოდე და ჩემი თქვენდამი გრძნობა სიყვარული არ იყოს? ხომ დაინახეთ, თუ რა ხალისით მოვედი ამ დილით თქვენთან — ეს იმიტომ, რომ, მთელი ღამე თქვენზე ვოცნებობდი, მაგრამ ამის გამო ძილი სულაც არ გამტეხია. მხოლოდ ხუთჯერ თუ ექვსჯერ გამეღვიძა, რათა ჩემი ოცნებების ჭეშმარიტებაში დავრწმუნებულიყავი: თვალს რომ დ-ეხუჭავდი, თქვენს გვერდით ვიყავი, ხოლო როცა გაგახელდი, ეელარ ვხედავდით და ისევ სასწრაფოდ ვიძინებდი რათა ჩემი ზმანებები კვლავ გამომეხმო და ვახერხებდი კიდეც. ჰოდა, განა დილით მხიარულების მიზეზი არ მქონდა? ჩემი ძვირფასო ბატონ, ძალიან ვწუხვარ, თუ სიყვარული თქვენთვის ტანჯვაა. მაგრამ განა შეიძლება, რომ თქვენ სიყვარულისათვის არ იყოთ დაბადებული? რასაც მიბრძანებთ, ყველაფერს შევასრულებ, მაგრამ ერთ რამეს მაინც შეგპირდებით; ვერასოდეს გადაგიყვარებთ, იმიტომ რომ ეს შეუძლებელია. თქვენ კი შეგიძლიათ არ გიყვარდეთ, თუ ეს თქვენი ჯანმრთელობისათვის მართლა საჭიროა. მირჩევნია გძულდეთ და ცოცხალი იყოთ, ვიდრე ჩემი სიყვარულისაგან მკვდარი გიხილოთ. ოღონდ ეძიეთ, იქნებ რაიმე სხვა გამოსავალი იპოვოთ, თორემ ის, რასაც მთავაზობთ, გულს მიკლავს, ხომ შეიძლება, რომ უფრო იოლი გზა გამოინახოს? მიჩვენეთ ეს გზა და ენდეთ თქვენს ლუჩიას.

მისმა უბრალო და ალალმართალმა სიტყვამ დამანახა, თუ რამდენად აღემატება ბუნებრივი მშერმეტყველება ფილოსოფოსის ენამზეობას. პირველად მოვიქციე მკლავებში ეს ღვთაებრივი ასული:

— დიახ, ჩემო საყვარელო ლუჩია, მხოლოდ შენ შეგიძ-
ლია ჩემი განკურნება. მოანდე ჩემს ცეცხლოვან კოცნას შენი
სეციური ბაგე. რომელიც მეუბნება რომ გიყვარვარ.

მთელი საათი ნეტარ დუმილში გავლილთ, რომელსაც მხო-
ლოდ დროდადრო არღვევდა ლუჩიას სიტყვები: „ღმერთო
ჩემო, ნუთუ ეს სიზმარი არ არის?" არც ახლა დამბორებია
მისი უმანკოების ხელყოფა, ალბათ იმიტომ, რომ ოდნავი წი-
ნააღმდეგობის გაწევლად მთელი არსებით მეძლეოდა. ბო-
ლოს ფრთხილად დაიხსნა თავი ჩემი მკლავებიდან და კრთო-
მით მითხრა: — გული მეუბნება, რომ უნდა წავიდე, — და ლო-
გინიდან წამოდგა.

პასეანოში მთელი სექტემბერი დავყავი. ბოლო თერთმე-
ტი დღე მშვიდად და თავისუფლად ვფლობდი ლუჩიას, რომ-
ლიც დედამისის ღრმა ძილის იმედით თავისი ცხოვრების ყვე-
ლაზე საამო წუთების გასატარებლად ჩემთან თამამად მოდი-
ოდა. გამუდმებული თავშეკავებისაგან ჩემი ვნებები სულაც
არ სუსტდებოდა, ლუჩია კი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ
აღთქმა გამეტეხა, რადგან ყრძალული ხელის სიტკბოებას
სრულყოფილად მხოლოდ მაშინ იგემებდა, თუ მას თავისუფ-
ლად მომაწყვეტინებდა. ყოველწუთიერი ხორცელი სიახლო-
ვის გამო ყმაწვილ ქალს უკვე წინააღმდეგობის უნარი აღარ
ჰქონდა და ძალიან ცდილობდა, მეც ვეცდინებინე, წამდა-
უწუმ მიმეორებდა, რომ რისი დაკარგვაც შეიძლებოდა, უკვე
ყველაფერი დაკარგული იყო და უკანასკნელი ნაყოფის და-
ტოვებას აზრი არ ჰქონდა. მაგრამ პასეანოში ყოფნის ბოლო
დღემდე მეყო ვაჟკაცობა, რომ ამ ეტაბილეს ცდუნებას არ
აყყოლოდი.

წასვლისას პირობა მივეცი, რომ გაზაფხულზე ისევ დავბ-
რუნდებოდი. ჩვენი განშორება ნაზი და სევდიანი იყო. მთლად
თავგზააბნეული და მწუხარებისაგან განადგურებული დავტო-
ვე და უეჭველია, რომ სწორედ ეს სულიერი მდგომარეობა
გახდა შემდეგ მისი უბედურების მიზეზი. ამის გამო ჩემს თავს
მთელი ცხოვრება ვსაყვედურობდი და კვლავაც ვესაყვედუ-
რებ.

ვენეციაში დაბრუნების პირველი დღეებიდანვე ჩვეულ
კალაპოტში მოვექეცი და ანჯელას წუთით არ ვშორდებოდი

იმის იმედით, რომ ბევრს თუ არა, იმას მაინც მივაღწევდი, რაც ლუჩიასთან მივაღწიე. ახლა უკვე ასე ალარ შემართება, მაგრამ მაშინ სულ იმის პანიკური შიში მქონდა, რომ ჩემი საქციელის შედეგებს შესაძლოა ჩემსავე მომავალზე უარყოფითად ემოქმედნა და ეს სრულყოფილი სიამოვნების განცდაში ყოველთვის ხელს მიშლიდა. არ ვიცი, ვიყავი თუ არა ოდესმე წესიერი ადამიანი, მაგრამ სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ის გრძნობები, ახალგაზრდობაში რომ მამოძრავებდა, იმაზე გაცილებით უფრო დელიკატური იყო, რომლებიც შემდეგ, ცხოვრებისეულ გარემოებათა გამოისობით შევიძინე. ცუდი ფილოსოფია თანდათან გვათავისუფლებს იმისაგან, რასაც ცრურწმენებს უწოდებენ.

ორი და, ანჯელასთან ერთად ქარგვას რომ სწავლობდა, მისი მეგობრები და გულის მესაიდუმლენი იყვნენ. მათი მასწავლებელი, მოხუცი ლვთისმოსავი ქალი, ანჯელასთან ჩემს სიახლოვეს თავიდან უეჭოდლებას არ აქცევდა, მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ეტყობა, ხშირი სტუმრობებით თავი მოვაბეზრე და ყველაფერი ჩემი გულის ვარდის ბიძას მოახსენა. ამ ეკანასკნელმა ერთხელ დელიკატურად შემაპარა, რომ ვიზიტები უნდა შემემცირებინა, თორემ ჩემი თავგამოდება, შეიძლება, ცუდად გაეგოთ, ეს კი მისი დისწულის კეთილ სახელს უსათუოდ ავნებდა. წინამძღვრის ნათქვამი ჰეხივით დამეცა, მაგრამ თავს იმდენად კი ვფლობდი, რომ ზისი ეტყვები არ აღმეძრა. უყოყმანოდ შევპირდი, თქვენს მითითებას უეიკვდილოდ შევასრულებ-მეთქი. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ქარგვის მასწავლებელს ვითომდა საქმეზე ვეწვიე და ვცდილობდი ახალგაზრდა ქალებისათვის არც შემეხედნა, მაგრამ დრო მაინც ვიხელთე და უფროს დას ბარათი შევაჩეჩე, მაგ კი ჩემი საყვარელი ანჯელასათვის გადასაცემი მეორე ბარათი იდო. მას ჩემი ამდენი ხნის მოუსვლელობის მიზეზებს ვუხსნიდი და ვთხოვდი მოენახა რაიმე გზა, რომელიც მისთვის ჩემი გრძნობების გაზიარების ბედნიერებას დამიბრუნებდა. რაც შეეხება ნანეტას, მას მხოლოდ მეგობრისათვის წერილის გადაცემა ვთხოვე და ვუთხარი, რომ ერთი კვირის თავზე ვინახულებდი. იმედი მქონდა, რომ ამასობაში ჩემთვის პასუხის გადმოცემის საშუალებასაც მიაგნებდა. დავალება სანაქებოდ

შეასრულა და ორი დღის შემდეგ, როცა მათთან ვიყავი, ბარათი ისე გადმომცა, რომ არაფის შეუნიშნავს.

ნანეტას ბარათს ანჯელას ძალიან მოკლე მინაწერი ახლდა, რომლითაც მირჩევდა, რომ მისი მეგობრის მითითებები უყოყმანოდ შემესრულებინა. აი, ნანეტას ბარათი, რომელიც დღემდე შემონახული მაქვს ისევე, როგორც ამ მოთხრობაში დამოწმებული ყველა წერილი:

„სინიორ აბატო, ამქვეყნად არ არსებობს ისეთი საქმე, რასაც ჩემი მეგობრის გულისათვის არ გავაკეთებდი. ის ყოველ დღესასწაულზე ჩვენთან მოდის, ვახშმობს და ღამეს ათევს. გთავაზობთ ჩვენი დეიდის, სინიორა ორიოს გაცნობის გზას, მაგრამ თუ ჩვენს სახლში ყოფნის საშუალება მოგეცემათ, გაფრთხილებთ, რომ ანჯელას მიმართ სიმპათია არასდიდებით არ გაამჟღავნოთ, რადგანაც დეიდას არ მოეწონება, რომ ჩვენთან ვიღაც მისთვის გარეშე ადამიანის სანახავად დადიხართ. მაშ ასე, გთავაზობთ ამ საშუალებას და მზად ვარ, რომ მის განხორციელებაშიც დაგეხმაროთ. სინიორა ორიო თუმცა კი კეთილშობილთა გვარისაა, მაგრამ ზდიდარი არ გახლავთ და ამიტომ სურს, იმ დიდგვაროვან ქალბატონთა ნუსხაში იხსენიებოდეს, წმინდა ეექარისტეას საძმოდან შემწეობას რომ იღებენ. ამ საძმოს თავმჯდომარეა სინიორ მალიპიერო. ანჯელამ უამბო მას, რომ ეს სინიორი თქვენდამი კეთილადაა განწყობილი და მისი მხარდაჭერის მოპოვების ყველაზე საიმედო გზა თქვენი შუამდგომლობა იქნებოდა. ანჯელას ეყო სისულელე იმის სათქმელად, თითქოს თქვენ მე გიყვარვართ და ჩვენს მასწავლებელთან მხოლოდ იმიტომ მოდიხართ, რომ ჩემთან შეხვედრის საშუალება გქონდეთ, და რომ მე, აქედან გამომდინარე, შემიძლია მისთვის დახმარების გაწევა გთხოვოთ. დეიდამ უპასუხა, რომ თქვენი სასულიერო წოდება ყოველგვარ ეჭვებს უქარწყლებს, ამიტომ შემიძლია მე თვითონ მოგწეროთ ბარათი და მასთან სტუმრად დაგპატიჟოთ. მე უარი ვუთხარი. ჩვენს საუბარს ესწრებოდა ადვოკატი როზა, ვისზეც დეიდაჩემს მზე და მთვარე ამოსდის. მან მხარი დამიჭირა და თქვა, რომ მე კი არა, თავად დეიდამ უნდა მოგწეროთ და გთხოვოთ, რომ პატივი დასდოთ და ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საქმისა გამო ეწვიოთ. სინიორ როზამ ისიც თქვა, რომ

თუ თქვენ მართლა გიყვარვართ, დაუყოვნებლივ მობრძანდებით. შემდგომად ამისა დეიდამ წერილი დაწერა და მას მალე მიიღებთ. თუ გსურთ, ჩვენთან ანჯელას შემოუსწროთ, ვიზიტი კვირისათვის გადადეთ. თუ დეიდაჩემის საქმის მოგვარებას შეუძლებთ, მისი სახლის კარი თქვენთვის მუდამ ღია იქნება. მაგრამ მაპატიეთ, თუ შუბლგახსნილი არ შეგხვდებით, რადგან მათ ვეთხარი, რომ არ მიყვარხართ. ისე, დეიდაჩემთან გაარშიყებაც არ გაწყენდათ (ის სამოცი წლისაა), სინიორ როზა არ იეჭვიანებს, თქვენ კი მთელი სახლობის საყვარელი ადამიანი გახდებით. რაც შემეხება მე, ანჯელასთან შეხვედრას მოგიხერხებთ და პირისპირ საუბრის საშუალებასაც მოგცემთ. ყველაფერს ვიქმ იმისათვის, რომ ჩემს მეგობრობაში დაგარწმუნოთ. ბოდიშს გიხდით".

ეს გეგმა საუკეთესოდ მეჩვენა. შაბათ საღამოს სინიორა ორიოს მიწვევაც მივიღე და მეორე დღეს მის სახლს მივაშურე. არაჩვეულებრივად გულთბილად მიმიღეს. მოხუცმა სინიორამ დახმარება მთხოვა და საქმის წარმატებისათვის საჭირო ყველა ქაღალდი გადმომცა. მე ყველაფრის კეთილად მოგვარება აღვუთქვი. ანჯელასთან განგებ ცოტას ვლაპარაკობდი და ალ ნანეტას ვეკურკურებოდი, რომელიც ძალიან უგულოდ მექცეოდა. ბოლოს მოხუცი ადვოკატიც დავიმეგობრე, რაც შემდგომ ძალიან გამომადგა.

სინიორა ორიოს საქმის მოკვარახეინებით მეტისმეტად დაინტერესებული ვიყავი. ვიცოდი, რომ ტერეზა იმერს ჩვენს შეყვარებულ სენატორზე დიდი გავლენა ჰქონდა. იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ მოხუცი დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა, თუ მისი გულის მოგების საშუალება გაუჩნდებოდა. მეორე დღესვე ტერეზასაკენ გავწიე და მისი ოთახის კარი გაუფრთხილებლად შევაღე. ექიმ დოროსთან შევუსწარი, რომელმაც ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს აქ მხოლოდ თავისი პროფესიული მოვალეობის აღსასრულებლად იმყოფებოდა, მაშინვე რეცეპტის გამოსაწერად დაჯდა. ქალს მაჯა გაუსინჯა და წავიდა.

ეს ექიმი ტერეზას საყვარლად იყო ცნობილი. სინიორ მალიპიერომ, ეჭვიანობის გამო, ქალს მისი მიღება აუკრძალა და ისიც შეჰპირდა, რომ ექიმს აღარ გაიკარებდა. ტერეზამ

იცოდა, რომ მე ეს ყველაფერი ვიცოდი და ამდენად ჩემი შესვლა, ალბათ, ძალიან არ ესიამოვნებოდა, რადგან სულ არ სურდა, სენატორს მისი პირუმტკიცობის ამბავი შეეტყო. მიეხვედი, რომ ჩემი მიზნის მისაღწევად ამაზე უკეთეს დროს ვერ ვიხელთებდი. თავიდანვე მოკლედ ავუხსენი სტუმრობის მიზეზი, არც ინის თქმა დამვიწყნია, რომ შეეძლო ჩემი დუმილის იმედი ჰქონოდა, რადგან არასდროებით მის საზიანო საქმეს არ ჩავიდენდი. ტერეზამ ჩემი დიდსულოვნება ღირსეულად შეაფასა და თავის მხრივ გამოიცხადა, რომ მოხარული იქნებოდა, თუ ჩემთვის დახმარებია გაწევის შემთხვევაში მეცემოდა. იმ ქალბატონის საბუთების ჩვენება მთხოვა, ვისთვისაც ვზრუნავდი, მერე სხვა ქალბატონის ასეთივე საბუთები მაჩვენა და მითხრა, რომ მის პატრონს უკვე აღეთქვა სენატორთან შუამდგომლობა, მაგრამ მზად იყო, ჩემი გულისათვის მისი საქმე გვერდზე გადაედო. შეასრულა კიდეც თავისი სიტყვა და უკვე მეორე დღეს ხელთ ჰქონდა მისი აღმატებულების, უპოვართა საქმოს თავმჯდომარის ხელმოწერილი ბრძანება. დასაწყისისათვის სინიორა ორიოს შემწეობა დაენიშნა. რომელსაც წელიწადში ორჯერ გასცემდნენ ხოლმე.

სინიორა ორიოს დისწულები — ნანეტა და მარტეჩა ობლები იყვნენ. პატივცემული სინიორას მთელ მემკვიდრეობას შეადგენდა მხოლოდ ერთი სახლი, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა და პირველ სართულს აქირავებდა. და პენსია, რომელსაც მისი ძმა, ათთა საბჭოს მდივანი უხდიდა. მასთან ერთად ცხოვრობდნენ მხოლოდ მისი მშვენიერი დისწულები, რომელთაგან უფროსი თექვსმეტი წლისა იყო, უმცროსი — თხუთმეტისა. მოახლის მაგივრობას ერთი დედაბერი უწევდა, რომელიც თვეში ერთ სკუდოდ წყალს უხდიდა და მეურნეობას უძღვებოდა. სინიორა ორიოს ერთადერთი მეგობარი სინიორა როზა იყო. ისიც სამოცი წლისა გახლდათ და დაქერიეგის შემდეგ სენიორა ორიოს შერთვას აპირებდა.

ორივე დას მესამე სართულზე ერთ საწოლში ეძინა. საზეიმო დღეებში მათ ლოგინს ანჯელაც შეემატებოდა ხოლმე.

როგორც კი სინიორა ორიოს სასურველი აქტი ხელთ ეიგდე, მაშინვე ქარგვის მასწავლებლის სახლისაკენ გაეეშურე, რათა ნანეტასათვის წერილი გადამეცა, რომლითაც ჩემი ჩა-

ლიჩს წარმატებით დამთავრებას ეაუწყებდი. თან გავაფრთხილე, რომ ზეგ დეიდამისთან მივიდოდი სენატორის ბრძანების გადასაცემად.

ერთი დღის შემდეგ ჩემს მისვლას ჩადარაჯებულმა ნანეტამ ბარათი მოხერხებულად გადმომცა და მიჩურჩულა, რომ სახლიდან გასვლამდე წამეკითხა. ოთახში რომ შევედი, იქ სინიორა ორიოსთან ერთად ანჯელა, მოხუცი ადვოკატი და მარტუჩა დამხვდნენ. ერთი სული ჰქონდა ბარათის წაკითხვამდე, ამიტომ დაჯდომაზე უარი ვთქვი, სინიორა ორიოს ნანატრი მოწყალების მბოძებელი აქტი გადავეცი, ხელზე ვეამბორე და გადაუდებელ საქმეთა გამო წასვლის ნებართვა ვთხოვე.

— ო, ჩემო ძვირფასო აბატო, — მომმართა სინიორამ, — თქვენ ვალდებული ხართ მაკოცოთ და ამისათვის არავინ დაგძრახავთ, რადგან თქვენზე ოცდაათი წლით უფროსი ვარ. — შეეძლო ეთქვა, ორმოცდახუთითო და არც შეცდებოდა.

ორი კოცნა ვუძღვენი, რითაც ძალიან კმაყოფილი დარჩა და მიბრძანა, რომ მისი ორივე დისწულიც გადამეკოცნა, მაგრამ ისინი წიოკით უკუიქცნენ, მხოლოდ ანჯელა არ შედრკა და ლოყა მომიშვირა. ამის შემდეგ ქალბატონმა დაჯდომა მთხოვა.

— არ შემიძლია, ქალბატონო.

— კი მაგრამ რატომ? გთხოვთ...

— მე...

— აჰ, მესმის, მესმის. ნანეტა, გააცილე სინიორ აბატი.

— არა, დეიდა, გთხოვთ...

— მაშინ შენ, მარტუჩა.

— დეიდა, ჩემს დას უბრძანეთ, უფროსი ისაა...

— სინიორები მართალნი არიან, ქალბატონო. მე დაგტოვებთ...

— არა, ბატონო აბატო, ჩემი დისწულები ნამდვილი სუჯელები არიან. სინიორ როზა იქმს სიკეთეს.

თავაზიანმა ადვოკატმა ხელმკლავი გამიკეთა, მესამე სართულზე ამაცილა და მარტო დამტოვა. თავისუფლება მოვიპოვე თუ არა, ბარათი ამოვიღე და კითხვა დავიწყე. აი, რა ეწერა:

„დეიდა ვახშმად მოგიწვევთ და უარი უთხარით. როგორც კი ჩვენ სუფრას მივუსხდებით, წასვლის ნება გამოსთხოვეთ. მარტუჩა გამოგყვებათ და გასასვლელამდე საწთელს გაგინა-

თებთ, მაგრამ არ გაბვიდეთ. კარი გაჯახუნდება და ყველას ეგონება, რომ წახვედით. მესამე სართულზე ამოდით და დაგველოდეთ. როგორც კი სინიორ როზა წაბრძანდება და დეიდა დასაძინებლად დაწვება, ჩვენც მოვალთ. ანჯელაზე იქნება დამოკიდებული, მოგცემთ თუ არა მთელი ღამით დარჩენის ნებას. წარმატებას გისურვებთ".

რა ბედნიერი ვიყავი! როგორ მადლობას ვუძღვნიდი შემთხვევითობას იმისათვის, რომ ზუსტად იმ ადგილას წამაკითხა ბარათი, სადაც ჩემს საყვარელ ანჯელას ენდა შევხვედროდი. უკან დასაბრუნებელი გზა დავიხსომე და სიხარულით პირთამდე გალიცლიცებული სინიორა ორიოს ოთახში ჩავედი.

სინიორამ კვლავ მადლობის სიტყვები ღამაფრქვია და განმიცხადა, რომ ამიერიდან შემეძლო ამ სახლის მეგობრის ყველა უფლებით მესარგებლა. შემდეგი ოთხი საათი სიცილსა და მხიარულებაში გავატარეთ.

ვახშმობის დრო დადგა და მე იაფთი ღამაკვრებელი ბოდიშების მოხდა დავიწყე. რომ სინიორა ორიოს ექვი არაფერში შეჰპარვია და წასვლის ნება დამრთო. მაშინ მარტენჩემ ჩემთვის გზის გასანათებლად სანთელი აიღო, მაგრამ დეიდას, რომელსაც ნანეტა ჩემი გულის რჩეულად ჰგავნდა, ისე მკაცრად უბრძანა მას ჩემი გაცილება, რომ ვგოგო იძულებული გახდა ღამორჩილებოდა. სწრაფად ჩარბინა კიბე, ხმაურით გააღო და დახურა კარი, შუქი ჩააქრო და ეკან დაბრუნდა. სიბნელეში დავრჩი. ხელის ცეცებით აკაღწიე ზევით, მესამე სართულზე გოგოების ოთახში შევედი და სანუკვარი წუთის მოლოდინში ტახტზე მოვკალათდი.

თითქმის ერთი საათი ტკბილ ფიქრებში გავლილ. ბოლოს-დაბოლოს გავიგონე, როგორ გააღეს და დაკეტეს გარეთა კარი და რამდენიმე წუთის შემდეგ სამივე გოგო ოთახში შემოვიდა. ანჯელა გვერდით მოვისვი. მის გარდა ველარავის ვხედავდი. მთელი ორი საათი ვიუკუკუკეთ.

შუაღამე მოვიდა. ქალიშვილები წუხან, რომ უვახშმოდ დავრჩი, მე კი ამ თანაგრძნობით შეურაცხყოფილი ვარ და ვპასუხობ, რომ ასეთ ბედნიერ წუთებში ჩემთვის არავითარი სხვა მოთხოვნილება არ არსებობს. მეუბნებიან, რომ დაპატიტიმრებული ვარ. რომ გასასველელი კარის გასაღები დეიდას

თაკვეში ედევს და კარს მხოლოდ მაშინ გააღებს, როცა დილის წირვაზე წავა. მე გაკვირვებული ვარ იმით, თუ როგორ შეუძლიათ ეს ჩემთვის ცუდ ცნობად ჩათვალონ. პირიქით, მიხარია კიდეც, რომ ჩემს განკარგულებაში მთელი ხუთი საათი იქნება, რომელსაც სათაყვანო არსებასთან გავატარებ. გადის კიდევ ხუთი საათი. ნანეტა სიცილით კვდება. ანჯელიკას მიზეზის გაგება სურს და როცა ნანეტა ყურში უჩურჩულებს, ახლა მარტუჩა კისკისებს, მაშინ ვერც მე ვიოკებ ცნობიერებას და მათი მხიარულების მიზეზს ვიძიებ. ბოლოს ნანეტა გაზვიადებულად მწუხარე ხმით აცხადებს, რომ მეტი საბოლოელი არ გააჩნიათ და რამდენიმე წამის შემდეგ წყვდიადში ჩავიძირებით. ეს სიახლე კიდევ უფრო მახარებს, მაგრამ სიხარულს არ ვამჟღავნებ და ვამბობ, რომ ძალიან ვწუხვარ მათ გამო. ვურჩევ, ჩემს წესიერებას ენდონ და მშვიდად დაიძინონ. ამ წინადადებაზე ისევ იცინიან.

— კი მაგრამ, სიბნელეში რა უნდა გავაკეთოთ?

— ვიმუსაიფებთ.

ჩამობნელდა. ჩემი ხელი თავისით დაიძრა იმისაკენ, ვისი შეხებაც ესოდენ მწყურიოდა. მაგრამ ვერ მივაგენი, რადგან ანჯელას წამით დაესწრო და ადგილი გამოეცვალა. მთელი საათი ვემუდარე, რომ ისევ ჩემს გვერდით დამჯდარიყო, რა არ ვუთხარი, როგორ არ ვუქონე თავი, რა საალერსო სიტყვები არ დავხარჯე, მაგრამ ამაოდ. ჯერ უბრალო ხუმრობა მეგონა, ბოლოსდაბოლოს კი მოთმინების ფიალა ამევსო.

— აბა, ახლა დრო, რომ თამაშს მოვრჩეთ. ბუნების კანონს ნუ ეურჩებით! სანამ უნდა გდიოთ! თუ მასხარად მიგდებთ, იმასაც უნდა, გრძნობდეთ, რომ შეურაცხყოფას მაყენებთ. სიყვარულს კი, ჩემი აზრით, შეურაცხყოფა არ ეკადრება.

— ჰო, კარგი, დამშვიდდით. ყველაფერს დაგიჯერებთ, მაგრამ თქვენც ხომ უნდა ხვდებოდეთ, რომ მრცხვენია ამ სიბნელეში თქვენს გვერდით ყოფნა.

— ესე იგი, თქვენი აზრით, აქ გათენებამდე უნდა დავრჩე?

— დაწექით და დაიძინეთ.

— რა დამძინებს! საოცარია პირდაპირ, რომ ეს შესაძ-

ლებლად მიგაჩნიათ და ჩემს გრძნობებს არავითარ ანგარიშს არ უწევთ. კარგი, წარმოვიდგენ, რომ თვალხუჭობანას ვთამაშობთ.

ამ სიტყვებზე ავდექი და ხელების ცეცებით ბნელ ოთახში ავბორიალდი. მაგრამ ვერა და ვერ ჩავეფლე. თუ ვინმეს მოვიხელთებდი, ყოველთვის ან ნანეტა აღმოჩნდებოდა ან მარტუჩა, და ისინიც თავმოყვარეობის გამო მყისვე თავიანთ სახელებს ამბობდნენ, სულელი დონ კისოტი კი თავის ნანადირევს დაუყოვნებლივ ათავისუფლებდა. შემდეგ მოვხვდი, რა სასაცილო იყო ასეთი წვალება.

ჩემს განყარგულებაში სულ რაღაც ერთი საათი რჩებოდა და გათენების ლოდინი უაზრობა იყო, რადგან სინიორა ორიო წრივაზე წაუსვლელობას ემალ სიკვდილს არჩევდა. ეს უკანასკნელი საათიც ანგელს დარწმუნებასა და დაყოლიებას მოუნდა. ყველაზე დამაჯერებელი სიტყვები რომ ამოვწურე, ხელწნა — მუდარაზე და ბოლოს ცრემლებზე გადავედი. არაფერმა არ გაჭრა. მაშინ სინინელმა მრისხანებამ შემიპყრო და იქამდეც კი მივედი, რომ მინდოდა გამეტყვა ამპარტავანი არსება, რომელმაც მთელი ხუთი საათის განმავლობაში თავისი უგულობით სასო წარმოკვეთა, მაგრამ გარს კუნაპეტი სიბნელე მეხვია. ლანძღვა-გინების კორიანტელი დავაყენე, ფანატიკური წყევლა-კრულვა დავატეხე თავს, ყველაფერი ვკადრე. რასაც კი უარყოფილ სიყვარული გაღიზიანებულ სულს უკარნახებს, დავიფიცე, რომ მთელი ჩემი გრძნობები მრისხანე სიძულვილად იქცა და გავაფრთხილე, რომ მომრიდებოდა, თორემ სადაც წავაწყრებდი, იქვე მივასიკვდილებდი.

ჩემი ბობოქრობა სიბნელესთან ერთად დასრულდა. როგორც კი ალიონის პირველი სხივები გამოკრთა, ურდულისა და დიდი გასაღების ჟღარუნი გაისმა და სინიორა ორიო წრივაზე გაემართა, რათა თავისი სულისათვის ყოველდღიურად აუცილებელი სიმშვიდე მოეპოვებინა. მე კი ქუდი და ლაბადა ავიღე და წასასვლელად გავემზადე. მაგრამ როგორ დამიმძიმდა გული, როცა სამივე გოგოს თვალი გადავავლე და მათი ცრემლებით განბანილი სახეები დავინახე. დარცხვენილმა და გაბითურებულმა სიკვდილი ვინატრე. ისევ საწოლზე დავეშვი და ჩემს საქციელზე დავფიქრდი. საკუთარ თავს ვკრულავდი,

შოხლკავებული გრძნობები მაღრჩობდა და ხმის ამოღებას ვერ ვახერხებდი. გულის საოხად ისევ ცრემლებს მივენდე. ნანეტა მოძიახლოვდა და მითხრა, რომ დეიდა შალე დაბრუნდებოდა. მაშინ ცოემლი შევიმშრალე, გოგოებს თვალი ავარიდე და უსიტყვოდ გამოვიძურწე. ჩემს ლოგინს რომ მივაღწიე, მოცელილივით ზედ დავეცი, მაგრამ ძილი არ გამკარებია.

მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ამიერიდან სინიორა ორიოს სახლს სათოფეზე არ გავეკარებოდი. ის დღეები მეტაფიზიკაში დისერტაციის დასრულებას მოვანდომე. რამდენიმე დღის შემდეგ პადუას გავემგზავრე, სადაც დოქტორის ხარისხი მომანიჭეს.

ვენეციაში დაბრუნებისთანავე ადვოკატ როზასაგან ბარათი მივიღე. სინიორა ორიოს სახელით მთხოვდა, რომ უახლოეს ხანებში აუცილებლად ეწვეოდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ იქ ანჯელას არ წავაწყდებოდი და იმავე საღამოს მივედი. ორივე დამ გულღია შეხვედრითა და მხიარულებით გამიქარვა სირცხვილის გრძნობა, იმ წყეული ღამის შემდეგ რომ განვიცდიდი. დისერტაციამ და დოქტორის ხარისხმა სინიორა ორიოს თვალში ჩემს ბოდიშებს მეტი წონა შესძინა და მან მხოლოდ ის მისაყვედურა, რომ მათთან იშვიათად მივდიოდი.

წასვლისას ნანეტამ წერილი გადმომცა, რომელშიც ანჯელას მინაწერიც იყო. აი, ისიც:

„თუ თქვენ ჩემთან კიდევ ერთი ღამის გატარებას გაბედავთ, არ ინანებთ, რადგან ძალიან მიყვარხართ. მინდა, უშუალოდ თქვენგან მოვისმინო, რომ მაშინაც გიყვარებით, თუ ჩემს პატიოსნებას შემოგწირავთ“.

ხოლო მათ შორის ყველაზე ჭკვიანის, ნანეტას წერილი ასეთი იყო:

„სინიორ როზა თქვენს მოწვევას შემპირდა. და ამ წერილს გწერთ, რათა გაცნობოთ, თუ რა სასოწარკვეთილია ანჯელა მას შემდეგ, რაც თქვენ დაგკარგათ. გეთანხმებით, რომ ჩვენთან გატარებული ღამე სასტიკი იყო, და მაინც მგონია, რომ თუნდაც სინიორა ორიოს ხათრით ასე არ უნდა გადაბვეწილიყავთ. თუ ანჯელა იმავე გიყვართ, გირჩევთ, კიდევ ერთი ღამე გარისკოთ „იქნებ მან თავი გაიმართლოს და თქვენც კმაყოფილი დარჩეთ. აუცილებლად მოდით. ნახვამდის“.

ორივე წერილმა უსაზღვროდ მასიამოვნა, რადგან ახლა კმაყოფილებას მხოლოდ ის მომანიჭებდა, თუ ანჯელას ამაგიერად სასტიკი სიძულვილით გადაეუხდიდი. ამრიგად, პირველსავე უქმე დღეს წინასწარ მომზარაგებული კვიპროსული ღვინითა და შებოლილი ძეხვით ხელდამშვენებელი დებთან გავჩნდი, მაგრამ მეტისმეტად გოცებული დავრჩი, როცა ჩემი გამამწარებელი ვერსად დავინახე. ნანეტამ მაცნობა, რომ დილით ეკლესიაში ანჯელას ეთქვამს. ვახშამობამდე დამაცვიანდებაო. ამის იმედით, სინორა ორიოს ვახშამზე უარი ვაცადრე, სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ. ბოდიშებით გამოვეთხოვე და დათქმულ ადგილას გავაღწიე. ერთი სელი მქონდა, ვიდრე მოფიქრებული როლის თამაშს შევუდგებოდი. რამეთუ დარწმუნებული ვიყავი, რომ ანჯელას ჩემი შორგება მართლაც რომ სდომებოდა, ყველაზე უწყინარი ალერსის იქით მაინც არ წავიდოდა, მე კი არც ის მინდოდა, რადგან მხოლოდ ერთი ვრძნობდა — შურისძიების წყურვილი მამოძრავებდა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ ვასალების ჩხაკუნი გავგონე და ნანეტა და მარტეჩა შემოვიდნენ.

— ანჯელა სადაა? — მივმართე ნანეტას.

— როგორც ჩანს, ვერც მოსვლა შეძლო და ვერც გაფრთხილება. ისე კი იცის, რომ აქა ხართ.

— ფიქრობს, რომ თავისი მოუსველელობით გამაცურა. ამას მართლაც არ ველოდი, თუმცა თქვენ თვითონაც ხედავთ, როგორი ყოფილა. დამცინის და უხარია. ჩემს გასაპამპულებლად თქვენ გამოგიყენათ და ამ თამაშში მოგებულიც დარჩა, რადგან რომ მოსულიყო, ჩემი სიცილის ჯერი დადგებოდა.

— ამაში კი ნება მოგვეცით, ეჭვი შევიტანოთ.

— ნუ ეჭვობთ, მშვენიერო ნანეტა. ამის დასტურად ის დაუვიწყარი ღამე გამოგვადგება, ემისოდ რომ გავატარებთ.

— სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ, როგორც პკვიანმა ადამიანმა, გადაწყვიტეთ კითარების მოერგოთ, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ აქ დაწვებით, ჩვენ კი დასაძინებლად მეორე ოთახში გავალთ.

— კი ბატონო, მაგრამ დარწმუნებულნი იყავით, რომ ამაზე უარეს ხუმრობას ვერ მოიგონებდი. და ისიც იცოდეთ, რომ დაწოლას სულაც არ ვაპირებ.

— როგორ! ეოთინება გეყოფათ, რომ შვიდი საათი ჩვენს საზოგადოებაში გაატაროთ? დარწმუნებული ვარ, რა წამსაც საეპარს დაამთავრებთ, იმ წამსვე ქილა წაგიღებთ.

— ვნახოთ. მანამდე კი ამ ხორაგს მივხედოთ. ნუთუ ისეთ გულქვაობას გამოიჩენთ, რომ ვახშამზე არ დამეწვევით? პური თუ გაქვთ?

— გვაქვს, და ვახშმადაც დაგეწვევით. თუმცა უკვე გვახელით.

— ო, ახლა ვხვდები, რომ თქვენ უნდა შემყვარებოდით. მითხარით, მშვენიერო ნანეტა, მე რომ თქვენი. ვყოფილიყავი გატაცებული და არა ანჯელათი, ასე მომექცეოდით?

— განა ქალებს მასეთ რამეს ეკითხებიან? მხოლოდ ერთი რამ შეშიძლია გიპასუხოთ: არ ვიცი.

სწრაფად გაშალეს, სუფრა, მოიტანეს პური, ყველი და წყალი, თან გულიანად იცინოდნენ. შემდეგ საქმეს შეუდექით. კვიპროსული ღვინო, რომელსაც მიჩვეულნი არ იყვნენ, თავში აუვარდათ და საყვარლად გამხიარულდნენ. ვუყურებდი და მიკვირდა, აქამდე როგორ ვერ ვამჩნევდი მათ ღირსებებს-მეთქი.

მწირი და წარმტაცი ვახშმის შემდეგ დებს შორის ჩავჯექი, წამდაუწუმ ხელებს ვუკოცნიდი და ვეკითხებოდი, ხართ თუ არა ჩემი ქეშმარიტი მეგობრები და იწონებთ თუ არა ანჯელას. ულირს საქციელს-მეთქი. მათ ერთხმად მიპასუხეს, რომ ჩემს გამო ბევრი ცრემლი დაღვარეს.

მთელი საათი ანჯელაზე ვლაპარაკობდით. მე განვაცხადე, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი თავი დავანებო, რადგან აღარ გუყვარვარ-მეთქი.

— უყვარხართ, — წარმოთქვა გულუბრყვილო მარტუჩამ, — ვიცი, რომ უყვარხართ. როცა ანჯელას ჩვენთან ძინავს, ნაზად მეხვევა და ჩემს აბატს მეძახის.

ამ სიტყვებზე ნანეტას სიცილი აუტყდა და დას პირზე ხელი ააფარა, მაგრამ მარტუჩას მიამიტობამ ისე ამაღელვა, რომ ცრემლი ძლივს შევიკავე, მარტუჩამ უთხრა, რომ მე, ჭკვიანმა კაცმა, უნდა ვიცოდე, თუ რას აკეთებენ ქალწულები, როცა ერთ ლოგინში წვანან.

— რა თქმა უნდა, — სასწრაფოდ დაეთანხმე, — ასეთი წვრილმანები არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს და მე არა მგონია, ძვირფასო ნანეტა, რომ თქვენს და ჩვენს მეგობრულ საუბრებში ზედმეტი ყბედობისათვის უნდა ვუსაყვედუროთ.

— ნათქვამ სიტყვას უკან ვერ დაიბრუნებ, მაგრამ მაინც, ასეთ რამეებზე არ ლაპარაკობენ. ანჯელამ რომ იცოდეს...

— სასოწარკვეთილება მოიცავდა, მაგრამ მარტუჩამ მეგობრობა ისე ცხადად დამიმტკიცა, რომ სიკვდილამდე მისი მადლიერი ვიქნები. ანჯელასთან კი ყველაფერი დამთავრებულია. უკვე ველარ ვიტან და აღარც დაველაპარაკები. ამ ვერაგ არსებას კაცი ვერ ენდობა. მას მხოლოდ ჩემი სიკვდილი უნდა.

— მაგრამ რადგანაც უყვარხართ, სავსებით ბუნებრივია, რომ სურს მისი ქმარი გახდეთ.

— გეთანხმებით, მაგრამ მაინც მარტო საკუთარ თავზე ფიქრობს. ჩემთვისაც რომ ვუყვარდე, განა მაშინ ასე მომექცეოდა? ხომ ხედავს, როგორ ვიტანჯები. ის კი თავის სურვილებს მშვენიერი მარტუჩას დახმარებით იკმაყოფილებს.

ამის თქმაზე ნანეტა სიცილისაგან გადაიქცა, მაგრამ მე სერიოზულობას ვინარჩუნებდი და იმავე ტონით განვაგრძობდი მარტუჩას ქებას. ბოლოს ვთქვი, დარწმუნებული ვარ, ურთიერთმეგობრობის წესით თავის მხრივ ანჯელაც ქმრად გემსახურება-მეთქი. მაგრამ მან სიცილით მიპასუხა, რომ ანჯელა მხოლოდ ნანეტას ქმარი იყო. და ნანეტამაც აღიარა ნათქვამის სიმართლე.

— მაგრამ აღტაცების წამს ნანეტა თავის ქმარს რა სახელს ეძახის?

— ეს არავინ იცის.

— მაგრამ ვინმე ხომ გიყვართ, ნანეტა?

— მიყვარს, მაგრამ ჩემს საიდუმლოს ვერავინ შეიტყობს.

მისმა თავშეკავებამ მაფიქრებინა, რომ შესაძლოა ამ საიდუმლოს გმირი მე ვყოფილიყავი, ესე იგი, ნანეტა ანჯელას მეტოქე იქნებოდა. ასეთ გულითად საუბრებში თანდათან დამეუფლა სურვილი, რომ სიყვარულისათვის გაჩენილ ამ წარმტაც ქალიშვილებთან მთელი ღამე ფუჭად არ გამეტარებინა.

— ბედნიერად უნდა ვთვლიდე თავს, — ვთქვი მე, — რომ თქვენთან მხოლოდ მეგობრული გრძნობები მაკავშირებს. სხვა შემთხვევაში დიდ გასაჭირში ჩავვარდებოდი, რადგან, როგორ უნდა გამეტარებინა მთელი ღამე თქვენთან ისე, რომ ცდუნებას არ ავყოლოდი და ჩემი სიყვარული საქმით არ დამემტკიცებინა? ასეთი მომჯადოებელი არსებანი, თქვენ რომ ხართ, ნებისმიერ მამაკაცს თავბრუს დაახვევენ.

ასე ვლაპარაკობდი, თან თავს ვაკანტურებდი და თვალებს ვლულავდი, ვითომ ძილი მერეოდა. ნანეტამ შენიშნა ეს და მითხრა:

— თავს ნუ იწვალებთ. ლოგინში ჩაწექით, ჩვენ კი მეორე ოთახში დივანზე დავიძინებთ.

— ადამიანთა შორის უსაძაგლეს კაცად ჩავთვლიდი თავს, რომ მოვქცეულიყავი, — მივუგე მე, — მოდით, ვიმუსაიფოთ. ძილი გადამივლის, მაგრამ თქვენთვის უფრო ვწუხვარ. აქ დაწექით, ჩემო მშვენიერო მეგობრებო, მეორე ოთახში კი მე გავალ, ჩემი თუ გეშინიათ, კარი ჩარაზეთ, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნებოდა, რადგან თქვენს მიმართ მხოლოდ ძმური გრძნობები მამოძრავებს.

— მაგას არ ვიზამთ, — თქვა ნანეტამ, — ნება გვიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ მაინც თქვენი აქ დარჩენა ჯობია.

— ჩაცმული ვერ დავიძინებ.

— გაიხადეთ, ჩვენ არ შეგხედავთ.

— მაგისი არ მეშინია, მაგრამ თუ მეცოდინება, რომ თქვენი უძილობის მიზეზი ვარ, თვალს ვერ მოვხუჭავ.

— ჩვენც დავწვებით, — თქვა მარტუჩამ, — ოღონდ არ გაიხდით.

— თქვენი უნდობლობა შეურაცხყოფს ჩემს ღირსებას. მითხარით, ნანეტა. წესიერ ადამიანად თუ შიგაჩნიეართ?

— დიახ, რა თქმა უნდა.

— ბრწყინვალეა, მაგრამ ეს უნდა დამიმტკიცოთ. ამისათვის კი ჩემს აქეთ-იქით საკუთარი შიშველნი უნდა დაწვეთ. და ენდეთ ჩემს ჰატიოსან სიტყვას, რომ თითსაც არ დაგაკარებთ. გარდა ამისა, თქვენ ორნი ხართ ერთის წინააღმდეგ. რისი გეშინიათ? თუ ჭკვით არ მოვიქცევი, განა ვერ მიმატოვებთ? ერთი სიტყვით, თუ თქვენი ნდობის ამ უმნიშვნელო საბუთს

არ წარმომიდგენთ, ზეზეურადაც რომ დამეძინოს, მაინც არ დავწვები.

ამით ლაპარაკი შევწყვიტე და თავი მოვიმძინარე. დასთან ჩურჩულის შემდეგ მარტუჩამ მითხრა, დაწექით და როგორც კი დაგეძინებათ, ჩვენც გვერდით მოგიწვებითო. რადგან ეს პირობა ნანეტამაც დაადასტურა, მათკენ ზურგით მივბრუნდი, გავიხადე, გოგოებს ღამე მშვიდობისა ვუსურვე და ლოგინში ჩავწექი. თავი მოვიმძინარე. მაგრამ მალე ძილი მართლა მომერია და მაშინღა გამელვიძა, როცა ისინიც დასაძინებლად წვებოდნენ. მაშინ გვერდი ვიცვალე, ვითომ ისევ დაძინებას ვაპირებდი, და მანამდე ვწექი ასე მშვიდად, სანამ უკვე მე არ გავიფიქრე, ჩაეძინათ ან თავს იმძინარებენ-მეთქი. ისინი ჩემკენ ზურგით იწვნენ, შუქი კი არ ენთო. ამრიგად, ალალბედზე ვმოქმედებდი და პირველად ჩემგან მარჯვენე მწოლიარეს დავდე პატივი, თან არც ვიცოდი, ნანეტა იყო თუ მარტუჩა. აღმოვაჩინე, რომ მარტო ადაცვლების ამარა და მთლად მოკუნტული იწვა. მისი სიმორცხვის პატივისცემით ნაბიჯ-ნაბიჯ გადავედი იერიშზე და ბანამ ეტტევდი, ვიდრე თავი დამარცხებულად არ ცნო და არ დარწმუნდა, რომ ყველაზე უკეთესი, რისი გაკეთებაც ახლა შეეძლო, თავის მომძინარება და ჩემთვის სრული თავისუფლების მონიჭება იყო. მალე მისი ბუნებაც აშრიალდა, მიზანს მივაღწიე და სრული წარმატებით დასრულებულმა ჩემმა ძალისხმევამ დამარწმუნა, რომ მოვწყვიტე პირველი ნაყოფი, რომელსაც ცრურწმენის გამო ამოდენა ფასს ვდებთ ხოლმე. იმით აღფრთოვანებულმა, რომ ასეთი სრულყოფილი სიტკბოება პირველად ვიგემე, ჩემს ლამაზმანს ფრთხილად განვერიდე. რათა ცეცხლოვანი ვნების ახალი ხარკი მეორე ტერფა ასულისათვის მიმერთმია. იგი მძინარესავით ვაუნძრევლად გულალმა იწვა. ვითომ მისი უშფოთველი ძილი რომ არ დამეფრთხო, ნელა მივუჩოჩდი, ნაზი ალერსით გრძნობები შევუჩქიფე და დავარწმუნდი, რომ ამ საქმეში თავის დასავით ახალბედა და ვამოუცდელი იყო. და როგორც კი ერთი ადგილის ბუნებრივმა გაჩუჩუნებამ ახალი ძღვენის მისაღებად მზადყოფნა მაგრძნობინა, ჭსხვერპლშეწირვის რიტუალის დასრულებას შევუდექი. მაშინ კი უსიტყვოდ დანებდა მის არსებაში აბობოქრებულ ვნებას, წამიერ

ექსტაზში ღონიერად მომიჭირა მკლავები, მრავალრიცხოვანი კოცნებით აღტაცების წილ აღტაცება მიძღვნა და თანაბარ ნეტარებაში ჩაძირული ჩვენი სულები ერთმანეთს შეჰრია.

მომეჩვენა, რომ მასში ნანეტა შევიცანი.

— ჰო, მე ვარ, — მიპასუხა მან, — და არ დავმალავ, რომ ძალიან ბედნიერი ვარ, ისევე, როგორც ჩემი და. ოღონდ პირობა მოგვეცით, რომ კეთილშობილებასა და ერთგულებას გამოიჩენთ.

— სიკვდილის წუთამდე თქვენთან ვიქნები, ჩემო ანგელოზებო, და რადგანაც ყოველივე ის, რაც ახლა შევქმენით, ნამდვილი სიყვარულია, ამიერიდან ჩვენს შორის ანგელას ხსენებაც აღარ იქნება.

ამის შემდეგ ნანეტას ადგომა და სანთლების ანთება ვთხოვე. მაგრამ დიდსულოვანი მარტუჩა მაშინვე წამოხტა და ერთმანეთთან დაგვტოვა. და მე მივხვდი, თუ რამდენად ბედნიერი ეიყავი, როცა ჩემს მკლავებში მომწყვდეული ნანეტა და გვერდით მდგომი მარტუჩა დავინახე, რომელიც სანთელს გვინათებდა და მზერაზე ეტყობოდა, რომ უმადურობაში გვდებდა ბრალს, რადგან მას არაფერს ვეუბნებოდით, მაშინ, როცა პირველად ის დამნებდა და თავის დას მაგალითი უჩვენა.

— ავდგეთ, ვეგობრებო, — წამოვიძახე მე, — და ერთმანეთს მარადიული მეგობრობა შევფიცოთ.

ლოგინიდან ავდექით და ერთობლივად განვიბანეთ, რამაც ეოგოები ძალიან გაამხიარულა და ჩვენი ვნებები ისევ აღანთო. შემდგომად ამისა პირველი ადამიანების ტანსაცმელში გამოწყობილებმა ვახშმის ნამუსრევსაც ბოლო მოვუღეთ, ერთმანეთს ითასი ისეთი რამ ვუთხარით, რისთვისაც აზრის მინიჭება მხოლოდ გრძნობებით დამთვრალ სიყვარულს შეუძლია, შემდეგ ისევ ლოგინში ჩავწექით და ყველა ღამეთაგან უმშვენიერესი ღამე უტკბილესი ვნებების ურთიერთმიძღვნაში გავათენეთ. ჩემი სიყვარულის საბოლოო დასტური ნანეტას ერგო, რადგან როცა სინიორა ორიო წირვაზე გაეშურა, იძულებული გავხდი, წასასვლელად ავჩქარებულიყავი და სინანულით ვამოვთხოვებოდი ჩემს ტურფა არსებებს, რომლებმაც გულში ანგელასადმი ყოველგვარი გრძნობა ჩამიქრეს.

შინ დაბრუნებული ლოგინში ჩავწექი და სადილობამდე ი-
ძინე.

სინიორ მალიპიერომ ჩემს გამოთავებულ თვალებს უუ-
რადღება მიაქცია, მაგრამ მე კრინტიც არაფერზე დამიძრავს
და ნებისმიერი ვარაუდის უფლება მას დავუტოვე. ერთი დღის
შემდეგ სინიორა ორიოს ვეწვიე და რაკიღა ანჯელა იქ არ
დამხვდა, ვახშმადაც დავრჩი და სინიორ როზასთან ერთად
წამოვედი. დრო რომ იხელთა, ნანეტამ წერილი და პატარა
შეკვრა გადმომცა. მასში გასაღების ანაბეჭდიანი ცვილის ნა-
ჭერი იდო, ხოლო წერილი მირჩევდა, რომ ამ ანაბეჭდის მი-
ხედვით გასაღები დამემზადებინა და როცა მათთან ერთად ღა-
მის გატარებას მოვისურვებდი, დანიშნულებისამებრ გამომე-
უენებინა. უფრო მეტიც, ნანეტამ მაცნობა, რომ ჩვენი ბობო-
ქარი ღამის მეორე დღეს ანჯელა მათთან დარჩა და მეგობ-
რებს შორის დამკვიდრებული გულახდილობის წყალობით
ყველაფერი შეიტყო, რაც წინა ღამეს მოხდა. დებს არც არა-
ფერი უარყვიათ და მთლიანად ანჯელა დაადანაშაულეს. შემ-
დეგ ანჯელამ საშინლად შეურაცხმყოფელი რამეები უთხრა
მათ და განაცხადა, რომ დღეის იქით ამ სახლში ფეხს არ შე-
მოდგამდა, მაგრამ ამ მუქარას დები საკუთარი გულგრილად
შეხვდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ანჯელასაგან თავად ბედმა გაგ-
ვათავისუფლა. მამამისი რამდენიმე დღით ვიჩენჩაში მიიწვი-
ეს იქაური პალატების ფრესკებით მოსახატავად და შვილიც
თან წაიყვანა. მისმა არყოფნამ ორივე ძვირფასი ქალიშვილის
ბედნიერ მფლობელად მაქცია, კვირაში ორ დღეს მაინც მათ-
თან ვატარებდი, რადგან ანაბეჭდით დამზადებული გასაღების
წყალობით სახლში შეპარვა აღარ მიჭირდა.

კარნავალი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ერთ დღეს
სინიორ მანცონიმ მაცნობა, ჯულიეტას შენთან დალაპარაკება
სურს და ძალიან ბრაზობს, რომ არ ეკარებიო. ცნობისმოყვა-
რეობამ მძლია და სინიორ მანცონის თანხლებით ვეწვიე. საკ-
მაოდ თავაზიანად მიმიღო და მითხრა, რომ როგორც მისთვის
ცნობილი იყო, ჩემს სახლში დიდი დარბაზი მქონდა და მას
სურდა რომ იქ მეჯლისი გაემართა, რომლის მთელ ხარჯებს
თვითონ იკისრებდა. დავიჯერე. [illegible] ცალი გადა-

მოვცა და თავისი ხალხი გამომიგზავნა, რათა დარბაზსა და სხვა ოთახებში ჭაღები დაეკიდათ, მე კი მხოლოდ ორკესტრსა და ვახშამზე ზრუნვა დამავალა.

მეჯლისი გაიმართა. ყველაფერი კარგად მიდიოდა. სტუმრები სულ ჯულიეტას წრიდან იყვნენ, სინიორა ორიოს, მისი დისწულებისა და სინიორ როზას გარდა, რომელთა მოწვევის ნება გამონაკლისის სახით დამრთეს. ისინი, როგორც არც ისე მნიშვნელოვანი ადამიანები, გვერდითა ოთახში იხდნენ.

ვახშმის შემდეგ, მენუეტის დროს, ჯულიეტამ განზე გამიხმო და მითხრა: — თქვენს ოთახში გამიყვანეთ. ერთი თავშესაქცევი აზრი მომივიდა და მაგრად ვიცინებთ.

ჩემი ოთახი მესამე სართულზე იყო. როგორც კი შევედით, დავინახე, რომ ჯულიეტამ კარი დაკეტა. არც კი ვიცოდი, რა მეფიქრა.

— მე მინდა, — მითხრა მან, — რომ ერთ-ერთი თქვენი კაბა მომცეთ და აბატად გამომაწყოთ, თქვენ კი ჩემს კაბას ჩაგაცმევთ. შემდეგ დარბაზში დავბრუნდებით და ერთად ვიცეკვებთ. აბა, ცოცხლად, მეგობარო, ვარცხნილობით დავიწყოთ.

ჩვენი ოინის უჩვეულობასა და უეჭველ წარმატებაში დარწმუნებული თავის გრძელ თმას თაკზე ვაგრაგნი, შემდეგ ჩემს თმას ვაჭარცხნინებ. ლოყებს ფერუმარილით მიღაღაქებს და სახეზე ხალებს მიკეთებს. ნებას ვაძლევ, რომ რაც უნდა ის მიყოს, და თან დიდ კმაყოფილებას გამოვთქვამ, ჯილოდ კი ტყბილ კოცნას ვიღებ, ოღონდ იმ პირობით, რომ უფრო მეტს არ მოვინდომებ.

— ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, მშვენიერო ჯულიეტა; მაგრამ იცოდეთ, რომ გაღმერთებთ.

ლოგინზე ვალაგებ პერანგს, საყელოს, ქვედა საცვალს, შავ წინდებს, ერთი სიტყვით, სრულ კოსტიუმს. ის მიახლოდება. ქვედა კაბას იძრობს და გრძელ საცვალს იცვამს, რომელიც მშვენივრად მოუდის, მაგრამ შარვლის მიზომებისას დაბრკოლებას აწყდება: სათავე ძალზე ვიწროა და ერთადერთი გამოსავალი მის უკანიდან გარღვევა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გაჭრაა. ამ საქმეს მე ვკისრულობ და საწოლის კიდეზე ვჯდები. ჯულიეტა კი ჩემს წინ ზურგშექცევით დგას. მე საქმიანობას ვიწყებ. მაგრამ მას წამდაუწუმ ეჩვენება, რომ

ძალზე შორს მიეძვრები, რომ უგერგილო და დაბდურა ვარ, რომ იქ ვეხები, სადაც არავითარი საჭიროება არ არის. მოთმინებას ჰკარგავს, თავიდან მიშორებს, შარვლის სათავეს წყვეტს და ცდილობს, რომ ყველაფერი თავისი ხელით მოიერგოს. შემდეგ ფეხსაცმლის ჩაცმაში ვეხმარები და პერანგს ვაცმევ, მაგრამ ჟაბოსა და საყელოს შებნევისას ჩემი ხელები მეტისმეტად ცნობისმოყვარედ ეჩვენება: საქმე იმაშია, რომ არც ისე საკვსე ბევრდი ჰქონდა. ლანძღვა-გინებით მაევსებს, უზრდელსა და ხეპრეს მეძახის. მე არ ვეპასუხები — არ მსურს გულუბრყვილო ბიჭად გამოვჩნდე, გარდა ამისა, ჩემი აზრით, კი ღირდა იმ ქალის უფრო გულდასმით დათვალიერება, ვისი ნაკვთებიც ასი ათას დუკატად შეაფასეს. ბოლოსდაბოლოს მისი ტუალეტი მთავრდება და ჩემი ჯერი დგება.-მიუხედავად მისი პროტესტისა, სწრაფად ვიხდი ბარკვალს. ახლა მან უნდა ჩამაცვას პერანგი, ‘ქვედა წელი, ერთი სიტყვით, უნდა გამომაწყოს. მაგრამ უცებ პრინცესას იწყებს, მიზეზობს, რომ არც ვცდილობ დავფარო ჩემი მშვენების ხელოვნების მეტისმეტად აშკარა დაფასტურება და უარს მეუბნება იმ მოწყალების გაღებაზე, რომელიც სიმშვიდეს რამდენიმე წამში დამიბრუნებდა. საკოცნელად ვეტანები, მაგრამ არ მანებებს, მოთმინებას ვკარგავ და, მისი კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩემი უკიდურესი აღგზნების ნიშანს ვაჩვენებ. ამ სანახაობაზე ილანძღება. მე ვარწმუნებ, რომ მართალი არ არის, მაგრამ ამაოდ. და მაინც იძულებული იყო, რომ ჩემი ტუალეტი დაესრულებინა.

სავსებით უეჭველია, რომ პატიოსან ქალს, რაკიღა ასეთ ფანტერაკზე მიდის, სათანადო განზრახვაც უდევს გულში და ამიტომ, როცა შესაფერის მოქმედებას აწყდება, უკან არ უნდა დაიხიოს. მაგრამ ჯელიეტას ჯიშის ქალებს წინააღმდეგობის ეინი მართავს, რაც მათ საკუთარი თავის მტრად აქცევს. თუმცა ჩემგან ასეთი ვაბედულების გამომჟღავნება მისთვის სავსებით მოულოდნელი იყო და ეს პირდაპირობა თავხედობად ჩამითვალა, იმის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი ექნებოდა, რომ რამდენიმე უწყინარ ალერსს მაინც გამოერჩინოდი, რაც არაფერს დაავალდებულებდა. მაგრამ ამით მის პატივმოყვარეობას ვაამებდი და ეს არ ჭირდება.

როცა მორთვა-მოკაზმვა დავამთავრეთ, დარბაზში ერთად ჩავედით, სადაც რამდენჯერმე განმეორებულმა აპლოდისმენტებმა ძალიან გაგვახალისა. ყველა ფიქრობდა, რომ ვაქციაცურ გამარჯვებას მივაღწიე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ არავის გადარწმუნებას არ ვაპირებდი და ჩემს რიოშ აბატთან საცეკვაოდ გადავეშვი. ჯულიეტა მთელ ღამეს ისე ალერსიანად მექცეოდა, რომ მისი ცვლილება თავისებურ მონანიებად მივიჩნიე და მზად ვიყავი ჩემი წეღანდელი საქციელისათვის თავი გამეკიცხა, მაგრამ ამ სისუსტისათვის მალე დაეისაჯე.

კადრილის შემდეგ ყველა კავალერი ჩემს აბატს გამოეჯვიმა, მაშინ მეც, ჩემის მხრივ, თავი აღარ შევიკავე. და ქალიშვილებს გავეარშიყე, რომლებსაც ყველაზე მეტად იმის ეშინოდათ, რომ სასაცილოდ არ აეგდოთ და ამიტომ მაინცდამაინც არც განაზებულან.

სინიორ კვერინი იმდენად ბრიყვი იყო, რომ მოვიდა და მკითხა, შარვალი თუ გაცვიაო, და როცა ვუპასუხე, ჯულიეტას ვათხოვე მეთქი, ნირწამხდარი კუთხეში მიიქცა და მერე აღარც უცეკვია.

მალე მთელმა საზოგადოებამ შენიშნა, რომ ქალის პერანგი შეცვა და უკვე აღარავინ ეჭვობდა, რომ მსხვერპლი გაღებული იყო. მხოლოდ ნანეტასა და მარტუჩას ვერ დააჯერებდა ვერაფერი, რომ მათ ვუღალატებდი. ჯულიეტა თავის წინდაუხედაობაში კი დარწმუნდა, მაგრამ უკვე აქმე ნაქნარი იყო და აღარაფრის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა.

როცა რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს ოთახში დავბრუნდი, ჯულიეტას მონანიებაში დარწმუნებულმა და, გარდა ამისა, გარკვეული სურვილით შეპყრობილმა, გადავწყვიტე, მისთვის შეკოცნა და ამით შეგრძნობინებინა, რომ უფრო მეტისთვისაც მზად ვიყავი, მაგრამ რა წამსაც ხელის შეხება დავუპირე, იმ წამსვე ისეთი სილა გამილაწუნა, რომ აღშფოთებისაგან გონდაბინდულმა ხურდის დაბრუნებისაგან თავი ძლივს შევიკავე. ამის შემდეგ ერთმანეთისათვის თვალებში არ შეგვიხედავს, ჩვენჩვენი სამოსი ფცრთიფურთით ჩავიცვით და ქვევით ჩავედით. მიუხედავად იმისა, რომ სახე ცივი წყლით კარგა ხანს

ვიზილე, ყველამ შენიშნა მსუქანი ალიყურის კვალი, ლოყაზე ჩემ მეხატა.

წასვლის წინ ჯულიეტამ გვერდზე გამიხმო და მტკიცედ და უყოყმანოდ განმიცხადა, რომ თუ ფანჯრიდან გადავარდნა სულითა და გულით მინდოდა, მაშინ საკმარისი იყო, მის სახლში ფეხი დამედგა, ხოლო თუ მაინცდამაინც მოგზავნილი მკვლელები მეჩვენა, მაშინ ჩვენს ნორის მოშიდან ამპარეს გავახმაურებდი. ძალიან ვცდილობდი, რომ არც ერთის და არც მეორის საბაბი არ მომეცა, მაგრამ ის კი ვერ შევძელი, რომ ჩვენი ნორის პირანგების გაცვლა საყოველთაოდ ცნობილი არ გამხდარიყო. რაკილა იმ დღის შემდეგ მის სახლში არავის ეუნახივარ, გადაწყვიტეს, რომ ჯულიეტამ ჩემი დათხოვნით სინიორ კვერინის თავმოყვარეობა დააკმაყოფილა.

მარხვა ნაწილობრივ ჩემს ორ ანგელოზთან გავატარე, ნაწილობრივ კი დელა-სალვეტის მონასტერში. საღამოობით კი სინიორ მალიპიეროსასმენლეებს ვესწრებოდი. მაგრამ შობამ ქალბატონ მონტერელეს-თვის მიცემული სიტყვა რომ შევასრულებინა, და თან ჩემი საყვარელი ლეჩიაც მენახა, პალაცოში გავემგზავრე. იქ სულ სხვა საზოგადოება დამხვდა, ვიდრე გასულ შემოდგომაზე იყო. უფროსი ვაჟი, გრაფი დანიელი, გრაფის ასულ გოცზე დაქორწინებულიყო, ხოლო ერთ ახალგაზრდა და მდიდარ ფერმერს მოხუცი ქალბატონის ნათლული შეერთო და ცოლთან და ცოლისდასთან ერთად ამ საზოგადოებაში დაეშვათ. ვახშამი მეტისმეტად გაჭიანურებული მეჩვენა. იმავე ოთახში დამაბინავეს და ლუჩიას ნახვამდე ერთი სული მქონდა. რაკილა საღამოს ვერ შეეხვდი, უეჭველ აღარ მეპარებოდა, რომ დილით გაღვიძებისთანავე მომაშურებდა. მაგრამ მის ნაცვლად მსუქანი, ჭუჭყიანი მოახლე გამოშეცხადა. სახლის ამბები გაგოვკითხე, მაგრამ ადგილობრივ კილოკავზე მპასუხობდა და ვერაფერი გავუგე.

შეწუხებული ვმკითხაობდი, თუ რა უნდა დამართნოდა ლუჩიას: ჩვენი ურთიერთობა ხომ არ გამეტანა? ავად ხომ არ არის? ხომ არ მოკვდა? გადავწყვიტე, მომეძებნა. „თუ ჩემთან შეხვედრა აკრძალული აქვს, — ვეუბნები ჩემს თავს, — აუცილებლად შურს ვიძიებ. ასე იქნება თუ ისე, მასთან დალა-

პარაკეტის საშუალებას როგორმე ვიპოვი და ყველაფერს გავიგებ. შეოცნებების გრძნობა მაიძულებს, რომ გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც ლორსებამ, მიუხედავად სიყვარულისა, მაშინ არ დამანება. მაგრამ, აი, შემოდის მეკარე. მას ნაღვლიანი სახე აქვს. ვეკითხები, ცოლ-შვილი როგორ გყავს-მეთქი. შვილს ხსენებაზე თვალები ცრემლით ევსება.

— გარდაიცვალა?

— ნეტამც ეგრე ყოფილიყო.

— აბა რა მოხდა?

— გრაფ დანიელეს შეკრიკთან ერთად გაიქცა და არც კი ვიცით ახლა სად არის.

შემოდის. მისი ცოლი. ჩვენი საუბარი მწუხარებას ეღვიძებს და გული მესდის. მეკარე ჩემს გულწრფელ თანაგრძნობას ხედავს და მეუბნება, რომ სულ ერთი კვირაა, რაც ეს უბედურება ეწიათ.

— ვიცნობ მაგ ორლს, — ვეუბნები, — დიდი ნაძირალა ვინმეა. შვილის ხელი თუ გოხოვათ?

— რადგან იცოდა, რომ თანხმობას არ მივცემდით.

— მაკვირვებს ლუჩიას საქციელი.

— იმან შეაცდინა. სინამდვილე მხოლოდ მისი გაპარვის შემდეგ ვიეჭვეთ. ძალიან დამრგვალდა.

— ესე იგი, დიდი ხანია ერთმანეთს ხვდებოდნენ?

— თქვენი წასვლიდან ერთი თვის შემდეგ გაიცნო. ალბათ, მოაჯადოვა-იმ წყეულმა, თორემ ლუჩია უბიწო ბავშვი იყო. ვფიქრობ, თქვენც დამიმოწმებთ ამას.

— და არავინ იცის, სად არიან?

— არა. ღმერთმა უწყის, ეს ნაძირალა რას დამართებს.

ბ. მწუხარებული გარეთ გავედი და კაეშნის გასაქარვებლად თავი ტყეს შევაფარე.

ეკლესიას უბედურების ამბავს გავიგებდი, თავი მომწონდა და კიდეც ვამაყობდი იმით, რომ ნებისყოფა ვამოვიჩინე და მისი უმანკოება არ შევბღალე, ახლა კი მრცხვენოდა და ვნანობდი. თავს აღთქმა დავუდე, რომ ამიერიდან ასეთ შემთხვევებში უფრო გონივრულად გავირჯებოდი. განსაკუთრებით მიკვდებოდა გული, როცა ჩემს უბედურ გოგოს მომავალში წარმოვიდგენდი: ლატაკს, პატიოსანძღულს, ჩემი

სახელის მაწყევარსა და თავისი უბედურების პირველმიზეზად მოძულეს. ამ საბედისწერო შემთხვევამ ქცევის ახალი სისტემის არჩევა მაიძულა, რისი მეშვეობითაც შემდეგში ბევრჯერ ძალიან შორს შევიტოპავ.

უკან მოვბრუნდი და ბალში მყოფ ხმაურიან საზოგადოებას შეეუერთდი, რომელიც ხალისიანად შემხვდა და ისეთ კარგ გუნებაზე დამაყენა, რომ სეფრასთან ყველას ვართობდი. ისეთ დღეში ვიყავი, რომ ან ენდა მეხტუნა და მეკუნტრუშა, ან უნდა წავსულიყავი. გარდა ამისა, ახალგაზარდაწერილი ქალის გარეგნობამ, უფრო მეტად კი ჩემთვის სრულიად უჩვეულო ხასიათმა, ცეცხლზე ნავთი დამასხა. მისი და უფრო ლამაზი იყო, მაგრამ ძალიან მიამიტი ჩანდა და ეს მაფრთხობდა — არ მქონდა მასთან დავიდარაბის თავი.

ახალგაზრდა კი ცხრამეტი-ოცი წლისა იქნებოდა და თავისი შედიდურობით საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. დიდი ლაქლაქა ქალი იყო და მეხალერება ჭკვიანური გამონათქვამებით ჰქონდა გამოტენილი, რითაც ზოგჯერ ყოველგვარ ზომაზე მეტად კეკლუცობდა. ქმარზე ეაშველოდ შეყვარებული ჩანდა და ეკმაყოფილებას ვერ ძალავდა, როცა კაცი მის დას თვალებს უეჭეუნებდა. ეს ვაჟბატონიც დიდი ქარაფშუტა ვინმე გახლდათ. იქნებ ცოლი ძალიანაც უყვარდა, მაგრამ ეგონა, რომ მისდამი გულგრილობის გამოჩენა კარგ ტონად ჩაეთვლებოდა და ცოლისთვის ეკვიანობის საბაბის მიცემით თავის ბრიყეულ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებდა. თავის მხრივ, ქალსაც ეშინოდა, საზოგადოების თვალში სულელად არ გამოჩენილიყო, ქმრის საქციელისათვის ყურადღება რომ არ მიექცა. მაღალ საზოგადოებაში თავს უხერხულად სწორედ იმის გამო გრძნობდა, რომ ძალიან ცდილობდა თავი ამ საზოგადოებისათვის გაჩენილად მოეჩვენებინა. როცა მე ათასგვარ აბდაუბდას ვჩმახავდი, გაფაციცებული მისმენდა და გონებაშეზღუდულად რომ არ გამოჩენილიყო, ყოვლად უადგილოდ იცინოდა. მისმა უცნაურობებმა, ბატისტვინობამ და პრეტენზიულობამ ცნობისმოყვარეობა აღმიძრა და არშიყობა დავუწყე.

ამაღლება დღეს ყველანი ერთად იტალიური პარნასის ერთ-ერთ სახელოვან მკვიდრს, სინიორ ბერგოლის, ვეწვიეთ, იმავე საღამოს, პასეანოში რომ ვბრუნდებოდით, ჩემმა მშვე-

ნიერმა ფერმერის მეუღლემ იმ ოთხადგილიან კარეტაში ისურვა ჩაჯდომა, სადაც მისი მეუღლე და და იხდნენ, მაშინ, როცა მე მარტოს მოხდენილი ორთვალა ეჭირა. გავგულისდი, ავეკაჭუანდი, ეს ჩემს მიმართ უნდობლობის ნიშანია-მეთქი. სხვებიც ავიყოლიე, ფერმერის ცოლს უტაქტობაზე მიუთითეს, უთხრეს, რომ ჩემთვის ასე არ უნდა ეწყენინებინა და ქალმაც, ბოლოსდაბოლოს, პატივი დამდო და გვერდით მომიჯდა. ფორეიტორს ვუბრძანე მოკლეზე ვევლო. ტყე-ტყე მგზავრობა ვარჩიეთ და დანარჩენ ეკიპაჟებს მალე მოვწყდით. წამოსვლისას ცა სავსებით მოკრიალებული იყო, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. ასეთი ავდარი ხშირია სამხრეთში: გეგონება ჯოჯოხეთის კარიბჭე გაიხსნა და დედამიწას ჩანთქმას უპირებსო. მაგრამ მალე ისევ მოსინათლდება, ჰაერი ამსუბუქდება და ყველაფერი არაფრით მთავრდება. ასე რომ, სამხრეთულ ჭექა-ქუხილს ცუდზე ვეტი სიკეთე მოაქვს.

— ო, მამაზეციერო! — შესძახა ფერმერის მეუღლემ, — დელგმას ვერ გადავურჩებით.

— დიახ, — ვუპასუხე მე, — და თუმცა ეკიპაჟი დახურულია, წვიმა თქვენს ლამაზ კაბას მაინც გაგიფუჭებთ. ძალიან საწყენია.

— კაბის დარდი არა მაქვს, მაგრამ ქუხილი კი ძალიან მაშინებს.

— ყურები დაიცავით.

— ელვა?

— ფორეიტორო, კარგი იქნება, თუ სადმე შევეფარებით.

— უახლოესი შენობა აქედან ნახევარ მილზეა, სინიორ. სანამ იქამდე მივაღწევდეთ, კიდეც გამოიდარებს.

ისევ მშვიდად გარეკა ცხენები, და აი, უკვე ელვა იკლაკნება, ცა გრგვინავს და ჩემი ფერმერის მეუღლე შიშისაგან კანკალებს. წვიმა ჩანჩქერივით მოთქრიალებს. ლაბადას ვიხდი, რათა წინიდან ავიფარო და იმავ წამს ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯზე ჩამოვარდნილი მეხი თვალებს გვიბრმავებს. ცხენები ყალყზე დგებიან, ჩემს საბრალო თანამგზავრს კი კრუნჩხვები ემართება, ტანზე მეკვრის და მკლავებს მხვევს. მე დავარდნილი ლაბადის ასაღებად ვიხრები, შემთხვევით ვსარგებლობ

და ქვედაწელის კაბას ვუწევ. ის ჩაწევას ცდილობს, მაგრამ ტანებ ისევ სახარელი გრიალი გაიმის და თავზარდაცემულ ქალს უკანასკნელ ძალ-ღონეს აცლის. ლაბადას ვახურავ და ჩემკენ ვეზიდები, ეკიპაჟის რწევა ხელს უწყობს ჩემს ძალისხმევას და ქალი ყველაზე ბედნიერ პოზაში ზედ მეცემა. დროს არ ვკარგავ. ისევ მოძრაობას ვაკეთებ, თითქოს ჯიბეში საათს ვისწორებდე და შეტევისათვის ვემზადები. ქალი გრძნობს, რომ თუ საგანგებო ზომები არ მიიღო, ჩემგან თავს ველარ დაიხსნის და გააფთრებული მებრძვის. მაგრამ ხელებს ვუკავებ და ვეუბნები. რომ თუ თავს გულწასულად არ მოაჩვენებ., ფორეიტორი ყველაფერს მიხვდება. შემდეგ უფლებას ვაძლევ, რომ უწმინდური, ნაძირალა და რაც გაეხარდება ის მიწოდოს, და ამასობაში ვაღწევ ყველაზე სრულ გამარჯვებას, რაც კი რომელიმე ათლეტს ოდესმე მოუპოვებია.

წვიმა ისევ კოკისპირულად ასხამდა, ქარაშოტი პირდაპირ სახეში გვცემდა. ის კი იმავე პოზაში იძულებით მწოლარე, მეუბნებოდა, რომ მის პატრონსან სახელს ვარცხვენ. რადგან ფორეიტორს ყველაფერს დანახავ შეუძლია.

— მე ვუთვალთვალებ, — ვუპასუხე. — თავის მობრუნება ფიქრადაც არ მოსდის. ესეც რომ მოხდეს, ლაბადა გვიფარავს. გონიერებას მოუხმეთ და გულწასულის პოზაში დარჩით, რადგან მაინც არ მოგეშვებით.

თითქოს დათმობას იწყებს და მხოლოდ იმას მეკითხება, მეხის როგორ არ გეშინიან.

— მეხი ჩემი მოკავშირეა. — ვეუბნები მე.

თითქოს მართლა იჯერებს, თანდათან მხნეედება, ჩემს ექსტაზს გრძნობს და მეკითხება, მალე მორჩები თუ არაო. ღიმილით ვეუბნები არა-მეთქი. რადგან მინდა, რომ ჰექა-ქუხილის დამთავრებამდე დავიყოლიო.

— დამემორჩილეთ, ან ლაბადას დავაგდებ.

— საზიზღარო ადამიანო. თქვენ სიცოცხლის ბოლომდე უბედური გამხადეთ. კმაყოფილი ხართ?

— არა.

— კიდევ რაღა გნებავთ?

— კოცნების კასკადი.

— ოჰ, რა უბედური ვარ! კარგი, აჰა, მიიღეთ.

— ახლა მითხარით, რომ მაპატიეთ, და გამოტყდით, რომ ჩემთან ერთად ისიამოვნეთ.

— თვითონაც კარგად იცით. ჰო, გაპატიეთ.

მაშინ თავისუფლება დავუბრუნე და თავაზიანად გავუწიე გაოცებული სახის დახმარება. შემდეგ ვთხოვე, მასაც იგივე ექნა, რაც ღიმილით შემისრულა.

— მითხარით, რომ გიყვარვართ.

— არა! იმიტომ, რომ ულმერთო ხართ და ჯოჯოხეთი გელოდებათ.

პასეანოში დანარჩენ საზოგადოებაზე ერთი საათით ადრე ჩავედით. ჩემი ტურფა ეკიპაჟიდან გადავიდა და თავის ოთახს მიაშურა. სანამ საფულეში ფორეიტორისათვის სკუდოს მოვძებნიდი, შევნიშნე, რომ იგი იღიმებოდა.

— რა გაცინებს?

— ვითომ არ იცით.

— აი, შენ დუკატი. და ენას კბილი დააჭირე.

ვენეციაში დაბრუნებულს ბებია ავად დამხვდა. იძულებული გავხდი, რომ ჩვეულ ყოფაზე უარი მეთქვა და მთელი დრო მასზე ზრუნვისათვის დამეთმო. უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჰის საბეცელს არ მოვშორებივარ. ბებიას ჩემთვის დასატოვებელი არაფერი გააჩნდა, რადგან რაც ჰქონდა, სიცოცხლეშივე მისხალმისხალ გადმომცა. მისმა გარდაცვალებამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ ცხოვრების წესიც კი გამოვიცვალე.

ორი თვის შემდეგ დედაჩემის ბარათი მივიღე, რომელშიც მწერდა, რომ ვენეციაში დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდა და ამიტომ აქ დაქირავებული სახლის დაცლას აპირებდა. მან თავისი განზრახვა აბატ გრიმანის აცნობა და ამიერიდან მისი მითითებით უნდა მეხელმძღვანელა. აბატს მთელი მოძრავი ქონების გაყიდვა და ჩემი და ჩემი და-ძმების კარგ პანსიონში მიბარება ევალებოდა.

სახლის ქირა წლის ბოლომდე იყო გადახდილი, მაგრამ რაკიღა გაფრთხილებული ვიყავი, რომ გარკვეული დროის შემდეგ აღარც საკუთარი ბინა მექნებოდა და აღარც ქონება, ხელ-ფეხი გავიხსენი და საქმეს შევუდექი. თეთრეული, ხა-

ლიჩებს, ფაიფური უკვე გაყიდული მქონდა და ახლა სარკეებს, ლოგინებსა და სხვა რამეებს მივდექი. არად ვაგდებდი იმას, რომ ჩემი საქციელი დიდ უმაყოფილებას გამოიწვევდა. ეს მამაჩემის შემკვიდრეობა იყო და დედაჩემს მასზე არავითარი უფლება არ ჰქონდა. ჩემს ძმებს კი მე თვითონ მოვურიგდებოდი.

ოთხი თვის შემდეგ დედაჩემისაგან წერილი მივიღე, რომელსაც ვარშავის ბეჭედი ესვა და შიგ სხვა ბარათიც იდო. ეი, ამ წერილის თარგმანი:

„ჩემო ძვირფასო ბიჭო, მე აქ ერთი კალაბრიელი სწავლული გავიცანი და მისმა ემწიკვლო ზნეობამ და კეთილშობილებამ მაფიქრებინა, რომ მისთვის შენი გაცნობა ურიგო არ იქნებოდა. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვუამბე, რომ მყავს ვაჟი, რომელიც სასულიერო წოდებისათვის ემზადება, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერაფრით ვეხმარები. მან მითხრა, რომ თუ ერთ სამსახურს გავუწევდი, ჩემს ვაჟს მამასავით უპატრონებდა. კერძოდ, სურდა დედოფალთან მეშუამდგომლა, რომ მის მშობლიურ ქალაქში ეპისკოპოსად დაენიშნა. საქმე იოლად მოგვარდებაო, დაუმატა მან, თუ დედოფალი ინებებს და ამის თაობაზე თავის ქალიშვილს, ნეაპოლის დედოფალს მისწერსო. ღვთის წყალობის იმედით მისი უდიდებულესობის ფერხთით დავეცი და ჩემი თხოვნა შესმენილ იქნა. დედოფალმა თავის ქალიშვილს მისწერა და ფრიად პატივცემული პრელატი ესე პაპის ბრძანებით მარტორანის ეპისკოპოსად დაინიშნა. ამრიგად, ჩემო შვილო, ის თავის დანაპირებს აღასრულებს და მომავალი წლის ზაფხულში წასაყვანად გამოგივლის, რადგან კალაბრიაში მიმავალი გზა ვენეციაზე გადის. ის თვითონ გწერთ ამის თაობაზე მეორე წერილში. დაუყოვნებლივ უპასუხეთ. წერილი კი ჩემს მისამართზე გამოგზავნეთ. მე გადავცემ. ის გაგიკვალავთ გზას უმაღლესი სასულიერო წოდებისაკენ. წარმოიდგინეთ, როგორი ნუგეში იქნება მოხუცი დედისათვის, როცა ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ სულ ცოტა ეპისკოპოსად გიხილავთ. მის ჩამოსვლამდე თქვენზე აბატი გრიმანი იზრუნებს. გლოცავთ, ჩემო შვილო, საუკეთესო სურვილებით, და ა. შ.“

ეპისკოპოსის წერილი ლათინურად იყო დაწერილი და იმას

ინკორებდა, რაც უკვე დედაჩემმა მაცნობა. -მაფრთხილებდა, ვენეციაში მხოლოდ ამ დღეს დავრჩებიო.

ორივე წერილმა შეცხრე ცაზე ამაფრინა. მშვიდობით ვენეცია! დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს წინაშე ბრწყინვალე მომავალი იშლებოდა მინდოდა, რაც შეიძლება მალე შემედგა ფეხი მისკენ ვიმავალ გზაზე და მიხაროდა, რომ საშობლოს დატოვების გამო ერთ ბეწო სინანულსაც არ ვგრძნობდი.

...გაშლოდა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს სინიორ გრიმანიმ ეპისკოპოსის ჩამოსვლა მაუწყა. აბატმა ატუმართან პირადად წარმადგინა, როგორც ძვირფასი განძი, რომლის ჩვენების უფლება მხოლოდ მას ჰქონდა.

ჩემს წინაშე აღმოჩნდა ოცდათოთხმეტი წლის პირმშვენიერი მონაზონი, რომელმაც ეპისკოპოსობას უფალი ღმერთის, წმინდა ტახტისა და დედაჩემის წყალობით მიაღწია. მუხლი მოვუყარე. მან დამლოცა, ხელზე ამბორის ნება მიბოძა, გულზე მიმიხუტა და ლათინურ ენაზე თავისი შვილი მიწოდა. შემდეგაც სულ ლათინურად მელაპარაკებოდა.

მან მითხრა, რომ პირდაპირ ვენეციიდან ჩემი წაყვანა არ შეეძლო, ამიტომ სინიორ გრიმანი რომში ვამამგზავრებდა, მის მისამართს კი ანკონაში გავიგებდი მონაზონ ლაძარისაგან, რომელიც მგზავრობისათვის საჭირო საშუალებებითაც აღმჭურავდა.

ეპისკოპოსის გამგზავრების შემდეგ სინიორ გრიმანიმ მისი დატოვებული წერილი გადმომცა, რომელიც ანკონაში მამა ლაძარისათვის უნდა მიმეტანა.

იმის გამო, რომ პეოტა მეორე დღის განთიადზე გადიოდა, გადავწყვიტე, ეს მოკლე ღამე ჩემს ორ ანგელოზთან გამეტარებინა. სევდასა და სიხარულში, ნეტარებასა და ცრემლებში დავკარგეთ. განშორებისას ამდენი სიამოვნების მომნიჭებელი ვაბაღებიც დავუბრუნე.

პეოტაში წმინდა მარკოზის პატარა მოედანთან ჩავჯექი. წინა დღით სინიორ გრიმანიმ ათი ცეხინი მაჩუქა, რაც მისი აზრით, ანკონის ლაზარეთში კარანტინის გავლის დროს საკვებით მიყოფდა, ხოლო ის, რომ ფული ლაზარეთიდან გამოსვლის შემდეგაც დამჭირდებოდა, თავში არავის მოსვლია. რაკილა ეს ბატონები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფული

ჩეჩქივით მქონდა, ისღა დამრჩენოდა, რომ მათი რწმენა მეც გამეზიარებინა. თანაც საფულეში შავი დღისათვის გადამალული გროშებიც მეგულებოდა და ესეც საქმე იყო: ორმოცდაორი ცეხინი ჩემს ყმაწვილურ სულისკვეთებას გარკვეულ თავდაჯერებასა და მხნეობას ჰმატებდა. ამრიგად, სიხარულით მივემგზავრებოდი და არაფერს ვნანობდი.

ანკონაში ჩამოვედი და ძველ საკარანტინო შენობაში წამიყვანეს, რადგან ვენეციამ სამთვიანი კარანტინის შემდეგ, ქალაქში იმ გემის ეკიპაჟი შემოუშვა, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინ შავი ჭირი მძვინვარებდა.

დილიდან საღამომდე ლაზარეთის ეზოში დავსეირნობდი, მაგრამ მალე იძულებული გავხდი, ეს გასეირნებანი შემეწყვიტა, რადგან ქვედა სართულზე სალონიკიდან ჩამოსული თურქი ვაჭარი და მთელი მისი ამალა დასახლდა. ერთადერთი გასართობილა დამრჩა: საათობით ვიჯექი ივანზე და ეზოში ვიყურებოდი. ერთხელ იქ გასაოცარი სილამაზის ბერძენი მოინა გოგო დავინახე. სულ კარის ზღურბლზე იჯდა და რაღაცას ქსოვდა ან წიგნს კითხულობდა. როცა მისი მშვენიერი თვალები ჩემსას შეეფეთებოდა, თავს მორცხვად ხრიდა, ზოგჯერ კი სულაც დგებოდა და ნელი ნაბიჯით სახლში შედიოდა. ფითქმის მთლად ნორჩი, მაღალი, ტანკენარი გოგო იყო, თვალისმომჭრელად ქათქათა კანი ჰქონდა, თმა და თვალები კი — საკვირველად შავი ფერისა. ბერძნული სამოსი ეცვა, რაც მთელ მის გარეგნობას რაღაც მომნუსხველ ვნებიერებას ანიჭებდა.

განა შეეძლო ჩემი ბუნებისა და ჩვეულების ადამიანს, თანაც კარანტინში სრული მცონარობის ჟამს, ამ მაცდუნებელი არსებისათვის თითქმის მთელი დღის განმავლობაში ეკვირტა და სრულ ჭკუაზე დარჩენილიყო? მესმოდა, ლევანტიურ კილოზე როგორ ელაპარაკებოდა თავის პატრონს, ლამაზ ბერიკაცს, რომელიც მასავით მოწყენილი იყო და თავისი განუყრელი ჩიბუხით ეზოში თითქოს მხოლოდ იმიტომ გამოდიოდა, რომ მაშინვე სახლში შებრუნებულიყო. დიდი სიამოვნებით ვეტყოდი რამდენიმე სიტყვას ამ მიმზიდველ ქალიშვილს, იმის შიშ რომ არ მქონოდა, დავაფრთხობ და მერე სულაც ვერ დავი-

ნახავ-ცეცხლი. ამას კი კფიქრობდი. მაგრამ მეტის შოთმენაც ალარ შემეძლო და გადავწყვიტე, ბარათი მიმეწერა, მითუმეტეს, რომ მისთვის გადაცემა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა: საკმარისი იყო, წერილი აივნიდან ძირს ჩამეგდო. მაგრამ რაკიღა დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ალებდა, ყოველგვარი ღონის გამოსარიცხავად ასეთი ხრიკი მოვიგონე: ავიღეთ წუთი, როცა ის მარტო იყო და ფეხებთან წერილივით დაკეცილი ქაღალდის ფურცელი ჩავუგდე, მაგრამ ზედ განგებ არაფერი დამიწერია. ხელში კი ნამდვილი ბარათი მეჭირა. როცა დავინახე, რომ პირველი ქაღალდის ასაღებად დაიხარა, სასწრაფოდ მეორეც ჩავუგდე, რომელიც პირველთან ერთად აიღო, ჯიბეში ჩაიდო და იმავ წუთს გაეჩინარდა. ბარათში დაახლოებით ასეთი რამ ეწერა: „აღმოსავლეთის ანგელოზო, ჩემი ღვთაება ხარ. მთელი ღამე აივანზე ვხიკარ და ვოცნებობ, რომ თუნდაც ერთი წუთით მოხვალ იმ ხვრელთან, ჩემს ფერხთით რომ არის. ჩურჩულით ვისაუბრებთ, ხოლო ჩემი ხმა რომ გაიგონო, იმავე ხვრელის ქვეშ დადებულ ფუთაზე უნდა შედგე".

ჩემს დარაჯს ვთხოვე, ღამით, ჩვეულებისამებრ, ოთახში არ ჩავეკეტე, და ისიც დამთანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ თვალყურს მომადევნებდა, რადგან აივნიდან ეზოში რომ ჩავმხტარიყავი, პასუხს საკუთარი თავით აგებდა. სამაგიეროდ სიტყვა მომცა, რომ აივანზე არ გამოვიდოდა.

შუაღამით, როცა უკვე ყოველგვარი იმედი გადამეწურა, ბერძნულ გოგო შინიდან გამოვიდა. მაშინ მთელ სიგრძეზე გავწექი. თავი იატაკის ხვრელს ვუსწორე და დავინახე, რომ გოგო ფუთაზე იდგა და მოყანყალე საფუძველზე თავის შესამაგრებლად ხელებით კედელს ეყრდნობოდა. ამ მერყევ მდგომარეობაში გავაბით საუბარი სიყვარულზე, ჩვენს სურვილებზე, გადასალახავ დაბრკოლებებზე და იმაზე, რომ თუ გული გულობს, საშველი ყოველთვის მოიძებნება. მე ავუხსენი, რატომ არ შემეძლო აივნიდან მასთან ჩახტომა, მან კი მანუგეშა, ეს მიზეზიც რომ არ ყოფილიყო, მაინც დავიღუპებოდით, რადგან უკან ამოძრომა შეუძლებელი იქნებოდაო. გარდა ამისა, ღმერთმა უწყის, რას იზამდა მისი თურქი, ამ ყოფაში რომ შიმოესწრო. შემდეგ აღმითქვა, რომ ყოველ ღამე მოვიდოდა

ჩემთან სასაუბროდ, და ხვრელში ხელი შემოჰყო. ვაგლახ! მისი კოცნით გული ვერ ვიჯერე, რადგან მეჩვენებოდა, რომ ასეთ ნაზ, ასეთ სალუქ ხელს ჩემს ცხოვრებაში არ შევხებოდი.

მაგრამ როგორი ნეტარებით აღვივსე, როცა ჩანაც ხელის მიწოდება მთხოვა! მაშინვე დავეფაცურდი და ისე მოვახერხე, რომ ტუჩებით ჩემს იდაყვს დასწაფებოდა. რამდენიმე საამური ანცობა იკადრა მაშინ ჩემმა ხელმა! მაგრამ ამასობაში განშორების დროც დადგა და ოთახში დაბრუნებულმა სიხარულით აღმოვაჩინე, რომ ჩემი დარაჯი კუთხეში გემრიელად ხვრინავდა.

კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ უხერხულ მდგომარეობაში შესაძლებლობის მაქსიმუმს მივაღწიე და ახლა იმაზე ვიმტკვრევდი თავს, ხვალ რა მელონა იმისათვის, რომ როგორმე მეტი სიამოვნება მიგვეღო. მაგრამ მეორე დღეს დავრწმუნდი, რომ ამ საქმეში ბერძენი მზეთუნახავის ქალური გენია ჩემს ნიჭს გაცილებით აღემატებოდა.

თავის პატრონთან ერთად ეზოში ყოფნისას გოგომ მას რაღაც უთხრა, რაც თურქს, ეტყობა, ეკუაში დაუჯდა და ამის შემდეგ მოსამსახურე კაცმა, დარაჯის დახმარებით, აივნის ქვეშ საქონლით სავსე უზარმაზარი ყუთი დადგა. გოგო მათ საქმიანობას ხელმძღვანელობდა და თითქოს ყუთისათვის მეტი ადგილის გასათავისუფლებლად ბრძანა, რომ ბამბით გატენილ ორ ფუთაზე ჯვარედინად მესამე ფუთაც დაედოთ. მის განზრახვას რომ ჩავწვდი, სიხარულისაგან გული ამიფანცქალდა, რადგან ამაღამ ჩემთან მოსული გოგო ამ ხერხით ორი ფუტით კიდევ ამაღლდებოდა. მაგრამ მაშინვე ისიც ვიფიქრე, რომ სამ ფუთაზე აკორიკებული ჩემი მზეთუნახავი მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან წელის გამართვას ვერ შესძლებდა, მოკუნტული კი ფეხსაც მყარად ვერ მოიკიდებდა და შესაძლო იყო, მარცხი მოგვსვლოდა. ხვრელი არც ისე დიდი იყო, რომ გოგოს თავის გამოყოფა და კარგად გამართვა მოეხერხებინა. ასე რომ, ამ გასაჭირიდან რაიმე გამოსავალი უნდა მეპოვა. ერთადერთი, რისი მოფიქრებაც შეეძელი, მთელი ფიცრის ამოგლეჯა იყო. ეს კი იოლი საქმე არ ჩანდა. მაინც მტკიცე გადაწყვეტილებით შევედი ოთახში, გაზით შევიარაღდი, დარაჯის არყოფნით ვისარგებლე და რის

კაიკაკლახით იატაკიდან ოთხი ლერსმანი ამოვაძვრე. როცა დავრწმუნდი, რომ ფიცარი უკვე ადვილად ძვრებოდა, გაზი ოთახში შევიტანე და მიჯნურის სულწასულობით ღამის მოლოდინში ჩავსაფრდი.

ჩემი გოგო პუსტად შუაღამეზე გამოცხადდა. სედა ფუთაზე რომ აფორთხდა და ასე თუ ისე ფეხი მოიკიდა, ფიცარი გადაეჩარჩინე, რაც შემეძლო გავწვართე ხელი და მოულოდნელი საყრდენი შევთავაზე. გოგო გაიმართა და საამო გაოცებით აღმოაჩინა, რომ ხვრელში არა მარტო თავის, არამედ ორივე ხელის გამოყოფა შეეძლო. ურთიერთმისალმებასა და მოკითხვებზე დრო არ გაგვიცდენია. ერთმანეთს მხოლოდ შეთანხმებული შრომით მიღწეული წარმატება მივულოცეთ.

თუ წინა ღამეს მდგომარეობის ბატონ-პატრონი მე ვიყავი, ახლა პირიქით მოხდა: მისი ხელი მთელ ჩემს არსებას ნთქავდა, მე კი შუა გზის იქით ვერ მივდიოდი. გოგო ფუთების შემკვრელებს წყეული-კრულვას უგზავნიდა იმისათვის, რომ ნახევარი ფუტი მაინც არ წაუმატეს. მაშინ ხომ უფრო ეომიახლოვდებოდა და ხელსაც ყველგან მივაწვდენდი, რაც, რა თქმა უნდა, საკმარისი სულაც არ იყო, მაგრამ მაინც საქმე იქნებოდა.

აეთი მწირი შესაძლებლობების მიუხედავად, გათენებამდე თავდავიწყებით ვნეტარებდით. დილით ფიცარი თავის ადგილზე საგულდაგულოდ დავამაგრე და დასაძინებლად წავედი. სანამ დიმშორდებოდა, საყვარელმა ბერძნის გოგომ გამაფრთხილა, რომ მცირე ბაირამი იწყებოდა, რომელიც სამ დღეს გასტანდა, ამიტომ შეხვედრას მხოლოდ მეოთხე დღეს შეეძლებდით.

ბაირამის შემდეგ პირველსავე დღეს მოვიდა და განმიცხადა, რომ უჩემოდ სიცოცხლე ვერ წარმოედგინა და რომ კარანტინიდან გამოსვლისთანავე მისი გამოსყიდვა შემეძლო. ამ განცხადებამ მაიძულა მეღიარებინა, რომ საამისო სახსრები არ მომეპოვებოდა, მან კი პასუხად მხოლოდ ღრმად ამოიოხრა და წავიდა. მეორე დღეს მახარა, რომ პატრონი მას ორი ათას პიასტრად აფასებდა და ამ ფულს თვითონ იშოვიდა: ხვალვე მომიტანდა ბრილიანტებიან ზარდახშას, რომელშიც ისეთი თვლები ეწყო, რომ მარტო ერთი ცალი ორიათასი პიასტრი

ღირდა, და დაწარჩენებსაც რომ გავყიდდით, მთელ ცხოვრებას არხეინად კეკლუცობდით. მარწმუნებდა, რომ ზარდახშის გაქრობას მდიდარი თურქი გერ შენიშნავდა. მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, მასზე ეკვს მაინც არ მიიტანდა. ბოლოს მაუწყა, რომ ქალწული იყო და მის ცოლად შერთვით ძალიან კმაყოფილი დავრჩებოდი.

უკვე მიყვარდა ეს გოგო და მისმა წინადადებამ ძალიან ამაღელვა, მაგრამ დილით რომ გავიღვიძე, სხვა ჭკუაზე ვიყავი. ჩვეულ დროს მოვიდა და ზარდახშაც მოიტანა. მაგრამ როცა ვუთხარი რომ ქურდობაში მონაწილეობის მიღება არ მსურდა, გაწბილებულმა ამოიოხრა და მისაყვედურა: ნამეტანი რომ გიყვარდე, მაგაზე არ იფიქრებდი, ვხედავ, რომ შენი სიყვარულის ძალა ჩემსას არ შეედრება, მაგრამ იმაში დავრწმუნდი, რომ კარგი ქრისტიანი ხარო.

ის ჩვენი ბოლო ღამე იყო. ალბათ, ეკანისკნელად ვხედავდით ერთმანეთს. ძარღვებში მოდებული ცეცხლი სულს გვიბუგავდა. თუ გინდა მანდ ამომიყვანეო, მითხრა. ასეთ მაცდუნებელ წინადადებაზე უარს რომელი მიჯნური იტყოდა? ვდგები, იღლიებში ხელებს ვაცლებ და აივანზე ამომყავს; აი, უკვე მის დასაუფლებლადაც მზად ვარ და უცებ ვგრძნობ, რომ ვილაც მხრებზე მეჭიდება და დარაჯის ყვირილი მესმის:

— რას აკეთებთ აქ?

ძვირფას ტვირთს ხელს ვუშვებ, სიშმაგისაგან ელრიალებ, იატაკზე ვიშხლართები და ფეხებს ვაფხარკალებ. დარაჯი ისევ მეჯაჯგურება და მზად ვარ ნაკუწ-ნაკუწ დაეგლიჯო. ბოლოს-დაბოლოს, ვდგები და დახაძინებლად მივლასლასებ.

დილით ლაზარეთის გამგე მოვიდა და თავისუფლება გამომიცხადა. გულდაკოდილი მივდიოდი და ვხედავდი, როგორ ილვრებოდა ცრემლებად ჩემი ბერძენი მზეთუნახავი...

...მამა ლაძარომ ექვსი ცეხინი მომცა და ეპისკოპოსის მისამართი მითხრა. ის ტოსკანაში კარანტინის გავლის შემდეგ რომში გამგზავრებას აპირებდა და ერთმანეთს იქ უნდა შევხვედროდით. მეორე დილით გზას გავუდექი.

წმინდა ქალაქში ქანცგაწყვეტილი ჩავედი, რადგან ფეხით თხუთმეტი მილი ცხოვრებაში პირველად გავიარე, თანაც გზა-

ში მხოლოდ წყალს ვსვამდი, რადგან ადგილობრივი ძელგი ღვინო გულს მიძვარავდა. სიცხე კი აუტანელი იყო.

ქალაქის კარიბჭესთან სანდომიანი გარეგნობის ხანშესულ-ი ებატი წამომეწია. შევნიშნე, რომ დამაკვირდა და მივესალ-მე. შემდეგ კი ვთხოვე, წესიერი ფუნდუკი ესწავლებინა. „თქვენნაირი ადამიანები ფეხით ტყუილუბრალოდ არ დადი-ან. — მითხრა მან, — ვხედავ, რომ აქ ღვთის სიყვარულმა ჩა-მოგიყვანათ, წაბომყევით“.

უკან დაბრუნდა. მე გავყევი და ერთ შესანიშნავ შენობას-თან მიმიყვანა. ვილაცას, ვინც იქაურობის პატრონად შევი-ცანი, რაღაც უჩურჩულა, მერე მე გამომეთხოვა და მითხრა:

— აქ კარგად იქნებით.

გავიფიქრე, ვილაცაში შევეშალე-მეთქი, მაგრამ ხმა არ გა-მოსცა და ბედს მივენდე. სამოთახიან პალატაში შემიყვანეს. საძინებელი ოთახი ქამბით იყო მორთული, ლოგინს ბალდა-ხინი ჰქონდა, კუთხეში კი ყველა აუცილებელი ნივთით გაწყო-ბილი ბიურო იდგა. მოახლემ მსუბუქი ხალათი მომაწოდა, გა-ვიდა და ერთი წუთის შემდეგ ვილაცასთან ერთად დაბრუნდა. თან მოიტანეს თეთრეული და დიდი წყლიანი როფი, წინ და-მიდგეს, ფეხსაცმელი გამხადეს და ფეხები დამბანეს. შემდეგ ერთი კოპწია ქალი შემოვიდა, რევერანსი მიძღვნა და ლოგი-ნის გაშლას შეუდგა. როგორც კი საბანაბანოდან გამოვედი, ზა-რის ხმა გაისმა, ყველამ მუხლი მოიყარა, მეც მათ მივბაძე და მუხლის ლოცვა აღვავლინეთ. შემდეგ პატარა კოხტა პუფრა გაიწყვეს, რომელ ღვინოს არჩევთო, მკითხეს და გაზეთი და ვერცხლის შანდლებიანი ორი სანთელი მომიტანეს, ერთი სა-ათის შემდეგ კი დიდებული სამარხვო ვახშამი მომართვეს, ხო-ლო ძილის წინ დაინტერესდნენ, თუ როდის ვინებებდი შოკო-ლადის დალევას — წირვამდე თუ წირვის შემდეგ.

ლოგინში ჩავწექი თუ არა, სასთუმალთან საათიანი ღამის სანთური დამიდგეს. ამის მსგავსი ლოგინი საფრანგეთს გა-რეთ არსად შემხვედრია.

მეორე დილით სანტა კიარაში ზიარება მივიღე. მესამე ღღე ამ შესანიშნავი ტაძრის შემოგარენის დათვალიერებაში გავატარე, მეოთხე დღის განთიადზე კი ისევ გზას გავუდექი. ის ღამე ტოლენტინოში გავათენე და დილით ვალჩამარისაკენ გა-

ვემართე. თავს კარგად ვგრძნობდი და იმედი მქონდა, რომ მთელ გზას ფეხითაც იოლად გავივლიდი, მაგრამ ქალაქს ხუთი საათის შემდეგ მთლად არაქათგამოცლილმა ჩავაღწიე. დილით კვლავ გზას უნდა დავდგომოდი, მაგრამ დახეთ უბედურებას! მასპინძლისათვის ფულის გადახდას რომ ვაპირებდი, გამახსენდა, რომ საფულე ტოლენტინოს ფუნდუკში მაგიდაზე დამრჩა. საშინელ დღეში ჩავვარდი. უკან დაბრუნებას აზრი არ ჰქონდა, რადგან სულერთია, მაინც არავინ დამიბრუნებდა საფულეში ხომ ჯიბეში ჩარჩენილი რამდენიმე გროშის გარდა მთელი ჩემი სიმდიდრე იყო. რაღა მექნა, მცირე ხარჯები გავისტუმრე და დამწუხრებულმა გზა განვაგრძე.

ბოლოსდაბოლოს, ორტაკოლოში ჩავაღწიე, სადაც შესანიშნავი ძველი ხიდის დათვალიერების შემდეგ ოთხ პაოლოდ ეტლი დავიქირავე და კასტელ ნუოვოში ჩავედი. აქედან რომამდე უკვე დიდი გზა აღარ იყო. პირველ სექტემბერს, დილის ათ საათზე, მსოფლიოს უძველეს დედაქალაქში შევაბიჯე.

პირდაპირ მონტე-მანიანოპოლს მივაშურე, სადაც, მისამართის მიხედვით, ჩემი ეპისკოპოსისათვის უნდა მიმეგნო. მითხრეს, უკვე ათი დღეა რაც გაემგზავრა და დაიბარა, რომ ნეაპოლში ამა და ამ მისამართზე გაგგზავნოთ და მგზავრობის ხარჯებიც გადაგიხადოთ. კარეტა მეორე დილით გადიოდა. რადგან უფულობის გამო რომის დათვალიერების არავითარი სურვილი არ მქონდა, ლოგინში ჩავწექი და კარგად გამოვიძინე. სამი გლეხკაცის კომპანიაში ვიმგზავრე და მთელი გზა ისე გავლიეთ, რომ ხმა არ ამომიღია. ექვს სექტემბერს ნეაპოლში ვიყავი.

მითითებულ მისამართს მივაკითხე. ეპისკოპოსი არც იქ დამხვდა — მარტირანოში წასულიყო. ამაოდ ვიძიე, ჩემთვის რაიმე სიტყვა ან მითითებები ხომ არ დაუტოვებია-მეთქი — ვერავინ ვერაფერი მიპასუხა. ამრიგად, ამ უზარმაზარ ქალაქში რვა კარლინის ამარა მარტოდმარტო დავრჩი. არც ნაცნობი მყავს, არც თავის მისადები კუთხე გამაჩნია. ორა უშავს! ბედი მარტირანოში მიხმობს და წავალ კიდეც. იქამდე ხომ მხოლოდდამხოლოდ ორი ასეული მილია.

მეეტლეებს მივადექი, მაგრამ როცა გაიგეს, რომ ბარგი არ მქონდა, ფულის წინასწარ გადახდა მომთხოვეს და მართლე-

ბიც იყენენ. მაგრამ მარტირანომდე ხომ უნდა მიმელწია. გადავწყვეტე, ისევ საკუთარ ფეხებს მივნდობოდი, აირჩევილი დამეძლია და გზადაგზა საჭმელი და ღამის გასათევი მემოთხოვრა.

მარტირანოში ჩასულმა ეპისკოპოსი ბერნარდო დე ბერნარდისი საშინელ სიღატაკეში კიხილე. უბრალო მაგიდასთან იჯდა და წერდა. წესისამებრ მუხლი მოვუყარე. ის წამოდგა, მომეხვია და გულზე მიმიხუტა. გულწრფელად შეწუხდა იმის გამო, რომ ნეაპოლში მისი ადგილ-სამყოფელი არ მომაწვალეს, მაგრამ როცა გაიგო, რომ არავისი ვალი არ მქონდა და თავსაც შესანიშნავად ვგრძნობდი, გუნება გამოუკეთდა. დამაჯინა, ამოიოხრა, თავის გასაჭირზე გულითადი საუბარი გამიბა და მსახურს სუფრის გაწყობა დაავალა. ამ მსახურს გარდა მონასტერში კიდევ იყო ერთი ხელშინაური მოხუცი ქალი და ერთიც მღვდელი, რომელიც სუფრასთან წარმოთქმული რამდენიმე სიტყვის მიხედვით სრულიად უმეცარ კაცად მომეჩვენა. მის უწმინდესობას ვრცელი, მაგრამ ცუდად მოვლილი სახლი ეჭირა. იკი იმდენად მწირად იყო მოწყობილი, რომ ჩემი უბრალო ლოგინისათვის საბრალო ეპისკოპოსმა თავისი ორი გაქუცული ლეიბიდან ერთ-ერთი მე დამითმო. სადილმა კი, მეტი რომ არ ვთქვათ, სწორედ რომ შემაძრწუნა. რადგანაც, თავისი ორდენის განაწესს ერთგულად იცავდა, იმ დღეს მარხულობდა და საზიზღარ ზეთს მიირთმევდა. მონასტერი ჭკვიანი და, რაც მთავარია, წესიერი კაცი იყო. ჩემდა გასაოცრად, მაცნობა, რომ მისი არცთუ მცირე ეპარქია წელიწადში მხოლოდ ხუთასი ნეაპოლური დუკატის შემოსავალს აძლევდა და ამ უბედურებას ისიც ემატებოდა, რომ ექვსასი დუკატი ვალი ჰქონდა. ამოოხვრით დასძინა, რომ მაინც ბედნიერად თვლიდა თავს, რაკიღა ბერების კლანჭებს დაუხლტა, რომელთა ძალმომრეობა ამ ოხუთმეტი წლის განმავლობაში მისთვის ნამდვილი განსაწმენდელი იყო. მისმა გულახდილმა ნაამბობმა დიდად გამაწბილა, რადგან თვალნათლივ დავრწმუნდი, რომ აქ ნამდვილად ვერ ვპოვებდი, იმ აღთქმულ მიწას რომელიც ჩემს წარმოდგენაში ეპისკოპოსის ვიტრას უკავშირდებოდა. გარდა ამისა, თვით ეპისკოპოსსაც მძიმე ტვირთად დავაწვებოდი.

მეორე დღეს ეპისკოპოსმა საზეიმო წირვა ჩაატარა და როცა კლიროსი და ადგილობრივი ხალხი დავინახე, რომელსაც მთელი ეკლესია აევსო, ამ უბადრუკი ქვეყნიდან გაქცევა გადავწყვიტე. მომეჩვენა, რომ ჩემს წინაშე პირუტყვის ჯოგი იკო და გაშტერებული მომჩერებოდა. რა უსახური ქალები და როგორი ჩლუნგი მამაკაცები იყვნენ. შინ დაბრუნებულმა კეთილ პელატს განვუცხადე, არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ ამ მოსაწყენ ქალაქში რამდენიმე თვის შემდეგ მოწამებრივი სიკვდილით აღვესრულო-მეთქი.

— დამლოცეთ და გამიშვით აქედან, — ვთხოვე მე. — ისე, თქვენც რომ წამოხვიდოდეთ, ქვეყანა არ დაიქცევა. პირობას გაძლევთ, რომ სხვაგან უკეთ მოვეწყობით.

ამ სიტყვებზე ბევრი იცინა, მაგრამ ჩემთვის რომ დაეჯერებინა, დარწმუნებული ვარ, ორ წელიწადში სულს არ განუტევებდა. ეს მამაცი ადამიანი ჩემს სიმართლეს კარგად ვრძნობდა და პატიება მთხოვა იმისათვის, რომ აქ ჩამოსასვლელად ასე დაუფიქრებლად წამაქეზა. ჩემი ვენეციაში დაბრუნება თავის მოვალეობად მიიჩნია და, რაკი საამისო სახსრები არ გააჩნდა და არც ჩემი საფულის მდგომარეობა უწყოდა, ნეაპოლში ერთ თავის მეგობართან მიმიწერა, რომელიც სამშობლოში გასამგზავრებლად სამოცი ნეაპოლურ დუკატს მომცემდა. ასე და ამრიგად, იქ ჩასვლიდან სამოცი საათის შემდეგ მარტირანო დავტოვე და ნეაპოლს გავემგზავრე.

ნეაპოლში 1743 წლის 16 სექტემბერს ჩავედი და მაშინვე მარტირანელი ეპისკოპოსის მოცემულ მისამართს მივაკითხე. იქ ვიპოვე სინიორი ჯენარო პაოლო. ამ ადამიანმა, რომელსაც ჩემთვის სამოცი დუკატის მოცემის გარდა არაფერი ევალებოდა, თავის სახლში დარჩენა შემომთავაზა, რადგან ისიც სურდა, რომ მისი პოეტი ვაჟი გამეცნო. სათანადო ცერემონიების შემდეგ დავთანხმდი და ამ სტუმართმოყვარე სახლში დავბინავდი.

დოქტორ ჯენაროს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჩემთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ მეტად უჩვეულოდ, უფრო მეტიც, ყოვლად უადგილოც მეჩვენა მისი გამუდმებული სიცილი, ჩემს ყოველ პასუხზე

რომ აღმოხდებოდა ხოლმე. კალაბრიის სავალალო მდგომარეობის აღწერას და მარტირანოელი ეპისკოპოსის უბედური ყოფის სურათებს, კაცმა რომ თქვას, ასეთი მხიარულება კი არა, ცრემლი უფრო უნდა გამოეწვია. მე უკვე ამაში რაღაც ჰისტიფიკაციასაც ვეჭვობდი და სიბრაზეს ძლივს ვიოკებდი, მაგრამ როგორც იქნა დამშვიდებულმა ეპისკოპოსმა ნაღვლიანად მოთხოვა პატიება, რადგან მისი სიცილი თურმე ავადმყოფობა ყოფილა. და როგორც ჩანდა, მემკვიდრეობითიც, რადგან ერთერთი ბიძა სწორედ ამ სენით გარდაცვლოდა.

— სიცილით მოკვდა? — შევიცხადე მე.

— დიახ. ამ ავადმყოფობას, ჰიპოკრატე რომ არ იცნობდა, il flati ჰქვია.

— კი მაგრამ, როგორ იპოხონდრიული დაავადებისაგან ყველანი სევდიანნი ხდებიან, თქვენ კი მხიარულდებით!

— მოდით, ამაზე სუფრასთან ვისაუბროთ. იმედი მაქვს, რომ აქ რამდენიმე კვირას დაჰყოფთ.

— არა. ალბათ, სამშაბათს მაინც გავემგზავრები.

— ფული გაქვთ?

— იმ სამოცი დუკატის იმედად ვარ, თქვენ რომ უნდა გადმომცეთ.

ამ სიტყვებზე სიცილმა ახალი ძალით იფეთქა, მაგრამ ჩემი შეჭირვების ამბავი რომ შეიტყო, მითხრა:

— ესე იგი, ჩემს ხელში ყოფილხართ და შემიძლია იმდენ ხანს დაგტოვოთ, რამდენიც მომეპრიანება. მანამდე კი უარს ნუ მეტყვით და ჩემი ვაჟი გაიცანით. არცთუ ურიგო ლექსებს წერს.

მართლაც, ეს თოთხმეტი წლის ჭაბუკი უკვე დიდი პოეტი იყო.

ლამაზი სახე და მეტისმეტად მიმზიდველი მანერები ჰქონდა. ძალიან თავაზიანად მიმიღო. შემდეგ ასევე თავაზიანად მომიბოდიშა, რომ დიდ დროს ვერ დამითმობდა, რადგან სიმღერა უნდა დაესრულებინა, რომელიც ჰერცოგის მეუღლე ბოვინის ერთი ნათესავი ქალის სანტა-კიარას მონასტერში მონაზვნად აღკვეცის დღისათვის შეთხზა. ჩემი სამსახური შევთავაზე. მაშინ სიმღერა წამიკითხა, რომელიც ალმაფრენით იყო სავსე. ამიტომ ვურჩიე, რომ მისთვის ოდა ეწოდებინა.

რაკილა ლექსის ღირსებები სამართლიანად შეეფერა, აღარც ნაკლი დამიმალავს და ზოგი სტრიქონი ჩემებურად შევუსწორე კიდეც. იგი აღფრთოვანდა, გულითადი მადლობა გადამიხადა და მკითხა, შემთხვევით აპოლონი ხომ არ ხართო. მანამ თავის ლექსს გადაწერდა, მე იმავე თემაზე სონეტი შევთხზე ღ წავუკითხე. მოხიბლული დარჩა, მთხოვა ხელი მომეწერა და ნება მიმეცა, რომ მის ლექსთან ერთად ასაწყობად გაეგზავნა.

ვიდრე სონეტს ვასწორებდი და სუფთად ვათეთრებდი, იგი მამასთან წავიდა და ჩემი ვინაობა გამოჰკითხა. ამის გამო მამამისი სიცილისაგან ჩაბჟირდა და სანამ სუფრას არ მივუსხედით, სული ვერ მოიბრუნა. საღამოს ლოგინი ახალგაზრდა პოეტის ოთახში გამიშალეს, რამაც ჭეშმარიტი კმაყოფილება მომგვარა.

მეორე დღეს მონაზვნად აღკვეცის რიტუალი შედგა და ამ შემთხვევისათვის შეთხზულ ყველა ნაწარმოებს შორის ახალგაზრდა ჯენაროს ოდამ და ჩემმა სონეტმა უმეტესი ქება დაიმსახურა. ერთი ნეაპოლელი, რომელიც ჩემი მოგვარე აღმოჩნდა, გასაცნობად გამომეპიმა და როცა გაიგო, ბინად დოქტორთან ვიდექი, მეორე დღესვე გამოგვეცხადა.

დონ ანტონიო კაზანოვამ მკითხა, მკვიდრი ვენეციელი ვიყავი თუ არა.

— მე. ჩემო ბატონო, — ეუპასუხე მორცხვად, — შვილიშვილის შვილთაშვილად ვეკუთვნი ბედშავ მარკო ანტონიო კაზანოვას, რომელიც კარდინალ პომპეო კოლონას მდივანი იყო, და 1528 წელს შავი ჭირისაგან რომში გარდაიცვალა.

ახსნა-განმარტება დამთავრებული არ მქონდა, რომ ჩემი ბიძაშვილოო, — მომვარდა და კისერზე ჩამომეკიდა.

იმ წუთას სრულიად საფუძვლიანად მართლა შეგვეშინდა, რომ დონ ჯენარო სიცილით არ მოვკვდარიყო, რადგან ასეთი ხარხარი სიცოცხლისათვის უეჭველად სახიფათო იქნებოდა.

ნასადილევს დონ ანტონიომ მითხრა, ჰერცოგის მეუღლემ შენი გაცნობის სურვილი გამოთქვა და ნება მომეცი, ნათესაობის უფლებით მასთან წარგადგინოო. რადგან არავინ გვისმენდა, ვთხოვე, ამ ვიზიტისაგან გავთავისუფლებინე, რადგან საგზაო ტანსაცმლის გარდა სხვა სამოსი არ გამაჩნდა და ჩემს

საფულესაც უნდა გავფრთხილებოდი, რათა რომში მთლად ჯიბეგაფხეკილი არ აღმოჩენილიყავი.

ასეთი პასუხით აღტაცებულმა დონ ანტონიომ მაშინვე მითხრა, მე მდიდარი ვარ და ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ნება უნდა მომცეთ, რომ მკერავთან წაგიყვანოთო. თან ამას კერავინ გაიგებს და თუ ამ სიამოვნებაზე უარს მეტყვით, დიდად მაწყენინებთო. მე ხელი ჩამოვართვი და დავარწმუნე, რომ მის ყოველ სურვილს უყოყმანოდ შევასრულებდი. მკერავთან წავედით და მეორე დღისათვის ყველაფერი მქონდა, რაც კი კეთილშობილი აბატის ტუალეტს სჭირდება.

ჩემს წასაყვანად მოსული დონ ანტონიო დონ ჯენაროსთან სადილზე დარჩა და შემდეგ ყმაწვილი პაოლოს თანხლებით ჰერცოგის მეუღლესთან წავედით. მან, ნეაპოლელთა ჩვეულებისამებრ, მაშინვე „შენობით“ დამიწყო ლაპარაკი; მასთან იყო ათი-თორმეტი წლის შვილი — თვალხატული გოგონა, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ჰერცოგ მატალონელის მეუღლე გახდა. დიასახლისმა ოქროს არაბესკებით ინკრუსტირებული კუს ბაკნის საფერფლე მაჩუქა. შემდეგ მეორე დღისათვის სადილად დაგვპატიჟა და გვითხრა, რომ ნასადილევს ახალი მონაზონის მოსანახულებლად სანტა-კიარაში წავიდოდით.

მეორე დღეს დონ ანტონიომ ოქროს ბუნიკიანი ხელჯოხი მაჩუქა, რომელი ოცი უნცია მაინც ეღირებოდა, ხოლო თერძმა საგზაო კაბა და ოქროს დილკილოებით მორთული საუკეთესო ხარისხის მაუდის ხიფთანი მომიტანა და, ამრიგად, დიდებულად ვამოვეწყვე. ნეაპოლიდან გამგზავრებისას დონ ანტონიომ ოქროს საათიც მიფეშქაშა და თავისი მეგობრის დონ გასპარ ვივალდისათვის გადასაცემი ბარათი ჩამაბარა. დონ ჯენარომ ჩემი კუთვნილი სამოცი დუკატი ჩამითვალა, მისმა ვაჟმა კი მარადიული მეგობრობა შემომფიცა. შემდეგ ეკიპაჟამდე მიმაცილეს, თავიანთი ცრემლები ჩემსას შერთეს და კეთილი სურვილებითა და ლოცვებით ამავსეს.

ჭშვენიერი ტოლედოს ქუჩის ბოლომდე კურცხალს ვიმშრალებდი, ამიტომ ჩემს თანამგზავრებს ყურადღება მხოლოდ ქალაქიდან გასვლისას მივაქციე. პირველად ჩემს გვერდით მჯდომი ორმოცი-ორმოცდაათი წლის მამაკაცი შევამჩნიე, მაგრამ ვიდრე კარგად შევათვალიერებდი, მზერა მოპირდაპირე

მხარეს დალანდულმა ორმა ტურფა სახემ მომტაცა და მათ მივაჩერდი. კარგად ჩაცმული ლამაზი ასულები იყვნენ, რომელთაც თავისუფალი და, ამავე დროს, წესიერი ქალების შესახედაობა ჰქონდათ.

კაპუაში ლამის გასათევად სასტუმროს მივადექით და ორსაწოლიანი ოთახი გამოგვიყვეს, რაც იტალიაში ჩვეულებრივი ამბავია. ნეაპოლელმა მომართა, ალბათ, პატივი მექნება ლამე ბატონ აბატთან ერთად გავათიოო, რაზეც საკუთარი სერიოზული სახით ვუპასუხე, რომ უფლება ჰქონდა ეს საქმე თავისი შეხედულებისამებრ მოეგვარებინა და შეეძლო თავისი ნება კიდეც ებრძანებინა. ჩემმა პასუხმა ერთ-ერთ ქალბატონს ღიმილი მოჰგვარა, სახელდობრ იმას, რომელიც უფრო მომწონდა. ეს სასიკეთო ნიშნად მივიჩნიე.

ხუთივემ ერთად ვიეახშმეთ. ჩვეულებრივ, თუ სხვა რაიმე საგანგებო გარიგება არა აქვთ, მგზავრებს მეეტლე უმასპინძლდება. მაგრამ ორივე შემთხვევაში ისიც საერთო სუფრას უზის ხოლმე. გულგრილ, სასხვათაშორისო საუბარში ჩემი თანამეინახეების წესიერებამ, მახვილგონიერებამ და მოსაწონმა მანერებმა სასიამოვნოდ გამაოცა.

ნაეახშმევს დაბლა ჩავედი, მეეტლე მოვძებნე და ვკითხე, ჩემი თანამგზავრები ვინ არიან მეთქი.

— სინიორი ადვოკატია, — მითხრა მან, — ერთი ქალბატონი კი მისი მეუღლეა, მაგრამ არ ვიცი, კერძოდ რომელი.

თავაზიანობის გამო ლოგინში ჯერ მე ჩავწექი, რათა ქალებისათვის ტანთ გახდის საშუალება მიმეცა. დილითაც ასევე პირველი ავდექი, გარეთ გავედი და უკან მხოლოდ მაშინ დავბრუნდი, როცა საუზმეზე მიგვიხმეს. შესანიშნავი სუფრა იყო, ძალიან შევაქე და ქალბატონთაგან უფრო მომხიბვლელი შემპირდა, რომ ჩვენი ტრაპეზი მთელი მგზავრობის განმავლობაში ასეთივე სასიამოვნო იქნებოდა. შემდეგ მკითხა, ვენეციაში დაბრუნებამდე რომში გაჩერებას თუ ვაპირებდი. ვუპასუხე, რომში ერთი ნაცნობიც არა მყავს და მოწყენის მეშინია-მეთქი.

— რომაელებს უყვართ უცხოელები, — მითხრა მან, — და დარწმუნებული ვარ, იქ თავს კარგად იგრძნობთ.

— იმედია, იმის ნებასაც დამრთავთ, რომ თქვენს თაყვანისმცემელთა რიცხვს შევემატო?

— დიდ პატივს დაგვდებთ, — მიპასუხა ადვოკატმა.

მის მიმზიდველ მეუღლეს თვალს არ ვაცილებდი. დავინახე, როგორ აელეწა სახე, მაგრამ ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. საუბარი გრძელდებოდა და ამ დღემაც გუშინდელივით სასიამოვნოდ ჩაიარა. ტერაჩინაში გავჩერდით, სადაც სამსაწოლიანი ბინა დაგვითმეს — ორი საწოლი ვიწრო იყო, მესამე კი უფრო ფართო, და შუა ოთახში იდგა. ბუნებრივია, რომ დები დიდ საწოლზე უნდა დაწოლილიყვნენ და ასეც მოიქცნენ.

როგორც კი ორივე სინიორა დაწვა, ერთ-ერთ საწოლზე ადვოკატიც მოკალათდა, იქ, სადაც მისი საღამური ჩაჩი დაინახა, მე კი დიდი საწოლიდან სულ რაღაც ერთი ფუტით დაშორებულ ლოგინში ჩავწექი. მაშინვე შევნიშნე, რომ ჩემი მომხიბვლელი ქალი ჩემს ჰხარეს იწვა და მე, შესაძლოა მეტისმეტი თავდაჯერების გამო, დავასკვენი, რომ ის ადგილი მას მხოლოდ შემთხვევით არ რგებია.

სანთელს ვაქრობ და გონებაში ვჩითავ გეგმას, რომლის ვერც მიღება და ვერც უარყოფა ვერ გადამიწყვეტია. ძილსაც ამაოდ ვუხმობ. ოდნავ მოციმციმე სანთელი, რომლის შუქშიც ჩემი მომჯადოებელი ქალის საწოლს ვხედავდი, თვალის მოხუჭვის საშუალებას არ მაძლევდა. ღმერთმა უწყის, ბობოსდაბოლოს, რას ჩავიდენდი (უკვე მთელი საათი თავს ვებრძოდი), უცებ რომ არ დამენახა: ქალი ჯერ წამოჯდა, შემდეგ ნელა ჩამოცურდა ლოგინიდან, თავის საწოლს შემოუარა და ქმარს შეუწვა. იმას კი, რა თქმა უნდა, გუდასავით ეძინა — ყოველ შემთხვევაში მეტი არავითარი ხმა არ გამიგონია.

ნაწყენმა და სიძულვილით აღსავსემ, როგორც იქნა, დავიძინე და მხოლოდ განთიადისას გამეღვიძა. წარმტაცი ლტოლვილი რომ ისევ თავის ადგილას დავინახე, წამოვდექი, ფართიფურთით ჩავიცვი და გარეთ გამოვედი. სასტუმროში მხოლოდ გამგზავრების წინ დავბრუნდი. ადვოკატი და ორივე სინიორა უკვე ეკიპაჟში მელოდნენ.

მშვენიერმა სინიორამ ნაზად და ალერსიანად მისაყვედურა, რომ ამჯერად მისი ყავის დალევა არ ვისურვე. ბოდიში

მოვეხადე, აუცილებლად უნდა გამესეირნა-მეთქი. კბილის ტკივილი მოვიმიზეზე და პირქუშ დუმილში ჩავიძირე.

შემდეგი ღამე სერმონეტში უნდა გაგვეთია. იქ ადრიანად ჩავედით და რაკი ძალიან კარგი დღე იყო, სინიორამ გასეირნების სურვილი გამოთქვა და თავაზიანად მკითხა, ხელკავის გაკეთების უფლებას თუ მომცემთო. სიამოვნებით მეთქი, რადგან სხვა რომ არაფერი, ზრდილობის საქმე იყო. ნაწყენი ვიყავი, ვიბუტებოდი, ჩემი საქციელი მე თვითონაც არ მომწონდა, მაგრამ თავს ვერ ვერეოდი. ახლა მხოლოდ გულახდილობა თუ მიშველიდა, მაგრამ არ ვიცოდი, საიდან დამეწყო. მისი ქმარი და და კარგა მოშორებით მოგვყვებოდნენ. როცა დავინახე, რომ საკმაო მანძილით დავცილდით, გავბედე და ვკითხე, რამ გაფიქრებინათ, რომ ჩემი ავადმყოფობა თვალთმაქცობა იყო-მეთქი.

— გულახდილად გეტყვით, — მითხრა მან, — იმან მაფიქრებინა, რომ ეს ძალიან აშკარად ჩანდა. თქვენ ხომ ცდილობდით, მთელი დღის განმავლობაში ჩემთვის ერთხელაც არ შეგეხედათ. კბილის ტკივილი კი თავაზიანობის გამოჩენას ვერ დაგიშლიდათ და მივხვდი, რომ თვალთმაქცობდით. თანაც არც ერთ ჩვენთაგანს იმის საბაბი არ მოუცია, რომ გუნება ასე სწრაფად შეგეცვალათ.

— მაგრამ რაიმე მიზეზი ხომ უნდა ყოფილიყო? მთლად გულწრფელი არ ბრძანდებით, სინიორა.

— ცდებით, სინიორ, სავსებით გულწრფელი ვარ. და თუ ამის საბაბი მე მოგეცით, ჰქენით სიკეთე და ამიხსენით, რითი გაწყენინეთ.

— არაფრით, რადგან მე არავითარი საყვედურის უფლება არა მაქვს.

— როგორ არა. თქვენც ისეთივე უფლება გაქვთ, როგორიც მე. სწორედ ის უფლება, რომელსაც კარგი საზოგადოება ყოველ თავის წევრს ანიჭებს. აბა გულახდილად მითხარით!

— თქვენ, რა თქმა უნდა, საბაბი არ უნდა იცოდეთ, ან, უფრო სწორად, თავი ისე უნდა დაიჭიროთ, თითქოს არ იცით. ეს ასეა, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ მოვალეობის გრძნობა არ მაძლევს თქვენთვის ყველაფრის თქმის უფლებას.

— ესეც ასე! უკვე ყველაფერი ნათქვამია, და თუ მოვალეობის გრძნობა არ გაძლევთ იმის უფლებას, რომ თქვენი უგუნებობის მიზეზი მითხრათ, მაშინ მითუმეტეს, არც საქცევლით უნდა გაამჟღავნოთ. ზოგჯერ ზრდილობიან კაცს დელიკატურობა გრძნობების დაფარვას ავალებს. ეს რამდენადმე ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, მაგრამ შეზღუდვის ფასი მაშინ აქვს, თუ ნებაყოფლობით თავის შემზღუდველი ამის გამო უფრო სასიამოვნო ხდება.

ასეთმა ჭკვიანურ მა მსჯელობამ სირცხვილისაგან გამაწითლა, ჩემი დანაშაული ვაღიარე და მის გონისწამღებ ხელს ვეაჭბორე.

-- ჩემს შეცდომას თქვენს ფერხთით გამოვისყიდდი, — შევღაღადე მე, — თუ ამით ჩრდილს არ მოგაყენებთ.

— ჰოდა, მეტს ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

და ისეთი ხატოვანი ყოვლისმიმტევებლობით შემხედა, რომ უკვე ჩემი დანაშაულის გაღრმავების აღარ შემშინებია, ბაგე მის ხელს მოვწყვიტე და ოდნავ გაპობილ მოღიმარე ტუჩებში დავეწაფე.

ბედნიერებისაგან მთვრალს მწუხარება სიხარულით შემეცვალა და თანაც ისე მალე, რომ სადილობისას ადვოკატი უკვე სულ ჩემს კბილის ტკივილზე და განმკურნებელ გასეირნებაზე ხუმრობდა.

რომში დილით ადრე ჩავედით. საუზმისათვის კოშკთან შევჩერდით. ადვოკატი შესანიშნავ გუნებაზე იყო. მე მხარს ვუბამდი, ვაკის შეძენას ვუწინასწარმეტყველებდი და მის ცოლს ხუმრობით სათანადო აღთქმის დადებას ვაძალებდი. განშორებისას შევპირდი, რომ მეორე დღეს სტუმრად ვეწვეოდი.

და აი, კარგად ჩაცმული, ფულისა და ძვირფასეულობის საკმაო მარაგით, გარკვეული გამოცდილებით, სოლიდური საერეკომენდაციო ბარათებითა და სრული თავისუფლებით აღჭურვილი რომში ვიმყოფები, თანაც იმ ასაკში ვარ, როცა ადამიანს, თუ იგი ოდნავ გაბედული მაინც არის და თან გარეგნულადაც შეეხედება, შეუძლია ჰომავალს იმედის თვალით უყურის. სილამაზით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ მქონდა რაღაც უფრო მეტი, რაღაც ისეთი, რაც უცნობ ადამიანს ჩემ-

დამი კეთილშობილურნეობისათვის განაწყობდა. მეც საკუთარ თავს ყოველგვარი საქმიანობისათვის ვარგისად ვთვლიდი. ვიცოდი, რომ რომი დედამიწაზე ერთადერთი ქალაქი იყო, სადაც შეიძლებოდა არაფრისაგან დაგეწყო და ყველაფრისათვის მიგეღწია. ეს აზრი მხნეობას მმატებდა.

უპირველეს ყოვლისა, დონ ლელიოს წერილი მამა ჯორჯის მივუტანე. ეს სწავლული მონაზონი მთელი ქალაქის პატივისცემით სარგებლობდა და თვით პაპიც დიდი მოწიწებით ეპყრობოდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ იეზუიტები არ უყვარდა და დაუნდობლად ამხელდა ხოლმე, რის გამოც იმათგანაც დიდ სიძულვილს იმკიდა.

მამა ჯორჯმ წერილი ყურადღებით წაიკითხა და მითხრა, რომ მზად იყო ჩემთვის რჩევა-დარიგებები მოეცა. მკითხა. თუ რის გაკეთებას ვაპირებდი რომში და ვუპასუხე, რომ ამ კითხვის პასუხს თვითონ მისგან მოველოდი.

— კეთილი, — მითხრა მან, — მაგრამ ამისათვის ჩემთან ხშირად მოდით ხოლმე, და არაფერი დამომალოთ, სულ არაფერი, რაც თქვენ გეხებათ და რაც შეგემთხვევათ.

— დონ ლელიომ, — ვუთხარი მე, — კიდევ ერთი წერილი გამომატანა, კარდინალ აკვავივესათვის.

— სულითა და გულით გილოცავთ, იმიტომ, რომ ამ ადამიანს რომში პაპზე მეტის გაკეთება შეუძლია.

— ახლავე ხომ არ წავიღო?

— არა, ამ საღამოს ვნახავ და გავაფრთხილებ. ხვალ დილით შემომიარეთ და გეტყვით, სად და რომელ საათზე უნდა გადასცეთ წერილი. ფული გაქვთ?

— მთელი წლის სამყოფი.

— შესანიშნავია. ნაცნობები თუ გყავთ?

— სულ არავინ.

— ჩემს დაუკითხავად არავის გაეცნოთ, და რაც მთავარია, ყავეხანებში არ იაროთ. თუ მაინცდამაინც იქ ყოფნა მოგიწევთ, მაშინ მხოლოდ სხვებს უსმინეთ და არ ილაპარაკოთ. თანამოსაუბრეებზე თქვენი აზრი იქონიეთ და როცა თავაზიანობა პასუხის გაცემას გაიძულებთ, შეკითხვაში კი რაიმე ხრიკი გეჩვენებათ, აირიდეთ იგი. ფრანგული თუ იცით?

— არც ერთი სიტყვა.

— .ცუდია. შესწავლა მოგიწევთ. რაიმე განათლება თუ გაქვთ?

— მცირე. მაგრამ იმდენი კი ვიცი, რომ საზოგადოებაში არ დავიკარგო.

— ეს კარგია, მაგრამ ფრთხილად იყავით, იმიტომ, რომ რომი დიდი ფათერაკების ქალაქია, იმედი მაქვს, კარდინალთან რომ წახვალთ, აბატის უბრალო კაბა გეცმევათ და არა ელეგანტური სამოსი, რომლითაც თქვენს ბედს მაინც ვერ მოაჯადოვებთ. ახლა კი მშვიდობით. ხვალ შეგხვდებით.

მეორე დღეს, 1743 წლის პირველ ოქტომბერს, წვერის გაპარსვა გადავწყვიტე. ჩემი ღინღლი ჯაგრად გადაიქცა და მივხვდი, რომ დრო იყო, სიყრმის ზოგიერთ პრივილეგიაზე უარი მეთქვა. ჩემი კეთილი ბიძაშვილის თერძის წყალობით მთლად რომაელივით გამოვეწყვე და მამა ჯორჯიმ ჩემს დანახვაზე აღტაცება ვერ დამალა. ჯერ ფინჯან შოკოლადზე მიმიპატიჟა, შემდეგ განმიცხადა, რომ კარდინალი უკვე გაფრთხილებული ჰყავდა და მისი უწმინდესობა ნეგრონის ვილაში შუადღის გასეირნების ჟამს მიმიღებდა.

ნეგრონის ვილაში გამოვცხადდი. კარდინალმა წერილი გამომართვა, წაუკითხავად ჩაიდო ჯიბეში, ორიოდე წუთი მათვალიერა და მერე მკითხა, პოლიტიკური მოღვაწეობისადმი მიდრეკილებას თუ ვგრძნობდი. ვუპასუხე, რომ აქამდე მხოლოდ ფუქსავატური მიდრეკილებები მქონდა, მაგრამ ახლა მზად ვიყავი შემესრულებინა ყველა დავალება, რომლის მოცემასაც მისი ყოვლადუწმინდესობა ინებებდა, თუკი, რა თქმა უნდა, მის სამსახურში ჩადგომის ღირსად ჩამთვლიდა.

— ხვალ ჩემს კანცელარიაში მოდით აბატ გამასთან მოსალაპარაკებლად, რომელსაც ჩემს განზრახვას გავაცნობ. აუცილებელია, — დასძინა მან, — რომ ფრანგული ენის შესწავლას მალე შეუდგეთ. უამისოდ ვერაფერს მიაღწევთ.

შემდეგ დონ ლელიოს ჯანმრთელობა გამომკითხა, ხელზე ამბორის უფლება მიბოძა და გამომიშვა.

მინერვასაკენ გავეშურე, რათა ძვირფასი ლუკრეცია და მისი დაიკო ჩემი მოულოდნელი გამოცხადებით გამეკვირვებია. დონა ჩეჩილია მონტო ვიკითხე და გაოცება ვერ დავმალე, როცა დავინახე ახალგაზრდა ქვრივი, რომელიც კაცს

მისი წარმტაცი ქალიშვილების და ეგონებოდა. ორივე ქალიშვილი მალე მოვიდა. მათმა სიხარულმა მეც დიდი სიამოვნებით მომგვარა. დონა ლუკრეციამ თავისი უმცროსი და წარმომიდგინა, რომელიც სულ თერამეტი წლისა იყო. შემდეგ გამაცნო ძმა — თხუთმეტი წლის ულამაზესი აბატი.

მეორე დღეს აბატ გრიმანის წინაშე წარვდექი. ეს იყო ორმოცდაოდე წლის პორტუგალიელი მამაკაცი. სანდომიან სახეზე სილბო, მხიარულება და გონიერება ეწერა. მან ენების მასწავლებლის მისამართი მომცა, რომელსაც წინასწარ მოლაპარაკებოდა. ეს იყო რომაელი ადვოკატი, გვარად ლელაკვა და ზუსტად პალაცო დი სპანიას პირდაპირ ცხოვრობდა.

სადილზე ყველა თანამეინახე გამომესაუბრა და მგონია, რომ თავი ღირსეულად მექირა. ნასადილევს აბატმა გამამ ყავაზე მიმიპატიჟა. როგორც კი პირისპირ აღმოვჩნდით, მითხრა, რომ ყველა პიროვნება, ჩვენს სუფრასთან რომ იჯდა, ძალზე პატივცემული ადამიანი იყო. შემდეგ მკითხა, შენი აზრით მათ თუ მოეწონებოდით.

— მგონია, რომ მოვეწონებოდი.

— ტყუილად გგონიათ, — ცივი წყალი გადამასხა აბატმა, — თქვენ ისე აშკარად ირიდებდით პირდაპირ პასუხებს, რომ ეს ყველამ შენიშნა. მომავალში აღარაფერს გკითხავენ.

— ძალიან საწყენი იქნება, მაგრამ განა ჩემი საქმეები ყველას უნდა გავაგებინო?

— არა, მაგრამ ხომ არსებობს რაღაც შუალედი?

— რაზეც ჰორაციუსი ლაპარაკობდა. მაგრამ შუალედის დაცვა ხშირად ძალზე ძნელი საქმეა.

— უნდა შეძლოთ, რომ ერთდროულად კიდეც უყვარდეთ და პატივსაც გცემდნენ.

— მეც მხოლოდ ამისაკენ ვისწრაფვი.

— დღეს თითქო პატივისცემის მოხვეჭას უფრო ესწრაფოდით, ვიდრე სიყვარულს. ეს, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, მაგრამ მოემზადეთ შურისა და მისი ღვიძლი შვილის — ჭორის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუ ეს ორი ურჩხული ვერ შესძლებს თქვენს დამარცხებას, გამარჯვებულიც მაშინ იქნებით. თქვენ, მაგალითად, პირდაპირ გაანადგურეთ ეს სალიჩე-

ტი — ეჭვი და, რაც უფრო მთავარია, კორსიკელი. მას, რა თქმა უნდა, უკვე თქვენი ჯავრი სჭირს.

— კი მაგრამ, ხომ ვერ დავეთანხმებოდი, რომ დედის ხალს ნაყოფის კანზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლია? ჩემი გამოცდილებით ვიცი, რომ ეს ასე არ არის. მეთანხმები?

— ვერც თქვენ დაგეთანხმებით და ვერც იმას, უამრავი ბავშვი მინახავს, ეგრეთ წოდებული მემკვიდრეობითი ხალები რომ აქვთ, მაგრამ გადაწყვეტილად ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც იმ ხალიდან მომდინარეობს, დედამისს მშობიარობის დროს რომ ჰქონდა.

— მე კი დაფიცება შემიძლია.

— ვით უკეთესი თქვენთვის, თუ ეს საქმე ასე კარგად გესმით, და ვით უარესი სალიჩეტისათვის, თუ ასეთი შემთხვევევის შესაძლებლობას უარჰყოფს. მაგრამ დაანებეთ მას თავის შეცდომები. ეს უკეთესია, ვიდრე ჭკუის სწავლება და ამით ჭკვის მომრავლება.

სახლში რომ მივედი, წერა დავიწყე და მთელი ღამე ოდის შეთხზვას მოვანდომე. დილით ჩემი ნაწარმოები ადვოკატს გავუგზავნე. ვიცოდი, რომ მეუღლესაც წააკითხებდა, რომელსაც ლექსი ძალიან უყვარდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ პოეზია ჩემი ვნება იყო. ამის შემდეგ მთელი სამი დღე მასთან არ მივსულვარ. ფრანგულ ენაში ვმეცადინეობდი და სამსახურებრივ წერილებს ვადგენდი.

ამ ბალალუწმინდესობასთან ყოველ საღამოს რომის უმაღლესი საზოგადოება იკრიბებოდა. მე იმ შეკრებებს არ დავსწრებივარ. გაბამ მითხრა, რომ ისევე თამამად უნდა მეელო იქ, როგორც თვითონ დადიოდა. წავედი. არავინ დამლაპარაკებია, მაგრამ სულ მე მიმზერდნენ და უნდოდათ გაეგოთ, ვისი ტიკი-ტომარა ვიყავი.

მეორე დილით გადავწყვიტე, საღამოს ლუკრეციასთან გავატარებ მეთქი. უცებ ოთახში პატივცემული ადვოკატი შემოვიდა და მითხრა, რომ ძალიან ვცდებოდი, თუ ჩემი მოუსვლელობით იმის დამტკიცება მინდოდა, თითქოს მისი ბეუღლე არ მიყვარდა. ამიტომ უახლოესი ორშაბათისათვის თავის ოჯახთან ერთად ტოსტაჩოში სასეირნოდ მიწვევდა.

— ჩემმა მეუღლემ თქვენი ოდა ზეპირად იცის, — დასძინა მან, — ანჯელიკას საქმროსაც წაუკითხა და მას იმ დღიდან თქვენი გაცნობის სურვილი ჰქონია. ისიც პოეტია და ჩვენთან ერთად ტოსტაჩოში მოდის.

შევპირდი, რომ დათქმულ დროს ორადგილიანი ეკიპაჟით მივიღოდი.

გამგზავრებისას, ეკიპაჟებში რომ ვსხდებოდით, ადვოკატმა მითხრა, რომ ჩემთან ჩაჯდებოდა, ხანი ქალი კი სენორ ფრანჩესკოსთან იმგზავრებდა. მე დავიჩემე, დონა ჩეჩილია ჩემთან უნდა ჩაჯდეს, სხვაგვარ ვითარებას ჩემი ღირსების შეურაცხყოფად ჩავთვლიდი. ამ სიტყვებით მიმზიდველ ქვრივს ხელი მივაწოდე, მან კი ჩემი მოქმედება კარგი საზოგადოების ჩვეულებათა შესაფერის საქციელად მიიჩნია, ლუკრეციამაც მოწონებით შემხედა და ამით დიდი კმაყოფილება მომანიჭა. ადვოკატის წინააღმდეგობამ კი უამური გრძნობა მომგვარა, რადგან ეგი მის აღრინდელ ნათქვამს ეწინააღმდეგებოდა. „ხომ არ ეშვიანობს?“ — ვეკითხებოდი საკუთარ თავს.

გასეირნებამ და ადვოკატის ხარჯით გაშლილმა სუფრამ მთელი დღე სასიამოვნოდ გაგვატარებინა. მე საზოგადოებას ვართობდი და ლუკრეციას სიყვარული ერთხელაც არ გამიმჟღავნებია. მთელი გულისყური დედამისისკენ მქონდა მიპყრობილი. ლუკრეციას ორიოდე სიტყვა გადავულაპარაკე, ადვოკატისათვის კი საერთოდ ხმა არ გამიცია, რითაც, ჩემი აზრით, აშკარად ვაგრძნობინე, რომ ნაწყენი ვიყავი.

გამომგზავრებისას ადვოკატმა უეცრად დონა ჩეჩილია ხელიდან გამომტაცა და თავისი ეკიპაჟისაკენ გაიქანა. ანჯელიკა და დონ ფრანჩესკო უკვე ეტლში იხდნენ. სიხარულისაგან აფანცქალებულმა ლუკრეციას ხელი გავუწოდე და არცთუ ჩვეულებრივი ქათინაური ვუთხარი. ადვოკატი გულიანად იცინოდა და ეტყობოდა, თავისი საქციელით ძალიან კმაყოფილი იყო, რადგან ფიქრობდა, რომ მაგრად გამაპამპულა.

რამდენი რამის თქმა შეგვეძლო ერთმანეთისათვის, ძვირფასი წუთები რომ არ დაგვნანებოდა! მაგრამ ვიცოდით, რომ ჩვენს განკარგულებაში სულ რაღაც ნახევარი საათი გვქონდა, ამიტომ სიტყვებზე დრო არ დაგვიხარჯავს და უნაზეს ალერსს მივნებდით.

ბედნიერებისაგან მთვრალს უცებ ლუკრეციას შეძახილი ჩამესმა: „ღმერთო ჩემო, რა უბედურები ვართ!“ ხელის კვრით მომიშორა, სამოსი მოიწესრიგა, კარეტა გაჩერდა და ლაქიამ კარი გააღო.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— შინ მოვედით.

ყოველთვის, როცა ეს შემთხვევა მაგონდება, ზღაპარი მგონია, რადგან განა შესაძლებელია ცხადში დროის ასე გაჭრობა? თანაც ნამდვილი ჯაგლაგი ცხენები გვყავდა. მაგრამ ბედმა მაინც არ გაგვწირა. კუნაპეტი ღამე იყო. ჩემმა ანგელოზმა საფეხურზე ფეხის ჩადგმა მოასწრო და თუმცა ადვოკატი ეკიპაჟის კართან ლაქიასთან ერთად გაჩნდა, ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა.

შინ დაბრუნებისთანავე ლოგინში ჩავწექი, მაგრამ რა დამაძინებდა. ძარღვებში ჯერ კიდევ მიგიზგიზებდა ის ცეცხლი, ტოსტაჩოდან რომისაკენ მომავალ გზაზე რომ შემომენთო.

დილით მხოლოდ ფრანგულის გაკვეთილისათვის ავდექი.

ჩემს მასწავლებელს ჰყავდა ქალიშვილი, სახელად ბარბარა. პირველ ხანებში გაკვეთილებს სულ ესწრებოდა, ხანდახან კი თვითონაც მამეცადინებდა და, ჩემი აზრით, მამას სჯობნიდა კიდეც. ერთ სანდომიან ახალგაზრდას, ჩემსავით ფრანგულის გაკვეთილებზე რომ დადიოდა, ამ გოგოზე გული შეუვარდა. ეტყობოდა, გოგოც თანაუგრძნობდა, ერთი სიტყვით, ერთმანეთს გაუმიჯნურდნენ. ეს თავმდაბალი ჭაბუკი ჩემთან ხშირად შემოივლიდა ხოლმე და მეც მსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. ერთხელ გამომიტყდა, რომ ბარბარა უყვარდა, მაგრამ შემდეგ, როცა ამაზე სიტყვას ჩამოვუგდებდი, საუბარი სხვა თემაზე გადაჰქონდა.

ერთ დღეს, წირვიდან რომ გამოვედი, ამ ახალგაზრდა კაცს შევხვდი და კუსაყვედურე, სად დაიკარგე, ჩემთან რატომ აღარ მოდიხარ-მეთქი. მიპასუხა, რომ სასოწარკვეთილებისა და მწუხარებისაგან თავგზააბნეული იყო და არაფრის ხალისი აღარ ჰქონდა. თვალცრემლიანმა წასვლა დააპირა, მაგრამ არ გავუშვი, ვუთხარი, თუ გულს არ გამიხსნით, შეგიძლიათ, თქვენს მეგობრად აღარ მიგულოთ-მეთქი. მონასტრის ეზოში შემიყვანა და ასეთი რამ მითხრა:

— უკვე ექვსი თვეა, რაც მე და ბარბარას ერთმანეთი გვიყვარს. ხუთი დღის წინ, მოახლის ეურაგობის გამო, მამა მიხვდა დელიკატურ მდგომარეობაში შემოგვიწვრო. იგი უხმოდ გავიდა და მე პატრებისათვის ფეხებში ჩავარდნას ვაპირებდი, მაგრამ როგორც კი მივედი, ხელი ჩამავლო, გარეთ მომისროლა და მათ სახლში ფეხის დადგმა აიკრძალა. მე არ შემიძლია მას ბარბარას ხელი ვთხოვო. ჩემს ძმას უკვე ჰყავს ცოლი, მამაჩემი კი ღარიბი კაცია. მე სახსრები არ მყოფნის. ჩემს შეყვარებულსაც არაფერი აბადია. კაი ჩემს დღეს რაკიღა ასე მოგვნდეთ, ბარბარ მითხარით, ღვთის გულისათვის, ბარბარა რა დღეშია? ალბათ, ჩემსავით უბედური იქნება. წერილის გადაცემასაც ვერ ვახერხებ, რადგან ეკლესიაშიც კი აღარ დადის. უბედურო ჩემო თავო! რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე.

რა უნდა მექნა? მხოლოდ თანაგრძნობას თუ გამოვხატავდი, რადგან ამ საქმეში ჩარევა შეუძლებლად მიმაჩნდა. ვეთხარი, რომ ხუთი დღე იყო, რაც ბარბარა არ მენახა და რაკიღა არ ვიცოდი კიდევ რა მეთქვა, ასეთი რჩევა მივეცი, ყველა იდიოტი რომ მისცემდა: დაივიწყე-მეთქი.

ლუკრეცია მენატრებოდა და გაუძლისი სურვილით შეპყრობილმა მისკენ გავწიე. გულდამძიმებული და მოქუფრული დამხვდა.

— ოჰ! — ამოიოხრა მან, როგორც კი დამინახა, — შეუძლებელია, რომ ჩემი ნახვის დრო ვერ გამოგენახათ.

— ჩემო ენაზესო მეგობარო, საქმე დროში როდია. ჩვენს სიყვარულს, ისე სათუთად ეუფრთხილდები რომ მის გამეღვნებას სიკვდილი მირჩევნია. გადავწყვიტე, ყველანი ფრასკატში სადილზე მიგიწვიოთ. კარეტას გამოგიგზავნით. იმედი მაქვს, რომ იქ რაიმე ბედნიერი შემთხვევა ჩვენს სიყვარულს კეთილი თვალით გადმოხედავს.

— დიახ, დიახ, ჩემო მეგობარო, ქენით ეს საქმე. დარწმუნებული ვარ, რომ უარს არ მიიღებთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ოჯახის სხვა წევრებიც შინ დაბრუნდნენ და უახლოესი კვირისათვის ყველანი სადილზე დავპატიჟე. კვირა სწორედ წმინდა ურსულას დღეს უწევდა და ამიტომ ლუკრეციას პატარა დის დღეობაც იყო. დონა ჩეჩილიას ვთხოვე, რომ დებისათვის მათი უმცროსი ძმაც გამო-

ეყოლებინა. მიწვევა ერთხმად მიიღეს და მე შეკბირდი, რომ დილის შვიდ საათზე მათი სახლის კართან ფაეტონს და ორიადგილიან კარეტას დავხვედრებდი.

მეორე დილის შვიდ საათზე დონა ჩეჩილიასთან ვიყავი. ფაეტონიც და ჩემი ეკიპაჟიც კარებთან იდგა. დონა ჩეჩილიამ ჩემი ელეგანტური ეკიპაჟი დიდად შეაქო და გვერდით მომიჯდა.

— აქეთობას კი ჩემი რიგი იქნება. — თქვა ლუკრეციამ. მე თავი დავუკარი, თითქოს ამით სიტყვაზე ვიშერდი. ამრიგად, ხელთათმანი თვითონვე გადმომიგდო, რათა ყოველგვარი ეჭვები გაეფანტა. მომავალ ბედნიერებაში დარწმუნებულმა თავი მხიარულებას მივეცი. დიდებული სადილი შევუკვეთეთ და ლუდოვიზის ვილის სანახავად ჩავედით. ვინიცობაა დავბნეულიყავით, პაემანი სასტუმროში დავთქვით. დელიკატურმა ქვრივმა დონა ჩეჩილიამ თავის სიძეს ხელმკლავი გამოსდო, ანჯელიკამ თავისი საქმრო დაითრია, ლუკრეცია კი მე მერგო. ურსულა და მისი ძმიკო ერთად გაიქცნენ და ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მე და ლუკრეცია ვარტონი დავრჩით.

— ხომ დაინახე, — მითხრა მან, — როგორი გულუბრყვილობით მოვაწყვე ჩვენი თითქმის ორსაათიანი ვიზავი. ჰო, მართლა, ჩვენ ხომ სწორედ ვიზავი გვაქვს. რა ბრძენია სიყვარული.

— ჰო, ჩემო ღვთაებავ, სიყვარულმა ჩვენი სულები ერთმანეთს შერთო და ერთარსებად გვაქცია. მე გაღმერთებ და მხოლოდ იმიტომ კუძლებ უშენოდ ამ უსასრულო ქამს, რომ შემდეგ ამ ერთი დღის სიხარული განვიცადო.

— მეგონა, რომ ეს დღე აღარ გვეღირსებოდა. ყველაფერი შენ ჩოაწყვე, ჩემო მეგობარო, შენი ასაკისათვის ძალზე გამოცდილი ბრძანდები.

— სულ რაღაც ერთი თვის წინ, ჩემო ღვთაებავ, სრულიად უმეცარი ვიყავი. შენ ხარ პირველი ქალი, ვინც სიყვარულის ნამდვილ საიდუმლოებებს მაზიარა. შენი წასვლა, ლუკრეცია, ჩემთვის ნამდვილი სიკვდილი იქნება, რადგან მთელს იტალიაში სხვა შენი მსგავსი ქალი არ მეგულება.

— როგორ, მე შენი პირველი სიყვარული ვარ? ოჰ, საბ-

რალოვ! შენც ჩემი პირველი ნამდვილი სიყვარული ხარ და, რა თქმა უნდა, უკანასკნელიც შენ იქნებ. ბედნიერია ის, ვინაც ჩემს შემდეგ შეიყვარებ. არ ვეჭვიანობ, მხოლოდ ვეწამები, რადგან მეცოდინება, რომ შეუძლებელია, ჩემსავით უყვარდე.

ლუკრეციამ ჩემი შენამული თვალები რომ დაინახა, თვითონაც ცრემლად დაიღვარა. ბალახზე დავსხედით და ჩვენმა ტუჩებმა უტკბილეს კოცნებთან ერთად ცრემლების ნექტარიც ნეტარებით შეისრუტეს.

სულის მოთქმის ჟამს, ჩვენი უმშვენიერესი უწესრიგობით მოხიბლულმა ვუთხარი, რომ შესაძლო იყო ასეთ ყოფაში ვინმე შემოგვესწრებოდა.

— ნუ გეშინია, ჩემო მეგობარო, ჩვენი გენიები გვიცავენ.

ისევ ვიწექით და ერთურთის სიყვარულით აღსავსე თვალებს ჩავცქეროდით, როცა ლუკრეციამ უეცრად მარჯვნივ მიიხედა და შესძახა:

— აი, ჩემო სიყვარულო, ხომ გითხარი, ჩვენი გენიები გვიცავენ-მეთქი... ოჰ, როგორ გვითვალთვალებს! მისი მზერა ჩვენს დამშვიდებას ცდილობს. შეხედე ამ პატარა დემონს. ეს ბუნებაში ყველაზე იდუმალი არსებაა: რა საყვარელია! იგი უეჭველად ან შენი გენია ან — ჩემი.

ვიფიქრე, ბოდავს მეთქი.

— რას ამბობ, ჩემო სიხარულო, რა არის საყვარელი, რას უნდა ვუყურო?

— განა ამ ეშვენიერ გველს ვერ ხედავ, როგორ ,ელავს კანი! თავი ისე აუღერია, თითქოს ჩვენზე ლოცულობსო!

იმ მხარეს მივიხედე, საითკენაც მითითებდა და მკლავის სიგრძე ნაირფერად მოლივლივე გველი დავინახე, რომელიც მართლა მოგვჩერებოდა. ეს ,ანახაობა სულაც არ მართობდა, მაგრამ მასზე არანაკლები სიმამაცე რომ გამომეჩინა, მშვიდად ვუთხარი:

— ჩემო სათაყვანო მეგობარო, განა სულ არ გეშინია?

— გეუბნები, რომ მისი ყურება აღტაცებას მგვრის. დარწმუნებული ვარ, ამ არსებას მხოლოდ ფორმა აქვს გველისა, უფრო სწორად, მარტო გარეგნულად აქვს გველის სახე.

— რას იზამ, ახლა რომ დაიკლაკნოს და სისინით პირდაპირ შენკენ გამოსროიალდეს?

— მაგრად ჩავიკრავდი გულში და ფიქრადაც არ გამივლია, რომ მას ჩემთვის რაიმე ზიანის მოყენება შეუძლია. შენს კვერდით ლუკრეციას ვერაფერი შეაშინებს. შეხედე, გასრიალდა. ასე ვალე თავისი გაქცევით უმეცართა მოახლოებას ვეაუწყებს. ვეაფრთხილებს, რომ სხვა თავშესაფარი მოვძებნოთ, სადაც ჩვენს შექცევას განვაახლებთ. წავიდეთ.

ის-ის იყო აკდექით და ნელ-ნელა გზას გავუყევით, რომ მეზობელი ხეივნიდან გამოსული დონა ჩეჩილია და ადვოკატი დავინახეთ. თავი არ აგვარიდებია და, თითქოს ეს შეხვედრა საკუთარი ბუნებრივი იყო, დონა ჩეჩილიას მშვიდად ვეკითხები, თქვენს ქალიშვილს გველის თე ეშინია-მეთქი.

— მიუხედავად თავისი გონიერებისა, — მიპასუხა ქან, — ბულის წასვლამდე ეშინია ჭეკა-ქუხილისა და უხსენებლის. ყველაზე პატარა უნასის დანახვაზეც კი იზაფრება. აქ ბევრი უხსენებელია. მაგრამ საშიში არაფერია, შხამიანები არ არიან.

გაოცებისაგან თმა ყალყზე დამიდგა. ამ სიტყვებმა დამანახეს, რომ ახლახან სიყვარულის ნამდვილი სასწაულის მოწმე ვიყავი.

ყავა დავლიეთ და ალდობრანდინის ვილის ლაბირინთებში ჩავიკარგეთ.

რამდენი ტაბილი მოგონება დამიტოვა ამ ადგილებმა. მეჩვენებოდა, რომ ჩემს ღვთაებრივ ლუკრეციას პირველად ვხედავდი. თვალები გვიბრწყინავდა. გულებს უჩაზესი განცდები გვითრთოლებდა და ჩვენი სულები ენებლიედ ილტვოდნენ ყველაზე მყუდრო საკანისაკენ. რომელიც თითქოს თვით ამურს შეექმნა, რათა იქ მისი იდუმალი კულტის საიდუმლოს ჩავწვდომოდით. გრძელი ხეივნის შუაგულში, მოხასხასე მწვანეზე იდგა ხშირ ბუჩქნარზე მიყრდნობილი ბუსნოს ფართო მერხი. ჩვენს თვალწინ გადაშლილიყო უვრცესი ველი, მზერა მარჯვნივაც და მარცხნივაც მთელ ხეივანს ისეთ მანძილზე სწვდებოდა, რომ ყოველგვარი მოულოდნელობისაგან დაზღვეული კიყავით. სიტყვები არ გვჭირდებოდა — ჩვენი გულები ლაპარაკობდნენ.

ერთმანეთის პირისპირ ვიდექით. ჩვენმა მარჯვე ხელებმა

ყველა დაბრკოლება მსწრაფლ გადალახეს და ბუნებას უმაქნისი საბურველებით დაფარული თავისი პირველქმნილი მშვენიერებანი დაუბრუნეს. მთელი ორი საათი მიწას მოწყვეტილები ზეცაში დავფრინავდით. ბოლოს ურთიერთ მოყვადოებულებმა და ნეტარქმნილებმა ხელები აღვაპყარით და ამურს გულითადი მადლობა შევწირეთ.

ეკიპაჟისაკენ ნელ-ნელა გავემართეთ. გზას უნაზესი გულახდილობით ვიხალისებდით. ჩემმა ლუკრეციამ მითხრა, რომ ანჯელიკას საქმრო მდიდარი კაცი იყო, ტივოლიში კარგი სახლი ჰქონდა და, ალბათ, იქ ღამის გასათევად მიგვიწვევდა. ამურს ვეედრი, რომ ისეთივე ბედნიერი ღამე გვიბოძოს, როგორი დღეც გვისახოვრა. შემდეგ სევდიანი ხმით მითხრა: „მაგრამ ის საეკლესიო საქმე, რომლის გამოც ჩემი ქმარი აქ ჩამოვიდა, ვაი, რომ ვალე დამთავრდება.“.

ორი საათი გზაში, ჩემს ეკიპაჟში გავატარეთ, ბუნებისაგან დადებული ყოველგვარი ზღვარი გადავლახეთ და მისგან იმაზე უფრო მეტიც მოვითხოვეთ, რისი მოცემაც შეეძლო რომში რომ დავბრუნდით, იძულებული გავხდით ფარდა დრამის დამთავრებამდე დაგვეშვა და თვით ვესში მონაწილე თვალთმაქცთათვის უდიდესი სიამოვნების მოშნიეველი თამაში შეგვეწყვიტა.

შინ ძლივს მივლასლასდი. მაგრამ მხოლოდ ჩემს ასაკში შესაძლებელმა ღრმა ძილმა ძალები იოლად აღმიდგინა და დილით ფრანგულის გაკვეთილზე წავედი.

რადგანაც სენიორ დელაკუა ავადმყოფობდა. გაკვეთილებს სულ ბარბარუჩა მიტარებდა. მან ახალგაზრდა ქალის მიმართ სრულიად ახალი და სასიამოვნო გრძნობები აღმიძრა: ეს იყო თანაგრძნობა. და მე თითქოს მომწონდა კიდეც, რომ მას ნუგეშად და საყრდენად მოვევლინე. არასოდეს ჩემი თვალისათვის თვალი არ გაუსწორებია, არასოდეს მის მორთულობაში ჩემთვის თავმოწონების სურვილი არ შემინიშნავს. ვხედავდი, რომ სასიამოვნო გარეგნობის ქალიშვილი იყო, მაგრამ ეს მისი ლირსების პატივისცემისა და მოწიწების გრძნობებს სულაც არ მიხშობდა. პირიქით, მისი ამვავარი ნდობა უფრო მეტს მავალებდა. ისიც მომწონდა, რომ ისეთ კაცად არ მთვლიდა, ვისაც მისი სისუსტეების გამოყენება შეეძლო.

როგორც კი მამამისი გამოჯანმრთელდა, მოახლე გაძევა და ახალი მოიყვანა. ბარბარამ მთხოვა, ეს ამბავი მისი მეგობრისათვის მეცნობებინა და მეთქვა, რომ ახალი მოახლის გადმობირების იმედი ჰქონდა, რათა მიმოწერის საშუალება მაინც მისცემოდათ. დავალების შესრულებას შევპირდი, მან კი თავისი მადლიერება რომ გამოეხატა, ხელზე ჰთხვევნა დამიპირა, მაგრამ არ დავანებე და საკოცნელად დავიხარე. თავი მორცხვად მიაბრუნა და გაწითლდა. ძალიან მეამა მისი საქციელი.

ბარბარამ ახალი მოახლის დამუნათება ჰოახერხა და მე შეუწყვიტე მათ ინტრიგაში ჩარევა, რადგან შეიძლებოდა ამ საქმეს ჩემთვის მეტად არასასურველი შედეგი ჰოჰყოლოდა. საუბედუროდ, მცდარი ნაბიჯი უკვე გადადგმული მქონდა.

მეორე დღეს მონტე-კოვალოში გავემართე და როგორც კი შესვლის ნება დამრთეს, პირდაპირ პაპის პალატს მივაშურე. პაპი მარტო იყო. თაყვანი ვეცი და უწმინდეს ხამლზე გაწოსახულ წმინდა ჯვარს ვეამბორე. წმინდა მამამ კინაობა მკითხა. მე თავი გავაცანი. მან მითხრა, რომ მიცნობდა და ესოდენ დიდი წონის მქონე კარდინალის სამსახურში ჩადგომა მომილოცა. შემდეგ მკითხა, თუ როგორ მივალწიე ასეთ მდგომარეობას, ყველაფერი ვუამბე. როცა საბრალო კეთილი ეპისკოპოსის ამბავი მოეუყვეი, ბევრი იცინა. გათამამებულმა სხვა ათასგვარი სალაღობო რამეც ვუამბე და ისე ვავახალისე, რომ მითხრა, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს ჩემთან თავისუფლად მოხვიდეთ და დარწმუნებული იყავით, რომ ამით დიდ სიამოვნებას ჰომანიჭებთო. მე ყველა აკრძალული წიგნის წაკითხვის უფლება ვთხოვე. ჰან თავისი ლოცვა-კურთხევით მიბოძა ამისი ნება და შემპირდა, რომ წერილობითაც დამიდასტურებდა. შემდეგ დაივიწყა ეს დაპირება.

ბენედიქტე XIV განათლებული და თავაზიანი კაცი იყო და ძალიან უყვარდა ხუმრობა. მეორეჯერ მედიჩის ვილაში შევხვდი. მან მიხმო და ათასგვარ წვრილმანზე გამიბა საუბარი. თან ახლდნენ კარდინალი ალბანი და ვენეციელი ელჩი. ამ დროს ერთი უბრალო გარეგნობის კაცი მიუახლოვდა. წმინდა მამამ ჰკითხა, რა გნებავთო. კაცმა რაღაცის ჩურჩული დაუწყო. პაპმა მოუსმინა და უთხრა: „მართალი ბრძანდებით. მიმართეთ ღვთის მოწყალებას."

ამ სიტყვების შემდეგ თავისი ლოცვა-კურთხევაც უბოძა. ბაბრალო კაცი სევდიანად გაშორდა, წმინდა მამამ კი სეირნობა განაგრძო.

— ეს ადამიანი, — ვუთხარი მე, — თქვენი უწმინდესობის პასუხით უკმაყოფილო დარჩა.

— რატომ?

— ვფიქრობ, რომ მანამდე მიმართა ღმერთს, ვიდრე თქვენთან მოვიდოდა. როცა თქვენი უწმინდესობა ისევ უკან აგზავნის, ისე გამოდის, როგორც ერთ ანდაზაშია — ირიდიდან პილატესაკენ.

პაპმა გადაიხარხარა. მისმა ორმა თანმხლებმაც გაიცინა. მე სერიოზული გამომეტყველება არ შემიცვლია.

— მე ღვთის დაუხმარებლად არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

— ეს მართალია, წმინდაო მამაო, მაგრამ იმ ადამიანმა იცის, რომ თქვენი უწმინდესობა უპირველესია ღვთის მსახურთა შორის. ამდენად ძნელი წარმოსადგენი არ არის მისგან გასაჭირი ახლა, როცა ისევ უფალთან გაგზავნეს. მას ერთი საშუალებაღა დარჩენია: ფული მისცეს რომაელ ლატაკებს, რომლებიც ერთ ბაიოკოდ მისთვის ილოცებენ. ისინი თავიანთი ლოცვების ძალით იკვეხნიან, მაგრამ მე მხოლოდ თქვენი ლოცვისა მჯერა და უმორჩილესად გევედრებით, მიხსნათ თვალის ქავილისაგან, სამარხვო საკვებმა რომ ამატეხა.

— სახსნილო მიირთვით, შვილო ჩემო.

— თქვენი კურთხევა, მამაო.

ბან დამლოცა და მითხრა, რომ უმნიშვნელოვანესი მარხვებისაგან მაინც არ მათავისუფლებდა.

იმავე საღამოს კარდინალთან შეკრებაზე პაპთან ჩემი საუბრის ამბავი უმთავრეს სიახლედ გახმიანდა. ყველა ჩემთან ლაპარაკსა და სიახლოვეს ეკ-წრაფოდა. ეს, რა თქმა უნდა, ჩემს პატივმოყვარეობას ფრიად ესალბუნება, განსაკუთრებით მეამა კარდინალ აკვავივას სიხარული, რის დაფარვასაც ამაოდ ცდილობდა.

ნოემბერი იწურებოდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს ანჯელიკას საქმრო მოვიდა და მთხოვა, რომ იმ საზოგადოებასთან ერთად, რომელსაც ფრასკატში ვუმასპინძლე, ერთი დღე-ღა-

მით ტივოლიში კჭკეოდი. სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან წმინდა ურსულა დღის შემდეგ ლუკრეციას მარტო არ შევხვედრივარ. გავემგზავრეთ.

ჯერ ანჯელიკას ავქმროს სახლი დავათვალიერეთ. სახლი კი არა, სალამაშო იყო. შემდეგ ყველანი ერთად ტივოლურ სიძველეთა მოსახილველად გავემართეთ. შევნიშნე, რომ დონა ლუკრეციამ რაღაც უჩურჩულა დონ ფრანჩესკოს. ამ შემთხვევით ვისარგებლე და ანჯელიკას ვუთხარი, რომ როცა გათხოვდებოდა, გახაფხულზე ვეწვეოდი და ამ მშვენიერი სეზონის რამდენიმე დღეს მასთან გავატარებდი.

— სინიორ, — მითხრა მან, — იცოდეთ, როცა ამ სახლის დიასახლისი გავხდები, თქვენ იქნებით პირველი ადამიანი, ვისაც კარს არ გავუღებ.

— დიდი მადლობა, სინიორა, რომ წინასწარ გამაფრთხილეთ.

მაგრამ, რაც ყველაზე უფრო უცნაურია, ეს შეურაცხყოფა სიყვარულის ახსნად მივიჩნიე. გაოგნებული ვიყავი. ლუკრეციამ ჩემი დაბნეულობა შენიშნა, ხელზე მომქაჩა და მკითხა, რა მოგივიდაო. ვუთხარი და აი, რა მიპასუხა:

— ძვირფასო მეგობარო, არ შეიძლება ჩემი ბედნიერება დიდხანს გაგრძელდეს. ახლოვდება ის ულმობელი წუთი, როცა უნდა დაგშორდეთ. მე რომ წავალ, ჰქენით სიკეთე და ანჯელიკა აიძულეთ, თავისი შეცდომა აღიაროს. მე სიბრალულით მიყურებს, როგორც ცოდვილს. ჩემს მაგივრად მასზე შური უნდა იძიო.

საღამოს ქანცგაწყვეტილნი და შიმშილისაგან დაოსებულნი უკან დავბრუნდით, მაგრამ ვახშამდე ერთი საათის დასვენებამ, ორსათიანმა ტრაპეზმა, უგემრიელესმა კერძებმა და საუკეთესო ღვინოებმა — განსაკუთრებით შესანიშნავმა ტივოლურმა — ძალ-ღონე ისე აღგვიდგინეს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა კარგი ლოგინის მოთხოვნილება იგრძნო, უფრო სწორად, დაწოლის აუცილებლობა, რასაც თავისი გემოვნების შესაფერისად გამოიყენებდა.

მარტო დაწოლა არავის უნდოდა. ლუკრეციამ განაცხადა, რომ ორანჟერეის მხარის ოთახში ანჯელიკასთან ერთად და-

იძინებდა, მისი ქმარი ახალგაზრდა აბატს მოიწვენდა, დედა კი — უმცროს დაიკოს.

ასეთი განაწილება ყველას ძალიან მოეწონა. დონ ფრანჩესკომ სანთლით გზა გამინათა ჩემთვის განკუთვნილი კარგი ოთახისაკენ, რომელიც დების ოთახს ემეზობლებოდა. მიჩვენა, როგორ იკეტებოდა კარი, ძილი ნებისა მისურვა და მარტო დამტოვა.

ანჯელიკას ეჭვიც არ ჰქონდა, რომ მათ მეზობლად დავბინავდი, მე და ლუკრეციამ კი ერთმანეთს უსიტყვოდ გავუგეთ.

კლიტის ჭუჭრუტანას მივაკვდი. დავინახე, როგორ შემოვიდა ორივე და თავაზიანი მასპინძლის თანხლებით. მან ღამის სანთური აანთო, ღამე მშვიდობისა უსურვა და წავიდა.

მაშინ ჩემმა ანგელოზებმა კარი ჩარაზეს, დივანზე ჩამოსხდნენ და ღამის ტუალეტს შეუდგნენ. ლუკრეციამ დას ჩემს გაპაგონად უთხრა, რომ ფანჯარასთან დაწოლილიყო. გოგომ არ იცოდა, რომ ჩემს უძღებ თვალთა წინაშე მთელ თავის სიტურფეებს აშიშვლებდა და მთელ ოთახში დედიშობილამ გაიარა. ლუკრეციამ ლამფა და სანთლები ჩააქრო და თავის უმანკო დაიკოს გვერდით მიუწვა.

ო, სანეტარო წამები! ვიცი, რომ მათი ვანმეორების იმედი არ უნდა მქონდეს, მაგრამ მხოლოდ სიკვდილი თუ შესძლებს ჩემში ამ ჯადოსნური მოგონების წაშლას. მგონია, არასოდეს ჩემს ცხოვრებაში ასე ელვის სისწრაფით არ გამიხდია, როგორც იმ ღამეს. კარს ვაღებ და ლუკრეციას მკლავებში ვუვარდები, ის კი დას ეუბნება: „ეს ჩემი ანგელოზია. იყუჩე და დაიძინე.“

რა მომჯადოებელ სურათს დავუხატავდი აქ ჩემს მკითხველებს, ულამაზესი ვნების გამოსახვა შესაძლებელი რომ იყოს!

...ჟალუზის ჭუჭრუტანებში შემოპარულმა დილის პირველმა სხივებმა ამღორძინებელი ძილის მეუფეობას გამოვვტაცა და მსგავსად იმ ორი მეომრისა, რომლებმაც ხმლების ქნევა მხოლოდ იმიტომ შეაჩერეს, რომ ერთმანეთს უფრო მეტი სიფიცხით ეკვეთონ, ჩვენც გაათკეცებული სურვილით განვაახლეთ ჩვენი ორთაბრძოლა.

— ო, ჩემო ლუკრეცია, რა ბედნიერია შენი მეგობარი.

მაგრამ შენს დას უფრთხილდი. შეიძლება გადმობრუნდეს და ყველაფერი დაინახოს.

— ნურაფრის გეშინია, ჩემო სულისთქმავ. ჩემი და ანგელოზია. ძალიან ვუყვარვარ და ვებრალები. ხომ მართალს ვამბობ, ჩემო ძვირფასო ანჯელიკა? ხომ გიყვარვარ? შემობრუნდი. შეხედე შენს დას, რა ბედნიერია! შენც ასეთი ნეტარება გელოდება, როცა ნამდვილი სიყვარული დაგიმორჩილებს.

ჩვიდმეტი წლის ანჯელიკა, რომელმაც, ალბათ, ტანტალოსის ღამე გაატარა, სწორედ ამ წუთს ელოდა, რომ თავისი დიდსულოვნების გამოჩენის საბაბი მისცემოდა, შემობრუნდა, დას სახე დაუკოცნა და გამოტყდა, მთელ ღამეს თვალი არ მოეხუჭავსო.

— შეუნდე, ჩემო კეთილო ანჯელიკა, ამასაც შეუნდე, ვისაც მე ვუყვარვარ და ვისაც მეც ვალმერთებ, — მიმართა ლუკრეციამ.

ო, შეუცნობელო ძალავ ღვთისა, ყოველ სულიერს რომ იმორჩილებ.

— ანჯელიკას ვძულვარ, — ვთქვი მე, — ვერ ვბედავ, რომ...

— არა. არ მძულხართ — მიპასუხა გოგომ.

— აკოცე. ჩემო მეგობარო, — მიმართა ლუკრეციამ, მისკენ წამიბიძგა და საოცრად გამხიარულდა, როცა ჩემს მკლავებში მოქცეული ღონემიხდილი და უმწეო და დაინახა.

მაგრამ სიყვარულთან ერთად დელიკატურობამაც არ მომცა იმის ნება, რომ ლუკრეციასთვის ჩემი მადლიერება არ დამედასტურებინა: პირველი ღამის ვნებით ვეკვეთე მას და ჩემს ძარღვებში ანთებული ცეცხლი უფრო აღიგზნო იმ ექსტაზისაგან, რომელშიც ანჯელიკა ვიხილე. მთლად მისიკვდილებული ლუკრეცია მეხვეწებოდა, გაჩერდიო, მაგრამ დაუნდობელი ვიყავი. და როცა მან ჩემი სურვილი გააწბილა, მაშინ თვინიერმა ანჯელიკამ სასიყვარულო თამაშების ქალღმერთს პირველი მსხვერპლი მიართვა.

იმ ხანაში, როცა ღვთაებები მოკვდავთა შორის ცხოვრობდნენ, ტკბილ და ფაქიზ დასავლეთის ქარზე შეყვარებულმა ევხორცმა არკადიამ სწორედ ასე ჩაიკრა გულში თავისი მიჯნური და მუცლად იღო და შვა ნაზი ზეფირი. განცვიფრებული

და აღტაცებული ლუკრეცია რიგრიგობით კვიოცხიდან სხეულებს. დაზე არანაკლებ ბედნიერი ანჯელიკა ისეთი ნეტარებით დნებოდა ჩემს მკლავებში, რომ მეჩვენებოდა თითქოს წამდვილ ბედნიერებას პირველად განვიცდიდი.

ქერათმიანმა ფებოსმა სიყვარულის სარეცელი დატოვა და სამყარო თავისი ოქროს სხივებით გაანათა. ეალუზის ჰუპრეტანებში გამოეთენილმა სინათლემ მაგრძნობინა, რომ წასვლის დრო იყო. უნაზესი გამომშვიდობების შემდეგ დავტოვე ჩემი ქალღმერთები და ოთახში გავედი. რამდენიმე წუთის მერე ჩემი მეზობლების სავანიდან ადვოკატის მხიარული ხმა გავიგე: იგი ცოლსა და ცოლის დას დასცინოდა, რომ ამდენ ხანს საწოლში ნებივრობდნენ. მერე მე მომიკაკუნა კარზე და დამშვიდა, რომ თუ არ ავდგებოდი, ორივე ქალს მომიყვანდა. შემდეგ ჩემთვის დალაქი მოსაყვანად წავიდა.

ნასაუზმევს ბაღში სასეირნოდ გავედით და როცა ლუკრეციასთან პირისპირ დავრჩი, საყვედურებით ავავსე.

— ნურაფერში გამამტყუნებ. — მითხრა მან, — რადგან მხოლოდ ქებას ვიმსახურებ. მე ჩემი წარმტაცი დის სულს სინათლე მოვფინე. ყველა საიდუმლოთა შორის უფაქიზეს საიდუმლოს ვაზიარე და ახლა იმის ნაცვლად, რომ ვებრალებოდე, შურით უნდა აღივსოს. კი არ უნდა სძულდე, უნდა უყვარდე. მე უბედური კი იძულებული ვარ დაგტოვო, ჩემო მეგობარო, და ჩემს სანაცვლოდ დის გიტოვებ.

— ოჰ, ლუკრეცია, როგორ უნდა შევიყვარო.

— რატომ, განა არ მოგწონს?

— მშვენიერია! მაგრამ შენს შემდეგ ახალი სიყვარული ვერ წარმომიდგენია. გარდა ამისა, მისი გული მთლიანად დონ ფრანჩესკოს ეკუთვნის. არ მინდა, რომ მათ შორის ჩავდგე, ან მათი ოჯახური სიმშვიდე დავარღვიო. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ შენი და სრულებით არა გგავს, თუ გინდა სანაძლეოს დაგიდებ: ის უკვე ნანობს, რომ თავის გულისთქმა აჰყვა.

— ყველაფერი შესაძლებელია, ჩემო მეგობარო, მაგრამ აი, რა მაწუხებს: ჩემს ქმარს იმედი აქვს, რომ სასამართლო ამ კვირაში გადაწყვეტილებას მიიღებს და მაშინ ჩემი ნეტარების ჟამიც დასრულდება.

ამ ცნობამ ფრიად დამამწუხრა. გული რომ გადამეყოლებინა, სეფრასთან დონ ფრანჩესკოს განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი. ქორწილისათვის ეპიტალამასაც კი შევპირდი.

როგორც ლუკრეციამ თქვა. მესმა ქმარმა სასამართლოს გადაწყვეტილება სამი-ოთხი დღის შემდეგ შეიტყო და ჩემთან მოვიდა, რათა გულწრფელი მეგობრობის გრძნობა გამოეხატა და ეცნობებინა, რომ მათი გამგზავრება ზეგისათვის იყო დანიშნული. ორივე საღამო ლუკრეციასთან მის ოჯახურ წრეში გავატარე. გამგზავრების დღეს კი, მისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა რომ მომემზადებინა, ადრიანად გავედი და ივ ადგილისაკენ გავემართე, სადაც, ჩემი ვარაუდით, ღამის გასათევად უნდა გაჩერებულიყვნენ. მაგრამ ადვოკატი რაღაც დაბრკოლებამ შეაყოვნა, გამოსვლა ოთხი საათით დააგვიანა და მხოლოდ მეორე დღეს სადილობისას ჩამოვიდნენ. ტრაპეზის შემდეგ ულიმლამოდ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს, მათ გზა განაგრძეს, მე კი რომში დავბრუნდი.

მისმა უწმინდესობამ კარდინალ S. C.-საგან ლექსების ჯილდოდ შესანიშნავი სათუთუნის მიღება მომილოცა. კარდინალი აკვავივა თავის კმაყოფილებას ვერ მალავდა, ხოლო აბატი გამა, რომელიც ხედავდა რომ ასეთ კარგ გზაზე ვიდექი, უკვე ჭკვის დარიგებას ვეღარ მიბედავდა.

ასეთი იყო ჩემი ჭეშმარიტად ბრწყინვალე მდგომარეობა, როცა ქრისტეშობის დღეს ჩემს ოთახში ბარბარა დელაკვას მიჯნური შემოვიდა, კარი ჩაკეტა, სავარძელში ჩავარდა და შესძახა, რომ უკანასკნელად ვხედავდი.

— მოვედი, რათა რჩევა გკითხოთ.

— რა რჩევა?

— აი, წაიკითხეთ და ყველაფერს გაიგებთ.

მისი სატრფოს ბარათი იყო. აი, რას სწერდა:

„ჩემო მეგობარო, მე მკერდქვეშ ჩვენი სიყვარულის ნაყოფს ვატარებ. გაცნობებთ; რომ თუ ჩემზე არ იზრუნებთ; რომიდან მარტოდმარტო გადავიხვეწები და მოვკვდები იქ, სადაც უფალი ინებებს. მზად ვარ, ყველაფერი ავიტანო, ოღონდ მამამ არაფერი შეიტყოს.“

— თუ თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, — ვუთხარი მე, — მას არ მიატოვებთ. ცოლად შეირთეთ. ნურც იმის მამას ჰკი-

ხავთ და ნურც თქვენსას. და ბედნიერად იცხოვრეთ. განგება თავის კალთას გადაგაფარებთ.

ამ რჩევამ თითქოს ოდნავ დაამშვიდა და წავიდა.

იანვრის დასაწყისში ისევ გამომეცხადა. ძალიან კმაყოფილი სახე ჰქონდა.

— ბარბარას სახლის მოპირდაპირე შენობაში ზედა სართული დავიქირავე. მან იცის ეს. ამაღამ სამერცხულიდან მასთან გადავძვრები და გაპარვის დროს დავთქვამთ. ვიცი, რაც უნდა ვქნა. გადავწყვიტე, ნეაპოლში წავიყვანო, და რადგანაც მოახლეს სხვენში ძინავს და არ შეიძლება ბარბარას გაქრობა არ გაიგოს, მასაც თან წავიყვანთ.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე.

ერთი კვირის შემდეგ, შუაღამისას, დაძინებას რომ ვაპირებდი და გასაღების გამოსაძრობად კარი გავაღე. უეცრად ზღურბლზე ვიღაც ებატი აღიმართა, ოთახში შემოიჭრა და სავარძელში ქოშინით ჩავარდა. ბარბარა ვიცანი და ყველაფერს მივხვდი, ისიც მაშინვე ვიაზრე, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამას ჩემთვის. შეცბუნებულმა და დაბნეულმა ვუსაყვედურე, რომ ჩემთან მოირბინა, და დაუყოვნებლივ წასვლა ვთხოვე. საბრალო! ვგრძნობდი, რომ ყოველი წუთის დაყოვნება მღეპავდა და რაკიღა არავითარი სერიოზული დახმარების გაწევა არ შემეძლო, ოთახიდან უნდა გამეგდო ან. თუ წინააღმდეგობას გამიწევდა, ხალხი შემეყარა. მაგრამ გამბედაობა არ მეყო, უფრო სწორად, რატომღაც ბედს დავემორჩილე.

როგორც კი კარისაკენ მივუთითე, ქვითინით მუხლზე დაეცა და ვედრება დამიწყო.

განა ისეთი ფოლადის გულიც არსებობს, რომ უბედური ქალის ცრემლმა და მუდარამ არ მოალბოს?

დავუთმე, თან გავაფრთხილე, რომ მის საქციელს შეიძლებოდა ორივე დაველუპეთ.

— არავის დაუნახავს, რომ თქვენთან შემოვედი, — მითხრა მან, — ამაში დარწმუნებული ვარ.

— თქვენი მიჯნური სად არის?

— ის და ჩემი მოახლე სბირებმა წაიყვანეს. ყველაფერს გიამბობთ. ჩემმა საყვარელმა გამაფრთხილა, რომ ამ ღამით ტრინიტა დეი მონტის კარიბჭესთან კარეტაში დამელოდებო-

და. ერთი საათის წინ ჩემი ოთახის სამერცხულიდან გავძვერი, ეს ოთახში შევაღწიე, იქ, როგორც ხედავთ, გადავიცვი და მოახლესთან ერთად შეხვედრის ადგილისაკენ გავემართე. მოახლე რამდენიმე ნაბიჯით წინ მიმიძღოდა და ჩემი ფუთები ჰაქონდა. მოსახვევში ვიგრძენი, რომ ფეხსაცმელზე ბალთა შემეხანა, შესაკრავად გავჩერდი, მოახლეს კი ეგონა, რომ უკან მიეკვლებოდი და გზა გააგრძელა. ის კარეტაში ავიდა, ამასობაში მეც მივუახლოვდი და ფარნის შუქზე ოცდაათამდე სბირი დავინახე. ერთერთი მათგანი უკვე მეეტლის კოფოზე იჯდა. მაშინვე მთელი სისწრაფით გარეკეს და თან გაიტაცეს მოახლე, რომელიც უთუოდ მე ვეგონე, და რა თქმა უნდა, ჩემი საქმეოც, კარეტაში რომ მელოდა. რა უნდა მექნა ამ საზარელ წუთს? რაკი მამაჩემთან დაბრუნება არ შემეძლო, გულის პირველსავე კარნახს ავყევი და მან იქ მომიყვანა. თქვენ მეუბნებით, რომ ჩემი აქციელი გლუპავთ. თუ ეს მართალია, მაშინ ვითხარით, რა ვქნა. სულერთია, მაინც ვკვდები. იპოვეთ გამოსავალი, მე ყველაფრისათვის მზად ვარ. მირჩევნია მე მოვკვდე. ვიდრე თქვენ რაიმე უსიამოვნება შეგამთხვიოთ.

ამ სიტყვებზე ისევ ცრემლი გადმოალვარღვარა.

მისი მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ჩემი გასაჭირი რას შეედრებოდა, მაგრამ მეც, მიუხედავად უდანაშაულობისა, საშინელი უფსკრულის პირას ვიდექი.

— აბრალო ბავშვო, — ვუთხარი ბოლოსდაბოლოს, — მალე ვათენდება და რას აპირებთ?

— სახლიდან წავალ, — სლუკუნით ამოთქვა მან, — ამ სამოსში ვერავინ მიცნობს. რომიდან გავიპარები და საითაც ფეხები წამიყვანს, იქით გავუტევ, ვიდრე დაქანცულობისა და მწუხარებისაგან მკვდარი არ დავეცემი.

ამ სიტყვებზე იატაკზე დავარდა. სული ეხუთებოდა და თანდათან ლურჯდებოდა. საშინელ დღეში ჩავვარდი.

მეტისმეტად აღელვებული და შეწუხებული ვიყავი საიმისოდ, რომ რაიმე სხვა სურვილი მეგრძნო. დავიყოლიე, რომ ჩემს ლოგინზე დაწოლილიყო და რადგან უაღრესი სისუსტისაგან ტრაფრის თავი არ ჰქონდა, ტანთ გავხადე და დავაწვინე. კიდევ ერთხელ საკუთარი გამოცდილებით დაკვრწმუნდი, რომ თანაგრძნობას ყველაზე ძლიერი ვნებების განელებაც კი შეუძ-

ლი, გაუხდელად ჯვერდით მივუწყეს და ალიონის პირველ სხივებზე გავეცალეთ.

უპირველეს ყოვლისა, საბალო გოგო ვაიძულე ოლიოდ ლუკმა ნამცხვარი და ყანარის ღვინო გადაეყლაპა. შემდეგ ზევით ავცოცდ რიგიან. მაგრამ უცხო თვალთაგან მოფარებულ ადგილას ავიყვანე, სადაც არავინ დადიოდა ხოლმე, და ვუბრძანე, რომ იქ დამლოდებოდა. მე კი აბატ გაძალთან გავეშურე. მას კარდინალ-ვიკარის აუდიტორთან საუბარში შეეკეწარი. სტუმარი გაეშვა თუ არა, აბატი მაშინვე ჩემთან მოვიდა და ახლახან გა-ულ კაცთან საუბრის შინაარსი გამომხილა: საჭირო ყოფილა. მისი მაღალუწმინდესობა კარდინალისათვის ეთხოვათ, რომ სასახლიდან გამოეყვანათ ერთი პიროვნება, რომელიც იქ შუალამით შეიპარა. მივხვდი, რომ ჩემს განკარგულებაში დაახლოებით ერთი საათიდა იყო და რამე გამოსავალი უნდა მეპოვა, რაც ბარბარას შერცხვენისაგან იხსნიდა.

იმაში დარწმუნებული, რომ ვერავინ დამინახავდა, საბალო ტუალეტთან მივედი და ვაიძულე, კარგი ფრანგული ენით დაეწერა. შემდეგი: „მონსინიორ, მე პატიოსანი ქალიშვილი ვარ, ოლონდ აბატად გადაცმული. გემუდარებით, თქვენო მაღალუწმინდესობავ, ნება დამრთოთ, რომ ჩემი ვინაობა პირადად თქვენ გაგიმხილოთ. იმედი მაქვს, რომ თქვენი სულდიდობით დაიცავთ ჩემს ღირსებას.“

დავარგე, თუ როგორ უნდა გადაეცა ეს ბარათი მისი მაღალუწმინდესობისათვის და დავარწმუნე, რომ კარდინალი აუცილებლად უშველდა.

ნასადილევს, გამასთან მარტო რომ დავრჩი, ვკითხე, რა მოხდა მეთქი და ეი, რა მიპასუხა:

„ერთმა ოჯახის მამამ, რომლის სახელიც ჯერ არ ვიცი, კარდინალ-ვიკარს სთხოვა, რომ მისი ვაჟისათვის ქალიშვილის მოტაცებასა და პაპის ოლქიდან გაქცევაში ხელი შეეშალა, და რადგან მოტაცება შუალამით იყო დათქმული, ვიკარმა, კარდინალის თანხმობით, ბარჯელოს სბირების დაყენება უბრძანა, რათა ახალგაზრდები შეხვედრის ადგილზევე დაეპატიმრებინათ. ყანკარგულება შესრულდა, მაგრამ პოლიციელებმა აღიარეს, რომ საქმე მხოლოდ სანახევროდ გააკეთეს, იმიტომ, რომ ქალი, რომელიც ეარეტიდან ახალგაზრდა კაცთან ერთად

გადმოვიდა, ისეთი სულაც არ იყო, ვის მოსატაცებლადაც თავს ეკვეტენ ხოლმე. რამდენიმე წუთის შემდეგ ბარჯელომ მოენისაგან შეიტყო, რომ ზუსტად მოტაცების დროს, ვილაც ახალგაზრდა აბატი თავქუდმოგლეჯილი შევარდა სასახლეში. მას უეცრად გაუჩნდა, რომ შეძლებოდა ის სწორედ მოსატაცებელი გოგო ყოფილიყო. პოლიციის უფროსმა ეს ამბავი ვიკარს მოახსენა. მან თავისი აგენტის ეშვები გაიხიარა და მის მაღალეწმინდესობა ჩვენს ბატონს სთხოვა, რომ ზემოთ ნახსენები პერსონის, გოგო იქნებოდა ის თუ ბიჭი, სასახლიდან გამოძევების ბრძანება გაეცა, თუ, რა თქმა უნდა, ამ პიროვნებას მისი მაღალეწმინდესობა პირადად არ იცნობდა. კარდინალმა აკკავივამ ეს ამბავი ამ დილის ათ საათზე გაიგო ვიკარის აუდიტორისაგან, რომელიც ჩემთან იხილეთ, და აღუთქვა, რომ იმ პიროვნებას აუცილებლად გაამეებდა, თუ, რა თქმა უნდა, მისი სახლობის წევრი არ იყო.

ჩვენმა კარდინალმა, შეპირებისამებრ, მართლაც გასცა სასახლის ჩხრეკის განკარგულება, სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ კი მსახურთუხუცესმა უკუბრძანება მიიღო და ჩხრეკა შეწყვიტეს, რისი მიზეზიც მხოლოდ ერთადერთი რამ შეიძლება იყოს: მსახურთუხუცესმა მითხრა, რომ ზუსტად ცხრა საათზე ვილაც აბატმა, რომელიც ძალიან ლამაზი იყო და გაღაცმული გოგოს ჰგავდა, მისი მაღალეწმინდესობისათვის ბარათის გადაცემა სთხოვა. კარდინალმა ბარათის წაკითხვის შემდეგ ხსენებული აბატი თავის აპარტამენტებში მიიწვია და მას შემდეგ იქიდან არც გამოსულა. რადგანაც ჩხრეკის შეწყვეტის განკარგულება უშუალოდ აბატის მიწვევის შემდეგ გაიცა, საფიქრებელია, რომ ეს აბატი სწორედ ის, სბირებისაგან თავდაღწეული გოგოა, შემდეგ რომ სასახლეში დაიმალა და, ალბათ, მთელი ღამეც იქ გაატარა.

— მისი მაღალეწმინდესობა, — ვთქვი მე, — იმ გოგოს, რა თქმა უნდა, სბირებს კი არა, კარდინალ-ვიკარს გადასცემს.

— არა, პაპსაც კი არ დაუთმობს, — მიპასუხა გამამ, — თქვენ ჩვენი კარდინალის მფარველობის ძალაზე ჯერ კიდევ წარმოდგენა არა გაქვთ. ეს მფარველობა კი უკვე გაწეულია, რადგან ქალიშვილი არათუ ვონსინიორის სასახლეში, არამედ მთლად მის ოთახში იმყოფება და დაცვაც უდგას.

რადგანაც ეს ამბავი მართლაც საინტერესო იყო, აბატ გამას, მთელი მისი გამჭრიახობის მიუხედავად, ჩემი განსაკუთრებული ყურადღება საეჭვოდ არ უნდა მოსჩვენებოდა.

მეორე დღეს სახეგაბრწყინებული აბატი გამა ჩემთან შემოვიდა. თურმე კარდინალ-ვიკარს სცოდნია, რომ გამტაცებელი ვაჟი ჩემი მეგობარი იყო, იმასაც კი ფიქრობდა, რომ მე გოგოს მეგობარიც ვიქნებოდი, რაკილა მამამისი ფრანგულს მასწავლიდა.

— ყველა დარწმუნებულია, რომ მთელი ეს ამბავი თქვენც იცოდით და საესებით ბუნებრივად ვარაუდობენ, რომ საბრალო გოგომ ღამე თქვენს ოთახში გაათია. აღტაცებული ვარ თქვენი სიფრთხილით, გეშინ ჩემთან საუბარში რომ გამოიჩინეთ. ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ამ საქმეში თქვენც ერიეთ.

— არაფერშიც არ ვერიე, — ვუპასუხე სერიოზული სახით, — ყველაფერი მხოლოდ ახლა თქვენგან გავიგე. გოგოს მართლა ვიცნობ, მაგრამ მთელი ექვსი თვეა არ მინახავს, რადგან გაკვეთილებზე აღარ დავდივარ. გაცილებით უკეთესად ახალგაზრდა დოქტორს ვიცნობ, მაგრამ თავისი განზრახვა ჩემთვის არასოდეს გაუზიარებია. თუმცა, ყველას აქვს უფლება, რაც უნდა ის იფიქროს. თქვენ მეუბნებით, ბუნებრივია, რომ ამ გოგომ ღამე თქვენს ოთახში გაატარაო. მაგრამ ნება მომეცეთ ვიცინო იმათზე, ვისაც თავიანთი ვარაუდები სინამდვილად მიაჩნიათ.

— ჩემო ძვირფასო მეგობარო, — მითხრა აბატმა, — ეს ყველა რომაელის სენია, და ბედნიერია ის კაცი, ვისაც მისი დაცინვა შეუძლია. მაგრამ ასეთი ცილისწამება თვით კარდინალის თვალშიც ჩრდილს მოგაყენებთ.

მეორე დღეს, ნასადილევს, გამამ მითხრა, რომ კარდინალმა გოგო მონასტერში გადაიყვანა. მისი აზრით ბარბარა მონასტრიდან მხოლოდ იმისათვის გამოვიდოდა, რომ ახალგაზრდა დოქტორის ცოლი გამხდარიყო.

— ძალიან მოხარული ვიქნები, — ვუთხარი მე, — იმიტომ, რომ ორივე მეტად პატიოსანი ადამიანია და ყოველგვარი სიკეთის ღირსნიც არიან.

შემდეგ დღეებში ეს ფატალური ისტორია ყელში ამომივიდა, რადგან ყველგან ამაზე მელაპარაკებოდნენ და ვხედავ-

დი, ჩემ. მხოლოდ იმიტომ სჯეროდათ, რომ სხვაგვარად მოქ-
ცევა ეგო ბედავდნენ.

მაგრამ ერთმა გარემოებამ ძალიან დამაღონა: კარნავალის
ბოლო დღეებში კარდინალი აკვავივა ისე გულითადად აღარ
მეპყრობოდა, როგორც ადრე, თუმცა ამ ცვლილებას ჩემს
გარდა ვერავინ ამჩნევდა.

გატაცების ირგვლივ ამტყდარი აურზაური ჩაცხრობას
იწყებდა, როცა მარხვის დასაწყისში კარდინალმა თავის ოთახ-
ში მიხმო და მითხრა: — დელაკვას ქალიშვილის ისტორია დამ-
თავრდა. მასზე უკვე აღარ ლაპარაკობენ. მაგრამ ყველა ფიქ-
რობს, რომ ქალის გატაცების მსურველი ახალგაზრდა კაცის
უნათლობით მე და თქვენ ვისარგებლეთ. ეს მითქმამოთქმა,
არსებითად, ნაკლებ მაინტერესებს, რადგან ამ ვითარებაში
ყოველთვის სწორედ ასე მოვიქცეოდი. არც იმის გაგებას ვესწ-
რაფვი, რის აღიარებასაც თქვენ ვერავინ გაიძულებთ და რა-
ზეც, როგორც კეთილშობილმა ადამიანმა, არც უნდა ილაპა-
რაკოთ. თუ თქვენ მანამდე არაფერი იცოდით, მაშინ გოგოს
გავდებით თუ იმ ღამეს მართლა თქვენთან იყო — ბარბა-
როსულ და საძაგელ საქციელს ჩაიდენდით, რადგანაც ამით
ეს მთელი ცხოვრების განმავლობაში უბედურ ქალად აქ-
ცევდით, ეპვებსა და ჭორებს კი მაინც ვერ აიცილებდით, თა-
ნაც ვარდან ყველაფერს უსინდისო ღალატის სახე ექნებოდა.
ყოველგვარი ლაყბობისაგან ჩემი სიძულვილის მიუხედავად,
არავს არ უნდა მოეჩვენოს, რომ ამ მოლაყბეებს აშკარა
ბრძ. ლაში ვეწევე. ამიტომ იძულებული ვარ ვთხოვოთ, რომ
არა ეა.ტო შე დამტოვოთ, არამედ რომიც. პირობას გაძ-
ლევთ, რომ ყველას ყურში ვუჩურჩულებ ანდა ხმამაღლა სა-
ჯაროდ განვაცხადებ, რომ ჩემი მნიშვნელოვანი დავალების
შესასრულებლად უცხოეთში გაემგზავრეთ. ოღონდ მოიფიქ-
რეთ, რომელ ქვეყანას ისურვებდით. მეგობრები ყველგან
მყავს. ისეთ რეკომენდაციას მოგცემთ, რომ თანამდებობის
მიღება არასოდეს გაგიჭირდებათ. მოემზადეთ ერთ კვირაში
წასასვლელად. დამიჯერეთ, თქვენი დაკარგვა გულს მტკენს,
მაგრამ ეს არის მსხვერპლი, რომელსაც ჩვენგან ყველაზე
უაზრო კრუმორწმუნეობა ითხოვს. ახლა წადით და წუ გამხ-
დით თქვენი მწუხარების მოწმედ".

ეს ბოლო სიტყვები იმიტომ მითხრა, რომ უკვე თვალები ცრემლით მქონდა სავსე. კაბინეტიდან გამოსვლამდე იმდენი ნებისყოფა მოვიკრიბე, რომ ჩემი გარეგნობა მხოლოდ ხალისსა და უდარდელობას განასახიერებდა. ასე რომ, აბატი გაჩა, რომელმაც ყავაზე დამპატიჟა, ჩემი კარგად ყოფნით გახარებული იყო.

სად უნდა წავსულიყავი? მთელი ღამე და მთელი დილა ამაზე ფიქრში გავატარე, მაგრამ ამაოდ. რომის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო.

მეორე დღეს ნეგრონის ვილაში მივედი. კარდინალი თავის მდივანთან ერთად სეირნობდა და როგორც კი დამინახა, მაშინვე გაუშვა იგი. მარტონი რომ დავრჩით, ორივე მიჯნურის თავგადასავალი დაწვრილებით ვეამბე, შემდეგ ყველაზე მუქი ფერებით დავუხატე ჩემი წუხილი იმის გამო, რომ მას უნდა დავშორებოდი. მაგრამ მისი გადაწყვეტილება ვერაფრით შევარყიე. დაჟინებით მთხოვდა ევროპის იმ ქვეყნის დასახელებას, სადაც წასვლას ვისურვებდი და, სასოწარკვეთილებისა თუ წყენისაგან, დაუფიქრებლად წარმოვთქვი: „კონსტანტინოპოლი“.

— კონსტანტინოპოლი? — ჩამეკითხა ის და ორი ნაბიჯით უკუდგა.

— დიახ, მონსინიორ, კონსტანტინოპოლი! — გავიმეორე და ცრემლი შევიმშრალე.

და ამ უჭკვიანესმა მაგრამ სულის სიღრმეში მაინც ესპანელმა კაცმა რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ ღიმილით მითხრა:

— დიდი მადლობელი ვარ, რომ ესპანეთი არ აირჩიეთ, თორემ დიდ გასაჭირში ჩავვარდებოდი. როდის გაემგზავრებით?

— რვა დღის შემდეგ. როგორც თქვენმა მაღალეწმინდესობამ მიბრძანა.

— გემზე ნეაპოლში დაჯდებით თუ ვენეციაში?

— ვენეციაში.

— საშვებს მოგცემთ, იმიტომ, რომ რომანიაში გამოსაზამთრებლად მყოფ ორ არმიას გადაეყრებით. მე მგონი, შეგიძ-

ლიათ, ნებისმიერ ადამიანს უთხრათ, რომ მე კონსტანტინოპოლში გაგგზავნეთ. მაინც არ დაგიჯერებენ.

ამ პოლიტიკურ ცბიერებაზე კინალამ გამეცინა. ამან მითხრა, რომ ჩემთან ერთად ისადილებდა და თავის მდივანს დაუბრუნდა.

ერთი დღის შემდეგ კარდინალმა ვენეციის საშვები და დაბეჭდილი წერილი მომცა, რომელიც კონსტანტინოპოლში ყარამანიის ფაშა ოსმან ბონევილს მისწერა.

ვენეციის ელჩმა, კავალერმა ლეცემაც გამატანა წერილი ერთ ძალიან მდიდარ თურქთან, მაგრამ აბატმა გამამ, როცა ეს წერილები ვაჩვენე, სიცილი ატეხა და დარწმუნებით განმიცხადა, რომ კონსტანტინოპოლში არ მივემგზავრებოდი.

ჯამოსამშვიდობებლად დონა ჩეჩილიასთან წავედი, რომელსაც სულ ახლახან ლუკრეციას წერილი მიეღო. აცნობებდა, რომ მალე დედობის ბედნიერებას ეზიარებოდა. გამოვეთხოვე ანჯელიკასა და დონ ფრანჩესკოს, რომლებიც ცოტა ხნის წინ დაქორწინებულიყვნენ და ქორწილში არ დამპატიჟეს.

როცა უკანასკნელი დარიგებებისათვის კარდინალ აკვავივას ვეწვიე, მან საფულე გადმომცა, შიგ ასი უნცია ოქრო იდო, რაც შვიდას ცეხინამდე ეღირებოდა. მე კიდევ სამასი მქონდა, ესე იგი სულ — ათასი. ჯიბეში ორასი ცეხინი ჩავიტოვე, დანარჩენი კი ერთ რაგუზელს გადავუგზავნე, რომელსაც ანკონაში ბანკი ჰქონდა. შემდეგ ეკიპაჟში ჩავჯექი.

ანკონაში 1744 წლის 25 თებერვალს ჩავედი და საუკეთესო სასტუმროში დავბინავდი. ოთახით კმაყოფილი დავრჩი და სასტუმროს პატრონს ვუთხარი, რომ სახსნილო საჭმელი მოეტანა, მაგრამ მან მიპასუხა, რომ ქრისტიან კაცს მარხვის დროს მარხულობა მმარჯებდა.

— წმინდა მამამ სახსნილოს ჭამის ნება დამრთო.

— მაჩვენეთ.

— ეს ზეპირი ნებართვა იყო.

— სინიორ აბატო, სულაც ბრა ვარ ვალდებული, რომ დაგიჯეროთ.

— იმიტომ, რომ სულელი ხართ.

— აქ პატრონი მე ვახლავართ და გთხოვთ, რომ სადმე სხვაგან დაბინავდეთ.

ასეთმა პასუხმა და მოულოდნელმა მოთხოვნამ ძალიან აღმაშფოთა. წყენა, გინება და ყვირილი აეტეხე.

უცებ ოთახში ვიღაც მედიდური ტიპი შემოდის და მეუბნება:

— სინიორ, თქვენ ტყუილად ითხოვთ სახსნილო საჭმელს, რადგან ანკონაში სამარხულო ფაციელებით გემრიელია. გსურთ, რომ სიტყვაზე გენდონ, მაგრამ თუ პაპის სიტყვიერი ნებართვა მართლა გაქვთ, მის მოსაპოვებლად ამაოდ გარჯილხართ. სასტუმროს პატრონა სულელი ტყუილად უწოდეთ, რადგან არავინაა ვალდებული, თავის სახლში ამგვარი კომპლიმენტები ისმინოს. და ბოლოს, ასეთ აურზაურსაც ამაოდ სტეხთ.

— სინიორ, ყველა თქვენს საყვედურს ხელს სიამოვნებით მოვაწერდი, — მივუგე მე, — მაგრამ გარეთ წვიმს, უკვე გვიანია, დაღლილი ვარ, კარგი მადაც მაქვს. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ აქედან სადმე წასვლა სულაც არ მეპიტნავება? იქნებ პატივი დამდოთ და მეპატრონის მაგივრად სადილზე დამპატიჟოთ?

— არა, — საკვირვლად მშვიდად მიპასუხა მან, — მე წესიერი კათოლიკე ვარ და მარხვას ვინახავ. მაგრამ პატრონის გულის მოგებას მაინც ვცდილობ და გპირდებით, რომ დიდებულ ვახშამს მოგიტანთ.

ეს მითხრა და კიბეზე დაეშვა. მე კი ჩემი ფხუკიანობა მის სიმშვიდეს შევუდარე და ვაღიარე, რომ მართლაც ჭკუის დარიგების ღირსი ვიყავი. იმავ წუთს დაბრუნდა და მითხრა, რომ ყველაფერი მოგვარებული იყო.

— მაშ, ჩემთან ერთად ვახშმობა არ გნებავთ?

— არა, მაგრამ თანამეინახეობას კი გაგიწევთ.

სიამოვნებით დავეთანხმე. მისი სახელი რომ გამეგო, ჯერ თავად წარეუდექი და თავი კარდინალ აკვავივას მდივნად გავაცანი.

— მე სანჩო პიკო მქვია, — მითხრა მან, — კასტილიელი ვარ და მისი კათოლიკური უდიდებულესობის არმიის პროვედიტორად ვმსახურობ.

ჩემმა მადამ დიდად გააოცა და მკითხა, დღეს თუ ისადილეთო. არა-მეთქი ვუპასუხე.

— არ გეშინიათ, რომ ასეთი მსუყე ვაბშამი ზიანს მოგაყენებთ.

— პირიქით. იაკადი მაქვს, რომ არცთუ მცირე სარგებელს მომიტანს.

— გამოდის, რომ პაპი მოგიტყუებიათ.

— არა. მისთვის არასოდეს მითქვამს, მადა არა მაქვსმეთქი. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ სამარხულო საშველს სახსნილო მირჩევნია.

— თუ კარგი მუსიკის მოსმენა გსურთ, -მიმახრა მცირე დაყოვნების შემდეგ, -- მეზობელ ოთახში გამომყევით. იქ პრიმადონა ცხოვრობ.

სიტყვა „პრიმადონამ“ დამაინტერესა და გავყევი. ვხედავ, მაგიდასთან ზის არც ისე ახალგაზრდა ქალი ორ გოგოსთან და ორ ბიჭთან ერთად. მაგრამ მსახიობ ქალს ამაოდ დაკვეძებდი, ვიდრე დონ სანჩომ ერთ-ერთ ბიჭუნაზე არ მიმითითა. იგი ჩვიდმეტი წლისა თუ იქნებოდა და მომჯადოებლად ლამაზი იყო. ვიფიქრე, საჭურისია და პირველი მსახიობი ქალის მოვალეობას ასრულებს-მეთქი, დედამ თავისი მეორე ვაჟიც გამაცნო. ისიც ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ უფრო მამაკაცურად გამოიყურებოდა. მას პეტრონიო ერქვა. ეს მეორე პრიმა ბალერინას როლს თამაშობდა. ორი ქალიშვილიდან უფროსს ჩეჩილია ერქვა და მუსიკას სწავლობდა. ოცი წლისა იყო. უმცროსი, სახელად მარინა, თერთმეტი წლისა თუ იქნებოდა და, თავისი ძმის დარად, მანაც თავი ტერპსიქორეს კულტს უძღვნა. ორივე ძალიან მომხიბვლელი იყო.

მთელი ოჯახი წარმოშობით ბოლონიიდან იყო და თავს საკუთარი ტალანტით ირჩენდა. გულთბილობა და მხიარულება მათ ერთადერთ სიმდიდრეს წარმოადგენდა.

ბელინო — ასე ერქვა საჭურისს — დონ სანჩოს დაჟინებული თხოვნით კლავესინს მიუჯდა და ანგელოზური ხმით ამღერდა. რაღაცნაირ ექსტაზში შესული კასტილელი თვალდახუჭული უსმენდა, მე კი თვალის დახუჭვა სულაც არ მიფიქრია, რადგან ბელინოს ცქერით ვტკბებოდი: მისი შავი დ

მოგიზგიზე თვალებიდან გადმოფრქვეულმა ნაპერწკლებმა მეც ცეცხლი წამიკიდა.

ბელინოს თილისმით შეპყრობილი დაჯაჭვნებლად წავედი. გულდაწყვეტილი მივდიოდი, რადგან ვერ დავუმტკიცე, რომ ამ თვალთმაქცობით ჩემი გაცურება შეუძლებელი იყო. მეორე დილით, კარი გავაღე თუ არა, ოთახში ბელინო შემოვიდა, რამაც საგიჟეოდ გამაოცა. მან მითხრა, რომ გარედან მოსამსახურის მოყვანას სჯობდა, ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში მისი უმცროსი ძმა მომმსახურებოდა.

ბელინო გვერდით მოვისვი. მინდოდა გამომეცადა და ქალაქშეილსავით გავეარშიყებოდი, მაგრამ ამ დროს უმცროსი დები შემოვიდნენ და მთელი გეგმები ჩამიფუშეს.

პეტრონიო დაბრუნდა და ყავა ჩამოგვირიგა. ერთი ფინჯანი მათ დედასაც გაუგზავნე, რომელიც ოთახიდან არასოდეს გამოდიოდა. ეს პეტრონიო ნამდვილი გიტონი იყო. იტალიაში ამგვარი რამეების შეუწყნარებლობა არც ისე უაზრო, როგორც ინგლისში და არც ისე სასტიკი, როგორც ესპანეთში. მას უკვისათვის ერთი ცეხინი გავატანე და როცა ხურდა არ გამოვართვი, მადლიერების ნიშნად ტუჩებში დამაცხრა, რითაც გაამეღვნა, რომ ჩემში ისეთ მიღრეკილებებს ვარაუდობდა, რაც სრულებით არ გამაჩნდა. თავისი შეცდომა მაშინვე აუხსენი და, ეტყობა, არც სწყენია. ექვსი პერსონისათვის სადილის შეკვეთა დავავალე, მაგრამ მითხრა, რომ მხოლოდ ოთხ სულზე შეუკვეთდა, რადგან თვითონ დედასთან უნდა დარჩენილიყო, რომელიც მუდამ ლოგინში სადილობდა. ყველას თავისი გემოვნება აქვს. ხელი არ შემიშლია.

ათი წუთიც არ იყო გასული, რომ სასტუმროს პატრონი გამომეცხადა და მითხრა:

— სინიორ აბატო, გაფრთხილებთ, რომ თქვენი დაპატიჟებული პირები სულ ცოტა ორ-ორი ადამიანის ულუფას მაინც მიირთმევენ. ამიტომ სუფრას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგიწყობთ, თუ თანახმა იქნებით, რომ შესაბამისი თანხა გადაიხადოთ.

— კეთილი, — ვუთხარი მე, — ოღონდ კარგი სუფრა იყოს.

ჩემს მოვალეობად ჩავთვალე, რომ ოჯახის დედისათვის დილა მშვიდობისა მესურვებინა, მის ოთახში შევედი და

შვილები შევუქე. მან მაღლობა გადამიხადა და თავისი გულისწუხილის გაზიარება დამიწყო.

— თეატრალური ანტრეპრენიორი ბარბაროსია, — ამბობდა ის, — მთელი კარნავალისათვის მხოლოდ ორმოცდაათი რომაული სკუდოს მოცემა ინება. ეს ფული ყოველდღიური საჭიროებისათვის დავხარჯეთ. ახლა ბოლონიაში ფეხით უნდა დავბრუნდეთ და გზადაგზა ვიმათხოვროთ.

ამ აღიარებამ დამაღონა, საფულედან ოქროს პისტოლი ამოვიღე და მივეცი, რის გამოც მაღლიერების კურცხლები გადმოღვარა.

— სინიორა, კიდევ ერთ პისტოლს გპირდებით, — ვუთხარი მე, — მეორე საიდუმლოსაც თუ გამიმხელთ. აღიარეთ, რომ ბელინო გადაცმული ქალიშვილია.

— არა, ასეთი გარეგნობა აქვს.

— გარეგნობაც და შინაარსიც. მასეთ რამეებში ყარგად ვერკვევი.

— ბიჭია, სრულ სიმართლეს გეუბნებით. შემოწმების გავლაც კი მოუხდა, თეატრში რომ მიეღოთ.

— ვინ შეამოწმა?

— მოწყინიორ ეპისკოპოსის მოძღვარმა.

— მოძღვარმა?

— შეგიძლიათ მოძღვარს ჰკითხოთ და ჩემი ნათქვამის სიმართლეში დარწმუნდებით.

— მე მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები, როცა თვითონ გავსინჯავ.

— შეგიძლიათ, თუ დაითანხმეთ. მაგრამ მე ამ საქმეში ვერ ჩავერევი, რადგან არ ვიცი, გულში რა განზრახვა გიდევთ.

— ყველაზე ბუნებრივი განზრახვა და მეტი არაფერი.

ჩემს ოთახში დავბრუნდი და პეტრონიო ერთი ბოთლი კვიპროსული ღვინის მოსატანად გავგზავნე. მან დავალება შეასრულა და შვიდი ცეხინი ხურდა მომიტანა. ეს ფული ბელინოს, ჩეჩილიასა და მარინას გავუნაწილე.

მოგიზგიზე ბუხართან ვიჯდით, ღვინოში ჩამბალ წაბლს შევექცეოდით და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ უწყინარ კოცნებს ვარიგებდი. მაგრამ მალე იმ ადგილებს, ტუჩებით რომ ველამუნებოდი, ჩემი ხელებიც შეეხნენ და ამ თამაშმა

ჩეჩილიაც და მარინაც ძალიან გაამხიარულა. დავინახე, რომ ბელინო ილიმებოდა და მასაც მოვეხვიე. მისი გაღეღილი ქაბო ჩემს ხელს იზიდავდა. გავბედე და უბეში დაუბრკოლებლად ჩავალწიე. თვით დიდი პრაქსიტელის საჩრეთელსაც არ გამოუქანდაკებია ასეთი სრულყოფილი მკერდი.

ამის შემდეგ, — ვთქვი მე, — უკვე ალარავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ ქალი ხართ.

— ეს ყველა ჩემი მსგავსის ნაკლია, — მითხრა მან.

— არა, ეს ყველა თქვენი მსგავსის სრულყოფილებაა. ბელინო, დამიჯერე, ამ საქმეში საკმაოდ ბევრი გამეგება, რათა საჭურისის უფორმო მკერდი ლამაზი ქალის ძუძუებისაგან გავარჩიო. ესენი კი, თითქოს ალებასტრისაგან რომაული ნაკეთები, ნამდვილად ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ეკუთვნის.

სწორ გზაზე ვიდექი და უფრო შორს წასვლა მსურდა. დავაპირე, მხურვალედ დამეკოცნა ის, რასაც მხოლოდ ჩემი ხელი სწვდებოდა. მაგრამ ბელინომ თითქოს ახლალა იგუმანა, რომ ყოველივე ეს აკრძალულ სიამოვნებას მანიჭებდა, წამოხტა და გაიქცა. ვგრძნობდი, რომ დამშვიდება მჭირდებოდა. ან უნდა დამეკმაყოფილებინა სურვილი, ან უნდა დამეცხრო. ამიტომ ჩეჩილიას ვთხოვე, რომ ბელინოს მაგიერ რამდენიმე ნეაპოლური არია ემღერა. შემდეგ წამოვედი და ჩემი ფინანსური საქმეების მოსაგვარებლად ბანკირთან გავემართე. შემდეგ დავბრუნდი, გოგოებთან ერთად მსუბუქად ვიკახმე და დასაძინებლად დაწოლამდე პეტრონიოს დავუალე, რომ გამთენიისას ეკიპაჟი დაეხვედრებინა.

ის იყო თვალის ლახუტკას ვაპირებდი, რომ ჩეჩილია შემოვიდა და მითხრა, ბელინომ მითხოვა გავიგო, თანახმა იქნებით თუ არა, რომ ის რიმინოში წაიყვანოთ, სადაც შობისშემდეგ ოპერაშია მიწვეული.

— ჩემო ანგელოზო, უთხარით რომ მის ბრძანებას სიამოვნებით დავემორჩილები, თუ შენი თანდასწრებით ჩემს სურვილსაც შეასრულებს: მინდა ერთხელ და სამუდამოდ გავიგო, გოგოა თუ ბიჭი.

ჩეჩილია მალე დაბრუნდა და მითხრა: ბელინო უკვე დაწვა, მაგრამ თუ გამგზავრებას ერთი დღეღამით გადადებთ, მაშინ პირობას იძლევა, რომ სურვილს ხვალვე შეგისრულებთ.

— ამბავთლე მითხარი, ჩეჩილია, და ექვს ცეხინს გაჩუქებ.

ვერ გამოგართმევთ, სინიორ, რადგან ბელინო მთლად შიშველი არასოდეს მინახავს და დანამდვილებით ვერ ვიტყვი, გოგოა თუ ბიჭი. მე მგონი, ბიჭი უნდა იყოს. სხვანაირად სცენაზე ვერ ითამაშებდა.

— კარგი, ზეგ გავემგზავრები, ოღონდ იმ პირობით, თუ ამაღამ ჩემთან დარჩები.

ესე იგი, გიყვარვართ?

— ძალიან, თუ შენ კეთილი იქნები.

რა თქმა უნდა, ვიქნები და მერე როგორ! მეცხომ ძალიან მიყვარხართ. წავალ, დედას ვეტყვი.

— შეყვარებული გყავს?

— არა, არასოდეს მყოლია.

გავიდა და ერთ წამში სახეგაბრწყინებული შემობრუნდა. მითხრა, დედაჩემი ამბობს, რომ კეთილშობილი ადამიანი ხართო. რა თქმა უნდა, მას მხოლოდ გულუხვ ადამიანად მივაჩნდი. ჩეჩილიამ კარი დაკეტა და მკლავებში ჩამივარდა. ძალიან კარგი, მომხიბვლელი გოგო იყო, მაგრამ არ მიყვარდა და არ შემეძლო მისთვის ის სიტყვები მეთქვა, ლუკრეციას რომ ვეუბნებოდი: ჩემი ბედნიერება ხარ-მეთქი. სამაგიეროდ მან მითხრა ზუსტად ეს სიტყვები, რაც სულ არ გამხარებია, მაგრამ ისეთი სახე მივიღე, თითქოს ძალიან ნასიამოვნები ვიყავი. რომ გავიღვიძე, ალერსიანად მივესალმე, სამი დუბლონი მივეცი (რაც განსაკუთრებით დედამისს გაახარებდა) და ისე გავეშვი, რომ მარადიული სიყვარულის ფიცი არ მიმიცია — ესაა ყველაზე ქარაფშუტული და უაზრო რამ, რაც თვით ყველაზე წესიერმა კაცმა უმშვენიერესი ქალის წინაშეც კი არ უნდა წამოროშოს.

ბელინოს დავუძახე და თავისი დაპირება შევახსენე. მან სიცილით მითხრა, რომ დღე ჯერ გასული არ იყო, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ჩემთან ერთად იმგზავრებდა.

— გაფრთხილებთ, რომ ეს არ მოხდება, თუ ჩემს თხოვნას არ შეასრულებთ.

— თქვენ კმაყოფილი დარჩებით.

— გინდათ ჩემთან ერთად გასეირნება?

— მინდა. წავალ, ჩავიცვამ.

სანამ ბელინოს ველოდი, სევდიანზე სევდიანი მარინა შემოვიდა და მკითხა, თქვენი ასეთი უყურადღებობა რით დავიმსახურეო.

— ჩეჩილიამ წუხანდელი ღამე თქვენთან გაატარა. ხვალ ბელინოსთან ერთად მიემგზავრებით. ერთადერთი უბედური მე დავრჩი.

— ფული გინდა?

— არა, მე თქვენი სიყვარული მინდა.

— შენ ხომ ძალიან ახალგაზრდა ხარ, მარინეტა.

— მე ჩემს დაზე უფრო ხორციანი ვარ.

— მაგრამ იქნებ შეყვარებული ბუყავს?

— ო, არა!

— ჩინებულია. ხალამოს ვნახოთ.

— რა კარგია! დედას ვეტყვი, რომ დილისათვის ზეწრები გაამზადოს, თორემ მთელი სასტუმრო გაიგებს.

თეატრალური აღზრდის ასეთმა შედეგმა ფრიად გამაოცა, მაგრამ თავშესაქცევი ამბავი კი იყო.

ბელინო მოვიდა. ნავმისადგომისაკენ გავემართეთ. რეიდზე რამდენიმე გემი იდგა, მათ შორის ერთი ვენეციური და ერთიც — თურქული. პირველ ხომალდზე ამიყვანეს. ინტერესით დავათვალიერე, მაგრამ ნაცნობთაგან არავინ შემხვდა. ბელინოსთან ერთად ჩამოვედი და თურქების ხომალდზე აყვანა ვითხოვე. იქ ყველაზე რომანტიკული სიურპრიზი მელოდა. პირველი შემხვედრი პიროვნება სწორედ ის ბერძნის გოგო აღმოჩნდა, რომელიც შვიდი თვის წინ, ლაზარეთიდან რომ გამოვედი, ანკონაში დავტოვე. ის გემის მოხუცი მეპატრონის გვერდით იჯდა. თითქოს მისი მშვენიერი ტყვე არც შემემჩნიოს, ამ კაცს ისე ვკითხე, რაიმე ლამაზ ნივთებს ხომ არ ჰყიდიმეთქი. მან თავის ყაიუტაში წამიყვანა. როგორც კი მშვენიერ ბერძენ ქალს წამიერი მზერა შევაგლე, მის თვალებში ჩვენი ხელმეორე შეხვედრით გამოწვეული სიხარული ამოვიკითხე.

ისე ვიქცეოდი, თითქოს თურქის შემოთავაზებული უამრავი ნივთიდან არც ერთი არ მომწონდა. და თითქოს უცაბედი შთაგონების კარნახით განვაცხადე, რომ მსურდა რაიმე ლამაზი ნივთი მისი მშვენიერი მეორე ნახევრის გემოვნებით შე-

მერჩია. ბერძნის ქალმა ყურში რაღაც უჩურჩულა და კაცი გავიდა.

მისი გასვლა და ამ ახალი ასპაზიას ჩემს კისერზე ჩამოკონწიალება ერთი იყო. ჯაბანი არც მე დავხვდი, გარემოების შესაფერისი მდგომარეობა მივიღე და ერთ წამში ვუქენი ის, რაც მისმა პატრონმა ხუთ წელიწადში ვერ უყო. ჯერ ჩემი შეცდენლობების მწვერვალისათვის არ მიმეღწია, რომ საბრალო ქალს მისი მეუღლის ნაბიჯების ხმა შემოესმა, ამოოხვრით გამისხლტა ხელიდან, მარჯვედ წინ ამეფარა, თავის მოწესრიგების საშუალება მომცა და ამით ჩემი სიცოცხლე თუ არა, მთელი ჩემი ქონება მაინც გადაარჩინა, რომელიც ამ საქმის ჩაფარცხვას დასჭირდებოდა. ამ გასაოცარ ვითარებაში ყველაზე მეტად ბელინოს შესახედაობამ გამახალისა: გაოგნებულივით იდგა და ციებიანივით ცახცახებდა.

შინ საღამოს დავბრუნდით და ბელინოს შევუჩნდი, რომ თავისი სიტყვა შეესრულებინა. მაგრამ მან მიპასუხა, რომ უკვე მარინა მელოდებოდა და რადგან კიდევ ერთი დღით ვრჩებოდი, როგორმე დროს იხელთებდა და ჩემს ცნობისმოყვარეობას უსათუოდ დააკმაყოფილებდა. ეს მითხრა, ღამე მშვიდობისა მისურვა და წავიდა.

სიხარულისაგან გაცისკროვნებული მარინეტა კარის ჩასარაზავად გაიქცა და თვალებანთებული დაბრუნდა. ის ჩეჩილაზე ერთი წლით უმცროსი იყო, მაგრამ უფრო ქალური აღნაგობა ჰქონდა. იძულებული ვიყავი, ხმამაღლა მეღიარებინა, რომ მისი და ამ მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა.

არიან ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ცხოვრება მხოლოდ უბედურებათა გრძელი ჯაჭვია. განა ეს იგივე არ არის, რომ ვთქვათ, მთელი სიცოცხლე მხოლოდ უბედურებაა? მაგრამ თუ სიცოცხლე უბედურებაა, მაშინ სიკვდილი ბედნიერება ყოფილა. ასეთი დასკვნა ხომ გარდაუვალია. მაგრამ ვინც ამგვარად მსჯელობს, ან ავადმყოფია ან ღატაკი. რადგან ისინი რომ ჯანმრთელები იყვნენ გატენილი საფულეები რომ ჰქონდეთ, ასეთი ჩეჩილიები და მარინები რომ ჰყავდეთ და გულში რაღაც უკეთესი იმედი რომ უღვიოდეთ, რა თქმა უნდა შეხედულებებსაც შეიცვლიდნენ. მე მათ პესიმისტურ ჯიშად ვთვლი, მხოლოდდამხოლოდ ბუზღუნა ცრუპენტელებს,

ღვთისმეტყველთა და უპოვარ ფილოსოფოსთა შორის რომ არის გავრცელებული. თუ საერთოდ არსებობს სიამოვნება და მისი განცდა მხოლოდ სიცოცხლეში შეიძლება, მაშინ სიცოცხლე უკვე ბედნიერება ყოფილა. ვიცი, რომ უბედურებაც არსებობს, მაგრამ ესეც კი იმას ამტკიცებს, რომ ბედნიერები უბედურებს აღემატებიან, რადგან ვარდის თაიგულში ნაპოვნი რამდენიმე ეკლის გამო განა ამ ყვავილების მშვენიერების, უარყოფა შეიძლება? არა, იმის თქმა, რომ სიცოცხლე სიკეთე არ არის, საზიზღარ ჭორიკანობას ნიშნავს. როცა ბნელ ოთახში ვარ, მაინც უსაზღვრო სიამოვნებას მანიჭებს ფანჯრიდან ჩემს წინ გადაშლილი უკიდეგანო სივრცის ყურება.

ვახშმად დონ სანჩოსთან გავემართე. ბრწყინვალედ ცხოვრობდა. სუფრაზე სულ ვერცხლის ჭურჭელი ეწყო. ის მარტო იყო, მაგრამ მალე ჩეჩილიას და მარინას კვალდაკვალ ბელინოც შემოვიდა. ამჯერად ბუნებრივი მიდრეკილებისა თუ ახირების გამო, ქალურად ეცვა. ორივე და ლამაზად იყო გამოწყობილი და მეტად მომხიბლელად გამოიყურებოდა. მაგრამ ქალის სამოსიანი ბელინო ისე ჩრდილავდა მათ, რომ ჩემი ვარაუდის სიმართლეში უკვე იოტისოდენა ეჭვიც აღარ მეპარებოდა.

დონ სანჩომ ჩინებული ვახშამი მოაწყო. ათასი კომპლიმენტისა და მადლობის შემდეგ გულუხვ ესპანელს გამოვემშვიდობეთ და ჩემს ოთახში შევედით, სადაც, ბოლოსდაბოლოს, საიდუმლოს ფარდა უნდა ახდოდა. ბელინოს თავისი სიტყვის შესრულება მოვთხოვე და დავემუქრე, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მეორე დღეს აუცილებლად მარტო გავემგზავრებოდი. ჩეჩილიასა და მარინას ოთახიდან გასვლა ვთხოვე, მას კი ვუთხარი:

— ბელინო, ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. თქვენ სიტყვა მომეცით. მოსახდენი უნდა მოხდეს. თუ ნამდვილად ისა ხართ, რადაც თავს ასაღებთ, მაშინ გთხოვთ, თქვენს ოთახში წახვიდეთ. მაგრამ თუ ისა ხართ, რასაც მე ვვარაუდობ, და თუ ჩემთან დარჩენის სურვილი გაქვთ, მაშინ ხვალ ას ცეხისს გადმოგცემთ და ერთად გავემგზავრებით.

— თქვენ ეულად გამგზავრება მოგიწევთ, და მაპატიეთ, რომ ჩემი სიტყვის შესრულება არ შემიძლია. მე სწორედ იმ

ვარ. რასაც გელინდით ღა გაბედულება არ მყოფნის, რომ ჩემი სიძულილის მოწმე გაგხადოთ და თავს დავიტეხო ის საშინელი შედეგი, რაც ამ ჭხილებას მოჰყვება.

ერთადერთი შედეგი არ მოჰყვება, რადგან, როგორც კი ლავრწმუნდები, რომ საუბედუროდ ისა ხართ, რასაც მიმტკიცებთ და რაც ოტისოდენაც არ მჯერა, ყველაფერი თავისთავად ნათქვამი იქნება. და ამაზე კრინტსაც ალარ დავძრავთ, ეკიპაჟში ერთად ჩავსხდებით და რიმინიში ჩავიყვანთ.

— არა, ეს გადაწყვეტილია. მე არ შემიძლია თქვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

ამ სიტყვებმა ისე გამახელა ძალმომრეობისთვისაც კი მზად ვიყავი, მაგრამ თავი მოვთოკე და შეველაცადე მიზნისთვის სილბოთი მიმელწია: პირდაპირ იქით დავეღირე, სადაც პრობლემის გადაწყვეტი საიდუმლო იმალებოდა. მაგრამ როცა უკვე მიზანთან ახლო ვიყავი, ბელინოს ხელმა ჩემი შეტევა მტკიცედ მოიგერია. მე ძალისხმევას ვაორკეცებ, მაგრამ ბელინო უცებ დგება და გაბითურებულს მტოვებს. წამიერი სიმშვიდის შემდეგ ისევ ვეპოტინები, მაგრამ უცებ ელდანაცემი ვგრძნობ, რომ ის მართლა მამაკაცი ყოფილა — საზიზღარი არა იმდენად თავისი დამამცირებელი ყოფით, რამდენადაც ამ დამცირებისადმი სრული უგრძნობლობით, რაც, როგორც მომეჩვენა, სახეზე ეწერა. მძულვარებით ალსავსემ, შეცბუნებულმა და საკუთარი თავის წინაშე შერცხვენილმა, კარი გავიღე და გაეუშვი.

შემოვიდა ორივე და. ორივე უკან გავგზავნე, რათა ძმისაგან ეთქვათ, რომ ხვალ ჩემთან ერთად წამოვიდოდა და ჩემი თაეხედობის შიში ნულარ ექნებოდა. და თითქოს მიღებული დასტურის მიუხედავად, ბელინო, ისეთიც კი, როგორადაც წარმომიდგა, ჩემს ფიქრებს არ სცილდებოდა. ვეღარაფერს ვხედებოდი.

მეორე დღეს ერთად გავემგზავრეთ. გვიან ღამით სინევალიოში ჩავედით.

საუკეთესო სასტუმროში ჩინებული ოთახი დავიქირავე და ვახშამი შევუკვეთე. რადგან ოთახში ერთადერთი საწოლი იდგა, ბელინოს ვკითხე. მეორე ოთახში ცეცხლის დანთებას

ხომ არ მიბრძანებ-მეთქი, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა წუნარად მიპასუხა, რომ ჩემთან ერთად ლოგინში დაწოლა მისთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. სწორედ ეს პასუხი მჭირდებოდა, რათა გულის შემაღონებელი გაურკვევლობის გრძნობა გამეფანტა. მივხვდი, რომ პიესის კვანძის გახსნას ვეახლოვდებოდი, მაგრამ საკუთარი თავისათვის მილოცვა ჯერ ადრე იყო, რადგან არ ვიცოდი, კეთილი იქნებოდა თუ არა ეს დასასრული.

სუფრასთან ერთმანეთის პირდაპირ ვისხედით და .ა-ლუბარი, სახისა და მშვენიერი თვალების გამომეტყველება, ავხორცული და ვნებიერების გამომხატველი ღიმილი, ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ დაიდგა იმ როლის თამაშით, რომელიც მისთვისაც და ჩემთვისაც ერთნაირად მტანჯველი იყო.

ვიგრძენი, რომ ეზარმაცური ტვირთი ჩამოგეხსნა და ვახშმის დამთავრება ვიჩქარე. როგორც კი სუფრიდან ავდექით, ჩემმა თავაზიანმა .თანამგზავრმა ღამის სანთლის მოტანა მთხოვა, გაიხადა და დაწვა. და ახლა მკითხველი დაინახავს, თუ როგორი იყო ეს-ოდენ ნატრული კვანძის გახსნა. მაგრამ მანამდე ბელინოსაც ისეთივე ბედნიერი ღამე ვუსურვე, მე რომ მელოდა.

ჩემო მკითხველო, ალბათ, უკვე ყველაზე ბედნიერ დასასრულსაც წინასწარ გრძნობთ, და მართალიც ბრძანდებით, მაგრამ ვერაფერი გამოთქმებით ვერ მოგცემთ იმის წარმოდგენას, თუ რა ნეტარებას ნიახავდა ჩემთვის ეს უმშვენიერესი არსება. დავწექი თუ არა, ერთმანეთს უსიტყვოდ ჩავეკონენთ. მყისვე ბედნიერების მწვერვალზე აღმოვჩნდი. ასეთი დიადი გამარჯვების შემდეგ თვალებისა და თითების ძალისხმევა რაღა საჭირო იყო, რას მომიტანდა იგი იმაზე მეტს, რაც უკვე მიგიღე?

წუთიერი ექსტაზის შემდეგ ჩვენს სულებს ხელახალი ხანძარი მოედო და ისიც სანეტარო თავდავიწყების ზღვაში ჩავაქრეთ. ბელინო გრძნობდა, რომ ვალდებული იყო ჩემთვის ტანჯვის სრულყოფილი საზღაური მოეცა, იმ საოცარი ვნებისათვის უნდა დავეჯილდოვებინე. მისმა მშვენიერებამ რომ

ალმიძრა. მე კი ჩემი ბედნიერება იმით გავაორკეცე, რომ მასაც ასეთივე სიტკბოებას ვანიჭებდი.

ბოლოს ხანმოკლე შესვენების ჟამი დაგვიდგა, რაც თავგამოდებული ნეტარი გარჯის შემდეგ ესოდენ აუცილებელია. ჩვენი გრძნობები ჯერ არ ჩამქრალიყო, მაგრამ მცირეოდენ სიმშვიდეს ითხოვდა, რათა თავის თავში დაუნჯებულიყო და მეშაობისათვის საჭირო მოქნილობა აღედგინა.

დუმილი ბელინომ დაარღვია.

— ჩემო შეგობარო, — მითხრა მან, — ხომ კმაყოფილი ბრძანდებით? როგორ გგონიათ, საკმარისად მიყვარხართ?

— გიყვარვარ? მოღალატევ! ესე იგი, მეთანხმები, რომ არ შევმცდარვარ, როცა შენში წარმტაცი ასული გამოვიცანი. და თუ მართლა გიყვარდი, როგორ შეგეძლო ჩვენი ბედნიერება ასე დიდი ხნით გადაგვედო. მაგრამ, ნამდვილად არ შევმცდარვარ?

— ხომ ხედავ, რომ მთლად შენ ვარ. შეგეძლია დარწმუნდე.

ო, რა ტკბილი და გონისწამღები იყო ეს დაზვერვა! რაოდენი აღტაცება მომგვარა მან.

მაგრამ იმ საზარელი სიმახინჯის კვალი ვერ აღმოვაჩინე. გაოცებულმა ვკითხე:

— რა იქნა ის უმსგავსობა?

— ყური დამიგდე, — მითხრა მან, — და მაგ ცნობისმოყვარეობასაც დაგიკმაყოფილებ:

„მე ტერეზა მქვია. მამაჩემი ბოლონიის უნივერსიტეტის ხელმოკლე მუშაკი იყო. ჩვენს სახლში ბინად იდგა ცნობილი სალიმბენი — კასტრატი და საუცხოო მომღერალი. იგი ახალგაზრდა და ლამაზი იყო და ძალიან შემეთვისა. მე კი მეამაყებოდა, რომ ასეთ კაცს მოვწონდი და სულ მაქებდა ხოლმე, მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი. მუსიკაში მეცადინეობა დამაწყებინა და რაკი მისი აზრით ძალიან კარგი ხმა აღმომაჩნდა, ჩემი პატრონობა გადაწყვიტა. ერთი წლის შემდეგ კლავესინზე შესანიშნავ აკომპანიმენტს ვუწევდი. ბოლოს იმითაც დავაჯილდოვე, რასაც მისი დამოკიდებულება ჩემგან მოითხოვდა და ამით თავს დამცირებულად არ ვგრძნობდი, რადგან მართლა ვაღმერთებდი. რა თქმა უნდა მისი მსგავსი მამაკა-

ცები შენნაირებს ვერ შეედრება, მაგრამ სალიმბენი გამონაკლისი იყო. მისი სილამაზე, ჭკუა, მანერები, ტალანტი და დიდი გული ჩვენს თვალში ყველა სხვა მანამდე ნაცნობ მამაკაცზე მაღლა აყენებდა. თავაზიანი და დელიკატური, მდიდარი და გულუხვი ადამიანი იყო და ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე ქალს მისი ხიბლისათვის გაეძლო. თუმცა, არასოდეს ყოფილა, რომ რომელიმე მათგანთან თავისი ტრიუმფით ეტრაბახოს. დასაჭურისებამ ურჩხულად [illegible] სხვა [illegible] ბებით ანგელოზი იყო.

სალიმბენი რიმინოში ერთ ბავშვს პატრონობდა. მამამისმა, ღარიბმა და დიდი ოჯახით მხრებდამძიმებულმა კაცმა, სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, სხვა საშველი ვერ იპოვა და თავისი უბედური ვაჟი დაასაჭურისა, რათა იგი თავისი ხმით ოჯახს წადგომოდა. ამ ბიჭს ბელინო ერქვა. ის კეთილი ქალი, თქვენ რომ ანკონაში გაიცანით, იმისი დედაა და არა ჩემი, როგორც ყველას ჰგონია.

მთელი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც სალიმბენის ყუთვნილება გავხდი, როცა ერთხელ ცრემლმორეულმა მითხრა, რომ იძულებული იყო დავეტოვებინე და რომში გადასულიყო. ამ ცნობამ სასო წარმიკვეთა. ყველაფერი ისე მოაწყო, რომ აწვალა გამეგრძელებინა. მაგრამ სწორედ ამ დროს მამაჩემი ავად გახდა და გარდაიცვალა. ობლად დავრჩი.

სალიმბენიმ გადაწყვიტა, იმ პანსიონში მოვეთავსებინე, სადაც მისი სამეფრვეო ახალგაზრდა კაცი იზრდებოდა. ჩავედით და სასტუმროში გავჩერდით. სალიმბენი ჩემი სწავლის საქმეების მოსაგვარებლად მუსიკის მასწავლებელთან წავიდა და მალე დათრგუნული და დამწუხრებული დაბრუნდა: ბელინო წინა დღით გაქცეულიყო.

ის მწუხარება რომ წარმოიდგინა, რაც დედას შვილის დაღუპვის გამო უნდა განეცადა, სალიმბენიმ გადაწყვიტა, ისევ ბოლონიაში წავეყვანე და ბელინოს სახელით, გარდაცვლილის დედასთან დავეტოვებინე. საშინელი სიღარიბით გაწამებული ქალი ამ საიდუმლო გარიგებას, ალბათ, თავისთვის სასარგებლოდ ჩათვლიდა.

— მე მას შენი განათლებისათვის საჭირო სახსრებს მივცემ, — მითხრა სალიმბენიმ, — და ოთხი წლის შემდეგ დრეს-

ელჩად გადაგიყვანენ ან ზაქაონიის კურფირსტად სამსახურში
იქნა, ოღონდ ისევ როგორც გოგონას, არამედ როგორც კაცს-
ს. ეს ერთად ვიცხოვრებთ, ვერავინ ხელს ვერ შეგვიშ-
ლის და სიკვდილის დღემდე ჩემი ბედნიერება იქნები. ოღონდ
ბელინის როლის თამაში უნდა შეძლო. მაგრამ ეს სულაც არ
ნიშნავს ძნელი საქმე, რადგან ბელინოს არავინ იცნობდა. მხო-
ლოდ დედამისს ეცოდინება ეს საიდუმლო, რადგან მისი სხვა
შვილები, რომლებმაც ბელინო მხოლოდ ჩვილობაში ნახეს,
ვერაფერს იტყვებენ. თუ გიყვარვარ, ამაში უნდა დამეთანხმო.

ჩემმა დაყოლიებას რა დიდი ამბავი უნდოდა: მას ხომ ვალ-
მერთებდი. როგორც კი ბიჭად გარდავისახე, ბოლონიაში დავბ-
რუნდით. ბელინოს დედასთან-ფულის მეშვეობით ყველაფერი
კარგად მოკვარდა. მასთან დავბინავდი და დედა დავუძახე.
მან ჩამეხუტა და ძვირფასი შვილი მიწოდა. სალომბენი სადღაც
წავიდა და დაბრუნებულმა ის მოწყობილობა მომიტანა, რო-
მელსაც ჩემი მეტამორფოზა უნდა დაეგვირგვინებინა. ეს ყვე-
ლაფერი კიდეც გამაცინებდა, სათაყვანებელი არსების გამგ-
ზავრებას რომ არ დავენაღვლიანებინე. სალომბენი ამ უცნა-
ური ოპერაციის დამთავრებისთანავე წავიდა. ვაგლახ, ჩემი
წინათგრძნობა ახდა: ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ერთი
წლის წინ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ იძუ-
ლებული გავხდი, ჩემი ტალანტი საარსებო სახსრების მოსაპო-
ვებლად გამომეყენებინა.

აქამდე, საბედნიეროდ, საქმე მხოლოდ ჭიბრწნილ ასუ-
ლიერო პირებთან ექონდა. ისინი ჩემს სიტყვიერ განცხადებებს
იჯერებდნენ და მარტო ზერელე შემოწმებით კმაყოფილდე-
ბოდნენ, რის შედეგსაც ეპისკოპოსა მოახსენებდნენ ხოლმე.
მაგრამ შეიძლება ერთხელ ახალგაზრდა მღვდელმსახურს შე-
ვეფეთო და მაშინ გამოცდა გაცილებით საგულდაგულო იქნე-
ბა. გარდა ამისა, გამუდმებით მიტევს ადამიანთა ორი სახე-
ობა: ისინი, ვისაც, შენსავით, ჩემი მამაკაცობის დაჯერება არ
შეუძლიათ და ისინი, ვისაც თავიანთი უკუღმართი ლტოლვე-
ბის დაკმაყოფილების იმედი აქვთ და სწორედ ამიტომ უხა-
რიათ ან თავიანთთვის ხელსაყრელად მიაჩნიათ, რომ სინამდ-
ვილეში ვიყო ის, რადაც თავს ვასაღებ. მათი ვნება ისეთი სა-
ზიზღარია, ისეთი საძაგელი ჩვევები აქვთ, რომ ხანდახან გუ-

ლი მერევა. მეშინია, რომ ერთხელაც იქნება რომელიმე მათგან ხანჯალი არ ჩავცე. შემიბრალე, ჩემო ანგელოზო, და თუ გიყვარვარ, დიდსულოვნება გამოიჩინე: დამიხსენი ამ ეირცხვილისა და დამცირებისაგან."

ბისმა გულისამჩუყებელმა წაიკითხა და ენით გამოუთქმელმა ხიბლმა სიყვარულისა და თანაგრძნობის ცრემლები მაღვრევინა. მართლა მომინდა, რომ მისთვის ბედნიერება მიმენიჭებინა და გადავწყვიტე, ამ უცნაურ ადამიანთან ჩემი ქალური კანონისა და რელიგიის ხუნდებით შემეკრა.

ტერეზას ტალანტი მიმეფინებდა, რომ როგორმე თავს გავტანდით და ცხოვრებისათვის ეუცილებელი სახსრები არასოდეს მოგვაკლდებოდა. და თუმცა ის კი არ ვიცოდი, ჩემი ტალანტი რაში გამომადგებოდა. მაგრამ არც მის რწმენას ვკარგავდი.

გავემგზავრეთ და მეორე დღეს პეზაროში ჩავედით.

ის იყო ეკიპაჟში უნდა ჩავმსხდარიყავით, რომ უნტეროფიცერი და ორი რიგითი მოგვადგნენ. პასპორტები გვთხოვეს და ვინაობა გამოგვკითხეს. ბელინომ მათი მოთხოვნა შეასრულა, მაგრამ მე ჩემს პასპორტს ამაოდ ვეძებდი. ვერ ვიპოვე.

კაპრალი მოსახსენებლად წავიდა, ნახევარ საათში დაბრუნდა და ბელინოს გამოუცხადა, თავისუფალი ხართ და შეგიძლიათ, გზა განაგრძოთო, მე კი ამიხსნა რომ კომენდატურაში უნდა წავეყვანე. დავემორჩილე.

— პასპორტი რა ღირთ?

— დავკარგე.

— პასპორტს არ კარგავენ.

— ეტყობა კარგავენ, რაკილა დამეკარგა.

— თქვენი მგზავრობა არ შეიძლება.

— მე რომიდან მოვდივარ და კარდინალ აკვავივას დავალებით კონსტანტინოპოლს მივემგზავრები. აი, მისი ბეჭდიანი წერილი.

— ბატონ დე გაჟუსთან წამიყვანდით.

სახელოვანი გენერალი თავისი შტაბის წევრებს შორის იდგა. მასაც იგივე გავუმეორე, რაც ახლახან კომენდანტს ვუთხარი, და გზის გაგრძელების ნებართვა ვთხოვე.

— შემიძლია მხოლოდ ერთი რამით დაგეხმაროთ: რომ-
დან პასპორტის მიღებამდე სატუსაღოში ჩაგსვამთ. პასპორ-
ტის დაკარგვის უბედურება მხოლოდ დაუდევარ კაცს შე-
ემთხვევა. ამის შემდეგ კარდინალი ჭკუას ისწავლის და თქვენ-
ნაირ ქარიფანტიას არაფერს აღარ დაავალებს.

შემდეგ, მისი ბრძანებით, ქალაქგარეთ, სანტა-მარიას სა-
კუშაგოზე გადამიყვანეს...

მეცხრე თუ მეათე დღეს უკვე მთელი არმია მიცნობდა და
ყველას ვუყვარდი. პასპორტის გამოგზავნის ცნობა უკვე მი-
ღებული მქონდა და მის ჩამოსვლას მოუთმენლად ველოდი.
ციხეში თავისუფალი ვიყავი და გუშაგების თვალთაგან მო-
ფარებულიც ხშირად ვსეირნობდი. ისინი მართლები იყვნენ,
ასე რომ მენდობოდნენ, რადგან ჩემგან გაქცევაზე ფიქრიც კი
დიდი შეცდომა იქნებოდა. მაგრამ აი, ყველაზე უცნაური თა-
ვგადასავალი, რაც კი ოდესმე გადამხდენია:

დილის ექვსი საათი იყო: გუშაგებისაგან ასიოდე ნაბიჯის
დაშორებით ვსეირნობდი, როცა ერთი ოფიცერი მოვარდა,
ცხენიდან ჩამოხტა, აღვირი კისერზე გადაჰკიდა და რაღაც
საქმეზე გაექანა. ცხენის სილამაზით მოხიბლული მასთან მივ-
დივარ, ყოველგვარი განზრახვის გარეშე ვიღებ აღვირს, ფე-
ხებს უზანგებში ვუყრი და აი, უკვე უნაგირზე ვზივარ. ჩემს
ცხოვრებაში პირველად აღმოვჩნდი ცხენზე ამხედრებული.
არ ვიცი, ხელჯოხით შევეხე თუ ქუსლი წავკარი, მაგრამ უეც-
რად რაში ქარივით გაფრინდა და თან გამიტაცა. ქუსლებს
კუბერ, ცალი ფეხი უზანგიდან მივარდება, ცხენი გამოუცდელ
ხელებს გრძნობს და თავაწყვეტილი მინავარდობს. არ ვიცი,
როგორ შევაჩერო. ბოლო ავანპოსტი მიყვირის, შესდექო, მაგ-
რამ ბრძანების შესრულება არ შემიძლია. რამდენიმე ტყვიამ
ულ ახლოს გამიზუზუნა. ბოლოსდაბოლოს ავსტრიელთა
პირველ ავანპოსტზე ვიღაც მაჩერებს და ღმერთს მადლობას
ეწირავ, რომ მიწაზე ფეხის დადგმა მაღირსა.

ოფიცერი მეკითხება, ასე გამალებით საით მი-
ეჭენებდიო. ენა მისწრებს და უნებლიედ ვპასუხობ, რომ შე-
ძიძლია ანგარიში მხოლოდ არმიის მთავარსარდალს, თავად
ლობკოვიცს ჩავაბარო. მივყავარ ლობკოვიცთან. მისი ბრწყინ-
ვალება მარტო იყო და უბრალოდ ვუამბე, რაც მოხდა. ბან-

ბევრი იცინა, თუმცა ისიც მითხრა, რომ ეს ყველაფერი დაუჯერებლად ეჩვენებოდა.

— ბატონო აბატო, — მითხრა მან, — ვალდებული ვარ დაგეპატიმროთ, მაგრამ გთავაზობთ ამ უსიამოვნებისაგან.

შემდეგ თავისი ერთ-ერთი ადიუტანტი იხმო და ჩემი ჩეზენის კარიბჭემდე მიცილება დაავალა.

— იქიდან, — დაუმატა მან, — შეგიძლიათ, საითაც გნებავთ იქით გასწიოთ, ოღონდ იცოდეთ! ჩემს არმიაში უპასპორტოდ აღარ დაბრუნდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში აქ ცუდ დროს გაატარებთ.

ჩეზენის კარიბჭესთან ოფიცერმა გზა მშვიდობისა მისურვა და უკან დაბრუნდა. თავისუფალი ვიყავი. ტერეზა რიმინიში მელოდა, მაგრამ იქ ჩასვლა აკრძალული მქონდა. ბოლონიაში წასვლა გადავწყვიტე.

...როგორც იქნა, ბოლონიაში ჩავაღწიე და ხალხის ყურადღება რომ ამ მიმეპყრო, პატარა სასტუმროში გავჩერდი. გადავწყვიტე ტერეზას აქ დავლოდებოდი და წერილი გავუგზავნე. რაკიღა დაკარგული ჩემოდნის პოვნა მეტად საეჭვო იყო, საცვლებისა და ტანსაცმლის შეძენა მჭირდებოდა. ამაზე რომ ვფიქრობდი, თავში უცნაური აზრი მომივიდა: რადგან ჩემი სასულიერო კარიერა ამ დღიდან, ალბათ, დასრულებული იყო და მომავალიც ბუნდოვნად მესახებოდა, უკეთესად გადავწყვიტე ოფიცრად გარდავსახულიყავი, ასეთი გადაწყვეტილება ჩემს ასაკში საკმაოდ ბუნებრივი იყო, მითუმეტეს, რომ არმიიდან დავბრუნდი, სადაც საშხედრო მუნდირი დიდ პატივში იყო და ვიფიქრე, რომ ეს პატივი არც მე მაწყენდა.

კარგი თერძი გავიკითხე და სიკვდილი მომიყვანეს: თერძს Morte ერქვა. ავუხსენი რაც მსურდა და მაუდი ავურჩიე. ზომა ამოიღო და მეორე დღიდან მარსის მსახურად ვიქეცი. ვიშოვე გრძელი დაშნა, ხელში ლამაზი ხელჯოხი დავიჭირე, კარგად გაუთოებული შავკოკარდიანი ქუდი დავიხურე და ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილებში გავისეირნე. შემდეგ სასტუმროში დავბრუნდი და ვისადილე...

...ქალაქში ყოფნის მეოთხე დღეს ტერეზას ვრცელი წერილი მივიღე. მწერდა, რომ ბარონმა ვაისმა ის ჰერცოგ კასტროპინიანოს წარუდგინა. მან მისი სიმღერა მოისმინა და სან კარ-

ლოს თეატრში მიიწვია. წელიწადში ათასი უნცია და ჩამოსვლის ხარჯების ანაზღაურება შესთავაზა. თუ დათანხმდებოდა, ნაბანიში თავისი ანგაჟემენტის დამთავრებისთანავე უნდა ჩასულიყო. მოფიქრებისათვის ერთი კვირა უთხოვია.

ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი გადაწყვეტილების მიღებამდე ფიქრის აუცილებლობა. წერილმა თავგზა ამიბნია. სიშინვე პასუხის გაცემა არ შემეძლო და შიკრიკს ვთხოვე, მეორე დღეს მოსულიყო.

ორი ერთნაირად ძლიერი გრძნობა აწონასწორებდა სასწორის პინებს: თავმოყვარეობა და სიყვარული. ვგრძნობდი, რომ ტერეზასათვის ამ ხელსაყრელ შემთხვევაზე უარის თქმა არ უნდა შეეთხოვა, მაგრამ ვერც მისი ნეაპოლში მარტო დატოვება გადავწყვიტა და ვერც მასთან ერთად წასვლა. ერთის მხრივ იმის გაფიქრება მზარავდა, რომ ჩემს სიყვარულს შეიძლებოდა ტერეზას ბედნიერება დაებრკოლებინა. მეორე მხრივ, ნეაპოლში მასთან ერთად დაბრუნებაც მაშინებდა. თავმოყვარეობის ამბავი იყო: როგორ უნდა გამოვჩენილიყავი იმ ქალაქში ვინდი თუ რვა წლის შემდეგ ისეთი ნაძირალას სახით, რომელიც ცოლისა თუ ბაყვარლის კმაყოფაზე ცხოვრობს. რას იტყოდნენ ჩემი ნათესავი დონ ანტონიო, დონ პაოლო, მისი საყვარელი ვაჟი დონ ლელიო კარაფა, მთელი ჩემი ნაცნობი საზოგადოება? ლუკრეციასა და მის ქმარზე ფიქრიც მაძრწუნებდა. ტერეზას სიყვარული ამ საყოველთაო ზიზღის ტვირთს დიდად ვერ შემიმსუბუქებდა. ცოლად რომ შემერთო ან საყვარლად დამესვა, ქვეყნის სალაპარაკო გავხდებოდი და ჩემი თავის პატივცემასაც დავკარგავდი. გარდა ამისა, ჩემს ასაკში ოჯახური ბორკილების დადება იმას ნიშნავდა, რომ უარი მეთქვა ბრწყინვალე მომავალზე, რომლისთვისაც როგორც მეჩვენებოდა, დაბადებითვე მოწოდებული ვიყავი. ეს რომ გავიფიქრე, ვიგრძენი, სასწორი წონასწორობას ჰკარგავდა და გონების ხმა გულის ძახილს დადუმებას ურჩევდა. დიდი თავისტეხის შემდეგ თითქოს ვიპოვე ისეთი გამოსავალი, რომელიც დროის მოგების საშუალებას მაძლევდა. ტერეზას მივწერე, რომ შემოთავაზებულ წინადადებას დასთანხმებოდა და ნეაპოლში წასულიყო. ან ივლისის თვეში ან კონსტანტინოპოლიდან დაბრუნებისთანავე მეც იქ ჩავიდოდი, ვურჩიე, რიგის

ანი მოახლე აეყვანა, რათა საზოგადოებაში ღირსეულად გამოჩენილიყო და, საერთოდაც. თავი ისე დაეჭირა, რომ ჩამოსვლის შემდეგ მასზე დაქორწინება არ შემრცხვენოდა. მწამდა, რომ მისი ბედნიერება ტალანტზე უფრო მეტად სილამაზეზე იქნებოდა დამოკიდებული, ხოლო რამდენადაც ჩემს ხასიათს კარგად ვიცნობდი, საეჭვო იყო, რომ ოდესმე თვენიერ საყვარლად ან ყოვლის მიმტევებელ მეუღლედ გამოვდგომოდი.

ოთხი დღის შემდეგ ვენეციაში გავემგზავრე.

თვის ბოლოს რესპუბლიკის სამსახურში ჩავდექი და კორფუზე განლაგებულ პოლკში ჩავირიცხე.

მისი ბრწყინვალება სენატორ პეტრო ვენდრამინის შუამდგომლობით განსაკუთრებული წყალობა მივიღე: კავალერ ვენიერს კონსტანტინოპოლში უნდა გავყოლოდი, სადაც ის ბაილად იგზავნებოდა. მაგრამ რადგანაც კორფუში ჩემზე ერთი თვით გვიან უნდა ჩასულიყო, შევთანხმდით, რომ ერთმანეთს იქ შევხვდებოდით.

მისის ხუთში ძვირფასეულობითა და ფულით კარგა გვიანად მომარაგებული გემზე ავედი. ჩვენს ხოლმალდზე ოცდათხუთმეტი ზარბაზანი და ორასი ხალხი ჯარისკაცი იყო. ლტრიაში ღამით ჩავედით და ღუზა ორსერის პორტში ჩაუშვეთ რათა ოპერაცია „savozra" ჩაგვეტარებია. ვიდრე ეკიპაჟი ამ საქმეს აგვარებდა, რამდენიმე მგზავრთან ერთად ნაპირზე გადავედი, რათა ეს საძაგელი ადგილი დამეთვალიერებინა, თუმცა ცხრა თვის უკან აქ სამი დღე გავატარე. ახლა, ისევ იმ ადგილებში რომ აღმოვჩნდი, უნებლიედ ჩემი მაშინდელი მდგომარეობა ახლანდელს შეეუდარე. როგორი სხვაობა იყო! დარწმუნებული ვიყავი, რომ იმპოზანტურ კოსტუმში, ჩემს სხეულს რომ მოსავდა, ადრინდელ ბეჩავ აბატს ვერავინ შეიცნობდა.

ბრიყვი მსახური პატრონისათვის ცუდზე უარესია, რადგანაც ცუდი შეგიძლია დასაჯო, და მართალიც იქნები, ბრიყვს კი სასჯელითაც ვერაფერს შეაგნებინებ. ჭკუა რომ ისწავლოს, უნდა გააგდო. ჩემმა მსახურმა რაღაც საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის სამი რვეული დამიხია, რომლებშიც დაწერილებით იყო აღწერილი ყველაფერი, რის ზოგადად გადმოცემასაც აქ ვაპირებ. თავის გასამართლებლად მითხრა, რომ ქაღალდები ნაწერით აჭრელებული და ბევრ ადგილას დაჯლაბ-

ნილიც კი იყო, ამიტომ გადაწყვიტა, რომ საოჯახო საქმისათვის ჩემს მაგიდაზე დაწყობილი სუფთა და თეთრი ფურცლები კი არ გამოეყენებინა, არამედ სწორედ ის უვარგისი რვეულები აიღო. კარგად რომ დავფიქრებულიყავი, ალბათ, არც გავბრაზდებოდი. მაგრამ მრისხანება, უპირველეს ყოვლისა, კაცს აზროვნების უნარს ართმევს. ამაოდ დავშვერი მის ლანძღვა-გინებასა და იმის მტკიცებაში, რომ ბრიყვი იყო. საპასუხოდ ამა არ ამოუღია და ჩემმა თავგამოდებამ ტყუილად ჩამიარა. კაკბედე და ასეთ გუნებაზე მყოფმა ყველაფერი თავიდან დავწყე, ესე იგი, ძალიან ცუდად დავწერე ის, რაც პირველად, ცინცხალი განწყობილებით რომ ვწერდი, ალბათ, საკმაოდ კარგი იქნებოდა. მაგრამ დაე ჩემმა მკითხველმა თავი იმით ინუგეშოს, რომ მექანიკის კანონების მიხედვით, რაც მეტ ძალას დახარჯავს, მით უფრო მეტ დროს მოიგებს.

ამრიგად, ორსარაში ნაპირზე გამოვედი. ხეირნობისას შევნიშნე, რომ ერთი კაცი დიდი ყურადღებით მითვალთვალებდა. დარწმუნებულმა იმაში, რომ კრედიტორი არ იქნებოდა, ვიფიქრე, ალბათ, მისი ესოდენი ინტერესი ჩემმა გარეგნობამ გამოიწვია-მეთქი. და რაკი ამაში ცუდი ვერაფერი დავინახე, ეზის გაგრძელება დავაპირე, მაგრამ არ დროს მომიახლოვდა.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, ჩემო კაპიტანო, ამ ქალაქში პირველად ბრძანდებით?

— არა, ბატონო, ერთხელ უკვე მქონდა აქ ყოფნის პატივი.

— შარშან ხომ არა?

— დიახ, სწორედ შარშან გახლდით...

— მაგრამ მაშინ სამხედრო ფორმა არ გეცვათ, ხომ?

— ამაშიც მართალი ბრძანდებით. თუმცა, თქვენი ცნობისმოყვარეობა, ჩემი აზრით, ცოტათი უცნაური უნდა იყოს.

— უნდა მაპატიოთ, ბატონო, რადგან ჩემი ცნობისმოყვარეობა მადლიერების გრძნობითაა გამოწვეული. თქვენ ბრძანდებით ადამიანი, ვისგანაც უაღრესად დავალებული ვარ და ვწამს, ღმერთმა ამ ქალაქში კვლავ იმიტომ ჩამოგიყვანათ, რომ თქვენდამი ჩემი ვალდებულება კიდევ უფრო გაზარდოს.

— ასეთი რა სამსახური გამიწევია თქვენთვის ან ახლა რით შემიძლია გემსახუროთ? წარმოდგენა არა მაქვს.

— იქნებ პატივი დამდოთ და ჩემს ოჯახში ისაუზმოთ? აი ის ჩემი სახლის კარია. შესანიშნავ რეფესკოს გაგასინჯებთ, ჩემს ამბავსაც მოგიყვებით და დარწმუნდებით, რომ ჭეშმარიტად ჩემი კეთილისმყოფელი ბრძანდებით და სრული უფლება მაქვს ვიფიქრო, რომ აქ თქვენი ქველმოქმედების განსაახლებლად ჩამობრძანდით.

ეს კაცი თითქოს მთლად გიჟს არ ჰგავდა და ვიფიქრე, ალბათ, თავისი რეფესკო უნდა მომყიდოს მეთქი. სახლში წავ-ყევი. მეორე სართულზე ავედით. ოთახში დამტოვა და თვითონ შეპირებული ნაუცხოო საუზმისათვის თადარიგის დასაჭერად წავიდა. ოთახი საექიმო ხელსაწყოებით იყო სავსე, და ამიტომ ჩემი მასპინძელი ექიმად ჩავთვალე. როცა დაბრუნდა, ვკითხე.

— დიახ, ჩემო ბატონო, — მიპასუხა მან, — მკურნალი ვარ. ი, უკვე ოცი წელია ამ ქალაქში ვცხოვრობ. სიღარიბით სავსე მხდებოდა, რადგან ჩემს ხელობას მხოლოდ მაშინ თუ გამოვიყენებდი, როცა ვინმესთვის სისხლი უნდა გამომეშვა, კოტოშები უნდა დამეყარა, რაიმე განაკაწრი მომერჩინა ანდა ამოგდებული ფეხი თავის ადგილზე ჩამეგდო. ლუკმა პურის ფულს ვერ ვშოულობდი. მაგრამ შარშანს აქეთ ჩემი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, შეიცვალა. ბევრი გამოვიმუშავე და ერთ საქმეში სარფიანად დავაბანდე. და ეს თქვენი, ღმერთმა დაგლოცოთ, მხოლოდ თქვენი წყალობაა.

— რატომ?

— ი, მოკლედ, როგორ მოხდა ყველაფერი: თქვენ ცნობილი სენით დააჯილდოვეთ დონ იერონიმეს მოახლე, რომელმაც იგი შემდეგ თავის მეგობარს უსახსოვრა, იმან კი, როგორც წესი მოითხოვს, ეს ძღვენი ცოლსაც უწილადა, ცოლმა კი, თავის მხრივ, ერთ გარყვნილ კაცს შეასალა, რომელმაც ისე მარჯვედ გამოიყენა იგი, რომ ერთ თვეში ჩემს განკარგულებაში უკვე ასორმოცდაათ კლიენტამდე მოგროვდა. შემდეგ თვეებში მათ ახლები შეემატნენ და სუყველა მე განვკურნე, რა თქმა უნდა, კარგი გასამრჯელოს ფასად. რამდენიმე ავადმყოფი კიდევ დამრჩა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ აღარც ისინი მეყოლებიან, რადგან სენი გაქრა, ამიტომ არ შეიძლებოდა თქვენი დანახვა არ გამხარებოდა. ჩემს თვალში თქვენ სიკე-

მომაწვებლად იქეცით. მქონდეს იმედი, რომ ჩვენ ქალაქში კიდევ რამდენიმე დღეს დარჩებით, ოთხ ენსა ასალი ლით იფეთქოს?

სიცილით გული რომ ვიჯერე, ეუთხარი, სავსებით ჯანმრთელი ვარ-მეთქი, რამაც აშკარად დაამწუხრა. გამაფრთხილა, ქალაქიდან დაბრუნების შემდეგ მაგითი ველარ დაიტრაბახებთ, რადგან ქვეყანა, სადაც მიემართებით, ძალზე მდიდარია იმ სიკეთით, რომელსაც ჩემზე უკეთ ვერავინ მოუელესო. მთხოვა, რომ თავი მიპთვის შემენახა და არ ვნდობოდი შარლატანებს, რომლებიც თავიანთ წამლებს შემომთავაზებდნენ. პატიოსანი სიტყვა მივეცი, მადლობა გადავუხადე და გემზე ავედი.

ეს ისტორია ბატონ დელფინის ვუამბე და სიცილით მოკვდა. მეორე დილით აფრები ავუშვით და ერთი კვირის შემდეგ კორფუს ნაპირებს მივადექით.

ჩამოსვლის მეორე დღეს ოსმან ფაშას ვეწვიე. ასე ერქვა გრაფ დე ბონვალს სარწმუნოების გამოცვლის შემდეგ. მას ჩემი სარეკომენდაციო ბარათი გადავეცი. მეორე სართულზე ფრანგული სტილით გაწყობილ ოთახში წამიყვანეს. იქ დამხვდა ერთი შუახნის ზონზროხა კაცი, თავით ფეხამდე ფრანგულ ყაიდაზე შემოსილი. წამოდგა და სიცილით მკითხა, რით შეშიძლია კარდინალის რეკომენდაციის მქონე ადამიანს ვემსახუროო. პასუხად ვუამბე ყველაფერი, რამაც მაიძულა, რომ კარდინალისათვის კონსტანტინოპოლში წამოსაღები სარეკომენდაციო წერილი მეთხოვა. და აი, ამ წერილით გეახელითმეთქი.

ეს იგი, - - შემაწყვეტინა მან, — ეს წერილი რომ არ გქონოდათ, აქ მოსვლას არც იფიქრებდით. განა ჩემი დახმარება არ გჭირდებათ?

არა, მაგრამ ისლა დიდად ბედნიერი ვარ, რომ წერილის წყალობით გავიცანი ადამიანი, რომელზეც მთელი ევროპა ლაპარაკობს და კიდევ დიდხანს ილაპარაკებს.

ბატონმა დე ბონვალმა გრძელი სიტყვა წარმოთქვა იმის თაობაზე, თუ რა ბედნიერია ახალგაზრდა კაცი, რომელსაც, ჩემსავით, არავითარი საზრუნავი არა აქვს, არც რაიმე წინასწარი განსრახვა და მტკიცე მიზანი გააჩნია და ფორტუნის ნებას გულდაშვებულად მინდობია. შემდეგ მითხრა, რომ კარდინალ

აკვავივას წერილი ავალდებულებდა, ჩემთვის რაიმე ეღონა და ამიტომ სურდა, რომ სამი-ოთხი თავისი მეგობარი თურქი გაეცნო.. ხუთშაბათისათვის საღილად დამპატიჟა და იანიჩარის გამოგზავნას შემპირდა, რომელიც ყველაფერს მაჩვენებდა. რაც აქ ყურადღების ღირსი იყო.

კარდინალის წერილში ნათქვამი იყო, რომ მე მეფეული ვიყავი. ფაშა წამოდგა და მითხრა, ჩემი ბიბლიოთეკა უნდა გაჩვენოო. ბალი გადავკვეთეთ და ცხაურიანი კარადებით გამოტენილ ოთახში შევედით. ცხაურებზე ფარდები იყო ჩამოფარებული, რომელთა მიღმა, ალბათ, წიგნები უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მსუქანი ფაშასთან ერთად გულიანად ვიცინე, როცა მან ჩაკეტილი კარადები გააღო და წიგნების ნაცვლად ათასგვარი ხარისხის ღვინით სავსე ბოთლები დავინახე.

— აქ, მითხრა მან, — ჩემი ბიბლიოთეკაც არის და სერალიც. უკვე მოხუცი ვარ. ქალები მხოლოდ წუთისოფელს შემომოკლებენ, კარგი ღვინო კი სიცოცხლეს გამიხანგრძლივებს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გამილამაზებს მაინც.

— ალბათ, თქვენს ალმატებელებას მეფეს ნებართვა ექნება.

— ცდებით. თურქეთის პაპს ისეთი უფლებები რომ აქვს, როგორიც თქვენსას. მას ყურანის მიერ აკრძალულ რამეებზე ნებართვის გაცემა არ შეუძლია. მაგრამ ეს არ არის დიდი დაბრკოლება — თუ მაინცდამაინც ვერ ითმენ, შეგიძლია სული წარიწყმიდო. ღვთისმოსავი თურქები გარყვნილ ადამიანებს არ სწყალობენ, მაგრამ არც სდევნიან. ინკვიზიცია აქ არ არის. ის, ვინც რწმენის მცნებებს არღვევს, როგორც მათ ჰგონიათ, იმქვეყნიურ ცხოვრებაში ისედაც დაიტანჯებიან. ამიტომ ამ სიცოცხლეში მათი დასჯა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის. მე ვითხოვე, რომ ჩემთვის არ დაეძალებინათ ის, რასაც თქვენ წინდაცვეთას ეძახით. თუმცა, ეს სიტყვა მთლად სწორი არ უნდა იყოს. დამრთეს კიდეც ნება, რადგან ჩემს ასაკში ეს ოპერაცია სახიფათო იქნებოდა. ჩვეულებრივ, ამ წესს ერთგულად იცავენ, თუმცა მცნებებში არ შედის.

ოსმან ფაშასთან ორი საათი გავატარე. თავისი ვენეციელი მეგობრების ამბები გამომკითხა. ვუთხარი, რომ ყველას წი-

ნანდებურად ახსოვდა და უყვარდა და მხოლოდ სარწმუნოებიდან მისი განდგომის გამო გამოთქვამდნენ სინანულს. მან აჩვენა, რომ ისეთივე თურქი გახდა, როგორი ქრისტიანიც იყო ადრე და რომ ყურანი სახარებაზე უკეთესად არ იცოდა.

— უეჭველია, — დასძინა მან, — რომ უშფოთველად მოკვდები და პრინც ევგენიზე უფრო ბედნიერი ვიქნები. მე მხოლოდ იმის თქმა მევალებოდა, რომ არ არის ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამედი არის წინასწარმეტყველი მისი. მე ეს წარმოვთქვი და თურქებს სულ არ ედარდებოდათ, მართლა ასე ეფიქრობდი თუ არა. ჩალმა კი იმიტომ მახურავს, რომ ვალდებული ვარ ჩემი უფლის მუნდირი ვატარო.

ხუთშაბათს, შეპირებისამებრ, იანიჩარი გამომიგზავნა. მან ფაშასთან მიმიყვანა, რომელიც ამჯერად თურქულად იყო გამოწყობილი. სტუმრებს არ დაუგვიანიათ და ყველანი, რვა ადამიანი, სუფრას მივუსხედით. სუფრამ ფრანგულ ყაიდაზე ჩაიარა: ფრანგული იყო კერძებიცა და ცერემონიალიც. ვლაპარაკობდით მხოლოდ იტალიურად, და თურქებსაც, როგორც შევნიშნე, ერთმანეთს შორის საუბრისას ერთი თურქული სიტყვაც არ დასცდენიათ.

ვენეციის ამბები გამომკითხეს, უფრო კი რომი აინტერესებდათ, რის გამოც საუბარი რელიგიაზე ჩამოვარდა, მაგრამ არა მოძღვრებაზე, არამედ ღვთისმსახურებასა და ლიტურგიკულ წესებზე. ერთმა თავზიანმა თურქმა, რომელსაც ყველანი ეფენდის უწოდებდნენ, რადგან ადრე საგარეო საქმეთა მინისტრი ყოფილა, თქვა, რომ ვენეციის დესპანი მისი მეგობარი იყო და ქება-დიდება შეასხა. მე მხარი ავუბი და ვუთხარი, რომ ამ დესპანმა ერთ თავის მეგობარ მუსულმან ბატონთან წერილი გამომატანა. ეფენდიმ მკითხა, იმ ბატონს რა ჰქვიაო და რადგანაც სახელი არ მახსოვდა, ჯიბიდან წერილი ამოვიღე. მისამართს რომ ვკითხულობდი, მისი სახელი წარმოვთქვი. სიამოვნებისაგან სახე გაებადრა, წერილის წაკითხვის ნება მთხოვა, ხელმოწერას ემთხვია და მეც გულმხურვალედ გადამეხვია. ამ სანახაობამ ბატონ ბონვილსაც და მთელ საზოგადოებასაც დიდი კმაყოფილება მიანიჭა. ეფენდიმ, რომელსაც ისმაილი ერქვა, ოსმან ფაშასთან ერთად სადილად მიმიწვია.

მაგრამ მთელი ამ სასიამოვნო საუბრის დროს ჩემი ყუ-

რადღება მიიპყრო არა ისმაილმა, არამედ სხვა ფურქმა. ს-ამოცი წლის ძალიან ლამაზი მამაკაცი იყო. კეთილშობილ სახეზე სიბრძნე და თვინიერება ეწერა. სუფრასთან ჩემს საუბარს უდიდესი ყურადღებით ისმენდა, თვითონ კი ხმას არ იღებდა. როცა საინტერესო გარეგნობისა და კარგი მანერების მქონე უცნობი ადამიანი საზოგადოებაში ყოფნისას უმეტესად დუმს, იგი კაცში ძლიერ ცნობისმოყვარეობას აღძრავს ხოლმე. სასადილო ოთახიდან გამოსვლისას ბონვალს ვკითხე, ეს კაცი ვინ არის-მეთქი და მითხრა, რომ იგი თავისი ზნეკეთილობით განთქმული მდიდარი და ბრძენი ფილოსოფოსი იყო. მისი ადამიანური ღირსებები მხოლოდ მისსავე რწმენის ერთგულებას თუ შეედრებოდა. მირჩია, დავეახლოებოდი და თუ მოვახერხებდი, მისი კეთილგანწყობაც მომეპოვებია.

ეს რჩევა სიამოვნებით მივიღე და ჩრდილოვანში სეირნობის შემდეგ, როცა ყველანი სასტუმრო ოთახში დავბრუნდით, იუსუფ ალის მივუჯექი — ასე ერქვა იმ თურქს, ჩემი ყურადღება რომ მიიქცია. მან მაშინვე თავისი ყალიონი შემომთავაზა, მაგრამ თავაზიანი უარი ვუთხარი და ის ყალიონი ავიღე, ბატონ ბონვალის მსახურმა რომ მომიტანა — იმ ხანად დიდი სიამოვნებით ვეწეოდი, მაგრამ ბოლს არ ვყლაპავდი, რის გამოც იუსუფმა მითხრა, რომ ამ საუცხოო თამბაქოს მთელი ეშხი მის ბალზამურ ნაწილში იყო და ამიტომ ამგვარ ამაო პლაკუნს არავითარი აზრი არ ჰქონდა. დავეთანხმე და ვუთხარი, ყალიონის გაბოლება ჭეშმარიტ სიამოვნებას მხოლოდ მაშინ მანიჭებს, თუ ძალიან კარგი თამბაქო მაქვს, თორემ ცუდ თამბაქოზე საზიზღარი არაფერია-მეთქი.

— რა თქმა უნდა, — მომიგო მან, — კარგი თამბაქო აუცილებელია, მაგრამ მთავარიც არ არის, რადგან კარგი თამბაქოსაგან მიღებული სიამოვნება გრძნობადი სიამოვნებაა. ჭეშმარიტი ტკბობა კი არაფრით არ არის დამოკიდებული გრძნობის ორგანოებზე და მხოლოდდამხოლოდ სულზე მოქმედებს.

— ვერ წარმომიდგენია, ძვირფასო იუსუფ, რა სიამოვნება უნდა იგემოს ჩემმა სულმა გრძნობის ორგანოების გარეშე.

— მაშ მომისმინე. ყალიონის გაწყობა ხომ გსიამოვნებს?

— დიახ.

— რომელ გრძნობის ორგანოს მიაწერ ამ განცდას, თუ

არა სულს? გავაგრძელოთ. სიამოვნებას მაშინ ვგრძნობ, როცა ბოლომდე მოწევა და ყალიონს გვერდზე გადასდებ, ხომ?

— დიახ, ასეა.

— აი, ჭკვე ორი სიამოვნება, რომელშიც შენი ვრძნობები სულ არ მონაწილეობენ. ახლა კი ვთხოვ, რომ მესამე და მთავარი შენ თვითონ გამოიცნო.

მთავარი? თამბაქოს სურნელი.

— სულაც არა. ეს გრძნობის ორგანოს საქმეა.

— მაშინ არ კიცი.

— მისმინე. მოწევის მთავარი სიამოვნება თვით ბოლის ჭვრეტაში მდგომარეობს. ვერასოდეს ვერ დაინახავ, როგორ ვამოდის ის ყალიონიდან, მაგრამ შენი პირის კუთხეებიდან ხამუშ-ხამუშ გამოფშვილებულ ჭაღლებს კი ეყურებ. ჭეშმარიტად ეს არის მთავარი სიამოვნება. ვერასოდეს შეხვდები ბრმას, მოწევა რომ მოსწონდეს. აბა ცადე და ღამით ბნელ ოთახში გააბოლე: ყალიონის გაჩაღებასაც ვერ მოასწრებ, რომ მაშინვე გვერდზე გადადებ.

— სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ მაპატიე და მე გრძნობადი სიამოვნება მირჩევნია იმას, რომელსაც მხოლოდ სულიერი ტკბობა მოაქვს.

ორმოცი წლის წინ მეც ასე ვფიქრობდი. ორმოცი წლის შემდეგ, თუ შეძლებ და სიბერძნეს მოიხვეჭ, შენც ჩემსავით იფიქრებ. სიამოვნება, რომელიც ვნებებს აღვიძებს, სულს აძინებს, შვილო ჩემო, ამიტომ, როგორც თვითონვე მიხვდები, არ შეიძლება ჭეშმარიტ სიამოვნებად მივიჩნიოთ.

— მაგრამ, მე მგონია, იმისათვის, რომ სიამოვნება სიამოვნება იყოს, საკმარისია, იგი სიამოვნება იყოს და მეტი არაფერი.

— ვეთანხმები, მაგრამ შენ რომ თავს ძალა დაატანო და საკუთარ ვრძნობად სიამეებს კარგად დაუკვირდე, ნამდვილ სიამოვნებად ვერ მიიჩნევ.

— შეიძლება მასეც იყოს, მაგრამ თავს ძალა რატომ უნდა დავატანო, თუ ეს ნეტარების განცდას შემიმცირებს?

— მოვა დრო და სიამოვნებას თვით ამ გარჯისაგან მიიღებ.

— როგორც ჩანს, სიჭაბუკესთან შედარებით უპირატესობას მოწიფულობას ანიჭებ.

გაბედულად მითხარი — სიბერეს-თქო.

— მაკვირვებ პირდაპირ. შენი ლაპარაკი ისე ხომ არ უნდა ვავივო, რომ უბედური ბავშვობა გქონდა?

— არამც და არამც. მე ყოველთვის ჯანმრთელი და ბედნიერი ვიყავი. არასოდეს ვნებათა მსხვერპლი არ გავმხდარვარ, მაგრამ თანატოლებზე დაკვირვება ჩემთვის სასარგებლო სკოლა იყო: ადამიანთა გაგება ვისწავლე და ბედნიერების გზა ვიპოვე. უბედნიერესი ადამიანი ის კი არ არის, ვინც ყველაზე მეტ სიამოვნებას განიცდის, არამედ ის, ვისაც ყველა სიამეთაგან უდიდესი სიამის ამორჩევა შეუძლია. დიადი კი, გამეცინებ, მხოლოდ ის სიამოვნება შეიძლება იყოს, რომელიც გრძნობათა კვერდის ავლით სულის სიმშვიდეს მოგვიპოვებს.

— ეს ის სიამენია, რომელთაც შენ წმინდას ეწოდებ.

— ასეთია, მაგალითად, ბალახით დაფარული ვრცელი ველის ხილვა. ჩვენი ღვთიური წინაპარმეტყველის მიერ ნადიდები მისი სიმწვანე მზერას ეალერსება და ვგრძნობ, როგორ იძირება ჩემი სული ნეტარ სიმშვიდეში — თითქოს ყოველი არსის შემოქმედს ვუახლოვდები. ასეთივე სიმშვიდეს ვგრძნობ მაშინაც, როცა მდინარის პირას ვზივარ და კალაპოტში მსრბოლ ნაკადს ვუცქერი, რომელიც ჩემს მზერას ვერასოდეს გაექცევა და თავის დინებაში მარადიულად ხილულია. ეს ჩემი ცხოვრების საოცნებო ხატად წარმომიდგება, რადგანაც მსურს, რომ თავის უხილავ საზღვრებში მარადიულად მსრბოლ წყლის სიმშვიდეს მივაღწიო.

ასე ლაპარაკობდა ეს თურქი. ოდესაც ერთად გავატარეთ. ორი ცოლისაგან ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. უფროსს უკვე თავისი წილი მიღებული ჰქონდა, სალონიკში ცხოვრობდა და ვაჭრობით გამდიდრებულიყო. უმცროსი დიდ სერალში სულთანს ემსახურებოდა და მის წილხვედრილ ქონებას მეურვე განაგებდა. თხუთმეტი წლის ქალიშვილი კი, რომელსაც ის ზელმას ეძახდა, დანარჩენი სიმდიდრის ერთადერთი მემკვიდრე იყო, თუმცა იუსუფმა მას უკვე მისცა ყველაზე საუკეთესო რამ, რისი მიცემაც კი ადამიანისათვის შეიძლება — აღზრდა, რათა ამ ძვირფასი საუნჯით ბედნიერება მოეტანა იმისათვის, ვისაც უფალი მეუღლედ არგუნებდა.

იუსუფის ცოლები დაიხოცნენ და ხუთი წლის წინ იგი მესამედ დაქორწინდა ნორჩ ხიოსელ მზეთუნახავზე, მაგრამ ასაკის გამო შვილებია გაჩენის იმედი უკვე აღარ ჰქონდა. გამომშვიდობებისას იუსუფს შევპირდი, რომ კვირაში ერთხელ მაინც ვეწვეოდი.

ოთხი დღის შემდეგ ვესტუმრე. განმარტოებით ვისადილეთ. საუბარი ნატიფ ხელოვნებაზე ჩამოვარდა. ჩემი აზრი გამოუთქვი ყურანის ერთ მცნებაზე, რომელიც ოტომანის პორტას ქვეშევრდომთ ისეთ უწყინარ სიამოვნებასაც უკრძალავდა, როგორიც ფერმწერთა და სკულპტორთა ქმნილებებით ტკბობა იყო. მან მიპასუხა, რომ მუჰამედს, როგორც ჭეშმარიტ ბრძენს, აუცილებლად სჭირდებოდა, რომ მუსულმანთა თვალებისათვის ყოველგვარი გამოსახულება აერიდებინა.

— გაიხსენე, რომ ყველა ხალხი, რომელსაც ჩვენმა დიდმა წინასწარმეტყველმა ღმერთი აღმოაჩენინა, კერპთაყვანისმცემელი იყო. ადამიანი სუსტი არსებაა: ისეთივე საგნების ყურებისას შეიძლება, ძველ შეცდომებს ოლად დაუბრუნდეს.

— ვფიქრობ, არასოდეს არც ერთ ხალხს სხვა გამოსახულებისათვის თაყვანი არ უცია. იგი მხოლოდ ღვთაების ხატს ეთაყვანებოდა.

— მეც მინდოდა, მასე მეფიქრა. მაგრამ ღმერთი უხორცოა, ესე იგი, საჭიროა, ბრბოს შეგნებიდან განიდევნოს აზრი, რომ ის შეიძლება სხეულებრივი იყოს. მხოლოდ თქვენ, ქრისტიანებს გჯერათ, რომ ღმერთს ხედავთ.

— ჭეშმარიტად, ჩვენ გვჯერა ეს. მაგრამ გთხოვ, ნუ დაივიწყებ, რომ ამის საფუძველს რწმენა გვაძლევს.

— ვიცი, მაგრამ სწორედ ამიტომ თქვენ არანაკლები კერპთაყვანისმცემლები ხართ, რადგან ხილული მხოლოდ მატერიაა, თქვენ კი უყოყმანოდ გჯერათ ამ ილუზიისა, თუ, რა თქმა უნდა, შენ არ იტყვი, რომ მას სწორედ რწმენა ასუსტებს.

— ღმერთმა დამიფაროს მაგის თქმისაგან. პირიქით, რწმენა განამტკიცებს ამ დაჯერებას.

— მადლობა უფალს, ჩვენ არ განვიცდით მაგ ილუზიას და მის აუცილებლობას მსოფლიოს ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ დამიმტკიცებს.

— ეს საკითხი ფილოსოფიის კი არა, ღვთისმეტყველების სფეროს განეკუთვნება,

— შენ ჩვენს ღვთისმეტყველთა მსგავსად მსჯელობ, რომლებიც თქვენს ღვთისმეტყველთაგან იმით განსხვავდებიან, რომ თავიანთ ცოდნას ჭეშმარიტების გასაბუნდოვანებლად კი არ იყენებენ, არამედ მისთვის სინათლის მოსაფენად.

— წარმოიდგინე, ძვირფასო იუსუფ, რომ ლაპარაკია საიდუმლოებაზე.

— ღვთის სუფევა უკვე არის უდიდესი საიდუმლო და ადამიანებს მისთვის რაიმეს წარმატება არ სჭირდებათ. ღმერთი შეიძლება მხოლოდ უბრალო იყოს და სწორედ ასეთი ღმერთი გვიქადაგა ჩვენმა წინასწარმეტყველმა. დამეთანხმე, რომ შეუძლებელია მისი არსისათვის რაიმეს დამატება ისე, რომ ეს უბრალოება არ დაირღვეს. ჩვენ ვამბობთ, რომ ღმერთი ერთია, და განუყოფელი. ესაა ნამდვილი უბრალოება. თქვენ ამბობთ, რომ ის ერთია, მაგრამ ამასთანავე სამპიროვანიცაა. ეს განსაზღვრება წინააღმდეგობრივი და აბსურდულია.

— ეს საიდუმლოა.

— ღმერთი თუ განსაზღვრებაა? მე განსაზღვრებაზე ვლაპარაკობ, ის კი არ შეიძლება საიდუმლო იყოს. გონებამ არ უნდა უარყოს იგი. გონიერებამ, ძვირფასო შვილო, არ შეიძლება უაზრობად არ ჩათვალოს მტკიცება, რომ სამი ერთზე მეტი არ არის ან, თუნდაც, რომ შეიძლება მისი ტოლი იყოს. დამიმტკიცე ეს და მე დაუყოვნებლივ ქრისტიანობას მივიღებ.

ჩემი რელიგია განუსჯელ რწმენას მავალებს, ძვირფასო იუსუფ, და იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ მსჯელობით, შესაძლოა, ჩემი საყვარელი მამის სარწმუნოებას განვუდგე. ჯერ ივაში უნდა დავრწმუნდე, რომ მამაჩემი ცდებოდა. მითხარი, განა შემიძლია მე, მისი ხსოვნის პატივისმცემელს, ისეთი თავდაჯერებული ვიყო, რომ მსაჯულად დავუდგე და განაჩენი გამოვუტანო?

ამ სიტყვებმა კეთილი იუსუფი ძლიერ აღელვა. ორიოდე წუთის დუმილის შემდეგ მითხრა, რომ ასეთი აზროვნება უეჭველად ღვთის სათნოდ ანუ მის რჩეულად წარმომადგენს და თუ ვცდები, ისევ მხოლოდ ღმერთს შეუძლია ჭეშმარიტების გზის ჩვენება, რადგან, რამდენადაც მისთვის ცნობილია, არც

ერთ [illegible]ამ ანა ჩემი გრძნობების ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანა [illegible] ძალუძ.

[illegible]ემოეგ კიდეგ ბევრ რამეზე გულითადად ვიმუსაიფეთ და [illegible]ალამის წამოვედი.

[illegible]ესამეჯერ სადილობის დროს, როცა საუბარი ისევ რელიგიაზე ჩამოვლრდა, ვკითხე, დარწმუნებული იყო თუ არა, რომ [illegible]ოკვდავთათვის სამუდამო სასუფევლის დამკვიდრება მხოლოდ მათ რწმენას შეეძლო. მან მიპასუხა, რომ ამას გადაწყვეტილად ვერ [illegible]ტყოდა, მაგრამ ის კი სწამდა, რომ ქრისტიანობა საყოველთაო რელიგია ვერ გახდებოდა.

— რატომ? — ვკითხე მე.

— იმიტომ, რომ ჩვენი პლანეტის ორმა მესამედმა არ იცის არც ბური და [illegible]ც ღვინო. ყურანის მიმდევრობა კი ყველგან შეიძლება.

არ ვიცოდი რა მეპასუხა და თვალთმაქცობაც აღარ დამიწყია. ჩემს შენიშვნაზე, რომ ღმერთი უსხეულოა, ესე იგი სული არის მეთქი, მიპასუხა; რომ ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რასაც ის არ წარმოადგენს და არა ის, რასაც წარმოადგენს და [illegible]ლბათ, არც [illegible]ის მტკიცება შეგვიძლია, რომ ის სულია.

— [illegible]ემერი[illegible] [illegible]თქვა მან, — არანივთიერია. აი, ყველაფერი, რაც ვიცით, და მეტი არც არასოდეს გვეცოდინება.

გამახსენდა, რომ პლატონიც [illegible]ამას ამტკიცებდა, მაგრამ [illegible]ეუსუფს, უეჭველია, პლატონი წაკითხული არ ექნებოდა.

იმავე დღეს მან მითხრა, რომ ღმერთის არსებობას სიკეთე [illegible]ხოლოდ იმათთვის მოაქვს, ვინაც ის სწამს, ამიტომ უღმერთოები მოკვდავთაგან ყველაზე უბედურები არიან.

— ღმერთმა, — ამბობდა [illegible]ეგი, — [illegible]ადამიანი სახედ თვისად [illegible]ექმნა, რათა მისგან სულჩაბერილ [illegible] არსებათაგან ერთადერთს ჰქონოდა მისი ქებათა ქების უნარი. ადამიანი რომ არ ყოფილიყო, უფლის [illegible]ადიადის მოწმეც არავინ იქნებოდა. ამიტომ ადამიანს მეგნიბული უნდა ჰქონდეს, რომ მისი უპირველესი მოვალეობა შემოქმედის დიდება და განგების რწმენაა. გასსოვდეს, რომ ღმერთი არასოდეს მიატოვებს იმას, ვინც ეანსაცოველში [illegible]ს უსმობს და შემწეობას ევედრება. და სასოწარკვეთილებაში სტოვებს მას, ვისაც ლოცვა უსარგებლო საქმედ [illegible]ეაჩნია.

— მაგრამ ბედნიერი ათეისტები მაინც არსებობენ.

— მართალია, მაგრამ თუმც მათ სულებში სიმშვიდეა დავანებული, მაინც შებრალების ღირსნი არიან, რადგან მიწიერი ცხოვრების შემდეგ არაფრის იმედი არა აქვთ და, აქედან გამომღინარე, ცხოველებზე თავიანთ უპირატესობასაც არ აღიარებენ. დაბოლოს, ღმერთმა ადამიანი ისეთნაირად შექმნა, რომ თუ თავისი ღვთაებრივი წარმომავლობა არ დაიჯერა, ბედნიერი ვერ იქნება. ყოველ ფენაში აუცილებლად წამოიჭრება ამის მოთხოვნილება. ასე რომ არ იყოს, ადამიანი ღმერთს სამყაროს შემქმნელად არასოდეს აღიარებდა.

— მაგრამ ამიხსენი, რატომაა, რომ ათეიზმი ყოველთვის რომელიმე მეცნიერის შეხედულებებში იჩენს თავს და არ არსებობს იმის მაგალითი, რომ იგი მთელი ხალხის აზროვნება იყოს.

— იმიტომ, რომ ღარიბს უკეთესად აქვს შეგნებული თავისი გასაჭირი, ვიდრე მდიდარს. ჩვენთა მსგავსთა შორის ბევრია ისეთი უსნეო არსება, მექაში მომლოცველ მორწმუნეებს რომ აბუჩად იგდებს. . ღბედურები! მათ ჰმართებთ, პატიები სცენ უძველესი წარსულის ძეგლებს, რომლებიც მართლმორწმუნეებში ღვთისმოსაობას ამკვიდრებენ და ჭირსა შიგან განამტკიცებენ მათ.

იუსუფი ბედნიერი იყო იმით, რომ მის შეგონებებს გულისყურით ეუსმინდი. უკვე წინასწარ გაუფრთხილებელად მივდიოდი მასთან და მთელ დღეს ვრჩებოდი, რის გამოც ნამდვილი მეგობრები გავხდით.

მაგრამ ერთ დღეს ისეთი რამ მოხდა, რომ სასტიკად დავრჩი.

— მე ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი მყავს. ვაჟებზე აღარ ვზრუნავ. მათ უკვე მიიღეს თავიანთი წილი იქიდან, რასაც ვფლობ. რაც შეეხება ქალიშვილს, როცა მოვკვდები, ჩემი მთელი ქონება მის ხელში გადავა. ხოლო ვიდრე ცოცხალი ვარ, ჩემს ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული იმისი გაბედნიერება, ვინც მას ცოლად შეირთავს. ხუთი წლის წინ ახალგაზრდა ქალზე დავქორწინდი, მაგრამ მან შვილი არ მაჩუქა და დარწმუნებული ვარ, რომ ვერც აწი მაჩუქებს, რადგან საამისოდ უკვე ბებერი ვარ. ჩემი ქალიშვილი თხუთმეტი

წლისაა, ლამაზი, წაბლისფერთმიანი, თაფლისთვალა გოგოა, ცხონებული დედამისივით. მაღალია და ტანკენარი, თან ისე ხნეკეთილად აღვზარდე, რომ სულთანიც კი ვერ დაიწუნებს. იცის ბერძნული და ლათინური, მღერის, არფაზე უკრავს, ხატავს, ქარგავს და მზიანი გუნება აქვს. ქვეყნად ვერც ერთი შამაკაცი ვერ დაიკვეხნის, რომ მისი სახე უხილავს, მე კი ისე ვუყვარვარ, რომ ყველაფერში მენდობა. მოკლედ, ნამდვილი განძია. და ამ განძს შენ გაჩუქებ, თუ თანახმა იქნები, რომ ერთი წლით ანდრიანოპოლში ჩემს ნათესავთან წახვიდე, რათა მან ჩვენი ენა, სარწმუნოება და წეს-ჩვეულებანი შეგასწავლოს. ერთი წლის შემდეგ დაბრუნდები და, როგორც კი მუსულმანობას მიიღებ, ჩემი ქალიშვილი შენი ცოლი გახდება. გექნება, სახლი, რენტა, გეყოლება მორჩილი მონები და ცხოვრებაში არასოდეს არაფერი გაგიჭირდება. აი, ასე. პასუხს ახლავე არ გთხოვ. არც ხვალ და არც რომელიმე დათქმულ დროს. მაშინ მიპასუხე, როცა შენი გენია საჩუქრის მიღებას გიბრძანებს. თუ არ ისურვებ, მაშინ ამაზე ლაპარაკი სხვა დროს საჭირო აღარ იქნება. ნუ აჩქარდები, ნუ დააყოვნებ, ნუ იღელვებ. არც მეტისმეტ ფიქრსა და განსჯას გირჩევ, რამეთუ მე შენს სულში ჩავაგდე თესლი და ამიერიდან საკუთარ ბედს ვერც წინაღუდგები და ვერც ვერაფრით დაეხმარები. შენ მხოლოდ ღვთის ნებასა და ბედის გარდაუვალ განაჩენს აღასრულებ. ვგრძნობ, რომ ახლა მხოლოდ ზელმეს საჭოგადოება გაკლია. იმასაც წინასწარ ვეკვრეტ, რომ მასთან ერთად ოტომანთა იმპერიის ერთ-ერთი ბურჯი გახდები.

ამ მოკლე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ იუსუფმა გულში ჩამიკრა და წავიდა, ალბათ იმიტომ, რომ პასუხი არ გამეცა. შინ დავბრუნდი და ფიქრებში ჩავიძირე. ჩემი აზრით, იუსუფი მართალს ამბობდა: ეს ისეთი მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომ მართლაც არავის არ უნდა სცოდნოდა; ის კი არა, თვით მეც არ უნდა მეფიქრა იმ წუთამდე, ვიდრე ჩემი სული სიმშვიდესა და სიმტკიცეს არ შეიძენდა. ყველა გრძნობა, ცრურწმენა წინასწარგანწყობა და გარკვეული პირადი ინტერესიც კი უნდა გამორიცხულიყო. ოთხი დღე იუსუფთან არ მივსულვარ და როცა მეხუთე დღეს ვეწვიე, ორივემ ძალიან გავიხარეთ: არც ერთს სიტყვა არ დაგვიძრავს იმ საქმეზე, რაზეც,

რა თქმა უნდა, ცალცალკე ბევრს ვფიქრობდით. ასე გავიდა ორი კვირა, მაგრამ ჩვენი დუმილის მიზეზი გულჩათხრობილობა კი არ იყო, არამედ ჩვენი მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა, ამიტომ როცა საუბარი თავის წინადადებაზე ჩამოაგდო, მკითხა, კეთილი რჩევისათვის, ალბათ, ვინმე ბრძენ კაცს მიმართეო.

მე ღმერთს მივმართე, მთლიანად მას მივენდე და მჯერა, რომ სწორ არჩევანს ჩამაგონებს. ჯერჯერობით კი ამაზე ფიქრი ჩემს სულს დილით და საღამოთი ეწევევა ხოლმე, როცა საკუთარ თავთან მარტო ვარ და უდიდეს სიმშვიდეში ვიმყოფები. როცა გადაწყვეტილება მომივა, მხოლოდ შენ გაცნობებ და იმ წუთიდან მამასავით დაგემორჩილები.

ამ სიტყვებმა მის თვალებს ცრემლი აღვრევინა. მარცხენა ხელი თავზე დამასვენა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუალა თითი შუბლზე მომადო და მიბრძანა, რომ მომავალშიც ასე მოვქცეულიყავი: რაიმე ნაბიჯი მხოლოდ მაწინ გადამედგა, როცა ჩემი არჩევანის სისწორეში დავრწმუნდებოდი. მე ვუპასუხე, რომ შესაძლებელი იყო მის ქალიშვილს, ზელმას, არც მოვწონებოდი.

— ჩემს გრგოს უყვარხარ, — მითხრა მან, — ყოველთვის, როცა ერთად ვსადილობთ, ის ჩემს ცოლთან და თავის გადიასთან ერთად გიყურებს და დიდი სიამოვნებით გისმენს.

— მაგრამ მან ხომ არ იცის, რომ სიძედ გინდივარ.

— ის იცის, რომ შენს მოქცევას ვცდილობ, რათა შემდეგ ერთმანეთს შეგაუღლოთ.

— მოხარული ვარ, რომ მისი ჩვენებაა უფლება არა გაქვს. შესაძლოა, დავებრმავებინე და მაწინ გეელისთქმას აყოლილი უცდომელ ნაბიჯს ვერ გადავდგამდი.

ჩვენი ასეთი საუბარი იუსუფს არაჩვეულებრივად ახარებდა, მე კი სულაც არ ვეპირფერებოდი და გულახდილად ვლაპარაკობდი. ზელმას ხილვის მოლოდინი გულს შიშით მითრთოლებდა, რადგან ვიცოდი, რომ თუ შევიყვარებდი, უყოყმანოდ გავთათრდებოდი, ხოლო თუ გულგრილი დავრჩებოდი, არასოდეს ამ ნაბიჯს არ გადავდგამდი, რადგან სარწმუნოების გამოცვლა სულაც არ მხიბლავდა, პირიქით, როგორც ჩემი ახლანდელი, ისე მომავალი ცხოვრებისათვის უვარგისი იქნე-

ბოდა. მჯეროდა, რომ იმ სიმდიდრის გულისათვის, რომლის დარ აც, ბედის წყალობით, ალბათ, ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში მოვიპოვებდი, არ ღირდა რწმენის შეცვლა და იმათი პატივისცემისა და სიყვარულის დაკარგვა, ვინც მიცნობდა და მაფასებდა. ვერ გადავიწურავდი იმის იმედს, რომ განათლებულ საზოგადოებაში, ხელოვნებით, კაზმულსიტყვაობით ან სხვა რომელიმე კულტურული საქმიანობით განთქმულ ხალხში ცნობილი კაცი გავხდებოდი. ვერც იმ აზრს შევეგუებოდი, რომ ჩემი თანატოლები ჩემთვის განკუთვნილ დიდებას მოიხვეჭდნენ. ჩალმის დახურვა მხოლოდ სასოწარკვეთილი ადამიანების საკადრისი ხვედრი იყო, მე კი მათ რიცხვს არ ვეკუთვნოდი. მაგრამ ჩემი განსაკუთრებული გულისწყრომა იმან გამოიწვია რომ ერთი წლით ანდრიანოპოლში უნდა წავსულიყავი ბარბაროსული ენის შესასწავლად, რომელიც სულ არ მაინტერესებდა და ამიტომ სრულყოფილად მაინც ვერ დავეუფლებოდი. იოლი არ იყო, პატივმოყვარეობის გრძნობა დამეთრგუნა და მშვერმეტყველი კაცის რეპუტაცია დამეთმო, გარდა ამისა, წარმტაცი ზელმა იქნებ წარმტაცად სულაც არ მომჩვენებოდა და მარტო ამის გამოც უბედური გავხდებოდი. შესაძლოა იუსუფს კიდევ ოცი წელი მაინც ეცოცხლა, მე კი ვგრძნობდი, რომ თუ ოდესმე ზელმაზე გულს ავიყრიდი, კეთილი მოხუცის პატივისცემისა და მადლიერების გრძნობის გამო მაინც ქალიშვილის მიტოვებას ვერასოდეს შევძლებდი. აი, ასეთი აზრები მაფორიაქებდა. იუსუფს მათზე წარმოდგენაც არ ჰქონდა და ჩემგან გამხელაც არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

რამდენიმე დღის შემდეგ იუსუფთან ადრიანად მივედი. თქორმა ბალში სეირნობის საშუალება არ მომცა და სასადილო დარბაზისაკენ გავემართე, სადაც არასოდეს კაციშვილი არ შემხვედრია. უცებ, ჩემი გამოჩენისთანავე, ქალის მომჯადოებელი ფიგურა წამოდგა და სახეზე რიდე ჩამოიფარა. ფანჯრასთან ზურგშექცევით მჯდომი მონა ქალი ადგილიდან არ განძრეულა. ბოდიშის მოხდით გამოსვლა დავაპირე, მაგრამ ქალმა სუფთა იტალიურ ენაზე დარჩენა მიბრძანა და ანგელოზური ხმით წარმოთქვა, რომ იუსუფმა წასვლისას ჩემი საუბრით შექცევა დაავალა. ერთმანეთზე დაწყობილ ბალიშებზე

დასაჯდომად მიმიწვია. დავჯექი. ისიც ჩემს პირდაპირ ბალიშზე ფეხმორთხმით მოკალათდა. ვიფიქრე, რომ ზელმა იყო და გამაოცა იუსუფის საქციელმა, რითაც თავის საკუთარ წესებს არღვევდა და საკმაო რისკზეც მიდიოდა, რადგან ამ შეხვედრას შესაძლოა ჩვენი გეგმები თავდაყირა დაეყენებინა. მაგრამ ჯერჯერობით საშიში არაფერი იყო, რადგან ვიდრე ქალის სახეს არ დავინახავდი, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა მაინც არ შეშეძლო.

— ვფიქრობ, არ იცი ვინა ვარ.

— წარმოდგენა აკრა მაქვს.

— უკვე ხუთი წელია, რაც შენი მეგობრის ცოლი ვარ, ზიოსელი ქალი. ცოლად რომ შემირთო, ცამეტი წლისა ვიყავი.

იუსუფის თავნებობით და გაბედულებით გოცებულმა ვიფიქრე, ბედი უნდა ვცადო-მეთქი მაგრამ ჯერ მისი სახე უნდა დამენახა. როცა მხოლოდ მშვენიერ შემოსილ ტანს უყურებ, მაგრამ სახეს ვერ ხედავ, მარტო ის სურვილები გებადება, რომელთა დაკმაყოფილება არც ისე ძნელია. ამ დროს შემონთებული ცეცხლი თავზე აბრიალებულ კოცონსა ჰგავს. ჩემს წინაშე იყო წარმტაცი კერპი, მაგრამ მის სულს ვერ ვგრძნობდი, რადგან თვალები გაბის რიდეში ჰქონდა მიმალული. ვუყურებდი მის შიშველ, თოვლივით ქათქათა მკლავებს და ჩამოქნილ ხელის მტევნებს, გონებაში წარმოვისახავდი მუსლინის რბილი ნაოჭებით დაფარულ უნაზეს ფორმებს და ეს ყველაფერი წარმტაცი იყო. მაგრამ მაცდური, ამ მშვენიერების გამაცოცხლებელი სული მის თვალებში ამომეკითხა. აღმოსავლური სამოსელი მონუსხულ მზერას ნაკვთების მთელ სიტურფეებს წარმოუდგენს, უფრო მეტიც, ყოველივეს გაცილებით მკაფიოდ და ცხოველხატულად წარმოუსახავს, მაგრამ ისევე, როგორც საქსონურ ფაიფურზე შემოვლებული ნაზი ჭიქურა, ხელს უშლის, რომ უშუალოდ აღიქვას უნატიფესი მოხატულობის ფერები და საღებავები. ეს ქალი შემოსილი იყო არა როგორც სულთანის მეუღლე, არამედ როგორც ზიოსელი არკანა. ქვედა ტანის კაბა ჩემს მზერას უხატავდა ჩამოქნილ წვივებს, ბარძაყების ფორმას, მაღალი თეძოების მოხაზულობას, რომელიც თანდათან ვიწროვდებოდა და აღმაფრ-

თოვანებლად წვრილ წელად ინასკვებოდა, რომელიც ვერცხლოვანი არაბესკებით მოსირმული ფართო ცისფერი სარტყელით იყო შეპყრობილი. ქსოვილში ინაკვთებოდა მაღალი მკერდი და ამ ჯადოსნური ბორცვის ნელ-ნელი მღელვარება მის გონისწამლებ სიცოცხლეს ამქღავნებდა. აკოკრებულ ძუძუებს ქორის გაჩენილი ვიწრო, მრგვლოვანი ღარი გაუძლისი წყურვილის მოსაკლავად მიხმობდა.

სურვილისაგან თავბრუდახვეულმა თითქმის უნებლიედ გავწიე ხელი და ის იყო კადნიერად მისი რიდე უნდა გადაპეწია, რომ მთელი სიმაღლით წამომართულმა ქალმა ხელი მკრა და თავისი შემართების შესაფერისი გოროზი და შეურაცხმყოფელი ხმით მომმართა:

— განა შენ იუსუფის მეგობრობის ღირსი ხარ შენ შეურაცხყავ მისი მეუღლე და დაარღვიე სტუმარმასპინძლობის წმინდა კანონი.

— უნდა მაპატიოთ, ქალბატონო, ჩვენს ქვეყანაში ქალის სახის დანახვა ყველაზე უბადრუკ-მამაკაცსაც კი შეუძლია.

— მაგრამ არა რიდის ახდა, თუკი ქალს მისი ტარება უწევს. იუსუფი შურს იძიებს ჩემი შეურაცხყოფისათვის.

ამ მუქარის გაგონებაზე მივხვდი, რომ აშკარად ვიღუპებოდი, ქალს ფეხებში ჩავეკვარდი და პატიება შევთხოვე. როგორც იქნა, გული მოულბა, დაჯდომა მიბრძანა და თვითონაც დაჯდა, ფეხები გადააჯვარედინა და მისი ქვედატანის აბურდულ ხვეულებში წამიერად ისეთმა თვალწარმტაცმა რამეებმა გაიელვეს, რომ ეს სახილველი კიდევ წუთიც რომ გაგრძელებულიყო, გონებას საბოლოოდ დავკარგავდი. ჩემს შეცდომას მივხვდი, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

— შენ სულ ერთიანად ანთებული ხარ, — წარმოთქვა ქალმა.

— როგორ არ ავენთები, როცა ასეთ სახმილს მიკიდებ, — მივუგე მე.

— გამოცდილებამ ჭკუა მასწავლა და უკვე მისი სახის დანახვაზე არც ვფიქრობდი, მხოლოდ ხელის დაუფლება დავაპირე, მაგრამ უცებ თქვა:

— აი, იუსუფიც.

იუსუფი შემოვიდა. ჩვენ ფეხზე წამოვდექით. მან დამლოცა. მე მადლობა მოვახსენე. მონა ქალი ოთახიდან გავიდა. იუსუფმა ცოლი შეაქო იმისათვის, რომ ასეთი კარგი მასპინძლობა გამიწია, შემდეგ ხელი გაუწოდა, რათა მის ოთახამდე მიეცილებინა. კარში გასვლისას ქალმა ქმრის საკოცნელად რიდე წამოიწია და თითქოს უნებლიედ თავისი პროფილი მიჩვენა. ბოლო ოთახამდე მზერით მივაცილე. დაბრუნებულმა იუსუფმა მითხრა, რომ მისმა მეუღლემ ჩვენთან სადილობა ისურვა.

— მე მეგონა, რომ ჩემს წინაშე ზელმა იყო.

— ეს ჩვენი ზნე-ჩვეულებების დიდი დარღვევა იქნებოდა. ჩემი ახლანდელი საქციელი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ის კი ნამდვილად ძნელი წარმოსადგენია, რომ წესიერმა კაცმა თავისი ქალიშვილი უცხო ქვეყნის მამაკაცთან მარტო დატოვოს.

— ვფიქრობ, შენი ცოლი ლამაზი ქალი იქნება. ზელმაზე ლამაზია?

— ჩემი გოგოს სილამაზე უფრო ხალასი და ბუნებრივია. მასში მეტი სინაზეა ჩაქსოვილი. სოფიას სილამაზეზე კი ამპარტავნობაა აღბეჭდილი. ჩემი სიკვდილის შემდეგ ის ბედნიერი ქალი იქნება, რადგან თავის მეორე ქმარს ქალწულად ჩაჰბარდება.

ჩემი თავგადასავალი ბატონ ბონვალ- ვეკამბე და ის აფრთხე გავაზვიადე, ქალისათვის რიდის აღდგომ რომ მელოდა.

— ტყუილად გგონიათ, — მითხრა მან, — არავითარი საშიშროება არ გელოდათ. მაგ ბერძნის ქალმა თქვენი დაცინვა განიზრახა და, უბრალოდ, ტრაგიკომიკური სცენა გაითამაშა. მერწმუნეთ, იმან განარისხა, რომ ახალგაზდას პირისპირ აღმოჩნდა. თქვენ მასთან ერთად ფრანგული ფარსი გაითამაშეთ, სინამდვილეში კი მამაკაცურად უნდა მოქცეულიყავით. რა ჯანდაბად გინდოდათ მისი ცხვირ-პირის დანახვა? მთავარის მიღწევა უნდა მოგენდომებინათ. ახალგაზრდა რომ ვიყო, თქვენთვის შურს ვიძიებდი და ჩემს მეგობარ იუსუფსაც კარგად დავსჯიდი. მისმა მეუღლემ თქვენს გამო იტალიელებზე არცთუ სახარბიელო შთაბეჭდილება შეიქმნა. თურქ ქალთა

შორის ყველაზე მორიდებული ქალის სირცხვილი სახით იქით არ ვრცელდება ხოლმე: საკმარისია რიდე ჩამოიფაროს და უკვე ჰგონია, რომ გასაწითლებელი არაფერი სჭირს. დარწმუნებული ვარ, იუსუფის ცოლი, როცა ქმარს მასთან შექცევა მოუნდება, ყოველთვის სახეს იმალავს ხოლმე.

— ქალწული ყოფილა.

ძალიან საეჭვოა. მე ვიცნობ ხიოსელ ქალებს. ისინი საოცრად მოხერხებულად და იოლად გამოსახავენ თავიანთ უმანკოებას.

იუსუფს მეორეჯერ ამგვარი გულითადობა აღარ გამოუჩენია. რამდენიმე დღის შემდეგ ერთი სომხის დუქანში შევხვდით. სწორედ იმ დროს შემოვიდა, როცა სხვადასხვა საქონელს ვათვალიერებდი, მაგრამ ყველაფერი მეძვირა და უკვე აღარაფრის ყიდვას აღარ ვაპირებდი. იუსუფმა ჩემი მოწონებული საქონელი რომ ნახა, გემოვნება შემიქო, მაგრამ მითხრა, რომ ძვირი სულაც არ იყო. ყველაფერი იყიდა და წავიდა. მეორე დილით მთელი ეს ნავაჭრი მე გამომიგზავნა, მაგრამ იმისათვის, რომ უარი არ მეთქვა, საოცარი წერილიც მოაყოლა, რომელშიც მარწმუნებდა, რომ კორფუში ჩასელისთანავე შევიტყობდი, ვისთვის უნდა გადამეცა ეს ნივთები. აქ იყო ვერცხლისა და ოქროსფრად მოლაპლაპე დამასკოური ქსოვილები, ჩანთები, საფულეები, ქამრები, ყაწიმები, ცხვირსახოცები და ყალიონები ყველაფერი ერთად ოთხი თუ ხუთი ასეული პიასტრი ღირდა. მადლობა გადავუხადე, გამოტყდა, რომ მთელი ეს სიმდიდრე მე მაჩუქა.

გამგზავრებია წინა დღეს ამ პატიოსან მოხუცს სიყვარულით გამოვემშვიდობე. მის თვალებში ცრემლი შევნიშნე. მეც გული ამიჩუყდა. მითხრა, რომ მის წინადადებაზე უარის თქმით გაცილებით მეტი პატივისცემა დავიმსახურე, ვიდრე თანხმობით მოვიპოვებდი. ბატონ ჯოვანი დონასთან ერთად ხომალდზე რომ ავედი, იქ იუსუფის ნაჩუქარი სკივრი აღმოვაჩინე. შიგ ეწყო ორი ასეული ფუნტი ყავა, ასი ლივრი კანაფის თამბაქო, საუცხოო თუთუნით სავსე ორი დიდი ჭურჭელი და კიდევ ათასი ძვირფასი რამ, რაც კორფუში ჩასელისთანავე გავყიდე და ერთბაშად გავმდიდრდი.

შუადღეზე ეტლში ჩავჯექი, რათა ფერარაში სწრაფად ჩავსულიყავი და იქ მესადილა. წმინდა მარკოზის სამეკლესიოსთან შევჩერდი და ლაქიას ჩემთვის გამოყოფილი ოთახისაკენ გავყევი. ჩემი ყურადღება ერთი ოთახის ღია კარიდან გამომავალმა ხორხოცმა მიიქცია. ცნობისმოყვარეობამ მძლია და ოთახში შევიხედე, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა — ათი-თორმეტი ადამიანი სუფრას უსხდა და ქეიფობდა. ჩემი გზით წასვლა დავაპირე და უცებ შემომესმა: „აი, ისიც!“ ლამაზი ქალი დგება, ხელებგაშლილი გამორბის, ბოცნის და ამბობს:

— აბა, ჩემს ძვირფას ბიძაშვილს თეფში მოაწოდეთ! ცოცხლად! ჩემოდანი იმ ოთახში შეიტანეთ.

ჩემკენ ახალგაზრდა კაცი გამოემართა და ქალმა უთხრა:

— ხომ დაგპირდით, დღეს თუ ხვალ ჩამოვა-მეთქი!

გვერდით მომიხვა და დანარჩენებიც, მოსალმების შემდეგ, თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

— მოშიებული იქნებით, — მითხრა ქალმა და ფეხზე ფეხი დამაბიჯა, — ნება მიბოძეთ, ჩემი საქმრო გაგაცნოთ, ესენი კი დედამთილ-მამამთილი არიან, ეს ქალბატონები და ბატონები — ჩემი მეგობრები. დედიკო რატომ არ ჩამოვიყვანთ?

ჩემი ხმის ამოღების ჯერიც დადგა.

— თქვენი დედიკო, ძვირფასო ბიძაშვილო, სამ-ოთხ დღეში გეწვევათ.

ყურადღებით ვაკვირდები ამ ცოცხალ ქალს და ცნობილ მოცეკვავე კატინელას ვცნობ, ვისაც აქამდე ერთი სიტყვითაც არ გამოველაპარაკებივარ. მივხვდი, რომ თავის მეორე შეთხზულ პიესაში ისეთი პერსონაჟის როლს მაკისრებდა, რომელიც კვანძის გასახსნელად უნდა გამოსდგომოდა. მაინტერესებდა, მქონდა თუ არა მსახიობის ტალანტი, თანაც მჯეროდა, რომ კატინელასაგან სასურველ ჯილდოს მივიღებდი და სიამოვნებით ავყევი. ჩემი ხელოვნება იმით უნდა დამემტკიცებინა, რომ როლის თამაშისას თავი არ გამეცა. მშიერი ვიყავი და საჭმელს მივეძალე, რათა კატინელასათვის თავის ჩანაფიქრში ჩემი გარკვევისათვის დრო მიმეცა. ქალმა ხან ერთ, ხან მეორე თანამეინახესთან საუბარში საკმაო მახვილგონიერებით ამიხსნა სიუჟეტის განვითარება. გავარკვიე, რომ

მისი ქორწინება მანამ ვერ შედგებოდა, ვიდრე დედამისი არ ჩამოვიდოდა და ტანსაცმელსა და ბრილიანტებს არ ჩამოუტანდა; მე თურმე მაესტრო ვიყავი და ჰერცოგ სავოელის ქორწილისათვის ოპერის შესაქმნელად ტურინს მივემგზავრებოდი. მივხვდი, რომ ამ როლის თამაში არავითარ საშიშროებას არ მიქადდა, რადგან ხვალ გამგზავრებაში ხელს ვერ შემიშლიდა. ქალისაგან ღამეული ჯილდოს იმედი რომ არ მქონოდა, ყველას წინაშე გიჟად გამოვაცხადებდი.

ყავის შემდეგ დედამთილმა თქვა სინიორა კატინელას თქვენთან ოჯახურ საქმეებზე მოთათბირება სურს და ხელს აღარ შეგიშლითო. და აი, როგორც იქნა, ამ გაიძვერა ქალთან მარტო დავრჩი იმ ოთახში, რომელიც თავისი ოთახის გვერდით გამომიყო.

საწოლზე დაეცა და სიცილით გადაბერდა. შემდეგ მითხრა, რომ თუმცა მხოლოდ სახით მიცნობდა, ჩემს დახმარებაში მაინც დარწმუნებული იყო. ბოლოს გამაფრთხილა, რომ აჯობებდა აქედან ხვალვე ავბარგებულიყავი.

— აი უკვე ორი თვეა, — განაგრძო მან, — რაც აქ ვიმყოფები და ერთი სოლდო არ გამაჩნია. მთელი ჩემი ქონება რამღენიმე კაბა და ცოტაოდენი თერთეულია. ყველაფრის გაყიდვა მომიწევდა, სახლის პატრონის ვაჟისათვის თავი რომ არ შემეყვარებინა და ცოლად გაყოლას არ შევპირებოდი. თან ვუთხარი, რომ ოცი ათასი ეკიუს ბრილიანტები მზითევად მქონდა გამზადებული და დღედღეზე დედაჩემს უნდა ჩამოეტანა. რა თქმა უნდა, დედაჩემს არაფერი აბადია, არც ამ ოინის ბაიბურშია და არც ვენეციიდან სადმე წასვლას აპირებს.

— გეხვეწები, მითხარი როგორი იქნება ამ ფარსის კვანძის გახსნა. ტრაგიკულად მეჩვენება.

— ცდები. კომიკური იქნება, და ძალიან კომიკურიც. მე აქ ჩემს საყვარელს, გრაფ გოლშტეინს ველოდები. მან ფრანკფურტიდან მომწერა, რომ უკვე მოემგზავრებოდა, ახლა ვენეციაში უნდა იყოს. აქ შემომივლის და რეჯოს ბაზრობაზე წამიყვანს. თუ ჩემი ახალგამომცხვარი საქმრო ცუდად მოიქცევა, გრაფი ერთს გემოზე მიბეგვავს, მაგრამ ჩემი შენახვის ხარჯებს კი გადაუხდის. მე კი არც ის მინდა, რომ გრაფმა რაიმე გადაუხადოს და არც ის, რომ მიბეგვოს. წასვლისას ჩემს საქმ-

როს ყურში ვეჩურჩულებ, რომ აუცილებლად დავბრუნდები და ცოლად გავყვები. ამით ყველაფერი მოგვარდება.

— შესანიშნავია. ანგელოზივით ჭკვიანი ხარ, ოღონდ მე შენს დაბრუნებას ვერ დაველოდები: ჩვენი ქორწილი ახლავე უნდა გაიმართოს.

— ხომ არ შეიშალე! ღამეს მაინც დაელოდე.

— არაფრის დიდებით! უკვე ცხენის ფლოქვების თქარუნი მეზმანება. სადაცაა გრაფი თავის ტაიჭს შემოაგელვებს, თუ არა და ღამეც ჩვენ დაგვრჩება. არაფერს დავკარგავთ.

— ასე გიყვარვარ?

— გაგიჟებით. შენი პიესა აღტაცების ღირსია და ვალდებული ვარ, ეს აღტაცება საქმით გამოვხატო. ჩქარა, ნულარ ვაყოვნებთ.

— მოიცა, კარი დაკეტე. მართალი ხარ, ეს მხოლოდ ჩართული ეპიზოდია, მაგრამ ძალიან სასიამოვნო კია.

საღამოხანს შინაურები ჩვენთან ამოვიდნენ და სასეირნოდ წასვლა გადავწყვიტეთ. გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო, როცა კარეტის ხმა გავიგონეთ. კატინელამ ფანჯარაში გაიხედა და გვთხოვა ყველანი ოთახიდან გავსულიყავით, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს მისი სტუმარი, რომელიღაც პრინცი იქნებოდა. ყველანი გავიქეცნენ, მე კი ჩემს ოთახში შემაგდო და კარი გასაღებით ჩამიკეტა. დავინახე, რომ ტრაქტირის წინ მართლაც გაჩერდა ეტლი და იქიდან ოთხი ჩემი სასქე დიდგვაროვანი ბატონი გადმობრძანდა. იგი კიბეზე ამობაჯბაჯდა და თავის შიჯნურის ოთახს მიაშურა. მე მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, მათი საუბრისათვის ყური მეგდო და ჰეტრუტანაში მეჭვრიტინა, რათა დამენახა, რას აკეთებდნენ კატინელა და ეს შთამბეჭდავი მოცულობის გვამი. მაგრამ მათი პაემანი ხუთ საათს გაგრძელდა და ბოლოსდაბოლოს ყელში ამომივიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კატინელას ბარგს ალაგებდნენ, შემდეგ ეტლში ტვირთავდნენ, შემდეგ ვახშმობდნენ და რეინვეინის ბოთლებს სცლიდნენ. შუაღამით სხვა რამეს აკეთებდნენ და ყოველივე ამის დასასრულს გრაფმა ქალი თან წაიყვანა. ჩემს ოთახში არავინ შემოსულა და ორც არავის მოსვლის სურვილი მქონდა, რადგან არ ვიცოდი, როგორ შეხვდებოდა გერმანელი პრინცი საიდუმლო მოწმეს, რო-

მელიც ორივე ხსენებული პერსონაჟის სასიყვარულო შეხვედრას უთვალთვალებდა. არც ერთს და არც მეორეს ეს ღირსებას არ ჰმატებდა, და გონებაში არაერთხელ მეწვია ფიქრი ადამიანთა მოდგმის უბადრუკობაზე.

მთავარი გმირი ქალის გამგზავრების შემდეგ ჰუპრუტანაში მეპატრონის ვაჟი დავლანდე და ბრახუნი ავტეხე, რომ კარი გაეღო. მაგრამ მან საბრალო ხმით მითხრა, რომ კარის გატეხვა მოუწევდა, რადგან გასაღები სინიორას თან გაჰყოლოდა. ვთხოვე, ეს საქმე დაუყოვნებლივ გაეკეთებინა, რადგან შიმშილით აული მძვრებოდა. ბოლოსდაბოლოს ყველაფერი მოვკარდა დ სევდიანი სასიძო საუზმეზე დამეწვია. სუფრაზე გამანდო, რომ წასვლისას სინიორამ დრო იხელთა და ტირილით შეპირდა, თვენახევარში დაბრუნდებიო.

— პრინცმა, ალბათ, მისი დანახარჯი გაისტუმრა?

— რას ამბობთ. რომც შემოეთავაზებინა, არასდიდებით არ მივიღებდი. ჩემი საცოლე შეურაცხყოფილი დარჩებოდა. თქვენ ვერც წარმოიდგენთ, როგორი კეთილშობილი ქალია.

— მაშათქვენი რას ამბობს მის წასვლაზე?

— მაპაჩემი ყველაფერზე ცუდს ფიქრობს. ამბობს, ალარ დაბრუნდებაო. დედიკო მისი აზრისაკენ იხრება. თქვენ რას იტყვით, სინიორ მაესტრო?

— ვფიქრობ, რახან შეგპირდათ, აუცილებლად დაბრუნდება.

— მართალს ბრძანებთ. თქვენი ჭკვიანურად უნაკლოა.

გრაფისათვის მომზადებული საუზმის ნარჩენები მივირთვეთ და ზედ კატინელას გადამალული ერთი ბოთლი რეინის ღვინოც დავაყოლე. ნავახშმევს საქმროს შევპირდი, ჩემს ბიძაშვილს ვთხოვ, რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს-მეთქი, და გავემგზავრე.

ბოლონიაში კატინელაზე ოთხი საათით გვიან ჩავედი. და იმავე ტრაქტირში გავჩერდი. დრო რომ ვიხელთე, მის ბედოვლათ საყვარელთან საუბრის შინაარსი ვუამბე.

რეჯიოში მე ჩავუსწარი, მაგრამ ვერაფრით გამოლაპარაკება ვერ მოვახერხე, რადგან სულ თავის გრაფზე იყო მიწებებული. მთელი ბაზრობა იქ გავატარე და ამ ხნის განმავლო-

ბაში ისეთი არაფერი გადამხდენია, მოსაყოლად რომ ღირდეს. რეჯიოდან ბალეტისთან ერთად ტურინისაკენ გავწიე. ამ ქალაქის ნახვა ძალიან მაინტერესებდა, რადგან აქ ერთხელ და ისიც გავლით ვიყავი, ცხენები რომ გამომეცვალა.

ტურინში ჩემი სულიერი სიმშვიდე გულის წადილს ერთხელაც არ დაურღვევია, თუ არ ჩავთვლით მრეცხავის გოგოსთან თავგადასავალს, რომლის წყალობითაც ჩემი თვალსაწიერი ფიზიკაში საკმაოდ გაფართოვდა.

რა ღონე არ ვიხმარე, რომ ამ გოგოს ან ჩემთან ან მასთან, აწ სადმე ნებისმიერ ადგილას შევხვედროდი, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გავხდი, გადავწყვიტე გარკვეული ძალადობით დავუფლებოდი იმ საიდუმლო კიბის ქვეშ, რომლითაც ჩემი ოთახიდან ეშვებოდა ხოლმე. იქ დავიმალე და როცა მომიახლოვდა, ქორივით დავაცხრი და ნაწილობრივ დაყვავებით და ნაწილობრივ ძალადობით კიბის ქვედა საფეხურებზე დავიმორჩილე. მაგრამ პირველი შეტევა დამთავრებული არ მქონდა, რომ იმ ადგილის მეზობლად, სადაც შეჭრილი ვიყავი, მეტისმეტად უცნაური ხმა გაისმა. ჩემი შემართება თვალის დახამხამებაში დაინავლა, მითუმეტეს, რომ საბოლოოდ დანებებულმა მეტოქემ სირცხვილის დასამალავად სახეზე ხელები აიფარა.

კოცნით დავამშვიდე და ოლიბის განკითარება დავაპირე, მაგრამ მაშინვე პირველზე უფრო ძლიერი მეორე ბათქი გაისმა, შემდეგ — მესამე, მერე — მეოთხე და ასე მიჰყვა ერთიმეორეს — რიტმულად, ორკესტრის ბანივით, მუსიკალური ნაწარმოების რიტმს რომ წარმართავს. ამ ხმოვანმა ფენომენმა და, მასთან ერთად, გოგოს შეცბენებამ მეც ნირი წამიხდინა და ეს ყველაფერი ცნობიერებაში ისეთი კომიკური სახით შემოიჭრა, რომ ჩემს მსხვერპლს თავი მივანებე და სიცილისაგან გასავათებული კიბეზე დაეგორდი. გოგომ ამით ისარგებლა, თავს გაქცევით უშველა და იმის შემდეგ სათოფეზე აღარ გამკარებია. კარგა ხანს კიბეზე ვიჯექი და სულს ვიბრუნებდი, ყოველთვის, როცა ეს შემთხვევა გამახსენდება, სიცილს ვერ ვიკავებ. ახლა ვფიქრობ, რომ იმ გოგოს წესიერება, ალბათ, ამ უხერხული ნაკლის ბრალი იქნებოდა, თვით ეს ნაკლი კი, თავის მხრივ, შესაძლოა, ორგანოს განსაკუთრებული აღნაგო-

ბიდან მომდინარეობდეს. თუ ეს ასეა, ის გოგო ბედის მადლიერიც უნდა ყოფილიყო იმ სიკეთისათვის, რომელიც თავისი სიმორცხვის გამო ნაკლად წარმოედგინა. მე მგონია, გალანტური ქალების სამი მეოთხედი, ამ დღეში რომ ჩავარდნილიყო, ხიყვარულის უნარსაც დაკარგავდა, თუ დარწმუნებულნი არ იქნებოდნენ იმაში, რომ მათ საყვარლებსაც იგივე თვისებები ამკობდათ. მაშინ ხომ მათი უჩვეულო სიმფონია სასიამოვნო პროცესის დამატებითი გასართობი იქნებოდა. ის კი არა, საგანგებო მოწყობილობის გამოგონებაც კი შეიძლებოდა, რათა ამ ზალპებისათვის კეთილსურნელება მიენიჭებინათ: როცა ერთი ორგანო სიამოვნებას განიცდის, მეორე არ უნდა წუხდეს, რადგან სურნელება ვენერიულ თამაშებში არცთუ უმნიშვნელო რამ გახლავთ.

რეჯიოში ბანქოს თამაშში წაგებული ფული ტურინში მთლიანად ამოვიგე და სინიორ ბარლეტის ბარიზში გამგზავრებაზე იოლად დავთანხმდი. იმ დღეებში იქ ბურგუნდიის ჰერცოგის დაბადებას ელოდნენ და დიდი ზეიმისათვის ემზადებოდნენ. ასე რომ, ტურინიდან გავემგზავრეთ და მეხუთე დღეს ლიონში ვიყავით.

ლიონი ძალიან ლამაზი ქალაქია. აქ უცხოელებს სულ სამი თუ ოთხი თავადური სახლი იღებს. სამაგიეროდ ფაბრიკანტებისა და კომისიონერების ოჯახებში საკმაოდ რიგიანი საზოგადოება იკრიბება ხოლმე. აქ ისე თავაზიანად არ გეპყრობიან, როგორც პარიზში, მაგრამ ამას ეჩვევი და მშვიდი, თანაბარზომიერი ცხოვრებით ტკბები. ლიონის სიმდიდრეს კარგი გემოვნება და სიიაფე წარმოადგენს. ღვთაება, რომელსაც ეს ქალაქი თავის სიკეთეს უნდა უმადლოდეს, მოდაა. იგი ყოველწლიურად იცვლება და ქსოვილი, რომელიც ახალი მოხატულობის გამო ოცდაათი მანეთი ღირს, ერთი წლის შემდეგ უკვე ოცად იყიდება და საზღვარგარეთ აგზავნიან, სადაც უკანასკნელ მოდად ასაღებენ. ლიონელები კარგი მხატვრებისათვის ფულს არ იშურებენ და მათი წარმატების საიდუმლოც ესაა. სიიაფე მეტოქეობიდან გამომდინარეობს რომლის სულია თავისუფლება. აქედან გამოდის, რომ სახელმწიფომ, რომელსაც ვაჭრობის აყვავება სურს, მას მხოლოდ სრული თავისუფლება უნდა მიანიჭოს და მხოლოდდამხოლოდ იმას უნდა მი-

ხედოს, რომ პირადმა ინტერესებმა საზოგადოს საზიანოდ რაიმე ხრიკი არ მოიგონოს. ხელმწიფეს ხელში სასწორი უნდა ეჭიროს, ქვეშევრდომებმა კი რითაც სურთ იმითი შეავსონ სასწორის პინები.

ერთი კვირის შემდეგ დილიჟანსში ორი ადგილი დავიქირავეთ და პარიზს გავემგზავრეთ. ბარლეტიმ ლიონიდან გაცვლის დღე თავის შინაურებს წინასწარ აცნობა, ამიტომ პარიზში ჩვენი ჩასვლის დრო მათ უკვე იცოდნენ და გველოდებოდნენ.

ძალიან მომეწონა გზა — ლუდოვიკო მეთხუთმეტის უკვდავი ქმნილება: პეწიანი ტრაქტირები, გემრიელი საჭმელი, საუცხოო ლოგინები და თავაზიანი მსახურები. სუფრას, ჩვეულებრივ, სახლში ყველაზე ლამაზი გოგო ემსახურებოდა ხოლმე, მაგრამ მისი ლაზათიანი გარეგნობა და თავდაჭერილობა გარყვნილ აზრებს სათავეშივე ლაგამს სდებდა. აბა ჩვენთან, იტალიაში, ვის მოეწონება ჩვენი ტრაქტირების ლაქიათა თავხედური ყამომეტყველება და საქციელი იმ ხანებში საფრანგეთში არც კი იცოდნენ, რა იყო ზედმეტის აღება. საფრანგეთი უცხოელთათვისაც სამშობლო იყო, ახლა კი თვით ფრანგებისთვისაც უცხოეთად იქცა. ადრე ჩვენთვის საძულველი დესპოტიზმი საიდუმლო დაპატიმრებებში ვლინდებოდა. ეს მეფის ტირანია იყო. ახლა კი ვუყურებთ თავხედი, სისხლის მსმელი, აღვირახსნილი ხალხის დესპოტიზმს. იგი ბრბოდ ერთიანდება და სახრჩობელებზე ჰკიდებს, თავებს ასხეპავს, დაუნდობლად ანადგურებს ყველას, ვინც, მისი აზრით, ხალხი არ არის და საკუთარი შეხედულების გამომჟღავნებას ჰბედავს.

ღამე ფონტებლოში გავათიეთ და პარიზში შესვლამდე ერთი საათით ადრე გზად მომავალი ბერლინი დავინახეთ.

— აი, დედაჩემიც, — შესძახა ბარლეტიმ, — შეაჩერეთ, შეაჩერეთ!

ეკიპაჟიდან გადმოვედით და დედა-შვილის ჩვეულებრივი მონატრებული შეხვედრის შემდეგ ბარლეტიმ მასთან წარმადგინა. დედამ კი — ის იყო ცნობილი მსახიობი სილვია — უბრალოდ მითხრა:

— იმედი მაქვს, ჩემი შვილის მეგობარი უარს არ მეტყვის და ამ ალამოს ვახშამზე გვეწვევა.

ამ სიტყვებით ვაუთან და ცხრა წლის ქალიშვილთან ერთად თავის კარეტაში ჩაჯდა მე კი ჩემს ეკიპაჟში დავბრუნდი.

პარიზში სილვიამ მსახური და ფიაკრი დამახვედრა. მშვენიერ ოთახში დაბინავების შემდეგ ბარლეტმ მამამისთან წარმადგინა. მას მარიო ერქვა და ავადმყოფობის შემდეგ ახალი გამოჯანმრთელებული იყო. მარიო და სილვია მათი ნამდვილი სახელები კი არ იყო, არამედ ერთ-ერთი კომედიის იმ პერსონაჟებისა, რომლებსაც ისინი თეატრში თამაშობდნენ. ფრანგები იტალიელ მსახიობებს ხშირად ცხოვრებაშიც იმ სახელებით მიმართავდნენ, რომლითაც სცენაზე გაიცნეს. „გამარჯობათ, ბატონო არლეკინო!".. „დილა მშვიდობისა, ბატონო პანტალონე!" ასე ხვდებოდნენ პალე-როიალში იმათ, ვინც ამ პერსონაჟებს ანსახიერებდნენ.

ჩემს დიასახლისს ქალბატონი კენსანო ერქვა. დილით რომ გავიღვიძე, ეს კენსანო მოვიდა და მითხრა, კართან ვიღაც კაცი გელოდებათ, რომელსაც თქვენთან მსახურად დადგომა სურს. დავუძახე. ერთი ქონდრის კაცი გამომეცხადა და მაშინვე მივახალე, შენნაირები არ მიყვარს მეთქი.

— დაგვაჯული კი ვარ, ჩემო ბატონო, მაგრამ სამაგიეროდ იმის შიში მაინც არ გექნებათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენს კოსტიუმში გამოჭიმული ბედის საძებნელად წავეხეტები.

— თქვენი სახელი?

— როგორც ინებებთ, ჩემო ბატონო.

— ვერ გავიგე. მე გეკითხებით, რა გქვიათ მეთქი.

— არაფერი არ მქვია. ყოველი ახალი ბატონი თავის სახელს მარქმევს. და უკვე ორმოცამდე სახელი გამოვიცვალე. აწი ის მერქმევა, რასაც თქვენ დამიძახებთ.

— მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ოჯახში რაღაც სახელი ხომ დაგარქვეს ისე როგორ იქნებოდა.

— ოჯახში? მე ოჯახი არასოდეს მქონია. სიყმაწვილეში რაღაც კი მერქვა, მაგრამ იმ ოც წელიწადში, რაც მსახური ვარ და წამდაუწუმ პატრონებს ვიცვლი, ნამდვილი სახელი დამავიწყდა.

— მე გენიოსს დაგიძახებ

— ულრმესი მადლობა.

— აი, თქვენ ლუიდორი. წაიღეთ და დაახურდავეთ.

— ფული მაქვს, ბატონო, აი...

— ვხედავ. მდიდარი ყოფილხართ.

— მზად ვარ გემსახუროთ, ბატონო.

— თავმდებად ვინ დაგიდგებათ?

— მსახურთა დაქირავების ბიურო, ქალბატონი კენსაწოც. მე მთელი პარიზი მიცნობს.

— საკმარისია მე დღეში ოცდაათ სუს გიხდით. ჩაცმა-დახურვა თქვენი იქნება. საკუთარ სახლში დაიძინებთ, დილაობით კი, შვიდ საათზე, ჩემს განკარგულებაში გამოცხადდებით.

ბარლეტი მოვიდა და ყოველდღიურად სადილზე და ვახშამზე მიმიწვია. პალე-როიალში წაყვანა ვთხოვე და გენერალ კართან დავტოვე. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი ნაქებ სასეირნო ადგილს. საკმაოდ ლამაზი ბალი იყო: დაბერული ხეივნით, აუზებით და ირგვლივ შემოჯარული დიდრონი სახლებით მოსეირნე ქალებითა და მამაკაცებით, აქა-იქ მიმოფანტული მერხებით. სადაც ახალი წიგნები, სურნელოვანი წყლები, კბილის საჩიჩქნები, სამშვენისები იყიდებოდა ალაგ-ალაგ იდგა მოწნული სკამები, თითო სუდ რომ აქირავებდნენ, აქა-იქ ჩანდნენ ჩრდილს შეფარებული გაზეთის მოყვარული მამაკაცები, ყავახანის კიბეზე ალმა-დალმა მორბენალი მსახურები. თავისუფალ მაგიდასთან ვჯდები და მსახურს ურძეო შოკოლადს ვუკვეთავ. ვერცხლის თალით რაღაც საზიზღარი სითხე მოაქვს. ხელმეუკარებლად ვტოვებ და ყავას ვთხოვ. თუკი გარგა.

— საუცხოო ყავა გვაქვს. მე თვით მოვადუღე გუშინ.

— გუშინ? გუშინდელი რა ჯანდაბად მინდა.

— სამაგიეროდ საუკეთესო რძე ურევია.

— რძე? რძეს საერთოდ ვერ ვიტანს. ახალი ყავა მომიდუღეთ, ოღონდ წყალზე.

— წყლიანს მხოლოდ ჩასადილევს ვადუღებთ. ბავარიულ სასმელს ხომ არ ინებებთ, ანდა ორჟატუს?

— ორჟატუ მომიტანეთ.

სასმელი ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე ყოველ დილით დამელია. მომსახურეს ვეკითხები, ახალი რა იცით-მეთ-

ქი და მპასუხობს რომ დოფინის მეუღლემ პრინცი შობა. ვიღაც აბატი ედავება და ამბობს, რომ მსახური, ალბათ, შეიშალა, რადგან დოფინის მეუღლემ პრინცი კი არა პრინცესა შობაო. აქ მესამე მოდის და ამბობს, რომ ვერსალიდან ამ წუთას დაბრუნდა და დოფინის მეუღლეს არც პრინცი უშვია და არც პრინცესა.

აბატმა მითხრა, რომ მისი შეხედულებით უცხოელი უნდა ეყოფილიყავი. ვუპასუხე, იტალიელი ვარ და გუშინ ჩამოვედი-მეთქი. მაშინ საუბარი გამიბა სასახლეზე, ქალაქზე, სპექტაკლებზე და ყველაფრის ჩვენებას შემპირდა. მადლობა მოვახსენე და ერთად წავედით. აბატმა ყველა მოსეირნე ქალის სახელი იცოდა. ვიღაც მწერლუკას გადავეყარეთ, ერთმანეთს გადაეხვივნენ და აბატმა უთხრა, რომ მე იტალიური ლიტერატურის მცოდნე ვიყავი. უცნობს იტალიურად დაველაპარაკე და მან საკმაოდ გონებამახვილურად მიპასუხა. მისი მეტყველების სტილზე გამეღიმა და მიზეზი ავუხსენი: ზუსტად ბოკაჩოს სტილით ლაპარაკობთ-მეთქი. ჩემი შენიშვნა ესიამოვნა, მაგრამ ავუხსენი, რომ თუმცა ამ ძველ ავტორს სრულყოფილი სტილი ჰქონდა, მისებური ლაპარაკი მაინც ვერაფერი ბედენა იყო. რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთში საერთო მიდრეკილებები აღმოვაჩინეთ და დავმეგობრით კიდეც. ის პოეტი იყო, მეც — პოეტი. მას იტალიური ლიტერატურა აინტერესებდა, მე — ფრანგული. ერთიმეორეს მისამართებს ვეუბნებით და ურთიერთვიზიტებს ვპირდებით.

ბალის კიდეზე ზეცაში მაცქერალ ქალებისა და კაცებს გუნდს ვხედავ. ხელში საათები უჭირავთ. ჩემს ახალ მეგობარს ვეკითხები, ასე დაჟინებით რას მისჩერებიან-მეთქი. მიხსნის, რომ ეს ადამიანები მზის საათს აკვირდებიან და ელიან, ისრის ჩრდილი შუადღეს როდის უჩვენებს. ისინი თავიანთ საათებს ამოწმებენო, ამიხსნა მან.

— კი მაგრამ, მზის საათი სხვაგან არსადაა?

— ყველგან არის, მაგრამ განთქმული მხოლოდ პალე-როიალის საათია.

სიცილი ვერ შევიკავე.

— რა გაცინებთ?

— ის, რომ ყველა მზის საათი ყველგან ერთსა და იმავე დროს აჩვენებს. აი, ესეც წმინდა წყლის დოყლაპიობა.

წუთით ჩაფიქრდა და თვითონაც გაეცინა. მერე მირჩია, რომ კეთილი პარიზელები უფრო თამამად გამეკრიტიკებინა. ბალე-როიალიდან მთავარი კარიბჭით გამოვდივართ და მარჯვნივ თამბაქოს ფარდულთან თავმოყრილ უამრავ ხალხს ვხედავ.

— აქ რა ხდება?

— თქვენ ახლაც გაგეცინებათ. მთელი ეს ხალხი თამბაქოს რიგში დგას.

— განა თამბაქოს მხოლოდ ამ ფარდულში ჰყიდიან?

— თამბაქო ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყიდება, მაგრამ აი უკვე სამი კვირაა, რაც ყველა ცდილობს, რომ თავიანთი სათუთუნეები მხოლოდ ცივეტას თუთუნით აავსოს.

— განა ის სხვაზე უკეთესია?

— სულაც არა. იქნებ უარესიც კი იყოს. მაგრამ შარტრის ჰერცოგინიას მეუღლემ მოდაში შემოიტანა და ახლა ყველა ამ თამბაქოს ეტანება.

— როგორ მოახერხა ამის გაკეთება?

— ორჯერ თუ სამჯერ შეაჩერა თავისი კარეტა ამ ფარდულთან და მხოლოდ იმდენი თამბაქო იყიდა, რაც მის სათუთუნეში ჩაეტეოდა, მაგრამ ახალგაზრდა მეთუთუნე გოგოს სახალხოდ ეუბნებოდა, რომ მას მთელ პარიზში საუკეთესო თამბაქო ჰქონდა. ამის შემსწრე დოყლაპიებმა ეს ამბავი მთელ პარიზს მოჰფინეს და მალე ხმა გავარდა, ვისაც კარგი თამბაქო უნდა, ცივეტას მიაკითხოსო. ეს ქალი აუცილებლად გამდიდრდება: დღეში ას ეკიუზე მეტს ვაჭრობს.

— ჰერცოგის მეღლემ, ალბათ, არც იცის, რა სიკეთე უყო ამ ქალს.

— პირიქით. ეს ხრიკი თვით მისი მოგონილია. რატომღაც გულით შეიყვარა ეს ქალი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გათხოვდა. ჰერცოგის მეუღლემ გადაწყვიტა რაიმეთი დახმარებოდა მას და ეს ორნი მოიფიქრა. თქვენ არც დაიჯერებთ, თუ როგორი კარგები არიან პარიზელები. ეს ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც საზრიან კაცს ნებისმიერი საშუალებით შეუძლია წარმატების მიღწევა: თუ რაიმე ჭეშმარიტებას

ვანცხადებ, გონიერ ადამიანები მყისვე განადიდებენ, და თუ შეცდება და ციცრუეში ჩავარდება, — ბრიყვები დააკილდოებენ. ციბრიყვე ჩვენი ერის განუყოფელი თვისებაა და რაც ყველაზე საკვირველია, იგი გონიერების ღვიძლი შვილია. პარადოქსად ნუ ჩათვლით და გამოდის, რომ ფრანგი ერი უფრო კეთილგონიერი იქნებოდა, ნაკლები ჭკუა რომ ჰქონოდა.

ეს ორ ღმერთ ეთაყვანებიან ციხელესა და მოდას. საკმაოდ ცოცხალია ეს ადმე გ რბოდეს, რომ ვაშინვე ყველა ფეხდაფეხ ედევნება და მანამ არ გაჩერდებიან, ვიდრე იმ გაქცეული კაცის ციგიეში არ დარწმუნდებიან. მაგრამ ამის აღმოჩენა თითქმის შეუძლებელი საქმეა: რამდენი დაბადებიდანვე შერეკილია ჩვენში, დღესაც რომ ბრძენთაბრძენ ადამიანად მიაჩნიათ. ცივეტას თამბაქოს ამბავი ჩვენი ქალაქის ყოფაზე მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას თუ მოგცემთ. ერთხელ სანადროდ მიმავალი ჩვენი მეფე ნეიის ხიდზე აღმოჩნდა და ტაბილი არაყის დასალევად ერთ სამიკიტნოსთან შეჩერდა. ღარიბ მიკიტანს, მისდა საბედნიეროდ, ეს სასმელი აღმოაჩნდა და მეფეს მიართვა. ხელმწიფემ ერთი ჭიქა დალია, თავის მხლებლებს უთხრა, შესანიშნავი არაყიაო და მეორე ჭიქაც დალია. ეს მიკიტანის გასამდიდრებლად საკმარისი აღმოჩნდა: ორიოდ დღეში მთელმა სასახლემ და ქალაქმა იცოდა, რომ ნეიაში ამიკიტნოს ევროპაში საუკეთესო არაყი ჰქონდა. მეფემ ხომ ასე ბრძანა. ბრწყინვალე საზოგადოებამ შუალამეზე ნეიაში მიაშურა. ხამ წელიწადში მიკიტანი ფულებით აივსო და იქ დგილას სახლი ააშენა.

ახლა მიბრძანეთ, ეს მიკიტანი თავის ბედნიერებას რომელ წმინდანს უნდა უმადლოდეს?

— ვფიქრობ, — ვუთხარი მე, — რომ ხელმწიფის ნებისმიერი აქციელითა და გამონათქვამით ასეთი აღტაცება მისდამი ხალხის ერთგულისა და ერთგულების გამოხატულებაა. ამ ბრძა ერთგულის გამო მეფე უცოდველად მიაჩნიათ.

ერთთალა ბრძანდებით. უცხოელები, ფრანგთა ყოფაცხოვრებას რომ აკვირდებიან, ფიქრობენ, ერი თავის მეფეს აღმერთებს. მაგრამ ისინი, ვისაც ჩვენში აზროვნების უნარი ჯერ კიდევ შერჩენილა, ხვდებიან, რომ მონარქისადმი ერის ერთგულება ძოძრავ ნებით: რამ არის. ბა, რამ უნდა წარმოშვას

ისეთი სიყვარული, რომელიც არაფერს არ ემყარება? ამ საკითხში სასახლის კარი არ ტყუვდება. - ხელმწიფე პარიზში შემოდის და ბრბო გაპყვირის — გაუმარჯოს მეფესო — და ამას მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ ვიღაც უსაქმურის ძახილს აპყვა. ეს აღტყინების ან სულაც შიშის ყიჟინაა. დამიჯერეთ, თვით მეფემ ყველაზე უკეთ იცის, რაც ხდება და ერთი სული აქვს, ვიდრე ვერსალში დაბრუნდებოდეს, სადაც. მცველებით გარემოცულს, ამავე ხალხის მძვინვარების აღარ შეეშინდება, რამეთუ იმავე ხალხს, თუ ჭკუა მოემატა, შეუძლია ილრიალოს — სიკვდილი მეფესო. ლუდოვიკო მეთხუთმეტემ ეს შესანიშნავად უწყოდა. ჩვენმა ახლანდელმა ხელმწიფემ, ავადმყოფობის შემდეგ რომ გამოჯანმრთელდა, გულუბრყვილოდ თქვა: „მთელი ეს ზარ-ზეიმი იმიტომაა, რომ ისევ ჯანმრთელს მხედავენ. უცნაური კია. ვერ გამიგია, ამ ხალხს ასე რისთვის ვუყვარვარ“. მონარქია ეს ნააზრევი მყისვე მთელ ქვეყანას მოედო: ხემრობა საქმე ხომ არ იყო — ხელმწიფე ფიქრობდა. ამ დროს ნებისმიერი კარის ფილოსოფოსს უნდა ეპასუხნა მისთვის, ხალხს მხოლოდ იმისთვის ეყვარხარ, რომ მეტსახელად „საყვარელს“ გეძახიანო.

ახალგაზრდა კაცს, რომელმაც ფრანგ ხალხზე, პარიზელებზე, სასახლის კარზე და მთელ სახელმწიფოზე ასეთი ნათელი წარმოდგენა მომცა. პატიუ ერქვა. სილვიას სახლის კარამდე ასეთი საუბრებით მიმაცილა და გამოთხოვებისას მოინდომა. რომ ამ სახლში უნდა შევსულიყაკი.

თავაზიან მსახიობ ქალს ფრიად სასიამოვნო საზოგადოებაში წავ-წყდი. თავისი სტუმრები სათითოოდ გამაცნო. კრებიიონის სახელის გაგონებაზე გოცება ვერ დავმალე.

— ნუთუ ბედნიერება ასე მალე მეწვია! — ვუთხარი მას, — რვა წელი გავიდა მას შემდეგ. რაც თქვენმა ნიჭმა პირველად დამატყვევა. მოწყალება ჰყავით და მომისმინეთ.

და ვუკითხავ „ზენობიასა და რადამისცის“ მშვენიერ სცენას, რომელიც თეთრი ლექსით მქონდა თარგმნილი. სილვია აღტაცებული დარჩა. გრძნობამორეული კრებიიონი ნეტარებით უსმენდა საკუთარ თავს იმ ენაზე, რომელიც მშობლიურზე უფრო უყვარდა. იგივე სცენა ფრანგულად წაიკითხა და თავაზიანად მიმითითა იმ ადგილებზე, რომლებიც, როგორც

ვითოს ბრძანა, ცოტათი შემილამაზებია. ქებას არ მოვუ-
ბუებივარ, მაგრამ მადლობა გადავუხადე. სუფრას მივუსხე-
ით, მკითხეს, პარიზში რა ნახეო და მოვყევი ყველაფერი,
რაც აქ ვიხილე და გავიგონე. სულ ცოტა ორი საათი მაინც
ილაპარაკე და კრებიიონმა მითხრა:

— პირველი შთაბეჭდილებით, ჩემო ხელმწიფევ, შორს
ასვლას გვპირდებით. მალე- დიდ წარმატებებს მიაღწევთ.
კარგი მთხრობელი ყოფილხართ. ფრანგულადაც ურიგოდ არ
ლაპარაკობთ. თუმცა თქვენს საუბარში თითქოს იტალიური
სიტყვები შეიმჩნევა. მაგრამ ამ უჩვეულო მეტყველებითაც
ისმენელს უფრო იზიდავთ. შეუძლებელია, კაცმა ყური არ
დაგიგდოთ. იმასაც გეტყვით, რომ თქვენი შერეული ენა, თა-
ვისი უცნაურობისა და სიახლის გამო, პოპულარობასაც მო-
ეტანთ. იმ ქვეყანაში, სადაც ახლა იმყოფებით, ყოველგვარ
სიახლესა და უცნაურობას ეთაყვანებიან. და მაინც, არაუგ-
ვიანეს ხვალინდელი დღისა, გმართებთ, გულმოდგინედ შეუდ-
ექეთ ჩვენი ენის შესწავლას, რათა გამართულად ილაპარაკოთ,
ვინაიდან შემთხვევაში იგივე ადამიანები, ვინც ახლა გა-
ქებთ, ორი-სამი თვის შემდეგ დაცინვას დაგიწყებენ.

— მჯერა, და მეც ამის მეშინია. ჩემი ჩამოსვლის მთავარი
მიზანი ის იყო, რომ ფრანგული ენა და ლიტერატურა შემეს-
წავლა. მაგრამ, ბატონო, მასწავლებელი აად ვიპოვო? მე აუტა-
ნელი მოწყენილი ვარ — ცნობისმოყვარე, აბეზარი, დაუკმაყო-
ფილებელი, წამდაუწუმ შეკითხვებს ვიძლევი. თან არც ისე
ბედიერი ვარ, რომ მასწავლებელს კიდევაც რომ მივაგნო,
ათანადოდ გადავუხადო.

— უკვე, ნახევარი საუკუნეა, მოწყალეო ხელმწიფევ, რაც
სწორედ თქვენნაირ მოსწავლეს ვეძებ. და თუ თქვენ ჩემი გაკ-
ეთილების მოსმენას ისურვებთ, პირიქით გადაგიხდით. მარ-
ენი ვცხოვრობ, თორმეტი კარიბჭის ქუჩაზე. საუკეთესო იტა-
ლიელი პოეტების წიგნები მაქვს. შეგიძლიათ ფრანგულად
კადათარგმნოთ. თქვენს ცნობისწადილს არასოდეს შევზღუ-
დავ.

მისმა წინადადებამ ისე დამაბნია, რომ ენესიერად მადლო-
ბის თქმაც ვერ მოვახერხე.

კრებიიონთან მთელ წელიწადს დავდიოდი. კვირაში სამ-

ჯერ, და თუ ფრანგულ ენაზე რამე ვიცი ყველაფერი მისგან შევისწავლე. მაგრამ იტალიურის გავლენას თავი მაინც ვერ დავაღწიე. სხვებს რომ ვუსმენ, ეს გავლენები მაშინვე ყურში მხვდება, მაგრამ როცა თვითონ ვწერ და ვსაუბრობ, ვერასდიდებით ვერ ვამჩნევ, და ეპვიც არ მეპარება, რომ ვერც ვერასოდეს შევამჩნევ ისევე, როგორც ვერასოდეს ვხვდებოდი, თუ რაში მდგომარეობს ტიტუს ლივიუსის ლათინურის ყბადაღებული სიმღვრიე.

ერთხელ რაღაც სიუჟეტზე თეთრი ლექსი შევთხზე და გასასწორებლად კრებიიონს მივუტანე. ყურადღებით წაიკითხა და აი, რა მითხრა:

— აზრი ბრწყინვალეა და ძალიან პოეტური. ენა სრულყოფილია. ლექსთწყობაც საუკეთესოდაა გამართული. ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვენიერია, ლექსი კი მაინც არ ვარგა.

— კი მაგრამ, რატომ?

— თვითონაც არ ვიცი. აკლია რაღაც ისეთი je ne sais quoi. წარმოიდგინეთ რომ თქვენს წინაშეა მამაკაცი. ხედავთ, რომ იგი ლამაზია, წარმოსადეგი, თავაზიანი, გონებამახვილი, ერთი სიტყვით, ყოველმხრივ სრულყოფილად მიგაჩნიათ. მაგრამ აი, მოდის ქალი, უყურებს ამ მამაკაცს და კარგად ათვალიერებ-ჩათვალიერების შემდეგ ამბობს, ეს კაცი არ მომწონსო. „მაგრამ, ქალბატონო, მითხარით, ამ კაცს რა ნაკლი აღმოუჩინეთ?“ „თვითონაც არ ვიცი. არ მომწონს და მორჩა“. თქვენ მამაკაცისაკენ ბრუნდებით, მეტი ყურადღებით აკვირდებით და ბოლოსდაბოლოს ხვდებით, რომ საჭურისია.

ამ შედარებით კრებიიონმა მიმახვედრა, თუ რატომ არ მოეწონა ჩემი ლექსი.

მეორე დღეს პატიუ მოვიდა და ერთ ქალთან წამიყვანა. ეს იყო ლეფელი ცნობილი საოპერო მომღერალი და სამეფო სამუსიკო აკადემიის წევრი. სამი პაწია მომხიბლავი შვილი ჰყავდა.

— ვაღმერთებ მათ, — თქვა ლეფელმა.

— სამივე ძალიან ლამაზია, — ვუთხარი მე, — მაგრამ ერთმანეთს სულ არ ჰგვანან.

— რა თქმა უნდა, უფროსი ჰერცოგ დ, ანესის შვილია.

ინ-გრაფ ეგმონტს, უმცროსი კი მეზონრეჟის ვაჟია, იმისი, ახლახან რომენვილის ქალზე რომ დაქორწინდა.

— ოჰ, მაპატიეთ, ქალბატონო. მე მეგონა, რომ თქვენ სამთავეს დედა ბრძანდებოდით.

— ვარ კიდეც სამთავეს დედა.

ამ სიტყვებზე პატიუს შეხედა და გაიცინეს, მე კი ყურებიანად გავწითლდი, ახალბედა ვიყავი. ჩემთვის უჩვეულო იყო ამის მოსმენა, რომ ქალი ასე აშკარად თელავდა მამაკაცის ღირსებას. ლეფელზე სულაც არ ითქმოდა, უტიფარი ადამიანიაო. უბრალოდ, პატიოსანი და ყოველგვარი ცრურწმენისაგან თავისუფალი ქალი იყო. ფრანგული ზნე-ჩვეულებების სფეროში გამოუცდელობის გამო საშინელ უხერხულობებში ეკარდებოდი ხოლმე. ამ დაკითხვის შემდეგ ქალბატონი ლეფელი, ალბათ, ქოქოლას დააყრიდა ყველას, ვინც გაბედავდა და ჩემზე იტყოდა, გონიერი კაციაო.

ერთხელ ბალეტის მასწავლებელ ლანასთან ოთხ თუ ხუთ გოგოს შევხვდი. ყოველ მათგანს დედა ახლდა: ცამეტ-თოთხმეტი წლისანი იქნებოდნენ. ერთი შეხედვით ძალიან მორიდებული, ზრდილი და უბიწო ქალიშვილები იყვნენ. სასიამოვნო რამეებს ვეუბნებოდი და დამორცხვებულნი მისმენდნენ. ერთს თავი სტკიოდა და ამხანაგმა ჰკითხა, ალბათ, კარგად არ გეძინაო.

მაგრამ ბრალი არ არის, — უპასუხა გოგომ, — ძვინი, ფეხმძიმედ უნდა ვიყო.

ახეთ პასუხს ვერ მოველოდი და ნამდვილი სახედარივით ვოთხარი:

ვერასოდეს ვიფიქრებდი, ქალბატონო, რომ გაათხოვილი იქნებოდით.

მან გაკვირვებით შემომხედა, შემდეგ მეორე გოგოს მიუბრუნდა და ორივემ გულიანად გადაიკისკისა. გაბითურებული წამოვედი და სულ გადავიწურე იმედი, რომ თეატრის გოგოებში თუნდაც სინდისის ნატამალს აღმოვაჩენდი. ისინი ყველანი თავს უტიფრობით იწონებენ და ყველას სულელად თვლიან, ვინც მათაც ასევე არ მოექცევა.

პატიუმ ყველა ცოტად თუ ბევრად ცნობილი ლამაზმანი

გამაცნო. მშვენიერი სქესი მას ჩემზე ნაკლებად არ უყვარდა, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემნაირი შმაგი ტემპერამენტით არ იყო დაჯილდოებული, და ეს სიყვარული სიცოცხლედ დაუჯდა. მეტ ხანს რომ ეცოცხლა, მეორე ვოლტერი იქნებოდა. ოცდაათი წლისა გარდაიცვალა სენ-ჟან-დე-მორენში, როცა რომიდან საფრანგეთში ბრუნდებოდა. მისგან გავიგე ის საიდუმლო, რომელსაც აქ ბევრი ახალგაზრდა მწერალი იყენებდა, როცა რაც შეიძლება კარგი პროზის შეთხზვა უნდოდათ, ვთქვათ, მისალოცი ან გამოსათხოვარი სიტყვების, მიძღვნებისა და სხვა ასეთების. ეს საიდუმლო თვით პატიუმ გამიმხილა, როცა ამგვარ საქმიანობაში მოულოდნელად თავზე წავადექი.

ერთ დილით მის მაგიდაზე თეთრი ალექსანდრიული ლექსებით აჭრელებული ქაღალდები ვნახე. დაახლოებით ერთ დუჟინამდე ლექსი რომ წავიკითხე, ეუთხარი, კარგი ლექსები კია, მაგრამ ძალიან ძნელი წასაკითხია და სიამოვნებას არ მანიჭებს-მეთქი. გაცილებით უფრო მომეწონა პროზად დაწერილი იგივე ადგილი საქსონიის მარშლის სადიდებელი სიტყვიდან.

— ჩემი პროზა ისე არ მოგეწონებოდა, სათქმელი ჯერ თეთრ ლექსად რომ არ ჩამომეყალიბებინა.

— ესე იგი ამდენი ფუჭად გიშრომია.

— ურითმო ლექსებს არავითარი დიდი შრომა არ სჭირდება. ისევე წერ, როგორც პროზას.

— და გგონია, რომ შენი პროზა უფრო ლამაზი იქნება, თუ საკუთარი თეთრი ლექსებიდან გადაწერ?

— დიახ, მგონია და მასეც არის — უფრო ლამაზი ხდება, გარდა ამისა, შემიძლია მშვიდად ვიყო, რომ გალექსილი ადგილები არ მექნება. პროზაში ეს ნაკლი მწერლისაგან შეუმჩნეველად გაიპარება ხოლმე.

— განა ეს ნაკლია?

— უდიდესი და შეუწყნარებელი. უნებლიე ლექსებით სავსე პროზა თვით პროზაულ პოეზიაზეც უარესიც კია.

— მართალია, შემთხვევითი ლექსები პროზაში ალბათ, ძალიან ცუდად ეღერს და თავისთავად არც ლექსად ვარგა.

— განა თქვენ, იტალიელებს, შემთხვევითი პოეზია პროზას არ გიფუჭებთ?

— გვიფუჭებს და ძალიანაც. იმასაც გეტყვი, რომ ბევრი უნ-ჭო განგებ ჩურთავს პროზაში ლექსებს, რათა მას ტკბილ-ხმოვანება მიანიჭოს. იმის იმედი აქვთ, რომ მთელი ეს სიყალ-ბე ოქროდ გასაღდება და მკითხველი ვერაფერს შენიშნავს. მაგრამ შენ, ალბათ, მაინც ერთადერთი მწერალი ხარ, ვინ-ნებაყოფლობით ასრულებ ამ ძნელ სამუშაოს.

— ერთადერთი? ტყუილად გგონიათ. ასე აკეთებს ყველა, ვისაც გალექსვა არ ეძნელება და თავის ნაწერს თვითონვე ათეთრებს. ჰკითხე კრებიიონს, აბატ ვუაზენონს ლატარპს, ვი-საც მოგესურვებათ. ყველა ამასვე გეტყვის. პირველად ეს ხელოვნება ვოლტერმა გამოიყენა თავის მომცრო თხზულე-ბებში. ეს შეუდარებელი პროზაა. მაგალითად, წერილი ქალ-ბატონ დიუ შატილისადმი. ბრწყინვალეა. წაიკითხე და თუ თუნდაც ერთ სტრიქონ ლექსს წააწყდები, მითხარი, რომ არა-ფერი მცოდნია. კარგი, გვეყოფა ამაზე საუბარი. გინდა, ოტელ დიუ რულში სასადილოდ წავიდეთ?

— შესანიშნავი აზრია. წავედით!

ოტელი დიუ რული მთელ პარიზში განთქმული ადგილი იყო. ამ ორი თვის განმავლობაში იქ ფეხი არ შემიდგამს და ცნობისმოყვარეობა მკლავდა. მისმა მფლობელმა ქალმა სახ-ლი იყიდა, შესანიშნავად გააწყო და თორმეტი-თოთხმეტი რჩეული გოგოც შეიძინა. ჰყავდა კარგი მზარეული, ჰქონდა ჩინებული ღვინოები, დიდებული ლოგინები და სტუმრებს გულღიად ხვდებოდა. ამ ქალს მადამ პარიზი ერქვა. მისი და-წესებულება ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით იყო და ამიტომ ქალბატონი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ რიგიანი ადა-მიანები ეწვეოდნენ, რადგან ფეხით მისასვლელად ძალიან მო-უხერხებელი იყო. გამორჩეული წესრიგი ჰქონდა. ყოველ სია-მოვნებას თავისი მტკიცე ფასი ედო. ძვირი არ იყო: ექვსი ფრანკი გოგოსთან ერთად საუზმისათვის, თორმეტი — სადი-ლისათვის, ლუიდორი — ვახშმისა და ღამის გათევისათვის. სა-ნიმუშო სახლი იყო და ყველა აღტაცებით ახსენებდა.

ფიაკრში ჩავსხედით და ნახევარ საათში „ოტელ დიუ რუ-ლის“ კართან ვიყავით. დაკეტილი დაგვხვდა. უკანა კარიდან

ულვაშა მსახური გამოვიდა, აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა და რაკიღა ჩვენი სიფათებით კმაყოფილი დარჩა კარიც გაგვიღო. ორმოცდაათამდე წლის თავაზიანი, კარგად ჩაცმული ქალი გამოგვეგება და გვკითხა, გვსურდა თუ არა მასთან სადილობა და გოგოების მონახულება. დასტურის ნიშნად თავები დავუქნიეთ და ქალი დარბაზისაკენ გაგვიძღვა, სადაც მუსლინის ერთნაირ კაბებში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალები ნახევარწრედ ისხდნენ და ქარგავდნენ. ჩვენს შესვლაზე ერთად წამოდგნენ და რევერანსით მოგვესალმნენ. თითქმის თანატოლები და ერთიმეორეზე ლამაზები იყვნენ: ზოგი უფრო მაღალი, ზოგი — საშუალო, ზოგი — შედარებით დაბალი, ზოგი — შავგვრემანი, ზოგი — ქერა, ზოგიც — წაბლისფერთმიანი. პატიუმ თავისი გოგო აირჩია, მე — ჩემი. ორივე რჩეული სიხარულის ყიჟინით ყელზე ჩამოგვეკიდა და სადილობამდე სასეირნოდ გავედით. ქალბატონმა პარიზმა შემდეგი სიტყვებით დაგვტოვა: — მიბრძანდით, ბატონებო, ისეირნეთ ჩემს ბაღში, დატკბით სუფთა ჰაერით, სიმყუდროვით, სიმშვიდით. თავმდები ვარ, რომ თქვენი რჩეულნი სავსებით ჯანმრთელნი არიან.

ხანმოკლე სეირნობის შემდეგ ჩვენ-ჩვენს გოგოებთან პირველი სართულის ოთახებში განვცალკევდით. ჩემმა რჩეულმა კაროლინა მომაგონა და სათანადოდაც მივართვი. შემდეგ კარგად ვისადილეთ. მაგრამ ყავა-დამთავრებული არ მქონდა, რომ საათით აღჭურვილი დიასახლისი შემოვიდა და ორივე გოგო გაიხმო, ჩვენ კი გვითხრა, რომ გართობის დრო ამოიწურა, მაგრამ თუ კიდევ ექვს ფრანკს გადავიხდიდით, შეგვეძლო საღამომდე გვესიამოვნა. პატიუმ განაცხადა, რომ სიხარულით დარჩებოდა, ოღონდ ახალი გოგოს არჩევა უნდოდა. მეც ამ აზრის ვიყავი.

— თქვენი ნებაა. მიბრძანდით.

სერალში დაებრუნდით, ახალი გოგოები ავარჩიეთ და სასეირნოდ წავედით. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორეჯერაც შევცდით: სრულიად შეუფერებელ მომენტში გვაუწყეს, რომ ჩვენი დრო ამოიწურა. იძულებული ვიყავით, წესს დავმორჩილებოდით. პატიუ განზე გავიხმე და ფილოსოფიური აზრების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დავადგინეთ, რომ ეს საათებით განსაზღვრული სიამოვნება ვერაფერი ბედენა იყო.

— ისევ სერალში წავიდეთ, — შევთავაზე მე, — მესამე წყვილი შევარჩიოთ და სიტყვა ჩამოვართვათ, რომ ხვალამდე არ შეგვაწუხებენ.

ჩემი წინადადება პატიუს ჭკუაში დაუჯდა და დიასახლისისაკენ გავწიეთ, მან ჩვენი გადაწყვეტილება ბრძნულად მიიჩნია.

მესამედ გასაოცარი სილამაზის გოგო მერგო. ბედს მადლობა ვუძღვენი, რომ იგი ადრე ვერ შევნიშნე და ახლა ზედიზედ თორმეტ საათს მასთან გავატარებდი. სენტ-ილერი ერქვა. ეს ის სახელგანთქმული ქალი იყო, ერთი წლის შემდეგ ერთმა მილორდმა ინგლისში რომ წაიყვანა. თავიდან გოროზად და ზიზღიანად მექცეოდა. მის დაშოშმინებას მთელი საათი მოვანდომე. მეუბნებოდა, რომ მასთან წოლის ღირსი არ ვიყავი, რადგან პირველ და მეორე შემთხვევაში ყურადღება არ მიექცია. ძლივს დავარწმუნე, რომ ეს ჩემი ბედოვლათობა ორიეესათვის სასარგებლოდ შემობრუნდა, გაეცინა და მოლბა. ჭკვიანი, განათლებული გოგო იყო და ყველა ის თვისება უხვად ამკობდა, რაც მის პროფესიაში წარმატების მისაღწევად აუცილებელი იყო. ვახშამზე პატიუმ იტალიურად მითხრა, რომ სულ ერთი წამიც დავასწარი, მაგრამ ხუთი ან ექვსი დღის შემდეგ ამ გოგოს აუცილებლად ხელში ჩაიგდებდა. მეორე დღეს მარწმუნებდა, მთელი ღამე გუდასავით მეძინაო, მე კი, რაც მართალია მართალია, მაგრად შევუბერე. სენტ-ილერიც ძალიან კმაყოფილი დამრჩა და მეორე დღეს მეგობრებში იკვეხნიდა. ფონტებლოში გადასვლამდე მადამ პარიზს ბარე ათჯერ ვეწვიე და არც ერთხელ სხვა ვოგოს არ გავკარებივარ. სენტ ილერი ამაყობდა, რომ ჩემი შენარჩუნება შეძლო.

მაგრამ ახლა პარიზის ცხოვრებას დავუბრუნდეთ.

მეფე ლუდოვიკო XV ნადირობის დიდი ტრფიალი იყო და ყოველი წლის შემოდგომას აუცილებლად ფონტებლოში ატარებდა. ვერსალში ნოემბრის შუა რიცხვებში ბრუნდებოდა. მთელი ეს მოგზაურობა ხუთი მილიონი უჯდებოდა. სანადიროდ ჭიმავალს თან მიჰქონდა ყველაფერი, რაც უცხოელი დესპანებისა და სასახლის კარის ჩამოვნებისათვის იყო საჭირო. თან ახლდნენ ფრანგი და იტალიელი კომედიანტები და ოპერის მსახიობები. ამ თვენახევარში ფონტებლო ვერსალსაც კი

ჩრდილავდა, თუმცა დიად ქალაქ პარიზში სპექტაკლები მაინც იდგმებოდა, ოპერაც, იტალიური და ფრანგული კომედიაც წარმოდგენებს მართავდა. ისე ბევრი მსახიობი იყო, რომ ერთის მეორეთი შეცვლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

ბარლეტის მამა მარიო სავსებით გამოჯანმრთელდა და სილვიასთან და მთელ ოჯახთან ერთად ფონტებლოს მიემგზავრებოდა. ამ მოგზაურობაში მეც მიმიწვია. დავეთანხმე, რადგან ლუდოვიკო XV კარისკაცთა და უცხოელ მინისტრთა გასაცნობად უკეთეს შემთხვევას ვერც ვინატრებდი.. მაშინვე წარვუდექი ბატონ მაროზინის — ამჟამად წმინდა მარკოზის ტაძრის პროკურატორს, მაშინ კი რესპუბლიკის დესპანს საფრანგეთის სამეფო კარზე. მან ნება დამრთო, ოპერის წარმოდგენაზე ვხლებოდი. ლულის მუსიკა სრულდებოდა. პარტერში დავჯექი ზუსტად იმ ლოჟის ქვეშ, რომელშიც მადამ პომპადური ბრძანდებოდა. მას არ ვიცნობდი. პირველ სცენაში კულისებიდან ცნობილი მომღერალი ქალი ლემორი გამოვიდა და პირის გაღებისთანავე ისეთი მოელოდნელი და ძლიერი ღრიალი აღმოხდა, რომ შემეშინდა, თავი ხომ არაფერს მიარტყამეთქი. ხმადაბლა და გულწრფელად გამეცინა და არაფრით არ ველოდი, რომ ამას ცუდად გამიგებდნენ. ცისფერი ლენტი, მარკიზასთან რომ იჯდა, მკაცრად მეკითხება, საიდან ჩამოხვედითო, და მეც ასევე მკაცრად ვპასუხობ, ვენეციიდან-მეთქი.

— ვენეციაში რომ გახლდით, თქვენი ოპერების რეჩიტატივებზე მეც ბევრი ვიცინე.

— მჯერა, ბატონო, და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ არავის თავში არ მოსვლია, თქვენთვის სიცილში ხელი შეეშალა.

ჩემმა რამდენადმე კადნიერმა პასუხმა ქალბატონ დე პომპადურს ღიმილი მოჰგვარა და მკითხა, მართლა იმ კუთხიდან ვიყავი თუ არა.

— სახელდობრ რომელ კუთხეს ეულისხმობთ?

— ვენეციას.

— ვენეცია, ქალბატონო, კუთხე კი არა ცენტრი გახლავთ.

ეს პასუხი კიდევ უფრო უცნაურად მოეჩვენათ და აი, უკვე მთელი ლოჟა თათბიროობს, ვენეცია ცენტრია თუ კუთხე. რო-

გორც ჩანს, ჩათვალეს, რომ მართალი ვიყავი და თავი გამანებეს. ოპერას ვუსმენდი და აღარც ვიცინოდი, მაგრამ წამდაუწუმ ცხვირს ვიხოცავდი, რადგან სურდო მქონდა. იმავე ჩემთვის უცნობმა ცისფერმა ლენტმა, რომელიც მარშალი რიშელიე აღმოჩნდა, მითხრა, რომ ალბათ ჩემი ოთახის ფანჯრებში გამჭოლი ქარი უბერავდა.

— მაპატიეთ, ბატონო ჩემო, მაგრამ ფანჩრები ძალიან მჭიდროდ მაქვს დახურული.

ატყდა ერთი ხარხარი და ვაიუშველებელი. მაშინვე ვიაზრე, რომ სიტყვა „ფანჯრები" შეცდომით გამოვთქვი, მთლად წავხდი და არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. ნახევარი საათის შემდეგ ბატონი რიშელიე მეკითხება, ორი მსახიობი ქალიდან რომელი უფრო მოგწონსო.

— აი, ის.

— საზიზღარი ფეხები აქვს.

— ფეხები, ბატონო, არ ჩანს, გარდა ამისა, ქალის სილამაზის შეფასებას ფეხებიდან არ ვიწყებ.

ამ შემთხვევითი ხუმრობით, რომლის ეშხი თვითონაც არ მესმოდა, ლოჟაში მსხდომთა პატივისცემა და ინტერესი გამოვიწვიე. მარშალმა ბატონ მაროზინის ჩემი ვინაობა გამოკითხა, მაროზინიმ კი მითხრა, რომ სიამოვნებით ჩამთვლიდა მასთან დაახლოებულ პირად. ხუმარა კაცის სახელი გამივარდა და მარშალ რიშელიეს კეთილგანწყობაც დავიმსახურე.

ფონტებლოში ჩასვლის მეორე დღეს სასახლისაკენ გავემართე. ვიხილე, როგორ მიბრძანდებოდნენ წირვაზე ულამაზესი მეფე, მთელი სამეფო ოჯახი და სეფექალები, რომლებმაც თავიანთი სიმახინჯით გამაოცეს ისევე, როგორც ტურინელმა ქალებმა... სილამაზით. მაგრამ უამრავ დაჯღანულ სახეთა შორის ერთი იშვიათი ვარეგნობის ქალი შევნიშნე და ვიღაცას ვკითხე, ვინ არის-მეთქი.

— ქალბატონი ბრიონია. მისი გონიერება და პატიოსნება მისსავე სილამაზეს არაფრით ჩამოუვარდება. თავის თავზე არა თუ რაიმე მითქმა-მოთქმის, არამედ უბრალო ჭორის გამოგონების საბაბიც კი არავისთვის მიუცია.

— იქნებ არაფერი იციან?

— ოჰ, ბატონო, სასახლის ავ ენებს არაფერი გამოეპარება.

რომელიღაც გალერეაში შევდივარ და სულ ბოლოს ვხედავ მეფესა და მასთან ერთად მოსეირნე ბატონ დ, არანანს. ლუდოვიკო XV მხრებზე შესანიშნავად მორგებული ალმაფრთოვანებელი სილამაზის თავი ჰქონდა. ვერც ერთმა დახელოვნებულმა მხატვარმა ამ მონარქის თავის დიდებული მობრუნება ვერ გამოსახა. ყველა, ვინც მას დაინახავდა, მაშინვე იგრძნობდა, რომ ამ ადამიანის არ შეყვარება შეუძლებელი იყო. მომეჩვენა, რომ ჩემს წინაშე იდგა განსხვეულებული სიდიადე, რასაც ამაოდ ვეძებდი სარდინიის მეფის გარეგნობაში. დავრწმუნდი, რომ ქალბატონ დე პომპადურს იგი მართლაც პირველი დანახვისთანავე შეუყვარდებოდა. შესაძლოა ასე არც ყოფილიყო, მაგრამ ლუდოვიკო XV გარეგნობა დამკვირვებელს უთუოდ ამ აზრს ჩაუნერგავდა.

საფრანგეთმა თავის ტახტზე მრავალი მონარქი იხილა: ზარმაცები, მუქთახორები, სახელმწიფო საქმეების მოძულენი, მხოლოდდამხოლოდ საკუთარ სიმშვიდეზე მზრუნველნი და ხალხის ფეხებზე დამყიდველნი. სასახლის პალატებში შემყუდროებულნი დესპოტური ძალაუფლების თავისი სახელით აღსრულების უფლებას პირველ მინისტრებს უთმობდნენ, თუმცა ამის გამო მათ მონარქობასა და ხელმწიფებას არაფერი აკლდებოდა. მაგრამ მსოფლიოს ადრე არასოდეს მოსწრებია ამ მეფის მსგავსი ხელმწიფე, მის დასამხობად გაერთიანებული ერის ბრძოლას თვითვე რომ წაძღოლოდა.

ერის ამბოხი დესპოტური რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც ახლა ცდა ყოველთვის ტირანიას უწოდებენ, იშვიათი მოვლენა არ არის, რადგან ეს მოძრაობა თვით ხალხის ბუნებითაა ნაკარნახევი. ამის დასტურია მონარქის მარადიული სიფრთხილე: მას ყოველთვის ეშინია მოსართაველის ხელიდან გაშვება, რადგან დარწმუნებულია, რომ ერი ლატიმის გაკვნეტას არ დააყოვნებს. მაგრამ მონარქი, რომელიც თავისი ოცდასამი მილიონი თანამემამულის აჯანყებას სათავეში უდგება და მათგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ მეფის უსარგებლო ტიტული დაუტოვოს, და ისიც არა ხალხის სამართავად, არამედ ხალხი-

საკვე ნების აღსასრულებლად, იშვიათი, უმაგალითო და გაუგონარი ამბავია.

„იუკვირთ კანონმდებლები, — ეუბნება მეფე ხალხს, — და თუ შეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში დამეხმარებით, ვბრძანებ, რომ ყველა თქვენი კანონი შეასრულონ, თანაც საშუალება გეკნებათ, არ დაინდოთ ისინი და ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე ნაკუწ-ნაკუწ დაფლითოთ, რადგან არვის ძალუძს წინ აღუდგეს თქვენს უზენაეს ნებას. ჭეშმარიტად, თქვენ დაიკავებთ ჩემს ადგილს. ამას დიდებულები და სამღვდელოება ვერ შეურიგდება, მაგრამ ისინი ცოტანი არიან. თქვენ ძალგიძთ, ფიზიკური და სულიერი ფრთები შეჭეროთ მათ და ველარავინ შეძლებს, საზღვარი დაუდოს თქვენს ძალმოსილებას. უნდა დათრგუნოთ სამღვდელოების ამპარტავნობა და საეკლესიო თანამდებობები თქვენთა მსგავსთ უნდა გადასცეთ, სასულიერო პირებს კი მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელი ხელფასები დაუნიშნოთ. რაც შეეხება დიდებულებს, მათთვის სიმდიდრის წართმევა არ გაგიჭირდებათ. ისიც საკმარისია, რომ ამიერიდან ფუჭი საგვარეულო ტიტულებისათვის პატივს აღარ მიაგებთ. თავადაზნაურობა გაქრება. როცა ბატონები დაინახავენ, რომ უკვე მარკიზები და ჰერცოგები აღარ არიან, თავიანთ მედიდურობას დაიცხრობენ და ერთადერთ სიამოვნებად ფუფუნებაზე ფულის ფლანგვაღა დარჩებათ — მით უკეთესი ნაციისათვის, რადგან იმათი ფულები ერისაკენ გამოედინება, ერი კი მას ბრუნვაში ჩაუშვებს და ვაჭრობას გააძლიერებს. რაც შეეხება ჩემს მინისტრებს, ისინი ჭკუას მოეგებიან, რადგან თქვენზე იქნებიან დამოკიდებულნი და მათი უნარისა და ნიჭის შეფასება ჩემი სამქმე აღარ იქნება. თვალის ასახვევად მათ ისევ მე შევარჩევ, მაგრამ როცა კი თქვენ ისურვებთ, მაშინვე მოვიშორებ. ამ გზით ბოლოსდაბოლოს მათ ტირანიასაც საზღვარს დავუდებ, რითაც მთრგუნავდნენ, მაიძულებდნენ ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც თვითონ სურდათ, ხშირად ჩემს რეპუტაციას ვნებდნენ და ჩემი სახელით სახელმწიფოს ვალებში აგდებდნენ. მე ვდუმდი, მაგრამ უკვე გაჩუმება აღარ შემიძლია. და აჰა, გავთავისუფლდი! ვიცი, რომ ჩემი ცოლი, შვილები, ძმები და ნათესავები ამისათვის დამეგმობენ და გამა-

სამართლებენ, მაგრამ მხოლოდ თავიანთ გულებში, რადგან ხმამაღლა ლაპარაკს ვერ გაბედავენ. ახლა თქვენი მფარველობით მათთვის ეფრო მრისხანე შევიქნები, ვიდრე მაშინ ვიყავი, როცა მხოლოდ ჩემი ჯიში მიცავდა, რომლის უსარგებლობის საქვეყნოდ დამტკიცებაში მე თვითონ დაგეხმარეთ.

ის უკმაყოფილონი, ვინც სამეფო დატოვეს, აღრე თუ გვიან დაბრუნდებიან ან დაბრუნებას მოისურვებენ. და თუ ეს არ მოხდა, მაშინ რაც ნებავთ ის აკეთონ. ისინი თავს ჩემს ჭეშმარიტ მეგობრებად თვლიან, მაგრამ მე ეს სასაცილოდ არ მყოფნის, რადგან არ შემიძლია მეგობრები ვუწოდო მათ, ვისი აზრებიც ჩემსას არ ეთანხმება. მათ ჰგონიათ, რომ ამქვეყნად ყველაფერზე მთავარია ჩვენი სახლის ძველი უფლებები დესპოტიზმით გამაგრებულ სამეფო ტახტზე. მე კი მგონია, რომ ყველაფერზე მთავარია ჯერ ჩემი სიმშვიდე, მერე — ჩემს მიმართ მინისტრების ძალმომრეობის დათრგუნვა და შემდეგ — თქვენი კეთილდღეობა და კმაყოფილება. მე შემეძლო მეთქვა, სამეფოს სიმდიდრეზე ვზრუნავ-მეთქი, მაგრამ ეს ტყუილი იქნებოდა. ამაზე თქვენ უნდა იფიქროთ. რადგან ეს მხოლოდ თქვენი საქმეა. ამიერიდან სამეფო მე აღარ მეკუთვნის. ღვთის წყალობით, უკვე საფრანგეთის მეფე აღარ ვარ, მაგრამ როგორც თქვენ შესანიშნავად ამბობთ, ვარ ფრანგების მეფე. ერთადერთ რამეს გთხოვთ: იჩქარეთ და ბოლოსდაბოლოს საშუალება მომეცით, რომ სანადვილოდ წავიდე, რადგანაც მოწყენისაგან ძალიან დავიღალე".

ამ ისტორიული სიტყვიდან, ჩემი აზრით, ნათლად ჩანს, რომ კონტრრევოლუცია არ მოხდება, მაგრამ ისიც არანაკლებ ცხადია, რომ როგორც კი მეფის აზროვნება შეიცვლება, კონტრრევოლუციაც თავს წამოჭყოფს. ამის ნიშნები კი არ არის, ისევე, როგორც არ არის იმის უტყუარი გარანტია, რომ მემკვიდრე თავის წინაპარს დაემსგავსება.

მიუხედავად დიდებულთა და სამღვდელოების არსებობისა, ეროვნული კრება ყველა თავის სურვილს შეეფერხებლად აღასრულებს, რადგან იგი მისი ნების ბრმად შემსრულებელ აღვირახსნილ ხალხს დაეყრდნობა. ფრანგი ერი რაღაც დენთის ან შოკოლადის მსგავს წვთიერებად წარმონდგება; ერთიც და მეორეც სამი ნაწილისაგან შედგება და მათი თვისე-

ბები მხოლოდ ამ ნაწილების პროპორციაზეა დამოკიდებული. დრო გვიჩვენებს, რომელი შემადგენელი ნაწილები ჭარბობდნენ რევოლუციის წინა ხანაში და რომელი ჭარბობს ახლა. მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დანამდვილებით: გოგირდის სიმყარალე სასიკვდილოა, ვანილი კი საწამლავადაც გამოდგება.

რაც შეეხება ხალხს, იგი ყველგან ერთნაირია: მიეცით მეკურტნეს ექვსი ფრანკი და სთხოვეთ იყვიროს — „გაუმარჯოს მეფეს?" — ის ამ სიამოვნებას უმალ მოგანიჭებთ, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ სამ ლივრად იღრიალებს — „სიკვდილი მეფეს!" ხალხს სათავეში ბუნტისთავი ჩაუყენეთ და ერთ დღეში მარმარილოს ციხესიმაგრესაც ნაცარტუტად აქცევს. ბრბოს არც კანონები აქვს, არც — შეხედულებები, არც — რწმენა. მისი ღმერთია პური, ღვინო და უქნარობა. თავისუფლებად დაუსჯელობა მიიჩნია, არისტოკრატია მძვინვარე ვეფხვად წარმოუდგენია, დემაგოგი კი — თავისი ფარის მოამაგე მწყემსად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხი არის უზარმაზარი პირუტყვი. ის არ ფიქრობს. პარიზის ციხეები ტესაღებითაა გამოქედილი. ისინი ამბოხებული ხალხის წარმომადგენლები არიან. უთხარით მათ, ეროვნული კრების დარბაზი მიწასთან გაასწორეთ და ციხის კარს გაგიღებთ-თქო, — სიხარულით დაგთანხმდებიან. ყოველი ხალხი ჯალათების ბრბოა. ფრანგულმა სამღვდელოებამ ეს კარგად იცის და ცდილობს, რომ ბრბოს რელიგიური გრძნობები ჩაუნერგოს და ამით თავისუფლებისაკენ უაზრო სწრაფვა შეუნელოს. ხალხისათვის თავისუფლება მისი მატერიალური გრნებისათვის მიუწვდომელი განყენებული ცნებაა. ამასთანავე, იმის დაჯერებაც ძნელია რომ ეროვნულ კრებაში მოიძებნება თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც მხოლოდდამხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნგა ამოძრავებდეს. ყოველი მათგანის სულს საკუთარი ინტერესებითაა შეპყრობილი და არავინ, მეფე რომ ყოფილიყო, ლუდოვიკო XV მაგალითს არ მიჰბაძავდა.

სენ ლორანის ბაზრობაზე ჩემს მეგობარ პატიუს ერთ ფლამანდიელ მსახიობ ქალთან, გვარად მორფისთან, ვახშმობა მოეწყო და ამ ახირებული ჩანაფიქრის განხორციელებაში მონაწილეობა ზეც შემომთავაზა. თვით მორფი სულ არ მხიბ-

ლავდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა: მთავარი მეგობრისათვის მხარის აბმა და მისთვის სიამოვნების მინიჭება იყო, და წავყევი. მან ქალს ორი ლუიდორი შეაძლია, რაც მაშინვე მოლებულ იქნა და ოპერის შემდეგ ლამაზმანს შინ გავყევით. ნავახშმევს პატარას მასთან დაწოლა მოუნდა, მე კი ვიკითხე, სადმე კუთხეში თავის მისადები ადგილი ჩემთვისაც ხომ არ მოიძებნება-მეთქი. მორფის დაიკომ, წარმტაცმა, მაგრამ აჩაჩულ-დაჩაჩულმა და წვრილიანმა გოგომ თავისი ლოგინი შემომთავაზა, რაშიც მცირე ეკიუ მოითხოვა. შევპირდი. რომელიღაც ოთახში შემიყვანა და სამ-ოთხ ფიცარზე გაფენული ნალი მაჩვენა.

— ამას ეძახი ლოგინს?

— ეს ჩემი საწოლია.

— ეს რად მინდა. ამაში ერთ ეკიუსაც არ მოგცემ.

— თქვენ რა, გახდის ხომ არ აპირებთ?

— რა თქმა უნდა.

— რა სისულელეა! ჩვენ ზეწრები არა გვაქვს.

— ესე იგი ჩაცმულს გძინავს?

— სულაც არა.

— კარგი. მაშინ მიდი, შენ თვითონ დაწექი და ეკიუს მოგცემ. მინდა, რომ შეგხედო.

იხდის, წვება და ძველ ფარდას იხურავს. ცამეტი წლისა იყო. ვუყურებ, ყოველგვარ წინააღმდეგობას ვიცილებ და ვხედავ არა მათხოვარს, არა საბრალო კონკიაჟლარუნას, არამედ უმშვენიერეს მზეთუნახავს. მინდა, თავით ფეხამდე დავათვალიერო, მაგრამ ის უარობს და სიცილით მიშორებს. თუმცა, ექვ-ფრანკიანმა ეკიუმ კარავზე უფრო თვინიერი გახადა. მისი ერთადერთი ხინჯი ჭუჭყი იყო. და აი, თავით ფეხამდე ჩემი ხელით დავბანე. როგორც მკითხველს მოეხსენება, ქალის ღირსების შესაფასებლად მისი ყველა მშვენიერი თვისება უნდა შევიცნოთ. პატარა მორფი კ. როგორც ვატყობდი, მხად იყო ჩემთვის ყველაფრის ნება დაერთო გარდა იმისა, რისი სურვილი არც მე მქონდა. გამაფრთხილა, რომ ამას არ დამზანებდა, რადგან იგი, უფროსი ლის აზრით, მთელი ოცდახუთი ლუიდორი ღირდა. ვუთხარი, რომ ამ საქმეზე სხვა დროს ვივაჭრებდით. მანამდე კი, მომავალ ჯილდოს საწინდ-

რად, ყველა ჩემს სურვილს დაუზარებლად და ხალისით შეასრულებდა.

ყოველგვარი სიტყვებით გულნაჯერებმა პატარა ელენეს უმანკოება ხელშეუხებლად დავტოვე და ეს ამბავი, ნაჩუქარ ექვს ფრანკთან ერთად, სასწრაფოდ ეფროს დას მიუცუნცულა, თან ისიც ეთხრა, რასაც მომავალში ელოდა. იმან კი წაკვლისას გვერდზე გამიხმო და მიჩურჩულა, რადგანაც ფული ძალიან სჭირდებოდა, იმის საფასურიდან ცოტას დამიკლებდა. ამაზე ხვალ კილაპარაკოთ-მეთქი, ვუთხარი. ძალიან მინდოდა, რომ ელენე პატიუსათვის იმავე სახით მეჩვენებინა, რა სახითაც მე ვიხილე, რათა მასაც ეღიარებინა, რომ ამაზე სრულყოფილი სილამაზის წარმოდგენა მართლაც შეუძლებელი იყო. შროშანივით თეთრ გოგოს ყველა ის მშვენიერება ამკობდა, რისი შექმნაც ბუნებას ან მხატვრის ფუნჯს შეეძლო. მისი ანგელოზური სახე ყოველი მკვრეტელის სულში სანეტარო სიმშვიდეს ავანებდა. ქერათმიანი იყო.

საღამოს იხევ მივედი, დიდი ეაჭრობის შემდეგ ფილმა დამ ორმეტ ფრანკად თავისი ლოგინი დაუთმო და ბოლოსდაბოლოს იმაზეც დამთანხმდა, რომ ყოველ მისვლაზე თორმეტ-თორმეტ ფრანკს გადავუხდიდი, ვიდრე საჭირო ექვსასი ფრანკი არ მოუგროვდებოდა. პროცენტი არც ისე მცირე იყო, ზაგრამ მორფი ბერძნის ქალი გახლდათ და ამ საქმეში დიდ სინდისისის ქენჯნას არ განიცდიდა. მე, რა თქმა უნდა, ოცდახუთი ლუიდორი ძალიან მეძვირებოდა. ეფროს დას მთლად სულელი ვეგონე — ორ თვეში ორაფრის გამო სამასი ფრანკი გადავუხადე და ახლა ოცდახუთ ლუიდორზე ყოყმანი ჩემს კრიჟანგობას მიაწერა. რისი კრიჟანგობა! ერთ გერმანელ მხატვარს ექვსი ლუიდორი მივეცი იმაში, რომ ელენე ნატურიდან შიშველი დაეხატა და ნახატი მთლად ცოცხალივით გამოუვიდა. მან გოგო მუცელზე მწოლარე გამოსახა, ხელებითა და მკერდით ბალიშს ეყრდნობოდა, თავი კი ისე ეჭირა, თითქოს ზეცისკენ იწვა. დახელოვნებულმა ოსტატმა ფეხები და თეძოები ისე დახატა, რომ თვალი უკეთეს ვერაფერს ნახავდა. ქვევით მიეაწერინე: O — Morphi. ეს სიტყვა ჰომეროსისეული არ არის, მაგრამ სავსებით ბერძნულად ჟღერს და „მზეთუნახავს" ნიშნავს.

მაგრამ შეუცნობია გზანი ბედისანი. ჩემმა მეგობარმა პორტრეტის ასლის შექმნა ისურვა. განა მეგობარს ამ მცირე თხოვნაზე უარს ვეტყოდი? იმავე მხატვარმა ასლი გადაიღო, ვერსალში წავიდა და სხვა ნახატებთან ერთად ბატონ დე სენ-კენტენს აჩვენა, იმან კი მეფეს წარუდგინა. ხელმწიფეს ცნობისწადილი აღეძრა და იმის შემოწმება ისურვა, თუ რამდენად ზუსტი იყო ბერძნის გოგოს პორტრეტი. მეფის აზრით, თუ ნახატი ცოცხალ მოდელს ზედმიწევნით ჰგავდა, მაშინ მას უფლება ჰქონდა, ორიგინალისათვის იმ ცეცხლის ჩაქრობის ვალდებულება დაეკისრებინა, რომელიც მის გულში ააგიზგიზა.

ბატონმა დე სენ-კენტენმა მხატვარს ჰკითხა, შეეძლო თუ არა ვერსალში ორიგინალის მოყვანა, და მან უპასუხა, რომ მისი აზრით ეს ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ჩემთან მოვიდა, საქმის ვითარება გამაცნო და მე ვიფიქრე, რომ ყველაფერი არცთუ ურიგოდ გამოვიდა. როცა უფროს დას ვუთხარი, რომ თავის დაიკოსთან ერთად მხატვარს ვერსალში უნდა გაჰყოლოდა, სიხარულისაგან ათრთოლდა. ერთ მშვენიერ დილას დაიკო განბანა, კოხტად გამოპრანჭა და სასახლეში წავიდნენ. მხატვარმა ისინი ბალში დატოვა, თვითონ კი შენობაში შეეიდა და ცოტა ხნის შემდეგ კამერდინერთან ერთად დაბრუნდა. კამერდინერმა დები მწვანე თალარში შეიყვანა და ჩაკეტა. მეორე დღეს თვითონ უფროსმა მორფემ მიამბო, რომ ნახევარი საათის შემდეგ მეფე მარტო შემოსულა, უკითხავს, ბერძნის გოგო რომელიაო, ჯიბიდან პორტრეტი ამოუღია, გოგონა გულდასმით უთვალიერებია და უთქვამს, ასეთი მსგავსება ჩემს დღეში არ მინახავსო.

შემდეგ მეფე დაჯდა, გოგო მუხლებს შორის ჩაიყენა, მიეფერა და თავისი მეფური ხელით მის უმანკოებაში რომ დარწმუნდა, აკოცა. ო-მორფი უყურებდა და იცინოდა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ის მაცინებს, რომ გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ ექვსფრანკიან ეკიუს.

ამ გულუბრყვილობაზე მონარქმა გადაიხარხარა და ჰკითხა. ვერსალში დარჩენა თუ გინდაო. მან უპასუხა, რომ დას უნდა მოლაპარაკებოდა, დამ კი მეფეს განუცხადა, ამაზე დიდ

ბედნიერებას ვერც ვინატრებდიო. მაშინ მეფემ დები გასაღებით ჩაკეტა და წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ სენ-კენტენმა ისინი გამოუშვა, გოგონა პირველი სართულის ოთახში შეიყვანა, ვიდაც ქალს ჩააბარა თვითონ კი უფროს დასთან ერთად მხატვართან გაემართა, რომელმაც პორტრეტისათვის ორმოცდაათი ლუიდორი მიიღო, მორფემ კი — არაფერი. სენ-კენტენმა მხოლოდ მისამართი ჰკითხა და შეპპირდა, აუცილებლად გამოგეხმაურებიო. პატიოსანმა გერმანელმა ჩემს პორტრეტში ოცდახუთი ლუიდორი მომცა და ასლიც გადამიღო იმ ნახატიდან, პატიეს რომ ჰქონდა. შემპირდა, რომ უფასოდ დამიხატავდა ყველა იმ ლამაზი ქალის პორტრეტს, რომელსაც მოვისურვებდი. უდიდესი სიამოვნებით ვუყურებდი, როგორ შეჰხაროდა ორმაგ ხეთას ლუიდორს ფლამანდიელი ქალი, რომელსაც თავი უკვე მდიდრად მიაჩნდა, მე კი თავის მწყალობლად მთელიდა.

— ამდენი ფულის იმედი არ მქონდა. ელენე მართლა ლამაზია, მაგრამ არ მჯერა ის, რასაც თქვენზე მიამბობდა. როგორ ვირწმუნო, ძვირფასო მეგობარო, რომ ქალწულად დატოვეთ? მართალი მითხარით.

— თუ ის ჩემამდე ქალწული იყო, მაშინ გარწმუნებთ, რომ ჩემს შემდეგაც ქალწულად დარჩა.

— თქვენამდე ნამდვილად ქალწული იყო, რამეთუ თქვენს გარდა არავისთვის ჩამიბარებია. ო, კეთილშობილო ადამიანო! მისი ბედი მეფე ყოფილა! ღმერთი ყოვლის შემძლეა. თქვენი კეთილშობილებით კი გაოცებული ვარ. მოდით, გაკოცოთ.

ხელმწიფე მოხიბლა ო-მორფის გულუბრყვილობამ, რაც მისთვის ასე უცხო ხილი იყო. მისმა უდიდებულესობამ გოგონარმების ბაღში დააბინავა, სადაც მისი სერალი იყო მოწყობილი და სადაც გამოჩენის უფლება მხოლოდ სასახლის კარზე მიღებულ ქალბატონებს ჰქონდათ. ერთი წლის შემდეგ ო-მორფის ვაჟი შეეძინა, რომელიც სადღაც გადამალეს, რადგან სანამ დედოფალი მარია ცოცხალი იყო, მეფეს თავისი ცოდვების გამჟღავნება არ უნდოდა.

ორი წლის შემდეგ ხელმწიფე ო-მორფის შეუწყარა. მან ქალს ოთხასი ათასი ფრანკის მზითევი მისცა და ბრეტანში გენერალური შტაბის ერთ ოფიცერს მიათხოვა. 1783 წელს მათ

ეაეს ფონტებლოში შეეხვდი. ოცდახუთი წლის იყო და გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თავის დედას. მის ისტორიაზე არაფერი იცოდა. ვთხოვე, რომ დედისათვის დიდი მოკითხვა გადაეცა და უბის წიგნაკში ჩემი სახელი და გვარი ჩაეწერე.

მეფის წყრომის მიზეზი კი, რომლის მსხვერპლიც ეს წარმტაცი ქალი გახდა, მონაკოს თავადის რძლის, მთელს პარიზში სახელგანთქმული ქალბატონის, ვალენტინუას, ბოროტი ხუჭრობა იყო. ამ ქალბატონმა ერთხელ, ირმების ბალში ყოფნისას, ო-მორფის ურჩია, თუ მეფის გაცინება გინდა, ჰკითხე, შენს ბებერ ცოლს როგორ ექცევი-თქო. მიამიტმა ო-მორფიმ მეფეს ეს კადნიერი და შეურაცხმყოფელი შეკითხვა ზუსტად ამავე სიტყვებით დაუსვა და იმდენად გააოგნა იგი, რომ ხელმწიფე წამოდგა და დამფერფლავი მზერით ჰკითხა:

— უბედურო, ვინ გაგაბრიყვა, რომ ასეთი რამ გეკითხა!

აცახცახებული ო-მორფი გამოუტყდა. მეფემ ზურგი აქცია და ამის შემდეგ ქალს მისთვის თვალიც არ მოუკრავს. გრაფინია ვალენტინუა სასახლის კარზე მხოლოდ ორი წლის შემდეგ გამოჩნდა. ლუდოვიკო XV იცოდა, რომ, როგორც ქმარი, თავის მეუღლეს სათანადო პატივს არ მიაგებდა, მაგრამ სურდა, მეფურად მაინც მოქცეოდა. ვაი მას, ვინც დედოფლის უპატივცემულობას გაამეღავნებდა.

ახალი წლის მეორე დღეს მ. მ.-ს წერილი მივიღე, რომელიც ასე მთავრდებოდა: „მიყვარხარ და გაღმერთებ. წარმოვიდგენ, რომ აქ ხარ და ჰაერს ვეცინი. შენს პორტრეტს ვიხუტებ. იმედი მაქვს, რომ ჩემი პორტრეტიც შენთვის ასევე ძვირფასი იქნება. როცა გავიფიქრებ, რომ ჩვენს ურთიერთობას დაბრკოლება შეეუქმნი, ჩემს თავს ვწყევლი. აი, ჩემი ზარდახშის გასაღები. მიდი და აიღე ის, რასაც აწერია — „ჩემს ანგელოზს“. ჩემმა მეგობარმა ისურვა, რომ მცირედი საჩუქარი გიძღვნა იმ საღამური ჩაჩის სანაცვლოდ, შენ რომ მომეცი. მშვიდობით“.

წერილში პატარა გასაღები იყო. მოთმინება არ მყოფნიდა იმის გაგებამდე, თუ რა მაჩუქა თავისი მეგობრის სურვილით. მივდივარ, ზარდახშას ვაღებ და პაკეტს ვხსნი. შიგ წერილი და შაგრენის ტყავის შალითა აწყვია. წერილს ვკითხულობ:

„ეს საჩუქარი შენთვის ძვირფასი იქნება. მასში ჩემს ორმაგ პორტრეტს აღმოაჩენ; მას ორი საიდუმლო აქვს: თუ სათუთუნის ძროს სიგრძივ გასწევ. მონახვნის სამოსში მიხილავ, ხელი თუ თითს კუთხეს დააჭერ, სარქველი აიხდება და ისეთად მოგეცლინები, როგორადაც შენ მაქციე. შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ოდესმე რომელიმე ქალს ჩემსავით შეუყვარდები. ჩემი მეგობარი არ მამტყუნებს ამ გრძნობისათვის. არ ვიცი, ვინ უფრო გამიმართლა: მეგობარმა თუ საყვარელმა. ჩემთვის ორივე ერთნაირად ძვირფასნი ხართ".

ბალითაში ოქროს სათუთუნე აღმოჩნდა. წერილის თანახმად, ძრო გავუწიე და წარმომიდგა მისი გამოსახულება მონაზვნის სამოსში, სარქველი ავხადე და გამოჩნდა სრულიად შიშველი, შავი აბრეშუმის ბალიშზე მისვენებული იმ პოზაში, მაგდალინელი რომ წევს კორეჯოს ნახატზე. არც მიფიქრია, რომ ასეთი საჩუქრის ღირსი გავხდებოდი. წერილი მიკვნერე და გულითადი მადლობა გადავუხადე. იმავე ზარდახშაში მთელი მისი ბრილიანტები და ცეხინებით სავსე ოთხი საფულე ეწყო. მისი სიკეთით აღტაცებულმა ზარდახშა დავხურე და ბედნიერებით აღსავსე ვენეციაში დავბრუნდი.

ოტატმა ხარების გამოსახულებიანი ისეთი მედალიონი გამიკეთა, რომ უკეთესს კაცი ვერ ინატრებდი. რგოლს, რომელშიაც მედალიონის ყელზე დასაკიდებლად ლენტი უნდა გამეყარა, საიდუმლო ჰქონდა: მაგრად თუ გამოსწევდი, ხარება აიხდებოდა და ჩემი სახე გამოჩნდებოდა. ესპანური ნაკეთობის ოქროს ძეწკვი გამოვაბი, რითაც მედალიონმა მეტად ძვირფასი იერი მიიღო. ჯიბეში ჩავიდე და პაემანზე გავეშურე.

ზუსტად ორ საათზე გონდოლიდან საერო სამოსელში გამოწყობილი მ. მ. გადმოვიდა. წმინდა სამუელის კუნძულზე ოპერაში გავემართეთ, მეორე ბალეტის ბოლოს კი სამორინეში წავედით. მ. მ.-მ მკითხა, თამაში თუ გინდაო. არა-მეთქი. შემდეგ წილში გაყვანას შემპირდა, საფულე ამოიღო და ფულის შეკვრა ბანქოზე დადო. ბანქოს დამრიგებელი ქაღალდს ურევს და არიგებს. მ. მ. იგებს და ფულს აორმაგებს. სინორი იხდის და შემდეგ, ახალი დასტის გახსნამდე, თავის მეზობელ ქალს ყურში რაღაცას ეჩურჩულება. ისეთი გულგრილი გამომეტყველება აქვს, თითქოს ოთხასი ცეხინი სულ არ

აინტერესებს, მ. მ. — მ იმავე ბანქოზე რომ დადო. მ. მ. — მ დაინახა, რომ პანკირი ისევ იმ ქალთან ლაუბობდა და სუფთა ფრანგულით თქვა: „ჩვენი თამაში იმდენად მსხვილი არ არის, რომ ამ ბატონის ყურადღება მივიპყროთ. წავიდეთ აქედან“. ამ სიტყვებზე ჩასულ ფულს იღებს და მიდის. მე ოქროს ვბოქავ და ჩემს მშვენიერ მოთამაშეს ვეწევი, რომელსაც უკვე თაყვანისმცემელ მამაკაცთა გუნდი ახვევია.

მ. მ. სინიორ პეტრო მარჩელოს ბანკთან ჩერდება, თამაშობს და აგებს. კიდევ თამაშობს და ისევ აგებს — ხუთჯერ ზედიზედ. მეტი ფული არა აქვს. მაშინ ჩემი ჯიბიდან პეშვით ოქროს იღებს და ოთხ-ხუთ ხელზე ბანკს ხსნის. ამის შემდეგ თამაშიდან გადის. კეთილშობილი ბანკირი წარმატებას ულოცავს. მთელ მოგებულ ოქროს ჯიბეებში ვიტენი, ხელს ვუწვდი და კიბეებზე ვეშვებით. რამდენიმე ცნობისმოყვარე ფეხდაფეხ მოგვდევს. გონდოლაში ვსხდებით და შინ ვბრუნდებით. ეს ფული ამ ოთხ-ხუთ ხელზე ბანკს ხსნის. ამის შემდეგ თამაშიდან გადის. კეთილშობილი ბანკირი წარმატებას ულოცავს. მთელ მოგებულ ოქროს ჯიბეებში ვიტენი, ხელს ვუწვდი და კიბეებზე ვეშვებით. რამდენიმე ცნობისმოყვარე ფეხდაფეხ მოგვდევს. გონდოლაში ვსხდებით და შინ ვბრუნდებით. ეს ფული ამ ოთხ-ხუთ ხელზე ბანკს ხსნის. ამის შემდეგ თამაშიდან გადის. კეთილშობილი ბანკირი წარმატებას ულოცავს. მთელ მოგებულ ოქროს ჯიბეებში ვიტენი, ხელს ვუწვდი და კიბეებზე ვეშვებით. რამდენიმე ცნობისმოყვარე ფეხდაფეხ მოგვდევს. გონდოლაში ვსხდებით და შინ ვბრუნდებით. ეს ფული ამ ოთხ-ხუთ ხელზე ბანკს ხსნის. ამის შემდეგ

კარგად რომ ვიკითხეთ, ჯიბეები ამოვიბერტყე და აღმოჩნდა, რომ ჩემი წილი თითქმის ათასი ცეხინი იყო. მ. მ.-მ მითხრა, რომ მთელი ეს ფული დამენაწილებინა, ხარდასშაში ჩამეყო და გასალები ჩემთან დამეტოვებინა. მაშინ, ბოლოს-დაბოლოს, პორტრეტიანი მედალიონი გადავეცი და მან მისაყვედურა, რომ ამ სიამოვნებას აქამდე ვუმალავდი. ამაოდ ეცადა საიდუმლოს აღმოჩენას. როცა ავუხსენი, სიხარულით ცას ეწია და მითხრა, რომ პორტრეტი ძალიან ჰგავდა.

რადგან ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ სამი საათი გვქონდა, ვთხოვე, რომ ტანთ ეაეხადა.

— კარგი, — მითხრა მან, — მაგრამ ჭკუით მოქეცი: ჩემი მეგობრის აზრით შეიძლება გული გაგიკვდეს.

— რატომ ჰგონია, რომ ასეთივე საფრთხე შენც არ გემუქრება? შენ ხომ ჩემზე უფრო ხშირად ნეტარებ?

— ის ამბობს, რომ სითხე. რომელსაც ქალები გამოვყოფთ, ტვინთან არანაირ კავშირში არ არის. აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ ტვინთან მიმართებაში ბავშვი დედის კი არა, მამის ნაყოფია. ამ მოძღვრების თანახმად. ქალს იმდენი ჭკუა აქვს, რომ მხოლოდ მისთვისაა საჭირო და ჩანასახისათვის გადასაცემად არაერთი მარაგი არა რჩება. ასე ამბობს.

— შენი მეგობარი სწავლულია. მის მოძღვრებას რომ მივ-დიოთ, ქალებს სიყვარულის ნიადაგზე ჩადენილი ყველა სი-გიჟე უნდა ვაპატიოთ, მამაკაცებს კი — არც ერთი. ამიტომ, თუ დაორსულდი, ჩემი თავშისაცემი იქნება.

— ამას რამდენიმე კვირაში გავიგებ. და თუ ფეხმძიმედ ვარ, მით უკეთესი, არჩევანი უკვე გავაკეთე.

— რა არჩევანი?

— ყველაფერში ჩემს მეგობარს და შენ მოგენდობით. დარწმუნებული ვარ, რომ — არც ერთი თქვენგანი მონასტერში ჭოსამშობიარებლად არ დამაგდებს.

— თუ ეს საბედისწერო მოვლენა მოხდა, ჩვენი მომავალიც გადაწყდება. იძულებული ვიქნები, ინგლისში წაგიყვანო და იქ ცოლად შეგირთო.

— ჩემი მეგობარი ფიქრობს, რომ ექიმის მოსყიდვა შეიძლება, რათა რაიმე ავადმყოფობა მომიგონოს და წყლებზე წასვლა გამომიწეროს. ეპისკოპოსი დამრთავდა ამის ნებას. წყლებზე გამოვკეთდებოდი და უკანვე დავბრუნდებოდი. მაგრამ ყველაფერს ის მირჩევნია, რომ სიკვდილამდე ერთად ვიყოთ. შეძლებდი, რომ ყველგან ისე სიამოვნებით გეცხოვრა, როგორც აქ ცხოვრობ?

— ალბათ, არა. მაგრამ შენთან ერთად სადაც არ უნდა ვიყო, ყველგან ბედნიერი ვიქნები. ამაზე, დრო რომ მოვა, მაშინ ვილაპარაკოთ. ახლა კი დასაძინებლად წავიდეთ.

— წავიდეთ. თუ ვაჟს გავაჩენ, ჩემს მეგობარს სურს, რომ ბიჭი მამა იყოს.

— განა თავის მამობაში დარწმუნებული იქნება?

— მამობით თავმოწონება ორივეს შეგიძლიათ. მაგრამ რომელიმე თქვენთაგანთან რაიმე მსგავსება ამ საიდუმლოს უსათუოდ ფარდას ახდის.

— მართალია. თუ, მაგალითად, დროთა განმავლობაში ის ბრწყინვალე ლექსების წერას დაიწყებს, შეგიძლია დაასკვნა, რომ მამამისი შენი მეგობარი ყოფილა.

— ვინ გითხრა, რომ ლექსების წერა შეუძლია?

— გამოტყდი, განა მან არ დაწერა ის ლექსი, ჩემი ლექსების საპასუხოდ რომ გამომიგზავნე?

— არ გამოვტყდები. ცუდია ის ლექსი თუ კარგი, ჩემი

დაწერილია. და მინდა, რომ ამაში ახლავე დაგარწმუნო.

— არა, ოღონდ ახლა არა. წავიდეთ, დავიძინოთ, თორემ ამური აპოლონს დუელში გამოიწვევს.

— კარგი. აიღე ფანქარი და დაწერე. ახლა მე აპოლონი ვარ.

და ასეთი ლექსი მოკარნახა:

> რა საკვირველია ომი, მე უბრძოლველად წავალ,
> ვენერა ჩემი დაა, ჩემი სისხლი და ხორცი,
> ლექსები ვწერე შენთვის და შენს სახებას ვკრავნი.
> კმაყოფილია ამური და ჩვენ არ გვინდა დავა,

დავიჩოქე და პატიება ვთხოვე. როგორ წარმოვიდგენდი, რომ მონასტერში აღზრდილ ოცდაორი წლის ქალს ასეთი ნიჭი და მითოლოგიის ასეთი ცოდნა ექნებოდა? მითხრა, ყოველნაირად ვცდილობ იმის დამტკიცებას, რომ შენი სიყვარულის ღირსი ვარო. მერე მკითხა, ბანქოს როგორ ვთამაშობო? შევაქე.

— ასე დიდ ფულზე ყოველთვის კი არ ვთამაშობ, მაგრამ რაკი წილში გაგიყვანე, გავრისკე კიდეც. შენ რატომ არ ითამაშე?

— იმიტომ, რომ რამდენიმე დღის წინ ოთხი ათასი ცეხინი წავაგე და უგროშოდ დავრჩი. მაგრამ ხვალ ვითამაშებ და ვიცი, რომ ბედი გამიღიმებს. მანამდე კი შენს ბუდუარში ორი წიგნი ავიღე. ეს პეტრო არეტინოს პოზებია. მინდა, დარჩენილ სამ საათში რამდენიმე მათგანი გამოვცადო.

— სწორედ შენი საკადრისი სურვილია. მაგრამ იქ ისეთი მიუღწეველი პოზებია, უაზროც კი...

— მართალი ხარ მაგრამ ოთხი მათგანი მეტად მაცდუნებელია.

დარჩენილი სამი საათი მთლიანად ამ სამუშაოს მოვანდომეთ. ჩვენს რუდუნებას ზღვარი-საათის რეკვამ დაუდო. გონდოლასთან მივაცილე და დასაძინებლად წავედი, მაგრამ თვალიც ვერ მოვხუჭე. ავდექი და ყველაზე გადაუდებელი ვალების გასასტუმრებლად გავემართე: ნაწილი გადავიხადე და ამით ჩემს თავს განუზომელი სიამოვნება მივანიჭე. მთელი ღამე ვთამაშობდი. მ. მ.-ს ნაჩუქარი ოქრო ბედნიერი აღმოჩნდა და კარნავალის დასასრულამდე დიდძალი ფული მოვიგე.

სამი დღის შემდეგ მურანოში მიველი, რათა მ. მ.-ს ზარდახშაში ათი-თორმეტი შეკვრა ფული ჩამედო და კარის მცველმა მისი წერილი გადმომცა. სულ ახლახან კ. კ.-ს ბარათიც მიეღო, მაგრამ ჯერ არ წამეკითხა. მ. მ. მთხოვდა: ჩემი მედალიონი რომ გაგიკეთა, იმ ოსტატთან მიდი და გამიგე, წმ. ეკატერინეს გამოსახულებიანი ბეჭედიც ხომ არ შეხვედრია. იგი ერთ ჩვენს ალსაზრდელს ეკუთვნის და არ იცის, რომ შიგ საიდუმლოა ჩატანებული. ჩემი აზრით, ეს საიდუმლო პორტრეტი იქნება და მინდა გავიგო, როგორ იხსნებაო. ვუპასუხე, რომ ყველაფერს შევასრულებდი, მაგრამ კ. კ.-ს წერილიც რომ წავიკითხე, საგონებელში ჩავვარდი. აი, რას მწერდა:

„ოჰ, როგორ მიხარია! შენ ჩემი ძვირფასი მეგობარი მ. ჰ. გიყვარს! მას ჩემი ბეჭდის სისხო მედალიონი აქვს. დარწმუნებული ვარ, რომ შენი ნაჩუქარია და შიგ შენივე პორტრეტია დამალული. ამას რომ მივხვდი, ძალიან მესიამოვნა, მაგრამ მისთვის არაფერი მინიშნებია, — შემეშინდა, არ სწყენოდა. მაგრამ თვითონ სხვაგვარად მოიქცა: მითხრა, რომ ჩემი წმინდა კატერინა უეჭველად იმ ადამიანის პორტრეტს მალავდა, ვინც ბეჭედი მაჩუქა. ვუპასუხე: მართალი ხარ, ჩემმა საყვარელმა მაჩუქა, მაგრამ შიგ თუ პორტრეტია, არ ვიცი-მეთქი. მითხრა, რომ საიდუმლოს თვითონ აღმოაჩენდა და ბეჭედი გამომართვა; ჯერჯერობით ვერაფერი იპოვა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ პორტრეტი იქ ნამდვილად არის. თუ მიაგნო და შენი სურათი დაინახა, ყველაფერს მიხვდება და მეც იძულებული გავხდები, რომ ჩვენი ურთიერთობის ამბავი გავუმხილო. სულაც არ მწყინს, რომ მას უყვარხარ და შეწც გიყვარს იგი. ისე მებრალები, რომ მზად ვარ მონასტერში ჩემი ადგილი დავუთმო. განდეგილის სიყვარული ნამდვილი წამებაა, ამით კი ორთავეს ბედნიერებას მოგიტანდით. მშვიდობით“.

ვუპასუხე, რომ მ. მ.-ს მედალიონში მართლაც ჩემი პორტრეტი იყო, მაგრამ ვურჩიე, ჯერჯერობით ნუ ეტყვი-მეთქი და დავუფიცე, რომ მისი-მშვენიერი მეგობრისადმი ლტოლვას ჩვენი სიყვარული ოდნავადაც არ გაუწელებია. ასე ვმელაკუდობდი, რადგან ვიცოდი, რომ მათი გულითადი მეგობრობის გამო ჩემგან დახლართული ინტრიგა კვანძის გახსნას უახლოვდებოდა.

შევიტყვე, რომ ერთ დღეს მონასტრის დარბაზში მეჯლისი უნდა გამართულიყო და გადავწყვიტე, იქ იეთი ნიღბით მივსულიყავი, რომ ჩემს შეგობარ ქალებს ვერ ვეცნე. ეჭვი მეპარებოდა, რომ მათთან შეხვედრას შევძლებდი. ვენეციაში ქალთა მონასტრებს უფლება აქვთ კარნავალის დღეებში მონახვნებს ეს უწყინარი ლიამოვნება მიანიჭონ. სტუმრები მთავარ დარბაზში ცეკვავენ, მონახვნები კი ცხაურს მიღმა დგანან და ზეიმის ცქვრით ერთობიან. საღამოა. მეჯლისი მთავრდება სტუმრები იშლებიან, ხოლო ყმაწვილი მონახვნები თავთავიანთ სენაკებში ბრუნდებიან. მეჯლისი იმ დღეს უნდა გამართულიყო, როცა მ.მ.-სა და მე პაემანი გვქონდა დანიშნული, მაგრამ ეს ადგილიც ორ მიშლილა ხელს, რომ მონასტერში ნიღბიანი მივსულიყავი და ჩემი ძვირფასი კ. კ.-ც მენახა.

პიეროს კოსტუმში გამოვწყვე და წავედი. სასტუმრო დარბაზში ზღვა ხალხი იდგა. ყველანი გზას მოთმობდნენ და ეროცებით უყურებდნენ ჩემს უჩვეულო ნიღაბს — ვენეციაში მას არავინ იცნობდა. ბოლოკვანძთა წრეში შევდივარ. გარშემო უამრავი სკარამუში, პანტალონე, არლეკინი ბორიალობს. ცხაურთან მონახვნებსა და მათ აღმზრდელებს ვხედავ — ზოგი ზის, ზოგი დგას, მათ ხორს ერთ მხარეს მ. მ. დაცლილნდ, ბეთრე მხარეს — კ. კ. იდგნენ და მსიარული საუბრით ტკბებიდნენ. წელს გარშემო ვუყურ, მთვრალივით დავბარბაცებ და ნიღბიანებს დაეჯახებით ვაკვირდები. მაგრამ მე უფრო ცნობისმოყვარეობით მოვიჩვენებიან.

მშვენიერ არლეკინ ქალთან ვჩერდები, უხეშად ვაკვლებ ხელს და მენუეტის საცეკვაოდ მივათრევ. ოცილით გვითმობენ ადგილს. არლეკინი ჭკუიდან შესაშლელად ცეკვავს, როგორც მის ნიღაბს შეშვენის, მე კი ჩემი ნიღბის შესაფერისად დავსუნდრუკობ. ვბარბაცებ, თითქოს ეს-ესაა უნდა წავიქცე, მაგრამ მუდამ წონასწორობას ვინარჩუნებ. ხალხი ოცილით ოხოცება. უცებ ვიღაც არლეკინი თავის ხის ხმალს უკანალზე მცემს. ხის ხმალი არლეკინის ჩვეული იარაღია. მე კი უიარაღო პიეროს ვარ. ის ტურფა არლეკინი, ჩემთან რომ ცეკვავდა. მეგობარს ეხმარება და თავის ხმალს მიტყაპუნებს. მაშინ მომხვდურ არლეკინს ვაქცევ, ხმალს ხელიდან ვტაცებ, არლეკინ ქალს ხელში ვიტაცებ და უკანალზე ხელის ტაპატუპით

დარბაზში დავარბენინებ. დაზაფრული ქალი იქაურობას წი-
ვილ-კივილით იკლებს, რადგან ეშინია, არ დავეცე და ბარძა-
ყები და პერანგის ამბანაგი არ გამოუჩნდეს. მთელი ეს კომი-
კური ბრძოლა ერთმა ნიღბოსანმა ჩაგვიშალა: უკანიდან ისე-
თი ჰანღური ამომკრა, რომ თავი ველარ შევიკავე და ყირამალა
გადავკოტრიალდი. სტვენა დააყარეს. წამოვხტი და თავხედს
ნამდვილი ჭიდაობა ავუმართე: ძირს დავაგორე და ისე გავა-
წიაწე, რომ სამოსი გაეხსნა და ხელოვნური კუზი და უშვე-
ლებელი სტომაქი მთლად ჩამოეფუშა. მონაზვნები ტაშს უკ-
რავდნენ და ხარხარებდნენ — ალბათ, არასოდეს ასეთ სანა-
ხაობას არ შესწრებოდნენ — მე კი ამასობაში დრო ვიხელთე,
ბრბოში გავძვერი და გავიპარე.

მთლად გახვითქული გონდოლაში ჩავჯექი და სათამაშო
სახლისაკენ გავეშურე. ღამდებოდა. მურანოში პაემანი ორ სა-
ათზე გვქონდა დანიშნული. მ. მ-სთან შეხვედრაზე მოთმინე-
ბა არ მყოფნიდა: მინდოდა დამენახა მისი გაოცება, როცა პი-
ეროს ნიღბით გამოვეცხადებოდი. ორი საათი სამორინეში გა-
ვატარე. ცოტ-ცოტას ვთამაშობდი, ერთი ბანკირიდან მეორეს-
თან გადავდიოდი, ვიგებდი, ვაგებდი და ვპამპულაობდი, ერთი
სიტყვით, სხეულისა და სულის სრულ თავისუფლებას ვგრძნობ-
დი. რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერავინ მიცნობდა.
აწმყოთი ვტკბებოდი და მძულდა მომავალიც და ისინიც, ვის-
გონებაც მაზე ფიქრით იყო დაკავებული.

მაგრამ აი, ორმა საათმა დარეკა და გამახსენდა, რომ მშვე-
ნიერი ვახშამი და სიყვარული მელოდა, რასაც ახალი სიამოვ-
ნებანი უნდა მოეტანა. ჯიბეში ვერცხლი მიჩხრიალებს. მურა-
ნოსაკენ მივექანები. სახლში შევდივარ, ოთახის კარს ვაღებ და
ვხედავ მონაზონს, რომელიც ჩემი აზრით, მ. მ. უნდა იყოს, ვუ-
ახლოვდები, მისი განცვიფრების დანახვა მინდა — და ადგილზე
ვქვავდები: ჩემს წინაშეა არა მ. მ., არემედ ჩემზე არანაკლებ
გაოცებული და გაშეშებული კ. კ.! დივანზე ვეცემი და გონის
მოკრებას ვცდილობ.

ეს მ. მ.-ს ხუმრობაა, ვეუბნები ჩემს თავს, მაგრამ როგორ
გაიგო, რომ კ. კ-ს საყვარელი ვარ? ნუთუ კ. კ.-მ ჩვენი საი-
დუმლო გასცა? მაგრამ თუ ასეა, მაშინ ჩემთან გამოჩენა რო-
გორ გაბედა? მ. მ.-ს რომ ვუყვარდე, მეტოქეს როგორ გამო-

მიგზავნიდა? ეს სულგრძელობა არ უნდა იყოს. მეგობრობა ასე შორს არ მიდის. ესე იგი, ვაქლევარ, შეერაცხყოფილი და ნაწყენია.

ნახევარი საათის განმავლობაში კ. კ-ს პირქუში დუმილით მივჩერებოდი. ისიც გარეტებული მიყურებდა. მე ხომ ის ნილაბი ვიყავი, მონასტრის დარბაზში ხალხს რომ აცინებდა!

მე მიყვარდა მ. მ. და აქ მხოლოდ მისი ველისათვის მოვედი, ამიტომ სხვა ქალთან ვერ შევცვლიდი. თუმცა კ. კ-ც ასევე მიყურდა და მისი სიტყვაც მ. მ-ს მშვენიერების, მეტი რომ არ ვთქვათ, სულაც არ ჩამოუვარდებოდა. კ. კ. მიყვარდა, ვალმერთებდი კიდეც, მაგრამ ახლა მას კი არა, სხვა ქალს უნდა დავუფლებოდი, ჩემში გონება სიყვარულის ძალვარ შეერაცხყოფას ვერ შეეგუებოდა.

მაგრამ ბოლოსდაბოლოს რაღა უნდა გადამეწყვიტა — მთელ ღამეს ასე ნილაბში და დუმილში ხომ ვერ გავატარებდი. ერთი პირობა წასვლაც გადავწყვიტე, მით უმეტეს, რომ ვერც მ. მ. და ვერც კ. კ. დარწმუნებულნი ვერ იქნებოდნენ, რომ პიერო მე ვიყავი. უეცრად გამიელვა, შესაძლოა სადმე მესობელ ოთახში იყოს დამალული და ნებისმიერ დროს შემოვიდეს-მეთქი. ამის გაფიქრებაზე პიეროს ნილაბი მოვიძრე, სახე გამოვაჩინე და მშვენიერი კ. კ-ც მაშინვე დამშვიდდა.

— ვიცოდი, რომ ეს შეიძლებოდა მხოლოდ შენ ყოფილიყავი, — მეუბნება ის, — მაგრამ მაინც შეგბრალ ამოვიხუნთქე. მე მგონი, ჩემი დანახვა გაგიკვირდა.

ესე იგი, არ მცლოდი.

— რა თქმა უნდა.

— ძალიან ვწუხვარ, თუ გაგაწბილე. მაგრამ ჩემი ბრალი არაა.

— მოდი, მოგეხვიო, ჩემო საყვარელო. როგორ შეიძლება, რომ შენი დანახვა მწყენოდა? შენ ისევ ჩემი საუკეთესო მეორე ნახევარი ხარ. მაგრამ გეხვეწები, დაეხმარე ჩემს შეშფოთებულ სულს, რომ ამ საშინელ ლაბირინთს თავი დააღწიოს: ალბათ, ჩვენი სიიდუმლო გაეცი, თორემ აქ ისე როგორ მოხვდებოდი?

— მე? სიკვდილიც რომ მელოდეს, შენ ვერასოდეს გიღალატებ.

— მაშ აქ როგორ აღმოჩნდი? ნუთუ შენი საყვარელი მეგობარი კერაფერს მიხვდა? კაციშვილს არ შეეძლო მისთვის ეთქვა, რომ მე შენი ქმარი ვარ.

— ვერაფერი გამიგია, ჩემო ძვირფასო.

— მაგრამ ამ თვალთმაქცობას როგორ დასთანხმდი? ესე იგი მონასტრიდან გამოსვლა შეგძლებია და ასეთ მნიშვნელოვან საიდუმლოს არ მიმხელდი?

— ნუთუ ვჯერა, რომ მართლა შემეძლო და გიმალავდი? დღეს პირველად გადმოვაბიჯე მის ზღურბლს და არა არის რა იმ მიჯაჭვზე უფრო ბუნებრივი. და უბრალო, რამაც ეს ჩამადენინა.

— ყველაფერი მიამბე, ჩემო მეგობარო, თორემ ცნობისწადილი ჭკლავს.

-- დღეს მონასტრის დარბაზში ძალიან ბევრი ვკაცინე, თუმცა ვერც მ. მ. და ვერც მე კერასდიდებით ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს შენ იყავი. შენი წასვლის შემდეგ ჰ. ჰ.-ც თავის ოთახში გავიდა. მეც მასთან შევედი და როგორც კი პარტონი დავრჩით, მითხრა, რომ ერთი სამსახური უნდა გამეწია, რაზედაც მისი ბედნიერება იყო დამოკიდებული. კარადა გამოიღო და, ჩემდა გასაოცრად, მონახვნის კაბა ჩამაცვა. თან სულ იცინოდა და რაკიღა არ ვიცოდი, თუ რას აპირებდა, მეც სიცილით ავყევი. თავით ფეხამდე რომ გამომაწყო, მითხრა, რომ ერთ ძალიან მნიშვნელოვან საიდუმლოს გამანდობდა: ამ ღამით მონასტრიდან უნდა გავსულიყავი და დილით დავბრუნებულიყავი, — თქვა მან, -- მაგრამ ახლა გადაწყვეტილია: ჩემს მაგივრად შენ წახვალ. ბინაში ნურაფრისა გეშინოდეს. არც არაფერს დაგარიგებ დარწმუნებული ვარ, რომ არ დაიბნევი. ერთ საათში ძორჩილი მოვა, მე ყურში რაღაცას ვუჩურჩულებ, შემდეგ კი ბას გაჰყვები. უკანა კარით გაილალებით, ბაღს გადაჰკვეთთ და ნავმისადგომზე გახვალთ. იქ გონდოლაში ჩაჯდები და ხუთი წუთის შემდეგ მეტანოში იქნები. პატარა ოთახში შეხვალ. იქ მარტო დარჩები და დაელოდები. „ვის?" —ვკითხე მე. „არავის. მეტის ცოდნა საჭირო არაა. არაფერი ისეთი არ მოხდება, შენ რომ არ მოგეწონოს. დამიჯერე. იმ სახლში კიდეც ივახშმებ და თუ მოგესურვება, კიდეც დაიძინებ. ხელს არავინ შეგიშლის. გევიდრები, მეტი არაფერი მკითხო".

მითხარი, ძვირფასო მეგობარო, ამ სიტყვების შემდეგ რა უნდა მექნა? თანაც წინდაწინ ხომ შეეპირდი, ყველაფერს შეგასრულებ მეთქი? ყოველგვარი სიამოვნებისათვის და უსიამოვნებისათვისაც სიცილით შევეგებოდე, მორჩილს გამოვყევი და, აქ აღმოვჩნდი. რამდენიმე წუთის შემდეგ პიეროც გამომეცხადა.

ახლა ხომ დარწმუნდი, რომ ედანაშაულო ვარ? ნება მომეცი მოგილოცო. რომ ეს სახლი შენთვის ნაცნობი აღგილი ყოფილა. გულწრფელად მიხარია, რომ ბედნიერი ხარ. ჩემს შემდეგ მ. მ. არის ერთადერთი ქალი, ვინც შენი სიყვარულის ღირსია და ვისაც შემიძლია ჩემი გრძნობები ვუწილადო. მებრალებოდი, მაგრამ ახლა პირქით. შენი ბედნიერებით მეც ბედნიერი ვარ. მაკოცე".

უმადური ბარბაროსი ვიქნებოდი, რომ ჩემი მეგობარი და კეთილი ანგელოზი, რომელიც აქ მხოლოდ მეგობრობის ხათრით მოვიდა, იმავ წამს გულში არ ჩამეკრა და ჩემი უსახლკარო სიყვარული და პატივისცემა არ გამომეხატა. მაგრამ ჩემს შეურაცხმყოფელ გრძნობებზე ლაქლაქს მაინც არ ვიშლიდი. ბევრი ჭკვიანური და ბევრზე ბევრი სულელური რამ წამოვროშე მ. მ.-ს „გაუგონარი საქციელის გამო, რომელიც მეტისმეტად ორაზროვანი და უბრალო გონიერების თვალსაზრისით ძნელად ასახსნელი მეჩვენებოდა. აღშფოთებით განვაცხადე, თუ შენი ნახვის სიამოვნებას არ ჩაკთვლით, სხვა მხრივ, უეჭველია, მ. მ. ძალიან ბოროტად მეხუმრა. და ამით დიდი შეურაცხყოფა მომაყენა-მეთქი.

— არა მგონია, — მიპასუხა კ. კ.-მ. — როგორც ჩანს, ჩემმა საყვარელმა მეგობარმა რაღაც მანქანებით გაიგო. რომ ვიდრე მას გაიცნობდი, ჩემი ქმარი იყავი. ალბათ, იფიქრა, რომ ისევ გიყვარვარ და გადაწყვიტა — მისი გულის ამბავი კარგად ვიცი — ჩვენთვის თავისი მეგობრობა დაედასტურებინა და უშურველად ეძღვნა ყველაფერი, რაც ორი შეყვარებული არსების ბედნიერებას სჭირდება. ამისათვის მადლობის მეტი რა მეთქმის.

— მართალი ხარ, ჩემო მეგობარო, მაგრამ შენი მდგომარეობა სულ სხვაა, ჩემი კი — სულ სხვა. შენ ახალი მიჯნური არა გყავს, მე კი, შეწთაწ ცხოვრების ბედნიერებას მოკლე-

ბულმა, მ. მ.-ს ჯადო-ფილისმას თავი ვერ დავაღწიე. გაგიჟებით მიყვარს მან იცის ეს და ამდენი ჭკუა კი აქვს, რომ ის არ ჩაედინა, რაც ჩაიდინა. არავითარი სხვა ახსნა ამას არა აქვს, იმის გარდა, რომ უნდოდა ჩემთვის თავისი სიძულვილი დაენახვებინა. კაღიარებ, ამ საქმეში. მეტისმეტად მგრძნობიარე ვარ. მასაც ისევე რომ ვყვარებოდი, როგორც მე მიყვარს, ასეთ სამწუხარო თავაზიანობას არ გამოიჩენდა და თავის მაგივრად აქ შენ არ გამოგგზავნიდა.

— არ გეთანხმები. იგი მეტად დიდსულოვანი და გულკეთილი ადამიანია და ისევე, როგორც მე არ მწყენია თქვენი სიყვარულის ამბავი რომ გავიგე, არც ის გაბრაზებულა, როცა შეიტყო, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს. პირიქით, გაუხარდა კიდეც. მას სურს იცოდეთ, რომ მხოლოდდამხოლოდ მისთვის ყოფნა მისი კარგად ყოფნაცაა და ჩემზე, თავის ყველაზე უფრო საყვარელ მეგობარზე, ამიტომ არ ეჭვიანობს. ამ უცნაური საქციელით კი გეუბნება: თანახმა ვარ რომ ორ მეგობარს გული გაგვიყო და თუ ამას შეძლებ, ბედნიერი ვიქნებიო.

შუაღამემდე ასე ვსაუბრობდით. წინდახედულმა მოსამსახურემ დიდებული ვახშამი მოგვართვა. მე ჭამა არ შემეძლო, კ. კ.-მ კი კარგად მოულხინა. აღტაცებით შევყურებდი და მისი სიტურფით ვტკბებოდი. მაგრამ გრძნობების გამჟღავნება არც მიფიქრია.

გამთენიისას კვლავ ბუხარს მივუსხედით. კ. კ. ცდილობდა ნაზი ალერსით გაეფანტა ჩემი ნაღველი, მაგრამ გულცივობისათვის ერთი საყვედურიც არ დასცდენია.

ბოლოს მკითხა, მ. მ.-ს რა ვუთხრაო.

— სრული სიმართლე: ჩვენი საუბრის არც ერთი სიტყვა არ დაუმალო. უთხარი, რომ სამუდამოდ გამაუბედურა.

— ეს რომ ვუთხრა, გული მოუკვდება. მას ხომ უყვარხარ და შენს ნაჩუქარ მედალიონს თვალის ჩინივით უფრთხილდება. თქვენს შესარიგებლად ყველაფერს ვიღონებ. მის წერილს ლაურას ხელით გამოგიგზავნი, ან შენ თვითონ შემოიარე.

— არა ვარ დარწმუნებული, რომ მ. მ. ახსნა-განმარტებებით თავს დაიმდაბლებს შესაძლოა ერთი რამ არც დაიჯეროს.

— მესმის: ის, რომ რვა საათი და-ძმასავით გავატარეთ, თუ ისიც ჩემსავით გიცნობს, ეს შეეძლებლად მოეჩვენება.

— მაშინ თუ გინდა უთხარი, რომ ყველაფერი პირიქით მოხდა.

— ოჰ, არასდროდებით! ძალიან უადგილო ტყუილი იქნება. რაიმეს დამალვა კიდევ შემიძლია, მაგრამ ტყუილის თქმას ვერასოდეს ვისწავლი. იმიტომაც მიყვარხარ, რომ მთელი ღამის განმავლობაში ერთხელაც არ გითვალთმაქცნია და არ გითქვამ, ისევ მიყვარხარო.

— ჩემო ანგელოზო, დარდისგან ტკეცეზე ალარა ვარ. დამიჯერე, ძველებურად მიყვარხარ, მაგრამ ახლა ისეთ დღეში ვარ, რომ მტერსაც შევებრალები.

— ტირიხარ, ჩემო მეგობარო!? გულს ნუ მიკლავ. საყვედურის თქმა სულაც არ მინდოდა. ეჭვი არ მეპარება, რომ თხუთმეტი წუთის შემდეგ მ. მ.-ც აქვითინდება.

საათმა დარეკა. მ. მ.-მოსელის ყოველგვარი იმედი გადამეწურა კ. კ.-ს ვაკოცე, სახლის გასაღები გადავეცი და ვთხოვე, რომ მ. მ.-საათის დაებრუნებინა. ნიღაბი ჩამოვიცვი. და კიბეზე დავეშვი.

ოთხშაბათ დილით ლაურა შემოვიდა და კ. კ.-ს წერილი გადმომცა. გავხსენი და ის გასაღები დავინახე, უკან რომ გავატანე: ძალიან გამიხარდა, რადგან ეჭვი ვნანობდი, რომ ასე ვიჩქარე მისი დაბრუნება. პაკეტში მ. მ.-ს ბარათი იდო. ხარბად დავეწაფე:

„იმედი მაქვს, რომ კ. კ.-ს წერილში აღწერილი გარემოებანი ჩემს შეცდომას დაგავიწყებთ. მე მხოლოდ სასიამოვნო სიურპრიზის შემოთავაზება მინდოდა. მეც იქ ვიყავი. ყველაფერს ვხედავდი და ვისმენდი. ადრე რომ არ ჩამძინებოდა, თქვენ წასვლასა და გასაღების დაბრუნებას ვერ მოახერხებდით. ასე რომ, აიღეთ ეს გასაღები და ხვალ საღამოს მურანოში მოდით. თქვენი სიყვარული გაძლევთ საყვედურის უფლებას, მაგრამ არ უნდა აწყენინოთ ქალს, ვისაც თქვენთვის სიკეთის მეტი არაფერი სურს.

კ. კ.-ს გრძელი წერილი შემოკლებით მომყავს:

„წახვედი თუ არა, შეწუხებული ქვევით ჩავედი, რათა მონასტერში წავსულიყავი და უცებ. წარმოიდგინე ჩემი გა-

ოცება, მ. მ.-ს არ შეეფეთე!? ნაღვლიანად ვითხრა, რომ გვერ-
დით ოთახში იყო დამალული და ყველაფერი ესმოდა. ლანარ-
ჩენს მონასტერში ვოგიყვებიო. იქ კი ი, რა ვიამბო:

უურადღებით გაესინჯე შენი ბეჭედი და ვიეჭვე, რომ პა-
ტარა ცისფერი წერტილი ტყუილად არ უნდა ჰქონოდა. არა-
ბესკის კიდეზე თეთრი მინანქარი აშკარად ხედმეტი იყო და
მიეხვდი, რომ საიდუმლო სწორედ აქ იმალებოდა. ქინძისთა-
ვის წვერი წერტილს დავაჭირე, წარმოიდგინე ჩემი გაოცება,
როცა აღმოვაჩინე, რომ ორივეს ერთი და იგივე მამაკაცი
გვყვარებია! მაგრამ იმავე წამს ტკივილი ვიგრძენი იმის გა-
ფიქრებაზე, რომ საყვარელ ადამიანს გართმევდი. შენი წმინ-
და კატერინა უკანვე დაგიბრუნე და გითხარი, ჯერაფერი ვი-
ბოვე-მეთქი. როგორი სიხარული დამეუფლა! იმ წუთებში
ჩემზე ბედნიერი ქალი ამქვეყნად არ არსებობდა. ვიცოდი, რომ
შენთვის ცნობილი იყო ჩვენი ურთიერთობა — მე ხომ მედა-
ლიონში ჩამალული. მისი პორტრეტი გაჩვენე — და მაინც არ
ეეჭვიანობდი, ამიტომ მე რომ სხვაგვარი გრძნობები დამეუფ-
ლებოდა, შენი სიძულვილის მეტს არაფერს დავიმსახურებდი.
გარდა ამისა, შენ მასზე გაცილებით მეტი უფლებები გქონდა,
ვიდრე მე. რაც შეეხება იმას, რომ საყვარელი ადამიანის სა-
ხელს ასე საიდუმლოდ ინახავდი, მაშინვე მივხვდი, რომ მის
სურვილს ასრულებდი და შენი ერთგულებითა და სულის სი-
ლამაზით აღვფრთოვანდი. გახარებულმა გადავწყვიტე, ორი-
ვეს ათვის დამენახვებინა, რომ მ. მ. თქვენი სიყვარულის, პატი-
ვისცემისა და მეგობრობის ღირსი იყო. უცნაურ სიამოვნებას
მგვრიდა იმაზე ფიქრი, რომ ამიერიდან ჩვენს შორის არავი-
თარი საიდუმლო აღარ იარსებებდა და სამივენი ასჯერ უფრო
ბედნიერნი გავხდებოდით. ერთი ხრიკის მოწყობა განვიზრა-
ხე, რის გამოც, ჩემი ფიქრით, უფრო შეგიყვარდებოდით. ეს
ჩანაფიქრი ადამიანური გონებამახვილობის შედეგად მეჩვე-
ნა. პიესა მე-შვიდზე და განა ბუნებრივი არ იქნებოდა, წარ-
მოდგენას დავსწრებოდი და ჩემი შემოქმედებით დავმტკბა-
ბოლოვავი? ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ყველაფერი კარგად ჩაივ-
ლიდა.

მურანოში თხუთმეტი წუთის დაგვიანებით მოვედი. ვერ
წარმოიდგენ ჩემს სიხარულსა და გაკვირვებას, როცა ის პი-

ერო დავინახე, ასე რომ გაგვამხიარულა. ეს იყო ერთადერთი სიამოვნება, იმ საღამოს რომ მივიღე. თქვენმა საყვარელმა ყველაფერი უკელმართად გაიგო და სასოწარკვეთილებას მიეცა. მე მინდოდა, ჩვენთვის საშიშროებისთვის ბედნიერება-მომეტანა, უბედურება კი გამოვიდა თუ არ აიძულებ მას, რომ გონებაში ხმის დაუჯეროს, ეს ღამე სიცოცხლის ფასად დამიჯდება, რადგანაც უმისოდ არსებობაც ვერ წარმოვიდგენია. შენი იმედი მაქვს. წესით უნდა გეხიხლებოდე. შენ კი ისევ გიყვარვარ. მუხლს ვიყრი შენი სულდიდობის წინაშე. ვხედავდი, როგორ ტიროდა. თურმე როგორ ეყვარებივარ! ახლა უკვე კარგად ვიცნობ მას. ადრე ვერც დავიჯერებდი, რომ მამაკაცს ასეთი სიყვარული შეუძლია“...

კითხვა რომ დავასრულე, კ. კ.-ს კეთილშობილებით აღტაცებული ვიყავი. მ. მ. — კი გაგიჟებით მიყვარდა. მაშინვე დავწერე საპასუხო ბარათი, რომელშიც ჩემს წარმტაც მეგობრებს მხურვალე გრძნობები გადმოვეფრქვიე.

რამდენიმე დღის შემდეგ მეერანოში მივედი და მსახურმა მ. მ.-ს ბარათი გადმომცა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო. იმედი მაქვს, რომ ყველაფერ ისურვებ იმ სახლის მეუფეობას. სადაც ახლა იმყოფები. გთხოვთ, შეხვედრის ადგილი დამითქვათ, განებავთ ვენეციაში, განებავთ — აქ, ჩემთვის სულერთია. არც იქ და არც აქ ვერავინ დაგვინახავს“.

1754 წლის თებერვლის ოთხში ყველა ვიხილე ჩემი ანგელოზი. მონაზვნის სამოსი ეცვა. სიყვარულის წინაშე ორთავე ერთნაირად დამნაშავენი ვიყავით და პატიების მუდარით ერთდროულად დავეცით მუხლებზე. ენით გამოუთქმელი გრძნობები კოცნების ნიაღვარით გამოვხატეთ და გვიხარიოდა, რომ ჩვენი გულისთქმის გასამყლავნებლად არაერთარი სიტყვები არ გვჭირდებოდა.

ურთიერთპატიებისა და შერიგების დასტურად ერთმანეთს ჩაკონებულნი და ერთარსებად ქცეულნი დივანზე დავცვივდით და მალე ორთავეს წეტარების გრძელი ოხვრა აღმოგვხდა — ამაზე უარს მაშინაც ვერ ვიტყოდით, იგი სასიკეთილო სულთქმა რომ ყოფილიყო.

— ახლა კი, — მითხრა მ. მ.-ს, — იმ შეკითხვაზე გიპასუ-

ხებ, რომელიც, სავსებით წინდახედულად, ქალალდს არ ანდე.

— მაგრამ შენ ხომ იცი...

— ეყუჩე! სიყვარული გრძნეული და გულთმისანია. მას არაფერი დაემალება.

აღიარე, რომ ვინდა იცოდე, იყო თუ არა იმ ღამეს იქ ჩემი მეგობარი.

— ვაღიარებ.

— მაშ კარგი. დიახ, აქ იყო, ჩემთან ერთად და ყველაფერს ხედავდა და ისმენდა-გასაბრაზებელი არაფერი გაქვს. იცოდე, რომ მისი გული საბოლოოდ დაატყვევე. აღტაცებულია შენი ზნეკეთილობით, შენი გრძნობებით და პატიოსნებით. მითხრა, რომ ამ შემთხვევის წყალობით ადამიანის გული ასე ღრმად პირველად შეიცნო. შენ ებრალებოდი, მ. მ.-მ კი გააოცა. მეც გაოგნებული ვარ. შეუძლებელია, თხუთმეტი წლის გოგო ასე მსჯელობდეს. ამგვარ რამეებში ხომ სრულიად გამოუცდელია და არავითარ ხელოვნებას არ ფლობს იმის გარდა, რაც ბუნებამ და თავისმა სიწმინდემ უბოძა. ეს რომ შეძლო, ანგელოზის გული უნდა გქონდეს. თუ ცოლად შეირთავ, ღვთაებრივი მეუღლე გეყოლება. მისი დაკარგვით უბედური ვიქნები, მაგრამ სანუგეშოდ შენი ბედნიერებაც მეყოფა. ვერ გამიგია, როგორ შეგეძლო ჩემი სიყვარული, როცა ის გიყვარდა. ან როგორ შეუძლია მას არ ვძულდე, როცა შენი გული წავართვი? ჯ. ჯ. ნამდვილი ანგელოზია.

სუფრას მივუსხედით.

— ძალიან გთხოვ, შენს აგარაკზე ვახშმად მიმიწვიო, — მითხრა მან, — ჩემს მეგობარსაც მოვიყვან. სიგიჟემდე სურს შენი ვაცნობა.

— ნავახშმევს კი მასთან ერთად წახვალ, ხომ?

— ხომ იცი, რომ ასეა საჭირო...

— უკვე იცის ვინცა ვარ?

— უნდა მეთქვა. სხვანაირად შენთან ვახშამზე მოსვლას ვერ გაბედავდა.

— ახლა მიკხვდი: შენი მეგობარი უცხოელი დესპანია.

— სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ.

მაგრამ თუ პატივს დამდებს და ვახშმად მეწვევა, უკვე იწკოგნიტოს დაცვას ვეღარ მოახერხებს.

— ღმერთმა დაიფაროს! როცა წარმოგიდგენ, გვარსაც გეტყვი და ტიტულსაც.

— თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებს, უარს როგორ გეტყვი.

მითხარი, მაქვს თუ არა უფლება, რომ უფრო გაგახარო და ვახშმობის დღეც დაგინიშნო? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს სტუმრობას მოუთმენლად დაველოდები.

— დარწმუნებული ვიქნებოდი, დაეჭვების საბაბს თვითონვე რომ არ მაძლევდე.

— სამართლიანი შენიშვნაა.

— კარგი, გეხუმრე. ახლა კმაყოფილი ვარ. ვახშმად გეწვევა ბატონი დე ბარნისი, საფრანგეთის დესპანი. როგორც კი ნიღაბს მოიხსნის, მაშინვე გაგაცნობ. მან იცის, რომ ჩვენი ურთიერთობა შენთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. მაგრამ არ დაგავიწყდეს, შენ არ უნდა იცოდე რომ იგი ჩვენი ვნებათა ღელვის მოწმე და მონაწილეა.

— გემორჩილები, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

— დღეს ოთხია. რვაში ერთად ვივახშმებთ. ოპერიდან პირდაპირ შენთან მოვალთ. მითხარი, როგორ მოგაგნოთ ისე, რომ გზა არვის ვკითხოთ.

მისამართი დავუწერე და ავუხსენი, როგორ უნდა მოსულიყო. შემდეგ საწოლ ოთახში გავედით. ჩემმა ანგელოზმა მაღვიძარა ათზე დააყენა, და სიყვარულის მორევში გადავეშვით. შემდეგ ერთმანეთს ჩაკონილებმა და ბაგეებშეწებებულებმა ჩავიძინეთ, რამაც უკანასკნელი ამოსუნთქვა შეგვინარჩუნა. ასეთმა მდგომარეობამ ხელი შეგვიშალა იმაში, რომ ექვსი საათის შემდეგ წყევლა-კრულვა შეგვეთვალა მაღვიძარა საათისათვის, რომელმაც ჩვენი ორგიის დამთავრება გვაუწყა. მ. მ. ერთთავად ციმციმებდა. მისმა სიხარულის ფერად შეფაკლულმა ღაწვებმა ცისკრის ნათება მომაგონა, ხოლო წარმტაცი მკერდის არაჩვეულებრივმა ლივლივმა მასურვებინა, რომ შიგ მომწყვდეული სიყვარულის მღელვარე სული ბაგეებით გამეთავისუფლებინა.

მორფევსი, ალბათ, ჩვენზე მეორე გამარჯვებასაც იზეიმებდა, მაგრამ საათის ისარმა გვაუწყა, რომ მხოლოდ ტანთ ჩასაცმელი დრო დავგრჩენოდა.

ის მონასტერში წავიდა. მე შეადღემდე ვიძინე და შემდეგ კენესაში წავედი.

რვა თებერვალს, ღამით, ჩემს აგარაკზე მივედი. დათქმულ დროზე მ. მ. და მისი ღირსეული თაყვანისმცემელიც გამოცხადდნენ. ცოტა დაისვენეს და სუფრას მივუსხედით. ჩინებული ვახშამი გამოვიდა. მ. მ. აღფრთოვანებული იყო ჩემი თავაზიანობითა და ლაპარაკით, რომელსაც ბატონი დესპანი დიდი, გულისყურით ისმენდა. მისი სერიოზულობა შესანიშნავი ფრანგული გონებამახვილობითა და იუმორით იყო შეზავებული.

საუბარი კ. კ.-ზე ჩამოვარდა მ. მ.-მ ძალიან მიმზიდველი ფერებით დახატა მისი გარეგნობა და ხასიათი. დესპანი ისე უგდებდა ყურს, თითქოს ამ ქალიშვილის ამბავი პირველად ესმოდა. მ. მ.-მ მითხრა, აქ რომ კ. კ.-ც მომეყვანა, ეს თქვენთვის საუკეთესო საჩუქარი იქნებოდაო.

— მაგრამ თუ ეს სიამოვნებას მოგანიჭებთ, — თავაზიანად დასძინა მან, — შემიძლია მასთან ერთად ვახშმად მოგიწვიოთ. ჩვენ ხომ ერთ სენაკში გვძინავს.

ამ წინადადებამ ძალიან გამაკვირვა, მაგრამ გაოცების გამჟღავნება ახლა უადგილო იქნებოდა.

— თქვენთან ყოფნა ჩემთვის ყველაზე დიდი სიამოვნებაა, ქალბატონო, — მივუგე მე, — თუმცა შეუძლებელია, რომ ასეთი წყალობის მიმართ გულგრილი ვიყო.

— შესანიშნავია! ვიფიქრებ ამაზე.

— მაგრამ თუ მეც მიმიწვევთ, — ჩაერია საუბარში დესპანი, — მაშინ, ჩემი აზრით, კ. კ. უნდა გააფრთხილოთ, რომ მისი საყვარლის გარდა იქ კიდევ ერთი ადამიანი, თქვენი მეგობარი იქნება.

— არ არის საჭირო, — ვთქვი მე, — მივწერ, რომ ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გამოიჩინოს და ყველაფერი ისე შეასრულოს, როგორც თქვენ უბრძანებთ, ქალბატონო. ხვალვე ვიქმ ამას.

— მაშ ასე: მაზეგ ვახშმად გიწვევთ, — დაასკვნა მ.მ.-მ.

დესპანს ვთხოვე, მაღალ საზოგადოებას უჩვეული თხუთმეტი წლის ქალიშვილი მკაცრად არ განესაჯა. შემდეგ დაწვრილე-

ბით ვუამბე, ო, მორფის ისტორია. ამ ამბავმა უდიდესი სიამოვნება მიანიჭა. მისი პორტრეტის ჩვენება მთხოვა და რომ შეხედა, მაშინვე თქვა, ეს გოგო წინანდებურად ირმების ბაღში ცხოვრობს და მეფეს თავისი მშვენიერებით ატკბობსო.

მეტად კმაყოფილები რომ საათზე წავიდნენ, მე კი შინ დავრჩი და თავი ფიქრებს მივეცი.

ნათელი იყო, რომ კ. კ. დესპანს ძალიან მოეწონა. მან თავისი გულის ნადები მ. მ.-ს გაუმხილა, მ. მ.-მ კი, რაკი თავს ვალდებულად თვლიდა, რომ მეგობრის ყოველი ნება უყოყმანოდ შეესრულებინა, ადგაწყვიტა, მის საამებლად ნემსის ყუნწში გამძვრალიყო. უჩემოდ ვერაფერს მიაღწევდა, ვერც იმას გაბედავდა, რომ ამ საქმის მოგვარება ჩემთვის ეთხოვა, ამიტომ ყველაფერი ისე მოაწყვეს, რომ საუბარში ვითომ სხვათაშორის ჩამოვგდოთ სიტყვა და მეც, თავაზიანობაზე, სიყვარულზე, სიკეთესა და წესიერებაზე საკუთარი შეხედულების გამო მათი ჩანაფიქრისათვის მხარი ამება. დესპანს ხელობაც ხომ ინტრიგების ხლართვა იყო. მან იმარჯვა და ჯაგებულ მხეში გამება.

მ. მ. კარგად მიხვდა, რომ ძალი ორნი გამოეცანი, ამიტომ შინ დაბრუნებულმა საქმის გამოსწორება, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ჩემს თვალში თავის გამართლება მოინდომა და ბარათი მომწერა: შემიძლია ჩემი მოწვევა ისე გაკეთქმო, რომ შენს ღირსებას ჩრდილი არ მიადგესო. იცოდა, რომ ამ საჩუქრის მიღებას კიუკადრისებდი. თავმოყვარეობის გრძნობა ეჭვიანობაზე უფრო ძლიერია და მამაკაცი, რომელსაც არ უნდა, რომ ბრიყვად გამოჩნდეს, ეჭვიანობის გამჟღავნებას ყოველთვის მოერიდება.

დაიქმულ დღეს ვეჭშამი გაიძართა. მ. მ.-მ კ. კ. მოიყვანა. ჩემმა დანახვამ, როგორც შევნიშნე, ფრიად გააოცა. მე გულთბილად შევეხვდი და გავამხნევე, უცნობმა კი დიდად გაიხარა, როცა მის სალამს ქალმა ფრანგულად უპასუხა. ორთავემ შეაქებთ ფრანგულის მასწავლებლის ხელოვნება.

მაგრამ კ. კ. ჩემს საკუთრებად მიმაჩნდა და მისი მთელი ბრწყინვალებით წარმოჩენის სურვილმა ჩემში ყოველგვარი ეჭვიანობის გრძნობა ჩაკლა. გოგო ვაიძულე ისეთ საგნებზე ელაპარაკნა, რაშიც, როგორც ვიცოდი, საუკეთესოდ ერკვე-

ოდა. ჩემი მოწონებით, მხარდაჭერით, კმაყოფილი მზერით შეგულიანებული კ. კ. ჭეშმარიტ საოცრებად წარმოუდგა იმ კაცს, ვისი ხილვაც შეყვარებულის როლში სულაც არ მეპიტნავებოდა. ბედის დაცინვაც ეს იყო: საკუთარი ხელით ვაკეთებდი ისეთ რამეს, რასაც არავის ვაპატიებდი.

ვახშამზე დესპანი კ. კ.-ს პირდაპირ თავს ეკლებოდა. გონებამახვილობა და მხიარულება მეფობდა ჩვენს საზოგადოებაში და სალაღობო, მაგრამ ზრდილობით აღსავსე საუბრები დაუბრკოლებლივ მოედინებოდა ჩვენთა ბაგეთაგან.

ერთად გატარებულმა ხუთმა საათმა ჭეშმარიტი სიამოვნება მოგვანიჭა, მაგრამ ყველაზე უფრო დესპანი ნეტარებდა. მ. მ.-ს თავისი ნახელავით კმაყოფილი ადამიანის სახე ჰქონდა, მე — შემფასებლის გამომეტყველება. კ. კ. როგორც ჩანდა, იმით ამაყობდა, რომ სამთავეს გვასიამოვნა, უცხოელის მოჰეტებული ყურადღებაც განსაკუთრებით ეთნეოდა, მე კი ღიმილით მიცქეროდა. მისი გულისთქმა ჩემთვისაც გასაგები იყო — ეს საზოგადოება ძალიან მოსწონდა.

რვა საათზე, დაშლა რომ დავაპირეთ, დესპანმა მადლობების კორიანტელი დააყენა. მ. მ.-ს უთხრა, ჩემს დღეში ასეთ სასიამოვნო ვახშამზე არ ვყოფილვარო, სთხოვა, რომ ამგვარი ბედნიერება კიდევ ერთხელ მიენიჭებინა და ზეგაც დავეპატიჟებინეთ. დაინტერესდა, მეც ისეთივე სიამოვნებით მივიღებდი თუ არა მ. მ.-ს მიწვევას. ვითომ ჩემს თანხმობაში ეჭვი ეპარებოდეს? არა მგონია. შევთანხმდით და ერთმანეთს გამოვეშვიდობეთ.

მეორე დღეს ამ სანიმუშო ვახშამზე ბევრი ვიფიქრე და დიდ ტკივილს ჭყლეტის გარეშე განვეკვრიტე, თუ რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. აშკარად ჩანდა, რომ დესპანი შეყვარებული იყო და გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ მისი ტემპერამენტის მამაკაცი მხოლოდ კ. კ.-ს მშვენიერი თვალებით ტკბობას იკმარებდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ უკვე გეგმაც მზად ჰქონდა და ამ გეგმას, მიუხედავად მთელი თავისი ზნეკეთილობისა, მ. მ. ანხორციელებდა, თან ისე ფრთხილად და ოსტატურად, რომ ჩემთვისაც კი შეუმჩნეველი ყოფილიყო. მართალია, უსაშველო თავაზიანობისა და გულმოწყალების გამოჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ მოსალოდ-

ნელი იყო, რომ საბოლოოდ გაცუცურაკებული მაინც მე დავრჩენილიყავი და კ. კ. სამუდამოდ დამეკარგა. არც მთლად უმოქმედობას ვფიქრობდი და არც დიდი წინააღმდეგობის გაწევას. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ მოვლენათა განვითარებას უნდა დავლოდებოდი. კ. კ.-ს ერთგულების იმედი კი მქონდა, მაგრამ იმავდროულად მისი სინორჩე. და გამოუცდელობა მაშინებდა და ცუდი წინათგრძნობით მაფორიაქებდა. ერთიც ვნახოთ და კ. კ.-ს ხათრიანობა და მეგობრული მოვალეობის გრძნობა შეთქმულებს ბოროტად გამოეყენებინათ. მაგრამ მ. მ.-ს გულისხმიერება მამხნევებდა. ვერ წარმომედგინა, რომ ასეთ უსინდისო ღალატს შესძლებდა მაშინ, როცა იცოდა, რომ კ. კ.-ს ცოლად შერთვას ვაპირებდი. მაგრამ ამ ფიქრებს — არსებითად სუსტი ნებისყოფისა და თავისი ეჭვიანობით დამცირებული მამაკაცის ფიქრებს — არაფრის შეცვლა არ შეეძლო ისღა დამრჩენოდა, რომ ბედს დავმორჩილებოდი და მეყურებინა თუ რა მოხდებოდა.

დათქმულ დროს მურანოს სახლში მივედი და ბუხრის პირას მჯდომი ორი მეგობარი დავინახე.

— მოგესალმებით, ჩემო ანგელოზებო, ჩვენი ფრანგი რა იქნა?

ნიღაბს ვიხდი, მათ შორის ვჯდები, რიგრიგობით ვკოცნი და ორთავეს თანაბრად ვესიყვარელები. ვიცი, რომ მათთან ყველაფრის უფლება მაქვს, მაგრამ მაინც ზომიერებას ვიცავ და დაუკრეფავში არ-გადავდივარ. ერთი საათი გავიდა, მაგრამ საქმეზე გადასვლა გულშიაც არ გამივლია. ჩემს არსებაში მ. მ. მეუფებდა და არ მინდოდა, რომ მისი მეტოქისადმი გამოჩენილი მომეტებული ყურადღებით მეწყენინებინა.

სამმა საათმა ჩამორეკა. ფრანგი არ ჩანდა და მ. მ.-ს მღელვარება დაეტყო. ამ დროს მოახლე ამოვიდა და მას მეგობრის ბარათი გადასცა. ფრანგი ატყობინებდა:

„ორი საათის წინ შიკრიკმა დეპეშა მომიტანა. ამ ღამით ბედნიერება არ მიწერია: პასუხი უნდა დავწერო. იმედი მაქვს, რომ არა მარტო მაპატიებთ, არამედ შემიბრალებთ კიდეც. მქონდეს იმედი, რომ ამ ღამით ბოროტი ფორტუნისაგან წართმეულ ბედნიერებას პარასკევს მომანიჭებთ? ხვალ მაცნობეთ. თქვენთან ყოფნა ძალიან მინდა“.

— მოთმინება! — შესძახა მ. მ.-მ, — მისი ბრალი არ არის! რა გაეწყობა ჩვენ სამმა ვივახშმოთ. პარასკევს ხომ მოხვალ?

— სიამოვნებით, მაგრამ რა მოგივიდა? — ვკითხე კ. კ.-ს, — გეტყობა, რომ ძალიან გეწყინა.

— არა, სულაც არ მწყენია. ჩემი საყვარელი მეგობრისა და შენს გამო ვწუხვარ, რადგან ასეთი გულითადი და თავაზიანი მამაკაცი ჯერ არ შემხვედრია.

— შესანიშნავია, ჩემო მზეთუნახავო, — უთხრა მ. მ.-მ, — ძალიან მიხარია, რომ მის მიმართ გულგრილი არ ხარ.

— რას ნიშნავს შენი აზრით — გულგრილი არა ვარ? განა შეიძლება მისმა თვისებებმა არ მოგხიბლოს?

— მთლად უკეთესი! საკვლებით: გეთანხმები, საყვარელო ბაეშვო, ბარემ ისიც აღიარე, რომ მოგწონს.

— მაშ! კიდევაც რომ მომწონდეს, მაინც არ ვიტყოდი, თანაც დარწმუნებული ვარ, რომ მას ჩემი ცოლი უყვარს.

ამ სიტყვებით წამოდგა, მ. მ.-ს კალთაში ჩაუჯდა და საყვარელმა მეგობრებმა ერთმანეთს ალერსი დაუწყეს. თავდაპირველად სიცილით ვუყურებდი, მაგრამ მათმა ლაციცმა თანდათან მიმიზიდა. ახლა წაქეზებაც დავუწყე და ჩემთვის კარგად ნაცნობ სანახაობას სიამოვნებით მივაცქერდი.

მ. მ. მარსიუსის ესტამპებს იღებს, რომლებზეც დიაცთა შეუპოვარი სასიყვარულო ორთაბრძოლებია გამოსახული, ეშმაკურად მიყურებს და მეუბნება, ხომ არ გინდა, ნიშიან ოთახში ბუხარი დავანთებინოო. ამ სიტყვების აზრს უმალ ჩავწვდი და ვუთხარი, რომ ამით დიდ სიამოვნებას მომანიჭებდა. იქ საკმაოდ ვრცელი საწოლი იდგა და სამთავენი თავისუფლად მოკთავსდებოდით.

ნიშიან ოთახში გავდივართ. ვახშამი შემოაქვთ და სამივენი მადიანად მივირთმევთ. მ. მ. კ. კ.-ს პუნშის მომზადებას ასწავლის. ჩემს პირდაპირ სხედან და მე კ. კ.-ს სილამაზით ვტკბები.

— ამ ცხრა თვეში, ალბათ, შენმა მკერდმა. სრულყოფილების მწვერვალს მიაღწია, — ვეუბნები მას.

— მთლად ჩემნაირი გაუხდა, — მპასუხობს მ. მ., — გინდა შეხედო?

ამის თქმაზე პუნშიან ფინჯანს თავს ანებებს და საყვარელ მეგობარს გულისპირს უხსნის. ის არ ეურჩება, და მ. მ. მა-

შინვე თვითონაც კორსეტს იძრობს, რათა შედარების საშუალება მქონდეს. და აი, უკვე სხვა რამეებია შეჯერებისა და გასინჯვის -ურვილი მეუფლება, სახეგაბადრული ვდებ მაგიდაზე „ქალთა აკადემიას“ და მ. მ.-ს ვუჩვენებ, თუ რომელი პოზის შეხედვა მწადია. ის კ. კ.-ს ეკითხება, თანახმაა თუ არა, რომ ჩემი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილონ. კ. კ. პასუხობს, რომ ამისათვის ტანთ გახდა და ლოგინში ჩაწოლაა საჭირო. ვთქოვ ეს სიამოვნება რაც შეიძლება ჩქარა მომანიჭონ.

ბევრი ვიცინე იმაზე, რაც მათ მიჩვენეს. შემდეგ ბალიძარა რვა საათზე დავაყენე და ხეთი წუთიც არ გასულა, რომ უკვე სამივენი, ისეთები, რა სახითაც ბუნებამ შეგვქმნა, ნეტარების ზღვაში გადავეშვით. მეგობრები ისეთი გზნებით შეიბნენ, თითქოს ორ ძუ კეფხვს ერთმანეთის დაფლეთა სურსო.

ორი მზეთუნახავის ბედბალობა კვეთებამ მეც ბრძოლის ჟინით ამავსო, მაგრამ ხმლის შიშველება ვერ გამებედნა, რადგან გრძნობის კარნახით უპირატესობა კ. კ.-სათვის უნდა მომენიჭებინა, მაგრამ მ. მ.-ს დაცინვებისა მეშინოდა. იგი სიყვარულში ჩემზე გამარჯვებას იზეიმებდა, მე კი ახლოდან მისი მიჯნურობა მსურდა. კ. კ. მ. მ.-ზე ტანხელი იყო, მაგრამ თეძოები და ბარძაყები ეფრო ჯანიანი ჰქონდა. ის შავგვრემანი ბასლდათ, მ. მ. — ქერაფიცარი, და ორივე ერთნაირი ოსტატობით ფლობდა ამ გამსავათებელი და უნაყოფო ბრძოლის ხელოვნებას.

ბოლოსდაბოლოს მოთმინების ფიალაც ავივსო, ორთავეს ერთად ვეცი და დაცალკევება მოვუნდომე. მ. მ. ქვეშ მოვექცე, მაგრამ მარჯვედ დამისხლტა და კ. კ.-ს ზევიდან დაეეცი. ის მკლავებგადაშლილი შემეგება, და წუთიც არ გასულა, რომ ნეტარების გრძელი ოხვრა ამომაღებინა და თვითონაც სული ამოუშვა.

ოდნავ შევისვენეთ და მ. მ.-ს მივეტანეთ, კ. კ. — მაღლიერების გრძნობით აღძრული, მე — შურისძიების წყურვილით შეპყრობილი, მთელი საათი დამორჩილებული მყავდა, თან ალტაცებით ვეკრეტდი კ. კ.-ს, რომელსაც სახეზე ეწერა აშკარა სიამაყე იმის გამო, რომ თავის გულითად მეგობარს ესოდენ ღირსეული საყვარელი აჩუქა.

როგორც იქნა, დაუცხრომელმა მეგობრებმა ჩემი ხვეწნა-მუდარა ყურად იღეს და დარწმუნებულებმა იმაში, რომ მაღვიძარას ზარიდან წასვლამდე დარჩენილ ორ საათსაც სასახელოდ გამოვიყენებდით, საერთო შეთანხმებით ტკბილად დავიძინეთ.

როცა თვალი გავახილეთ და ერთმანეთი პირველი ადამიანების სამოსელში ვიხილეთ, კვლავ ბრძოლის ჟინი შემოგვეწოთო. კ. კ.-მ მისაყვედურა, რომ სული მხოლოდ ერთხელ ამოვხადე. და მ. ზ.-მაც მთხოვა, რომ მისი ძვირფასი მეგობრისათვის სათანადოდ მიმეზღო. დიდხანს ხვეწნა არ დასჭირვებია. ჩვენ მედგარ ორთაბრძოლებს ყოველგვარი ფორმის დაცვით დადებული ხელშეკრულება ამაგრებდა, ამ ბატალიების მოსალოდნელ შედეგებს არც ერთი მხარე არ უნდა დაებრკოლებინა. საფრთხეში თავის ჩაგდებას არც მ. მ. მოერიდა და მიბრძანა, რომ მისთვისაც თამამად და დაუნდობლად შემეტია და საბოლოო გამარჯვებამდე ხმალი არ ჩამეგო. ეს განკარგულება სამაგალითოდ შევასრულე.

ფიცხელი ბრძოლები გათენებამდე ნახევარი საათით ადრე შეწყვიტეთ და ერთმანეთს დავცილდით გასავათებულნი, დაძაბუნებულნი, დაშრეტილნი, მოყირჭებულნი და ამის აღიარების გარდუვალობით დამცირებულნი — მოყირჭების და არა ზიზღის.

მეორე დღეს ამ ბობოქარ ღამეზე ფიქრისას სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. ავხორცობამ, როგორც მისი ზნეა, გონიერება ფეხქვეშ გათელა. მ. მ. ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ მისი გრძნობების სათავეც ისეთივე სათნოებები იყო, ჩემს სიყვარულს რომ ასაზრდოებდნენ: ღირსება, წესიერება, სიმართლე. მაგრამ გონიერება ტემპერამენტმა დათრგუნა, ტემპერამენტმა კი თავდავიწყება აიძულა და ამიტომ შემთხვევახ ელოდა, რომ ამ საჩოთირო თამაშის თანამონაწილედ ვექცევ. ჩემი აყოლიების იმედიც ჰქონდა, რადგან იცოდა, რომ უარის თქმით ჩემ. სისუსტეს და ლაჩრობას ვაღიარებდი, ამას კი თავის მოკვლა მერჩია.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დეზპანის მოუსვლელობა წინასწარ იყო ჩაწყობილი. მათ განეკრიტეს, რომ მე ეს არ გამომეპარებოდა და მადლიერებისა და ღირსების გრძნობის გა-

ბო ქვეშიდან გამოსვლას არ ვიკისრებდი. ამიტომ იძულებული გავხდებოდი, სამაგიერო კეთილშობილება და დიდსულოვნება გამომეჩინა და საკუთარი ბუნების წინააღმდეგ მემოქმედნა.

დესპანმა დაუვიწყარი ღამე მაჩუქა. განა შემეძლო უარის თქმა, ასეთივე საჩუქარი თვითონაც რომ მოეაურვებინა? მათ სწორად გათვალეს. მივხვდი, რომ დამარცხებული ვიყავი. კ. კ. არ აფიქრებდათ — დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როგორმე ღაიყოლიებდნენ. საბრალო კ. კ.! მე მას უკვე გარყვნილ ქალად ვხედავდი და ეს ჩემი ბრალი იქნებოდა. გონება ცრურწმენას ებრძოდა, ბუნება — სიყვარულს. ვერც ის გადამეწყვიტა, რომ ვახშამზე მივსულიყავი, და ვერც უარის თქმას ვბედავდი. თუ მაწვევას მივიღებდი, მაშინ ყველაფერი წესიერად ჩაივლიდა და მე, როგორც ეპვიან, ძენწსა და ემაღურ რეგვენს. სასაცილოდ ამიგდებდნენ. თუ არ წავიდოდი, კ. კ., ყოველ შეხვედრაში ჩემს თვალში მაინც, სამუდამოდ დაიღუპებოდა. ვგრძნობდი, რომ ამის შემდეგ მის სიყვარულს ველარ შევძლებდი, და ცოლად შერთვაზე ფიქრი ხომ საერთოდ ზედმეტი იქნებოდა.

საღამოხანს მურანოში საგანგებოდ მივედი და ბარათი დავტოვე, რომელშიც მ. მ.-ს პატივებას ვთხოვდი იმისათვის, რომ გადაუდებელი საქმეების გამო ვახშმად ვერ ვეწვეოდი. ამის შემდეგ სამორინეში წავედი და სამ-ოთხჯერ იმაზე მეტი ფული წავაგე, რაც გამაჩნდა.

მეორე დღეს მ. მ.-ს წერილი მივიღე. კონვერტში კ. კ.-ს ბარათიც აღმოჩნდა. უკვე ყველაფერი საერთო ჰქონდათ. აი, რას მწერდა კ. კ.:

„ჩემო ძვირფასო ქმარო, ვახშამზე თქვენმა მოუსვლელობამ გულწრფელად შეგვაურვა. ჩემი დაიკოს მეგობარსაც ძალიან დაწყდა გული; გვეგონა, რომ უშენოდ მოვიწყენდით, მაგრამ ამ ბატონის მშვენიერმა საქციელმა და გონებამახვილობამ დარდი გადაგვყარა. ვერ წარმოიდგენ, ჩემო მეგობარო, რა სიგიჟემ შეგვიპყრო პუნშისა და შამპანურის შემდეგ! ისიც ჩვენზე არანაკლებ ანცობდა. ლოგინში მაინცდამაინც არ დავუღლივართ, მაგრამ ძალიან კი გაგვართო. გარწმუნებ, რომ ფრიად მომხიბვლელი ადამიანია და სიყვარულისათვისაა გაჩენილი, თუმცა შენ ვერაფერში შეგედრება. ეპვი არ შეგეპა-

რომ: შენსავით არავინ მეყვარება და ჩემი გულის მპყრობელიც მარადიულად შენ, ქნები".

ამ წერილმა, უგუნებობის მიუხედავად, ლიმილიც კი მომგვარა. მ. მ.-ს წერილი კიდევ უფრო ეჩვეულო იყო:

„დარწმუნებული კარ, ჩემო ანგელოზო, რომ ხრდილობის გამო იცრუე. მე კეთილი ვმას. შენ გსურდა ჩემი მეგობრისათვის ეამაგერო მეფური საჩუქარი მიგეძღვნა. ძალიან შეწუხდა, რომ ვერ გიხილავდი, მაგრამ მერე მივხვდი: რომ მოსულიყავი, ამდენს ვერ კიცინებდით, რადგან ჩემი მეგობარი, დიდი ჭკუის მიუხედავად, ცრურწმენებისაგან მთლად თავისუფალი მაინც ვერ ყოფილა. ახლა კ. კ.-ც ჩვენსავით სულიერად თავისუფალი ადამიანია და ამას მე უნდა მიმადლოდეს. შეაჩაყუბა, რომ ასეთი საყვარელი გაგიზარდე. ნეტავი სადმე მოფარებულიდან ფეჭვრტა გარწმუნებ, რომ დიდებულ დროს გატარებდი ოთხშაბათს სულ მარტო მოვალ და მთლად შენი ვიქნები. თუ არ გცალია, სხვა დრო დამინიშნე".

ოთხშაბათს პაემანზე გამოეცხადდი. მ. მ. მამაკაცურად იყო ჩაცმული და არც ოპერაში და არც კომედიაში წასვლა არ ინდომა.

— სათამაშოდ წავიდეთ, — მითხრა მან, — ან მთლად გავკოტრდებით, ან ავშენდებით.

მას ექვსასი ცეხინი ჰქონდა, მე — ასამდე. ბედმა გაგვიღიმა. ყველაფერი რომ წააგო, სადღაც თავისი მეგობარი იპოვა და სამასი ცეხინი გამოართვა. სათამაშო მაგიდას მიუბრუნდა და წაგებული ამოიგო. მაგრამ ეს არ იკმარა და ისევ წააგო. შუალამით სავახშოდ წავედით. მე დარდს ვერ ვერეოდი, ის კი ისევ ისეთივე ლამაზი, მხიარული, მოცინარი და მოსიყვარულე იყო.

რომ გაჯახალისებინე, გადაწყვიტა იმღამინდელი ამბები დაწვრილებით მოეთხრო. სწორედ ეს არ უნდა ექნა. მაგრამ ადამიანის ერთ-ერთი ნაკლი ისიც არის, რომ ძალიან ხშირად სხვაც ისე თავისუფალი და ლაღი ჰგონია, როგორიც თვითონაა. ერთი სული მქონდა, ვიდრე დასაძინებლად წავიდოდით, რადგან ამ ავხორცული დეტალებით გაჯერებულმა თხრობამ იმის შიში გამიჩინა, რომ ლოგინში საკადრის სიმარჯვეს ვერ გამოვიჩენდი. საკმარისია ამისი ოდნავ გეშინოდეს და აუცი-

ლებლად მოხდება კიდეც. შეყვარებულ ჰაბუკს თავისი უნარი არასოდეს ეეჭვება, მაგრამ თუ მოხდა და ოდნავ შეეჭვდა, სიყვარული აუცილებლად შურს იძიებს და მაშინვე გაბითურებს.

მაგრამ ლოგინში ამ საოცარი ქალის სილამაზემ, ალერსიანობამ და გულსადაგობამ გუნებაზე მომიყვანა. ორი საათი სიყვარულს მივუძღვენით და სიყვარულითვე დავშორდით. პირობა ჩამომართვა, რომ ამ დღეებში მურანოში შევიღლიდი და სათამაშო ფულს ავიღებდი. ასეც მოვიქეცი: მივედი, რაც კი ოქრო ვიპოვე, სულ წამოვიღე და მთელი კარნავალის განმავლობაში ვიგებდი და ვიგებდი. ისე გამომართლა, რომ ჩემი ძვირფასი მ. მ.-ს მოკრძალებული სიმდიდრე ერთიათად ვაქციე. მან კი მომწერა, რომ აუცილებელი იყო, კარნავალის ბოლო ორშაბათს ოთხივეს ერთად გვეკახშა. დავთანხმდი.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ვახშმი კ. კ.-სთან ერთად. საოცრად მოილხინა. მე საბოლოო არჩევანი გავაკეთე და მხოლოდ მ. მ.-ს დავტრიალებდი. კ. კ. სულაც არ მერიდებოდა და მთელ ყურადღებას თავის ახალ თაყვანისმცემელს უთმობდა.

შემდეგ ერთი პარტია ფარაონი ვითამაშეთ. მ. მ.-მ განაცხადა, თავი მტკივაო, მეორე ოთახში დასაძინებლად გავიდა და გაყოლა მთხოვა. ჩვენი გოგო დესპანს შევატოვეთ. როცა ექვსი საათის შემდეგ მაღვიძარა საათმა ჩვენი ორგიის დასრულება გვაუწყა, ახალყოილებს ტკბილად ეძინათ. რაც შემეხება მე, მთელი ღამე მ. მ.-სთან ნეტარებაში გავათენე და კ. კ. ერთხელაც არ გამხსენებია. ასე დამთავრდა ჩვენი კარნავალი.

დილაადრიან, ბატონ ბრაგადინთან საუზმის შემდეგ, ჩემს ახალ სახლში გავეშურე, რათა საძინებლის აივანზე სუფთა ჰაერით დავმტკბარიყავი. ჩემდა გასაოცრად, აივანი დაკავებული აღმოჩნდა. ვიღაც პირმშვენიერი ქალწული წამოდგა და ყადნიერებისათვის ბოდიში მომიხადა. ვუთხარი, რომ საბოდიშო არაფერი ჰქონდა და შეეძლო, როცა სურდა მაშინ მოსულიყო. ორ საათს ჭკვიანური და საამო საუბრებით მართობდა

და შეაღამით წავიდა. მისმა ნორჩმა დაიამ სანთელი აანთო და ძილი ნებისა მისურვა.

ლოგინში სულ ამ ვოგოზე ვფიქრობდი. არ მჯეროდა, რომ ჭარბლა ავად იყო. წკრიალა ხმა ჰქონდა, ხალისიანი, განათლებული და გონებამახვილი ჩანდა, თუ მისი სნეულების მიზეზი მხოლოდდამხოლოდ იმ წამლის უქონლობა იყო, რომელიც რიგელინის ერთადერთ უბალ საშუალებად მიაჩნია, მაჭინ ვერ გამეგო, რა საბედისწერო შემთხვევის გამო ვერ განიკურნა ისეთ ქალაქში, როგორიც ვენეცია გახლდათ. მას ხომ, ფერნაკლულობის მიუხედავად, ერთი საყვარლის პოვნა არ გაუჭირდებოდა და არც საიმისო გოზიერება აკლდა, რომ ბოლოსდაბოლოს ეს თავისი სიტკბოებით შეუდარებელი წაბალი ამა თუ იმ საშუალებით მაინც მიეღო.

დილით რომ გავიღვიძე, ზარი დავრეკე და უმცროსი და შემოვიდა — სახლში მოახლე არ ჰყავდათ — გასაპარსად ცხელი წყალი ვთხოვე და დის ჯანმრთელობა გამოვკითხე. მიპასუხა, რომ მისი და კარგად იყო, ფერნაკლულობა ავადმყოფობისაგან არ სჭირდა, მაგრამ ყოველთვის, სულის ხუთვა რომ ემართებოდა, სისხლი უნდა გამოეშვათ.

— მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ კარგად ჭამდეს და უფრო კარგად ეძინოს, — დაასკვნა მან.

უცებ ვიოლინოს ხმა შემოგვესმა.

— ეს ჩემი დაა, — ამიხსნა უმცროსმა, — მენუეტის ცეკვას სწავლობს.

სასწრაფოდ ვიცვამ და სანახავად მივდივარ. წარმტაცი ქალწელი მოხუცი მაესტროს მეთვალყურეობით მენუეტს ცეკვავს. მასწავლებელი მთხოვს, რომ მის მოწაფეს ვეცეკვო. სიამოვნებით ვთანხმდები. მენუეტის შემდეგ დაღლილი გოგო სავარძელში ეშვება და მის ფერმკრთალ ლოყებზე სიწითლის ნიშატს ვხედავ. მარტონი დავრჩით და ვუთხარი, რომ არც ისე კარგი მასწავლებელი ჰყოლია, რადგან შეცდომებს თითქმის არ უსწორებდა. შემდეგ ზოგიერთი საცეკვაო ილეთი ვაჩვენე. გაკვეთილები მომდევნო დღეებშიც გავაგრძელეთ. ჩვენმა გულმოდგინებამ ორ კვირაში ბუნებრივი ნაყოფი გამოიღო: ერთი — რომ სულის ხუთვები შეუწყდა, მეორეც ის, რომ — შემიყვარდა. ექიმი უკვე აღარ სჭირდებოდა. დედამისი ღვთის-

გან მოვლენილ მხსნელ ანგელოზად მთვლიდა, გოგის გრძნობებს კი ქალური სიყვარულისგან სულ რაღაც ნახევარი ნაბიჯილა თუ აშორებდა. ვურჩიე, რომ ცეკვის მასწავლებელი დაეთხოვა.

მაგრამ აი, გავიდა ორი კვირა და ერთ დღეს, გაკვეთილს რომ ვუტარებდი, კინალამ ხელში ჩამაკვდა. ისეთი ხუთვები დაემართა, რომ ყველაზე მძიმე ასთმა მასთან მონაგონი იყო. მკვდარივით დავარდა ძირს. ასეთ მოვლენებს შეჩვეულმა დედამისმა დაუყოვნებლივ აფრინა კაცი ქირურგის მოსაყვანად, უმცროსმა დამ კი საკინძე გაუხსნა და მოსულიერება დაუწყო. გამაოცა მისი მკერვი მკერდის არაჩვეულებრივმა სილამაზემ. გრძნობების დასაფარავად ვიხუმრე, ქირურგმა რომ ეს დაინახოს, მოსაბრუნებელი თვითონ გახდება-მეთქი. ავადმყოფმა კი თვალი გაახილა და საბნის ზემოდან მის მკერდზე გატრუნული ჩემი ხელი მშვიდად მოიშორა.

ქირურგი მოვიდა, ავადმყოფს სისხლი გამოაშვებინა და გოგო მყის მობულბულდა.. ექიმის წასვლის შემდეგ, გოგომ, ჩემდა გასაკვირად, მითხრა, თუ გნებავთ, დარბაზში დაველოდეთ, კაბას გამოვიცვლი და გაკვეთილი განვაგრძოთო. მართლაც მოვიდა და თავს ისე გრძნობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მისმა მკერდმა, რომლის ღირსებებზეც გრძნობის ორმაორგანომ ამომწურავი ცნობები მომაწოდა, მოსვენება წამართვა. ისე ვიყავი აღელვებული, რომ შინ დაღამებამდე დავბრუნდი. თავის ოთახში დამხვდა. მითხრა, რომ ორ საათზე აივანზე გამოვიდოდა, მანამდე კი ჩემს ნათლიას უნდა შევხვდეო.

— რამდენი წლისაა? — ვკითხე.

— სამოცამდე იქნება.. გრაფია. ცოლი ჰყავს. საკუთარი შვილიეთ ვუყვარვარ, იცის რომ ჩვენთან ცხოვრობთ და საწინააღმდეგო არაფერი აქვს. თუ გნებავთ, დღესვე გაგაცნობთ.

გრაფი თავაზიანი კაცი გამოდგა. მისი ნათლულის დახმარებისათვის მამობრივი მადლობა გადამიხადა და მეორე დღეს სადილად მიგვიწვია. სიამოვნებით დავთანხმდი, რომ წავიდა, გოგოს გულის გასახარად, ქება-დიდება შევასხი. გოგომ მითხრა, რომ გრაფს ხელთ ჰქონდა ყველა საბუთი, რომელთა მეშვეობითაც პერსიკოთა სახლს თავისი ოჯახის მემკვიდრე-

ობა — ორმოცი ათასი დუკატი — უნდა დაებრუნებინა. ამ ფულის მეოთხედი ბასეკეთენოდა. გარდა ამისა, დედის მზითევის ნახევარიც მისი იყო. ასე რომ, თავის მომავალ მეუღლეს თხუთმეტი ათასი დუკატის ქონებას შესძენდა. ასევე — მისი დაც.

ქალიშვილს სურდა, რომ შემეყვარებინა და ჩემს ერთგულებაშიც დარწმუნებული ყოფილიყო, ამიტომ მოწყალების გაღებას არ ჩქარობდა, ხოლო როცა ამის მიღწევას თვითონვე ვცდილობდი, მეუბრებოდა და საყვედურებით მავსებდა. მაგრამ მალე ვაცვლევინე ნირი.

მეორე დღეს გრაფს კეწვეთ. მშვენიერი დრო გავატარეთ. საღამოს, ჩემი გონდოლით შინ რომ ვბრუნდებოდით, მცირეოდენი მოწყალების გაღება ვთხოვე, მაგრამ მის ნაცვლად საყვედურებით ამავსო და ისე გამანაწყენა, რომ შინ მისვლისთანავე უსიტყვოდ ვავშორდი, ტონისთან ვახშმად წავედი და მთელი ღამე მასთან გავატარე. მეორე დღეს შუადღემდე ვიძინე და გაკვეთილი გავუცდინე. საღამოს თავად არ გამოვიდა ივანზე. მეორე დღეს სახლიდან ადრიანად გავედი და გაკვეთილის დროისათვის კვლავ არ დაებრუნებულვარ. იმავე საღამოს კი ივანზე საკმაოდ გულგრილად გავესაუბრე. მაგრამ მეორე დილით დიდმა ხმაურმა გამაღვიძა, გარეთ გავედი და დედამისმა მითხრა, რომ მის ქალიშვილს ისევ სულის ხეთვა დამართნოდა. სასწრაფოდ ქირურგი ვიხმეთ.

გოგოსთან შევდივარ, სულთმობრძავს ვხედავ და მწუხარებისაგან გული მიკვდება. ივლისის დამდეგი იყო, ლოგინში იწვა და მხოლოდ თხელი ხეწარი ეფარა. ვეკითხები, პულსი როგორი გაქვს-მეთქი და ხელს მკერდზე, ერთი ბორცვის ბწკვერვალზე ვადებ. მას წინააღმდეგობის თავი არა აქვს. გაყინულ ტუჩებში ვკოცნი, ჩემი ხელი ნახევარი მკლავით დაბლა ეშვება და იქ ალმოჩენილ განძს ეეფლება. ის ულონოდ მიცილებს, მაგრამ თვალებში იმოდენა რისხვა უდგას, რომ ჩემი საქციელის უგვანობას ვხვდები და თავს ვანებებ. ამ დროს ქირურგიც მოდის, ვენას უხსნის და გოგო მაშინვე სულს ითქვამს.

ჩემმა საჩოთირო საქციელმა სიყვარულის ცეცხლი კიდევ უფრო აღმოგზნო და გადავწყვიტე, რომ ხელსაყრელ შემთხ-

ვეკას დაელოდებოდი. დიასახლისს სადილის მოტანა ვთხოვე, მე კი ავადმყოფს სასთუმალთან მივუჯექი და დარწმუნება დავუწყე, რომ მისი სნეულების ერთადერთი წამალი ვინმეს შეყვარება იყო.

— მჯერა, — დამეთანხმა ის, — მაგრამ განა შეძლებია ვინმეს შეყვარება, თუ დარწმუნებული არა ვარ, რომ მასაც ვუყვარვარ?

ჩვენი საუბარი თანდათან ეშხში შევიდა და აი, უკვე ხელს თქმაზე ვადებ და ვთხოვ, რომ არ გამიჯავრდეს. ხვეწნა-ხვეწნაში უფრო ზევით მივცოცავ და იმ ადგილს ვაღწევ, რომლის შეღებინებითაც, ჩემი ვარაუდი, მისთვის უზომო სიამოვნება უნდა მიმენიჭებინა. მაგრამ ის განზე იწევს და გულმოსული მეუბნება, რომ შესაძლოა მისი ავადმყოფობის მიზეზი სწორედ ის ყოფილიყო, რასაც ახლა მე ვაკეთებდი. ასეთმა რეაქციამ დამარწმუნა, რომ საწადელს უთუოდ მივაღწევდი და მისი მორჩენის იმედიც გამიჩნდა, თუ რა თქმა უნდა, მართალი იყო ის, რასაც მასზე ამბობდნენ. ჩემი სადილის ნახევარი მადიანად შესანსლა, ვიდრე ჩავიცვამდი და წასასვლელად გავემზადებოდი, ლოგინიდან ადგა, ხოლო როცა ორ საათზე შინ დავბრუნდი, უკვე ჩემს აივანზე იჯდა.

ნახევარ საათს სიყვარულზე მესაუბრა და ჩემს თვალებსა და ტუჩებს უფლება მისცა, რომ მისი სხეულის ტურფა ადგილებით დამტკბარიყო, შემდეგ ყოველის დანმთქმელი ენებით შეპყრობილი და თავისივე განცდებით შეცბუნებული მკერდზე მომეკრა და უკიდეგანო ბედნიერებაში გამიტაცა.

უმცროსი და მოვიდა და უთხრა, დასაძინებლად მიდიოვარო. მან გადაწყვეტილება მოუწონა და როგორც კი მარტონი დავრჩით, ყოველგვარი შესავლის გარეშე ლოგინში ჩავცვივდით. მთელი ღამე სიამტკბილობაში გავატარეთ. მე სიყვარული და მისი განკურნების სურვილი მამოძრავებდა, მას — მადლიერების გრძნობა და დაუოკარი ავბორცობა. გამთენიისას თავის ოთახში წავიდა, მე კი გასაკვირებული, მაგრამ სრულიად დაუკმაყოფილებელი დავრჩი: იმის შიშმა, რომ არ დაორსულებულიყო, მთავარი მიზნის მიღწევა არ დამანება. ზედიზედ სამი კვირის განმავლობაში ყოველდღე ერთად ვიწექით და სულის ხუთვა ერთხელაც არ დამართნია. ამ გოგოს, ალბათ,

ცოლად შევირთავდი, თვის ბოლოს უბედურება რომ არ შეშ-
თხვეოდა, რაზეც ახლა მოგითხრობთ.

იქნებ მკითხველს ახსოვდეს კიდევ აპატ კიარისთან ჩემი
კონფლიქტის ამბავი. ერთიც თვე გავიდა მას აქეთ, რაც აბატს
შურისძიებით დაეემუქრე. იგი ძალიან ფრთხილობდა. სწორედ
ამ ხანებში მივიღე ერთი ანონიმური წერილი, რომელშიც
ნათქვამი იყო, რომ აბატის მიბეგვაზე ფიქრს მიჯობდა საკუ-
თარ თავზე მეფიქრა, რადგან ედიდესი და გარდაუვალი სა-
ფრთხე მელოდა. ანონიმური წერილის ყველა მჯღაბნელი ზიზ-
ღის ღირსია. მაგრამ მთლად წაყრეებაც არ ეგების. მე შეც-
დომა დავუშვი.

ამ ხანებში დამიახლოვდა ვინმე მანუეი, რომელსაც მა-
ნამდე არც კი ვიცნობდი. მისი მთავარი ხელობა ძვირფასი ქვე-
ბის მოჩარჩოება იყო, მაგრამ სახელმწიფო ინკვიზიციის ჯა-
შუშადაც მსახურობდა. ის ბრილიანტების ნისიად მოყიდვას
შემპირდა და გარკვეული პირობები წამომიყენა, რის გამოც
მისი შინ მიპატიჟება მომიხდა. აქეთ-იქით მიმოყრილ წიგნებს
რომ ათვალიერებდა, რამდენიმე მანუსკრიპტთან შეჩერდა,
რომლებშიც შავ მაგიაზე იყო საუბარი.

მკითხველი დამიჯერებს, რომ ეს წიგნები მძულდა, მაგ-
რამ მაინც ვინახავდი. ხუთი თუ ექვსი დღის შემდეგ ეს ნაძი-
რალა გამომეცხადა და მითხრა, რომ კაცი ვინმე, ვის ვინაობა-
საც ახლა ვერ გაიგებ, მზად იყო ცნობისმოყვარეობის
გამო ხუთი ასეთი წიგნი ჩემგან ათას ცეხინად ეყიდა, მაგრამ
ჯერ უნდა ენახა და მათ ნამდვილობაში დარწმუნებულიყო.
წიგნები ერთი დღე-ღამით გავატანე და ამისათვის არავითარი
მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. მეორე დღეს მართლაც დამიბ-
რუნა და მითხრა, უცნობმა ისინი ყალბად მიიჩნიაო. მაგრამ
რამდენიმე წლის შემდეგ შევიტყვე, რომ ეს წიგნები სახელმ-
წიფო ინკვიზიტორისათვის მიუტანია, რომელიც ამით დარწ-
მუნდა, რომ მე ნამდვილი ჯადოქარი ვიყავი.

იმავე საბედისწერო თვეში ქალბატონ მემოს მოეჩვენა,
რომ მის შვილს ათეიზმს ვუნერგავდი და თავის ეპვები ძველ
კავალერს ანტონიო მოჩენიგოს გაუზიარა. ამ კაცს გულზე ისე-
დაც არ ვეხატებოდი, რადგან ფიქრობდა, რომ კაბალისტიკის
მეშვეობით მისი დისწული ვაცდუნე. ამათაც სახელმწიფო

ინკვიზიტორთან მიჩივლეს და ეს ჩემს დასაღუპავად საკმარისი აღმოჩნდა. ბრალად დამდეს ისიც, თითქოს ეშმაკთან ვიყავი შეკრული, რადგან, როცა ბანქოს თამაშში ვაგებდი, ყოველთვის ეშმაკს ვწყევლიდი ხოლმე ნაცვლად იმისა, რომ ამ ყოფაში ჩავარდნილი ყველა მორწმუნის დარად, ღმერთი მეგინებინა. ფრანკომასონობაც დამწამეს, თქვეს, უცხოეთის დესპანებთან დაიარებაო და რადგანაც ვითომ სამ პატრიოტთანაც ვმეგობრობდი, რა თქმა უნდა, სენატის საიდუმლოებებიც ვუწყოდი და უცხოელ ჯაშუშებს ვუმეღალვნებდი, ამ ღალატში აღებულ დიდძალ ფულს კი ყველას თვალწინ ბანქოს თამაშში ვანიავებდი.

მთელი ეს უმაგვსოება რომ მოისმინა, ძლევამოსილმა ტრიბუნალმა დაადგინა, რომ სამშობლოს მტერი, შეთქმული და გვარიანი ნაძირალა ვიყავი, და პოლიციის უფროსს, მესიერ გრანდეს ჩემი დაპატიმრება დაავალა. ბევრი ადამიანი მირჩევდა, რომ უცხოეთში საამოგზაურად წავსულიყავი და თავი ამით გადამერჩინა. მაგრამ ყველაა ვპასუხობდი, არავითარ სინდისის ქენჯნას არ განვიცდი, ე. ი. არც დანაშაული მიმიძღვის და რისი უნდა მეშინოდეს-მეთქი. ბრიყვი ვიყავი. თავისუფალ ადამიანივით ვმსჯელობდი. გარდა ამისა, ამ გაურკვეველ საშიშორებას ორულად გარკვეული უბედურება მიჩრდილავდა: ყოველდღიურად დიდძალ ფულს ვაგებდი, ვალებში ჩავეფალი, მთელი ჩემი ძვირფასეულობა დავაგირავე და ცარიელ-ტარიელი დავრჩი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა სხვა გზა რომ ვერ გამოვნახე, გადავწყვიტე ფული მ. მ.-საგან მესესხა. როცა ბრილიანტები გავყიდე, მან ხუთასი ცეხინი გადაინახა.

რაკილა ხვალისათვის ფულის შოვნის იმედი ჩამესახა, მთელი ღამე ბანქოს თამაშში გავატარე და ხუთასი ცეხინი პატიოსან სიტყვაზე წავაგე.

შინ რომ დავბრუნდი, ოთახის კარი ღია დამხვდა, უფრო მეტიც: იგი გატეხილი იყო. მთელი ოჯახი ფეხზე იდგა. დიასახლისის ვიშვიში გავიგონე. მისი თქმით, მესიერ გრანდე ნბირების ხროვასთან ერთად სახლში შემოიჭრა და ყველაფერი გადააქოთა, იძახდა, მნიშვნელოვან კონტრაბანდას — მარილით სავსე ჩემოდანს ვეძებო. თითქოს მისთვის ცნობილი გამხდა-

რა, რომ გუშინ ჩემოდანი აქ შემოიტანეს. ვერაფერი რომ ვერ უპოვიათ, წასულან. ოჯახის ასეთმა შეურაცხყოფამ თავმოყვარეობა შემილახა. და გაცხარებულმა ბატონ დე ბრაგანდინს მიკაშურე. ყველაფერი წვრილად ვუამბე, გააფთრებული ვუმტკიცებდი, რომ ჩემს დიასახლისს სრული უფლება ჰქონდა, შეურაცხყოფისათვის პასუხი მოეთხოვა, რადგან კანონი ყოველ პატრონსან ოჯახს მშვიდად ცხოვრების გარანტიას აძლევდა.

— მარილით სავსე ჩემოდანი მხოლოდ საბაბია, — მითხრა ბატონმა დე ბრაგანდინმა, — ისინი შენ გეძებდნენ. შენმა მფარველმა ანგელოზმა გადაგარჩინა. ახლა კი თავს უნდა უშველო. მე რვა თვე სახელმწიფო ინკვიზიტორად ვიმსახურე და ვიცი, რა მეთოდებით ანხორციელებენ ტრიბუნალის განკარგულებებს. მარილისათვის კარს არ ამტვრევენ. დამიჯერე, შვილო, დაუყოვნებლივ ფუზინაში გაემგზავრე. იქიდან ფლორენციაში გაქუსლე და ჩემი წერილის მიღებამდე იქ იყავი. ფული თუ გჭირდება, ეს ცეხინს მოგცემ. ნულარ დააყოვნებ.

ვუპასუხე, რომ არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია და ამიტომ არც ტრიბუნალის მეშინოდა და ვერც მის რჩევას მივიღებდი. ახლა რომ გავიქცე, ამით ყველას დავანახვებ, რომ მეშინია, ხოლო რაკიღა მეშინია, მაშასადამე დამნაშავეც ვყოფილვარ, რადგან უდანაშაულოს არც სინდისის ქენჯნა აწუხებს და მით უმეტეს, არც შიში-მეთქი.

ამის შემდეგ მთხოვა, რომ იმ ღამეს მასთან მაინც დავრჩენილიყავი, და დღესაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ ამაზეც უარი ვუთხარი: თუ დასაჭერი ვარ, დღისით მაინც დამიჭერენ, შიშისაგან დამალვა კი ნამდვილად არ მინდა-მეთქი.

მაშინ კეთილმა მოხუცმა მითხრა, ალბათ, ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა. მივხვდი, რასაც გულისხმობდა და აღელვებულმა დავაფრცე, ყოჩაღად იყავით, არ მაწყენინოთ-მეთქი. ცრემლმორეულმა გადავკრცნე და გამოვეთხოვე. მისი წინათგრძნობა ახდა: მეტად აღარ შევხვედრილვართ. თერთმეტი წლის შემდეგ გარდაიცვალა.

მისი სახლიდან რომ გამოვედი, გულში შიშის ნასახიც არ მქონდა, მხოლოდ ვალების გამო ვწუხდი. მურანოში მისვლა და მ. მ.-ს ხუთასი ცეხინის წამოღება სინდისმა არ დამანება.

ვამჯობინე, მევალესთან მივსულიყავი და ერთი კვირის განვადება მეთხოვა. ასეც მოვიქეცი. შემდეგ შინ დაბრუნდი, დიასახლისი დავამშვიდე, მის ქალიშვილს ვაკოცე და დასაძინებლად წავედი. 1755 წლის 25 ივლისის გვიანი ღამე იყო.

გამთენიისას ოთახში მესერ გრანდე შემოვიდა და მკითხა, მე ვიყავი თუ არა ჯაკომო კაზანოვა. პასუხიც არ მაცალა და მიბრძანა, რომ მთელი ჩემი ჩანაწერები გადამეცა, ტანთ ჩამეცვა და გავყოლოდი. ვკითხე, ვისი სახელით მოქმედებთ-მეთქი და ტრიბუნალის სახელითო, მიპასუხა მან.

ზარმა დარეკა. ჩაფარი შემოვიდა და მითხრა, რომ ბრძანების თანახმად პიომბოს საპყრობილეში უნდა გადაკეკვანე. გავყევი. გონდოლაში ჩავსხედით. მცირე არხების ხვეულები გავცურეთ და დიდი არხით ცხის სანაპიროზე გავედით. უამრავი კიბე ავიარეთ, ცხისა და დოჟთა სასახლის შემაერთებელ მაღალ ხიდზე გადავედით და გალერეის გავლით, რომელიღაც ოთახში შევედით. იქ ყარაულის უფროსმა პატრიცის სამოსში გამოწყობილ უცნობთან წარმადგინა, მან თავით ფეხამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა და წარმოთქვა:

„სწორედ ის არის. დილეგში ჩასვით".

ეს პიროვნება სახელმწიფო ინკვიზიტორთა მდივანი დომენიკო კავალი იყო. მაშინ მესერ გრანდემ ცხის ზედამხედველს გადამბარა. კიდევ ორი დარაჯის თანხლებით ავედით კიბეზე, გავიარეთ ერთი გალერეა, შემდეგ — მეორე, შემდეგ — მესამე და რკინის კარს მივადექით. დარაჯმა კარი გაიღო და აღმოვჩნდით ვრცელ ბინძურ, აშმორებულ სხვენზე, რომელიც ჩემი საკანი მეგონა, მაგრამ ნურას უკაცრავად — ზედამხედველმა უშველებელი გასაღები აიღო, სქელი რკინით შეჭედილი ნახვრეტიანი კარი გაიღო და შესვლა მიბრძანა. შემდეგ ყველა კარი ერთიმეორის მიყოლებით დაიკეტა და ხმაური მიწყდა.

გულდამძიმებული და გაოგნებული ეუყურებ მკერდის სიმაღლეზე გამოჭრილ გისოსებიან სარკმელს. აქედან საკმარისი სინათლე შემოვიდოდა, სახურავის მზიდ ოთხკუთხა კოჭს რომ არ ღაეჩრდილა. თავდაღუნულმა — ჭერი სულ ხუთნახევარი ფუტის სიმაღლისა იყო — შემოვიარე ჩემი საზარელი სამყოფელი და თითქმის ხელის ცეცებით დავადგინე, რომ ივი

წარმოდგენდა ოცი საჟენის სიგრძისა და ორი საჟენის სიგანის კვადრატს. საკნის მეოთხე კედელი დაცერებული იყო, რაც იმას მოწმობდა, რომ აქ ერთ დროს საწოლი უნდა დგმულიყო. მაგრამ ვერც საწოლი აღმოვაჩინე და ვერც რაიმენაირი დასაჯდომი. არც მაგიდა ჩანდა და არც არანირი დგამი, გარდა ერთი ვარცლისა, რომელიც ბუნებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად იყო განკუთვნილი. კიდევ მივაგენი ერთი ფუტი სიგანის ფიცარს, რომელიც კედელზე ოთხი ფუტის სიმაღლეზე ეკიდა. მასზე დავწყვე ჩემი ლამაზი აბრეშუმის ჰალსტხამი, ბრწყინვალე კოსტიუმი და ესპანური მაქმანით გაწყობილი ფარფლებიანი ქუდი, რომელსაც თეთრი ფრთა ეკეთა. გაუძლისად ცხელოდა. მთელი ჩემი არსება უსაშველო გაოცებას მოეცვა. ერთადერთი ადგილი, სადაც ჩამოყრდნობა და ჩამოსვენება შეიძლებოდა, გისოსებიანი სარკმელი იყო. სამერცხელი არ ჩანდა, მაგრამ ვხედავდი განათებულ სხვენს და შიგ მოთარეშე კურდღლისხელა ვირთხებს. საზიზღარი ცხოველები, რომელთა შესახედაობაც კი შიშის ზარს მცემდა, სულ არაფრად მაგდებდნენ და ზედ გისოსებთან მოდიოდნენ. იმის წარმოდგენაზე, რომ შესაძლოა საკანშიც შემომძვრალიყვნენ, ძარღვებში სისხლი გამეყინა, კარის ჭრილს სასწრაფოდ ჩამოვაფარე შიდა დარაბა, შემდეგ კი ასე გაუნძრევლად ფეხზე მდგომი და გისოსებზე ჩამოყრდნობილი შავბნელ ფიქრებში ჩავიძირე.

ოცდაერთმა საათმა ჩამორეკა. მოუსვენრობამ შემიპყრო. არავინ მაკითხავდა, არც საჭმელს მაწვდიდნენ, არც საწოლი მოჰქონდათ, არც სკამი, ცარიელი პური და წყალიც კი არ შემოუთავაზებიათ. ჭამის მადა არ მქონდა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს მათ არ უნდა სცოდნოდათ. მაინც ვერ ეკარგავდი იმედს, რომ მზის ჩასვლამდე ვინმე უსათუოდ გამოჩნდებოდა. მხოლოდ მაშინ, როცა [illegible] საათის რეკვა გავიგონე, შლეგივით ავლრიალდი, კაოებს ხიხლები დაკცხე და ლანძღვა-გინება მოვართე. ერთ საათს ასე გაფთრებული ვბღაოდი, მაგრამ არავინ გამომხმაურებია და არც იმის რაიმე ნიშანი იყო, რომ ჩემი ხმა ვინმეს ესმოდა. ამიტომ გისოსებიანი სარკმელიც დავხურე, რომ ვირთხები არ შემომხტომოდნენ, თავზე ცხვირსახოცი წავიკარი და იატაკზე გავიშიმე.

არ ვიცოდი, რითი დავიმსახურე ასეთი სასტიკი მოპყრობა. თავისუფალი მოაზროვნე ვიყავი, ყველაფერს გაბედულად ვამბობდი და მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ვფიქრობდი, ამ-სგამო კი დამნაშავედ თავის მიჩნევა ნამდვილად არ შემეძლო. მაგრამ ვხედავდი, რომ ბოროტმოქმედსავით შეპყრობოდნენ, მკითხველს თავს არ შევაწყენ იმის აღწერით, რასაც მრისხანებით, სასოწარკვეთილებით, აღშფოთებით შეპყრობილი ჩემს დამთრგუნველ საშინელ დესპოტიაზე ვფიქრობდი და ხმამაღლა წარმოვთქვამდი. მაგრამ ვერც დაუძლეველმა ბოლმამ, ვერც გულისმომწყვლელმა სევდა-ნაღველმა, ვერც მაგარმა იატაკმა ჩაძინებაში ხელი ვერ შემიშალა: ჩემი ორგანიზმი ძალების მოკრეფას ითხოვდა, ხოლო როცა ეს ორგანიზმი ახალგაზრდა ჯანმრთელ კაცს ეკუთვნის, მას შეუძლია გონების მონაწილეობის გარეშე მოიპოვოს ყველაფერი, რაც სჭირდება.

შუაღამის ზარმა გამაღვიძა. მთელი საში საათი გასულიყო, მე კი, ჩემდა გასაოცრად, მკედარივით მძინებია. ადგილის მოუცვლელად, ისევე, როგორც ვიწექი, გავწიე ხელი ცხვირსახოცის ასაღებად, რომელიც, როგორც მახსოვდა, სადღაც ახლოს დავდე. ირგვლივ მოვაფათურე და ეცემ — ღმერთო ჩემო! — მეორე ხელს შევეფეთე! ყინულივით ცივი იყო! თავით ფეხამდე ზაფრამ დამიარა. თმა ყალყზე დამიდგა. ჩემს დღეში ასეთი შიში არ განმიცდია და არც მეგონა, თუ ოდესმე განვიცდიდი. მთელი საში თუ ოთხი წუთის განმავლობაში განძრევა კი არა, ფიქრიც კი ვერ შევძელი. ოდნავ გონს რომ მოვეგე, საკუთარ თავს მოწყალედ მივეცი იმის ვარაუდის უფლება, რომ ხელი, რომელსაც თითქოს შევეხე, მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი. ამაში მტკიცედ დარწმუნებული ისევ იქით ვიწევ და იმავე ხელს ვაწყდები, თავზარდაცემული ვბღუჯავ და განწირულს ყვირილით ვუშვებ, კანკალი მიტანს, მაგრამ ახრებს თავს ვუყრი და ვასკვნი, რომ სანამ მეძინა, ჩემს გვერდით ვიღაცის გვამი დაუდეთ. კარგად მახსოვდა, რომ იატაკზე დაწოლისას აქ არაფერი არ იყო. ჩემს წარმოსახვას მაშინვე წარმოუდგა ვიღაც უდანაშაულო საბრალო კაცი, იქნებ ჩემი მეგობარიც კი, რომელიც დაახრჩვეს და გვერდით მომიწვინეს, რათა გაღვიძებულს საკუთარი თვალით მენახა, თუ რა მელოდა. ამ აზრისაგან სიშმაგემ მომიარა.

მესამეჯერ ვიწვდი ხელს, ისევ ებღუჯავ მკვდარს და წამოდგომას ვცდილობ, რათა ჩემკენ მოვიზიდო და ამ საშინელებაში დავაწმუნდე, მაგრამ როგორც კი იდაყვზე დაყრდნობას ვინდომებ, ის უსიცოცხლო ხელი, ჩაბღუჯული რომ მქონდა, უცებ ცოცხლდება, ინძრევა და იმავ წამს, ჩემდა გასაოცრად, ვხვდები, რომ მარჯვენა ხელით ჩემივე მარცხენა მიჭირავს, რომელიც ესოდენ „ფუმფულა“ ლოგინის წყალობით მთლად დამბუჟებოდა და შეგრძნებისა და მოძრაობის უნარი წართმეოდა.

საკვირო შემთხვევა იყო, მაგრამ სიცილის გუნებაზე სულაც არ გახლდით პირიქით, ამ ამბავმა შავზე შავი ფიქრები წამომიშალა. შურისძიების ჟინითაც ავევნთე და წარმოვიდგენე, რომ ამბოხებული ხალხის წინამძღოლი ვიყავი, მთავრობას ვამხობდი და არისტოკრატებს ვანადგურებდი. ყველას და ყველაფერს დაუნდობლად ვსრესდი და ვფქვავდი, ჩემი ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გამთელავთა ჯალათებისათვის გადაცემასაც არ ვკმარდებოდი და თვითვე ვაყენებდი სიკვდილს ტანჯვებს. ასეთი ადამიანები: მას ფიქრადაც არ მოსდის, რომ ეს გონიერების კი არა, მრისხანების ენაა.

როგორც იქნა, ეს გაქვავებული სიჩუმე ცხრის ნახევარზე დერეფნებში რაზების ელრიალმა დაარღვია. ჩემი საკნის გისოსებს ზედამხედველი მოადგა და მკითხა, მეყო თუ არა დრო იმის მოსაფიქრებლად, სადილზე რას ვინებებდი. დიდი ბედნიერებაა, როცა უმდაბლესი პირუტყვის თავხედობა ირონიითაა შეზავებული. ვუპასუხე, რომ მსურდა ბრინჯის წვნიანი, ალაქონლის მოხარშული ხორცი, ტაფამწვარი, პური, წყალი, და ღვინო. ეს ბრიყვი აშკარა საყვედურებს ელოდა და რომ ვერ მოისმინა, გაუკვირდა. წავიდა, მაგრამ ერთ საათში მობრუნდა და გაოცებულმა მკითხა, თუ რატომ არ ვითხოვდი ლოგინს და სხვა ამისთანა საჭირო რამეებს.

— თუ იმის იმედი გაქვთ, რომ აქ სულ ერთი ღამით ჩაგიყენებს, ძალიან ცდებით, — განმიცხადა მან.

მაშინ მომიტანეთ ყველაფერი, რაც აუცილებლად მიგაჩნიათ.

— მე საიდან მოგიტანოთ? აი, ქაღალდი და ფანქარი. ჩამოწერეთ რა გნებავთ.

დავუწერე, თუ საიდან უნდა მოეტანა ლოგინი, პერანგები,

წინდები, ხალათი, საშინაო წაღები, ღამის ჩაჩები, სავარძლები; მაგიდა. საკარცხლები, სარკეები, სამართებლები, ცხვირსახოცები, ჩემი წიგნები, მესერ გრანდემ რომ წაიღო, საწერკალამი, მელანი და ქაღალდი. ეს რომ წავუკითხე, — თვითონ უწიგნური იყო, — წიგნები, მელანი, ქაღალდი, სარკე და სამართებელი ამომაშლევინა, რადგან პიომბის წესებით მათი ქონა აკრძალული იყო, და ჩემთვის სადილის საყიდელი ფული მთხოვა. სამი ცალი მქონდა და ერთი მივეცი.

შუადღეზე ზედამხედველი და ხუთი დარაჯი მოვიდნენ, ჩემი ჯურღმული გაალეს და საწოლი და სადილი შემოიტანეს. საწოლი ნიშაში დადგეს, სადილი — მაგიდაზე, და ერთი ძველის ყოვლიც დამიტოვეს. ლითონის საგნები აკრძალული იყო.

— ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, — მითხრა ზედამხედველმა, — ღრმად პატივცემულმა მდივანმა მიბრძანა გადმოგცეთ, რომ თქვენი დასახელებული წიგნები აკრძალული გახლავთ და ამიტომ იმას გამოგიგზავნით, რაც ნებადართულია.

— გადაეცით ჩემი დიდი მადლობა, რომ პატივი დაგდო და ამ დარბაზში მარტოდ მომათავსა.

— გადავცემ, მაგრამ დაცინვა არ გეკადრებათ.

— სულაც არ დაგცინი. ჩემი აზრით, ვილაც ავაზაკებთან ერთად ცხოვრებას მაინც მარტო ყოფნა სჯობს.

— ავაზაკებთან? რას ბრძანებთ, ბატონო! აქ წესიერი ადამიანები სხედან, რომლებიც მხოლოდ მისი აღმატებულებისათვის ცნობილ მიზეზთა გამო საზოგადოებას ჩამოაშორეს. მარტოდმარტო იმიტომ მოგათავსეს, რომ უფრო მკაცრად დაისაჯოთ და ამისათვის მადლობის თქმა გსურთ?

— ეს არ ვიცოდი.

ამ რეგვენის სიმართლეში რამდენიმე დღის შემდეგ დავრწმუნდი. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ადამიანი, რომელიც ნახევრადბნელ დილეგში მარტო ჩაკეტეს და კაცშვილს ვერ ხედავს, გარდა იმისა, ვისაც დღეში ერთხელ საჭმელი მოაქვს, ადამიანი, რომელიც წესიერად წელში ვერ გამართულა და ბაკანში მოკუნტული დადის, ადამიანი, რომელსაც ყოველგვარი საქმიანობის საშუალება წაართვეს — მოკვდავთა შორის უუბედურესი არსებაა. ოღონდ კი სხვა ადამიანების საზოგადოებაში აღმოჩნდეს და თვით ჯოჯოხეთზეც კი ეარს არ იტყ-

ეს. დროთა განმავლობაში იქამდეც კი მივედი, რომ სიხარულით შევხვდებოდი მკვლელს, გიჟს, კეთროვანს. და თუნდაც სადილს, ოღონდაც კი გვერდით ვინმე სულიერი მყოლოდა. მ. გრამ ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც განუცდია.

ზედამხედველი რომ წავიდა, მაგიდა კარის ჭრილთან მივაჩოჩე, რომ ოდნავი სინათლე მაინც მოხვედროდა, დავჯექი და სადილობა დავაპირე, მაგრამ მხოლოდ ცოტაოდენი წვნიანი მოვხვრიპე: ავად ვიყავი და ეს არც იყო გასაკვირი. ორმოცდაბუთი საათის განმავლობაში პირში ლუკმა არ ჩამსვლია. მთელი დღე საკარეველში მჯდომარემ გავატარე. უკვე ბრაზს არ ვგრძნობდი და ხვალისათვის შეპირებული წიგნების მოლოდინში გულს ვიმშვიდებდი. ღამით ვერ დავიძინე. სხვენზე ვირთხები ფხაკურობდნენ, ხოლო წმ. მარკოზის ტაძრის საათი ყოველ საათში ისე რეკავდა, თითქოს ყურის ძირში მეკიდა. და კიდევ, საშინლად ვიტანჯებოდი ერთი გარემოების გამო, რაზეც ჩემს მკითხველს, ალბათ, წარმოდგენაც არა აქვს: ჩემს სისხლსა და ხორცს დახარბებული მილიონობით რწყილი უსასტიკეს გააფთრებით მკბენდა და სისხლს მწოვდა. წყეულ მწერებს კრუნჩხვებამდე მივყავდი.

იმავე დღეს ცეგ-ცხელება დამეწყო. ფეხზე ველარ ვდგებოდი და ლუკმას ვერ ვყლაპავდი. მეორე დღეს ლორენცომ (ასე ერქვა ჩემს ზედამხედველს), ისევ ხელუხლებელი სადილი რომ ნახა, მკითხა, თავს როგორ გრძნობო.

— შესანიშნავად.

— ტყუით, ბატონო. თქვენ ხომ ლუკმაც არ გადაგიყლაპავთ. ავად ბრძანდებით, და ტრიბუნალის დიდსულოვნებაშიც მალე დარწმუნდებით — უფასოდ გიმკურნალებენ.

სამი საათის შემდეგ ლორენცო მოვიდა და ვიღაც გაბღენძილი პიროვნება მოიყვანა. მკურნალმა გამსინჯა და თხუთმეტ წუთში ყველაფერი გაარკვია.

— თუ განკურნება გსურთ, ნაღველი უნდა გადაიყაროთ, — მითხრა მან, — თავისი ხელით მომიმზადა რაღაც უცნაური, ლიმონათის მაგვარი სასმელი, ხშირხშირად სვიო, დამიბარა და წავიდა. ღამით დამეძინა და ათასგვარი მისტიკური აბდაუბდა მესიზმრა.

მკურნალმა ამის შემდეგ კიდევ ოთხჯერ მინახულა და ფეხზეც დამაყენა. ჭამის მადაც დამიბრუნდა და სექტემბრის დამდეგს სავსებით გამოვჯანმრთელდი. ლორენცომ ნება დამრთო, რომ ვიდრე საკანს დაალაგებდნენ, ხულ-პირის დასაბანად სხვენზე ავსულიყავი. ეს ნამდვილი წყალობა იყო. ამ რვა-ათი წუთის განმავლობაში სხვენზე გამალებულ ბოლთას ვცემდი და დაფეთებული ვირთხები ფართხაფურთხით შერბოდნენ სორროებში.

ასე ვცხოვრობდი და ვცოდვილობდი. ყოველ ღამით იმის იმედით ვიძინებდი, რომ ხვალ აუცილებლად მოვიდოდნენ და მეტყოდნენ, თავისუფალი ხარო. მაგრამ ჩემი იმედები არ მართლდებოდა. მაშინ დიდი განსჯის შემდეგ ივ დასკვნამდე მივედი, რომ, ალბათ, გარკვეული ვადა მქონდა მისჯილი და პირველი ოქტომბრისათვის, როცა ტახტზე ახალი ინკვიზიტორები ავიდოდნენ, აუცილებლად გავთავისუფლდებოდი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩემი ტუსაღობა იმდენ ხანა გასტანდა, რამდენსაც ახლანდელი ინკვიზიტორების ძალაუფლება გაგრძელდებოდა. ასეთი მსჯელობა უნაკლოდ მეჩვენებოდა, რადგან ბუნებრივი იყო. მაგრამ პიომბოში, სადაც ყველაფერი ბუნების საწინააღმდეგოდ ხდება, ეს ძალიან უხეირო დასკვნა გახლდათ. წარმოვიდგინე, რომ ინკვიზიტორებმა ჩემი უდანაშაულობა და საკუთარი უსამართლობა უკვე აღიარეს და აქ მხოლოდ იმიტომ მაჩერებდნენ, რომ მათ კეთილ საბელს ჩრდილი არ მისდგომოდა. მჯეროდა, რომ მათი მმართველობის დასრულებისთანავე გამიშვებდნენ. მაგრამ ჩემი მოსაზრებები ტრიბუნალს ჩირად არ ულირდა, რადგან იგი ამქვეყნად არსებულ არც ერთ ტრიბუნალს არ ჰგავდა. როცა ჩვენი ტრიბუნალი ბრალდებულის წინააღმდეგ პროცესს იწყებს, წინასწარაა დარწმუნებული, რომ ის დამნაშავეა. მაშინ რა საჭიროა მასთან ზედმეტი ლაილაი? ტრიბუნალის განაჩენთან ბრალდებულს რა ესაქმება, რატომ უნდა ეუწყოს? მისჯილის თანხმობა რა საჭიროა? ამბობენ, ჯობს იმედი დავუტოვოთ. იმით, რომ მისჯილს განაჩენი ეცოდინება, მისი საპყრობილეში ყოფნის ვადა ხომ მაინც არ შემცირდება. ბრალდებული მხოლოდ სამუშაო მექანიზმია და მისი საქმეში ჩარევის არავითარი საჭიროება არ არსებობს. ის არის ლურსმანი, რომელსაც

ფიცარში ჩასაჭედებლად ჩაქუჩი უნდა ხეთქო. მორჩა და გათავდა.

იმ დღეებში ერთი უჩვეულო მოვლენის წყალობით მივხვდი, თუ რა საეჭვალო მდგომარეობაში ვიმყოფებოდი.

ხვენში ვიდექი და სამერცხულს შევყურებდი. მზერას უხარმაზარი კოპი მიღობავდა. ის იყო, ლორენცო თავის ორ ჩაფართან ერთად დილეგიდან გამოდიოდა, რომ უცებ ლავინახე; კოპი კი არ შექანდა, არამედ მარჯვნივ შეტრიალდა და მაშინვე თავის ადგილს დაუბრუნდა. ამასთანავე, წონასწორობაც დავკარგე და მივხვდი, რომ ეს მიწისქვეშა ბიძგის ბრალი იყო. გაოცებულმა დარაჯებმაც თქვეს, მიწა იძრაო. ამ ბუნებრივი მოვლენით გახარებული გავიტრუნე, მაგრამ როცა ხუთი თუ ექვსი წამის შემდეგ ბიძგები განმეორდა, თავი ველარ შევიკავე და ვიღრიალე: „კიდევ ერთხელ, კიდევ, დიდი ღმერთო, ოღონდ უფრო მძლავრად". ჩაფრებმა ჩემი სიტყვები ცოდვილისა და მკრეხელის ბოდვად მიიჩნიეს და დაზაფრულებმა მოკურცხლეს. მოგვიანებით, ჩემს საქციელს რომ ჩავუფიქრდი, მივხვდი, რომ ამ სიტყვებს თავისუფლების მოპოვების იმედით გავყვიროდი — იქნებ დოეთა სასახლე დანგრეულიყო და მე ცოცხალსა და საღსალამათს პირდაპირ წმ. მარკოზის მოედნის ქვაფენილზე მომედინა ტყაპანი. ასე იწყებოდა ჩემი გაგიჟება. ბიძგები კი იმ საშინელი მიწისძვრისა იყო, მაშინ ლისაბონი რომ გააცამტვერა.

თუ მკითხველი წინასწარ არ მოვამზადე და იქაურობა არ აღვწერე, ვერ გაიგებს, თუ როგორ მოვახერხე ამ ჯოჯოხეთიდან თავის დაღწევა. ეს ციხე ვანკუთვნილია სახელმწიფო დამნაშავეთა დასამწყვდევად და ზედ დოეთა სასახლის ხვენზეა ქოწყობილი. სასახლის სახურავი შიფერით ან კრამიტით კი არ არის დაფარული, არამედ ტყვიის სქელი ფურცლებით. აქედან წამოდგება ციხის სახელწოდებაც — პიომბი, ანუ ტყვიისა. იქ შესვლა მხოლოდ სასახლის კარიბჭიდან, ანდა, როგორც მე გამომატარეს, ციხის მთელი შენობის გავლით შეიძლება. პიომბოში ისე ვერ შეაღწევ, სახელმწიფო ინკვიზიტორთა დარბაზი თუ არ გაიარე. მისი გასაღები მდივანთან ინახება.

ციხის საკნები ზევით, სასახლის საპირისპირო მხარესაა

განლაგებული. სამი, მათ შორის ჩემი საკანიც, დასავლეთის უყურებდა, ოთხი — აღმოსავლეთს. ჩემი დილეგის იატაკი ზუსტად ინკვიზიტორთა დარბაზის თავზე იყო.

ეს ყოველივე ჩემთვის კარგად იყო ცნობილი, ამიტომ დიდი ფიქრის შემდეგ მივუბრუნდი, რომ ხსნის ერთადერთი გზა იატაკში ხვრელის გაჭრა იქნებოდა. ამას კი ხელსაწყოები სჭირდებოდა, მაგრამ იქ, სადაც გარე სამყაროსთან არავითარი ურთიერთობა არ არსებობს და სადაც არც მონახულება და არც მიმოწერა ნებადართული არ არის, ხელსაწყოების მოპოვება ოდენ საქმე როდი გახლდათ. ჩაფრების მოსაქრთამაი ფული არ გამაჩნდა და ამიტომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავეყრდნობოდი. მედილეგე და მისი ორი დამქაში იმდენად სულკრძალნი რომ აღმოჩენილიყვნენ, თავის ჩამოხრჩობის უფლება მოეცათ, მაინც რჩებოდა ერთი ჩაფარი, რომელიც ტალანის კარს დარაჯობდა და თავის ამხანაგსაც კი მხოლოდ პაროლზე უღებდა. თავში ხულ გაქცევის ფიქრი მიტრიალებდა. დარწმნებული ვიყავი, რომ თუ ტვინს კარგად გავანძრევდი, საშველი უსათუოდ მოიძებნებოდა, ამიტომ დღედაღამ თავს ვიმტვრევდი. მუდამ ვჯეროდა, რომ თუ ადამიანი რაიმეს გონიერებასავს და გამუდმებით მის განხორციელებაზე იფიქრებს, ათასგვარი დაბრკოლების მიუხედავად, საწადელს აუცილებლად მიაღწევს.

სხვენში გასეირნებანი ჩემი ჯანმრთელობისთვისაც ძალიან სასარგებლო გამოდგა და ჩემი გუვერნანტისთვისაც, რომელიც გონებაში საბოლოოდ მხოლოდ თერთმეტი თვის შემდეგ ჩამოყალიბდა. ვერთხების ამ საუფლის კუთხეში ორი სკივრი აღმოვაჩინე, რომელთა ირგვლივ უამრავი ხარახურა ეყარა და რეუელების დიდი გროვა იყო აღმართული. თავის შესაქცევად ათი-თორმეტი ცალი ავიღე. მათში ბოროტმოქმედთა სასამართლო პროცესები იყო აღწერილი. საკმაოდ საინტერესო საკითხავი აღმოჩნდა, რადგან, ეტყობა, ეს ყველაფერი თავის დროზე დიდ საიდუმლოებას წარმოადგენდა და სხვათათვის ხელმიუწვდომელი იყო. ხარახურაში ვიპოვე მათბერი, ქვაბი, ქარცახი, მაშა, ძველი შანდლები, თიხის ქოთნები და ოყნა. გავიფიქრე, ალბათ, რომელიმე საპატიო ტუსაღის კუთვნილი ნივთებია-მეთქი. რაღაც ურდულს. მსგავსი საგანიც ვიპოვე —

ნახევარი ფუტის სიგრძის ლავლებით სწორი, ნეკის სისხო რკინის წკნელი. არაფრისათვის ხელი არ მიხლია — რაიმეს ამორჩევის დრო ჯერ არ დამდგარიყო. ერთ-ერთ სკივრში კარგი ქალალდები, საქალალდეები, ბატისფრთის კალმები და ბაფის ეორგლები ეყარა. მეორე დაკეტილი აღმოჩნდა. ჩემი მზერა ერთი დუმის სიტყის შავი მარმარილის ნაჭერზე შეჩერდა, ყოველი შემთხვევისათვის ავიღე და საკანში დავმალე.

ერთ დღეა ლორენცომ მაცნობა, რომ შესაძლო იყო საკანში ამხანაგი გამჩენოდა. ისიც მითხრა, რომ ვიაი ახრით, ამიერიდან სტეფანიც ხშირად მომიკიდოდა. ექვს სხვა დილეგში თურმე ორ-ორი კაცი იჯდა, ისინი, გისაც ოთხიანში ვერ მოათავსებდნენ. ოთხიანებში სულ სხვადასხვა ჯერის ავაზაკები ისხდნენ, რომლებსაც განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდათ, თუმცა ამის შესახებ თავად არაფერი იცოდნენ. პიომბოში დამწყვდეულები კი ყველანი ჩემსავით ღირსეული ადამიანები იყვნენ და ბრალი ისეთ რამეებში ედებოდათ, რომ თვით ეშმაკიც კი ვერ გამოიცნობდა.

— რომ იცოდეთ, ბატონო, როგორი მეგობრები გყავთ, აი,... გაგიკვირდებათ პირდაპირ... ხომ მართალს ამბობენ, რომ ჭკვიანი კაცი ბრძანდებით... ე... ე... მაპატიეთ... იცით... მარტო ჭკუაც საკმარისი არაა იმისათვის, რომ აქ ჩაგავან... ხომ გესმით ჩემი... დღეში ორმოცდაათი სოლდო! ეს ხუმრობა საქმე არ გახლავთ, უბრალო მოქალაქეს სამ ლირას უხდიან, თავადს — ოთხს, ხოლო უცხოელ გრაფს — რვა ლირას. ჩემზე უკეთ ვინ იცის ეს ამბავი... ყველანი ჩემს ხელში გადიან...

შემდეგ კი ასეთი რამეც მითხრა:

— მერწმუნეთ, ბატონო, ვინც აქ პირველად მოხვდება, სუყველა თქვენს საკანს გამოიცლის. ცოტა ხნით, მაგრამ აუცილებლად აქ შემოიყვანენ. იმიტომ, რომ მდივანი, როგორც კი მათგან ყველაფერს შეიტყობს, მაშინვე ოთხიანში გადაიყვანს, ან რომელიმე სხვა ციხეში, ან კიდევ სადმე... ტრიბუნალის მოწყალება უსაზღვრო და უმაგალითოა, ჩემო ბატონო... ამქვეყნად სხვას ვერავის იპოვით, რომ ტუსაღებს ასე ლმობიერად ეპყრობოდეს... ვილაცეებს მიაჩნიათ, რომ ტუსაღებისათვის მიმოწერისა და მნახველებთან ურთიერთობის აკრძალვა დიდი სისასტიკეა, მაგრამ ამას ბრიყვები ამბობენ, რადგანაც

წერა და ვიზიტები დროის უქმი ხარჯვაა და მეტი არაფერი. თქვენ მეტყვით, ამ საკანში სხვა რა საქმე მაქვსო, მაგრამ ჩვენ, დანარჩენებს, ხომ გვაქვს საკეთებელი?.

დაახლოებით ასე მმოძღვრავდა ეს რეგვენი; სიმართლე გარეხრათ, გვარიანადაც მართობდა, მაგრამ მივხვდი, მეტი ჭკუ- რომ ჰქონოდა, უფრო ბოროტიც იქნებოდა. გადავწყვიტე, მისი სიბრიყვე ჩემს სასარგებლოდ გამომეყენებინა.

მეორე დღეს ამხანაგი მართლა მომიყვანეს. გულთბილად შეეგებე და მანაც დიდის მოწიწებით დამიკრა თავი. ეტყობა, ესოდენი პატივი ჩემს ახოვანებაზე უფრო მეტად გრძელი წვერის გამო მომაგო, რომელიც ამასობაში ოთხ დეიმზე ჩამომეზარდა. ლორენცო ფრჩხილების დასაჭრელად მაკრატელს ხშირად მაძლევდა, მაგრამ წვერის შეკრეჭისათვის სასტიკი სასჯელი მელოდა. ადამიანი თურმე მართლაც ყველაფერს ეგუება.

ახალმოსული ორმოცდაათამდე წლის, მხრებში ოდნავ მოხრილი, გამხდარი კაცი იყო. ჩემი სიმაღლის იქნებოდა, დიდი პირი, მსხვილი, ჩაკანგული ღაჯლები, წვრილი ჭროღა თვალები და მწითური წარბები ჰქონდა. თავზე მრგვალი, ზეთით გაპოხილი შავი პარიკი ეკეთა და ტანში მაუდის ნაცრისფერი კოსტიუმი ეცვა. სადილზე დამეწვია, მაგრამ ძალიან ფრთხილობდა და მთელი დღის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. მის მაგალითს მეც მივბაძე. მაგრამ მეორე დღეს სხვანაირად იქცეოდა. დილით საკუთარი ლოგინი მოუტანეს. მედილეგემ სადილის სასყიდელი ფული სთხოვა და ჰკითხა, რის მირთმევას ისურვებდა.

— ფული არა მაქვს, — უთხრა პატიმარმა.

— ასეთ მდიდარ კაცს ფული არა გაქვს?

— ერთი სალდოც არ მაბადია.

— შესანიშნავია. მაშინ ნახევარ ფუნტ ორცხობილასა და ერთ ქოთან საუკეთესო წყალს მოგართმევთ, როგორც წესია.

დანაპირები მოუტანა და წავიდა. მარტონი დავრჩით. მან მწარედ ამოიოხრა.

— ნუ ოხრავთ, ბატონო. ერთად ვისადილოთ. მაგრამ მგონია, დიდი შეცდომა მოგივიდათ, აქ რომ უფულოდ მოხვედით.

— ფული კი მაქვს, მაგრამ ამ მტაცებლებმა რატომ უნდა გაიგონ.

— კარგი გონიერება კია, თუ ამის გამო ცარიელ წყალსა და ხმელ პურზე დარჩებით. ნება მიბოძეთ, გკითხოთ: ცნობილია თუ არა თქვენთვის დატუსაღების მიზეზი?

— დიახ, პატონო, ცნობილია, და თქვენც რომ იცოდეთ, ჩემს ამბავს მოკლედ მოგიყვებით.

ზგუალდო ნობილის (ასე ერქვა ჩემს თანამოსაკნეს) ნაამბობიდან შევიტყვე, თუ რა ნაძირალას გადამყარა ბედმა და რა დიდი პატივი დამდო ამ არამზადამ, როცა თავის მსგავსად მიმიჩნია და ჩემში ისეთი ადამიანი დაინახა, რომელიც მის ინტერესებს აღტაცებაში უნდა მოეყვანა. ოთხი დღის შემდეგ ლორენცომ მოაკითხა და მდივანი გიბარებსო, უთხრა. ჩემი ფეხსაცმელი ჩაიცვა და ლორენცოს გაჰყვა, ნახევარი საათი შემდეგ კი აცრემლებული დაბრუნდა, თავისი ფეხსაცმელიდან ასი ორმოცდაათი ცეხინი ამოიღო და ლორენცოს თანხლებით მდივანს წაუღო. შემდეგ დაბრუნდა, ჩოსალხამი აიღო და წავიდა. ჩოგვიანებით ლორენცომ მითხრა, პანლურის კვრით გააგდესო. მეორე დღეს მის ხაბაკს მოაკითხეს. ახლაც შეგონია, რომ მდივანმა წამების მუქარით გამოტეხა, ფული რომ ჰქონდა.

1756 წლის პირველ დღეს საახალწლო საჩუქრები მივიღეთ: ელიის ბეწვიანი ხალათი, აბრეშუმის დაბამბული საბანი, დათვის ტყავის ფეხსაცმელი: აგვისტოში ხომ აუტანელი ხვატი იდგა, ახლა კი არანაკლებ აუტანლად ყინავდა. ლორენცომ მითხრა, რომ მდივნის ბრძანებით გაზეთებისა და წიგნების საყიდლად თეკში აქვსი ცეხინი უნდა გამეღო. საჩუქრები კი ბატონ დე პრაგანდინს გამოეგზავნა. ლორენცოს ფანქარი გამოვართვი და ქალალდის ნაკუწზე დავწერე: „მადლობა ტრიბუნალს თანაგრძნობისათვის და ბატონ დე პრაგანდინს — ალალი ნებისათვის".

მხოლოდ ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანი თუ გაიგებს, როგორი გრძნობები დამეუფლა. გულაჩუყებულმა ჩემს ჯალათებს ყველაფერი ეპატიე და გაჭცევაზე ფიქრსაც ... ეკარებოდი. ... თვინიერია. დათრგუნული და დამცირებული ... ...

ერთ დღეს სხვენზე სეირნობისას ნაპოვნი გრძელი ურდულ-ი მაინც ავიღე, რადგან მივხვდი, რომ შეიძლება თავდაცვისა და თავდასხმის იარაღად გამომდგომოდა, წამოვიღე და მარმარილოს ნატეხთან ერთად საკანში ტანსაცმლის ქვეშ დავმალე. მარტო რომ დავრჩი, ურდულის ბოლო მარმარილოზე დიდხანს ვხეხე და დავრწმუნდი, რომ საუკეთესო სალესი ქვა მქონდა.

ამ საქმეში გამოუცდელი ვიყავი და ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, თან სასტიკად აკრძალული საგნის მოპოვების იმედიც მაგულიანებდა და ყოველგვარი ხელსაწყოს გამოუყენებლად იარაღის დამზადების პატივმოყვრული სურვილიც მამოძრავებდა. ურდულს სიბნელეში ვხეხავდი, მკერდის გასწვრივ, ქვის დასამაგრებელი ერთადერთი მოწყობილობა საკუთარი მარცხენა იყო, არც ზეთი გამაჩნდა, რომ რკინაზე წამესვა და ხეხვა გამოლებოდა. ამიტომ ნელწყვეტ ვასველებდი. მაგრამ ორ კვირაში რვა წაბნაგი მაინც გამოვჩარხე, და ბოლოში საუცხოო წვეტითაც დავაგვირგვინე. ისეთი დახვეწილი ფორმების მქონე რვაკუთხა ხანჯალი გამოვიდა, რომ უკეთესს კარგი მჭედელიც ვერ გამოკვერავდა. იმის წარმოდგენაც შეეძლებელია, რა ტანჯვა-წვალება გადავიტანე და როგორი მოთმინების გამოჩენა დამჭირდა ამ ჯოჯოხეთური საქმეების შესასრულებლად. მაჯვენა ხელს ვეღარ ვამოძრავებდი, მგონი მხარიც ამომივარდა. როცა ბებერები დამისკდა, ხელისგული ერთ მთლიან წყლულად მექცა, მაგრამ აუტანელი ტკივილის მიუხედავად თავს არ ვანებებდი. მინდოდა, რომ სრულყოფილი იარაღი მქონოდა.

ჩემი საამაყო ქმნილება საკვირველის თავაში ისე კარგად ჩავმალე, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებდა. ასე მამზადებდა უფალი ციხიდან გასაქცევად, რაც სასწაული თუ არა, გაოცების ღირსი საქციელი მაინც იყო. ვალიარებ, რომ ვამაყობ ჩემი გმირობით, მაგრამ არა იმიტომ, რომ გაქცევა მართლა შევძელი, - ამ ამბავში შემთხვევითობასაც ლომის წილი უდევს — არამედ იმიტომ, რომ ამის განხორციელება შესაძლებლად ჩავთვალე და ჩანაფიქრის ბოლომდე მისაყვანად ასეთი ნებისყოფა და სიმტკიცე გამოვიჩინე.

სამი თუ ოთხი დღე იმაზე ვფიქრობდი, თუ როგორ გამო-

ჰეყენებიწა ჩემი იარაღი. ბოლოსდაბოლოს დავრწმუნდი, რომ ერთადერთი გზა მქონდა: საწოლქვეშ იატაკი უნდა გამეხვრიტა.

ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემს ქვემოთ მდივნის ოთახი იყო, რომელსაც ყოველ დღე აღებდნენ. იმაშიც დარწმუნებული ვიყავი, რომ როცა ხვრელი მზად იქნებოდა, ქვევით ადვილად ჩავძვრებოდი — ზეწრებისაგან თოკის მაგვარ რაიმეს დავგრეხდი, საწოლის ფეხს გამოვაბამდი და ჩავეშვებოდი. იქ ტრიბუნალის დიდი მაგიდის ქვეშ დავიმალებოდი და დილით, როგორც კი დავინახავდი, რომ კარი ღია იყო, ოთახიდან გავიდოდი და საშველი ადგილას დავიმალებოდი. შესაძლოა ლორენცოს იმ ოთახშიც დარაჯი ეყენა და მაშინ ჩემი იარაღით მისთვის ყელი უნდა გამომელადრა. ყველაფერი გათვლილი მქონდა, მაგრამ შესაძლოა, იატაკი ორმაგი ან სამმაგიც კი ყოფილიყო, ალბათ შვმთხვევაში კი საქმეს ორი-სამი თვე მაინც დასჭირდებოდა. ძალიან გაჭირდებოდა რაიმე საბაბის გამოძებნა იმისათვის, რომ ჩაფრებს საკანი ამდენი ხნის განმავლობაში არ დაელაგებინათ. გამოვეა რომ დამეწალა, ეჭვები აღეძვრებოდათ, რადგან აქამდე, რწყილებისაგან შეღონებული, სულ საკნის დასუფთავებას მოვითხოვდი. ცოცხი ხვრელს თავისით მიაგნებდა, ამიტომ ყველაფერი უნდა მეღონა საიმისოდ, რომ ეს უბედურება თავიდან ამეცილებინა.

ჯერჯერობით კი ჩემი საკნის დალაგება ყოვლად უმიზეზოდ ავკრძალე. რვა-ათი დღის შემდეგ ლორენცომ მკითხა, რატომ არ ვანებებდი ჩაფრებს საკნის დასუფთავებას, და ვუპასუხე, იატაკიდან ამდგარი მტვერი ფილტვებში ჩამდის და შეიძლება ტუბერკულიოზი ავიკიდო-მეთქი.

— იატაკზე წყალს მოვასხამთ, — გამოსავალი შემომთავაზა მან.

— არავითარ შემთხვევაში. სინესტისაგან სისხლჭარბობა დამემართება.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ საკნის დალაგება მაინც ბრძანა, საწოლი გარეთ გაატანინა და საკანში სანთელი აანთო, რათა ყველა კუთხე-კუნჭული კარგად გამოჩენილიყო. მივხვდი, რომ რაღაცას ეჭვობდა, მაგრამ სრული გულგრილობა გავითამაშე. სწორედ მაშინ მომივიდა აზრად ჩემი ჩანაფიქრის

განმტკიცების ერთი საშუალება: მეორე დილით თითი გავიჭერი, ცხვირსახოცი სისხლით გავთხუპნე, ლოგინში ჩავწექი და ლორენცოს მოსვლას დველოდე.

— ხველება ამიტყდა, — შეეჩივლე მე, — ყელში ძარღვი გამიწყდა, როგორც ხედავ, სისხლი წამსკდა. ექიმი მომიყვანეთ.

ექიმმა სისხლი გამომაშვებინა და წამალი გამომიწერა. ვუთხარი, რომ ყველაფერი ლორენცოს ბრალი იყო, რადგან საკნის დალაგება არა და არ დაიშალა. ექიმმა საყვედურებით აავსო — ამავე მიზეზით ახლახან ერთი ახალგაზრდა დალაქი მოკვდაო. ლორენცო იფიცებოდა, რომ ჩემთვის მხოლოდ სიკეთე ეწადა. დღეის იქით არავითარ შემთხვევაში არ დავალაგებო, შეჰპირდა ექიმს. გულში ვხარხარებდი. ამ სცენის ბოწმე ჩაფრებს უხაროდათ, რომ საქმე შემოაკლდებოდათ და თავიანთ სათნოებებს კიდევ ერთ სიკეთეს მიუმატებდნენ: ამიერიდან მხოლოდ ის საკნებს დაასუფთავებდნენ, რომელთა ბინადარნიც მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდათ.

ამ ოინით ძალიან მნიშვნელოვანი ქულა მოვიგე, მაგრამ ჩემი ჩანაფიქრის განხორციელების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. ცივი ამინდები იყო და მუშაობისას რკინაზე ხელი მიმეყინებოდა. ყველაფერი უნდა გაეთვალისწინებინა.

ზამთრის უსაერთულო ღამეებმა ნაღველი შემყარა. თორმეტ მტანჯველ საათს კუნაპეტ სიბნელეში ვატარებდი. ხოლო როცა გარეთ ნისლი ჩამოწვებოდა, რაც ვენეციაში არცთუ იშვიათი შემთხვევაა, კარის ჭრილიდან შემოსული სინათლე წიგნის საკითხავად არ ძყოფნიდა, ამიტომ მხოლოდ გაქცევის გეგმებს ვაწყობდი. სულ ერთი და იგივე აზრით შეპყრობილი ტვინი კი შეიძლება იოლად დაანეულდეს. ჭრაქი რომ მქონოდა, ბედნიერი კაცი ვიქნებოდი. ფიქრი დავიწყე და ერთი ხერხი მოვიგონე. ჭრაქის გასაკეთებლად საჭირო იყო ჭურჭელი, ძაფის ან ბამბის პატრუქი, ზეთი, კაჟი, კვესი, აბედი. ჭურჭლად ის თიხის ქოთანი გამომადგებოდა, რომელშიც კვერცხს მიხარშავდნენ. ავიხირე, რომ ჩვეულებრივი ზეთისაგან მომზადებული საკვები ცუდად მხდიდა და აბუსალათინის ზეთი ვაყიდინე. ჩემს დალიანდაგებულ საბანს პატრუქისათვის ბამბა გამოვაძურწე, კბილის აუტანელი ტკივილი მოვიგონე

და ლორენცოს პეპზის მოტანა ვთხოვე, მაგრამ მან არ იცოდა პეპზა რა იყო და ამიტომ კაჟით შევაცვლევინე, ავუხსენი: თუ კაეს ერთი დღით მძაღე ქმარში დაალბობ და შემდეგ კბილზე დაიდებ, ტკივილს დაგიამებს-მეთქი. კვესად ქამრის ფოლადის ბალთა ივარგებდა. მრჩებოდა მხოლოდ გოგირდი დ აბედი, და ბოლმისაგან ლამის გავმსკდარიყავი, რადგან წარმოდგენა არ მქონდა, თუ სად უნდა მეშოვა ისინი. მაგრამ ბევრი ფიქრითა და ფორტუნის წყალობით ეს დაბრკოლებაც გადავლახე. აი, რა მოვახერხე:

სიყმაწვილეში რაღაც წითელას მაგვარი სენი მჭირდა, რამაც, გახმობის შემდეგ, ხელზე სირსველა დამიტოვა. ამიტომ ხანდახან ძლიერი ქავილი მაწუხებდა. ლორენცოს დავავალე, რომ ექიმისათვის ამ სირსველის წამალი ეთხოვა. მეორე დღეს, ჰდივნის ნებართვით, ბარათი გადმომცა, რომლითაც ექიმი მირჩევდა, რომ ერთი დღე დიეტა დამეცვა, შემდეგ ხელზე ოთხი უნცია ნუშის ზეთი წამეცხო და სირსველა გამიქრებოდა. შეიძლებოდა გოგირდოვანი მალამოც წამესვა, მაგრამ ეს ცოტა საფრთხილო საქმე იყო.

— მაგის დარდი არა მაქვს, საფრთხილოა თუ რაც არის, — გუთხარი ლორენცოს, — ხვალვე მიყიდეთ ეს მალამო, ანდა გოგირდი ჰომეციით. ზეთი მაქვს და წამალს თვითონვე დავამზადებ. ასანთი გაქვთ? რამდენიმე ღერი მომეციით.

ჯიბიდან ასანთი ამოიღო და გადმომცა.

ორი თუ სამი საათი თავს იმაზე ვიმტვრევდი, აბედი რითი შეეცვალა. ერთადერთი, რაც არ მაკლდა და რასაც ვერავითარი საბაბით ვერ ვოვითხოვდი, ეს იყო. და უცებ გამახსენდა, რომ ჩემს მკერავს კოსტიუმის იღლიებში აბედის ჩაფენა ვთხოვე. რათა ოფლს არ გამოეფონა. კოსტიუმი აქვე მქონდა. გულმა ბაგა-ბუგი ამიწყო — შესაძლო იყო, მკერავს ჩემი თხოვნა დავიწყნოდა. შიშსა და იმედს შორის ეკანკალებდი. კოსტუმამდე ორიოდე ნაბიჯი მაშორებდა, მაგრამ მისვლას ვერ ვბედავდი. ბოლოსდაბოლოს შიშს ვძლიე, კოსტიუმს მივუახლოვდი და ვიდრე ხელს ვახლებდი, მუხლებზე დავეცი და ღმერთს შევევედრე, რომ გაეღო წყალობა, რომლის ღირსი შესაძლოა არც ვიყავი. გულმხურვალე ლოცვის შემდეგ ჩემი ძვირფასი სამოსი ჩამოვიღე, სარჩული გამოვარღვიე და აბე-

დი აღმოვაჩინე. სიხარულისაგან კინადამ შევიშალე. ისევ დავეცი მუხლებზე და მამაზეციერს მადლობა შევლაღადე.

როგორც კი აბედს დავეუფლე, მაშინვე ქოთანში ზეთი ჩავასხი და პატრუქს მოვუკიდე. ჭრაქი მზად იყო. ამიერიდან ჩემთვის ღამეები აღარ იარსებებენ! რა საამური იყო ამის შეგნება! გადავწყვიტე, რომ იატაკის გახვრეტა მარხვის პირველ ორშაბათს დამეწყო, რადგან კარნავალის აურზაურში ყოველ დღე ვინმეს მოსვლა იყო მოსალოდნელი. არც შევმცდარვარ.

...შობიდან სამი-ოთხი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, საკანში მარტო დავრჩი და საქმეს შევუდექი. უნდა მეჩქარა. შეიძლება კიდევ ვინმე მოეყვანათ და მას საკნის გამოგვა მოეთხოვა. საწოლი გავაჩოჩე, ჭრაქი ავანთე, იატაკზე გავწექი და გვერდით ხელსახოცი დავაფინე, რათა მასში ხის ნაფოტები შემეგროვებინა. ჩემი წაწვეტებული ურდულით იატაკის ჩიჩქნა დავიწყე. დასაწყისში ნაფოტები ხორბლის მარცვალზე დიდრონი არ იყო, მაგრამ თანდათანობით მოზრდილ ნახლეჩებად იქცნენ. ფუძის იატაკი იყო. ორი ფიცრის შეერთების ხაზიდან დავიწყე. იქ არც ლურსმანი ჰქონდა და არც რკინის კავი, ამიტომ საქმე შედარებით იოლად მიდიოდა. ექვსი საათის მუშაობის შემდეგ ნაფოტები ხელსახოცში შევახვიე, რათა ხვალ სხვების სილრმეში დამეყარა. საწოლი თავის ადგილზე დავდგი.

მეორე დღეს ზედა ორდიუმიანი ფიცრის ქვეშ მეორე, ჩემი ვარაუდით, იმავე სისქის ფიცარი აღმოვაჩინე. სტუმრები არ მომსვლია, მაგრამ იმის შიშით, რომ ეს უბედურება არ მწვეოდა, სამი კვირა გამალებით ვიმუშავე, სამი ფიცარი დავაქუცმაცე და მათ ქვეშ მარმარილოს ნატეხებით მოგებულ იატაკს წავადექი. ასეთი იატაკი, ჩვეულებრივ, ყოველ ვენეციურ სახლში გვხვდება, გარდა ღარიბთა ბინებისა. გულშემოყრილმა დავინახე, რომ ჩემი ურდული ქვაზე პირს ვერ იკიდებდა. როგორ არ ვაწვებოდი, რამდენს არ ვუჩაჩქუნებდი, მაგრამ წვეტი სულ სხლტებოდა და სხლტებოდა. ამ მოულოდნელმა სიძნელემ ძალიან დამადარდიანა. გამახსენდა, რომ ჰანიბალმა, როგორც ტიტუს ლივიუსი მოგვითხრობს, ალპებში გასასვლელის გასაჭრელად კლდეები—ძმრით დაალბო და

შემდეგ ხელით გაკვეთა. ყოველთვის მეეჩინდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, არა იმიტომ, რომ ძმრის მეავა არც ისე ძლიერია, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამისათვის წარმოუდგენლად ბევრი ძმარი დასჭირდებოდა. ჩემი აზრით, ჰანიბალს ძმარმა — acetum კი არ უშველა, არამედ asceta-მ, რაც ჰადუას ლათინურით ascia-ს — ჩაქუჩს უნდა ნიშნავდეს. შეცდომა გადამწერთა ბრალი უნდა ყოფილიყო. და მაინც, ღრმულში მაგარი ძმარი ჩავასხი და მეორე დღეს, არ ვიცი ძმრის თუ არ ვიცი უდიდესი ნებისყოფის წყალობით, მივხვდი, რომ საწადელს უსათუოდ მივაღწევდი: მარმარილოს ნატეხები კი არ უნდა დამემსხვრია, არამედ მათი შემაკავშირებელი დუღაბი უნდა ამომეკაწრა. ოთხ დღეში ეს იატაკიც ამოვჩიჩქნე ისე, რომ ჩემი იარაღის წვეტი არ დაზიანებულა, პირიქით, წახნაგები უფრო ლამაზადაც კი აელვარდა.

მარმარილოს ქვეშ, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთი, ალბათ, უკანასკნელი ფიცარი გამოჩნდა. მისი ამოჭრა უფრო გამიჭირდა, რადგან ხვრელმა უკვე ათი დუიმის სიღრმეს მიაღწია. წამდაუწუმ ღმერთს შემწეობას შევთხოვდი. იმ თავისუფლად მოაზროვნეებმა, რომლებიც ფიქრობენ, ლოცვაში არაფერი ყრიაო, თავადაც არ იციან, რას როშავენ. ცხადია, რომ უფლის მიმართ ლოცვის შემდეგ გაცილებით მეტ ძალას ვგრძნობდი. მარტო ეს კმარა, რომ ლოცვის სიკეთე ვამტკიცო, მიუხედავად იმისა, თუ რა მმატებს ამ ძალას — უშუალოდ ღმერთი თუ მისი ყოვლისშემძლეობის რწმენა.

ბოლოსდაბოლოს, 23 აგვისტოს, ჩემი ქმნილება დავასრულე. უკანასკნელ ფიცარში პაწაწკინტელა ნახვრეტის გამოჩენისთანავე თვალით ზედ მივაკვდი, რათა ინკვიზიტორთა ოთახი დამენახა. დავინახე კიდეც, მაგრამ სასოწარკვეთისაგან კინაღამ გული შემიღონდა: ნახვრეტს ზედაპირისადმი პერპენდიკულარული რვა დიუმის სიგანის მასიური ფიცარი ებჯენებოდა. სწორედ ამისი მეშინოდა. ეს იყო ჭერის დამკერი ერთერთი კოჭი. მივხვდი, რომ კოჭის ერთ მხარეს ხვრელის გაფართოება მომიწევდა, რათა ჩემი ზორბა სხეული როგორმე გატეულიყო. კარგა ხანს ვჩეხე და ხვრელს განივად კიდევ ერთი დიუმი წავუმატე. შემდეგ საკუთარ ნახელავს შევხედე,

თვალით ავზომე და ჩემი გმირული შრომის დალოცვისათვის ღფალს კიდევ ერთი გულითადი მადლობა შევწირე.

გაქცევა წმ. ავგუსტინეს დღესასწაულის წინა ღამისათვის დავთქვი. ვიცოდი, რომ ამ დღეს დიდი საბჭო იკრიბებოდა და ამიტომ განაპირა ოთახში, სადაც აუცილებლად უნდა გამევლო, არავინ იქნებოდა.

მაგრამ ოცდახუთ აგვისტოს მოხდა ის, რისი გახსენებაც ახლაც მზარავს: ზუსტად შუა დღეზე ურდულის ეღრიალი გავიგონე და კინაღამ სული განვუტევე. გულმა ისეთი ბაგაბუგი ამიტეხა, რომ არ მეგონა, თუ არ გასკდებოდა. ფეთიანივით ვეცი სავარძელს და შიგ გავიტრუნე. ლორენცო სხვენზე ავიდა, სახე გისოსებს მოაბჯინა და საზეიმო ხმით წარმოთქვა:

— გილოცავთ, ბატონო, კარგი ამბავი მოგიტანეთ.

ჯერ ვიფიქრე, ალბათ, გამათავისუფლეს-მეთქი, რადგან სხვა რა კარგი ამბავი უნდა გამეგო. მივხვდი, რომ ვიღუპებოდი, რადგან ხერელი რომ აღმოეჩინათ, შეწყალებას აუცილებლად დამატებითი სასჯელით შემიცვლიდნენ.

ლორენცო შემოვიდა და მიბრძანა, რომ თან გავყოლოდი.

— მოითმინეთ, უნდა ჩავიცვა.

— რა საჭიროა. თქვენ მხოლოდ ამ საძაგელი დილეგიდან მეორეში, მთლად ახალსა და ნათელ საკანში უნდა გადახვიდეთ. ორი ფანჯრიდან ნახევარ ვენეციას დაინახავთ, გამართული ივლით, იქ...

მაგრამ ვეტის მოსმენა აღარ შემეძლო. ვგრძნობდი, რომ გული ნამდვილად გამისკდებოდა.

— ძმარი მომეცით, — ვთხოვე ლორენცოს, — და წადით, მდივანს უთხარით, რომ ტრიბუნალს ამ წყალობისათვის დიდ მადლობას ვუძღვნი. მაგრამ ღვთის გულისათვის, გეევედრებით, დამტოვეთ ჩემს საკანში.

— თქვენ რა, დაგვცინით? ჭკუიდან შეიშალეთ? ჯოჯოხეთიდან ამოთრევას და სამოთხეში დასახლებას გთავაზობენ და უარს ამბობთ? წამოდით, წამოდით, მკლავზე დამეყრდენით, მე კი თქვენს ბარგი-ბარხანას გადმოვატანინებ.

სხვა რა გზა მქონდა. დავემორჩილე, წამოვდექი, საკნიდან გავლასლასდი და წუთის შემდეგ ოდნავი შვება ვიგრძენი, რადგან გავიგონე, როგორ უბრძანებდა ლორენცო თავის

ნელქვეითს, საკარძელი გამოიტანეო. ჩემი იარაღი, ჩვეულებრივ. საკარძლის თავაში მქონდა დამალული, ეს კი რაღაცას ნიშნავდა. ბარემ ისიც მინდოდა, რომ ჩემი სანაქებო ხვრელიც თან გამოჰყოლოდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ჩემი სხეული ახალი ბინისაკენ მიდიოდა, სული კი ძველ დილეგში მოჩჩებოდა.

ჰედილეგის მხარს დარაჯნობილმა ორი დერეფანი გავიარე, სამ საფეხურზე ჩავბიჯე და ერცელ, ნათელ დარბაზში აღმოვჩნდი. შემდეგ პატარა კარით ორი ფუტის სიგანისა და თორმეტი ფუტის სიგრძის ტალანში შეევედი. მისი ორი ცხაურიანი ფანჯრიდან გარკვევით ჩანდა ქალაქის სახურავები. მაგრამ ჩემს მაშინდელ მდგომარეობაში ლამაზი ხედი დიდი ვერაფერი ნუგეში იყო.

საკარძელი შემოიტანეს და მოცელილივით შიგ ჩავვარდი. ლორენცომ მითხრა, ახლავე ლოგინსა და დანარჩენ ნივთებს გადმოვატანინებო და წავიდა.

თავზარდაცემული და ქანდაკებასავით გაშეშებული ვიჯექი. მივხვდი, რომ ამდენი შრომა წყალში ჩამეყარა, მაგრამ ამას არ ვნანობდი. იმედი გამომტაცეს და ახლა ერთადერთი შვება ის იქნებოდა, რომ არ მეფიქრა იმაზე, თუ რა მელოდა ამ ვერიდან.

მოსახდენს ორი საათი ველოდი. ბოლოსდაბოლოს ნაბიჯების ხმა გავიგონე და ჩემს წინაშე მრისხანებისაგან სახეშეშლილი ლორენცო აღიმართა. უპირველეს ყოვლისა, დორბლების ყრითა და ღვთისა და ანგელოზების წყევლა-კრულვით მიბრძანა, რომ ნაჯახი და ის ხელსაწყოები გადამეცა, რითაც იატაკი გავხვრიტე. შემდეგ მკითხა, რომელმა სბირმა მომიტანა ისინი. ვუპასუხე, რომ წარმოდგენა არ მქონდა, თუ რაზე ლაპარაკობდა. მაშინ ჩემი გაჩხრეკა ბრძანა. ამის გავონებაზე სასწრაფოდ წამოვდექი, მთლად გავშიშვლდი და ამ არამზადებს მუქარის ხმით ვუთხარი, რომ საქმეს შესდგომოდნენ. ლორენცოს განკარგულებით მთელი ქვეშაგები გადმოაქოთეს და აყროლებულ ჭურჭელშიც კი ჩაჰყვეს ცხვირი. ლორენცომ საკარძლის ბალიშსაც სტაცა ხელი, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა და გულმოსულმა მოისროლა.

— მაშ არ იტყვით, სადა გაქვთ დამალული ხელსაწყო-

ები? — ჩაიმოთქვა მან, — რა გაეწყობა. მაშინ ჩვენ თვითონ გაიძულებთ.

— თუ მართალია, რომ იატაკი მე გავხვრიტე, მაშინ ისიც მართალი იქნება, რომ იარაღები თქვენგან მივიღე და შემდეგ უკან დაგიბრუნეთ.

ჩემი პასუხი სბირებს კი ძალზე ეამათ, მაგრამ ლორენცომ სიმწრით დაიყმუვლა, თავი კედელს რეხვა და ფეხების ბაკუნი და ლანძღვა-გინება ატეხა. ვიფიქრე, გაგიჟდა-მეთქი. დერეფნიდან გასვლამდე ორივე ფანჯარა ჩაკეტა და მე ერთ ციცქნა სადგომში აღმოვჩნდი, სადაც არანაირი საჭიერო ხვრელი აღარ იყო. ლორენცოს წასვლის შემდეგ მივხვდი, რომ ამ მდგომარეობიდან კიდევაც ოლად გამოვძვერი. რაც მთავარია, ურდული მე დამრჩა. ღმერთს მადლობა შევწირე იმისათვის, რომ მცირეოდენი იმედი კიდევ დამიტოვა — ჩემი იარაღის წყალობით ისევ შემეძლო გაქცევაზე ფიქრი.

მეორე დილით ლორენცომ დაძმარებული ღვინო, აშმორებული წყალი, გაფუჭებული ხალათა, დამპალი ხორცი და გაცხმარი პური მომიტანა. საკნის დალაგება არც უფიქრია და როცა ფანჯრის გაღება ვთხოვე, პასუხის ღირსადაც არ ჩამთვალა. იმ დღიდან უჩვეულო რიტუალის ჩატარება დაიწყო: რკინის ჭოკიანი ჩაფარი საკანს შემოიელდა, ჭოკს იატაკსა და კედლებზე აკაკუნებდა, განსაკუთრებული გულმოდგინებით საწოლის ქვეშ იჩხრიკებოდა, მაგრამ არასოდეს ჭერის გასინჯვა თავში არ მოსვლია. ამ დაკვირვების შედეგად დამებადა აზრი, რომ საკნიდან სახურავით გამელწია, მაგრამ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად ხელსაყრელ გარემოებათა დამთხვევა იყო საჭირო, რადგან შეუმჩნეველად უკვე აღარაფრის გაკეთება აღარ შემეძლო. საკანი ახალთახალი იყო და უბრალო ნაკაწრიც კი ყოველ შემოსულ ჩაფარს თვალში მოხვდებოდა.

ის დღე საზარელი იყო: ისეთი ხვატი ჩამოწვა, რომ მეგონა მოხუთვას ვერ გადავურჩებოდი. ნამდვილ ღუმელში ვიყავი შეგდებული. არც რაიმეს დაწევა შემეძლო და არც ჭამა, მითუმეტეს, რომ სადილი საშინლად ყარდა. სიცხემ და მთელ ტანზე მოწურწურე ოფლმა ისე დამასუსტა, რომ ძლივს დავლასლასებდი. რაიმეს წაკითხვაზე ხომ ფიქრიც ზედმეტი იყო. უკეთესი სადილი არც შეორე დღეს მქონია — შორდანვე მე-

ცა ლორენცოს მოტანილი ხორცის სიმყრალე. ვკითხე, შიმშილითა და სიცხით ჩემი მიხიკვდილება ნაბრძანები ხომ არ გაქვს-მეთქი, მაგრამ პასუხი არ გამცა. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ფანჯარი და ქალალდი მოვთხოვე, რომ მდივნისათვის საჩივარი-მიმეწერა, მაგრამ ყურიც არ გაუპარტყუნებია. უკვე ვიჯერებდი, რომ მდივნის განკარგულებას ასრულებდა, რომელსაც, ალბათ, საკნის გამოთხრის ამბავი აუწყა. არ ვიცოდი რა მექნა მოთმინება სასოწარკვეთილებას ველარ ერეოდა. ვგრძნობდი, რომ გამოფიტვისაგან მალე ფეხს გავიმაგდი.

ერთი კვირის შემდეგ ლორენცოს საზიზღარი ჯალათი ვუწოდე და მგრგვინავი ხმით მოვთხოვე ჩემი ფულების ანგარიში. შემპირდა, რომ ხვალ გამისწორდებოდა.

მაგრამ მეორე დღეს მრისხანება დამიცხრა. სანამ ანგარიშს წარმომიდგენდა, ერთი კალათა ლიმონი შემომიტანა, რომელიც ბატონ ბრაგანდინ- გამოეგზავნა. კიდევ დიდი ბოთლით წყალი და შესახედავად საკმაოდ მომზიდველი წიწილა გადმომცა, გარდა ამისა, ჩაფარმა ორივე ფანჯარა გაალო. როცა ანგარიში წარმომიდგინა, ჯამს გადავხედე და ვუთხარი, რომ დარჩენილი თანხა თავისი ცოლისათვის მიეტანა, ერთი ცეხონი კი ხელქვეითებისათვის დაერიგებინა. ჩაფრებმა მადლობა გადამიხადეს. მარტონი რომ დავრჩით, ლორენცომ მითხრა:

— ბატონო, თქვენ ინებეთ იმის განცხადება, რომ მეორე საკანში უზარმაზარი ხვრელის გასაჭრელად იარაღები ჩემგან მიიღეთ. მაგრამ ეს უკვე აღარ მაინტერესებს. მაგრამ ხომ არ შეგიძლიათ მოიღოთ მოწყალება და მიბრძანოთ, ვინ მოგცათ ჭრაქის გასაკეთებლად აუცილებელი საგნები?

— თქვენ მომეცით.

— არა მგონია, რომ ამჯერად ტყუილის თქმა დიდი გონიერება იყოს.

— მართალს გეუბნებით. თქვენ საკუთარი ხელით მომეცით ყველაფერი, რაც მჭირდებოდა: ზეთი, კაჟი, ასანთი. დანარჩენი მე მქონდა.

— სწორი ბრძანდებით. შეგიძლიათ ასევე იოლად დამიმტკიცოთ, რომ ხვრელის გასაჭრელად საჭირო რამეებიც მე მოგეცით?

— შემიძლია და ძალიან ადვილადაც. ყველაფერი თქვენგან მიეიღე.

— ღმერთო, შენ დამიფარე! ეს რა მესმის?! მითხარით ერთი, ნაჯახი როდის მოგეცით?

— რაკი ასე გსურთ, ყველაფერს გეტყვით. ოღონდ მდივანი უნდა დაგვესწროს.

— არაფერი არ მსურს. ყველაფერი ძჯერა! ჩუმად იყავით და გახსოვდეთ, რომ ღარიბი ადამიანი ვარ და შვილები მყავს.

თავზე ხელები წაიკრა და საკნიდან გავარდა.

ძალიან კმაყოფილი დავრჩი: ეს ყაჩაღი უკვე გამოვერილი მყავდა. რა თქმა უნდა, ჩემი გაქცევა სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა, ამიტომ მაღალი რანგის ჩინოვნიკისათვის ჩემი საქცელის ეამხელას ვეღარ გაბედავდა.

ლორენცოს მარკიზ მიფეის წიგნების ყიდვა დავავალე. ასეთი ხარჯი ჭკუაში არ დაუჯდა, მაგრამ უარიც ვერ მითხრა. მაოლოდ მკითხა, რა აუცილებელია კიდევ წიგნების შეძენა, როცა აქაც უამრავია.

— ესენი უკვე სულ წაკითხე. ახლები მინდა.

— მე ვუბრძანებ, რომ წიგნები რომელიმე აქ მყოფ პატიმარს გადმოართვან, თქვენ კი სანაცვლოდ თქვენი წიგნები გადუგზავნეთ. ასე ფულიც დაგეზოგებათ.

— ამათ სულ რომანები ეკნებათ. რომანი კი ჭირის დღესავით მძულს.

— სულ მეცნიერულ წიგნებს კითხულობენ. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ აქ ერთადერთი სწავლული ბრძანდებით, ძალიან შეცდარხართ.

— მინდა, რომ დაგიჯეროთ. კარგი. ვნახოთ. აი, ეს წიგნი წაიღეთ და სამაგიერო მომიტანეთ.

პეტრეს rationarium-ი გავატანე და ხუთიოდე წუთის შემდეგ ვოლფის პირველი ტომი მომიტანა. კმაყოფილი დავრჩი. ლორენცოსაც ძალიან გეუხარდა, რომ ჭკუაზე მომიყვანა და ესოდენ მნიშვნელოვან ხარჯება ამარიდა.

აღტაცებული ვიყავი, არა იმდენად იმით, რომ კარგი წიგნებით გავერთობოდი, არამედ იმით, რომ საშუალება მომეცა, მიწერმოწერა გამემართა ადამიანთან. რომელიც იქნებ გაქცევაშიც დამხმარებოდა. წიგნი გადავშალე და შიგ ქაღალდის

ფურცელი აღმოაჩინე, რომელზეც სენეკას სიტყვების პარაფრაზა ეწერა: Calamitosus est animus futuri anxius — (შეცბუნებულია ანელი, რომ მომაკლისათვის წუხს). მე დაუყოვნებლივ ამაკა ტრიქონი შევთხზე. ყურების გამოსაჩრჩნად ნაკა ბითხე ჯრჩხილი მქონდა წახრდილი. კოხტად წავიწყიტე და ჰშვენიერი ქალამი გამომიყიდა. მელნად კი თუთის წკენი კიხბარე. ჩემი ლექსიც იმავე ფურცელზე დავწერე. გარდა ამისა, ჩემი წიგნების სიაც ჩამოვწერე და ვოლფის ტომის ყუაში ჩავდე. მეორე დღეს ლორენცოს ეუთხარი, წიგნი უკვე წაეკითხა და თუ ამის ბატრონი ხ�ა, გამომგზავნის, დიდი მადლობელი კიენები-მეთქი. ბან ლაჭყოვნებლივ მომიტანა. მეორე ტომი.

წიგნში ბარათი იდო, რომელშიც ლათინურად ეწერა: „ჩვენ ორივენი ეფიდეს სიამოვნებას განვიცდით ამით, რომ უმეცარი ქუნწი საეცხოო საჩუქრებით კეკალდებს. გწერთ მარნო ბალბი — კენეციელი მემამულე და სომხეკების ორღენის მონაზონი. ჩემი ანანამოსაკნე ეფიფანელი გრაფი ანდრია ანკონი კანლაკთ. ბან დამავალა გადმოგცეთ, რომ მისი წიგნები, რომელთა კატალოგს გარეკანის ნაკეცში იპოვით, თქვენს განკარგულებაშია. ყოველნაირად ეუნდა გავფრთხილდეთ, რომ ჩვენი ერთიერთობა ლორენცომ არ შეიტყოს“.

წიგნების სიის მეორე მხარეზე დავწერე, თუ ვინ ვიყავი, რიგორ დამპატიმრეს, რომ არავითარი დანაშაული არ ზიმიძლია და ბალე, ალბათ, შინ გამიშვებდნენ. წიგნში ბალბიოს. ფექსმეტგვერდიანი წერილი იდო. მონაზონმა გული მოიოხა და თავისი ეგზეფურების ამბავი გადამიშალა.

ბიბლიოთეკაში ეკვე რთხი წელი იჯდა იმისათვის, რომ სამ საბრალო, ეშმაკო გოგოს სამი ნაბიჭვარი გაეჩენინა და სამივეს თავისი სახელი დაანათლა. ეკლესიის წინამძღვარმა პირველად ჭკუა დაარიგა, მეორედ დაემუქრა, მესამედ კი ტრიბუნალში უჩივლა და მან ამ ციხეში დაამწყვდია. წინამძღვარი ყოველ დღე სადილს უგზავნიდა. წერილის მეორე ნახევარში მოწაზონი თავის გასამართლებლად ათასგვარ ეგზაუბდას ჩმახავდა. მოკლედ, ნათელი იყო, რა ადამიანთან მქონდა საქმე: ჩემს წინაშე იყო დარეხვილი, ავხორცი, ბოროტი, ბრიყვი, დაუდევარი და უმადური კაცი. იმავე წერილში მწერდა, რომ ჩაფარ

ნიკოლოსაგან ყველა ტესტამენტს ვინაობა უწყოდა და ნებისმიერი საკნის ბინადართა, და მათ შორის ჩემი ამბავიც, დაწვრილებით იცოდა. „გთხოვთ შენდოთ და მიამბოთ, — მწერდა ის,— თუ როგორ მოახერხეთ ეს წარმოუდგენელი საქმე და ვისგან შეიძლეთ იარაღები ციტაქში იმოდენა ხვრელის გამოსაჭრელად".

მეორე დღე პასუხის წერას მოვანდომე, მაგრამ ბარათის გაგზავნა არ მიჩქარია. ვეშვებოდი, რომ შესაძლოა ეს მიმოწერა თვით ლორენცოს მოწყობილი ყოფილიყო, რათა ამ ხრიკით შეეტყო, თუ ვინ გადწმცა ხელსაწყოები და სად მქონდა დამალული. მონაზონს მოკლედ მივწერე, რომ ხვრელი გამოვჭერი დიდი დანით, რომელიც ახლა საკანში ფანჯრის რაფის ქვეშ დევს. ამ ცრუ ნდობამ გული დამიმშვიდა: ბარათის გაგზავნის შემდეგ სამი დღე გავიდა, მაგრამ ლორენცოს ფანჯრისკენ არც გაუხედავს. ესე იგი, ჩემი წერილი ხელში არ ჩავარდნია.

როცა ეჭვები გაბნეფანტა, შექმნილი მდგომარეობის განსჯა დავიწყე. ცხადი იყო, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდა, აქედან უნდა გავსულიყავი. ჩინებული იარაღი მქონდა, მაგრამ მისი გამოყენება არ შემეძლო, რადგან დილდილობით ჩემი საკნის ყოველ კუთხე-კუნჭულს რკინის ჯოხის კაკუნით ამოწმებდნენ. მაგრამ რატომღაც ჭერი ავიწყდებოდათ. ესე იგი, მხოლოდ იმის იმედი მრჩებოდა, რომ საკნიდან მხოლოდ ჭერის გავლით თუ გავალწევდი, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ვარედან გამოანგრევდა. თუ ეს ვინმე იმავე ღამეს სასახლეა დიდი სახურავის გახვრეტაშიც დამეხმარებოდა, ორივენი თავს ვეშველდით. დანარჩენს მერე მოვიფიქრებდი. ამრიგად, უნდა გამებედნა და დამეწყო. ამ მონაზონს გარდა ვერავის ვხედავდი ისეთს, რომ შედარებით ახალგაზრდაც ყოფილიყო და ცოტაოდენი გონებაც ჰქონოდა. ესე იგი, ეშმაკისათვის უნდა მიმეფურთხებინა, ამ წამხდარ კაცს უნდა მიენდობოდი და როგორმე მისთვ სურდულის გადაცემა მომეხერხებინა. დასაწყისისათვის ეკითხე, უნდოდა თუ არა აქედან გასვლა და იყო თუ არა მზად იმისათვის, რომ ჩემთან ერთად გაქცეულიყო და თავისუფლება მოეპოვებინა. მიპასუხა, რომ არც თვითონ და არც მისი მეგობარი არაფერზე უკან არ დაიხევდნენ, ოღონდ კი წყეული ბორკილები დაემსხვრიათ, მაგ-

რამ მისი აზრით ეს შეუძლებელი იყო და ამიტომ ფიქრით თავის გაცხელება არც კი ღირდა. მე აღვუთქვი, რომ თუ ჩემს ყოველ განკარგულებას პირდად შეასრულებდა, ადრე თუ გვიან თავისუფლებას კუბოძებდი. შემპირდა, ყველაფერს უყოყმანოდ შეასრულებო.

მაშინ მივწერე, რომ მქონდა თორმეტი დუიმის სიგრძის წყეულწამახული რკინა, რომლის მეშვეობითაც იგი საკნის საპერავის გახვრეტას და გარეთ გასვლას შესძლებდა. ამის შემდეგ ჩვენი ვამყოფი კედელი უნდა გამოენგრია, ჩემი საკნის ქერზე გამოსულიყო, ისიც გაეხვრიტა და საკნიდან ამოვეთრიე. მეტი მას არაფერი ევალებოდა. დანარჩენზე მე ვიზრუნებდი და მასაც და გრაფ აკვინასაც ციხიდან გავიყვანდი.

მან მიპასუხა, რომ საკნიდანაც რომ ამოვეყვანე, მაინც საპყრობილეში დავრჩებოდით, ოღონდ უფრო დიდში, რადგან სხვენზე გასვლის შემდეგ ჩვენს წინაშე კიდევ სამი საგულდაგულოდ ჩარაზული კარი აღიმართებოდა. ვიცი ძამაო, — ეუპასუხე მე, — და მინდა რომ აქაურობას თავი კარების გავლით კი არა, სულ სხვა გზით დავაღწიოთ. გეგმა მოფიქრებული მაქვს, მჯერა, რომ წარმატებას მივაღწევთ, ოღონდ შენ ჩემი დავალებები ზუსტად შეასრულე და შენიშვნებისაგან თავი შეიკავე. ჯობს იმაზე იფიქროთ, თუ როგორ გადმოგცეთ ჩემი რკინის ჯოხი ისე, რომ არავინ ჩაგვავლოს. თუ რამე მოიფიქროთ, შემატყობინეთ. მანამდე კი ლორენცოს დაავალეთ, რომ ორმოცი-ორმოცდაათი დიდი სურათი მოგიტანოთ. სუყველა რელიგიურ თემაზე უნდა იყოს. ეს სურათები შუა საკანში ჩამოკიდეთ, რათა ლორენცომ ჭერში გაკეთებული ხვრელი ვერ შენიშნოს. ხვრელის გაჭრას რამდენიმე დღეს მოანდომებთ. დილით გრავიურებს თავის ადგილზე ჩამოჰკიდებთ და ღამის ნამუშევარიც დაიფარება. მე თვითონ ამას ვერ ვიზამ, რადგან ეჭვით მიყურებენ. თან არავინ დაიჯერებს, ისეთი ღვთისმოსავი გახდა, რომ მთელი საკანი რელიგიური გრავიურებით აავსოო. გააკეთეთ, რასაც გთხოვთ და იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ გადმოგცეთ რკინის ჯოხი.

მეც სულ ამაზე ვიჭყლეტდი ტვინს და ლორენცოს ახლახან ვამოცემული ბიბლიის ყიდვა დავავალე. ეს წიგნი თავში მისი უზარმაზარი ფორმატის გამო მომივიდა. იმედი მქონდა,

რომ მის ყდაში ჩემს ურდულს ჩავატევდი და მონაზონს გა-
ვუგზავნიდი. მაგრამ როცა ბიბლია მომიტანეს, დავრწმუნდი,
რომ ჩემი იარაღი მასზე ორი დუიმით უგრძესი იყო. რაიმე
გამოსავალი უნდა მეპოვა. მედილეგეს ვუთხარი, რომ მსურდა
წმ. მიხეილი დღეს პატარა დღესასწაული მომეწყო და ორი
თეფში ყველიანი მაკარონი გამეკეთებინა, ერთი — ჩემთვის,
მეორე — იმ პატივცემული პიროვნებისათვის, წიგნებს რომ
მიგზავნიდა. ლორენცომ მირჩია, რომ პატივცემული პირისათ-
ვის ის სამცეხინიანი წიგნი მეჩუქებინა, ახლახან რომ ვიყიდე.
ვეთანხმარი, წიგნსაც გავუგზავნი და მაკარონსაც-მეთქი. შინ-

რომ მაშინ ჩემი საჩუქარი მთელ ეშხს დაჰკარგავდა. ბოლოს-დაბოლოს დამეთანხმა და ბუზღუნით წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ პადრე ბალბიომ სამჯერ ხმაურით მოიხოცა ცხვირი: ეს ჩვენი პირობითი ნიშანი იყო და იმას მოწმობდა, რომ საჩუქარი სალ-სალამათად ჩაჰბარდა ადრესატს. დაბრუნებულმა ლორენცომ მახარა, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე გააკეთა.

პადრე ბალბის თავის საკნის ჭერის გასახვრეტად ერთი კვირა დასჭირდა. რვა ნოემბერს მომწერა, რომ მთელ ღამეს ეხათქუნებდა ჩვენს გამყოფ კედელს და მხოლოდ ერთი ფილის ამოძრობა შესძლო. მუშაობის გაგრძელებას კი შემპირდა, მაგრამ ყოველ წერილში წუწუნებდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და გაქცევის მცდელობით ჩვენს ისედაც დუხჭირ ყოფას კიდევ უფრო გავიჭირვებდით. ეანუგეშე, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი.

ვაი, რომ არაფერში დარწმუნებული არ ვიყავი. მაგრამ რა უნდა მეთქვა? დანამდვილებით მხოლოდდამხოლოდ ის ვიცოდი, რომ აქედან გასვლა მინდოდა, ამისათვის ყველაფერი უნდა მეღონა და ჩემი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე მანამ მევლო, ვიდრე რაიმე გადაულახავ დაბრკოლებას არ წავაწყდებოდი.

თექვსმეტი ოქტომბრის საღამოს, როცა ჰორაციუსის ერთ-ერთი ოდის თარგმნით ვერთობოდი, ზემოთ ფეხების ბაკუნი და სამგზის სუსტი კაკუნი გავიგონე. დაუყოვნებლივ კაკუნითვე ვუპასუხე. ეს პირობითი ნიშანი იმის დასტური იყო, რომ სწორ გზას ვადექით. საღამომდე კიდევ მუშაობდა და შემდეგ მომწერა, რომ ჩვალ, ალბათ ამ საქმეს მორჩებოდა, თან შეეცდებოდა, რომ, როგორც ვასწავლე, უკანასკნელი ფიცარი ბოლომდე არ ამოეტეხა. საკმარისი იყო, ჩემს საკანში უმნიშვნელო ბზარი შეემჩნიათ და ყველაფერი დაიღუპებოდა.

ნაშუადღევს, როცა პადრე ბალბი ჯერ ისევ გამალებით მუშაობდა, უცებ გავიგონე, როგორ გაიღო ჩემი საკნის მომიჯნავე დარბაზის კარი. ძარღვებში სისხლი გამეყინა, მაგრამ ის კი მოვისაზრე, რომ ორჯერ დაკაკუნება მომესწრო — ამ ნიმანზე პადრე ბალბის საქმე უნდა მიეტოვებინა და სასწრაფოდ თავის საკანში დაბრუნებულიყო. წუთის შემდეგ ლორენცო შემოვიდა და ბოდიში მომიხადა, რომ ჩემს საკანში ერთი წაძირალა უნდა შემოეყვანლებინა. დავინახე ორმოცი-ორმოცდა-

ათი წლის დაგვაჯილი, მახინჯი, გამწლეული, ცუდად ჩაცმული შაეპარიკიანი კაცი და ეპვიც არ შემპარვია, რომ საქმე გაქექილ თაღლითთან ჰქონდა.

მარტონი რომ დავრჩით, მუხლებზე დაეცა, ჯიბიდან კრიალოსანი ამოიღო და აქეთ-იქით თვალის ცეცებას ეჰყვა.

— რას ეძებთ, მეგობარო?

— სულგრძელად მაპატიეთ. ქრისტიანი ვარ და წმინდა ქალწულ მარიამის ხატს დავეძებ. ან. ფაიდურეს შემთხვევაში, რომელიმე უბრალო ჯვარცმას, რათა თავი შევავედრო წმ. ფრანცისკო ასიზელს, რომლის სახელსაც ულირსად ვატარებ. ეს ახლა ისე მჭირდება, როგორც ირასლროს.

ხარხარი ძლივს შევიკავე — არა მისი ღვთისმოსაობის გამო, ამას პატივს ვცემდი, არამედ ამ მარტივი ეშმაკობის დანახვაზე, რადგან მივხვდი, რომ ურია ვეგონე. სასწრაფოდ მივეცი ლოცვანი, ღვთისმშობლის ხატს ეამბორა და გამომიტყდა, კითხვა არ ვიციო. ერთად ვილოცეთ და შემდეგ მისი უბედურების მიზეზი გამოეკითხე. მან გრძლად მიამბო თავისი თავგადასავალი. ამ უსინდისო აღსარებამ თვალნათლივ დამანახა, თუ რა უჩხული იყო ჩემს წინაშე. ნახევარი საათის შემდეგ დაიძინა. მაშინვე მივწერე პადრე ბალბოს, რომ დროებით მუშაობა შეეწყვიტა და ხელსაყრელ შემთხვევას დალოდებოდა. მეორე დღეს ლორენცოს ხის ჯვარცმა, ღვთისმშობლის გრავიურა და ბოთლით ნაკურთხი წყალი მოვატანინე. აგრეთვე საღამოსთვის ორჯერ უფრო მეტი ღვინისა და ნივრის მოტანა ვთხოვე.

ახალ ნაცრობს სოროდაჩი ერქვა. მისი ნაამბობიდან დავასკვენი, რომ მალე აუცილებლად დაკითხვაზე გაიყვანდნენ. და გადავწყვიტე. მისთვის ორი წერილი ჩანაბარებინა: თუ დანიშნულებისამებრ გადასცემდა, ამით არაფერი ზიანი არ მოზადგებოდა, ხოლო თუ ჯაშუში იყო და წერილებს მდივანს წაკითხებდა, ამით სიკეთესაც კი მომიტანდა. წერას ორი საათი მოვუნდი. მეორე დღეს ლორენცომ ყველაფერი მომიტანა, რაც გთხოვე.

სოროდაჩი კარგად რომ გამოვაძღე, ვეუბნებოდი:

— ძვირფასო სოროდაჩი, თქვენი მეგობრობისა და სიმამა-

ცის იმედი მაქვს. აი, ორი წერილი, გახსოვთ, როგორც კი აქედან გახვალთ, აღნიშნულ მისამართებზე მიიტანოთ. ჩემი ბედი თქვენს კეთილსინდისიერებასა და ვაუკაცობაზეა დამოკიდებული. კარგად უნდა დამალოთ, თორემ წასვლისას თუ გინახეს, ორივე დავიღუპებით. ამ ჯვარცმისა და წმინდა ქალწულის წინაშე დაიფიცეთ, რომ არ მიღალატებთ.

— მზად ვარ, ჩემო ბატონო, რომ გულწრფელად დავიფიცო. თქვენ იმდენი სიკეთე მიყავით, რომ ღალატს გულში როგორ გავიცლებ.

ამ სიტყვებზე ქვითინი და ბედის საყვედურები დაიწყო იმის გამო, რომ მის პატიოსნებაში ეჭვი შევიტანე. პერანგი და ჩაჩი ვაჩუქე, შემდეგ ქუდი მოვიხადე, საკანს ნაკურთხი წყალი ვაპკურე და ორი წმინდა ხატის წინაშე ყოვლად უაზრო და შიშის ზარდამცემი ლოცვებით გაჯერებული ფიცი წარმოვთქვი. მერე პირჯვრის წერით მუხლებზე დავაჩოქე და ისეთი წყეულა-კრულვიანი ფიცი დავადებინე, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. შემდეგ წერილები გადავეცი და თავისი ხელით ჩააკერა ქურთუკის პირსა და სარჩულს შორის.

გულში ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამ წერილებს მაშინვე მდივანს მიურბენინებდა, მაგრამ ისე ვიქცეოდი, რომ ჩემს ეშმაკურ ჩანაფიქრს ვერაფდიდებით ვერ გამოიცნობდა. წერილები იმგვარად იყო დაწერილი, რომ ტრიბუნალის შემწყნარებლობა და ჩემდამი პატივისცემაც კი უნდა გამოეწვია. ერთი წერილი ბატონ დე ბრაგანდინის სახელზე იყო, მეორე — აბატ გრიმანისა. ორთავეს ვაუწყებდი, რომ კარგად ვიყავი, ჩემი დარდი ნუ ექნებოდათ, რადგან. ალბათ, მალე გამათავისუფლებდნენ. როცა მნახავთ, დარწმუნდებით, რომ სასჯელმა სიკეთე უფრო მეტი მომიტანა, ვიდრე ზიანი, რადგან ვენეციაში არ არსებობს ადამიანი, ვისაც ჩემსავით გამოსწორება სჭირდებოდა-მეთქი.

არ მინდოდა, რომ სოროდაჩის ამ წერილების უწყინარი შინაარსი სცოდნოდა, რადგან მაშინ შეიძლება პატიოსანი ადამიანივით მოქცევის სურვილი გასჩენოდა და წერილები მართლაც დანიშნულებისამებრ მიეტანა.

ორი-სამი დღის შემდეგ ლორენცო მოვიდა და სოროდაჩი წაიყვანა. დიდ ხანს არ გამოჩენილა და ვიფიქრე, ვეღარც ვი-

ხილავ-მეთქი, მაგრამ საღამოს ისევ მოიყვანეს. მდივანთან და-კითხვაზე ყოფილიყო.

მეორე დღეს ჩემი ეპვების შემოწმება გადავწყვიტე.

— დე ბრიგანდინისათვის გასაგზავნ წერილს ორიოდე სიტყვა უნდა მივაწერო, — ვუთხარი იმ ნაძირალას, — მომეცით, თუ შეიძლება. შემდეგ კი ისევ თავის ადგილას ჩაკეტრეთ.

— საშიშია, — გამაფრთხილა მან, — ვიწმეძ რომ შემოგვისწროს?

— ნუ გეშინიათ. მომეცით წერილი.

და უცებ ეს საზიზღარი კაცი ფეხლებზე დაეცა და შემოვ-ტირა, რომ მდივანი წინაშე საშინელმა კანკალმა აიტანა და ზეერგზე, იმ ადგილას, სადაც წერილები ჰქონდა ჩაკერებული, აუტანელი სიმძიმე იგრძნო. დ როცა მდივანმა ყოფა-ნა მოგვიდაო, შიშისაგან ყველაფერი დაფიქა. მდივანმა ლო-რენცოს დაუძახა, ქერთუკი გახადეს, საჩხელი გამოაძრეს და წერილები ამოიღეს. მდივანმა წაიკითხა და მაგიდის უჯრა-ში შეინახა, შემდეგ კი უთხრა, რომ ეს წერილები ადგილზე რომ მიეტანა, სიკვდილი არ აცდებოდა.

ძე კითომ ძალიან ცუდად გავხდი, სანუნზე ხელები ავიფარე, ხატების წინაშე ფეხლზე დავეცი და ვევედრეთ, რომ სასანა-დოდ დაესაჯა ის ბოროტი ადამიანი, რომელმაც ასე გამწირა და ეწმიდესი ფიცი დაარღვია შემდეგ ანწოლზე დავეგდე. კედლისაკენ გადავბრუნდი და იმდენი ნებისყოფა გამოვიჩინე, რომ მთელ დღეს არ გავნძრეულვარ, არც ხმა ამომიღია და ვითომ არც ამ გარეწარის ზლექუნი და მომნანიებელი მოთქმა მესმოდა. წინასწარ ჩაფიქრებული კომედია გათამაშდა და ჩემი როლი ბრწყინვალედ შეასრულე. ღამით ჰადრე ბალნიკ მიეწერე, რომ ზუსტად ცხრა საათზე თავისი საქმე გაეგრძელებინა ოთხი საათის შემდეგ დაემთავრებინა. ოცდაათმი საათი რომ დარეკავდა, აუცილებლად უნდა წასულიყო. გავაფრთხილე, რომ ჩვენი თავისუფლების საქმე მის სიზუსტეზე იყო დამოკიდებული.

აი, როგორ გამოვიყენე ის დღე ზუსტად ცხრამეტ საათამ-დე, რათა ეს ბოროტი და გონებაჩლუნგი პირუტყვი დამეზაფ-

ერა, მისი წყალწყალა ტვინი ნაოცარი სურათებით შემეძრწუ-ნებინა და ჩემი დალუპვის უნარი წამერთმია.

სარდაჩი ლოგინში ჩაწვა და ლოგინეცოს განუცხადა, ავად ვარო. ხედამხედველი რომ წავიდა, არამზადა ფეხზე წამოვაგდე და ვუბრძანე წვნიანი აეეხვრიპა. ჩემს ფერხთით იატაკს განერთხო. ტეროლი ადგიოცნა და აზლუქუნდა, თუ არ მაპატიებთ, ეიჩეკლად დღესვე მოვკვდებიო. მითხრა, რომ უკვე წყევლის ზემოქმედებას გრძნობდა — წმინდა ქალწულ-პა შურისძიება დაიწყო: გულ-გკამი მეწვის და ხახა სულ დაბიწყლულდაო — ენა გამოყო და მაჩვენა. არ ვიცი, მართლა ბაშინ დაემართა თუ ადრეც ჰქონდა. შესაძლოა ჩემი მოტყუება უნდოდა, მეც მის გასულელებას ვცდილობდი და ამიტომ ყველაფერს ის გადაწყვეტდა, ვინ უფრო ეშმაკი აღმოჩნდებოდა. მე ისეთი შეტევა მოვამზადე, რომ დარწმუნებული ვიყავი, ვერასდიდებით ვერ გაუძლებდა.

შთაგონებული გამომეტყველება მივიღე და დაჯდომა ვუბრძანე.

— მოდი, წვნიანი დავხვრიპოთ, — ვუთხარი მე, — შემდეგ კი გეტყვით, თუ როგორ გაგიმართლათ. იცოდეთ, გამთენიისას წმინდა ქალწული გამომეცხადა და მიბრძანა, რომ თქვენთვის ყველაფერი მეპატიებინა. კი არ მოკვდებით, ჩემთან ერთად თავისუფლებას მოიპოვებთ.

მოულოდნელობისაგან თვალები გადმოუცვივდა, ჩოქელამვე შესვლიპა წვნიანი, შემდეგ ლეიბზე ჩამოჯდა და ყურებად იქცა. აი, როგორი სიტყვა წარმოვთქვი: „ — თქვენმა ღალატმა ისე შემაშფოთა, რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ერთადერთი სანუგეშო ის მქონდა, რომ ფიცის გატეხვისათვის სამ დღეში ჩემს თვალწინ მოკვდებოდით. ვიცი, რომ ასეთი ფიქრები ქრისტიანს არ ეკადრება. რამეთუ ღმერთი მოყვასისათვის ცოდვების მიტევებას გვიქადაგებს, მაგრამ უსაშველოდ სასოწარკვეთილი გრძნობებს ვერ ვერეოდი. ალიონზე ჩამთვლიმა და ეშმარიტი ხილვა გამომეცხადა: დავინახე. როგორ გაცოცხლდა წმინდა ქალწული, სწორედ ეს, ვინი ხატიც თქვენს წინაშეა, ადგილიდან დაიძრა, წინ დამიდგა, ბაგენი გაანავნა და მომმართა: სარადაჩი პატივს მცემს, ამიტომ მის მიმართ წყალობას ვიღებ და მსურს, რომ შეცოდება აპატიო.

წყევლა, რომელიც თავს დაიტეხა, თავის ძალას დაჰკარგავს. შენი დიდსულოვნების სამაგიეროდ ერთ-ერთ ჩემს ანგელოზს ვუბრძანებ, რომ ადამიანის სახით ცოდვან დაეშვას, შენი საკ-ნის ჭერი გამოტეხოს და ხუთ-ექვს დღეში გარეთ გაგიყვანოს. ანგელოზი იგი თავის შრომას დღეს ცხრამეტ საათზე დაიწყებს და მზის ჩასვლამდე ნახევარი საათით ადრე დასრულებს. მისი თანხლებით პაქედან გახვალ, სარადაჩისაც გაიყვან და ისრუ-ნებ მისთვის, ოღონდ ერთის პირობით: თუ ის ჯაშუშობა და დამსმენის ხელობას დაადგებს. ეს უველაფერი მასაც უამბე". ამ სიტყვებით წმინდა ქალწული გაქრა და მეც გამეღვიძა.

ძალიან სერიოზული სახით ვუყებოდი და მოღალატის გა-მომეტყველებას ვაკვირდებოდი. დამბლადაცემულივით იჯდა. ფამნი ავიღე, საკანს ნაკურთხი წყალი ვაპკურე და მლოცველის იერი მივიღე. შიგადაშიგ წმინდა ქალწულის გამოსახელებას ვკოცნიდი. ერთი საათი რომ გავიდა, აქამდე უჩემოდ მჯდომ-მა პირუტყვმა ეეცრად მკითხა: რომელ საათზე უნდა დაეშვას ანგელოზი და ჩვენ თუ გავიგონებთ, სახტრავის გამოტეხვას რომ დაიწყებსო.

— ეშვიც არ მეპარება. ზუსტად ცხრა საათზე მოგვეევლი-ნება და მისი მეშაობის ხმაურსაც გავიგონებთ. ოცდასამ სა-ათზე კი წავა. ჩემი აზრით, ანგელოზისათვის ოთხი საათის შრომა საკმარისზე მეტიც უნდა იყოს.

— იქნებ სიზმარი იყო?

— დარწმუნებული ვარ, რომ სიზმარი არ ყოფილა. რას აპირებთ? დაიფიცებთ, რომ ჯაშუშობას მოეშვებით?

პასუხის ნაცვლად ფშვინვა ამოუშვა. ორი საათის შემდეგ გაიღვიძა და მკითხა, ხომ არ შეიძლება ფიცის დადება რომ გადავდოთო.

— შეგიძლია მანამ გადადო, ვიდრე ანგელოზი ჩემს წასაყ-ვანად მოვიდოდეს. მაგრამ გაფრთხილებთ: თუ თქვენს საძ-რახის საქმიანობაზე ფიცით ხელს არ აიღებთ, აქ დაგტოვებთ, რადგან წმინდა ქალწულმა ასე მიბრძანა.

შევნიშნე, რომ გულზე მოეშვა. დარწმუნებული იყო, რომ ანგელოზი არ მოვიდოდა.

თერთმეტ საათზე სადილობა მომინდა. მე მხოლოდ წყალს ვსვამდი. მთელი ღვინო სარადაჩიმ გამოცალა, დესერტად კი

უამრავი ნიორი დააყოლა — ეს მისთვის ჭურაბა იყო. როგორც კი საათმა ცხრამეტჯერ დარეკა, მუხლზე დავეცი და მასაც დაჩოქება ვუბრძანე. დამემორჩილა, თან თავისი ველური თვალებით ისე მიყურებდა, ალბათ, შეშლილი ვეგონე. მსუბუქი ხმაური შემომესმა და მივხვდი, რომ პადრე კედლის ხვრელში გაძვრა. ჩუმად წარმოვთქვი:

— ანგელოზი მობრძანდება.

იატაკზე განვერთხე და სარადაჩიმაც მომბაძა. ფიცარს დიდი ხმა ჰქონდა და მე ფეოთხედ საათს პირდაღმა ვიწექი. რა უნდა ყოფილიყო იატაკზე ქვედამხობილ და შიშისაგან გაქვავებულ პირუტყვზე უფრო სასაცილო სახილველი, მაგრამ არ ვიცინოდი. ღვთის სათნო საქმე იყო: ეს არამზადა ან სიგიჟემდე უნდა მიმეყვანა, ან ეშმაკეულად უნდა მექცია. მისი წყეული სული მხოლოდ მაშინ გაადამიანურდებოდა, თუ საშინელებებით დავთრგუნავდი. ოთხი საათის განმავლობაში ასე ვიწექი. პირის გაღება ერთხელაც არ გაუბედავს. გაოგნებული ჰიშტერებოდა ჭერს, საიდანაც ტკაცუნი და ღრჭიალი ისმოდა — ბონაზონი თავგამოდებით ღრღნიდა ფიცარს. ზუსტად ოცდა-ათ საათზე ხმაური შეწყდა. წამოდგომისას სარადაჩის ბრიყულ სახეზე გაკვირვება კი არა ძრწოლა და დათრგუნვა დაკინახე.

თავის შესაქცევად ცოტა გამოველაპარაკე — მისი ხმის გაგონება მინდოდა. ძლივს აბლუკუნდა, სიტყვას სიტყვაზე ვერ ეპამდა, სათქმელს თავს ვერ უყრიდა და ერთმანეთში დახლართულ აზრებს ვერ ამთავრებდა.

— თქვენ ჩემი მსახური იქნებით, — ვუთხარი მე, — აქედან რომ გავალთ, ყველაფერი გექნებათ, ოღონდ თქვენს სახიფათო და საძაგელ ხელობას თავს დაანებებთ.

— მაგრამ ვენეციაში ხომ ვერ დავრჩებით?

— რა თქმა უნდა. ანგელოზი ერთ-ერთ უცხო ქვეყანაში წავიყვანს. ახლა ყური კარგად დამიგდეთ და რასაც გეტყვით, უყოყმანოდ შეასრულეთ. ხვალ, ლორენცო რომ მოვა, თქვენს ლოგინზე გაუნძრევლად მწოლარე და კედლისაკენ პირმიქცეული დახვდებით. თუ რამე გკითხათ, არ გადმობრუნდეთ და არ შეხედოთ, ისე მიპასუხეთ, რომ წუხელ თეთრად გაათენეთ, გასაგებია?

— დიახ.

— პირობა მომეცით, რომ შეასრულებთ.

— პირობას გაძლევთ, რომ ისე მოვიქცევი, როგორც მიბრძანეთ.

— წმინდა ქალწულს შეპირდით, ცოცხლად!

— წმინდა ქალწულო, პირობას გაძლევ, რომ როცა ლორენცო შემოვა, არ შევხედავ და არ გავინძრევი.

— მე კი, წმიდაო ქალწულო, ვფიცავ იესო ქრისტეს, ძეს შენსას და უფალს ჩვენსას, როგორც კი დავინახავ, რომ სარადაჩი ლორენცოსაკენ მიბრუნდა, მაშინვე მივვარდები და შენს საფიდელად და საამებლად კატასავით მივახრჩობ.

ვკითხე, ჩემი ფიცის საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვსმეთქი და მიპასუხა, ძალიან კმაყოფილი ვარო. მაშინ დაძინების ნება მივეცი. შემდეგ ბონაზონს წერილი მივწერე და მთელი ეს ისტორია ვუამბე. მერე გავაფრთხილე, რომ თუ ხვრელი თითქმის მომთავრებული ჰქონდა, ოცდათერთმეტ ოქტომბერს გავიქცეოდით. ის ჩემი საკნის აახურავზე გამოვიდოდა, ბოლომდე გამოხვრეტდა და საკანში ჩამოძვრებოდა.

მეორე დღეს სარადაჩიმ ჩემი დავალება ჩინებულად შეასრულა, თავი მოიმძინარა და ლორენცოს არც კი გამოლაპარაკებია. მთელი დღე მაღალფარდოვანი ლაპარაკით კაბრუებდი და ფანატიზმს ვუღვიძებდი. მხოლოდ მაშინ კასვენებდი, როცა ვხედავდი, რომ მისი განუვითარებელი გონებისათვის უცხო და უჩვეულო მეტაფიზიკისაგან ესულოდ დაეცემოდა ან კრუნჩხვები დაემართებოდა — აქამდე ხომ მთელ თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს მხოლოდ ჯაშუშური ხრიკებისათვის იყენებდა. უცებ, არც აცია და არც აცხელა, პირდაპირ მაჯახა, ვერ გამიგია ანგელოზებს ჭერის გასახვრეტად ამდენი ჯაფა რატომ სჭირდებათო. კინაღამ დავიბენი, მაგრამ მაშინვე მოვისაზრე და ავუხსენი, იმიტომ, რომ ანგელოზი კაცის სახით მუშაობს-მეთქი. და იქვე დავუმატე, რომ ასეთი მკრეხელური ქილიკით წმინდა ქალწულს შეურაცხყოფდა.

— აი, ნახეთ, — ვუთხარი მე, — რომ თქვენი შეცოდების გამო ანგელოზი დღეს აღარ გამოგვეცხადება.

ამის გაგონებაზე ტირილი დაიწყო, ხოლო როცა ცხრამეტ საათზე ანგელოზი არ მოვიდა, სარადაჩი სასოწარკვეთილება-

ში ჩავარდა. მეორე დღეს ყველაფერს უსიტყვოდ მიგონებდა და როცა ლორენცომ ჰკითხა, ავად ხომ არა ხარო, თავმოუბრუნებლად უპასუხა. არადა, ზედამხედველისათვის ოდნავი თვალის ძინიშნებაც კი საკმარისი იყო, რომ სამუდამოდ დაეტოვებინა. შემდეგ დღეებიც იგივე განმეორდა და ასე გრძელდებოდა ბანაკ, კიდე ბოლოდბოლოს, ოცდათერთმეტში, ლონეცო უკანასკნელად არ ვნახე და წიგნი არ გადავეცი, რომელშიც მონაცონი კიფრთხილებდი, რომ ჭერის ბოლომდე გასახკრიტად ჩვიდმეტ საათზე მოსულიყო. უკვე არავითარი დაპრკოლება აღარ მაშინებდა. ლორენცომ თავად მაუწყა, რომ ინკვიზიტორები და თავად მდივანიც სოფლებში გაემგზავრნენ, ამიტომ არც სტუმრების მოსვლა იყო მოსალოდნელი და ციხიზეარი არამზადის ლოლიავიც აღარ დამჭირდებოდა.

ეჭნებ რომელიმე მკითხველს ჩემი ღვთისმოსაობასა და ხნეობაზე ცუდი წარმოდგენაც კი შეექმნას იმის გამო, რომ ჩვენი წმინდა საიდუმლოებანი ბოროტად გამოვიყენე და ეს ბრიყვი და საძაგელი კაცი წმინდა ქალწულის გამოცხადების გათამაშებით ბოვატყუე. თუ ეს მართლაც აავა, მაშინ თავის გასამართლებელი სიტყვა უნდა წარმოვთქვა.

მე მინდა, რომ ციხიდან ჩემი გაქცევის ამბავი ზუსტად ისე გადმოგცეთ, როგორც სინამდვილეში მოხდა: არც ალაფერი გამოვაკლო და არც რაიმე წავუმატო. აღსარებას არ გეუბნებით, რადგან არაფერს ვნანობ და, მითუმეტეს, არ ვტრაბახობ. სიცრუეს ჩემს უნებლიედ მივმართე. უკეთესი საშუალებები რომ მქონოდა, უეჭველად მათ გამოყენებას ვამჯობინებდი. დარწმუნებული ვარ, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად ფლესაც იგივეს გავაკეთებდი, ან უფრო მეტსაც.

ჩემი ბუნება თავის დახასიათებას მავალებდა და რწმენას ამის აკრძალვა არ შეეძლო. დროის დაკარგვის უფლება არ მქონდა. თუ წარმატების მიღწევა მინდოდა, ჯაშუში სულიერად ისე უნდა გამეტეხა, რომ ჩემი დასმენა აღარ შესძლებოდა და ლორენცოსათვის არ ეთქვა, რომ ვიღაც საკნის ჭერს ამტვრევდა. რა უნდა მექნა? ამისათვის ჩემს განკარგულებაში ორად ორი საშუალება იყო: ან ისე უნდა მოვქცეულიყავ, როგორც მოვიქეცი, ესე იგი, ამ ვიგინდარას სული საშინელებებით დამეთრგუნა, ან როგორც ჩემს ადგილზე ნებისმიერი საღად მოაზროვ-

ნე ადამიანი მოიქცეოდა, უნდა დამეხრჩო. ამან უფრო იოლად გავაკეთებდი. არც დიდი საფრთხე მელოდა, რადგან ვიტყოდი, რომ თავისი სიკვდილით მოკვდა-მეთქი და ჭეშმარიტების დადგენით თავს მაინცდამაინც არავინ შეიწუხებდა. მაგრამ ნუთუ ჩემს მკითხველთაგან რომელიმე მაინც იტყვის, აწორადაც რომ უნდა დაგეხრჩოო? თუ ასეთი ვენმე აღმოჩნდა, დაე ღმერთმა თვალი აუხილოს: მისი ზნეობა ჩემთვის ყოველთვის უცხო იქნება. რაც შეეხება ცრუ ფიცს, რომ სიცოცხლის დასასრულამდე მასზე ვიზრუნებდი, მადლობა უფალს, გაქცევაზე უარის თქმით მისი შესრულების აუცილებლობისაგან თვითონვე მიხსნა. თუმცა, გაბედულებაც რომ ყოფნოდა, ”ე კი სიტყვა არ შემესრულებინა, ფიცის გამტეხად თავს მაინც არ ჩავთვლიდი. ამ ავაზაკს პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში მოვიშორებდი, თუნდაც ამისათვის მისი ხეზე ჩამოკიდება დამჭირვებოდა. მარადიულ მზრუნველობას რომ ვპირდებოდი, ვიცოდი, რომ მისი რწმენა ანგელოზის ნაცვლად მონახვნის დანახვისთანავე განქარდებოდა.

(ვისაც სხვისი არ სწამს, რწმენას არც თავად იმსახურებს. ლათ.) ადამიანს თავისი თავის სახსნელად ყველაფრის განწირვისათვის გაცილებით მეტი მიზეზი აქვს, ვიდრე ხელისუფალთ — ვითომდა სახელმწიფოს გადასარჩენად.

ლორენცოს წასვლის შემდეგ სარადაჩის ვუთხარი, რომ ანგელოზი ჩვიდმეტ საათზე მოვიდოდა და ჭერს გახვრეტდა. მერე დავუმატე, მაკრატელსაც მოიტანს და ორივეს წვერებს შეგვკრიჭავთ-მეთქი.

— რა, ანგელოზს წვერი აქვს?

— აქვს და მერე როგორი! თვითონვე დაინახავთ. შემდეგ საკნიდან გავალთ და სასახლის სახურავში ხვრელს გავჭრით. ღამით კი წმინდა მარკოზის მოედანზე ჩავეშვებით და გენუაში გავქუსლავთ.

არაფერი არ მიპასუხა. და აი, ჩვიდმეტმა საათმაც დარეკა. მაშინვე ანგელოზიც მოგვეკლინა. სარადაჩი ძირს დამხობას აპირებდა, მაგრამ შევაჩერე და ვუთხარი, რომ უკვე საჭირო აღარ იყო. ფიცრის დარჩენილი ნაწილის გამოჭრას სამი წუთიც არ დასჭირვებია. ჩემს ფეხებთან ხის მრგვალი ნაპერი დაეცა და პადრე ბალბი მკლავებში ჩამომიცურდა.

— აი, თქვენი გარჯაც დაბრუნდა, — ვუთხარი და გადავკოცნე, — აქედან ჩემი საქმე იწყება.

მან ურდული დამიბრუნა და მაკრატელიც მომცა. ზე იგი საბადაჩის მივაწოდე და ვუბრძანე, დაუყოვნებლივ გაეკრიჭეთ. ეს პირუტყვი გაოცებისაგან პირდაღებული მისჩერებოდა ანგელოზს, რომელიც ეშმაკს უფრო ჰგავდა. ამჯერად სიცილი ვეღარ შევიკავე. იგი მთლად გამოლენჩდა, თუმცა წვერები ორთავეს შესანიშნავად შეგვკრიჭა.

მინდოდა იქაურობა მომეხილა და შემოგარენის განლაგება გამეგო, ამიტომ მონაზონი საბადაჩისთან დავტოვე და გარეთ გავედი. კედლის ხვრელი ვიწრო გამოდგა. მაგრამ რის ვაივაგლახით მაინც გავეტიე და სახურავზე გავძვერი, იქიდან საკანში ჩავაღწიე და საბრალო მოხუცი გულითადად გადავკოცნე. ამ ადამიანის აღნაგობამ გაქცევისას მოსალოდნელი დაბრკოლებებისა და ფათერაკების გადალახვის იმედი ვერ ჩამინერგა და საგონებელში ჩამაგდო. მან ჩემი გეგმის გაცნობა ისურვა და როცა ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი, განაცხადა, რომ მისი აზრით ძალიან ქარაფშუტული ნაბიჯის გადადგმას ვაპირებდი, რადგანაც, თუ ფრთები არ გამომესხმებოდა, ტყვიის სახურავიდან ძირს ჩასვლის არავითარი შანსი არ მქონდა. მეო, დასძინა, რა თქმა უნდა, არც ისეთი გულადი ვარ, ეს რომ გავბედო, ამიტომ აქ დავრჩები და თქვენი გადარჩენისათვის ვილოცებო.

მაშინ ისევ გარეთ გავედი და დიდი სახურავის დახვერვა დავიწყე. ჩემი ურდულის წვერით ფიცრებს მივწვდი და დავიდგინე, რომ საკმაოდ დაცხავებული იყო — მასში ხვრელის გასაჭრელად ერთი საათიც არ დამჭირდებოდა. ისევ ჩემს საკანში დავბრუნდი და ოთხი საათის განმავლობაში ზეწრებს, ლეიბის პირებს, ხელსახოცებს და ყველაფერს, რაც გამაჩნდა, ზოლებად ვჭრიდი. შემდეგ ეს ზოლები ერთმანეთს გადავანასკვე და ასი საჟენის სიგრძის თოკი გავამზადე. საერთოდ, დიად საქმეებში არის ისეთი საკვანძო მომენტები, რომლებიც ყველაფერს წყვეტენ და ამ საქმის მესვეური წარმატების ღირსი მხოლოდ მაშინ არის, როცა ამ მომენტებში საკუთარი თავის გარდა არვის ენდობა.

თოკის გრეხვას რომ მოვრჩი, მთელი ჩემი სამოსი ფუთად

შეკარი და სამივენი გრაფის საკანში ჩავეშვით. გრაფმა, უპირველეს ყოვლისა, სარადაჩის მიულოცა, რომ მას ციხეში ჩემთან ერთად ჯდომის ბედნიერება ჰქონდა. ავაზაკის განცვიფრებული სახის დანახვამ ძალიან გამახალისა. უკვე არაფრის შიში არ მქონდა და ტარტიუფის ნილაბი, რომელსაც აგერ უკვე ერთი კვირა იყო ზოუშორებლად დავატარებდი, ჯანდაბაში მოვისროლე. სარადაჩი უკვე დარწმუნდა, რომ მაგრად გავაცარე, მაგრამ ბევრ რამეს მაინც ვერ ხვდებოდა, მაგალითად, ვერაფრით ვერ გაეგო, ამ ვითომ ინგელოზთან ისეთი კავშირის დამყარება როგორ მოვახერხე, რომ იგი საკნებს შორის ასე ჩემს ჭკუაზე დაპინტრიშობდა. გრაფის ეჭვები რომ მოისმინა, ამ გაიძვერამ, ეტყობა, ხიფათისაგან თავის დაძვრენა განიზრახა.

ორ საათში დიდი სახურავიც ამოკეტეს. ხვრელი საჭიროზე ორჯერ ფართო გამოვიდა და ტყვიის დიდი ფილა გააშიშვლა. მონაზონის დახმარებით ფილა ძლივს ავაძვრე. თავი ხვრელში გავყავი და გულზე შემომეყარა, როცა ახალი მთვარით გაჩახჩახებული არემარე დავინახე. ეს დაბრკოლებაც მოთმინებით უნდა ამეტანა და შუალამეს დავლოდებოდი, როცა მნათობი ჩვენი ანტიპოდების გასანათებლად გაემართებოდა. ასეთ საამურ ღამეს მთელი წესიერი ადამიანი ეზოგადოება წმ. მარკოზის მოედანზე გამოეფინებოდა და სახურავზე მოსეირნე ლტოლვილებს იოლად შეგვამჩნევდა.

უკან დავბრუნდით. გრაფს საბანი ცეხინის სესხება ვთხოვე, რადგან ჩემი გეგმის დანარჩენი ნაწილის შესრულებაში ფული შესაძლოა ისევე დაგვჭირვებოდა, როგორც ურდული დამჭირდა იმისათვის, რაც აქამდე მოვიმოქმედე. საბრალო მოხუცმა მამაბრივი დაყვავებით ჩითბრა, რომ აქედან გაქცევას არავითარი ფული არ სჭირდებოდა, რომ მას გროშიც არ აბადია, რომ დიდი ოჯახი ჰყავდა სარჩენი და რომ, თუ მე დავიღუპებოდი, რაშიც ეჭვი არ ეპარებოდა, გასესხებული ფული წყალში გადაეყრებოდა, და კიდევ ბევრი ამგვარი მიზეზი მოპროტა თავისი სიძუნწის დასამალავად. ნახევარი საათი ვუჩიჩინე, ითასგვარი უზადო საბუთი მოვიხმე ჩემი სიმართლის დასამტკიცებლად, მაგრამ ვაგლახ, რომ სამყაროს გაჩენიდან დღემდე საბუთებს არავინ დაურწმუნებია. ეს აწორედ ის შემთხვევა

გახლდათ, რომლის ვამოც თქმულა ერრის. ჯოხიო. მაგრამ არც ისე სასტიკი კაცი ვარ, რომ ეს რჩევა ებედური ბერიკაცის მოსარჯულებლად გამომეყენებინა. ბოლოს ხელიკ კანკალითა და ტირილით ორი ცეხინი გაიძეტა და ვთხოვა, თუ სახურავის დაზეერვის შემდეგ უკან დაბრუნებას გადავწყვეტდი, ფული უკანვე ჩამებარებინა, რაზეც გაოცებულმა მივუგე, ნუთუ მართლა გგონია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია — რაკი აქედან თავის გაყოფა ვეღირსა, უკან რაღა დამაბრუნებს-მეთქი.

ხუთის ნახევარზე ვითარების შესამოწმებლად სახურავზე სარადაჩი ავგზავნე. უკან დაბრუნებულმა მომახსენა, ნახევარ საათში მთვარე დაიმალება, მაგრამ ისეთი ნისლი ჩამოწვა, რომ სახურავის ტუჯის ფილები ააშინლად მოილიპა და ფეხის დადგმა ძალიან სახიფათოაო.

— მთავარია, რომ ნისლი ზეთოვანი არ იყოს, დანარჩენს ეშველება, — ვუთხარი მე, — თქვენი ლაბადა დავორგლეთ და თოკს გამოაბით. შუაზე გაკრა მოგვიხდება.

და აქ, ჩემდა გასაოცრად, სარადაჩი ფეხებში ჩამივარდა და ცრემლებით შემომბღავლა, ნუ დამღუპავო.

— დარწმუნებული ვარ, რომ არხში გადავიჩეხები, — ზლუქუნებდა იგი, — მე ვერაფერში გამოგადგებით გემუდარებით, დამტოვეთ აქ და მთელ ღამეს თქვენთვის კილოცებ. თუ გინდათ, ჰომკალით, თქვენი ნებაა, მაგრამ კერ წამოვალ და რა ვქნა, — მართალი ხართ, — მივუგე მე, — დარჩით, მაგრამ ერთის პირობით: წმ. ფრანცისკოს ეიმართ ილოცებთ. ახლა კი წადით და გრაფს ჩემი წიგნები მიუტანეთ.

ეს ბრძანება თვალის დახამხამებაში შეასრულა. ჩემი წიგნებიანულ მცირე ხანი ეკიუ მაინც ღირდა. გრაფი შემპირდა, რომ როცა გაკოკილს უკანვე მომიყვანდნენ, ყოველივეს უკლებლივ დამიბრუნებდა.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დღეის ამას იქით თვალსაც ვერ მომკრავთ, — დავამშვიდე მე, — და მოხარული ვარ, რომ ეს ლაჩარი აღ მოგვყვება. იგი მე და პადრეს მხოლოდ ხელს შეგვიშლიდა და ჩვენი დიადი მიზნის განხორციელებას საფრთხესაც კი შეუქმნიდა. ხომ მართალს ვამბობ, ჩემო

გულადო მეგობარო? — მივმართე მონახონს, რათა მისი თავმოყვარეობა გამელიზიანებინა.

— მართალს ბრძანებთ, — მითხრა მან, — თუ ხვალ ამ კაცს სიქმე მოსალოცად არ ექნა.

მაშინ გრაფს კალამი და ქაღალდი გამოვართვი, წერილი დავწერე და სარდაჩის გადავეცი. დავიწყე დევიზით, რომელიც ამ ვითარებისათვის სასებით შესაფერისად მეგონა: „Non moriar sed vivam, et narralo opera domini (არა მოვკვდე, არამედ ვცხონდე და გავნვეტენ საქმენი ეფლისანი. ფსალმუნი 117. 17).

ჩვენს მეუფე სახელმწიფო რეკვიზიტორებს ქმართებთ, რომ დამნაშავის საპყრობილეში გასაჩერებლად ყველაფერი იღონონ. დამნაშავეს კი, რომელსაც სიბეღნიერად, ციხეში დარჩენის პირობა არ დაუდევს, ასევე ქმართებს, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად ყოველი ხერხი გამოიყენოს. ინკვიზიციის უფლება მართლმსაჯულებას ეკუთვნის, პატიმრისა კი — ბუნების კანონს. მეუფეთ ბრალდებულის ცხელი დასამწყვდევად მისი თანხმობა არ დასჭირვებია, ისევე, რაც ბრალეულს სჭირდება მართლმსაჯულების მსახურთა თანხმობა, როცა თავის შველას დაპირებს.

ჯაკომო კაზანოვამ, რომელიც ამ სიტყვებს დიდის გულისწუხილით წერს, უწყინა: ვიდრე სამშობლოს დატოვებდეს, შესაძლებელია უბედურება შეემთხვა, შეიპყრონ და კვლავ იმათ ხელში დააბრუნონ, ვისაც გაექცა. თუ ასე მოხდა, იგი თავის კეთილშობილ მსაჯულებს მუხლმოყრით ევედრება: გამოიჩინონ ჰუმანურობა, რათა გონებისა და ბუნების კანონით ჩადენილი შეცდომისაგან მისი ხვედრი უფრო არ დამძიმდეს. თუ ბედმა გაწყრა და ხელმეორედ დაიჭირეს, მაშინ გთხოვთ, დაუბრუნოთ საკანში დატოვებული მთელი თავისი ქონება, ხოლო თუ გაუმართლა და სამშვიდობოს გაიღწია, მაშინ ყველაფერს სჩუქნის ფრანჩესკო სარდაჩის, რომელიც ციხეში რჩება, რადგან ჩემს გზაზე ჩაბეჭდილი ხიფათებისა ეშინია და თავისუფლება სიცოცხლეზე მეტად არ უყვარს. კაზანოვა ადიდებს მათი აღმატებულებების დიდსულოვნებას და ჰეედრის, ნუ წაართმევენ უბედურ ადამიანს ამ მცირე საჩუ-

ქარს. დაწერილია შუალამემდე ერთი საათით ადრე, გრაფ ასკვინის ბნელ საკანში, 1756 წლის 31 ოქტომბერს".

წასელის ჟამიც დადგა. მთვარე აღარ ჩანდა. პადრე ბალბის ყელზე თოკი შეეგები და ზედ მისი უბადრუკი ძონძების ფეთა ჩამოკიდე. მეც ასევე მოვიქეცი, ვახსენეთ ღმერთი და გაუოკეკვლობის შესახვედრად გავეშურეთ.

პირველად მე გამოვედი. პადრე ბალბი უკან ვომყვა. საბადიჩის ტყვიის ფილა ადგილზე დავამაგრებინე და წმ. ფრანცისკოსთან სალოცავად გავგზავნე. ოთხზე დავდექი და დიდი სახურავის ძგიდეს მოვეპიდე. მონაზონი შარვალში ჩამაფრინდა, რის გამოც ულლის გამწევი აქლოშინებული პირუტყვის ხეედრი მერგო. ნისლისაგან გალიპულ ტყვიის სახურავზე შელი დიდი ჭაპანწყვეტით ავათრიე და ახიფათო ფერდის შეამდე რომ მივაღწიეთ, მონაზონმა გამაჩერა: ერთ-ერთი ფეთა ბოსძრობდა და ქვევით დაგორებულიყო. პირველი, რაც თავში მომივიდა, ერთი გემრიელი ტლინკის ჩახელა იყო, მაგრამ უფალმა დამიფარა და თავი შემაკავებინა, რამეთუ ეს ორივესათვის დიდი სასჯელი იქნებოდა — მარტოხელა ხომ ველარაფერს გავაწყობდი. რა გქონდა იმ ოხერ ფეთაში-მეთქი, შეეულრინე და მიპასუხა; შავი სერთუკი, ორი პერანგი და ძვირფასი მანუსკიპტიო, რომელიც ჰიომბოში უპოვია და ბოსი სიტყვით, უზარმაზარი ფული ღირდა. არა უშავს-მეთქი, ვანუგეშე და გზის გაგრძელება დავაპირე. ღრმად ამოოხრა, ისევ შარვალზე ჩამომეკიდა და გამომყვა.

თხუთმეტი-თექვსმეტი ფილის გადალახვის შემდეგ სახურავს თხემზე მანდიკურად გადავეკიდეთ. ბარგი მოვიხსენი. მონაზონმაც მომბაძა, თოკების გროვა საკმაოდ მოხერხებულად მოითავსა ფეხებს შორის, მაგრამ ფარფლებიანმა ქუდმა წონასწორობა დაკარგა, ყირამალა გადავიდა, საწრეტ ღარში ჩაგორდა და იქიდან არხში გადაფრიალდა. ჩემი ამხანაგი მეტისმეტმა ჭმუნვამ შეიპყრო.

— ცუდის ნიშანია, — ამოიოხრა მან, — ჯერ საქმეს არ შევდგომივართ, და უკვე არც პერანგი მაქვს, არც ქუდი და აღარც ძვირფასი მანუსკრიპტი, რომელიც რესპუბლიკაში გამართულ სადღესასწაულო დარბაზობათა შესახებ ყველა ინ-

ვის უცნობ ისტორიულ მასალას შეიცავდა. მე ვუთხარი, რომ ეს შემთხვევა ჭკუის სასწავლად გამოადგებოდა და არც ისე სამწუხარო იყო, რადგან ნამდვილი უბედურება ის იქნებოდა, ქუდი მარჯვენა ფერდზე კი არა, მარცხნივ რომ დაგორებულიყო, სასახლის პალატაში ჩავარდნილიყო და კარის მცველთ ელოთ, რადგან ვითარების აწონ-დაწონვის შემდეგ თავიანთი მოვალეობის შესრულების საბაბით აუცილებლად ვიზიტად გვეწვეოდნენ.

შემდეგი ერთი საათი სახურავზე დახვეულს ჰოვანდომე, სან აქეთ მივდექი და ხან იქით, მაგრამ ვერსად ჭოკის გამოსაბმელი ადგილი ვერ ვიპოვე, რომ იქიდან ქვევით ჩავშვებულიყავით. საგონებელში ჩავვარდი. არხეინ ან სასახლის ეზოზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. აქედან ეკლესია გეშმბალეებს შორის მოქცეულ უამრავ ეფსკერულად მოჩანდა, რომელთა გადალახვა შეუძლებელი იყო. დიდი განსჯისა და გარემოს აგულდაგულო მოხილვის შემდეგ თვალი სახურავის ფერდის ორი მესამედის იმალლეზე შენჩნეულ სამერცხელზე შევაჩერე. იგი ჩვენი გაქცევის ადგილიდან საკმაოდ შორს იყო და ამიტომ ვიფიქრე, რომ ცოხეს კი არ ეყუთვნოდა, არამედ — სასახლის რომელიმე საცხოვრებელი ნაწილის სტენს, და თუ იქ ჩავალწევდით, უეჭველად ღია კარსაც ვიპოვიდით. ამ აზრმა ალარკმლის ვარდან გამოკვლევა ვადამაწყვეტინა და საქმეს დაეყოვნებლივ მივეფიქი. ქვევით ჩავცერდი და სამი ფუტის აიგრძისა და ფეტნახევარი სიგანის ფანჯრის წინაფრზე აღმოვჩნდი. კისერი წავიგრძელე და სარკმელში შევიხედე. დავინახე რკინის წვრილი ცხაური, მის იქით კი — ტყვეის პატარპატარა კილოებში ჩასმული შუშები. რკინის ერდელი ჩოვიმარჯვე და ჩარჩოს გამოღება დავიწყე. თხუთმეტ წუთში ჩარჩო თავისი ცხაურიანად ხელში შემრჩა. მერე შუშებიც ოოლად ჩავამსხვრიე, გაჭრილი ხელიდან მოთქრიალე სიცხლი ალად ჩავაგდე და საჩქაროდ უკან დავბრუნდი, პადრემ დაგვიანება ჰისაყვედურა, მაგრამ სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ ჩვენ-ჩვენი ხაბაკი წამოვიკიდეთ და სარკმელთან ჩავეშვით. ახლა მთავარი ის იყო, რომ ორივე სხვენზე მოვხვედრილიყავით, მაგრამ როგორ? ერთის ჩასვლა ძნელი არ იქნებოდა — მეორე თოკს დაუჭერდა და ისე ჩაცურდებოდა, მაგრამ მეორეს რა

ენდა ექნა? თოკის გამოსაბმელი ადგილი არსად იყო. ბარკელში რომ შევმძვრალიყავი და უბრალოდ ჩავვარდნილიყავი, უბათუოდ კისერს ჰოვიტეხდი, რადგან არ ვიცოდი, რა სიმაღლიდან უნდა შემესრულებინა ეს გმირული ნახტომი. მონაზონმა მირჩია, რომ ჯერ სხვენზე ის ჩამეშვა, შემდეგ კი ბაკმაოზე მეტი დრო ჰექნებოდა იმის მოსაფიქრებლად, წე თავად როგორ ჩავსულიყავი. კი მივხვდი ამ კეთილგული რჩევისათვის რასაც იმსახურებდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა: ბაშინვე გავხსენი ჩემი თოკები, იღლიებსა და მკერდზე შემოვახვიე, გამოვკვანძე, შემდეგ მუცელზე დავაწვინე და სამერცხულისაკენ დავაცურე. მე ისევ სახურავის უნაგირზე ვიყავი ამხედრებული და თოკი მეჭირა. ფანჯრის წინაფრას რომ მიაღწია და თავი დაიმაგრა, მეც იქ დავეშვი და მონაზონს ფანჯრის ღიობში ფეხები და თეძო გავაყოფინე, შემდეგ ჩარჩოსთვის ხელები ჩავაშვებინე და ვუბრძანე, თამამად ჩამხტარიყო, მე კი თოკით დავიჭერდი. სხვენის იატაკზე რომ დადგა, თოკი შემოვხსენ. ამოვიღე და გავზომე: ფანჯრიდან იატაკამდე მანძილი ჩემს სელზე ათჯერ ულაძეტი ალმოჩნდა. ჩახტომა სისულელე იყო. სახურავის თხემზე დავბრუნდი და მიმოვიხედე. ერთ-ერთი გუმბათის სიახლოვეს ტყვიის ფილებით დაფარული პატარა ბაქანი შევნიშნე, მის გვერდით — დიდი სამერცხული. ბანაქზე ჩამქრალი კირით სავსე როფი, კალატოზის ნიჩაბი და საკმაოდ გრძელი კიბე ეწყო. ჩემი ყურადღება სწორედ ამ კიბემ მიიპყრო. ჩოჩვაჩოჩვით მივაღწიე, თოკი გამოვაბი და კიბე სამერცხულამდე მივათრიე. ახლა შიგ უნდა გამეძვრინა. მაგრამ მეხუთე საფეხურის იქით ვერა და ვერ დავძარი — კიბის ბოლო ფანჯრის წინაფარს ებჯინებოდა და მისი უფრო ღრმად შეტანა არავითარ ძალას არ შეეძლო. აუცილებელი იყო კიბის მეორე ბოლოს აწევა, მაშინ საწინააღმდეგო მხარე დაბლა დაიწევდა და იქნებ კიბეც მთლიანად შეტეულიყო. შეეძლო, კიბე ფანჯრის გასწვრივ დამეწვინა; ზედ თოკი გამომება და სხვენზე ისე ჩავშვებულიყავი, მაგრამ მაშინ კიბე სახურავზე დარჩებოდა და დილით ლორენცოსა და სბირებს იმ ადგილს მიუთითებდა, საიდანაც იქნებ ჯერ წასულიც არ ვყოფილიყავით. ესე იგი, კიბე ფანჯარაში მთლიანად უნდა შემეტანა. დამხმარე არავინ მყავდა და მეორე ბოლო რომ წამომე-

წია, საწრეტ ღართან თვითონვე უნდა ჩავსულიყავი. ასეც მოვიქეცი და განგება რომ არ შემწეოდა, ეს რისკი სიცოცხლის ფასადაც დამიჯდებოდა. კიბისთვის ხელის გაშვება გავბედე. მისი მესამე საფეხური საწრეტ ღარზე იყო გამოდებული და არხში არ უნდა გადავარდნილიყო. თოკიც დავაგდე და ნელნელა, კიბის გაყოლებით ღარისაკენ წავჩოჩდი. რომ ჩავაღწიე, მარჯვედ შემოვბრუნდი სარკმლისაკენ. მარჯვენა ხელი კიბეზე მედო, ფეხის წვერებით მარმარილოს ღარს ვეყრდნობოდი: კი არ ვიდექი, მუცელზე ვიწექი. ამ მდგომარეობაში კიბე ნახევარ ფუტზე წამოვწიე და იმავდროულად წინ წავეებიჯგე. სიხარულით დავინახე თუ ვიგრძენი, რომ მთელი ერთი ფუტით შევიდა ფანჯარაში. როგორც მკითხველი მიხვდება, ამით კიბის წონა საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. ახლა კიდევ ორი ფუტის სიმაღლეზე უნდა ამეწია და ამდენითვე წინ წამეგდო. მაშინ უკვე უეჭველი იქნებოდა, რომ თუ ფანჯრის წინაფარზე დავბრუნდებოდი და კიბის საფეხურზე გამობმულ თოკს ჩავქაჩავდი, ფანჯარაში კიბე მთლიანად შეცურდებოდა. ამიტომ, ორ ფუტზე რომ ამეწია, მუხლებზე წამოვდექი. მაგრამ კიბის აზიდვა რომ დავაპირე, დაწოლისაგან ფეხის წვერები დამისხლტა, მკერდს ქვემოთ სახურავს გადავცდი და ჰაერში დავეკიდე. იმ საზარელ წამს მთელი ჩემი ძალ-ღონე მოვიკრიბე, რათა იდაყვებითა და ფერდებით დავმუხრუჭებულიყავი, და როგორღაც შევძელი კიდეც. რის ვაიაგლახით ავზიდე ტანი და საწრეტ ღარზე მუცლით დავმაგრდი. და აი, ღარზე მჯდომი და ფერდებით დაყრდნობილი მივხვდი, რომ თუ მოვახერხებდი და ღარზე ჯერ ერთ და შემდეგ მეორე მუხლსაც შემოვდებდი, თითქმის გადარჩენილი ვიყავი. ის იყო მარჯვენა მუხლი ღარის ნაპირს შევახე, რომ საშინელი კრუნჩხვა შიმომაფრინდა. საზარელი წამი იყო! გამოცდილებით ეიცოდი, რომ უნდა დავლოდებოდი, ვიდრე თავისით არ გამიელდა. ორ-სამ წუთს ასე გაძაგრული ვიწექი. შემდეგ ისევ ვცადე ღარზე მუხლის შემოდება. მაღლობა ღმერთს მოვახერხე. მერე წამოვიჩოქე და წელში გავსწორდი. რამდენადაც შემეძლო, კიბე წამოვწიე და მივაწექი. იოლად დამყვა და სხვენში ნახევარზე მეტად შეცურდა. იქ კი ჩემმა ამხანაგმა ბოლოში ხელი ჩავლო და მთლიანად შეითრია. ჯერ ჩემი თო-

კეპი, ხაბაკ-ხუბაკი, აგრეთვე ნაფოტები და ნაძალხერევები ჩავყარე სხვებში, მერე თვითონაც ჩავედი. მონახოხი ალტაცებით შემეგება. მერე მთელი სხვენი ერთმანეთის მხარომხარ მოვიარეთ და ერთ კუთხეში რკინის კარი აღმოვაჩინეთ. სახელური გადავატრიალე, კარი გაიღო და ბნელ სათავსოში შევედით. ხელის ცეცებით მივაგენი ფანჯარას, დარაბები გამოვაღე და ვარსკვლავების სინათლეზე ჩვენს თვალებს ისევ წარმოუდგა ბუმბათებს შორის ჩამუქებული უფსკრულები. ფანჯრიდან გადასვლა გულშიაც არ გაგვივლია. დაქანცულობისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. იატაკზე დავეცი, ფუთა თავქვეშ ამოვიდე და მთელი არსებით უნეტარეს ძილ-ბურანში ჩავიძირე.

მონახვნის ყვირილმა და მუჯლუგუნებმა წამომაგდო: თორმეტმა საათმა დარეკა და ჩვენს მდგომარეობაში მყოფ კაცს ამდენი ძილი როგორ შეგიძლიაო. ვუთხარი: უკვე ცოცხალი აღარ ვართ, რაიმე გამოსავალი უნდა არსებობდეს და მისი პოვნა, ალბათ, ძნელი აღარ იქნება-მეთქი.

ბნელი სათავსოს ერთ კუთხეში ისევ კარს წავაწყდი. თითებით გასაღების ჭრილსაც მივაგენი და ჩემი ურდული შევუჩიჩხინე, მაგრამ ვერას გავხდი. გადავწყვიტე, ნაცადი ხერხისათვის მიმემართა და ხვრელი გამომეკრა. ურდული ავიღე და მუშაობა დავიწყე. გაიფთრებით ეკრიდი, ვჩეხავდი, ვაპობდი, ვანაკუწებდი ფიცარს და ყურადღებას არ ვაქცევდი იმას, რომ ასეთ თავგამოდებულ შრომას საშინელი ხმაურიც ახლდა. მონაზონი კი შიშისაგან ცახცახებდა. ვიცოდი, რა საშიშროებაც გველოდა, მაგრამ უკვე სხვა გზა აღარ დამრჩენოდა.

ნახევარ საათში იმოდენა ხვრელი გამოვკერი, რომ როგორმე გავტეულიყავით. უფრო გაფართოების თავი აღარ მქონდა — ყოველი მხრიდან კოჭრები იყო გამოჩრილი. წვეტიანი ნაფოტებით დაკბილული ნაპირები კარგს არაფერს გვიქადდა. ხვრელი ხუთი ფუტის სიმაღლეზე იყო. მონაზონი სკამზე შედგა, ხვრელში თავი და ხელები გაჰყო, მე უკანიდან მივაწექი და მეორე მხარეს გავიტანე. იქ ბნელოდა. სკამი სკამზე შევდგი და ზედ შევდექი. ხვრელი ახლა ჩემი ბარძაყების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ფეხები გავუყავი და მუცლით გავეკვეხე, უკანიდან მომწოლი არავინ მყავდა და ამიტომ მონაზონს ვუთხარი, ხელები ჩემს მუცელზე შემოეჭდო და შეუბ-

რალებლად მოვექაჩე. ნაკეწებადაც რომ ვქცეულიყავ, როგორმე მეორე მხარეს უნდა გადავეთრიე. ვან ჩემი ბრძანების შესრულება დიდის გულმოდგინეობით დაიწყო და გვერდებისა და ბარძაყების ნახევარი კანი ხვრელის ნაწიბურებს შევატოვე.

როგორც კი სხვენს თავი დავაღწიეთ, ჩემი ბარგი-ბარხანა წამოვკრიბე, კიბეზე დავეშვით, დერეფანში გამავალ კარი გავიარეთ და სადარბაზოს დიდ კარს მივადექით. დაკეტილი იყო. მისი დანახვისთანავე დავრწმუნდი, რომ უზარბაზნოდ აქ ვერაფერს გავხდებოდი: ნეტარი სიმშვიდით ალსავსე. შორიახლო ჩამოვჯექი და მონაზონს განვეცხადე, რომ ჩემი გარჯა ამ კარიბჭესთან დასრულდა და დანარჩენი ღმერთის ან ფორტუნის საქმე იყო.

— არ ვიცი, — განვაგრძე მე, — სასახლის დამლაგებლები დღეს მოვლენ თუ ხვალ. მიცვალებულთა ხსოვნის დღეს, მაგრამ როგორც კი კარი გაიღება, მაშინვე აქედან გავვარდები და თქვენც ეკან გამომყვებით. თუ არავინ მოვიდა, ადგილიდან არ გავინძრევი. შესაძლოა შიმშილით სული გაგვძვრეს, მაგრამ ამას ველარაფერს ვეშველით.

ჩემმა სიტყვებმა საბრალო მონაზონი ჭკუიდან გადაიყვანა. შეშლილი, შეპყრობილი, მაცდური, ფლიდი და რა ვიცი კიდევ რა არ მიწოდა. გმირული მოთმინებით მოვუსმინე. ცამეტმა საათმა დარეკა. დაეყოვნებლივ შევუდექი ამ ვითარებაში ყველაზე ძნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას — თავის მოწესრიგებას. პადრე ბალბი სოფლელ ტეტიას ჰგავდა, მაგრამ სალსალამათი მაინც იყო — არც სამოსი შემოგლეჯოდა და არც ნაკაწრები აჩნდა. წითელი ფლანელის ქილეტი და იასამნისფერი შარვალი სულ არ შელახულიყო. ჩემი გარეგნობა კი კაცს ნამდვილად შეაშინებდა: მთლად გატეხილი და გასისხლული ვიყავი, სამოსი კონკებად მეკიდა, სახე ნაცემივით მქონდა დალურჯებული და უშველებელი კოპები მასხდა. რამდენიმე ხელსახოცი დავხიე და იარები შევიხვიე, მოვირგე ჩემი ლამაზი კაბა, ავად თუ კარგად დავივარცხნე თმა, თეთრი წინდები და მაქმანიანი პერანგი ჩავიცვი — სხვანაირი არ გამაჩნდა — ძველი სამოსი კი სავარძლის ეკან ჩავჩურთე. ჩემი ნოსასხამი მონაზონს მოვახურე. იმ ადამიანის შესახედაობა მქონ-

და, რომელიც მეჯლისიდან სამიკიტნოში მოხვდა და იქ კარ-
ი მაგრად დააქოთაქეს.

ასე მორთულ-მოკაზმ ულმა თავზე ოქროს ბალთიანი და თეთ-
რი ფაფუნით გაწყობილ ესპანური ქუდი დავიხურე და ფანჯარა
ვამოვაღე. ჩემი ოიფაანი პალატის ეზოში მოსეირნე უსაქმურებს
ბაშინვე თვალში ეცათ. ახლა ვერ მოვიდნენ, თუ ვინ ვიყავი
და ასე უცნაურად გამოწყობილი დილაუთენია ამ ფანჯარაში
ოგორ აღმოვჩნდი, საქმის გასარკვევად მეკუჭნაველთან წავიდ-
ნენ, რომელსაც კარის გასაღები ჰქონდა. მას ეფიქრია, შეიძ-
ლება წუხელ ვინმე შემთხვევით ჩავკეტეო, გასაღები აუღია და
წამოსულა. ეს ყოველივე ხუთი თუ ექვს თვის შემდეგ პარიზში
შევიტყვე.

დაუდევრობისათვის მონაზონმა გემოზე გამომლანძღა, ხო-
ლო როცა კიბეზე ნაბიჯების ხმა და გასაღებების ჟღარუნი შე-
ვიმესმა, მეც გვარიანად შევფუცხუნდი. აღელვებულმა კარის
ბეჭრუტანაში გავიქაიტე და კიბეზე დინჯად ამომავალი კაცი
დავინახე. მონაზონს მრისხანე ხმით ვუბრძანე, რომ ხმა გაეკ-
ეთდა და უკან გამომყოლოდა. კაბის ქვეშ ურდული ჩაებღუჯე
და კართან ისე დავდექი, რომ გაღებისთანავე გარეთ გავვარდ-
ნილიყავი. ღმერთს ათას რამეს აღვუთქვამდი, ოღონდ კი ამ
კაცს წინააღმდეგობა არ გაეწია, თორემ მისთვის ყელის გამოჭ-
�მომიხდებოდა. ამის გაკეთება მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი.

კარი გაიღო და ჩემს დანახვაზე კაცი ადგილზე გაქვავდა.
ეე შურდულივით გავვარდი გარეთ. მონაზონიც უკან გამომყვა.
შემდეგ არც სირბილით, მაგრამ არც მთლად ნელა დავეშვი
ფლამაზეს კიბეზე, რომელსაც გიგანტების კიბეს უწოდებენ, და
ყურადღებას არ ვაქცევდი პადრე ბალბის, რომელიც ფეხდაფეხ
მომდევდა და მალიმალ გაიძახოდა, ეკლესიას მივაშუროთო.

ეკლესიის კარიბჭე ოციოდე ნაბიჯზე იყო.

ვენეციის ეკლესიებს არავითარი ხელშეუხებლობა არ გააჩ-
ნიათ. მათში ვერც სამოქალაქო და ვერც სისხლის სამართლის
ღამნაშავის თავშესაფარს ვერ ჰპოვებს, და თუ ჩაფრები ვინმეს
დაჭერას დააპირებენ, დევნილი თავის გადასარჩენად არავითარ
შემთხვევაში ეკლესიას არ მიაშურებს. მონაზონმა ეს იცოდა,
მაგრამ მაინც ეკლესიისაკენ გარბოდა, რადგან ამ ცდუნების მი-

სი თავიდან ამოგდება შეუძლებელი იყო. შემდეგ მიმტკიცებდა, რომ საკურთხევლისაკენ რელიგიური გრძნობები ექაჩებოდა და მათი პატივისცემა არც მე მაწყენდა.

თავისუფლება და ხელშეუხებლობა, რასაც ალე მივეტოდი, უბრწყინვალესი რესპუბლიკის გარეთ მეგულებოდა და იმ წამიდან მასთან მიახლოება დავიწყე. სულიერად უკვე მასთან ვიყავი, ახლა სულისათვის ხორციც უნდა მიმედევნებინა და პირდაპირ სასახლის მთავარი კარიბჭისაკენ გავემართე, მცირე მოედანი გადავკვეთე, სანაპიროზე გავედი, პირველსავე შემხვედრ გონდოლას მივადექი და გონდოლიერს ვუთხარი:

— მესტრაში მინდა. მეწყვილეს დაუძახე, ცოცხლად!

მეწყვილე დაუყოვნებლივ მოვიდა და მე და მონაზონი გონდოლაში ჩავსხედით. საბაჟოს რომ გავცდით და არხის შუაგულს მივაღწიეთ, გონდოლიერმა კითხა, მესტრაში როდის ვიქნებით-მეთქი.

— მესტრაში ერთ საათში ვიქნებით, — მიპასუხა ძან, — რადგან წყალი და ჰაერი გვეხმარება.

უკან მოვიხედე და არხზე ვერც ერთი მდევარი ნავი რომ ვერ დავინახე, ჩემს სიცოცხლეში ერთ-ერთი უბრწყინვალესი დღის სილამაზით აღვფრთოვანდი. მომაგონდა წუხანდელი საზარელი ღამე, საშინელი წინა დღეები და ის აუტანელი ვარემო, სადაც აქამდე ვიმყოფებოდი. გამახსენდა კეთილსასურველი დამთხვევები, ბედის წყალობები და ჩემი ალი სიყვარულითა და ღვთისადმი მადლიერებით აღივსო. უნაპირო ბედნიერებით გალიცლიცებულმა გულმა შვება ცრემლის მდინარეში ჰპოვა.

მონაზონმა ჩემი დამშვიდება თავის მოვალეობად მიიჩნია, მაგრამ ამ ცრემლების უმშვენიერესი სათავე მისთვის დაფარული იყო. იმის დანახვაზე, თუ რა მონდომებით შეუდგა საქმეს, ტირილი მართლა შევწყვიტე და ისეთი ხარხარი ამიტყდა, რომ საბრალო ჰადრეს შეშლილი ეგონე. ეს მონაზონი დიდი ბრიყვი ვინმე იყო და ჩემს წინაშე საკმაოდ ძნელი ამოცანა იდგა: მისი სიბრიყვე ჩემს სასარგებლოდ უნდა მომექცია.

მესტრეში ჩავედით. მეეტლეს მოველაპარაკე და შემპირდა, რომ საათნახევარში ტრევიზოში იქნებოდა. სამ წუთში შეაბა ცხენები და საგზაოდ გავემზადეთ. მეგონა, რომ ჰადრე ზურგსუ-

კან მიდგა. მაგრამ ალბ მოვტრიალდი, აღარსად იყო. ძმივიხედ-მოვიხედე, ი-კ-ი-ა-ს-გ-ა-ი-ყ-ი-ა-ს-თ-ხ-ე. — არავინ არაფერი იცოდა. ჩოსაძებნად შეჯინიბე ბიჭი გავგზავნე, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდა. დაყოვნებაც საშიში იყო. ამიტომ გამგზავრება გადავწყვიტე. ახიც იქნებოდა მასზე. მაგრამ გულმა არ მიქნა, ქუჩაში გავვარდი, გაძველელ-გამომვლელს ვეკითხებოდი, ასეთი და ასეთი კაცი ხომ არ გინახავთ-მეთქი, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერაფერი გავიგე. ბოლოს ყავახანაში შევყავი ოცი და აგერ არა ზის?! მსახურ გოგოს ემუსაიფება და ყავას სვრეპავს. შემნიშნა და მეც მიმიპატიჟა, მაგრამ ორივე ჭიქის ფასური შენ გადაიხადეო, მითხრა, რადგან ჯიბეში ერთი სოლიც არ უჭყაოდა. ბრაზისაგან აცახცახებულმა ხელი ვტაცე და ეარეთ გავისროლე. ათი ნაბიჯიც არ გამევლო, რომ ერთ იქაურ ბიჭიდრს, ბალბო ტომაზოს, შევეფეთე. ურიგო კაცი არ გახლავთ, მაგრამ ინკვიზიტორთა ტრიბუნალის მოენედ ითვლებოდა. ეგმნიშნა. მომიახლოვდა და შეჰყვირა:

— ამას ვის ვხედავ! საიდან სადაო! გამიხარდა თქვენი დანახვა. ალბათ, ციხიდან გამოიქეცით! როგორ მოახერხეთ?

— არ გამოვქცეულვარ, ბატონო, გამათავისუფლეს.

— შეუძლებელია! გუშინ საღამოს გრიმანისთან ვიყავი სანპოლში, აუცილებლად მეტყოდნენ.

მკითხველისათვის მიმინდვია იმის წარმოდგენა, რა დღეშიც ჩავვარდებოდი. მიეხვდი, რომ იმ კაცმა მამხილა, რომელიც. ალბათ, ჩემს შესაპყრობად დაიქირავეს და ახლა საკმარისი იყო, ბარველივე შემხვედრი სბირისათვის თვალით ენიშნებინა და ჩემი საქმე წასული იყო. სბირები კი მესტრეში ქვიშასავით ეყარნენ. ვთხოვე, რომ ხმადაბლა ელაპარაკა და სამიკიტნოს უკანა ეზოსაკენ წავიყვანე. ჩვენს გვერდით თხრილი იყო, იმის იქით კი — ვრცელი ველი. როცა დავრწმუნდი, რომ ვერავინ დაგვიხვდა, მარჯვენა ხელით ჩემი განუყრელი ურდული ჩავბღუჯე, მარცხენათი — მისი საყელო, მაგრამ თევზივით დამისხლტა, თხრილს გადაევლო და თავქუდმოგლეჯით მოკურცხლა, დროდადრო ბრუნდებოდა და საპაერო კოცნებს მიგზავნიდა, რითაც თითქოს გზას მილოცავდა და მამშვიდებდა, ნურაფრის გეშინოდეო. როცა თვალს მიეფარა, მამაზეცერს მადლობა შევწირე, რომ ეს ადამიანი ხელიდან გამომაცალა და საშინელი დანაშა-

ული არ ჩაშდენინა: კინალამ ყელი გამოვლადრე, მაგ კი, ვინ იცის, გულში ცუდი არაფერი სდებია.

გუნებაწამხდარმა მძულვარე მზერა ვესროლე ლაჩარს, რომელმაც დაინახა, თუ რა შემემთხვა მის გამო. გვერდით მომიჯდა და გამოლაპარაკებას ვერ მიბედავდა. ვიჯექი და ვფიქრობდი, ეს უბედური თავიდან როგორ მომეშორებინა.

ტრევიზოში ჩავედით. შიმშილით სული მძვრებოდა, მაგრამ საჭმელად გაჩერებას ვერ ვბედავდი. რამდენიმე წუთით შეყოვნებაც კი შეიძლებოდა ძვირად დამჯდომოდა. მეშინოდა, რომ ხელახლა შემიპყრობდნენ და ეს მთელი ცხოვრების განმავლობაში სირცხვილად მეყოფოდა, რადგან გონიერ ადამიანს ბუნების წიაღში ჭის მდევარ ოთხ ასეულ ათას კაცთან გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეს. თუ დამალვა ვერ შეძლო, უბრალოდ შტერი ყოფილა და ყველაფერი თავის თავს დააბრალოს.

წმინდა თომას კარიბჭე მოსეირნე კაცივით გავიარე და შარაგზაზე ერთი მილის გავლის შემდეგ ჭინდოროში გავედი. უმოკლესი გზით საზღვრის გადასაკვეთად ბასანოზე უნდა წავსულიყავი, მაგრამ ყველაზე შორი გზა ავირჩიე, რადგან უახლოეს გასასვლელთან, ალბათ, უკვე მელოდებოდნენ.

სამი საათის სიარულის შემდეგ ჭიწახე დავეცი. ვეტი ნამდვილად აღარ შემეძლო. ძალ-ღონის ჭოსაკრებად აუცილებლად ლუკმა უნდა გაღამეყლაპა ანდა ადგილზე სიკვდილისათვის უნდა მოემზადებულიყავი. ჭონაზონს ვუბრძანე, მოსასხამი დაეტოვებინა და კარგა შორ ჭანძილზე დალანდულ ფუნდუკისაკენ წასულიყო, იქნებ რაიმე საჭმელი ეშოვა. ვეფუნდუკე ქალმა ოცდაათ სოლდოდ საკმაოდ რიგიანი სადილი გამოატანა. დავნაყრდი და ძილი რომ არ მომრეოდა, მაშინვე გზა განვაგრძე. ტრევიზოდან ოცდაოთხი ჭილის დაშორებით ისევ გავჩერდი. ნაბიჯის გადადგმა აღარ შემეძლო. კოჭები დამისივდა, ფეხსაცმელი დამეხა. ერთ საათში მზე ჩავიდოდა. ხის ძირას დავწექი და მონაზონს ვუთხარი, გვერდით მომჯდომოდა.

— ჩვენ ბარგო დი ვალსუგანაში უნდა ჩავიდეთ, — ავუხწენი მე, — ესაა ჭირველი ქალაქი ვენეციის ჭახელმწიფოს საზღვარს გარეთ. იქ სამშვიდობოს ვიქნებით და დავისვენებთ.

ჰაგრამ იქამდე რომ მივალწიოთ, სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო. ამისათვის ერთმანეთს უნდა დავცილდეთ. თქვენ ტყით ივლით, მე — მთებით. თქვენ ყველაზე მოკლე და ოლი გზით, მე — ყველაზე გრძელითა და ძნელით. თქვენ — ფულით, მე — სრულიად ცარიელ-ტარიელი. აი, ჩვიდმეტი ლირა. ასკვინის ორი ცენტინიდან ესღა დამრჩა. გამომართვით. ეს ჩოსასხამიც წაიღეთ. ხელმარცხნივ პირველსავე ტრაქტირში დამელოდეთ. ეჭვი არ მეპარება, რომ ყველგან დაგეძებენ და ჩვენი ნიშნები ისე კარგად ექნებათ აღწერილი, რომ სადაც კი ერთად გამოჩენას გავბედავთ, იქვე ჩაგვავლებენ. ხედავთ, რა საშალალო მდგომარეობაში ვარ და როგორ მჭირდება რამდენიმე საათის დასვენება? მშვიდობით. მარტო წადით და საშუალება ჰომეცით, რომ სადმე ღამის გასათევი მოვძებნო.

— ველოდი, რომ ადრე თუ გვიან ამას მეტყოდით, — მიპასუხა ძონაზონმა, — მაგრამ მსურს შეგახსენოთ, რას შემპირდით, როცა დილეგში ხვრელის გამოჭრაზე დამიყოლიეთ. თქვენ აღმითქვით, რომ ერთმანეთს არასოდეს დავშორდებოდით. ტყეილად გაქვთ იმის იმედი, რომ მარტო დაგტოვებთ. ამიერიდან თქვენი ბედი ჩემი ბედიცაა, ჩემი კი — თქვენი. ამ ფულით მშეენიერ ღამის გასათევს კიპოვით. ტრაქტირებს კი ახლოსაც არ გავეკარებით და ვერც ვერავინ დაგვიჭერს.

— ესე იგი, მტკიცედ გადაწყვიტეთ, რომ ჩემს კეთილ რჩევას ყურადღ არ ითხოვოთ?

— მტკიცედ.

— ვნახოთ.

ამის თქმაზე ძლივს წამოვდექი, ჰისი ბიმაღლე თვალით აყურებდა, ფიწალზე მოვნიშნე, შემდეგ ერდული ამოვიღე, ფარცხესა გვერდზე დავწექი და მშვიდად დავიწყე ორმოს ამოთხრა. მის შეკითხვებზე ყურსაც არ ვაბარტყუნებდი. თხუთმეტი წუთის ჩიჩქნის შემდეგ მწუხარედ შეკხედე და განვუცხადე, რომ როგორც ეშმარიტ ქრისტიანს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა, მისთვის ლოცვის საშუალება მიმეცა.

— ეს აქვე ცოცხლად დაგმარხავთ, — დავძინე მე, — ან, თუ უფრო ძლიერი აღმოჩნდებით, თქვენ დამმარხავთ. ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმას მხოლოდ თქვენი უტვინო სიჯი-

უტე მაიძულებს. შეგიძლიათ თავს გაქცევით უშველოთ. არ გამოგეკიდებით.

ხმა არ გაუღია და ორმოს თხრა გავაგრძელე. უკვე შიშიც შემეპარა, რომ საქმის ბოლომდე მიყვანას მაიძულებდა.

ბოლოსდაბოლოს, ოაღაც მოიფიქრა თუ ბართლა შეეშინდა, ჩემს კვერდით დაეცა. არ ვიცოდი, გულში რა ედო და ჩემი ურდულის წვეტი მივუშვირე, მაგრამ საბრში არაფერი ყოფილა. მითხრა, როგორც მიბრძანებ, ისე მოვიქცეიო. მაშინ მივედი და გადავეხვიე, მთელი ფული მივეცი და კიდევ ერთხელ დავიმშვიდე, რომ ბორგოში შევხვდებოდი. თუმცა ერთი სალდოც აღარ დაბრჩა და ცხრა მთაც უნდა გადაძვალახა, მაინც მივულოცე ჩემს თავს, რომ ასეთი უხნეო თანამგზავრის ჩამოცილება მოვახერხე. უკვე ეჭვი აღარ შეპარებოდა, რომ ამშობლოდან გადახვეწასაც შეეძლებდი.

და აი, ისევ ალბელოკან პარიზში ვარ. ამშობლოდან იძულებით ლტოლვილმა ფეხი აქ უნდა მოვიკიდო. ამ ქალაქში ადრე ორი წელი გავატარე, მაგრამ მაშინ გართობის გარდა ახვა საზრუნავი არა მქონია და ამიტომ არც მაინ შეეწყალა დამჭირკვნია. ახლა კი, მინდოდა თუ არა, თაყვანი უნდა მეცა იმათთვის, ვისაც ბრმა ფორტუნა ეწყალობდა, წაოპატების მისაღწევად მთელს ჩემს ნიჭსა და უნარს, ფიზიკურ და სულიერ შესაძლებლობებს ფალიში უნდა ჩავეულიყავი, წარჩინებული და გაკლუნიანი ადამიანები უნდა გამეცნო და დავახლოებოდი, უდიდესი ნებისყოფა უნდა გამომეჩინა, სულიერები მომეთოკა, ჩემს ადგილზელ ჩვეულება და მიდრეკილებებზე უარი უნდა მეთქვა, იმათი ახრი უნდა გამეთვალისწინებინა, ვისაც, როგორც შემდეგ დავინახე, საჭირო ეყო, რომ უსათუოდ მოვწონებოდი, ერთი სიტყვით, ბოლოსაბოლოდ უნდა გარდაქმნილიყავი, თორემ სხვანაირად მტრებს გავიჩენდი, ისინი კი ხალხს იოლად გამიტეხდნენ და მნიშვნელოვანი საქმეებისათვის უვარგის ადამიანად მაქცევდნენ. ამგვარი და კიდევ ათასნაირი ფიქრისა და განსჯის შემდეგ წასვლა დაკიდე ყოველდღიურ საქციელსა და ლაპარაკში თავდაჭერილობა და სიფრთხილე, რათა სერიოზულ საქმეებში იმაზე უფრო გაცნობიერებული გამოვჩენილიყავი, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი. რაც შეეხება ცხოვ-

რების სასაარს, იმედი მქონდა, რომ ბატონი ბრაგადინი თვეში ან ეკუს გამომიგზავნიდა, რაც საკმარისი უნდა მყოფნოდა. ისევ დამრჩენოდა, კარგ ჩაცმა-დახურვასა და რიგიან საცხოვრებელზე შეხრუნა, მაგრამ დასაწყისისათვის გარკვეული თანხა მჭირდებოდა, რათა ხალხში გამოსაჩენი სამოსი შემეძინა.

...ამრიგად, მეორე დღეს კვლავ ბერბონთა სასახლეს მივადექი. მინისტრმა ისევ მიმიღო, როგორც კეთილი. მან კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამდენი ფათერაკისა და განაცდელის გამოვლის შემდეგ უკნებელსა და საღსალამათს მხედავდა და გულწრფელად გაიხარა, რომ ჩემთვის დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობა ეძლეოდა. როცა მ. მ.-ს წერილიდან ჩემი გაქცევის ამბავი შეუტყვია, მაშინვე ჰიმხვდარა, რომ პირდაპირ პარიზს მივაშურებდი. და პირველად ასე ვეწვეოდი. მ. მ.-ს წერილებიც მაჩვენა, რომლებშიც ის თავის მეგობარს ჩემი დატუსაღებისა და ციხიდან გაქცევის ამბავს ისე ეუბნებოდა, როგორც სხვებისაგან ჰქონდა გაგონილი. ამ მონათხრობში ბევრი რამ არასწორი იყო, ამიტომ მინისტრს შევეპირდი, რომ ყოველივეს სიმართლით აღვწერდი. მან სიტყვაზე დამიჭირა და პირობა ჩამომართვა, რომ ჩემს ნაწერს აუცილებლად მას მივუტანდი, ის კი შემდეგ ჩვენს ელჩს გაუგზავნიდა. ამის შემდეგ ფრიად ტაქტიანად გადმომცა ასი ლუიდორი და აღმითქვა, რომ ვეხსომებოდი და როცა საჭიროდ მიიჩნევდა, თავად მომძებნიდა. ამ ფულით აუცილებელი რამეები შეეძინე, ერთი კვირის თავზე კი ჩემი გაქცევის აღწერაც გავუგზავნე და მისი ასლების გადაღებისა და თავისი ხელმოწერებისამებრ გამოყენების უფლებაც მივეცი. რათა იმ პიროვნებებში, ვისაც ჩემთვის საარგებლობის მოტანა შეეძლო, ჩემდამი ინტერესი და თანაგრძნობა აღეძრა. სამი კვირის შემდეგ გამომიძახა და მითხრა, რომ ჩემს შესახებ კენეციის ელჩა, ბატონ გრიცოს, ელაპარაკა, რომელმაც დაარწმუნა, რომ ჩემი კეთილი ნამდვილად არ სურდა, მაგრამ სახელმწიფო ინკვიზიტორების შიშით ჯერჯერობით ვერ მიმიღებდა და ვერც ვერაფრით დამეხმარებოდა. გარდა ამისა, მინისტრმა მითხრა, რომ ჩემი ნაწერი მარკიზის მეუღლისათვის გადაუცია, რომელსაც ეხსომებიკარ და ჩემს მიწვევასაც შეჰპირებია. საუბრის დასასრულს მინისტრმა მირჩია, რომ კარგი იქნებოდა,

თუ ბატონ შუაზელს წარვუდგებოდი და თუ გენერალ-კონტროლიორ ბატონ დე ბულონესაც ვეახლებოდი, ვისი დახმარებითა და ჩემი მარიფათის წყალობით შესაძლოა რაიმე ხეირიან საქმეს დავდგომოდი.

— ის ყველაფერს თვითონ გასწავლით, — მითხრა მინისტრმა, — და დაინახავთ, რომ ვისაც მოუსმენენ, იმას სწყალობენ. შეეცადეთ სახელმწიფო ხაზინისათვის სასარგებლო და თანაც იოლად შესასრულებელი რამ გამოიგონოთ. თუ თქვენი წინადადება ძალიან ვრცელი არ იქნება, გავეცნობი და ჩემს აზრსაც შეგაშველებთ.

მინისტრისაგან კმაყოფილი და მადლიერი კი წამოვედი, მაგრამ მაგარი თავსატეხიც წამომყვა: წარმოდგენაც კი არ მქონდა თუ რა გზით შეიძლებოდა სახელმწიფო ხაზინის გამდიდრება. ფინანსური საქმეების ინჩიბინჩი არ გამეგებოდა და თავს ამაოდ ვიცხელებდი. გონებაში სულ ახალი ბეგარის შემოღება და ამისთანა სისულელეები მომდიოდა. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. ერთი სიტყვით, დიდ გასაჭირში ჩავვარდი.

პირველად ბატონ შუაზელს ვეწვიე. დილის ტუალეტის დროს მიმიღო და ვიდრე თმას უვარცხნიდნენ, სულ რაღაცას წერდა. იმდენად თავაზიანი აღმოჩნდა, რომ ზოგჯერ წერას წამიერად შეწყვეტდა და რაიმეს მკითხავდა. ვპასუხობდი, მაგრამ სულ ამაოდ: ჩემი ერთი სიტყვაც არ ესმოდა და წერას განაგრძობდა. შიგადაშიგ კიდეც შემხედავდა, მაგრამ რად გინდა — ძზერა სადღაც ჩემს მიღმა ჰქონდა მიპყრობილი. და მაინც, ჰერცოგი უჭკვიანესი კაცი იყო.

წერა რომ დაასრულა, იტალიურად მითხრა, რომ ჩემი გაქცევის ამბავი აბატ დე ბარნისის ნაამბობით ნაწილობრივ იცოდა.

— მიამბეთ, როგორ მოახერხეთ საპყრობილიდან გამოპარვა.

— ამას ორი საათი დასჭირდება, თქვენს აღმატებულებას კი, როგორც ვხედავ, ამდენი დრო არ გააჩნია.

— ეიკლედ მომიყევით.

— ორი საათი სწორედ მოკლედ მოყოლას მოუნდება.

— წვრილმანები სხვა დროს მიამბეთ.

— წვრილმანების გარეშე. ეს ამბავი ყოველგვარ ეშხს დაკარგავდა.

— სულაც არა. ყველაფრის შემოკლება შეიძლება.

— კეთილი. მაშ ჰომილმინეთ, თქვენო ალმატებულებავ, სახელმწიფო ინკვიზიტორებმა პიომბის საპყრობილეში ჩამსვეს. ერთი წლის, სამი თვისა და ხუთი დღის შემდეგ სახურავი გავხვრიტე, სამერცხულიდან კანცელარიაში გადავძვერი, კარი გავამტვრიე, მოედანზე გავედი, გონდოლაში ჩავჯექი, ნაპირზე გამოვალწიე და მიუნხენისაკენ გავემართე. იქიდან პარიზში ჩამოვედი და ახლა მაქვს პატივი, — ჩემი დიდი მოწიწება დაგიდასტუროთ.

— კი მაგრამ... პიომბი რაღაა?

— ამის ახსნელად, თქვენო ბრწყინვალებავ, მეოთხედი საათი მაინცაა საჭირო.

— სახურავის გახვრეტა როგორ შესძელით?

— ამას ნახევარი საათი მოუნდება.

— სულ მაღლა რატომ მოგათავსეს?

— კიდევ ნახევარი საათი...

— მართალი ხართ: მთელი ახრი დეტალებშია. ახლა ვერსალში უნდა წავიდე. მოხარული ვიქნები, თუ თქვენთან შეხვედრის საშუალება კვლავ მომეცემა. მანამდე კი მოიფიქრეთ, რით შემიძლია თქვენთვის დახმარების გაწევა.

მისგან წამოსული ბატონ დე ბულონისაკენ გავემართე. კიხილე ადამიანი, რომელიც ჭერცოგს არაფრით არ ჰგავდა: არც სახით, არც ჩაცმულობით, არც მოქცევით. უპირველეს ყოვლისა, ჰომილოცა, რომ ბატი დე ბერნისი აგვერიგად მაფასებდა და ფინანსისტის ნიჭი შემიქო. სიცილი ძლივს შევიკავე. მასთან ერთად იყო დაახლოებით ოთხმოცი წლის, ჭეტად ჭკვიანური გამომეტყველების კეთილსახიერი მოხუცი.

— გამიზიარეთ თქვენი გეგმები, გნებავთ — წერილობით, გნებავთ — ზეპირად, — მითხრა მან, — ჩემი სახით გამგებიან და ყურადღებიან მსმენელს შეიძენთ. ეს ბატონი პარი დიუ ვერნეა. მას სამხედრო ანგარიშებლისათვის ოცი მილიონი სჭირდება. ეს თანხა ისე უნდა გამოიძებნოს, რომ არც სახელმწიფოს დააწვეს ტვირთად და არც ხაზინას დააკლდეს.

— ჩემო ბატონო, ოდენ უფალ ღმერთს შეუძლია არაფისაგან რაიმეს შექმნა.

— მე ღმერთი არა ვარ, — მიპასუხა ბატონმა დიუ ვერნემ, — და ამიტ მიუხედავად, ხანდახან ამგვარი რამეებისთვისაც მიმიღწევია. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

— დიახ, ვიცი, რომ ახლა სხვა დროა, — მივუგე მე, — მაგრამ ერთი ჩანაფიქრი თავში მაინც მიტრიალებს. ამ ოპერაციის განხორციელება მის უდიდებულესობას ასი მილიონის შემოსავალს მოუტანდა.

— მაგრამ მეფეს რა დაუჯდებოდა?

— არაფერი, გარდა ფულის შესაგროვებლად გაწეული ხარჯებისა.

— ესე იგი, ამ თანხას ხალხი შემოიტანს?

— დიახ, ოღონდ საკუთარი ნებაყოფლობით.

— ეიცი რაცა გაქვთ გუნებაში...

— ჭეშმარიტად აღტაცებული ვარ თქვენი გამჭრიახობით, ჩემო ბატონო. მე ხომ ჩემი ჩანაფიქრი ჯერ არავისთვის გამომხელია!

— თუ ხვალ თავისუფალი ბრძანდებით, გთხოვთ, ადილად მეწვიოთ, და თქვენს პროექტს გაჩვენებთ. იგი ძალიან მიმზიდველია, მაგრამ გადაულახავი დაბრკოლებები ახლავს. მაგრამ მაინც მოვითათბიროთ. ხომ ბრძანდებით?

— ჩემთვის დიდი პატივი იქნება.

— მაშ ასე: ხვალ ჩემთან, პლეზანსის სასახლეში გელოდებით.

მოხუცი რომ წავიდა, გენერალ-კონტროლიორმა მიაი ქებადიდება აღავლინა. ეს გახლდათ ბაა პარი ღე მონმარტელისა, ვისაც საზოგადოებაში გავრცელებული ფარული მითქმა-მოთქმა ჭადამ პომპადურის მამად მიიჩნევდა.

ტიულრიში კავალერნე. ბედის უცნაურობაზე ვფიქრობდი: მეუბნებიან, ოცი მილიონის შოვნაა საჭიროო. მე ვიკვეხნი, რომ ასი მილიონის გაშანსვა შემიძლია, მაგრამ ასრზე არა ვარ, ამას საიდან მოვახერხებ. და უცებ ასეთ საქმეებში მრავალნაცადი და სახელოვანი კაცი სადილზე მეპატიჟება, რათა დამარწმუნოს, რომ იცნობს ჩემს გეგმას. თუ ჩემთვის რაიმე საიდუმლოს დაცინცელა განუზრახავს, ტყუილად ირჯება, რადგან არავითა-

რი საიდუმლო მე არ გამაჩნია, ხოლო თუ თვითონ გახსნის კარტებს, მაშინ დავინახავ, გამოიცნო თუ არა ჩემი ჩანაფიქრი. როცა შეკიტყობ, რაზეა საუბარი, იქნებ კიდევაც რამე დავუმატო. თუ ვერაფერი გავიგე, იდუმალებით აღსავსე დუმილში ჩავიძირები.

აბატმა დე ბარნისმა, ჩემდამი კეთილგანწყობა რომ გამოეწვია, ფინანსისტად წარმადგინა. სხვაგვარად მაღალი საზოგადოება არ მიმიღებდა. მე კი ფინანსისტის ენით საუბარიც კი არ შემეძლო. მეორე დღეს გულდამძიმებული ჩავჯექი ეტლში და პლეზანსში გავემგზავრე.

და აი, იმ ადამიანთან ვიმყოფები, ვინც ორმოცი წლის წინათ უკიდურესი გაჭირვების უფსკრულში გადაჩეხილი საფრანგეთი ლოუს სისტემის წყალობით დაღუპვას გადაარჩინა. ის მოგიზგიზე ბუხართან შეკრებილ შვიდ-რვა სტუმართან ერთად დამხვდა. ჯერ თავისი მეგობარი საგარეო საქმეთა მინისტრი და გენერალ-კონტროლიორი წარმომიდგინა, შემდეგ სხვა ბატონებიც გამაცნო. სამი თუ ოთხი მათგანი ფინანსთა ინტენდანტი იყო.

ბაასობდნენ იმაზე, რომ წელს სენა მთელი ფუტის სისქეზე გაიყინა, რომ ახლახან გარდაიცვალა ბატონი დე-ფონტენელი, რომ დამიუნს არაფრის აღიარება არ უნდა და ეს სისხლის სამართლის საქმე ხელმწიფეს ბუთი მილიონი დაუჯდა, შემდეგ საუბარი ომზე ჩამოვარდა და ქებით მოიხსენიეს ბატონი დესუბიზი, რომელიც მეფემ მთავარსარდლად დანიშნა. აქედან სახელმწიფოს ხარჯებსა და საქმის გამოსწორების საშუალებათა ძებნაზე გადავიდნენ... საათნახევარი საშინელ მოწყენილობაში გავატარე. მათი საუბარი საგანგებო ტერმინოლოგიით იყო დაყურსული და არაფერი გამეგებოდა. კიდევ საათნახევარი სუფრასთან დავყავი და პირს მხოლოდ ლუკმის ჩასადებად კაღებდი. შემდეგ დარბაზში კაბადაინაცვლეთ და აქ ბატონმა დიუკერნემ სტუმრები მიატოვა და ორმოცდაათი წლის სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცთან ერთად კაბიხეტისაკენ წამიძღვა. ამ კაცს კალზაბიჯი ერქვა. წუთის შემდეგ ორი ფინანსთა ინტენდანტი შემოგვიერთდა. ბატონმა დიუ კერნემ თავაზიანი ღიმილით გადმომცა დიდი რვეული და წარმოთქვა:

— აი, თქვენი პროექტი.

გარეკანზე ეწერა: „ოთხმოცდაათნომრიანი ლატარეა, რომლის ყოველთლიურ ტირაჟებში იგების არაუმეტეს ხუთი ნომრისა". და ა. შ. და ა. შ. ხელნაწერს უკანვე ვუბრუნებ და იოტისოდენა ყოყმანის გარეშე უტიფრად ვაცხადებ, რომ ეს ჩემი პროექტია.

— თქვენ დაგასწრეს, ჩემო ბატონო, — მეუბნება ბატონი დიუ ვერნე, — ეს პროექტი თქვენამდე ბატონმა დე კალზაბიჯამ წარმოადგინა.

— ბედნიერი ვარ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა, — მივმართე დე კალზაბიჯის, — მაგრამ იქნებ მიბრძანოთ, რა მიზეზით უარყავით იგი?

— მის წინააღმდეგ მრავალი მტკიცება წარმოადგინეს, რომელთა გაბათილება არ ხერხდება.

— ამქვეყნად მხოლოდ ერთი მტკიცება არსებობს, — ცივად შევაწყვეტინე მე, — რომელიც დუმილს მაიძულებს: თუ მისი უდიდებულესობა თავის ქვეშევრდომებს თამაშის ნებას არ დართავს.

— ეს მტკიცება არ ითვლება. მისი უდიდებულესობა ნებას დართავს, მაგრამ ქვეშევრდომები ითამაშებენ?

— ვერ გამიგია რა გაეკვირვებთ. მთავარია ხალხი დარწმუნებული იყოს, რომ თუ მოიგებს, ფულსაც მიიღებს.

— კარგი, დავუშვათ, რომ მაგაში დარწმუნდნენ და თამაში დაიწყეს. მოგებება საიდან გადავუხდით?

— სამეფო ხაზინიდან. მთავარია იცოდნენ, რომ მის უდიდებულესობას ასი მილიონის გადახდა შეუძლია.

— ასი მილიონის?

— დიახ, მოწყალეო ხელმწიფევ, ხალხი უნდა გავაოგნოთ.

— ესე იგი, თქვენ ფიქრობთ, რომ მეფემ შეიძლება წააგოს?

— დიახ, მაგრამ მანამდე ის ასორმოცდაათ მილიონს მიიღებს.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მე ყველას მაგივრად ვერ გადავწყვეტ. დამეთანხმეთ, რომ შეიძლება პირველსავე ტირაჟში მეფემ უამრავი ფული წააგოს.

— შესაძლებელსა და სინამდვილეს შორის დიდი მანძილია. მაგრამ ესეც დავუშვათ. თუ მეფემ პირველსავე ტირაჟ-

ში დიდძალი ფული წააგო, ლატარეის წარმატება უზრუნველყოფილია. ასეთ უბედურებაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება. მთელი ევროპის მათემატიკოსთა წინაშე დაგიმტკიცებთ, რომ მხოლოდ ეფლის ნება თუ შეუშლის ხელს მეფეს ამ ლატარეისაგან ხუთმაგი მოგების მიღებაში. მთელი საიდუმლოება ამაშია:

— პატივს ხომ არ დაგვდებთ და თქვენი მათემატიკური გაანგარიშებებით საბჭოს წინაშე ხომ არ წარსდგებით?

— სიამოვნებით.

— და ყველა საწინააღმდეგო მტკიცებას გააბათილებთ?

— უკლებლივ ყველას.

— თუ შეიძლება, თქვენი გეგმა მაჩვენეთ.

— გეგმას, მოწყალეო ხელმწიფევ, მხოლოდ მაშინ მიიღებთ, როცა დავრწმუნდები, რომ ჩემი წინადადება მიღებული იქნება და მის განხორციელებას დაიწყებენ, მე კი უფლებებს მომანიჭებენ, რასაც მოვითხოვ.

— მაგრამ თქვენი გეგმა და ის, რაც ახლა ჩვენს წინაშე დევს, ერთი და იგივეა.

— არა მგონია. მე გამოანგარიშებული მაქვს, მისი უდიდებულესობა წელიწადში დაახლოებით რა მოგებას მიიღებს, და ამის დამამტკიცებელი საბუთებიც მომყავს.

— მაშინ შეიძლება ლატარეა რომელიმე კომპანიას მიეყიდოს და ის მეფეს გარკვეულ თანხას გადაუხდის.

— მაპატიეთ. ლატარეის წარმატება მხოლოდდამხოლოდ ცრურწმენის ძალას ემყარება. ვინ უნაკლოდ უნდა იმოქმედოს. არავითარი სურვილი არა მაქვს, საქმეში მხოლოდ იმიტომ ჩავება, რომ რომელიმე კვეფს დავეხმარო, რომელიც ტირაჟების რიცხვს გაამრავლებს და ამით ლატარეისადმი ინტერესს შეანელებს. დარწმუნებული ვარ, რომ უსათუოდ ასე მოხდება. თუ ამ საქმეში მონაწილეობას მივიღებ, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სამეფო იქნება.

— ბატონი კალზაბიჯიც მასე ფიქრობს.

— ძალიან სასიამოვნოა.

ამის შემდეგ ერთ ადგილას წასვლის საჭიროება მოვიმიზეზე და ოთახიდან გავედი. როცა უკან შევბრუნდი, დავინახე, რომ ყველანი დიდი გაცხოველებით ვანიხილავდნენ ჩემს

პროექტს. მოვლენათა ასეთი განვითარებით კმაყოფილი დაერჩი, ბატონ დიუ ვერნეს ჩემი მისამართი დავუტოვე და მალე შეხვედრამდე გამოვეთხოვე. მიხაროდა, რომ ამ გონიერ მოხუცზე დიდი შთაბეჭდილება მოვახდინე.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ბატ დე ბარნისის ბარათი მივიღე, რომლითაც მაუწყებდა, რომ თუ ხვალ ვერსალში მივიდოდი, მარკიზის მეუღლესთან შეხვედრას მომწყობდა. იქვე ბატონ დე ბულონისაც ვნახავდი. ბარათი კალზაბიჯის ვაჩვენე. მან მითხრა:

— თუ თქვენ არც იმდენად მდიდარი ბრძანდებით, რომ ფული გეზიზღებოდეთ, მაშინ დიდი ქონების მოხვეჭა შეგიძლიათ. აი, უკვე ორი წელი გახდება, რაც ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად ძალ-ღონეს არ ვიშურებ, მაგრამ ათასგვარ სულელურ დაბრკოლებას ვაწყდები. თქვენი პროექტი, რა თქმა უნდა, ჩემსას ძალიან წააგავს. დამიჯერეთ და ჩვენი ძალისხმევა გავაერთიანოთ. არ დაგვიწყდეთ, რომ ეულად მოქმედების დროს გადაულახავ დაბრკოლებებს წააწყდებით. გამომთვლელი მანქანები, თქვენ რომ დაგჭირდებათ, პარიზში არ მოიპოვება. გაანვარიშებებს ჩემი ძმა იკისრებს. დაარწმუნეთ საბჭო, შემდეგ კი ლატარიის საბმართველოსგან შემოსავლის ნახევარის მილიბზე დათანხმდით და იცხოვრეთ.არხეინად.

— გამოდის, რომ პროექტის ავტორი თქვენი ძმაა?

— დიახ; ჩემი ძმა ავადაა, მაგრამ ნათელი გონება აქვს. ახლავე ვინახულებთ.

მიველით და ვიხილე ლოგინში წოლილი ადამიანი, რომელსაც თავით ფეხამდე სირბილა მოსდებოდა. თუმცა ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს იმაში, რომ მადიანად ეჭამა, ეწერა, ესაუბრა და ყოველმხრივ ჯანმრთელი ადამიანივით მოქცეულიყო. გამუდმებით იქექებოდა. რაც პარიზში, იმის მიუხედავად, აცდმყოფობის მიზეზით შვება ამას ადამიანი თუ საზიზღარი ჩვევის გამო, აეტანელ საქცელად ითვლება. კალზაბიჯიმ მითხრა, რომ იგი სულ ასე წევს და არავის იკარებს, რადგან მთელი კანი ექავება და ამბობს, რომ მისი ერთადერთი სიამოვნება ფხანაა.

— ფფალმა ფრჩხილები მხოლოდ ამ საქმისათვის მიბოძა, — დაადასტურა მან.

შემდეგ საქმეზე ვისაუბრეთ. ერთი საათიც არ გასულიყო, რომ მისი ჭკუით მოხიბლული ვიყავი. ბრწყინვალე მათემატიკოსმა ფინანსების თეორია და პრაქტიკაც შესანიშნავად იცოდა, ნებისმიერი ქვეყნის სავაჭრო საქმეებში ერკვეოდა, ღრმად იყო ჩახედული ისტორიაში, მახვილგონიერება არ აკლდა, მშვენიერ სქესს აღმერთებდა და ლექსებს წერდა.

მან ქალაქების დასტა გადმოიღო, რომელშიც დაწვრილებით იყო განმარტებული ლატარიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები. დავრწმუნდი, რომ მასთან თანამშრომლობა აუცილებელი იყო, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი მითქვამს.

მეორე დღეს ვერსალში მივედი. მინისტრი გულთბილად შემხვდა. და მითხრა:

— ბატონმა დე ბარნისმა მიამბო, რომ საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი ბატონი დიუ ვერნე გაგიოცებიათ. ახლავე მასთან გაემურეთ. ლატარიას დააფუძნებენ, თქვენ კი ისლა დაგრჩენიათ მისგან სარგებელი ნახოთ. როგორც კი ხელმწიფე სანადირო გადმართება, მცირე პალატთან იტრიალეთ და თუ ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, მარკიზის მეუღლეს გაგაცნობთ. შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროში წადით და კანცელარიის გამგეს ებატ დე ლავილს წარუდექით, — იგი ეთილგანწყობით მიგიღებთ.

ბატონი დე ბულონი შემპირდა, როგორც კი სამხედრო საწყვლებლის საბჭოს თანხმობას მიიღებდა, ლატარიის დაწესების ბრძანებასაც მოამზადებდა.

შუადღეზე, როცა ქალბატონი დე პომპადური პრინც დე სუბიზთან და ჩემს მფარველთან ერთად მცირე პალატისაკენ მიემართებოდა, ბატონმა დე ბარნისმა ბრწყინვალე ბანოვანის ყურადღება ჩემს პიროვნებას მიაპყრო. მან თავაზიანი რეკერანსის შემდეგ მიბრძანა, რომ ჩემი საპყრობილედან გაქცევის ისტორია დიდი ინტერესით წაიკითხა.

— ეს ეცხო მხარის ბატონები მეტისმეტად საშიშნი არიან, — ღიმილით დასძინა მან, — ელჩთან დადიხართ ხოლმე?

— მისდამი პატივისცემის გამოცხადების საუკეთესო საშუალებად ის მიმაჩნია, რომ ჩემი ვიზიტებით საერთოდ არ შევაწუხო, — მივუგე მე.

— იმედი მაქვს, ჩვენთან დასახლდებით.

— ასეთ ბედნიერებაზე მხოლოდ ოცნება თუ შემიძლია, მაგრამ მფარველობა მჭირდება. რამდენადაც ვიცი, თქვენს ქვეყანაში მხოლოდ ნიჭიერ ადამიანებს სწყალობენ. ეს ამბავი სასოწარკვეთილებაში მაგდებს.

— ვფიქრობ, საწუხარი არა გაქვს რა. თქვენ აქ კეთილი მეგობრები გყავთ. მოხარული ვიქნები, თუ მათ შორის მეც მიგულვებთ.

საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, ბატონ დიუ ვერნეს ბარათი დამხვდა — ხვალ თერთმეტი საათისათვის სამხედრო სასწავლებელში მიბარებდა. ცხრაზე კალზაბიჯი მოვიდა და თავისი ძმისაგან დიდი ცხრილი მომიტანა, რომელიც მთელი ლატარეის მათემატიკურ დასაბუთებას შეიცავდა. ეს გამოთვლები გულდასმით შევისწავლე, მათ ჭეშმარიტებაში დავრწმუნდი და ასეთი ცოდნით აღჭურვილი სამხედრო სასწავლებელში გამოვცხადდი. სხდომა მაშინვე დაიწყო. მოწვეული იყო ბატონი დ'ალამბერი, როგორც მათემატიკის ყველა სფეროს უდიდესი მცოდნე. სხდომა სამ საათს გაგრძელდა.

ჩემმა მსჯელობამ სულ რაღაც ნახევარი საათი დაიკავა. შემდეგ ბატონმა დე კურტივმ ჩემი ნათქვამი შეაჯამა და მომდევნო საათმა ფუჭ კამათში ჩაიარა, რადგან ყოველი საწინააღმდეგო მოსაზრება იოლად გავაბათილე. ბოლოსდაბოლოს მოწვეულმა ბატონებმა დიუ ვერნეს მიერ მომზადებულ ქაღალდს ხელი მოაწერეს და წაბრძანდნენ. მეორე დღეს კალზაბიჯი მოვიდა და მითხრა, რომ საქმე მოგვარებული იყო და ახლოლად ბრძანებას ელოდა დაკლოდებოდი. შევპირდი, რომ ბატონ დიუ ვერნეს მისთვის მმართველის თანამდებობას გამოკითხოვდი.

შემომთავაზეს ბილეთების გამსაღებელი ექვსი კანტორა და ოთხი ათასი ფრანკი პენსია ლატარეის მთელი შემოსავლიდან. ეს ოცდაათიოდ დაკანონდი.

საბჭოს განკარგულება ერთი კვირის შემდეგ გამოვიდა. კალზაბიჯი მმართველად დანიშნა. ჩემი ექვსი კანტორიდან ხუთი მაშინვე გავყიდე, თითოეული ორიათას ფრანკად, მეექვსე კი, სენ დენის ქუჩაზე, ჩემთვის დავიტოვე, მდიდრულად მოვაწყვე და განმკარგულებლად ჩემი კამერდინერი დავსვი.

დაინიშნა პირველი ტირაჟის დღე და გამოცხადდა, რომ მოგებების განაღდება ერთი კვირის შემდეგ მთავარ კანტორაში მოხდებოდა.

გათამაშების დაწყებისთანავე განცხადება გამოვაკარი, რომ იმ მოგებული ბილეთების განაღდება, რომლებზეც ჩემი ხელმოწერა იყო, სენ დენის ქუჩაზე მდებარე კანტორაში მეორე ღღესვე დაიწყებოდა. ყველამ ჩემს კანტორაში თამაში მოინდომა. ჩემი წილი მთელი შემოსაველის ექვსი პროცენტი იყო. პირველი ტირაჟის შემოსავალმა ორმოცი ათასი ლირა შეადგინა. სულ კი ორი მილიონის ბილეთი გაიყიდა, საიდანაც ექვსასი ათასი ლირა მერგო.

პირველი გათამაშების მეორე დღეს ბატონ დიუ ვერნესთან მივედით და კალზაბიჯი აწუწუნდა, მოგებებმა ძალიან დიდი თანხა შეადგინეთ. მაგრამ ჩემი ჩანაფიქრიც ესეიგი: ამ გარემოებამ ლატარიას ბრწყინვალე რეპუტაცია შეუქმნა. მივხვდი, რომ მეორე გათამაშება ორმაგ შემოსავალს მოგვცემდა. ჩატარებული ოპერაციის ღამო ხემრობით მლანძღავდნენ. კალზაბიჯი ამტკიცებდა, რომ ამ მარჯვე ოცლამ მე 120 ათასი ფრანკის რენტა მომიტანა, სხვა კანტორების მფლობელები კი გააკოტრა. ბატონმა დიუ ვერნემ განაცხადა, რომ ამგვარი ლინები მასაც ხშირად ჩაუდენია, დანარჩენ კანტორებსაც უფლება ჰქონდათ, რომ ასევე მოქცეულიყვნენ. ეს ლატარიას არ ავნებდა, პირიქით, დიდად წაადგებოდა კიდეც. ერთი სიტყვით, საქმე კარგად აეწყო და რაკიღა მკითხველი ჩემი ლატარიის საქმეებში ეკვე საკმაოდ გაცნობიერებულია, ამიერიდან ინფორმაციად ვახსენებ.

მარტის დამდეგს ერთი ლამაზი ახალგაზრდა კაცი გამომეცხადა და წერილი გადმომცა. გავხსენი და, ჰოი, სიხარულო! ჩემი საყვარელი და პატივცემული ქალბატონის მანძონისაგან იყო: ამ ბარათის მომტან ტრევიზოელ გრაფ ტირეტას ჩემთან რეკომენდაციას უწევდა.

მაშინვე წამოვდექი და ვუთხარი, თუ ჩემი დახმარების იმედი ჰქონდა, უკეთეს რეკომენდატორს ვერც ინატრებდა.

— მიბრძანეთ, გრაფო, რით შემიძლია გემსახუროთ?

— მე თქვენი ბედნიერება მჭირდება. შარშან ქალაქის საბჭომ სახელმწიფო თანამდებობა ჩამაბარა: ჩემი ხნის ორ სხვა

თავადთან ერთად სასესხო ხაზინის მცველად დამნიშნა. კარნავალის დღეებში გასართობად ფული დაგვჭირდა და სალაროდან გარკვეული თანხა აგიღეთ იმის იმედით, რომ ცოტა ხანში ერთად დავაბრუნებდით. მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა -- დანაკლისი მაშინვე აღმოაჩინეს. იმ ორს მდიდარი მშობლები ჰყავს, თავიანთი წილი დაუყოვნებლივ დაფარეს და "მეილები გაათავისუფლეს, მე კი გადახდა არ შემეძლო და გაქცევა განვიზრახე. ქალბატონმა მანძონიმ მირჩია, თქვენთან მოვსულიყავი, თან ერთი ზარდახშა გამომატანა, რომელსაც ხვალვე მოგართმევთ. გუშინ ჩამოვედი ლიონის დილიჟანსით. მხოლოდ ორი ლუიღა შემრჩა. მთელი ჩემი სამოსი ისაა, რაც ზედვე მაცვია. ოცდახუთი წლის ჯანმაგარი კაცი ვარ და მსურს ისე ვიცხოვრო, როგორც წესიერ ადამიანს შეეფერება. მაგრამ არავითარი ხელობა არა მაქვს და არც არაფრის ნიჭი გამაჩნია, გარდა იმისა, რომ საკუთარი სიამოვნებისათვის ფლეიტრავერსზე ვუკრავ. მშობლიურის მეტი არც ერთი ენა არ ვიცი, ლიტერატურაზე წარმოდგენაც არა მაქვს. რა უნდა მოგიხერხოთ? და გარდა ამისა, გეტყვით, რომ არავის მხარდაჭერის იმედი არა მაქვს, ყველაზე ნაკლებ სიკეთეს მამაჩემისაგან ველი, რომელიც ოჯახის ღირსების გადასარჩენად ჩემს წილ მემკვიდრეობაზე თითსაც არ დამაკარებინებს. ამაზე ფიქრიც კი უნდა დავივიწყო.

მისმა მონაყოლმა ძალიან გამაკვირვა, მაგრამ ახალგაზრდა კაცის ასეთი გულწრფელობა მოგეწონა. ვუთხარი, რომ თავისი ბარგი-ბარხანა ჩემს მეზობელ თავისუფალ ოთახში შემოეტანა.

— თქვენ არაფრის გადახდა არ მოგიწევთ, ძვირფასო გრაფო. მე კი ამასობაში მოვიფიქრებ, რისი გაკეთება შემიძლია. შინ არასოდეს ვსადილობ. ახლა კი ნახვამდის. ბევრი საქმე მაქვს. თუ სასეირნოდ წახვალთ, ცუდი ხალხის გაცნობას მოერიდეთ და, მთავარია, საკუთარ თავზე არაფერი ილაპარაკოთ. ალბათ, ბანქოს თამაში გეყვარებათ?

— ვერ ვიტან. ბანქო ჩემი გაკოტრების ერთ-ერთი მიზეზია.

— სხვა მიზეზებიც იყო?

— ქალები.

— ქალები? ისინი ხომ იმისათვის გაჩნდნენ, რომ თქვენისთანები არჩინონ.

— ნეტავი ერთ მაგისთანა ქალს მაინც გადავეყარო.

— თუ ძალიან აზიზი არა ხართ, პარიზში წარმატებები გელოდებათ.

— რას ნიშნავს აზიზობა?

— აზიზს იმას ვუწოდებ, ვინც ქალში მხოლოდ სილამაზეს დაეძებს და რომელიმე ბებრუხანას საკოცნელად გული არ მიუდის.

— თუ საქმე მარტო მაგაშია, არც ისე აზიზი ვყოფილვარ. მზად ვარ უყოყმანოდ შევიყვარო მდიდარი ქალი, თუნდაც ჯოჯოხეთის ცოდვასავით საშინელი იყოს.

— ყოჩაღ! სწორ გზას ადგახართ. ელჩთან მისვლას არ აბირებთ?

— ღმერთმა დამიფაროს!

— მთელ პარიზს სამგლოვიაროდ აცვია. მესამე სართულზე ადით. იქ თერძს მიაგნებთ. შავი ფრაკი შეუკვეთეთ და ჩემი სახელით უთხარით, რომ ხვალ დილისათვის მზად იყოს. ნახვამდის.

მეორე დღეს შავად შემოსილი ტირეტა გამომეცხადა.

— აი, ხომ ხედავთ, — ვუთხარი მე, — პარიზში ყველაფერი რა სწრაფად ხდება,

ამ დროს აბატი დე ლა კოსტა მობრძანდა, ჩემი ლატარეა შეაქო და მითხრა, რომ ყური მოჰკრა, თითქოს სასტუმრო კულანში ორი ათასი-ეკიუს ბილეთები გამეყიდოს.

— დიახ, ჯიბეში ყოველთვის მიწყვია რვა თუ ათი ათასი ბილეთები.

— ათასი ეკიუს ბილეთს მეც შევიძენდი.

— როცა გენებოთ. შეგიძლიათ ჩემს კანტორაში მიბრძანდეთ და ნომრები შეარჩიოთ.

— ჩემთვის სულ ერთია. რაცა გაქვთ, ის მომეცით.

— სიამოვნებით. აი, აირჩიეთ.

აარჩია და ხელწერილის დასადებად ქაღალდი და მელანი მთხოვა.

— ხელწერილზე ლაპარაკიც შეუძლებელია, — ღიმილით

ვუთხარი და ბილეთები გამოვართვი, — მხოლოდ ნაღდ ფულზე ვყიდი.

— ფულს ხვალ მოგართმევთ.

— ჰოდა, ბილეთებსაც ხვალ მიიღებთ. თითოეული ცალი კანტორაშია აღრიცხული. და სხვანაირად მოქცევის უფლება არ მაქვს.

— იქნებ გაგერისკათ?

— არავითარ შემთხვევაში.

მაშინ ტირეტას გაესაუბრა და შეჰპირდა, რომ პაპის ძმისწულის ქვრივს, ქალბატონ ლამბერტინის გააცნობდა. ვუთხარი, მეც წამოგყვებით-მეთქი და წავედით.

ქალბატონ ლამბერტინის ახალგაზრდა ქალის გარეგნობა კი ჰქონდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ორმოცი წლის მაინც იქნებოდა. ტანადი, შავთვალა, ცოცხალი, აფორიაქებული, ძალიან ხალისიანი და ჯერ კიდევ მიმზიდველი დიაცი გახლდათ.

ლაპარაკის საღერღელი ავეშალე და მივხვდი, რომ არავითარი პაპის ძმისწულის ქვრივი ის არ ყოფილა, ჩვეულებრივი, მოდენადან ჩამოსული თავგადასავლის მაძიებელი ქალი ჩანდა. შევატყვე, რომ ტირეტას თვალში მოუვიდა. ქალმა სადილზე მიგვიწვია, მაგრამ თავაზიანი უარი ვუთხარით და ტირეტა დავუტოვეთ. აბატი სენაპირზე ჩამოვსვი, თავად კი კალბიჯისთან გავემართე.

მეორე დღეს ტირეტამ მითხრა, რომ მთელი ღამე პაპის რძალთან გაატარა და ქალი, როგორც ჩანს, ძალიან კმაყოფილი დარჩა, რადგან საცხოვრებლად მასთან გადასვლა და რჩენა შესთავაზა, ოღონდ იმ პირობით, თუ მის საყვარელს, ბატონ ლე ნუარეს ეტყოდა, რომ ქალს ბიძაშვილად ეკუთვნოდა.

— მარწმუნებს, — დაძინა ტირეტამ, — რომ ეს ბატონი კარგ სამსახურში მომაწყობს. მე ვუპასუხე, რომ ამ საქმეს თქვენს დაუკითხავად ვერ გადავწყვეტდი. კვირას სადილად გპატიჟებთ.

— სიამოვნებით მოვალ.

აღმოჩნდა, რომ ქალბატონი ლამბერტინი ჩემს მეგობარზე უკვე ჭკუას ჰკარგავდა და გრაფი ათხელი შეარქვა. მას შემდეგ პარიზში ტირეტას მხოლოდ ამ გვარით იცნობდნენ. ქალ-

მა, თითქოს მისი გულის მესაიდუმლე ვყოფილიყავ, ტირეტას ლამეული ვმირობის სურათები ცხოველი ფერებით დამიხატა და განმიცხადა, რომ სურდა იგი თავისთან დაებინავებინა. ბატონი დე ნეარი თანახმა იქნება, ის კი არა, თავისი საყვარლის ბიძაშვილის აქ ყოფნა ძალიანაც გაეხარდებაო.

ნასადილევს ქალმა კვლავ აღტაცების სიტყვებით შეამკო ჩემი თანამემამულის მამაკაცური ღირსებები, კეკლუცობა დაუწყო და ტირეტამაც, თავისი ვაჟკაცობის თვალნათლივ დასამტკიცებლად, ქალს ჩემი თანდასწრებით სათანადოდ მიართვა. ამ სანახაობას ჩემზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია, მაგრამ ჩემი მეგობრის არაჩვეულებრივი აღნაგობა რომ დავინახე, ვაღიარე, რომ მას ყველგან, სადაც ავხორცი ქალები ბინადრობენ, დიდი წარმატება ექნებოდა.

ამ საათზე ორი გადაღძუებული დედაბერი მოგვეელინა. ლამბერტინიმ მათ ბატონი დე ათხელი წარუდგინა. ამ გვარმა მათ ინტერესი გაუღვიძა, მითუმეტეს როცა გამოირკვა, რომ ფცირბი მათთვის გაუგებარ რაღაც სიტყვებს ბურდღუნებდა. მასპინძელმა ვეგობრებმა ყურში უჩურჩულა ამ ბრწყინვალე გვარის წარმომაველობა და მისი მფლობელის უჩვეულო სიმდიდრით დაინტრიგებია. „დაუჯერებელია!“ — ერთხმად შესძახეს მატრონებმა და ტირეტას ლორნეტები მიაშვირეს. ის კი მთელი თავისი გამომეტყველებით ამბობდა: „ეჰეი ნუ გეპარებათ, ქალბატონებო. შემიძლია ახლავე დაგიმტკიცოთ“.

სახლს ფიაკრი მოადგა. დავინახე, ტანსრული, უკვე სიყმაწვილის ასაკიდან გამოსული, საოცრად მიმზიდველი ასული, რომელიც სქელი ქალბატონის დისწული ყოფილა, და შეკოსტიუმიანი ფერმკრთალი მამაკაცი. ხვეენა-კოცნისა და ერთმანეთის მოკითხვების შემდეგ ლამბერტინიმ მათ თავის ნათესავი გრაფი დე ათხელი წარუდგინა. ისინი გაოცებას ვერ მალავდნენ ამ უცნაური გვარის გამო, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავს იკავებდნენ, ის კი თქვეს, იშვიათად წაწყდებით ადამიანს, რომელიც პარიზში ფრანგული ენის უცოდინრად ცხოვრებას ბედავსო, თან გამუდმებით რაღაცას ეღურტულებს, თუმცა კი არავის არაფერი ესმის და მის ლაპარაკზე სიცილით კვდებიანო. ლამბერტინიმ ყველა ბანქოს სათამაშოდ მიიწვია. ჩემი მიპატიჟებით თავი არ მოუკლავს,

მაგრამ ძვირფასი ნათესავი გვერდით მოისვა, რათა მასთან ერთად წყვილში ეთამაშა. მშვენიერმა სტუმარმა ქალმა თამაში არ იცოდა და მე ბუხართან ჯდომა და საუბარი შევთავაზე. დეიდამისმა სიცილით თქვა, რომ ძნელად ვიპოვიდი ისეთ საუბრო თემას, მისი დისწული რომ დამეინტერესებინა, მაგრამ სულგრძელობა უნდა გამომეჩინა - - ის ხომ მონასტრიდან სულ რაღაც ერთი ოვის გამოსული იყო.

ამრიგად, თამაში დაიწყო თუ არა, მე და ქალი ბუხრისპირას განვმარტოვდით. დუმილი პირველად მან დაარღვია და მკითხა, ვინ არის ის ლამაზი ბატონი ფრანგულად რომ ვერ ლაპარაკობსო.

— ჩემი თანამემამულე გრაფია და სამშობლო ღირსების საქმის გამო დატოვა. როგორც კი ფრანგულს ისწავლის მაშინვე ამ ენაზე დაილაპარაკებს. და მაშინ ვეღარავინ დასცინებს. ძალიან ვნანობ, რომ აქ მოვიყვანე, რადგან ერთ დღეღამეში გამიფუჭეს.

- რანაირად?

-- ვერ გეტყვით. შეიძლება ეს თქვენს დეიდასაც არ მოეწონოს.

— მე მისთვის პატაკის ჩაბარებას არ ვაპირებ. მაგრამ, ალბათ ჩემი ცნობისმოყვარეობაც უადგილოა.

— მაპატიეთ, მადმუაზელ, შეცდომას ვაღიარებ და ახლავე ყველაფერს აგიხსნით:

ქალბატონმა ლამბერტინიმ ჩემი თანამემამულე ლოგინში ჩაიწვინა და ეს ბრიყვული სახელი ათხელი შეარქვა. აი, ასე. ძალიან მწყინს, რადგან იგი ადრე წესიერი კაცი იყო.

განა შემეძლო იმის წარმოდგენა, რომ ლამბერტინის სახლში ასეთ პატიოსან, კეთილშობილ და სრულიად მიამიტ ასულს შევხვდებოდი! ჩემდა გასაოცრად, ქალი სირცხვილისაგან აილეწა. თვალებს არ ვუჯერებდი. ორი წუთის შემდეგ განსაცვიფრებელი შეკითხვით გამოაგნა:

— რა საერთოა ათხელსა და იმას შორის, რომ ქალბატონის ლოგინში იწვა?

— ტირეტამ გააკეთა ის, რასაც წესიერი ქმრისაგან ქალი კვირაში ერთხელ თუ ელირსება.

— და თქვენი აზრით მე იმდენად ბრიყვი ვარ, რომ ყოველივე ამას დეიდაჩემს ვუამბობ?

— მაგრამ სინანულისათვის სხვა მიზეზიც მაქვს.

— მოითმინეთ, ახლავე მოვალ.

წუთით გავიდა. ეტყობა, ამ სასიამოვნო ისტორიამ ცოტა არ იყოს, შეახურა. მალე დაბრუნდა, დეიდამისის უკან დადგა და ჩვენს გმირს თვალთვალი დაუწყო, შემდეგ კი, ერთიანად აკზნებული, თავის ადგილზე დაჯდა.

— რას ამბობდით? კიდევ რამ დამამწუხრაო?

— შემიძლია ბოლომდე გულახდილი ვიყო?

უკვე იმდენი რამ მითხარით, რომ მგონი საუხერხულო არაფერი დაგრჩებოდათ.

— მაშ იცოდეთ, რომ დღეს, ნაშუადღევს, ქალბატონმა გრაფი აიძულა, რომ ეს ჩემი თანდასწრებით გაეკეთებინა.

— მაგრამ რაკიღა ეს ამბავი არ მოგეწონათ, ესე იგი, იეჭვიანეთ?

— სულაც არა. თავი დამცირებულად მხოლოდ ერთი რამის გამო ვიგრძენი, რის თქმასაც ვერ ვბედავ.

— ეტყობა დამცინით, გაბედულებაზე რომ ლაპარაკობთ.

— ღმერთმა დამიფაროს! მადმუაზელ, მაშინ დავინახე, რომ ჩემი მეგობარი ჩემზე ორი დუიმით უგრძესი ყოფილა.

— მე კი პირიქით მგონია: თქვენ უფრო მაღალი ბრძანდებით.

— სიმაღლეზე კი არ მოგახსენებთ, არამედ სულ სხვა რამის სიგრძეზე, ჩემი მეგობარი ამ მხრივ ნამდვილი ურჩხულია.

— ურჩხული? მერე თქვენ რა გენაღვლებათ? განა ურჩხულობა შესახარბებელი რამ არის?

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ ბევრი ქალის აზრი ამ საკითხში თქვენს შეხედულებას არ ემთხვევა. მათ ძალიან მოსწონთ ურჩხულები.

— მე ეს საგანი არც ისე ცხადად წარმოვიდგენია და აზრზე არა ვარ, რა ზომას უწოდებთ თქვენ ურჩხულისას. თანაც უცნაურად მეჩვენება, რომ ამის გამო თავს დამცირებულად გრძნობთ.

— განა მეტყობა?

— როცა შემოვედი და დაგინახეთ, არაფერი ამის მსგავსი

არ მიფიქრია. შეხედულად შესანიშნავი აღნაგობა გაქვთ, მაგრამ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ასე არ არის, ძალიან ვწუხვარ და მებრალებით.

— აი, თქვენ თავად განსაჯეთ.

— რას შვებით! თქვენ თვითონა ხართ ურჩხული! მეშინია!

ამ სიტყვებზე წამოხტა და დეიდამისს მიაშურა, მაგრამ ეკვი არ მეპარებოდა, რომ მალე უკანვე დაბრუნდებოდა — ისლა აკლდა, რომ მართლა ბრიყვად და მიამიტად მომჩვენებოდა. ჩემი აზრით, მხოლოდ თავს იკატუნებდა. იმაზე არ ვფიქრობდი, თავის როლს კარგად თამაშობდა თუ ცუდად, მთავარი იყო, რომ ამ თამაშით შესანიშნავად ვისარგებლე. ჩემს გაცურებას ცდილობდა და ამისათვის სათანადოდ დავსაჯე, და რაკიღა მომწონდა კიდეც, კმაყოფილი ვიყავი, რომ ეს სასჯელი მასაც სიამოვნებდა. მის გონიერებაში ეკვის შეტანა ძნელი იყო — მთელს ჩვენს საუბარს ის წარმართავდა, ჩემი სიტყვებიცა და საქციელიც მისი ვითომდა უწყინარი შენიშვნებისა და შეკითხვებისაგან გამომდინარეობდა.

ხუთი-ექვსი წუთის შემდეგ წაგებული სქელუა დეიდა წამოდგა და დისწულს უსაყვედურა, რომ ყველაფერი მისი ბრალი იყო, რადგან საზოგადოებაში მოქცევა არ იცოდა და ღირსეული ბატონი კადნიერად მიატოვა. მან არაფერი უპასუხა და ღიმილით ჩემთან დაბრუნდა.

— დეიდამ რომ იცოდეს, რა ჩაიდინეთ, — მითხრა მან, — უზრდელობას არ მისაყვედურებდა.

— დამიჯერეთ, რომ ძალიან ვწუხვარ. ჩემი სინანულის დასტურად ახლავე გაგშორდებით. კმაყოფილი ხართ?

— ახლა რომ წახვიდეთ, დეიდა იფიქრებს, რომ მე ბრიყვმა თავი მოგაბეზრეთ.

— რაკიღა ასეა, ვრჩები. მაშ, ადრე მართლა არ გქონდათ წარმოდგენა იმაზე, რისი ჩვენებაც გაგიბედეთ?

— ძალიან ბუნდოვანი. სულ ერთი თვეა, რაც დეიდამ მელენიდან წამომიყვანა. რვა წლის ასაკიდან მონასტერში ვიზრდებოდი, ახლა კი ჩვიდმეტისა ვარ. მონაზვნად აღკვეცას მირჩევდნენ, მაგრამ არ დავთანხმდი.

— ხომ არ მიბრაზდებით იმისათვის, რაც გავაკეთე? თუ ცოდვა ჩავიდინე, გულუბრყვილობით მომივიდა.

-- არ გიბრაზდებით, იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემი ბრალია. ოღონდ გთხოვთ. ეს შემთხვევა არავის უამბოთ.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

-- თქვენი გაკვეთილი მომავალში გამომადგება. მაგრამ ისევ თქვენსას შვებით! შეწყვიტეთ, თორემ ახლავე გაგეცლებით.

— დარჩით, მეტს აღარ ვიზამ. შეხედეთ, ფილაზე ჩემი სიტყვების ნიშანია.

— რა არის ეს?

-- ეს ნივთიერება, საათანადო ღუმელში რომ მოხვდება, ცხრა თვის შემდეგ ბიჭად ან გოგოდ გამოცხვება.

— მესმის. ჩინებული მოძღვარი ბრძანდებით. და ყველაფერს ისეთი სახით მიხსნით, თითქოს სკოლის მასწავლებელი იყოთ. გულმოდგინებისათვის მადლობა უნდა გადაგიხადოთ?

— სულაც არა, მაპატიეთ, მაგრამ არაფერს ამის მსგავსს არ ჩავიდენდი, პირველ დანახვისთანავე რომ არ შემყვარებოდით.

— როგორ უნდა გავიგო თქვენი ნათქვამი -- იყვარულის ახსნად?

— დიახ, ჩემო ანგელოზო. დაე, კადნიერებად ჩამეთვალოს, სამაგიეროდ ეკვის არავითარ საფუძველს არ ტოვებს. ასე გულმხურვალედ რომ არ გიყვარდეთ, ნაძირალა და სიკვდილის ღირსი ვიქნებოდი. მქონდეს თუ არა თქვენი თანაგრძნობის იმედი?

-- არ ვიცი. წესით, უნდა მძულდეთ, რადგან საათზე ნაკლები დროის ვანმავლობაში მაიძულეთ იმ გზის გავლა, რომელსაც, მეგონა, მხოლოდ გათხოვების შემდეგ გადიოდნენ. ნამეტნავად გამაცნობიერეთ იმგვარ რამეებში, რაზეც ადრე ფიქრსაც ვერ გავბედავდი. და ვნანობ, რომ ასეთი ცდუნების უფლება მოგეცით. მაგრამ რატომაა, რომ ახლა ასეთი ბშვიდი და ნეტარი ხართ?

— იმიტომ, რომ ჭკვიანურად ვსაუბრობთ. სიყვარული კი ვნებათა ბობოქრობის შემდეგ თავისთავად ბშვიდდება. შეხედეთ!

— ისევ! გაკვეთილი გრძელდება? მაგრამ უკვე არც ისე საშიში ხართ. ბუხარი ქრება.

ცეცხლს შეშას უკეთებს და ნაკვერჩხლების გასაქექად მუხლებზე დგება. ოდნავ წინ იხრება. კაბის ქვეშ ხელს ვეფეთ და ვგრძნობ, რომ კარი მაგრადაა ჩარაზული და ბედნიერებას რომ მივაღწიეთ, მისი შემტვრევა მომიწევს. მაგრამ ქალი იმ წამსვე დგება და გრძნობამორეული და მიბნედვით მეუბნება, რომ კეთილშობილი მშობლების შვილია და მეტ პატივისცემას იმსახურებს. ათგზის ვუბოდიშე და ბოლოსდაბოლოს მშვიდდება. ვეუბნები, ჩემი კადნიერი ხელის შეხებით დავრწმუნდი, რომ ბედნიერება ჯერ არავისთან განგაცდია-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ეს ნამდვილად კანონიერ ქმარს შეუძლია და პატიების ნიშნად ხელების დაკოცნის ნება დაპირთო. მარტო ამაზე, ალბათ, არ გავწყრებოდი, ვიდაც რომ არ შევმოსულიყო. ბატონი ლე ნუარი მობრძანდა, რომელსაც ქალბატონ ლამბერტინისგან წვეული ბარათი მიეღო და იმის გასაგებად შემოვიარა, თუ რისთვის იხმობდნენ.

შეახსნის უბრალო, სანდომიანი, ცასამოვნო მანერა იყო. თავაზიანად სთხოვა ყველას, რომ არ ანეგარიშებინენ და თამაში გაეგრძელებინათ. ლამბერტინმა მასთან წარმადგინა და სტუმარს გვარი რომ ვეთხარი, მკითხა, მხატვარი ხომ არ ბრძანდებითო. როცა გაიგო, მხატვრის უფროსი ძმა ვიყავი, ჩემი ლატარეა კეთილად მოიხსენია და მითხრა, რომ ბატონი დე ევრნე ძალიან მაფასებდა. მაგრამ მისი ყურადღება ჩემმა მეგობარმა უფრო მიიპყრო, რომელიც ლამბერტინმა ამჯერად გრაფ დე ტირეტად გააცნო. ბატონი ლე ნუარი იტალიურად მშვენივრად ლაპარაკობდა და ტირეტანაც. როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა, თამაშს თავი მიანება და ლამბერტინის დისწულთან ერთად ბუხარს მივუსხედით. დანარჩენი დრო გულითად საუბარში გავლიეთ. რვა საათზე ბატონი ლე ნუარი გამოგვეთხოვა. ნახევარი საათის შემდეგ სქელუა დეიდა, მისი დისწული, რომელსაც დე ლა მ-რ-ი ერქვა, და მათი თანმხლები ფერმკრთალი მამაკაციც წავიდნენ. მალე მასპინძელს მე და ტირეტაც გამოვემშვიდობეთ და შინისაკენ გავწიეთ. ტირეტამ მითხრა, ხვალვე ქალბატონ ლამბერტინისთან გადმოვალო და ალეც მოიქცა.

სამი-ოთხი დღის შემდეგ კანტორის მისამართზე მოსული

წერილები გადმომიგზავნეს. მადმუაზელ დე ლა მ-რისაგან იყო. ი, რას მწერდა:

„ქალბატონი ***, აწ განსვენებული დედაჩემის და, ერთი ფარისეველი, მოთამაშე, მდიდარი და ძუნწი ქალია. მას არ ეუყვარვარ და რაკიღა მონაზვნად აღკვეცაზე ვერ დამითანხმა, სურს, რომ ვაჭარ დიუნკერას მიმათხოვოს, რომელსაც სულ არ ვიცნობ. ის მზად არის, დედაჩემის სიცოცხლეში მისგან წლიურად 1200 ლივრი მიიღეს, რადგან დარწმუნებულია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ხუთასი ათასი ეკიუს მემკვიდრეობა დამრჩება. მაგრამ დედაჩემის ანდერძის თანახმად 25 ათასის მხოლოდ მეკუთვნის. თუ მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა, აღ გეზიზღებით, ჩემს ხელსა და 25 ათას ეკიუს გთავაზობთ, კიდევ 25 ათასს დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მიიღებთ. პასუხს ნუ მომწერთ, რადგან არ ვიცი, სად და ვინ მეშვეობით უნდა მივიღო თქვენი წერილი. კვირას ქალბატონ ლამბერტინისთან შეეხვდებით და იქ ვილაპარაკოთ. ასე რომ, ფიქრისათვის მთელი ოთხი დღე გაქვთ. არ ვიცი, მიყვარხართ თუ არა, მაგრამ თავმოყვარეობა მაიძულებს, რომ სხვა მამაკაცებს ისევ თქვენ გარჩიოთ. ვალდებული ვარ, თქვენი პატიცისცემა მოვიპოვო და თქვენც გაიძულოთ, რომ ღირსეულად მომექცეთ. დარწმუნებული ვარ, ჩემთან ცხოვრება არ გაგიჭირდებათ. თუ თანხმობას გადაწყვეტთ, რაზეც ვოცნებობ, მაშინ ადვოკატი დაგჭირდებათ, რადგან დედაჩემი ძუნწი და დავაქარია. ამიტომ იაეთი მონასტერიც უნდა გამოძებნოთ, სადაც რაიმეს მოფიქრებამდე თავს შეაფარებდი. სხვა შემთხვევაში ყოველ წუთს ჯოჯოხეთად მიქცევენ. თუ ჩემი წინადადება ხელს არ გაძლევთ, მაშინ გთხოვთ, ერთი სამსახური გამიწიოთ: ჩემთან შეხვედრას ნუღარ მოინდომებთ და თავი აარიდეთ იმ ადგილებს, სადაც, თქვენი აზრით, შესაძლოა, ჰეც ალმოვჩნდე. თუ ამას შემისრულებთ, დიდად მადლიერი დაგრჩებით. ამით დამეხმარებით, რომ თქვენი დავიწყება გამიადვილდეს. ბედნიერი მხოლოდ მაშინ ვიქნებოდი, თუ ცოლად შემირთავდით ან სამუდამოდ გულიდან ამომიგდებდით. მჯერა, რომ კვირას გიხილავთ".

წერილმა ძალიან ამაფორიაქა. ვხედავდი, რომ ყოველი სიტყვა კეთილი გულით, სიმამაცით და ჭკუით იყო ნაკარნახევი.

ჩემი იმდღევანდელი საქციელისათვის სირცხვილი მწვავდა. ვგრძნობდი, რომ თუ მის წინადადებას უარვყოფდი, სასტიკი ბასჯელის ღირსი შევიქნებოდი. თანაც იმოდენა სიმდიდრეს შჩექნიდა, ჭკუათმყოფელი რომ ვერასოდეს წარმოიდგენდა. მაგრამ. ქორწინებაზე ფიქრიც კი მზარავდა. საკუთარ თავს ძალზე კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, რომ მშვიდი ოჯახური ცხოვრება უბედურ კაცად გამხდიდა, ესე იგი, ჩემი მეუღლეც უბედური იქნებოდა. ოთხი დღის განსჯამ და ყოყმანმა დამარწმუნა, რომ დე ლა მ-რი არ მიყვარდა, მაგრამ არც მისი წინადადების უარყოფის ძალა შემწევდა. უფრო მეტად კი ამის თქმა მიჭირდა. გამუდმებით მასზე ვფიქრობდი, უდიდესი პატივისცემითაც განვიმსჭვალე და ვნანობდი, რომ ასეთი შეურაცხყოფა მივაყენე, მაგრამ შეცდომის გამოსწორებასაც ვერ ბედავდი. ვერ ვეგუებოდი იმ აზრს, რომ უარის თქმის შემთხვევაში შემიძულებდა. რა საბრალოა ადამიანი, რომელსაც გადამწყვეტ წუთს არჩევანის გაკეთება არ შეუძლია!

იმის შიშით, რომ ეშმაკს ოპერაში ან კომედიაში არ წავეთრიე და იქ მადმუაზელ დელა მ-რს არ გადავყროდი, კვირამდე გარეთ ფეხი არ გამიდგამს, დათქმულ დღეს კი ლამბერტინისთან მივედი. ის ეკლესიაში წასულიყო. ტირეტა თავის ოთახში ფლეიტას უკრავდა. დამინახა თუ არა, წამოდგა, რათა თავისი შავი ფრაკისათვის მიცემული ფული დაებრუნებინა.

— ასე გამდიდრდი? მომილოცავს!

— მოლოცვა კი არა, სამძიმარი უნდა მითხრა, რადგან ეს მოპარული ფულია, თუმცა მე მხოლოდ თანამონაწილე ვარ. აქ ბანქოს თამაშში თაღლითობენ და მე ხელის შეწყობას მაიძულებენ. მინდა თუ არა, ჩემი წილი მაინც უნდა ავიღო, თორემ ბრიყვად გამომაცხადებენ. ჩემი მასპინძელი და კიდევ ოთხი-ხუთი მისნაირი დედაკაცი მოთამაშეებს ტყავს აძრობენ. მეზიზღება ეს საქმე, არ შემიძლია! ადრე თუ გვიან მომკლავენ ან მე თვითონ მივაღრჩობ ვინმეს და თავს დავიღუპავ. ასე რომ აქაურობას მალე უნდა გავეცალო.

— ჩემო მეგობარო, გულით გირჩევ, ეს საქმე ახვალიოდ არ გადადო და დღესვე წამოხვიდე.

— აჩქარებაც არ ივარგებს, რადგან ჩემი მეგობარი, ყოვლად ღირსეული ბატონი ლე ნუარი, რომელსაც ამ ძუკნის ბი-

ძაშვილი ვეონივარ და მის საძაგლობებზე წარმოდგენაც არა აქვს, რაიმეს იეშვებს ან როცა ჩემი გაქცევის მიზეზს შეიტყობს, იქნებ კიდეც მიატოვოს. ხუთ-ექვს დღეში რამე საარწმუნო საბაბს ვიპოვი და შენთან გადმოვბარგდები.

ჩემი დანახვა ლამბერტინის გულწრფელად გაუხარდა. ვაუწყე, რომ მადმუაზელ დე ლა მ-რი და მისი დეიდაც მოვიდოდნენ. შემდეგ ვკითხე, ითხელით კმაყოფილი თუ ხართ-მეთქი და მიპასუხა, რომ იგი ამ ბოლო დროს ყოველ ღამეს შიშ არ ათევდა, მაგრამ ამბავ გამო მისი სიყვარული სრულიადაც არ განელებია.

მობრძანდა ქალბატონი *** დისწულითურთ. ქალიშვილი ცდილობდა არ შეემჩნიათ, თუ როგორ ეშინამოვნა ჩემი დანახვა. ისეთი მშვენიერი იყო, რომ ჩემი ყოყმანი გამიკვირდა. დეიდამისს ვუთხარი, ასეთი საცოლე რომ მაპოვინა მარტოხელა კაცის ცხოვრებაზე უსათუოდ ხელს ავიღებდი-მეთქი.

— ჩემი დისწული, მოწყალეო ხელმწიფევ, პატიოსანი და სათნო ქალიშვილია, მაგრამ არც ჭკუა და არც შეშმარიტი რწმენა არ გააჩნია.

— ჭკუაზე ვერაფერს გეტყვით, ძვირფასო დეიდა, მაგრამ მონასტერში ულმერთობას არ მაყვედურობდნენ.

— ოღონდაც! ისინი ხომ იეზუიტები არიან. მადლი უნდა გადმოვიდეს, საყვარელო დისწულო, მადლი, მაგრამ გვეყოფა ამაზე კამათი. მე მხოლოდ ერთი რაღაც მაურს: შენს საბედოს მოეწონო.

— განა მადმუაზელი თხოვდება?

— მისი საქმრო მომავალი თვის ექვსდეგ ჩამოვა.

— სასამართლოს მოხელეა?

— არა. საკმაოდ შეძლებული ვაჭარი გახლავთ.

— ბატონმა ლე ნუარმა ბრძანა, რომ ქალიშვილი სასამართლოს მრჩევლის ასულია. არ მეგონა, თუ ხვა წრის ადამიანს გააყოლებდა.

— სისულელეა. თუ კარგი პატიოსანია, ეს ერგი კარგი წრისაც არის. ხოლო ოჯახური ბედნიერება თვით ქალზეა დამოკიდებული.

ჩვენი საუბარი ქალიშვილის გულს ლოდივით ეჯახებოდა და მე სხვა თემაზე გადავედი, კერძოდ ვთქვი, რომ დღეს გრე-

ვის მოედანზე დამდგარნ სიკვდილით დასჯის საყურებლად დიდძალი ხალ[illegible]

დება, რომ ჩემს გარდა სხვა ქმარი არ გსურთ, ჩემი თხოვნისთანავე პარიზის ერთ-ერთ საუკეთესო მონასტერში საიმედო თავშესაფარს მოგცემთ, ადეოკატსაც თვითონვე მოგიძებნით და, თუ ანდერძი ორაზროვანი არ არის, თქვენს დეიდას რამდენიმე დღეში აიძულებს, კუთვნილი მზითევი მოგცეთ და დანარჩენ მემკვიდრეობაზეც თავნი შეიტანოს. ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ. დარწმუნებული იყავით, რომ განსაცდელში არ მიგატოვებთ. ნიშნობის დღეს თქვენ დეიდის სახლში აღარ იქნებით.

— მჯერა თქვენი და ჩემს თავს გაბარებთ. მაგრამ გთხოვთ, დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ იმას, რაც ჩემს გულწრფელობას ასეთ ჭრილობას აყენებს. თქვენ ბრძანეთ, რომ მე არასოდეს ჩემს ხელს არ შემოგთავაზებდით, წინა კვირას ასე თამამად რომ არ მომქცეოდით. მაგრამ ჩვენ შეუღლება სხვა გზითაც შეგვეძლო, რადგან, მართალი რომ გითხრათ, ნებისიერ შემთხვევაში სხვებზე უპირატესობას თქვენ მოგანიჭებდით.

ასეთი კეთილგონიერი განმარტება რომ მოვისმინე, იმგვარი გაშმაგებით დავუწყე ხელების კოცნა, რომ ნოტარიუსი და სასულიერო პირი გვერდით რომ მყოლოდნენ, იმ წამსვე ვვირგვინს ვიფსკვნიდით.

რამდენიმე დღის შემდეგ, 28 მარტს ქალებს შევუარე და ტირეტაათან ერთად გრეკის მოედანზე წავედით. მადმუაზელი დე ლა. მ-რი მეხლებზე დავსხვი, ისინი კი სამივენი ფანჯარას მიადგნენ, ადაყვებით რაფას დაეყრდნენ და წინ გადმოიხარნენ, რათა ჩვენთვის ყურებაში ხელი არ შეეშალათ. ფანჯრის წინ ორი საფეხური იყო. ისინი მეორეზე შედგნენ, ჩვენ კი მათ უკან უნდა მოვწყობილიყავით, ოორემ ვერაფერს ვერ ვხედავდით. ამ გარემოებას, როგორც მკითხველი მალე დარწმუნდება, უმიზეზოდ არ აღვწერ.

ჩვენ გვეყო ნებისყოფა და სიმტკიცე იმისათვის, რომ მთელი ოთხი საათის განმავლობაში ამ საშინელი სანახაობისათვის გვეცქირა. მის აღწერას არ შევუდგები. ამას დიდი დრო დასჭირდება და გარდა ამისა, ყველასათვის ცნობილია. დამიენი ფანატიკოსი იყო, რომელსაც სჯეროდა, რომ თუ ლუდოვიკო XV-ს მოკლავდა, ამით კეთილ საქმეს აღასრულებდა.

კანი მხოლოდ ოდნავ გაუკაწრა, მაგრამ განა სულერთი არ არის? მოედანზე თავმოყრილი ხალხი ყვიროდა, რომ დამიენი ურჩხული იყო, რომელიც მათი საყვარელი. მონარქის დასაღუპავად ჯოჯოხეთმა ამოანთხია. სხვათა შორის, ეს იგივე ხალხი იყო, რომელმაც მთელი სამეფო ოჯახი ამოწყვიტა და მეხრი გაავლო საფრანგეთის რჩეულ საზოგადოებას, ვინც ერის დიდებას შეადგენდა და ვის გამოც სხვა ხალხები საფრანგეთს პატივს სცემდნენ და მაგალითად ისახავდნენ. თვით ვოლტერი ამბობდა, ფრანგებზე უფრო ბაძაგელი ხალხი არ არსებობსო. ეს არის ქამელეონი, რომელიც გამუდმებით ფერს იცვლის და მზად არის უყოყმანოდ აღასრულოს ყველაფერი, რასაც ბელადი უბრძანებს — სიკეთეც და ბოროტებაც.

დამიენის სიკვდილის დასჯის დროს თავის მოკვეთის საზარელ სურათს თვალი ავარიდე, ლამბერტინი და ქალბატონი *** კი არც შეტოკებულან. მათ თავიდანვე განაცხადეს, რომ ეს ჯოჯოხეთის მოციქული, რომელმაც საყვარელ ლუდოვიკო XV-ზე ხელი აღმართა, სულაც არ ებრალებოდათ, მაგრამ მარტო გულქვაობა არ იყო იმის მიზეზი, რომ ქალბატონ ***-ს თავიც არ მოუბრუნებია და ადგილიდან არ განძრეულა. ამაში ბრალი ტირეტასაც მიუძღოდა.

იგი ქალბატონ ***-ს უკან იდგა და მისი გრძელი კაბისათვის ფეხი რომ არ დაებიჯებინა, კალთა წამოუწია. სწორედაც მოიქცა, მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ კაბის წამოწევა ცოტა არ იყოს ხედმეტად ჰოუვიდა. ჩემი ჰეგობრისათვის ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელი რომ არ შემეშალა და არც ქალბატონი *** ჩამეყენებინა უხერხულ მდგომარეობაში, მარ-ს წინ ჩამოვეფარე, რათა დვიდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ვერც მე და ვერც მისი დისწული ვერ ვხედავდით, რას უშვებდა მას ტირეტა. მთელი ორი საათის განმავლობაში მესმოდა შიდა კაბების შარიშური და ჰოხას არ ვიცვლიდი. გულში ტირეტას შესაშური ჰადით უფრო ვიყავი აღტაცებული, ვიდრე მისი თავხედობით, რამეთუ მე თვითონაც ხშირად არანაკლებ თავგანწირული გმირობა ჩამიდენია.

როცა ცერემონია დასრულდა და ქალბატონი *** წელში გაიმართა, მეც შემოვბრუნდი. დავინახე, რომ ტირეტა მხიარულად, მხნედ და უშფოთველად გამოიყურებოდა, თითქოს

არაფერი მოეხდარიყო. სამაგიეროდ ქალბატონი ჩვეულებრივზე უფრო ჩაფიქრებული და აერიოზული მეჩვენა. განწირულის თვინიერებით ითმენდა თავხედი ტირეტას გამოხდომას, ანათა ლამბერტინის დასაცინი არ გამხდარიყო და დისწულ მისთვის აქამდე უცნობ საიდუმლოს არ ზიარებოდა.

ლამბერტინი სახლის კართან ჩამოვსვი და ვთხოვე, ტირეტა ცოტა ხნით ჩემთან დაეთმო. მასთან საქმე მქონდა. შემდეგ ქალბატონი *** მივაცილე. მთხოვა, ხვალ ჩემთან მობრძანდით, სალაპარაკო მაქვსო. შევნიშნე, რომ ჩემს მეგობარს არც გამოეშვიდობებია.

მე და ტირეტა მარტონი დავრჩით.

— რას უშვებოდი ქალბატონ ***ს? — ეკითხე მე.

-- მაგრამ ვერც შენ და ვერც სხვები ხომ ვერაფერს ხედავდით?

-- დავეშვათ. მაგრამ მე შენი მანევრის დასაწყისს ჩავავლე და ისე დავდექი, რომ მადმუაზელ დე ლა მ-რს და ლამბერტინის ჩამოვფარებოდი. წარმომიდგენია, რა დღეც დაწვა და შენი მადითაც აღტაცებული ვარ, მაგრამ ქალბატონი *** სერიოზულად გაბრაზდა.

-- თავს იკატუნებს. რაკი ორ საათს გაჭიმული იდგა, ესე იგი, სიამოვნებდა.

მეც მასე მეონია. ალბათ, თავმოყვარეობა ეუბნება, რომ უდიერად მოეპყარი და არც ტყუის. ხომ ხედავ, როგორ გებუტება. ხვალისათვის სალაპარაკოდ დამიბარა.

-- ამ აისულელეებს ხომ არ მოგიყვება? მთლად გიჟი კი არ არის.

-- რატომაც არ მომიყვება. შენ მაგ ფარისევლებს არ იცნობ. ოღონდ აღსარებისა და ცრემლების ღვრის საბაბი მიეცით და მეტი არაფერი უნდათ: მეტადრე. თუ მახინჯებიც არიან. შესაძლოა, ქალბატონმა ***-მა დაკმაყოფილება მოგთხოვოს და მე მხარს დავუჭერ.

— არ ვიცი, მეტი როგორ უნდა დავაკმაყოფილო. თანახმა რომ არ ყოფილიყო, ტლინკს მკრავდა და კიბეზე დამაგორებდა.

— შევნიშნე, რომ ლამბერტინიც გამწყრალია. შეიძლება, მანაც რაღაც დაინახა და თავს შეურაცხყოფილად თვლის.

— ლამბერტინი სულ სხვა რაზის გამო იბღვირება. წუხელ ისეთი რამეები ვუთხარი, რომ ამ საღამოს შენთან უნდა გადმოვბარგდე.

— მართლა?

— მართლა. აი, რა მოხდა: გუშინ საღამოს ერთმა ჭაბუკმა, რომელიც ლამბერტინისთან გენუელმა კუდიანმა ბებერმა მოიყვანა, ორმოცი ლუი წააგო. გამწარებულმა დიასახლისს ბანქო სახეში მიაყარა და ქურდბაცაცა უწოდა. შანდალი ავიტაცე და მის სიფათზე ჩავაქრე, სიმართლე რომ გითხრა, კინაღამ თვალიც ამოვთხარე. იგი ყვირილით დაშნას ეცა და გენუელს რომ არ ეყოჩაღა და იარაღი არ წაერთმია, უსათუოდ სისხლი დაილვრებოდა, რადგან მეც დაშნა ვიშიშვლე. სარკეში თავისი სისხლიანი სახე რომ დაინახა, საწყალი ბიჭი მთლად გადაირია და მანამდე არ დაწყნარდა, ვიდრე წაგებული ფული არ დაუბრუნეს. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან ფულის დაბრუნება საკუთარი ცულლეტობის აღიარებას ნიშნავდა. ამის გამო ჭაბუკის წასვლის შემდეგ მე და ლამბერტინმა ერთმანეთი დაკლანძღეთ. ის მომტყუებდა, რომ მე რომ არ ჩავრეულიყავი, არაფერიც არ მოხდებოდა, ორმოცი ლუიდორიც შეგვრჩებოდა და კიდევ მეტიც მოვწველიდით, ახლა კი სახენაირევი და გაშმაგებული ბიჭი ღმერთმა უწყის რას ჩაიდენდა. ამ ნაძირალას ესინდისი ჭკვის სწავლება ყელში ამომივიდა და გულიანად შევუყურეთხე. მან კი უბადრუკი მათხოვარი მოწოდა. ბატონი ლე ნეარი რომ არ შემოგვსწრებოდა, ნამდვილად ცემით გავაბრტყელებდი. ამ ღირსეულ ადამიანს ავუხსენი, რომ მისმა საყვარელმა მათხოვარი დამიძახა, თანაც ჩემი ბიძაშვილი კი არა, ერთი ჩვეულებრივი ბოზი იყო და დღეიდან მის სახლში ჩემი ფეხი არ იქნებოდა. ეს რომ ვთქვი, ჩემს ოთახში ავედი და ჩავიკეტე. ორი საათის შემდეგ გუდანაბადს ავიკრავ და ხვალ დილით შენთან გადმოვსახლდები.

ტირეტა მართალი იყო. მისი ბუნების ადამიანი თავს უსინდისობით ვერ ირჩენდა.

მეორე დღეს ქალბატონ ***-თან მივედი. მან მითხრა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, გაგიკვირდებათ იმის მოსმენა, რასაც ახლა ვეტყვით. გადავწყვიტე, გაუგონარი ფხოვნით მოგმართოთ. მოფიქრებისათვის დრო არ მაქვს, რადგან ეს

ალმაშფოთებელი შემთხვევა დაუყოვნებლივ მოქმედებას მა-ვალებს. მე ჭკვიან, წინდახედულ და პატიოსან კაცად მიმაჩ-ნიხართ და, რაც მთავარია, ჭეშმარიტ მორწმუნედ გთვლით. თუ ეცდები, ამით კიდევ ერთი უბედურება მომემატება და მეტი არაფერი. მაგრამ გაჩუმებაც არ შემიძლია, რადგან თავს პატივაყრილად ვგრძნობ და შეურაცხმყოფელს სამაგიერო უნდა მივაგო, რის გამოც კარგ დღეში არც თქვენ ჩავარდებით.

— ტირეტას ხომ არ უჩივით?

— დიახ, სწორედაც რომ მას ვუჩივი. მაგ არამზადამ უმა-გალითო შეურაცხყოფა მომაყენა.

— რას ამბობთ! ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ მასეთი რამ შეეძლო! რა სახის შეურაცხყოფა, ქალბატონო? მენდეთ და მითხარით.

— მოწყალეო ხელმწიფევ, ამის თქმა არ შემიძლია, მაგ-რამ იმედი მაქვს, რომ თვითონვე მიხვდებით. გუშინ სამგზის წყეული დამიენის დასჯის დროს ზედიზედ ორი საათის გან-მავლობაში მეტისმეტად უცნაური სახით ბოროტად იყენებდა ის კარემოებას, რომ ჩემს უკან იდგა.

— ყველაფერი გასაგებია. მეტის ახსნა საჭირო აღარ არის. მართალი ბრძანდებით, ნამდვილად დაუშავებია. მოუტყუე-ბიხართ. მაგრამ ნება მიბოძეთ შევნიშნო, რომ ეს შემთხვევა არც ისე იშვიათი და უმაგალითოა. ვფიქრობ, იგი პატიებას იმსახურებს: თქვენ ისეთ უჩვეულო ურთიერთმიმართებაში იმყოფებოდით, ხოლო ცდუნებული ისე ახალგაზრდაა, რომ... ეს დანაშაული, მხარეების შეთანხმებით, შეიძლება იოლად ჩაფარცხოს. ტირეტა უცოლოა, წარჩინებულ გვარს ეკუთვ-ნის და მასთან შეუღლება თქვენთვის საკვლებით შესაძლებლად ჩანაჩნია. თუ ოჯახის შექმნა თქვენი ბუნებისა და მრწამსისათ-ვის მიუღებელია, ტირეტას შეუძლია თავისი დანაშაული ერთ-გული მეგობრობით გამოისყიდოს და კეთილი საქმეებით მო-ინანიოს. დაფიქრდით, ქალბატონო, ის ხომ ადამიანია და არა-ფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის. თქვენმა მშვენი-ერებამ თავგზა აუბნია. ვფიქრობ, შენდობის იმედი უნდა ჰქონდეს.

— შენდობის? თქვენი სიტყვები ქრისტიანული სათნოები-თა და სიბრძნითაა ნაკარნახევი, მაგრამ მსჯელობა ცრუ სა-

ფუძველს ემყარება. მთავარი არ იცით. მაგრამ ვაი, რომ ამიწ უთქმელად მიხვედრა შეუძლებელია.

ქალბატონ ***-ს ცრემლები გადმოსცვივდა, მე კი შეშფოთებულმა, არ ვიცოდი რა მეფიქრა: იმ დროს საფულე ხომ არ ამოართვა? — ვეკითხებოდი ჩემს თავს მან ცრემლების მშრალებით განაგრძო:

— თქვენ წარმოადგინეთ იმგვარი დანაშაული, რომელსაც მართალია ძნელად, მაგრამ მაინც შეიძლება გამართლება მოეძებნოს. მაგრამ ამ გაუთლელმა ხეპრემ ისე საძაგლად გამაუპატიურა, რომ მეშინია, ამის გახსენებისას ჭკუაზე არ შევიშალო.

— ღმერთო დიდებულო! ეს რა მესმის! მთლად ამაკანკალა. მოწყალება ჰყავით და მიბრძანეთ, თქვენი ნათქვამი სწორად გავიგე?

— ვფიქრობ, რომ სწორად გაიგებდით, რადგან არც კი ვიცი, კიდევ რომელი ამგვარი საშინელების წარმოდგენა შეიძლება. ვხედავ, რომ აღელვებული ბართ. მაგრამ ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. მაპატიეთ, რომ ვტირი, მაგრამ ჩემი ცრემლის მიზეზი საშინელი წყენა და სირცხვილია.

— და კიდევ რწმენა.

— რა თქმა უნდა. რწმენა მთავარიც კი გახლავთ. იგი იმიტომ არ ვახსენე, რომ არ ვუწყი, ჩემსავით ღვთისმოსავი ბრძანდებით თუ არა.

— იმდენად, რამდენადაც ეს ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატება. დაე, გეფარავდეს უფალი.

— მაშინ გაემზადეთ იმისათვის, რომ მე ახლს წარვიწყმედ, რამეთუ შერცხვენა უნდა ვიგრძნო.

— უკუაგდეთ ეს განზრახვა, ქალბატონო! მე თქვენი თანამზრახველი ვერასოდეს გავხდები. თუ ამ ფიქრებს არ განაგდებთ, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში იმის ნება მაინც მიბოძეთ, რომ მე არაფერი კიცოდე. აღგითქვამთ, რომ ტირეტასთან სიტყვაც არ წამომცდება, თუმცა კი ჩემთან ცხოვრობს და სტუმარმასპინძლობის წესი ძოითხოვს, რომ გავაფრთხილო.

— მე მეგონა, ლამბერტინისთან ცხოვრობდა.

— გუშინ გაძოიქცა. იქ დანაშაული ხდებოდა და ჩემი მეგობარი იმ ბუნავს ვამოვარიდე.

— რას ამბობთ? მისი სიკვდილი სულაც არ მსურს, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ შელახული ღირსება უნდა აღმიდგინოს.

— გეთანხმებით, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ეს როგორ უნდა მოხდეს. თქვენი შეურაცხყოფის დონეს რა სასჯელი შეეფარდება? თუმცა, ვიცი ერთი საშუალება, რომელიც უეჭველად იმოქმედებს.

— მითხარით ბარემ.

— მისთვის მოულოდნელად შეგახვედრებთ, ხელში შეგატოვებთ და წავალ. დაე თქვენი სამართლიანი რისხვის ძალა გამოსცადოს. მაგრამ ერთის პირობით: მეზობელ ოთახში დავიმალები, რადგან მისი სიცოცხლისათვის პასუხისმგებლობას ვერ ავიღებ

— თანახმა ვარ. აი, იმ ოთახში დარჩებით. იმას კი მეზობელ ოთახში შემოიყვანთ, სადაც მოულოდნელად შეგხვდებით. მაგრამ მან არაფერი არ უნდა იცოდეს.

— ისიც კი არ ეცოდინება, სად შევიყვანე. არც იმას ვეტყვი, მისი ბოროტმოქმედების ამბავი რომ ვიცი. რაიმე საბაბით პირისპირ დაგტოვებთ.

— რიდს მოიყვანთ? ითმინება არ მყოფნის, კიდრე მავრად მევახურებდე. სულ ანგელოზებს დავუფეთებ მაგ არამზადას. ნეტავი ბაკის გასამართლებლად რას იბლუკუნებს.

შევპირდი, რომ დამნაშავეს ხვალვე მივგვრიდი. ფრანგული კომედიიდან ვეხით წამოვიდოდით და აიბნელეში სახლს ვერ იცნობდა.

ტირეტა სიცილით მოკვდა, როცა ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— ვერც ვიფიქრებდი, — მიპასუხა მან, — რომ კინმესთან ჩავილს გაბედავდა.

— ესე იგი, არ უარყოფ, რომ ეს ჩაიდინე?

— რაკილა ასე ამბობს, კამათს ვერ დავიწყებ, მაგრამ აქვე მიწა კამისკდეს, თუ ამაში დარწმუნებული ვიყო. იმ მდგომარეობაში, მე რომ კიმყოფებოდი, სხვაგვარად არ მოხერხდებოდა. მაგრამ მას წრაფად დავაშოშმინებ და მალე დაებრუნდები. შეკეცდები, დიდხანს არ გალოდინო.

— არავითარ შეცდომაში! შენთვისაც და ჩემთვისაც აჯო-

ბებს, რომ არ აჩქარდე, დარწმუნებული ვარ, არ მოვიწყენ. შენ არ უნდა იცოდე, რომ მეც იქვე ვიმყოფები. საათზე მეტ ხანსაც რომ დარჩე, მეეტლე დაიქირავე და მარტო წადი. ისინი ქუჩაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე დგანან. როგორც ხვდები, ქალბატონ ***-ს თავაზიანობა ჩემი მარტო დატოვების უფლებას არ მისცემს. არ დაგავიწყდეს, რომ დიდგვაროვანი, მდიდარი და ღვთისმოსავი ქალია. შეეცადე მისი მეგობრობა დაიმსახურო. იმედი მაქვს, წარმატებას მიაღწევ. თუ გკითხოს, ლამბერტინისთან რატომ აღარ ცხოვრობო, სიმართლეს ნუ ეტყვი. შენი თავშეკავება მოეწონება. დაბოლოს, შეეცადე შენი საძაგელი დანაშაული დირსეულად გამოიყენო.

— მე მისთვის მხოლოდ სიმართლის თქმა შემიძლია. ნამდვილად ვერ ვხედავდი, სად შევდიოდი.

— შეუდარებელი ახსნაა. ფრანგი ქალი ამით საკმაოდ დაკმაყოფილდება.

კომედიიდან რომ გამოვედით, კარეტა გავეშვი და ავაჩაი მატრონასთან მივიყვანე, რომელიც მეტად გულთბილად შეგვხვდა, ბოდიში მოგვიხადა, არასოდეს არ ვვახშმობ, მაგრამ წინასწარ რომ შეგეტყობინებინათ, რაიმეს გამოვძებნიდიო. ფოიეში ყურმოკრული ჰორების მოყოლის შემდეგ წასვლის ნებართვა ვთხოვე, ვითომ ესპანურ სასტუმროში ერთი უცხოელი უნდა მენახა.

— თხუთმეტი წუთიც რომ დამაგვიანდეს, ნუღარ დამელოდები, — კუთხარი ტირეტს, — ხვალ შევხვდებით.

იმის ნაცვლად, რომ კიბეზე დავშვებულიყავ, მეორე ოთახში შევედი. ორიოსანი წუთიც არ გასულიყო, რომ მადმუაზელი დე ლა მ-რი შემოვიდა და მხიარული სახით მითხრა, თქვენ რომ გზედავთ, თავი სიზმარში მგონიაო.

— დეიდამ დამავალა, თქვენთან კიყო და მოახლეს ვეთხრა, რომ ზევით მხოლოდ ზარის ხმაზე ამოვიდეს. ათხელი მასთან მარტო დაგიტოვებიათ და დეიდამ მიბრძანა, რომ ხმადაბლა კილაპარაკოთ, რადგან მისმა სტუმარმა არ უნდა იცოდეს, რომ აქ იმყოფებით. რას ნიშნავს ეს ყოველივე? გამოგიტყდებით, ცნობისმოყვარეობისაგან აღარა ვარ.

— ყველაფერს შეიტყობთ, ჩემო ანგელოზო, მაგრამ ძალიან მცივა.

— დეიდამ ბუხრის დანთება დამავალა. რაღაც ნამეტანი ხელგაშლილი გახდა. აი, სანთლებიც კი გაიმეტა.

ცეცხლის პირას რომ მოვკალათდით, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. უდიდესი ყურადღებით მისმენდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიხვდა, ტირეტას ბოროტმოქმედება რაში მდგომარეობდა. ესეც მიუკიბავ-მოუკიბავად ავუხსენი, თან ჟესტებს ვიშველიებდი, რაზეც ბევრი იცინა და ლოყები შეეფაკლა.

— ორი რამ ვერ გამიგია, — მითხრა მან, — პირველი: როგორ მოახერხა ათხელმა დეიდაჩემთან ამგვარი რამის ჩადენა, ეს ხომ მხოლოდ იმ მხარის თანხმობით შეიძლება, რომელსაც თავს ესხმიან. თუ ეს თანხმობა არ იქნა, ალბათ, არაფერი გამოვა, რის გამოც ვასკვნი, რომ რაკი ბოროტმოქმედება ჩადენილია, ჩემი ძვირფასი და კეთილშობილი დეიდა მას ოდნავადაც არ შეურჩებია.

— რა თქმა უნდა. რომ არ სდომოდა, პოზის შეცვლა ხომ შეეძლო?

— მე მგონი, უამისოდაც მისი ნება იყო, შეუშვებდა თუ არა მოძალადეს.

— აი აქ კი ცდებით, ჩემო ანგელოზო. ჭეშმარიტ მამაკაცს მუდმივი პოზის გარდა არაფერი სჭირდება იმისათვის, რომ ნებისმიერი ზღუდე იოლად შეანგრიოს. და, გარდა ამისა, შესასვლელებიც სხვადასხვანაირი არსებობს. არა მგონია, დეიდათქვენს ისეთივე ჰქონდეს, როგორიც თქვენ გექნებათ.

— რაც შეეხება მაგას, ასი ტირეტაც ვერ შემაშინებს. კიდევ ერთი რამ არ მესმის: როგორ გაბედა, რომ ყველაფერი გიამბოთ, რადგან ჭკუის ნატამალიც რომ გააჩნდეს, უნდა მიხვედრილიყო, რომ მასხარად აიგდებდით. და მითუმეტეს ვერ გამიგია, რა პასუხი უნდა მოსთხოვოს თავხედ გადარეულს, რომელსაც, ალბათ, ეს ამბავი უკვე აღარც კი ახსოვს. ჩემი აზრით, იმ დროს ვის უკანაც არ უნდა აღმოჩენილიყო, ყველას იგივეს უზამდა, რაკი ასეთმა სიგიჟემ წამოუარა.

— გამოიცანით. თავადვე აღიარა, რომ აზრზე არ იყო, სად შედიოდა.

— აი, ხომ ხედავთ. თქვენი მეგობარი დიდი პირუტყვი ვინმეა.

— რაც შეეხება იმას, რანაირი დაკმაყოფილება სწყურია თქვენს დეიდას, და, ალბათ, მისი მიღწევის იმედიც აქვს, ჩემთვის არ გაუმხელია. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს იქნება სიყვარულის გამრცხადება მრავალგვარი საშუალებით. ტირეტა უნებლიედ ჩადენილ ცოდვას იმით გამოისყიდის, რომ სანიმეშო საყვარელი გახდება და ამაღამდვლ ღამეს ისე გაატარებინებს, თითქოს ამ დილით იქორწინესო.

მთელი საათი გავიდა, რაც დეიდა ტირეტასთან საუბრობდა და მე მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო.

— ვიეახშმოთ, — ვთქვი მე.

— მარტო პური, ყველი და ლორი გვაქვს. და კიდევ დეიდაჩემის საყვარელი ღვინო.

— ყველაფერი მოიტანეთ, თორემ შიმშილისაგან ძლიეს დავლასლასებ.

ამის თქმა ვერც მოვასწარი, რომ სუფრა უკვე გაწყობილი იყო. როკფორული ყველი და საეცხოო შაშხი ათ კაცს ეყოფოდა, მაგრამ რაკი სხვა არაფერი გაგვაჩნდა, სუყველაფერი ჭანასკნელ ნამცეცამდე შევსანელეთ და ზედ ორი ბოთლი ღვინოც დავაყოლეთ. ქალიშვილს მშვენიერი თვალები აუელვებდა. გემრიელ სუფრასთან თითქმის ერთი საათი გავატარეთ.

— არ გაეიგოთ, დეიდათქვენი და ტირეტა რას აკეთებენ? — ვკითხე მე, — აგერ უკვე ორი საათი გავიდა და არავითარი ცნობა არა გვაქვს.

— ალბათ, თამაშობენ. თუმცა აი, აგერ ხვრელია. მბეჭუტავი სანთლის გარდა ვერაფერს ვხედავ.

— აბა რას ვამბობდი! საბანი მომეცით, სავარძელზე მივწვები, თქვენ კი დასაძინებლად წადით. ნეტავი, როგორი საწოლი გაქვთ...

თავის ოთახში გამიყვანა და საეცხოო ლოგინი მაჩვენა. ფუთხარი, რომ პატარა საწოლი ჰქონდა და არაფერიცო, მიპასუხა, ზედ დაწვა და ფეხები გაწვართა. რა წარმტაცი ცოლი მეყოლება!

— ოჰ, ღვთის გულისათვის, არ გაინძრეთ! ნება მომეცით, კაბა გაგიხსნათ და თქვენი იდუმალი მშვენიერების ხილვით დავტკბე!

— ძალიან მეგობარო, წინააღმდეგობის ძალა აღარა მაქვს, მაგრამ შემდეგ აღარ გეყვარებით.

გაბრაელმა კაბამ მხოლოდ მისი მშვენიერების მცირე ნაწილი კაბამხილა და ყველგამოწვდილი ვედრების შემდეგ უფლება მომცა, რომ მთლიანად გამეშიშვლებინა, გონისწამღებ სილამაზეს ტუჩებით დავწაფებოდი და ენით გამოუთქმელი ნეტარება განმეცადა. ბოლოს, ჩემსავით ვნებისაგან ათრთოლებულმა მკლავები გადამიშალა, ოღონდ წინასწარ ფიცი ჩამომართვა, რომ მთავარზე უმთავრესს არ შევეხებოდი. რას არ შეჰპირდები ქალს ასეთ წუთებში! მაგრამ რომელი შეყვარებული ასული მოითხოვს თავისი მიჯნურისაგან დადებულ აღთქმის შესრულებას იმ დროს, როცა გრძნობა მეუფებს და არა გონება? ვხედავდი, რომ უკვე წინააღმდეგობის თავი აღარ ჰქონდა, ბაგრად ჩავიკარი გულში და ვუთხარი, რომ თუ არ შემიბრალებდა და არ გამაბედნიერებდა, ძალიან ცუდად გავხდებოდი.

— კარგი, — მომიგო მან, — მაგრამ იცოდეთ, რომ სიბრალული არაფერ შუაშია.

ამ სიტყვებზე ერთმანეთს ჩავეკონეთ და მხოლოდ გაწთიადის სინათლემ გაგვყარა, მეორე ოთახში გავედი და დავიძინე, მანაც დაიძინა.

შუადღეზე ქალბატონმა ***-მა გაგვაღვიძა.

— დილა მშვიდობისა, ქალბატონო, ჩემი მეგობარი სად არის?

— ის ჩემი მეგობარიცაა. ყველაფერი ვაპატიე. ძალიან დამაჯერებლად დამიმტკიცა, რომ იმ დღეს მართლა შეეშალა. ახლა შინ წავიდა. არ უთხრათ, რომ აქ ღამე გაათიეთ, თორემ იფიქრებს, რომ ჩემს დისწულთან იყავით. მადლობას გიხდით და თქვენი სულგრძელობისა და თავდაჭერილობის იმედი მაქვს.

— დარდი ნურაფრისა გექნებათ, ქალბატონო, ჩემთვის საკმარისია, რომ მას ყველაფერი აპატიეთ.

აბა რა მექნა. ამ ყმაწვილს ვერც ერთი ბოკვდავი ვერ შეედრება. რომ იცოდეთ, როგორ ვუყვარვარ! ერთი წლით სრულ კმაყოფაზე ავიყვანე ბინაც და კვებაც უზრუნველყოფილი ექნება. ამიტომ დღესვე ლა ვილეტში მივემგზავრებით. იქ შესანიშნავი ავარაკი მაქვს. ბორბოტ ენებს თავიდანვე საბაჯ

ბი რატომ უნდა მივცეთ? თუ ჩვენთან შემოვლას და ვახშმობას ისურვებთ, საუცხოო ლოგინიც გექნებათ. სამწუხაროა მხოლოდ ის არის, რომ მოგწყინდებათ. ჩემი დიასწული დიდი ბაიყუში ვინმეა.

— პირიქით, ძალიან გულთბილი და ხალისიანი ქალიშვილია. გემრიელი ვახშმით გამიმასპინძლდა და სამ საათამდე თავიც შემაქცევინა.

— კარგით ერთი. როგორ მოახერხა, ჩვენ ხომ არაფერი არ გვქონდა?

— რაც გქონდათ, სულ შევსანსლეთ. შემდეგ თავის ოთახში წავიდა, მე კი აქ დავიძინე.

— არ მეგონა, თუ ამის ჭკუა ეყოფოდა. წავიდეთ, ვინახულოთ. კარი ჩაუკეტია. აბა, გააღე! გააღე! რას ჩარაზულხარ! შე სულელო! ეს ბატონი უწესიერესი ადამიანია.

მან კარი გაგვიღო და მოგვიბოდიშა, ჩაუცმელი ვარო, მაგრამ საოცრად ლამაზი იყო.

— შეხედეთ ერთი, — თქვა დეიდამ, — არც ისე უშსოა. საწყენი მხოლოდ ისაა, რომ ჭკუის ნატამალი არ ვაჩინა კარგი გიქნია, რომ ბატონი კაზანოვა მშიერი არ დაგიტოვებია. სულ დამავიწყდა, რომ აქ ბრძანდებოდით, ხოლო ის, რომ გრაფი ტირეტა ვახშამს მიირთმევს ხოლმე, არ ვიცოდი და არც გაკუფრთხილებივარ, რომ რაიმე მომემზადებინა. მაგრამ ამიერიდან ყოველ საღამოს ვივახშმებთ. ეს უმაწვილი ჩემს კმაყოფაზე ავიყვანე. კარგი ხასიათი აქვს და ძალიან გონიერიცაა. აი, დაინახავთ, ფრანგულს რა მალე ისწავლის. ჩაიცვი, ჩემო დასწულო. უნდა მოვემზადოთ. ნასადილევს ლა ვილეტში მივემგზავრებით და მთელ გაზაფხულს იქ გავატარებთ. ყური დამიგდე, ძვირფასო: არ არის აუცილებელი, ეს ამბავი ჩემმა დამ იცოდეს.

— ნუ სწუხართ, ძვირფასო დეიდა. განა აქამდე მისთვის რამე მითქვამს?

— ერთი ამ სულელს დამიხედეთ! შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ ასეთი რამეები აქამდეც შემმთხვეოდა!

— მე იმის თქმა მინდოდა, რომ არაფერს არ ეუყვები ხოლმე.

— ორ საათზე ერთად ვისადილებთ და მაშინვე გავეშგზ.ვრებით. ერთი ფიაკრი გვეყოფა.

შევპირდი, რომ აუცილებლად მივიდოდი და შინისაკენ გავეშურე. ერთი სული მქონდა ტირეტას მოსმენამდე. სწუხდა, რომ თვეში ოცდახუთი ლუის, ბინისა და საკვების ფასად თავი გაჰყიდა.

— მომილოცავს! ქალბატონმა ***-მა მითხრა, რომ ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეგედრება.

— მთელი ღამე მაგისათვის ვიშრომე. დარწმუნებული ვარ, რომ დრო ფეჭად არც შენ დაგიკარგავს.

— ჩაიცვი. სადილზე მეც ვარ მიწვეული და ერთად წავიდეთ. მინდა გიყურო, ლა ვილეტში როგორ გაემგზავრები. დროდადრო მეც გეწვევით. შენი სქელუა საკუთარ ოთახსაც შემპირდა.

ტირეტას გამგზავრებიდან მესამე დღეს მეც ლა ვილეტში ჩავედი. ქალბატონი *** გულგრილად შემხვდა. ტირეტამ თავისი ოთახის სანახავად წამიყვანა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ იგი ქალბატონ *** ოთახს ემიჯნებოდა. სანამ ტირეტა ჩემს ბარგს ალაგებდა, მადმუაზელ დე ლა მ-რმა ჩემი ოთახი მაჩვენა. ეს იყო ძალიან სასიამოვნო ოთახი პირველ სართულზე, მისი საძინებლის პირდაპირ. მე ვუთხარი, რომ როცა ყველა დაიძინებდა, მასთან შეძრომას იოლად მოვახერხებდი, მაგრამ მიპასუხა, ჩემი საწოლი ძალიან ვიწროა და ამიტომ მე თვითონ მოვალო.

მთელი დღის განმავლობაში უამრავი სტუმარი ირეოდა. ისადილეს, ბანქო ითამაშეს, ათას რამეზე იჭორავეს და საღამოს დაღლილ-დაქანცული დასაძინებლად წავედი. ორმოცი წუთის შემდეგ მადმუაზელ დე ლა მ-რი მომიხტა და მკლავებში ჩამოვარდა. პირველზე უფრო ტკბილი ღამე გავატარეთ.

დილით ქალბატონ ***-თან და მის მეგობართან ერთად ვისაუზმე და ქალაქში დავბრუნდი. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ტირეტა ჩამოვიდა და მაუწყა, რომ დიუნკერკელი ვაჭარი ჩამოსულა, ქალბატონი *** სადილის გამართვას აპირებდა და უთხოვია, რომ მეც აუცილებლად ვწვეოდი. გულშეწუხებულმა ჩავიცვი. ამ ქორწინებას ვერასდიდებით ვერ ვეგუებოდი, მაგრამ არც წინააღმდეგობის გაწევა შემეძლო.

მადმუაზელი დე ლა-მ-რი, როგორც მომეჩვენა, ჩვეულებრივზე უფრო მორთულ-მოკაზმული იყო.

— საქმრო ისედაც მოიხიბლებოდა, — ვუთხარი მე.

— დეიდაჩემი მასე როდი ფიქრობს. მისი შეხედვა კი მაინტერესებს, მაგრამ თქვენი იმედი მაქვს და მჯერა, რომ ჩემი ქმრობა არ უწერია.

წუთის შემდეგ სასიძო და ბანკირი კორნუმანი მობრძანდნენ. ეს ის კაცი იყო, მათი ქორწინების საქმე რომ მოაკვარახვინა. ჩემს წინაშე იყო დაახლოებით ორმოცი წლის ლამაზი, სახენათელი, მოსაწონი სისადავით ჩაცმული მამაკაცი. თავაზიანად და მორიდებით წარუდგა ქალბატონ ***-ს და თავის ღანიშნულს მხოლოდ მაშინ შეხედა, როცა გასაცნობად მიუყვანეს. კუშტი გამომეტყველება მაშინვე მოიცილა და ქალიშვილს ლამაზი ქათინაური უთხრა. მან მოხდენილი რევერანსით უპასუხა, თან სერიოზულად და გულდასმით აკვირდებოდა.

სუფრას მივუსხედით, ვჭამდით და მთისა და ბარის ამბებზე ვსაუბრობდით, ქორწილზე კი კრინტიც არ დაგვიძრავს. დანიშნულები გაბუტულებივით ისხდნენ, ერთმანეთს არც უყურებდნენ და არც ელაპარაკებოდნენ. სადილის შემდეგ ქალიშვილი თავის ოთახში განმარტოვდა, ქალბატონი *** კი სასიძოსთან და ბანკირთან ერთად ჩაიკეტა. ორი საათის შემდეგ გამოვიდნენ. ბატონებს პარიზში წასვლა ეჩქარებოდათ და დეიდამ დისწული იხმო, მისი თანდასწრებით უთხრა სტუმარს, რომ ხვალ ელოდებოდა და დარწმუნებული იყო, რომ ქალიშვილს მისი ნახვა გაუხარდებოდა.

— ხომ მართალი ვარ, საყვარელო დისწულო?

— დიახ, ძვირფასო დეიდა. ხვალ ამ ბატონის ხილვა ძალიან მესიამოვნება.

ეს რომ არ ეთქვა, საქმრო ისე მიდიოდა, რომ საცოლის ხმა გაგონილიც არ ექნებოდა

— როგორ მოგწონს შენი ქმარი?

— დეიდა, ნება მომეცით, ამაზე ხვალ გიპასუხოთ. კეთილი ინებეთ და სუფრასთან დამელაპარაკეთ. შესაძლოა იგი ჩემმა გარეგნობამ არ დააფრთხო, მაგრამ ცოლის ჭკუა-გონებაზეც ხომ უნდა ჰქონდეს ცოტაოდენი წარმოდგენა.

— მეშინია, რომ სისულელეს წამოროშავ და ყველაფერს წყალში გადაყრი.

— მით უკეთესი მისთვის, თუ სიმართლე თვალს აუხელს, ჩვენც ბოძავალ უსიამოვნებებს ავირიდებთ.

— მაინც რა აზრისა ხარ?

— არ არის ცუდი კაცი, მაგრამ ხვალამდე მოვითმინოთ, იქნებ ისეთი ბრიყვი მოვეჩვენე, რომ მოსვლა აღარც კი ისურვოს.

— კაცი, რომ თავი ჭკვიანად მიგაჩნია და სულელიც ამიტომა ხარ. თუმცა ბატონი კაზანოვა მარწმუნებს, რომ გონიერი გოგო ბრძანდები. დაგცინის, ჩემო ძვირფასო.

— მე კი პირიქით მგონია, საყვარელო დეიდა.

— დედა, დედა, რა უაზრობას როშავ!

— მაპატიეთ, — ჩავერთე მე, — ქალიშვილი საკუთარ მართალია. მისი დაცინვა არც მიფიქრია და დარწმუნებული ვარ, ხვალ, რაზეც არ უნდა ვისაუბროთ, თავისი ჭკუით ყველას მოაჯადოებს.

— ესე იგი, ჩვენთან რჩებით? მოხარული ვარ. პიკეტს ვითამაშებთ. ჩქვენ ჩემი მეტოქეები იქნებით. დისწული თქვენთან დაჯდება და თამაშს ისწავლის.

ღამით, ჩემდა გასაკვირად, მადმუაზელი დე ლა მარი ჩაცმული გამომეცხადა.

— ჯერ ვისაუბროთ და მერე გავიხდი, — მითხრა მან, — პირდაპირ მითხარი: დავთანხმდე ამ ქორწინებას?

— მოგწონს ბატონი *?

— არ მეზიზღება.

— მაშინ დათანხმდი.

— გასაგებია. მშვიდობით. ამ წუთიდან ჩემი სიყვარული მკვდარია. მეგობრებად დავრჩებით. წავალ, ჩემს ოთახში დავიძინებ.

— ხვალიდან ვიმეგობროთ.

— არა. ძალიან ძნელია, მაგრამ რას იზამ. რაკი ცოლად მივყვები, მისი ღირსიც უნდა ვიყო. შეიძლება ბედნიერიც კი გავხდე. გამიშვი, ნუ მიჭერ. შენ იცი, როგორ მიყვარხარ.

— ერთხელ მაინც მაკოცე.

— არა.

— ტირი?

— არა. გამიშვი, ღვთის გულისათვის.

— ჩემო სულისთქმავ, ხომ ვიცი, წახვალ და შენს ოთახში იტირებ. აღარ ვიცი, ლამისაა, გული გამისკდეს. დარჩი, ცოლად შეგირთავ.

— არა, ახლა უკვე აღარ მინდა.

ამ სიტყვებით ხელიდან გამისხლტა, გაიქცა და შერცხვენილი დამტოვა. თვალი ვერ მოვხუჭე. საკუთარი თავი მძულდა. არ ვიცოდი, რა უფრო დიდი დანაშაული იყო: ის, რომ შევაცდინე თუ ის, რომ სხვა კაცს დავუთმე.

მეორე დღეს სადილზე მზესავით ანათებდა. საქმრო მისი ჭკვიანური საუბრით პირდაპირ აღტაცებული იყო და ეტყობოდა, რომ ასეთი განძის ჩუქებისათვის ბედს მადლობას სწირავდა. საუბარში რომ არ ჩავრეულიყავ, ჩვეულებისამებრ კბილის ტკივილი მოვიმიზეზე. წუხანდელი მტანჯველი ღამის შემდეგ ერთთავად დათრგუნული და განადგურებული ვიყავი. მივხვდი, რომ მადმუაზელი დე ლა მ-რი ნამდვილად მიყვარდა, ეშფოთავდი, ვნანობდი და ვეჭვიანობდი. მას არც სიტყვით და არც მზერით არ ვუნუგეშებივარ, და არც გაემტყუნებოდა. მე კი საყვედურის არავითარი უფლება არ მქონდა.

წასადილევს ქალბატონმა ***-მა დისწული და ბატონი * თავის ოთახში მიიწვია. ერთი საათის შემდეგ გამოვიდნენ და დეიდამ მითხრა, საქმე მოსალოცადაა, ჩემი დისწული ერთ კვირაში ამ ღირსეული ბატონის მეუღლე გახდება და იმავე დღეს დიუნკერში გაემგზავრებიანო.

— ხვალ, — დასძინა მან, — ყველანი ბატონ კორნემანთან არიან მიწვეულები და ნიშნობაც იქ შედგება.

მკითხველი თავად მიხვდება, თუ რა დღეში ვიქნებოდი. ბარიზზი დავბრუნდი. მომეჩვენა, რომ ცივ-ცხელება შემეყარა და ლოგინში ჩავწექი, მაგრამ სასურველი შვება არ მეწვია, მწარე სინანულმა ჯოჯოხეთის სატანჯველში ჩამაგდო. მივხვდი, რომ ან ეს ქორწინება უნდა ჩამეშალა, ან სიკვდილისათვის გავმზადებულიყავი. წამოვდექი და სასოწარკვეთით ალსავსე წერილი დავწერე. გული რომ მოვიოხე, დავიძინე, დილით კი წერილი ტირეტას გაეუგზავნე, რათა საიდუმლოდ მადმუაზელ დე ლა მ-რისათვის გადაეცა და ეთქვა, რომ მისი

პასუხის მიღებამდე სახლიდან ფეხს არ გავადგამდი. ოთხი საათის შემდეგ პასუხი მივიღე და გულის ფანცქალით წავიკითხე:

„ძვირფასო მეგობარო, უკვე ყველაფერი გვიანღაა. საღილად ბატონ კერნემანთან მოდით. რამდენიმე კვირაში გაიგებთ, რომ საკუთარ თავზე დიდ გამარჯვებას მივაღწიეთ. ჩვენი სიყვარული მხოლოდ ჩვენს ხსოვნაში დაგვრჩება. გთხოვთ, რომ მეტად აღარ მომწეროთ“.

სიმწრის ფიალა ბოლომდე გამოვცალე. მტკიცე უარმა და მკაცრმა პირობამ მთლად გამაშმაგა. ვირწმუნე, თითქოს მოღალატემ ვაჭარში გამცვალა და მეტოქის მოკვლა გადავწყვიტე. ერთიმეორეზე შავბნელი აზრები სიყვარულითა და ეჭვიანობით დაჯიჯგნილ სულს მიფორიაქებდა. ეს ანგელოზი საძულველ ალქაჯად, ყოველგვარი სასჯელის ღირს ზნედაცემულ დიაცად მესახებოდა. თავში შურისძიების ყოვლად ვერაგული გეგმა მომივიდა და თუმცა იგი მეტისმეტად უზნეოდ ჩავთვალე, შესრულება მაინც უყოყმანოდ გადავწყვიტე: უნდა მოვმეძებნა მისი ქმარი, რომელიც კორნემანთან გაჩერდა, გამემბილა ყველაფერი, რაც ჩემსა და მის საცოლეს შორის მოხდა და თუ ეს არ იკმარებოდა, იმისათვის, რომ ქორწინებაზე უარი ეთქვა, დუელში უნდა გამომეწვია, და თუ არ გამომყვებოდა, მაშინ იქვე უნდა მომეკლა.

ამ საზარელი ჩანაფიქრის გახსენებაზე, ახლაც სირცხვილით ვიწვი, მაგრამ მაშინ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად მეჩვენებოდა. მადიანად ვივახშმე, დავწექი და დილამდე მკვდარივით ვიძინე. აზრი არც დილით შემცვლია. ჩავიცვი, დამბაჩები გავტენე და კორნემანთან მივედი. ჩემს მეტოქეს ჯერ კიდევ ეძინა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ხელგაშლილი შეეგებება, მომეხვია და მითხრა, რომ ჩემს მოსვლას მოუთმენლად ელოდა — თქვენ ჩემი საცოლის მეგობარი ბრძანდებით და მეც ყოველთვის თქვენს მეგობრად მიგულვეთო. ამ პატიოსანი კაცის გულკეთილობამ, ნათელმა სახემ და წრფელმა სიტყვებმა მაშინვე განმაიარაღა. გაოგნებული და ენაჩავარდნილი ვიდექი. საბედნიეროდ თვითონვე მომცა გონს მოსვლის საშუალება — მთელი თხუთმეტი წუთი შეუსვენებლივ ელაპარაკა, კიდრე კორნემანი არ მოვიდა და ყავა არ მოგვართ-

ვეს. როცა ჩემი ლაპარაკის ჯერი დადგა, უკადრისი არაფერი წამომცდენია.

კორნემანის სახლიდან სულ სხვა ადამიანად გამოვედი და ამან ძლიერ გამაოცა. მიხაროდა, რომ ჩანაფიქრი ვერ აღვასრულე და არამზადად და ბოროტმოქმედად არ ვიქეცი. განგების ნებამ გადამარჩინა და ამისათვის უსაზღვროდ მადლიერი ვარ ყავი.

ძმას შევხვდი და მთელი დილა მასთან გავატარე. საღილად ჩილვიასთან წავედით, სადაც შუალამემდე დავყავი. ღმედი მქონდა, რომ მისი ქალიშვილი ქორწილამდე მადმუაზელ დელა მ-რი. დავიწყებას შემაძლებინებდა.

ასეთი სიყვარულის მიუხედავად, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებისადმი ჩემი მიდრეკილება მაინც არ განელებულა. განსაკუთრებით ხარჯები და კომედიის მსახიობები მიზიდავდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ ვალდებულნი იყვნენ ხალხისათვის ეცეკვათ, ემღერათ და ეთამაშნათ, სხვა მხრივ კი სრული თავისუფლება უნდა ჰქონოდათ და ამ თავისუფლებას კიდევაც თავიანთ ჭკუაზე იყენებდნენ: ხან სიყვარულით, ხან ფულით, ხან იმითაც და ამითაც თავიანთ ვნებებს უშურველად აკმაყოფილებდნენ. მათ გარემოში ადვილად გავშინაურდი. თეატრალური ფოიე ის დალოცვილი ადგილია, სადაც ყოველ ადამიანს შეუძლია ინტრიგების ხლართვაში გავარჯიშება. ამ ცხოვრებისეულმა სკოლამ მეც დიდი სარგებლობა მომიტანა. მთავარი იყო, საფულე ყოველთვის გამზადებული მქონოდა, მითუმეტეს, რომ საქმე სრულიად უმნიშვნელო ხარჯებს ეხებოდა, სიამოვნება კი განუზომელი იყო. ყოველთვის ვიცოდი, რომ ამა თუ იმ საშუალებით ჩემსას აუცილებლად მივიღებდი.

სხვებზე უფრო მეტად იტალიური კომედიის მსახიობმა და მოცეკვავემ კამილამ მიმიზიდა, რომელიც ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ ფონტენბლოში შევიყვარე. ქალაქგარეთ სახლი ჰქონდა და იქ თავის საყვარელთან, გრაფ დ.ეგრევილთან ერთად ცხოვრობდა. იგი მდიდარი, თავაზიანი, სიმპატიური მამაკაცი იყო. არაფერი ისე არ ახარებდა, როგორც თავისი საყვარლის მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და თაყვანისმცემლების სტუმრობა. ქალს გრაფი უყვარდა, მაგრამ თუ მასთან ყოფნის სურვილს სხვა მამაკაცს შეამჩნევდა, გულს არც იმას დასწყვეტდა,

ალერსსა და კნებას არავისთვის იშურებდა, მაგრამ არც მთლად ფუჭად არიგებდა, ყველა ახალგაცნობილს თავბრუს ახვევდა და არც მითქმა-მოთქმების გამომწვევ ურთიერთობებსა და არც მუდამ სკანდალურ გაყრებს ერიდებოდა.

თავისი საყვარლის შემდეგ სხვებზე უფრო გრაფ დე ლა ტურ დ,ოვერნიასთან მეგობრობდა. ეს სახელოვანი დიდებული ამ ქალს პირდაპირ აღმერთებდა, მაგრამ არც ისე მდიდარი გახლდათ, რომ მთლიანად დაესაკუთრებინა და იძულებული იყო, სხვის ნასუფრალს დასჯერებოდა. მას ნომერი მეორე შეარქვეს. კამილა მისი გულისათვის ერთ გოგოს ინახავდა, თავის ყოფილ მოახლეს, რომელთანაც გრაფს გარკვეული გრძნობები აახლოვებდა, და შეიძლება ითქვას, საჩუქრადაც უძღვნიდა. გრაფმა გოგის მდიდრული ავეჯით გაწყობილი ოთახი დაუქირავა და ირწმუნებოდა, ეს გოგო მხოლოდ იმიტომ მიყვარს, რომ უძვირფასესი კამილას სახლოვარიაო. კამილას აგარაკზეც ხშირად დაჰყავდა. თხუთმეტი წლის უწყინარი, მიამიტი გოგო თავის საყვარელს ეუბნებოდა, რომ მხოლოდ კამილასთან ღალატს აპატიებდა, რადგან თავის ბედნიერებას მას უმადლოდა.

ეს ვოგო მეც ისე შემიყვარდა, რომ კამილასთან ხშირად მარტო მისი ნახვის იმედით მივდიოდი. რაც შემეძლო თავს ვიკავებდი, მაგრამ იმდენად გამიტაცა, რომ ზოგჯერ გაუძლისი სევდით შეპყრობილს სუფრაც მიმიტოვებია, რადგან ჩემი გრძნობების დაფარვის სხვა საშუალებას ვერ ვპოულობდი. რაიმე რომ შეემჩნიათ, ვიცოდი, სასაცილოდ ამიგდებდნენ, კამილა კი დაუნდობლად გამამასხარებდა. კიდევ კარგი, ერთმა შემთხვევამ ჩემ ტანჯვას ბოლო მოუღო. აი, რა მოხდა:

ერთხელ, როცა ვახშმის შემდეგ სტუმრები იშლებოდნენ, მ..ხური ეტლის მოსაყვანად გავგზავნე. შუაღამე იყო და მან ფიაკრი ვერსად იშოვა. ლა ტურ დ'ოვერნიამ თავისი ორადგილიანი კორვეტით წაყვანა შემომთავაზა.

— ჩემი პატარა მუხლებზე დაგვიჯდება, — თქვა მან.

რა თქმა უნდა, დავეთანხმე და კარეტაში ჩავსხედით. გრაფი ჰარცხნივ მიზის, ბაბეტა — მუხლებზე. გოგოს სურვილით შეპყრობილმა ამ შემთხვევის გამოყენება განვიზრახე და რაკი კარეტა ჩქარა მიდიოდა და დიდი დრო არ მქონდა, დაუ-

ყოვნებლივ ხელზე ხელი მოვკიდე და მოვუჭირე. ისიც მიჭერს. მადლობის ნიშნად მისი ხელი ტუჩებთან მიმაქვს და ვკოცნი, შემდეგ კი ჩემი აღგზნებისა და სურვილის ხარისხში მის ცხადად დასარწმუნებლად ისეთ რამეს ჩავდივარ, რაც უდიდეს სიტკბოებას მანიჭებს, და ამ დროს ლა ტურ დ'ოვერნიას ხმა მესმის:

— დიდი მადლობა, ძვირფასო მეგობარო, თქვენი ხალხისთვის ჩვეული ალერსიანი მოპყრობისათვის. ასეთ პატივს ნამდვილად არ ველოდი. იმედი მაქვს, რომ არაფერი შეგშლიათ.

ამ თავზარდამცემი სიტყვების გაგონებაზე ხელს ვწევ და მისი კამზოლის სახელოს ვეხები. ასეთ დროს სიმშვიდის შენარჩუნება შეუძლებელია, მითუმეტეს, რომ მან გულიანად გადაიხარხარა, ეს კი ნებისმიერ კაცს გააფუჭებს. ხელს ცივად ვუშვებ და ბოდიშის მოსახდელად კი პირში ენას ვერ ვძრავ. ბაბეტა ეკითხება, ასე რამ გაგაბრაზა, გრაფი ახსნას ცდილობს, მაგრამ სიცილისაგან ვგუდება, მე კი დამბლადაცემული ვზივარ და ხმას ვერ ვიღებ, ბედად, კარეტა ჩერდება, ჩემი მსახური კარს აღებს, გადმოვდივარ და, გამოსამშვიდობებელ სიტყვებს ვლუღლუღებ. ლა ტურ დ'ოვერნია თავაზიანად თავს მიკრავს და ისევ გულის წასვლამდე ხარხარებს.

მე კი მხოლოდ ნახევარი საათის შემდეგ გამეღიმა — მართლაც რომ თავშესაქცევი მაგრამ საშიშროებო და ჭკუის სასწავლი შემთხვევა იყო და იმას ვდარდობდი, რომ ამის გამო ათასგვარი დაცინვის გადატანა მომიწევდა.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ გრაფისას საუზმეზე მისვლა გავბედე, რადგან მანამდე ჩემი დაკარგვით გაოცებულმა კამილამ რამდენიმეჯერ მოახლე გამომიგზავნა და ჩემი ჯანმრთელობა მოიკითხა. რა თქმა უნდა, მასთან მისვლაში ათასი ამისთანა ფათერაკიც ხელს ვერ შემიშლიდა, მაგრამ ჯერ ის უნდა გამეგო, ჩემზე რას ლაპარაკობდნენ.

დამინახა თუ არა, ლა ტურმა მაშინვე ხარხარი ატეხა. სიცილით გული რომ იჯერა, ქალიშვილის მანერებით გადამკოცნა. ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად ვთხოვე, რომ ეს სისულელე დაევიწყებინა, რადგან თავს ვერანაირად ვერ ვიმართლებდი.

— რა თავის მართლებაზე ლაპარაკობთ, — მითხრა მან, —

ყველას ძალიან გვიყვარხართ, ეს სასაცილო შემთხვევა კი ჩვენი საღამოების თავშესაქცევი იქნება და მეტი არაფერი.

— ესე იგი, უკვე ყველამ იცის?

— მაგაში ეჭვი გეპარებოდათ? კამილას სიცილისაგან კინაღამ გული შეუღონდა საღამოს მოდით, ბაბეტასაც მოვიყვან. რა სასაცილო გოგოა. მარწმუნებს, რომ არ შეგშლიათ.

— მართალი უთქვამს.

— კარგით ერთი! მაგისთანებით სხვები გააცურეთ. ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იქნებოდა. ერთბაშად არ დაგიჯეროთ! იცე, სწორი ტაქტიკა კი აგირჩევიათ.

საღამოს, სუფრასთან, სწორედ ამ ტაქტიკას ვიცავდი, ლა ტურის ურცხვობას თვალთმაქცურად ვიოცებდი და ყველას ვარწმუნებდი, რომ ამ საჩოთირო მიდრეკილებისაგან უკვე განკურნებული ვიყავი. ბაბეტამ ჩემი განკურნება არ დაიჯერა და ბინძური ღორი მიწოდა. ამ გარემოებამ რატომღაც გოგოზე გული-გამიცივა და ლა ტურ დ'ოვერნიასადმი მეგობრული გრძნობები აღმიძრა.

იმ დღეებში ბბატ დე ლავილისაგან ერთი დავალების შესრულებისათვის ჯილდოდ თორმეტი ათასი ფრანკი მივიღე: კამილამ მითხრა, ლა ტურ დ'ოვერნია წელის ტკივილმა ლოგინში ჩააწვინა და თუ წინაალმდეგი არ იქნები ვინახულოთო. წავედით, და სადილის შემდეგ საკუთარი სერიოზული სახით განვაცხადე, რომ თუ მენდობოდა, აუცილებლად მოვარჩენდი, რამეთუ ტკივილის მიზეზი სხვა არა იყო რა, თუ არა სოველი სული, რომელსაც სოლომონის ბეჭდითა და ხუთი მაგიური სიტყვით მისი ტანიდან გამოვდევნიდი. გრაფმა გადაიხარხარა, მაგრამ მითხრა რაც გინდა ის მიქენიო.

— მაშინ წავალ და ფუნჯს ვიყიდი.

— მსახურს ვავგზავნი.

— არა, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ შეუვაჭრებლადაა ნაყიდი, გარდა ამისა, კიდევ რაღაცრაღაცეები მჭირდება.

ყველაფერი მოვიტანე და გრაფს ვუთხარი, რომ რამდენიმე წვეთი მისი შარდი მჭირდებოდა. მან და კამილამ სიცილი ატეხეს. მაგრამ მე სერიოზული სახით გავუწოდე ჭურჭელი, ფარდა ჩამოვაფარე და გრაფმა ჩემი თხოვნა შეასრულა. ხსნარი შევაზავე და კამილას დავავალე, რომ გრაფისათვის წელი

დაეზილა. მთელი ხუთი წუთი იცინა და ძლივს დამშვიდდა, შემდეგ კი გრაფმა წელი მორჩილად მიუშვირა და კამილაც გულმრდგინედ შეუდგა საქმეს. მე კი რაღაც სიტყვების ბუტ-ბუტს შოვყევი, რომელთა აზრი მე თავადაც არ მესმოდა და ისინი ხომ სულ ვერაფერს გაიგებდნენ.

კამილა ციცილის შეპაკავებლად ისე იმანქებოდა, რომ მის-მა შემბედვარემ საქმე კინაღამ მე თვითონ წავახდინე. როგორც იქნა, გამოვაცხადე, საკმარისია-მეთქი, ფუნჯი ხსნარში ჩავაწე და ლა ტურს ხელის ერთი მოსმით სოლომონის ნიშანი დავა-ხაზე, შემდეგ წელი შევუხვიე და შევპირდი, რომ თუ ერთი დღე და ღამე არ იდგებოდა და საბვევებს არ შეიხსნიდა, უეკ-ველად მორჩებოდა. ვხედავდი, რომ უკვე აღარ იცინოდნენ და ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულნი ჩანდნენ.

ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ, როცა ეს ამბავი უკვე აღარც კი მახსოვდა, დილის რვა საათზე ფანჯარასთან ცხენის ფლოქ-ვების კაკუნი გავიგონე. გავიხედე და ლა ტურ, დ'ოვერნია და-ვინახე. იგი ცხენიდან ჩამოხტა და სახლში შემოვიდა.

— ისეთი თავდაჯერებული ხართ, რომ არც დაგაინტერე-სათ, მიშველა თუ არა თქვენმა სასწაულმოქმედმა ოპერაციამ,— მითხრა და გადამეხვია.

— რა თქმა უნდა, წარმატებაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ დრო რომ მქონოდა, მაინც შემოგივლიდით.

— აბაზანის მიღება თუ შემიძლია?

— არავითარი აბაზანა, ვიდრე სავსებით არ გამოჯანმრთელ-დებით.

— მესმის. თქვენი ხელოვნებით ყველა განცვიფრებულია. ხომ არ შემეძლო, ამ საოცრების ამბავი ნაცნობებისათვის არ მეთქვა. ზოგიერთმა ურწმუნო თომამ სასაცილოდ ამიგდო, მაგ-რამ რაც უნდა ისა თქვან.

— მეტი წინდახედულება უნდა გამოგეჩინათ. პარიზის ამ-ბავი ხომ კარგად მოგეხსენებათ. ახლა შარლატანის სახელი გამივარდება.

— არა, მაგისი ნუ გეშინიათ. მე კი ერთი თხოვნით მოვედი.

— გისმენთ.

— ჩემი მამიდა აბსტრაქტული მეცნიერებების აღიარებუ-ლი მცოდნეა, ამასთანავე — დიდი ქიმიკოსიც. ძალიან მდიდა-

რი და ჭკვიანი ქალია. მასთან ნაცნობობა სარგებლობის მეტს არაფერს მოგიტანთ. თქვენი გაცნობა სურს. ირწმუნება, რომ თქვენს შესახებ ყველაფერი იცის და ის არა ხართ, მთელ პარიზს რომ ჰგონია. დამაფიცა, რომ სადილად მასთან მიგიყვანოთ. იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით. მისი სახელია მარკიზ დ'იურფე.

არ ვიცნობდი, მაგრამ დ'იურფეს გვარმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. XVI საუკუნეში სახელგანთქმული ანა დ'იურფეს ისტორია ვიცოდი. ეს ბანოვანი მისი შვილთაშვილის ქვრივი იყო და ვფიქრობდი, რომ ამ ოჯახის წევრი მეცნიერებათა საიდუმლოებებს ნაზიარები ადამიანი იქნებოდა. ლა ტურ დ'ოვერნიას ვუთხარი, როგორც კი ქალბატონი ისურვებდა, მაშინვე ვეწვეოდი, ოღონდ ჩვენ სამს გარდა მასთან არავინ არ უნდა ყოფილიყო.

— მის სახლში ყოველდღიურად თორმეტი პიროვნება მაინც იყრის თავს, — მიპასუხა გრაფმა, — თქვენ იქ პარიზის ყველაზე ღირსეულ ადამიანებს იხილავთ.

— სწორედ ეს არ მინდა. სასწაულმოქმედის რეპუტაცია, თქვენ რომ გულკეთილობით შემიქმენით, სულაც არ მეპიტნავება.

— პირიქით. ყველას უყვარხართ და პატივს გცემენ. თქვენ ისე მარჯვედ განმკურნეთ, რომ გარწმუნებთ — უზარმაზარი ქონების მოხვეჭა შეგიძლიათ. პარიზში ასამდე წარჩინებულს მაინც ვიცნობ, ვინც თავიანთი ჯანმრთელობისათვის არანაირ ფულს არ დაიშურებენ.

ლა ტური სწორად მსჯელობდა, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ მისი განკურნება მტკნარი სისულელე იყო. ეს შემთხვევით მოხდა. საბელის განთქმისაკენ სრულიადაც არ ვისწრაფოდი. ამიტომ გრაფს დაჟინებით გავუმეორე, რომ ქალბატონს მხოლოდ იმ დროს ვეწვეოდი, როცა სტუმრები არ ეყოლებოდა.

მეორე დღეს მივედით. შუახნის ლამაზი მანდილოსანი რეგენტობის დროინდელი სეფექალებისათვის ჩვეული კეთილშობილური და ნატიფი მანერებით შემეგება. საათნახევარს ათასგვარ რამეზე ვსაუბრობდით და ბოლოს უსიტყვოდ შეეთანხმდით, რომ ერთმანეთის უკეთ გაცნობა გვმართებდა. ნა-

სადილევს ლა ტურ დ'ოვერნია პრინც ტიურენთან შესახვედ-
რად წავიდა და ქალბატონმა დ'იურფემ მაშინვე ქიმიაზე, ალ-
ქიმიაზე, მაგიაზე და სხვა ამისთანა ახირებულ რამეებზე ჩა-
მოაგდო საუბარი. გულუბრყვილოდ ვკითხე, პირველად ნივ-
თიერებას თუ იცნობთ-მეთქი. მხოლოდ ზრდილობის გამო არ
დამცინა და მომხიბველელი ღიმილით მიპასუხა, რომ ფილო-
სოფიურ ქვას ჰფლობდა და ყოველი საიდუმლო შეცნობილი
ჰქონდა. დიდი დ'იურფესა და მისი მეუღლის რენე სავოელი-
საგან მემკვიდრეობით მიღებული ბიბლიოთეკა მაჩვენა. იგი
ასიათას ფრანკად ღირებული ხელნაწერებით შეევსო. პატა-
რა ნუსხაც მანახა, სადაც ფრანგულ ენაზე გასაგები სიტყვე-
ბით იყო აღწერილი დიდი ქმედების არსი. თურმე ჩაკეტილში
იმიტომ არ ინახავდა, რომ დაშიფრული იყო, შიფრის გასაღე-
ბი კი მის გარდა არავინ ეწყოდა.

— მაშ, ქალბატონო, არ გჯერათ, რომ ამისი გაშიფვრის
ხელოვნებაც არსებობს?

— არა, მოწყალეო ხელმწიფევ, და თუ გსურთ, შემიძლია
ასლი გაჩუქოთ.

მადლობა მოვახსენე და ნუსხა ჯიბეში ჩავიდე.

ბიბლიოთეკიდან ლაბორატორიაში გადავინაცვლეთ და იქ
პირდაპირ გამოგონებული რამ ვიხილე: დ'იურფემ მაჩვენა ნივ-
თიერება, რომელიც თხუთმეტი წელიწადია ცეცხლზე ედგა და
კიდევ ოთხ თუ ხუთ წელიწადს ასე უნდა დგმულიყო. ეს იყო
ფსკვნილი რომელიც ნებისმიერ ლითონს თვალის დახამხამება-
ში ოქროდ გარდაქმნიდა. მაჩვენა მილაკი, რომლითაც საკუთა-
რი სიმძიმილის ძალით მოძრავი ნახშირი ცეცხლს თანაბარზო-
მიერად ეწოდებოდა და ღუმელში მუდმივ ტემპერატურას
ინარჩუნებდა, ასე რომ, მარკიზას შეეძლო სამ თვეს ლაბორა-
ტორიაში ფეხი არ შეედგა და ცეცხლის ჩაქრობის არ შინე-
ბოდა. პლატინით "საესე ჭურჭელიც მაჩვენა და მითხრა, რომ
თუკი მოესურვებოდა, შეეძლო, ეს პლატინა ოქროდ ექცია.
კიდევ მრავალი საოცარი რამ მაჩვენა. „დიანას ხეზე" ვუთხა-
რი, მეთანხმებით თუ არა, რომ ეს ყოველივე ბავშვური გასარ-
თობია-მეთქი. მან ღირსეულად მომიგო, რომ იგი ვერცხლის,
სინდიყისა და აზოტის სპირტის ერთმანეთში დაკრისტალებით
შექმნა და ამრიგად წარმოშობილი ლითონური ხე მცირეში

დიადის წარმოდგენით გვიჩვენებს ბუნების შემოქმედებით შესაძლებლობებს. ეს მართლაც თავის გასართობი სათამაშოაო, დასძინა მან, მაგრამ ნამდვილი მზიური ხის შექმნაც შემიძლია, რომელიც, ვიდრე ერთ-ერთი ინგრედიანტი არ გამოილევა, სულ ოქროს ნაყოფს დაისხამსო. ამაზე მორიდებულად ვუპასუხე, რომ ფილოსოფიური ქვის გარეშე ამის მიღწევა შეუძლებლად მიმაჩნდა, ქალბატონმა დ'იურფემ კი პასუხად მხოლოდ ღიმილი გაიმეტა. შემდეგ მაჩვენა ფაიფურის ჯამი, რომელშიც სელიტრა, სინდიყი, გოგირდი და უხსნადი მარილი იყო მოთავსებული.

— ვიმედოვნებ, რომ ეს ინგრედიანტები თქვენთვის ცნობილი იქნება.

— რა თქმა უნდა, — მივუგე მე, — თუ ეს შარდოვანაა.

— გამოიცანით.

— თქვენი გამჭრიახობით აღფრთოვანებული ვარ, ქალბატონო; იმ ამალგამის ანალიზი გააკეთეთ, რომლითაც თქვენი ბიძაშვილის წელზე პენტაგრამა გამოესახე, მაგრამ ვერავითარი სასწაულით ვერ გამოიცნობთ იმ სიტყვებს, რომლებიც მას ძალას ანიჭებს.

— არავითარი სასწაული ამას არ სჭირდება. საკმარისია გადაშალოთ ერთ-ერთი ადეპტის ხელნაწერი, ჩემს ოთახში რომ ინახება, და ნახავთ, რომ ეს სიტყვები იქაა მოცემული.

ლაბორატორიიდან ოთახში დავბრუნდი. მან ზარდახშიდან შავი წიგნი ამოიღო, მაგიდაზე დადო და ფოსფორის ძებნა დაიწყო. ვიდრე ძებნით იყო გართული, მის ზურგსუკან პენტაგრამებით აჭრელებული წიგნი გადავფურცლე და, საბედნიეროდ, იმ პენტაგრამას წავაწყდი, მის ბიძაშვილს წელზე რომ დავახაზე. ირგვლივ პლანეტების სულთა სახელები ეწერა, სატურნისა და მარსის გამოკლებით; წიგნი სასწრაფოდ დავხურე. ამ სულების შესახებ აგრიპასაგან ვიცოდი.

ქალბატონი დ'იურფე დივანზე მოკალათდა, გვერდით მომისვა და მკითხა, გრაფ დე ტრევის თილისმებს თუ იცნობო.

— ეგ არ მსმენია, მაგრამ პოლიფილეს თილისმებს კი ვიცნობ.

ამბობენ, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არისო.

— მეეჭვება.

— ამასაც გავიგებთ, თუ იმ სიტყვებს დაწერთ, პენტაგრამის გამოსახვისას რომ წარმოთქვამდით. თუ იმავე თილისმის გასწვრივ ამ სიტყვებსაც ვიპოვით, ესე იგი, სხვაობა მართლაც არ ყოფილა.

— გეთანხმებით. ეს სარწმუნო მტკიცება იქნება. ახლავე დავწერ.

სულების სახელები ჩამოვწერე. ქალბატონმა საჭირო პენტაგრამა მოძებნა და სახელები წამიკითხა. მე გაკვირვება გამოვხატე და ფურცელი გავუწოდე. რომელზეც იგივე სიტყვები ეწერა.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა მან, — პოლიფილსა და დეტრევს მსგავსი მოძღვრებები აქვთ.

— ქალბატონო, ამას მაშინ დავიჯერებ, თუ მაგ წიგნში ბოროტი სულების გამოცნობის მეთოდსაც ალმოვაჩენთ. პლანეტარული დროის თეორიას თუ იცნობთ?

— მგონი კი, მაგრამ ამ ოპერაციაში არ გამოგვადგება.

— ათგზის ბოდიში! ბატონ დე ლა ტურ დ'ოვერნიას თეძოზე სოლომონის პენტაგრამა ვენერას ჟამს დავხაზე და შელოცვა ამ პლანეტის სულისაგან რომ არ დამეწყო, არაფერი გამომივიდოდა.

— ეს არ ვიცოდი. ვენერას შემდეგ?

— შემდეგ მერკურისაკენ უნდა წახვიდე; მერკურიდან — მთვარისაკენ, მთვარიდან — იუპიტერისაკენ, იუპიტერიდან — მზისაკენ. როგორც ხედავთ, ზოროასტრის მაგიური ციკლი გამოდის. მე მხოლოდ სატურნი და მარსი გამოვტოვე, რომლებსაც მეცნიერება ამ ოპერაციიდან გამორიცხავს.

— ოპერაცია, მაგალითად, მთვარის ჟამს რომ დავიწყოთ?

— მაშინ ისეთ მიმართულებას ავირჩევდი; იუპიტერი — მზე — ვენერა — და ბოლოს — მერკური.

— მოწყალეო ხელმწიფევ, ვხედავ, რომ პლანეტარული დროის თეორიას ზედმიწევნით იცნობთ.

— უამისოდ მაგია შეუძლებელია. ყველაფრის გამოთვლის დრო სად არის, მაგრამ არც ისე ძნელი საქმეა. თუ მოისურვებთ, სათანადო გამოცდილებას ერთ თვეში შეიძენთ. გაცილებით რთულია თვით მოძღვრება, მაგრამ მიუღწეველი არც ეს გახლავთ.

შიმიძლია, ამ თეორიის გაცნობაში დახმარება გთხოვოთ?

— მის შესახებ მშვენიერი წიგნი არსებობს.

— მეც მაქვს, ოღონდ ლათინურად.

— გითარგმნით.

— ასეთ პატივს დამდებთ?

— თქვენ იმდენი რამ მაჩვენეთ, ქალბატონო, რომ ვალდებული ვარ, ეს სამსახური გაგიწიოთ. თანაც საამისო მიზეზიც მაქვს, რასაც, ალბათ, ხვალ მოგახსენებთ.

— რატომ დღეს არა?

— იმიტომ, რომ ჯერ თქვენი სულის სახელი უნდა შევიტყო.

— დარწმუნებული ხართ, რომ სული მყავს?

— თუ ფილოსოფიურ ქვას მართლა ჰფლობთ, აუცილებლად გეყოლებათ.

— დიახ, ვფლობ.

— ორდენის ფიცით დაიფიცეთ.

— ვერ ვბედავ, და თქვენ იცით რატომაც.

— ხვალ შევეცდები, ეშვები გაგიფანტოთ.

ეს იყო როზენკრეიცერის ფიცი, რომლის წარმოთქმა, თუ თანამოსაუბრეში დარწმუნებული არა ხარ სასტიკადაა აკრძალული. ქალბატონ დ'იურფეს ზედმეტი სითამამისა ეშინოდა, მე კი, ჩემის მხრივ, ამ შიშს უფრო ვუღვივებდი. დროის გაწელვა მინდოდა, თორემ ეს ფიცი ჩემთვის ნაცნობი იყო. მა მაკაცებს შეუძლიათ უხერხულობის გარეშე დაიფიცონ, მაგრამ ქალბატონ დ'იურფეს მსგავსი მანდილოსნებისათვის მამაკაცის წინაშე მის წარმოთქმა იოლი საქმე არ გახლავთ, მითუმეტეს, თუ მას ცხოვრებაში პირველად ხვდება.

— ჩვენს წმინდა წერილში, — თქვა მან, —ეს ფიცი გასაიდუმლოებულია. „მან თეძოზე ხელი დაადო და ფიცი წარმოთქვა", — ღაღადებს იგი. მაგრამ ეს თეძო არ არის. ამიტომ მამაკაცი ქალის წინაშე ვერ დაიფიცებს, რადგან ქალს „იგი" არ გააჩნია.

შემდეგ დღეებში ქალბატონმა დ'იურფემ თავისი მრავალრიცხოვანი სტუმრები მაინც გამაცნო. მის სახლში ბევრ ღირს-

სეულ და საინტერესო ადამიანს შევხვდი, მაგრამ ყველაზე საინიმოენო ქალბატონ დე ჟერეისთან ერთად საღილობა იყო. მაგ ახლდა ცნობილი ავანტურისტი გრაფი დე სენ-ჟერმენი, რომელიც სუფრასთან ჭამისათვის დროს არ ჰკარგავდა და შეუსვენებლად ლაპარაკობდა. მე უდიდესი ყურადღებით ვუსმენდი, რადგან მასზე უკეთესი მთხრობელი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია. ცდილობდა თავისი ყოვლისმცოდნეობა დაესტაცებინა და ამტკიცებდა კიდეც; ხალხს გაოცება სურდა და ნაბდვილად აოცებდა. ცოტა ამპარტავნულად კი იქცეოდა, მაგრამ ეს არ მაღიზიანებდა, რადგან განათლებული ადამიანი იყო, ბრავალი ენა იცოდა, ჩინებული ქიმიკოსი და კარგი მეცნიერიც ეახლდათ. ქალების გულს იოლად ინადირებდა, რადგან მათ სანინ კანს გამლამაზებელი ფერუმარილით ამარაგებდა და თანაც ჰპირდებოდა, რომ თუ ახალგაზრდობადაბრუნდელ ხიტურდ ... და სიქორფეს ვერ დაუბრუნებდა, რაც, როგორც ამტკიცებდა, შეუძლებელი რამ იყო, ძალიან ძვირფასი წყლის მეშვეობით ახალგაზრდელ იერს მაინც შეინარჩუნებდა. ამ წყალს საჩუქრად აძლევდა. ეს სულთა და გულით თავლითი უჩვეულო ადამიანი ურცხვად იფიცებდა, რომ სამასი წლის იყო; რომ ყოველგვარი ავადმყოფობა პანაცეას ფლობდა; რომ მისთვის ბუნების საიდუმლოებანი არ არსებობდა; შეეძლო ათი-თორმეტი პატარა ბრილიანტისგან ერთი დიდი წმინდა წყლის ბრილიანტი გაეკეთებინა და რომ ეს მისთვის იოლზე იოლი საქმე იყო. ასეთი წინააღმდეგობებით აღსავსე ტრაბახისა და აშკარა ტყუილების მიუხედავად, ცუდ კაცად არ მიმაჩნდა, მაგრამ არც დიდ პატივს ვცემდი. არადა, მართლა საკვირველი ადამიანი კი იყო. მასზე კიდევ ვისაუბრებთ.

ქალბატონი დ'იურფე სულ უკანასკნელ წვრილმანებამდე შეეგისწავლე. იგი ჩვეულებრივობას ამოფარებულ ჭეშმარიტ ადეპტად მთვლიდა. ეს ქიმერული აზრები ხუთი თუ ექვსი კვირის შემდეგ კიდევ უფრო განუმტკიცდა, როცა მკითხა, დიადი ქმედების ამხსნელი მანუსკრიპტი თუ გაშიფრეთ და ეუპასუხე, კიდეც გავშიფრე და კიდეც წავიკითხე-მეთქი.

— არაფერი ახალი მასში არ აღმომჩენია, —დავსძინე მე.

— მაპატიეთ, მაგრამ უგასალებოდ ეს ყოვლად შეუძლებელია.

— გასაღების წარმოდგენასაც მიბრძანებთ, ქალბატონო?

— დამდეთ პატივი...

წარმოვთქვი სიტყვა, რომელიც არც ერთ ენაზე არაფერს არ ნიშნავდა და განცვიფრებულმა ქალბატონმა მითხრა, რომ ეს უკვე მეტისმეტი იყო, რადგან ეგონა, რომ გასაღები მარტო მან იცოდა, მეხსიერებაში ჰქონდა ჩამარხული და ქაღალდს არაფოდეს ანდობდა.

შემეძლო მეთქვა, რომ გასაღებიც იმავე გაანგარიშებებმა მაპოვნინა, რაც შიფრის ამოხსნაში დამეხმარა, მაგრამ ვუთხარი, სულმა მაუწყა მეთქი. ამ ცრუ აღიარებით ქალბატონი დ'იურფე ხაბოლოოდ დავიმონე. იმ დღეს თავისი სული უყოყმანოდ ჩამაბარა და მე ჩემი ძალაუფლება ბოროტად გამოვიყენე. ყოველთვის, როცა ამას ვახსენებ, მაშინვე სევდა მეუფლება და სირცხვილი მიპყრობს. ახლა ვინანიებ ჩემს საქციელს და თავს ვალდებულად ვთვლი, რომ მემუარებში მხოლოდ სიმართლე ვილაპარაკო. ქალბატონ დ'იურფეს მთავარი შეცდომა ის იყო, რომ სტიქიურ სულებთან ურთიერთობა შესაძლებლად მიაჩნდა. ამის მისაღწევად მთელ თავის ადგილ-მამულებსაც დათმობდა. ცხოვრებაში ათასი ვინმე შეხვედროდა, სწორ გზაზე შედგომის იმედს რომ უსახავდნენ, მაგრამ ბოლოს სუყველა თაღლითი აღმოჩენილა. ჩემი გაცნობით კი ირწმუნა, რომ მიზანს მიაღწია — მე ბომ ჩემი იდუმალი ძალის ისეთი საბუთები წარვუდგინე, რომელშიც ეჭვს ვერ შეიტანდა.

— არ ვიცოდი, თუ თქვენს სულს ჩემი სულის საიდუმლოებათა შეცნობა შეეძლო.

— მას ყოვლის შეცნობა ძალუძს. ასეთი ბუნებისაა.

— ჩემი სულის საიდუმლოებანიც იცის?

— რა თქმა უნდა.

— შეგიძლიათ, რომ ნებისმიერ დროს ჰკითხოთ?

— დიახ, თუ ქაღალდი და ფანქარი მექნა. თუ გნებავთ, უშუალოდ თქვენ დაგაკავშირებთ. მას პარალისი ჰქვია. კითხვა ისე შეადგინეთ, თითქოს უბრალო მოკვდავს მიმართავდეთ. ჰკითხეთ, ვთქვათ, თქვენი მანუსკრიპტის გაშიფვრა როგორ შეეძელი.

სიხარულისაგან ათრთოლებულმა დ'იურფემ შეკითხვა ჩამოაყალიბა, მე კი ციფრებით ჩავიწერე, პირამიდა შევადგინე

და პასუხის ამოხსნაში დავეხმარე. მიღებული ციფრები ერთ-ებად გარდაქმნა და საკუთარი ნათელი პასუხი მიიღო. მის თვალთა წინაშე გაცხადდა სიტყვა, რომელიც მანუსკრიპტის შიფრის გასაღებს წარმოადგენდა.

გამარჯვებული წამოვედი და თან წამოვიღე ქალბატონ დ'იურფეს სული, გული, ჭკუა და გონიერების უკანასკნელი ნარჩენები.

ლა ტურ დ'ოვერნია იმხანად ბრეტანს გახლდათ და მე და ქალბატონი დ'იურფე თითქმის ყოველდღე ორნი ვსადილობდით. იგი მდიდარ კაცად მთვლიდა და ეგონა, რომ ლატარეის საქმეში მხოლოდ თავის შესანიღბავად ვიყავი გარეული. უკვე უყოყმანოდ სწამდა, რომ არა მარტო ფილოსოფიურ ჭკას ვფლობდი, არამედ სტიქიურ სულებთანაც კავშირი მქონდა, ამიტომ საფრანგეთისათვის ბედნიერებისა თუ უბედურების მოტანა შემეძლო, ის კი არა, თუ ვისურვებდი, დედამიწასაც გადავაბრუნებდი. თვითშენიღბვის აუცილებლობას კი იმით ხსნიდა, რომ თავი ციხეში არ ამომეყო: იცოდა, რომ ჩემი მიდრეკილებები სამინისტროში რომ შეეტყოთ, მაშინვე დამაპატიმრებდნენ. ამისთანა სისულელეებს ღამღამობით სული ჩაგონებდა, აღგზნებული ფანტაზია კი მის უყოყმანო დაჯერებას აიძულებდა. ერთხელ განმიცხადა, თითქოს სულმა აუწყა, რომ რამდენადაც ის ქალი იყო, სტიქიურ სულებთან კავშირი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ფიქრობ მე, ჩემთვის ცნობილი ოპერაციის მეშვეობით, შემეძლო, მისი სული მამრობითი სქესის ისეთი ბავშვის სხეულში გადამესახლებინა, რომელიც უკვდავისა და მოკვდავის ფილოსოფიური შეუღლების ან მოკვდავი ქმრის ღვთიურ ცოლთან შეწყვილების შედეგად წარმოიშვებოდა.

მის ამ უგონო ბოდვებს რომ ვაქებდი, სულაც არ ვფიქრობდი, რომ ცუდ საქმეს ჩავდიოდი, რადგანაც თავს თვითონვე იტყუებდა, და მისი გადარწმუნება შეუძლებელი იყო. გულწრფელობა რომ გამომეჩინა და მეთქვა, ეს ყველაფერი სისულელეა-მეთქი, უბრალოდ, არ დამიჯერებდა, და მიტომ გადავწყვიტე, რომ თავის ნებაზე მიმეშვა. განსაკუთრებით ის მომწონდა, რომ უდიდეს როზენკრეიცერად და უძლიერეს ადამიანად მთვლიდა წარჩინებული ბანოვანი, რომელიც

ფრანგ დიდგვაროვანთა ნათესავი და ამასთანავე უმდიდრესი ქალი იყო. კეკდაკდი, რომ საჭიროების შემთხვევაში, არაფერზე უარს არ მეტყოდა და თუმცა მის ქონებაზე თვალი სულაც არ მეჭირა, ამ ძალაუფლებაზე უარისთქმა არასდიდებით არ შეეძლო.

ქალბატონი დ'იურფე საკმაოდ ძუნწი ადამიანი გახლდათ. წელიწადში ოცდაათ ათას ლივრზე მეტს არ ხარჯავდა, ხოლო დანარჩენი ფანატიზოგით, რაც ორჯერ მეტ თანხას შეადგენდა, ბირჟაზე თამაშობდა. ბირჟის ჰაკლერი მისთვის სამეფო პროკურატორან ქალალდებს ყიდულობდა, როცა მათი ფასი ეცემოდა, და ყიდდა, როცა კურსი იწევდა. ამ გზით დიდძალი ქონება შეეძინა. ხშირად მეტყოდა, ოღონდ კი შამაკაცად მაქცია და მთელ ჩემს ქონებას დავთმობდიო, და ეჯერა, რომ ეს ჩემზე იყო დამოკიდებული.

ერთხელ ვუთხარი, რომ ასეთი ოპერაციის განხორციელება, მართლა შემეძლო, მაგრამ ვერასოდეს გავბედავდი, რადგან ამისათვის მისი მოკვლა მომიწევდა.

— ვიცი, — შესძახა მან, — ვიცი თუ როგორი სიკვდილი ზელის და მზადა ვარ მის შესახვედრად.

— და როგორ წარმოგიდგენიათ, ქალბატონო, თქვენი გარდაცვალება?

— მე იგივე წამლით მოვკვდები, რამაც პარაცელსის სული სხეულს განაშორა.

— და თქვენ ფიქრობთ, რომ მისი სული სხვა სხეულში გადასახლდა?

— არა. მაგრამ ვიცი რატომ. ის არც მამაკაცი იყო და არც დედაკაცი. აუცილებელი კია, რომ ან ერთი იყო ან მეორე.

მართალი ბრძანდებით, მაგრამ წამლის შედგენილობას თუ იცნობთ და თუ უწყით, რომ სალამანდრას ჩარევის გარეშე მისი დამზადება შეუძლებელია?

არ ვიცოდი, მაგრამ, ალბათ, მასე იქნება. ჰკითხეთ კაბალას, პარიზში თუ აქვს ვინმეს ეს წამალი.

მაშინვე ვიაზრე, რომ ამ წამლის მფლობელად თავისი თავი მიაჩნდა, საჭირო პასუხი დაუყოვნებლივ შევადგინე და შედეგით დიდი განცვიფრება გამოვხატე. მას სულაც არ გაჰკვირვებია, პირიქით, აღტაცებული დარჩა.

— აი, ხომ ხედავთ, — მითხრა მან, — ახლა მხოლოდ ღვთიური თვალის მატარებელი ბავშვი გვაკლია. ვიცი, რომ ეს თქვენს ძალმოსილებაშია და არ მჯერა, რომ ჩემი დაფხაჭნილი ჩონჩხისადმი სიბრალულის გამო, ამ საქმის აღსასრულებლად ვაქცაობა არ გეყოთ.

ეს რომ მოვისმინე, სანაპიროზე გამოკალი ფანჯრისკენ მიეტრიალდი. კარგა ხანს ასე ვიდექი და მის სიგრძეზე ვფიქრობდი. როცა მაგიდასთან დავბრუნდი, დაკვირვებით შემხედა და შესძახა:

— ამას რას ვხედავ. ჩემო მეგობარო! თვალები ცრემლითა გაქვს სავსე!

მისი გადარწმუნება ალბ დამიწყია. ღამინ. ვეღე და წამოვედი. ქალბატონის კარეტა შუადამ ჩემს განკარგულებაში იყო და ახლაც კარიბჭესთან მელოდა.

ჩემი ძმა აკადემიაში ერთხმად მიიღეს — გამოფენაზე მისმა ბატალურმა ტილომ დიდი მოწონება დიმსახურა. კორალინა შეუყვარდა და ცოლადაც შეირთავდა. ქალს რომ არ ეღალატნა. შეურაცხყოფილი ჩემი ძმა ერთ კვირაში კორდეპალეტის მოცეკვავეზე დაქორწინდა.

ქორწილში ბატონმა კორნე

მეორე დღეს ჰაეაგაში ჩავედი. საქმეს დიდი გულმოდგინებით შევუდექი და რამდენიმე დღეში წარმატებით დავასრულე...

თებერვლის ათში პარიზში დაბრუნდი.

ვერსალში მისვლამდე ქალბატონი დ'იურფე ვინახულე. სიხარულით მომეგება.

— სულმა მაუწყა, რომ დღეს აუცილებლად განახავდით. გუშინ კორნემანმა მითხრა, რომ ჰოლანდიაში სასწაული მოგიხდენიათ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ოცი მილიონის მოგება წინასწარვე გამოთვლილი გქონდათ. საფონდო ღირებულებათა ფასმა აიწია. მომავალ კვირას ბრუნვაში სულ ცოტა ასი მილიონი მაინც იქნება. მომილოცავს!

მსახურს უბრძანა, რომ არავინ შემოეშვა და საუბარი დავიწყეთ. სიხარულისაგან აკანკალდა, როცა სხვათა შორის ვუთხარი, რომ თხუთმეტი წლის ბიჭი ჩამოეუყვანე და პარიზის პანსიონში დაბინავებას ვუპირებდი.

— ვიარუში მოვათავსებ, ჩემს დისწულთან ერთად, — მითხრა მან, — რა ჰქვია? სად არის? ვიცი ვინც არის ეს ბიჭი. მის ნახვამდე ერთი სული მაქვს. ჩემთან რატომ არ მოიყვანეთ?

— ზეგ წარმოგიდგენთ. ხვალ ვერსალში უნდა ვიყო.

— ფრანგული თუ იცის? ვიდრე პანსიონში საქმეებს მოვაგვარებდე, ჩემთან იცხოვროს.

— ამაზე ზეგ მოვილაპარაკოთ.

დილით ადრე ვერსალში მივედი. ჰერცოგმა შუაზელმა წარმატება ცივად მომილოცა და მითხრა, რომ თუ ასი მილიონი ფლორინის ოთხპროცენტიანი სესხის აღებას მოვახერხებდი, თავადობას მომცემდნენ. მოვიფიქრებ-მეთქი, ვუპასუხე:

— ამბობენ, რომ ორასი ათასი ფლორინი მოიგეთ.

— მე საკომისიოს უფლება მქონდა.

— კარგი, წადით და გენერალ-კონტროლიორს აუხსენით.

ბატონმა დე ბულონმა გულთბილად მიმიღო, მაგრამ როცა ვუთხარი, რომ ჩემი ასი ათასი ფლორინი მართებდა, მხოლოდ გაიღიმა.

— ვიცი, რომ ასი ათასი ეკიუს თამასუქი ჩამოიტანეთ.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამას საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს. შეგიძლიათ შეამოწმოთ. მე მაქვს პრო-

ექტი, თუ როგორ უნდა გავზარდო სამეფო ხაზინის შემოსავალი ისე, რომ არავინ უკმაყოფილო არ დარჩეს.

— განახორციელეთ იგი და გპირდებით, რომ ხელმწიფე ასი ათასის ფრანკის პენსიას და თავადის სიგელს გიწყალობებთ, თუ საფრანგეთის ქვეშევრდომობას მიიღებთ.

მცირე პალატისაკენ გავემართე, სადაც მარკიზ დე ბომპადური ბალეტის რეპეტიციას გადიოდა. მომესალმა და მითხრა, რომ „ყოჩაღი ნეგოციანტი ვიყავი, რომელიც ამ მხარის ბატონებმა სათანადოდ ვერ დააფასეს. მას არ დავიწყებია, რაც რვა წლის წინათ ფონტებლოში ვუთხარი. ამაზე მივუგე, რომ ყოველი სიკეთე ცენტრიდან მომდინარეობდა და თუ მისი მხარდაჭერა მექნებოდა, შევეცდებოდი იქამდეც მიმეღწია.

ქალბატონ დ'იურფესთან რომ მივედი, ჩემი ბიჭი გულში ჰყავდა ჩახუტებული. ბოდიში მომიხადა, უთქვენოდ მოვიტაცეო, მაგრამ ყველაფერი ხუმრობაში ვავატარე. ბიჭს ვუთხარი, რომ ქალბატონს მთელი გულით მინდობოდა და საკუთარ დედასავით მოპყრობოდა. ქალმა მიამბო, რომ ბიჭი თავის ლოგინში ჩაუწვენია, მაგრამ იძულებული გამხდარა, მეორედ ასეთ სიამოვნებაზე უარი ეთქვა, რადგან ყმაწვილი სანიმუშოდ ვერ მოქცეულა. ბიჭი გაწითლდა და მთხოვა, ამიხსენით რა დავაშავეო.

წამოსვლისას ქალბატონ დ'იურფეს ვუთხარი, რომ შესაძლოა მის სულს აღორძინება სწორედ ამ ბიჭის სხეულში ეწერა, მაგრამ თუ მის დავაჟკაცებას არ დაელოდებოდა, ყველაფერს გააფუჭებდა.

მან ბიჭი ვიარუს მონასტერში დააბინავა, ყოველგვარი მასწავლებლები დაუქირავა და გრაფი არანდაიუ შეარქვა, თუმცა ყმაწვილი ბარვიტში იყო დაბადებული და ასეთი გვარის ესპანელი თვალითაც არ ენახა.

ერთ დღეს ტირეტა მეწვია და მითხრა, რომ ქალბატონმა ***-მა მისი ცოლობა გადაწყვიტა, რასაც იგი ცოცხალი თავით არ დასთანხმდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ საცოლე მთელ თავის ქონებას ჰპირდებოდა.

ქალაქგარეთ შესანიშნავი აგარაკი დავიქირავე ბრწყინვალედ იყო მოწყობილი: ორი ბაღი, სამი საწოლი ოთახი, აბანოები, საჯინიბო და ყოველგვარი ჭურჭლით სავსე უშველე-

ბელი სამსარეულო ჰქონდა. ერთი კვირის შემდეგ შევიძინე კეთილი ჭეტლე, ორი ეკიპაჟი, ხუთი ცხენი, ჭეჯინიბეები, ხუთი ლაქია. პირველად ქალბატონი დ'იურფე მეწვია და პირდაპირ მოჯადოებული დარჩა. დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველაფერი მისი გულისათვის გავაკეთე. და არც გადამირწმუნებია. არც იმას უარვყოფდი, რომ ჭაბუკი არანდაიუ დიად ორდენს ეკუთვნოდა, რომ მისი დაბადების გარემოება ყველასათვის საიდუმლო იყო, რომ მხოლოდ დროებით ვიყავი მისი მეურვე, და რომ თვით ქალბატონი მალე მოკვდებოდა და სიცოცხლეს სხვა სახით გააგრძელებდა. მარწმუნებდა, რომ ამ საიდუმლოებებს ღამღამობით ული უმხელდა, სახლში წავიყვანე და ნეტარების მწვერვალზე დავტოვე.

მოკლედ, იმხანად ჩემი საქმეები ბრწყინვალედ მიდიოდა. ასეთი საამური ცხოვრების შესანარჩუნებლად ასი ათასი ლივრის რენტა მჭირდებოდა და ხშირად ვიმტვრევდი თავს იმაზე ფიქრით, თუ როგორ განმეტკიცებინა ჩემი მდგომარეობა. პროექტორმა, რომელიც კალსაბიჯისთან გავიცანი, იმიხსნა, რა ზღაპრული სიმდიდრის მოტანა შეეძლო აბრეშუმის მანუფაქტურებს და რა წარმატებებს მიაღწევდა შეძლებული კაცი, თუ ამ საქმეს ხელს მოჰკიდებდა. მან დამარწმუნა, რომ ჩვენი აბრეშუმი ჩინურს არაფრით ჩამოუვარდებოდა, საღებავები უკეთესიც კი გვქონდა, ხოლო აქაური მხატვრები აზიელებს ჯიბეში ჩაისვამდნენ. თუ ქსოვილს ჩინურზე იაფად გავყიდდი, მთელი ევროპა დაიტაცებდა, მწარმოებელი კი, სიიაფის მიუხედავად, ასპროცენტიან მოგებას მიიღებდა.

მანუფაქტურის მეპატრონედ გახდომის იდეამ ერთბაშად გამიტაცა. წელიწადში ათას ეკიუდ ქალაქგარეთ დიდი სახლი დავიქირავე, აუცილებელი მოწყობილობა და ნედლეული შევიძინე, მუშაკი ქალები დავიქირავე და მოკლე დროში წარმოება ავაწყვე. მთელი ჩემი ქონება ამ საქმეში ჩავდე.

რა თქმა უნდა, კარგად მესმოდა, რომ თუ გასაღების საქმე არ გამიმართლებდა, მალე გავკოტრდებოდი, მაგრამ ამისი რატომ უნდა მშინებოდა? საუცხოო ქსოვილი მქონდა და რატომ ვერ უნდა გაყიდულიყო? განსაკუთრებით მახარებდა — არადა უნდა შევეშინებინე — თვრამეტი — ოცი წლის ქალიშვილების ყურება, მუშაკებად რომ ავიყვანე: ერთიმეორეზე

ლამაზი და წესიერი გოგოები იყვნენ, მაგრამ. მანონ ბალეტი მრისხანებისაგან აცახცახდა, როცა ჩემი ჰარამხანა დაათვალიერა. დიდხანს მებუტბუტებოდა, თუმცა იცოდა, რომ საღამოობით ყველანი თავთავიანთ სახლებში მიდიოდნენ. ეჭვიანობითა და სამართლიანი საყვედურებით გული გამიწვრილა — ვერ გაეგო, თუ მართლა მიყვარდა, ამდენ ხანს ცოლად რატომ არ ვირთავდი. მატყუებო, მეუბნებოდა. იმ ხანებში დედამისი გარდაიცვალა. აღსასრულამდე ათი წუთით ადრე თავისი ქალიშვილი ჩამბარა. გულწრფელად შეეფიცე, რომ ცოლად შევირთავდი, მაგრამ, როგორც იტყვიან, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

იმ ხანებში მძიმე ავადმყოფობამ ტირეტას საყვარელიც იმ ცვეყნის გზას გაუყენა. ჩემი მეგობარი კი ბედის საძებნელად ინდოეთს გაემგზავრა.

ნოემბრის დამდეგს მანუფაქტურაში ჰერცოგ დ'ელფებეს სასახლის კარის მსახური მოვიდა და თავისი ქალიშვილი მოიყვანა, რათა მისი საქორწილო კაბისათვის ქსოვილი შეერჩია. გოგოს სილამაზემ დამატყვევა. მან ბრწყინვალე ატლასის საკაბეს დაადგა თვალი და შეეგნიშნე, როგორ მოეფონა გულზე, როცა მამას ფასი არ ეძვირა. მაგრამ როცა გაიგო, მთელი თოფი ქსოვილი ერთბაშად უნდა ეყიდა, ისე დამწუხრდა, რომ გული მეტკინა. კაბინეტში გავიქეცი, რათა მისი სიბრალულით წესიდან გამონაკლისი არ დამეშვა, და არაფერიც არ მოხდებოდა, გოგო რომ არ შემომჩენოდა. ტირილით შემოვიდა და მიუკიბავ-მოუკიბავად განმიცხადა, რომ მე მდიდარი ვიყავი და შემეძლო მთელი ქსოვილი შენეძინა, მისთვის კი ერთი საკაბე დამეთმო. პირდაპირობას ვაფასებ-მეთქი, ვუთხარი და განკარგულება გავეცი, ერთი კაბისათვის საჭირო ქსოვილი ჩამოეკრათ. ქალიშვილმა მხურვალედ გადამკოცნა და საბოლოოდ მომაჯადოვა, მამა კი სიცილისაგან იგუდებოდა. ქსოვილის ფული გადაიხადა და ქორწილში დამპატიჟა.

ვეწვიე, მაგრამ ჭამა ჩემთვის არ არსებობდა და გართობა — მთელი საღამო პატარძალს მივჩერებოდი! თაწაც უცხო საზოგადოებაში თავს ნაპირზე ამოგდებული თევზივით ვგრძნობდი. ქორწილში მხოლოდ ჰერცოგის მსახურები და მათი ოჯახის წევრები იყვნენ. კაცშვილს არ ვიცნობდი, კა-

ცოცავილი არ მიცნობდა. გამოლენჩებული ვიჯექი და რა მექნა არ ვიცოდი. ყველანი პატარძალს ულოცავდნენ, ია მადლობას იხდიდა, თუ ვინმე მის ნათქვამს ვერ გაიგონებდა, სიცილით კვდებოდა. გაძვალტყავებული და დაღვრემილი სასიძო საზოგადოების მხიარულებაში არ მონაწილეობდა, თუმცა ხანდახან თავისი საცოლის საქცელით აღტაცებას მაინც ვერ მალავდა. აშკარად ეტყობოდა, რომ სიყვარულით კი არა, ანგარიშით ქორწინდებოდა. გადავწყვიტე ქალისათვის მეკითხა და ამის შემთხვევაც მალე მომეცა — კონტრდანსის შემდეგ გვერდით მომისკუპდა და მადლობის სიტყვები დამაფრქვია, რადგანაც მისი ლამაზი კაბა ყველას ძალზე მოსწონებოდა.

— მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მის გახდამდე ერთი სული გაქვთ. მე კარგად ვიცი, ვინ არის სიყვარული.

— უცნაურია. ყველანი სიყვარულზე მელაპარაკებიან, ეს ბარო კი სულ ერთი კვირის წინ გავიცანი. მანამდე მისი არსებობაც არ ვიცოდი.

— კი მაგრამ, ასე სასწრაფოდ რატომ გათხოვებენ?

— მამაჩემი ყველაფერს სწრაფად აკეთებს.

— თქვენი ქმარი, ალბათ, მდიდარი კაცია.

— არა, მაგრამ გამდიდრება შეუძლია. ზეგ ფარდული უნდა გავხსნათ. აბრეშუმის წინდებით ვივაჭრებთ. იმედი მაქვს, რომ ჩვენი კლიენტი გახდებით.

— მაგ მხრივ მშვიდად ბრძანდებოდეთ. გპირდებით, რომ სიფთაზე გეახლებით, თუნდაც ამისათვის თქვენი ფარდულის კართან ღამის გათევა მომიხდეს.

მან გაიცინა, ქმარს დაუძახა და ჩემი ნათქვამი ახარა. სიამოვნებისაგან გაბადრული კაცი მადლობად დაიღვარა, ცოლს უთხრა, ასეთი ადამიანის ფეხი უსათუოდ დიდ ბედნიერებას მოგვიტანსო, და მარწმუნებდა, რომ მის წინდებს თვალი არ ჩაუვარდებოდა.

სამშაბათს უთენია ჩავსაფრდი პრევერის ქუჩაზე და გაღებისთანავე ფარდულს მივაშურე. გახარებული ბარე შემომეგება, საქონელი დახლზე გამიშალა, სათითაოდ მაჩვენა ჟილეტები, ხელთათმანები, საცვლები, წინდები. ამასობაში ვარკვიეთ მლუარი, ქათქათა და გაფუებული ცოლიც ჩამოვიდა,

მომიბოდიშა, რომ ჩაუცმელი იყო და სიტყვის შესრულებისათვის მადლობა გადამიხადა.

ჩვიდმეტი წლისა იქნებოდა. თუმცა კალმით ნახატი არ ეთქმოდა, მაგრამ მხოლოდ რაფაელი თუ შესძლებდა იმ იდუმალი მშვენიერების ტილოზე გამოსახვას, სიყვარულისათვის გაჩენილ გულს სილამაზეზე მეტად რომ აღაგზნებს. მისი თვალები, სიცილი, ოდნავ გაპობილი ბაგე, მომხიბვლელი სინაზე, ბუნებრივი სიმკვირცხლე, სისადავე და უსაზღვრო ხიბლი, რომელიც, ეტყობოდა, შეგნებული არც კი ჰქონდა, სიახლს მიჩქროლებდა და გრძნობებს მიფორიაქებდა. აღტაცებული შევცქეროდი ბუნების ამ ჭეშმარიტ შედევრს, რომლის მფლობელად შემთხვევითობამ თუ სულმდაბალმა ანგარიშიანობამ ეს უბადრუკი, უნიათო, უსულგულო კაცი აქცია, რომელსაც თავისი წინდები უფრო აინტერესებდა, ვიდრე ღვთისაგან ბოძებული ეს უძვირფასესი განძი.

ოცი ლუიდორის წინდები და ჟილეტები შევარჩიე და შევნიშნე, რომ მშვენიერ მეგალანტერეე ქალს სიამოვნებისაგან სახე შეეფაკლა. მსახურს ექვსი ფრანკი მივეცი და ვთხოვე, რომ ნავაჭრი სახლში მიეტანა. ყურებამდე შეყვარებული წამოვედი, მაგრამ არავითარი გეგმა არ შემიდგენია. პირდაპირ ქორწილის შემდეგ ეს არც თუ იოლ საქმედ მეჩვენებოდა.

ამის შემდეგ მის ფარდულს ყოველ დღე კარეტით ჩავუვლიდი და ქალს ჰაეროვან კოცნებს ვუგზავნიდი.

ერთხელ ახალი ხიდის მხრიდან მომავალი დამინახა და ხელი დამიქნია. ფარდულში შევედი. ქმარმა მითხრა, მინდა, სხვადასხვა ფერის შარვლები გაჩვენოთ, ახლახან რომ მივიღეო. სამი-ოთხი წყვილი ჩემი ზომის შარვალი შევუკვეთე, ყოველნაირი ზომა გვაქვსო, მახარა, მოსაზომებლად ხელოვანს ასვლა მთხოვა და დასახმარებლად ცოლი გამომაყოლა.

გადამწყვეტი მომენტი დადგა. ზევით ავდივართ. ქალი უკან მომყვება. ბოდიშს ვუხდი, რომ უნდა გავიხადო.. მპასუხობს სიამოვნებით დაგეხმარებით, ვითომ თქვენი მსახური ვარო. ვეთანხმები, ფეხსაცმლის ბალთას ვიხსნი და ქალს უფლებას ვაძლევ, შარვლის ტოტები დამჭაჩოს და ტანთ გამხადოს. თან ძალიან ვფრთხილობ, რომ შარვალს საცვალიც არ მიჰყვეს. თავისი ხელით მაზომებდა, თუ არ მომერგებოდა, მხდიდა და ამას

ყველაფერს თავდაჭერილად, წესიერების ფარგლებში აკეთებდა. მთელი ამ საამური პროცედურის განმავლობაში მეც ზოპიერების დაცვას ვცდილობდი. ოთხი წყვილი ამირჩია და ოქვსმეტი ლუიდორი მთხოვა. ფული ჩავუთვალე და ვუთხარი, რომ როცა შესძლებდა, ნავაჭრი ჩემთან მოეტანა. კიბე ჩაირბინა და ეს ამბავი ქმარს ახარა. ქვევით რომ ჩავედი, კაცმა მითხრა, რომ უახლოეს კვირა დღეს ცოლთან ერთად მოვიდოდა და ნავაჭრს მომიტანდა. მე ვუთხარი, უფრო გამიხარდებოდა, თუ სადილზეც დარჩებოდნენ. ამიხსნა, რომ ორ საათზე კადაედებელი საქმე ჰქონდა, ამიტომ მოწვევას მხოლოდ იმ პირობით მიიღებდა, თუ ამ დროისათვის გავუშვებდი, ხუთ საათზე კი ცოლს წასაყვანად შოაკითხავდა. ჩემდა გასახარად, ასევე შევთანხმდით.

კვირას მოვიდნენ. გემრიელმა საჭმელმა და საუკეთესო ღვინომ მეუღლეები ძალიან გაახალისა და ქმარმა ცოლს უთხრა, თუ დამიგვიანდეს, შინ მარტო წამოდიო.

— ექვსი საათისათვის მე მოვიყვან, — შევთავაზე მე.

გადაწყდა, რომ საღამოს სახლში დაელოდებოდა. კაცი წავიდა. ეჭვიანობდ კმაყოფილი იყო იმით, რომ კართან ეტლი დახვდა, რომლის ეთელი დღის ქირა წინასწარ გადავიხადე. და აი, საღამომდე სანუკვარი განძის მფლობელი აღმოვჩნდი.

როგორც კი ქმარმა ზღურბლს გადააბიჯა, ცოლს მივულოცე. რომ ასეთი თვინიერი მეუღლე ჰყავდა.

— შესანიშნავი ხასიათის კაცია, ალბათ, მასთან ძალიან ბედნიერი ხართ.

— ბედნიერი? თქვენს პირს შაქარი... ხასიათს ვერ დაეემდურები, მაგრამ ისეთი სუსტი ჯანმრთელობა აქვს, რომ ავადმყოფივით მოელა სჭირდება. თანაც ეს ვალები... ყველაფერში ეკონომია... ოცდაოთხი სუ რომ დაგვეზოგა, აქამდე ფეხით მოვედით. ვალები რომ არ გვაღრ ობდეს, ვაჭრობის შემოსავალი როგორმე გვეყოფოდა, მაგრამ ახლა სული ძლივს გაგაქვს. ცოტას ვყიდით.

— კი მაგრამ, როცა არ უნდა ჩავიარო, ფარდულში ხალხი ბუზივით ირევა.

— ისინი მყიდველები კი არა, უსაქმურები არიან. ყბედები და გარყვნილები. უხამსობებით გულს მიღონებენ. ჯიბეში

გროში არ უჭყავით და გაფაციცებულები ვართ, რომ რაიმე არ აგვწაპნონ. შაბათს ექვსასი ფრანკი უნდა გავისტუმროთ, ჩვენ კი ორასიც ძლივს გაგვაჩნია.

— უცხაურია, რომ ასე მალე გაგიჭირდათ. თქვენს მშობლებს ამაზე წინასწარ უნდა ეფიქრათ. გარდა ამისა, არ შეიძლება რაიმე მზითევი არ გამოეტანებინათ.

— ჩემი მზითევი 600 ათასი ფრანკი იყო, აქედან 400 ათასი — ნაღდი. ამ ფულით ჩემმა ქმარმა ფარდული გახსნა და ვალები გაისტუმრა. ვალზე სამჯერ მეტი საქონელი გვაქვს, მაგრამ უბრუნავი კაპიტალი რის მაქნისია?

— თქვენმა ნათქვამმა ძალიან დამამშუხრა. თუ ზავი არ ჩამოვარდა, ვშიშობ, რომ დღითიდღე უფრო გაგიჭირდებათ. საზრუნავებიც მოგემატებათ.

— დიახ, ჩემი ქმარი რომ გამოჯანსაღდება, შეიძლება შეილიც გვეყოლოს.

— როგორ!? არ მითხრათ, რომ ცუდი ჯანმრთელობის გამო ქმრის მოვალეობას ვერ ასრულებს!

— სწორედ მასეა, მაგრამ ეს ნაკლებად მაწუხებს.

— არ მესმის, თქვენს გვერდით მყოფი მამაკაცი, თუ მთლად სიკვდილის პირას არაა, ამას როგორ ვერ ახერხებს.

— სიკვდილის პირას არ არის, მაგრამ არც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობა.

ამ სიტყვებმა გამაცინა და აღტაცებული მოკეხვივ. ოდნავი წინააღმდეგობაც არ გაუწევია. გავაგზავნეთ, შევპირდი, რომ შაბათს მისატანი ვალის გადახდაში დავეხმარებოდი, და ბუდუარში გავიყვანე, სადაც ამ სასიყვარულო ინტრიგის კვანძის გასახსნელად ყველაფერი გამზადებული იყო.

თავდაპირველად კინაღამ ჭკუიდან შემშალა, რადგან არც ალერსსა და არც ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებაში ხელი არ შეუშლია, შემდეგ კი, ჩემდა გასაოცრად, ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ ბედნიერი დასასრულის იმედი გადამეწურა.

— როგორ, — აღვშფოთდი მე, — ნუთუ უარს მეუბნებით მაშინ, როცა თქვენს თვალებში ჩემი გრძნობების გაზიარების სურვილი ამოვიკითხე?

— ჩემს თვალებს არ მოუტყუებიხართ, მაგრამ რას იტყ-

ვის ჩემი ქმარი, როცა მიხვდება, რომ მისი ცოლი დღეს ისეთი არ არის, როგორიც გუშინ იყო?

ჩემი გაკვირვება და უნდობლობა რომ დაინახა, ნება მომცა, რომ მისი ნათქვამის სიმართლე შემეშოწმებინა.

— განა უფლება მაქვს, რომ პირველად მე მოვწყვიტო ის ნაყოფი, კანონიერ ქმარს რომ ოდნავადაც არ უგემნია?

— არა, ჩემო საყვარელო, არა გაქვს და ძალიანაც ვწუხვარ. იცოდე, რომ ჩემი ღმერთი ხარ. მოდი, ჩამეხვიე და ნურაფრის შეგეშინდება. ვცადოთ, რომ ნაყოფი ხელუხლებელი დარჩეს. მაგრამ ეს ხომ წარმოუდგენელია!

სამი საათი სანეტარო სიგიჟეში გავატარეთ, რამაც ჩვენი სურვილები მთლად გაახვლა. ქალმა შემომფიცა, რომ შეეცდებოდა ქმარი თავის ჯანმრთელობასა და უნარში დაერწმუნებინა და როგორც კი ამას მიაღწევდა, მაშინვე ჩემი გახდებოდა. მეტის მიღწევა ვეღარ შევძელი. ბაღში გასეირნების შემდეგ სახლამდე მივაცილე და ხელში ოცდახუთი ოქრო ჩაეედე.

თავდავიწყებით შემიყვარდა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ მეჩვენებოდა, რომ ასე ჯერ არავინ მყვარებია. დღეში სამჯერ თუ ოთხჯერ მის ფარდულს კარეტით ჩავუვლიდი და ყურადღებას არ ვაქცევდი მეეტლეს, რომელიც სულ ბუზღუნებდა, ასეთი ხვეულები ცხენებს საბოლოოდ გაასავათებსო. მომწონდა, ქალი კარეტის გამოჩენას რომ ელოდებოდა და შორიდან ჰაეროვან კოცნებს მიგზავნიდა. შევთანხმდით, რომ გაჩერების ნიშანს მაშინვე მომცემდა, როგორც კი ქმარი ჩვენი ბედნიერების წინაშე აღმართულ ზღუდეს მოშლიდა და ამით მოქმედების სრულ თავისუფლებას მოგვანიჭებდა. ნანატრი დღეც ბალე დადგა. მის ნიშანზე გავჩერდი. კარეტის საფეხურზე შეჰოდგა და მიბრძანა, რომ სენ-ჟერმენ-ლ'ოკსერუას ეკლესიაში დავლოდებოდი. ცნობისწადილით შეპყრობილი ეკლესიისაკენ გავექანე. რამდენიმე წუთში ისიც მოვიდა, კარეტაში ჩამიჯდა და სამართლის სასახლის სავაჭრო რიგებში მიყვანა მთხოვა. რაღაცის ყიდვა უნდოდა. მეეტლეს დოფინის მოედნისაკენ წასვლა ვუბრძანე. მშვიდობით, ჩემო საფულევ! მაგრამ რა უნდა მეჭნა! სიყვარულისათვის ნებისმიერი მსხვერპლი უნდა გამეღო.

არც ერთი სავაჭრო ფარდული არ გამოუტოვებია. მარიფათიანი ვაჭრების შემოთავაზებულ ძვირფას ნივთებს, სამოსსა და სამკაულებს თვალს ვერ სწყვეტდა, შიგადაშიგ სინანულით შემომხედავდა, აქაოდა მართლაც საუცხოო რამაა, მაგრამ ძალიან ძვირი ღირსო. მე კი მის ანკესზეს სიამოვნებით ვეგებოდი და ვარწმუნებდი, რომ არ შეიძლებოდა, ძალიან ძვირი ყოფილიყო ის, რაც მას მოსწონდა.

ერთი სიტყვით, ოცი ლუიდორი გავანიავე და ეკლესიაში დავბრუნდით. გზაში მითხრა, რომ შეიძლება ხუთი-ექვსი დღე ჩემს აგარაკზე გაეტარებინა და ამას თვით მისი მეუღლე მთხოვდა.

— როდის?

— ალბათ, ხვალ. წინდებისათვის შემოიარეთ. მე თავის ტკივილების გამო ლოგინში დაგხვდებით, ჩემი ქმარი კი მოგეთათბირებათ.

მივედი და ქალი რომ ვერ დავინახე, ვიკითხე, სად არის, რამე ხომ არ მოუვიდა-მეთქი. ქმარმა მიპასუხა, რომ ცოლი შეუძლოდ ჰყავდა, ლოგინში იწვა და ურიგო არ იქნებოდა, თუ რამდენიმე დღეს სოფლად სუფთა ჰაერზე გაატარებდა. მე ჩემი აგარაკი შევთავაზე. მას სახეზე კმაყოფილების ღიმილი გამოეხატა.

— ძალიან გთხოვთ, პატივი დამდოთ და მეწვიოთ, — ვუთხარი მე, — ახლა კი ეს წინდები შემიხვიეთ.

ზევით ავედი. ქალი ლოგინში იწვა და მოგონილი შაკიკის მუხედავად მშვენიერ გუნებაზე იყო. ვუთხარი, რომ ყველაფერი კარგად-აეწყო. ქმარიც შემოვიდა და მოახსენა, რომ კიდევ ერთ სიკეთეს ვშვრებოდი და ავადმყოფს რამდენიმე დღით ჩემს აგარაკზე დასასვენებლად ვიწვევდი. ქალმა მადლობა გადამიხადა და თქვა, დარწმუნებული ვარ, რომ სუფთა ჰაერი ძალიან შომიხდებაო. მე ბოდიში მოვიხადე, რომ გადაუდებელი საქმეების გამო მათთან ერთად ვერ ვიქნებოდი, მაგრამ ეს გარემოება მათ არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნიდა. დიდი განსჯის შემდეგ ბარემ გადაწყვიტა, რომ ცოლის მოსავლელად თავის დას ჩამოიყვანდა. ორი დღის შემდეგ, შუადღისას შინ რომ დავბრუნდი მზარეულმა მომახსენა, რომ მეუღლეებმა გემრიელად ისადილეს და დასასვენებლად წავიდნენ. გავაფრ-

თხილე, ამიერიდან ყოველ დღე შინ ვისადილებ და არავინ უნდა იცოდეს, რომ სახლში ვარ-მეთქი.

დილით შევიტყვე, რომ ბარე ადრიანად წასულიყო, ცოლს კი ჯერაც ეძინა. მაშინვე მივაშურე და ერთმანეთს მივულოცეთ, რომ ბოლოსდაბოლოს ხელის შემშლელი არავინ გვყავდა. ვისაუზმეთ, შემდეგ კარი ჩავკეტეთ და ნეტარების მორევში გადავეშვით.

გაოცებით აღმოვაჩინე, რომ წინა შეხვედრის შემდეგ მასში არაფერი შეცვლილიყო. მინდოდა ჩემი გაწბილება გამომეხატა, მაგრამ წუწუნი შემაწყვეტინა და მითხრა, ჩემს ქმარს ჰგონია, რომ გააკეთა ის, რაც არ გაუკეთებია და ამიტომ თავისი რწმენის განსამტკიცებლად ეს მნიშვნელოვანი სამსახური ჩვენ უნდა გავუწიოთო. ამრიგად, ბარემ, ამურის დახმარებით, ჰიმენეს პირველი მსხვერპლი შესწირა, და მე მანამდე არასოდეს შემხვედრია ესოდენ სისხლიანი საკურთხეველი. ვხედავდი, რომ მშვენიერი ასული ამ თავგანწირვით განუზომელ ნეტარებას განიცდიდა. ასგზის შევფიცე მარადიული სიყვარული და გული სიხარულით ამევსო, როცა მანაც საუკუნო ერთგულება აღმითქვა. შუადღეზე წამოვდექით და მადიანად ვისადილეთ, რათა ვნების ცეცხლში დაფერფლილი ძალები ხელახალი კვეთებისათვის აღგვედგინა.

გრძნეულმა ბარემ რვა დღე-ღამე ჩემთან გაატარა და რვავე პირველივით საამური იყო.

შინ დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ ბარეს ორი თვმაუქი გადავეცი, თითოეული ხუთ-ხუთი ათასი ფრანკისა. მან ვალებს თავი დააღწია, საქმისა და მსახურეულთა შენარჩუნება შეძლო და ომის დამთავრებას ელოდა.

შემოდგომის დამდეგს ჩემი ფაბრიკის ათი პაი ბატონ გარნიეს მივყიდე და მზა ქსოვილების მესამედიც დავუთმე. კონტრაქტის ხელმოწერიდან სამი დღის თავზე ფული მივიღე, მაგრამ დარაჯმა საეაჭრო ფარდული პირწმინდად გაძარცვა და მღრმალა. გარნიემ სასამართლოში მიჩივლა და 50 ათასი ფრანკის დაბრუნება მომთხოვა. პასუხად განვუცხადე, რომ მისი არაფერი მმართებდა, რადგან ეს ზარალი მთელს ამხანაგობაზე თანაბრად ნაწილდებოდა. გარნიემ მთელ ჩემს ქონებას ყადაღა დაადო. საქმე ასამართლოს გადაეცა. ჩემი პროკურორი წე-

სიერი კაცი იყო, მაგრამ ადვოკატი გაიძვერა აღმოჩნდა, ჩემ, დასაცავად არაფერი იღონა, სასამართლო საქმის წარმოები, სათვის მიცემული ფული კი თვითონ ჩაიჯიბა. სასამართლომ ზარალის გადახდა დამაკისრა. საპატიმროში ჩამსვეს. იქ სასა, მართლოს მდივანმა განმიცხადა, რომ თუ 50 ათას ფრანკს გა, დავიხდიდი, შინ გამიშვებდნენ. მაგრამ ამდენი ფული არ გა, მაჩნდა და ციხეში დავრჩი. ქალალდი და მელანი მოვითხოვე, რათა ყოველივე ჯერ ადვოკატისა და პროკურორისათვის, შემ, დეგ კი ჩემი მეგობრებისათვის მეცნობებინა. პირველად პრო, კურორმა მომაკითხა, ადვოკატმა კი მხოლოდ წერილი გამო, მიგზავნა და შემპირდა, რომ საქმეს გაასაჩივრებდა და ჩემს უკანონო დაპატიმრებას ყველას ძვირად დაუჯდომდა. მანონ ბალეტიმ ძმის ხელით თავისი ძვირფასი საყურეები გამომიგ, ზავნა, ქალბატონი დიუ რიეფენი საჭიროების შემთხვევაში 500 ლუიდორს შემპირდა, ჩემმა ძმამ წაყრუება არჩია, ბარემ, ჩე, მი დაპატიმრების ამბავი რომ შეიტყო, თავისი ფარდულის გა, ყიდვა განიზრახა, ქალბატონმა დ'იურფეემ კი მიპასუხა, რომ სადილად თავის სახლში მელოდა, რის გამოც გადავწყვიტე, საწყალს მთლად გაუფრენია-მეთქი. თერთმეტი საათისათვის ჩემი საკანი ხალხით აივსო. ვიდრე რაიმეს გადავწყვეტდით, ციხის ზედამხედველმა გამომიცხადა, რომ თავისუფალი ვიყ, ვი და ვინმე ბანოვანი ციხის გასასვლელთან კარეტაში მელო, დებოდა. ამბის მოსატანად მსახური გავგზავნე და როცა მო, მახსენა, ქალბატონი დ'იურფეაო, ყველას გამოვემშვიდობე. შუადღე იყო. ოთხი უსაძაგლესი საათის შემდეგ გარეთ გამო, ვედი.

ქალბატონი დ'იურფე ღიმილიანი თავდაჭერილობით შემხვ, და. მასთან მყოფმა პარლამენტის ერთ-ერთმა პრეზიდენტმა თანამემამულეებისა და თავისი ქვეყნის სახელით ამ სამწუხა, რო გაუგებრობისათვის ბოდიში მომიხადა. მარკიზს მადლო, ბა გადავუხადე და ვუთხარი, რომ დიდად ვიყავი დავალებული, მაგრამ ამ დიდსულოვანი საქციელის ნაყოფით გარნიე ისარ, გებლებდა. მან ღიმილით მიპასუხა, რომ ეს არც ისე იოლი საქმე იქნებოდა, მაგრამ ჯობდა ამაზე საუბრისას გვესა, უბრა.

ის დღე მარკიზასთან ვავატარე. მე კვლავ მადლობას ვუბნე-

ბოდი, ის კი აქეთ მემადლიერებოდა: ვერასოდეს თქვენს სიკეთეს ვერ გადავიხდი, რადგან სწორ გზაზე დამაყენეთო. უდიდესი გონიერების მიუხედავად, ეს სისულელე უეჭველად აწამდა. ვწუხდი, რომ გადარწმუნება არ შემეძლო, მრცხვენოდა, რომ ვატყუებდი, მაგრამ უამტყუილოდ ასეთი პატივისცემით არ მომეპყრობოდა.

ხანმოკლე პატიმრობამ, გარნიესთან და ადვოკატთან სასამართლო ჭიდილმა, ფულებისა და დროის ფუჭად ხარჯვამ პარიზზე გული ამიცრუა. გადავწყვიტე, ყველაფერი მიმეტოვებინა და ჰოლანდიაში გადავსახლებულიყავი, იქ ახალი საქმე წამომეწყო, კვლავ ფეხზე დავმდგარიყავი და მთელი ის კაპიტალი, რასაც შევიძენდი, ორი ადამიანის რენტად მექცია. ეს ორი მე და ჩემი მეუღლე უნდა ვყოფილიყავით, ესე იგი, მე და მანონ ბალეტი. ჩემი გეგმა რომ გავაცანი, სიხარულით ცას ეწია და მოუთმენლობამ შეიპყრო.

უპირველეს ყოვლისა, აგარაკი გავყიდე, შემდეგ სამხედრო აკადემიისათვის კანტორის გირაოდ მიცემული 80 ათასი ლივრი დავიბრუნე. ასე გამოვეთხოვე ლატარეის ამკრების სასაცილო თანამდებობას. გარნიეს ოცდახუთ ათას ფრანკად მოვურიგდი და ეს საქმეც ჩავფარცხე.

მანონი ატირებული დავტოვე, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ პარიზს დაებრუნდებოდი და უსათუოდ გავაბედნიერებდი.

ასი ათასი ფრანკის თამასუქი და ამდენივე ღირებულების ძვირფასეულობა ავიღე და ერთ-ერთი ჩემი საფოსტო ეტლით გავემგზავრე. 1759 წლის პირველი დეკემბერი იყო...

დილით რომ გავიღვიძე, ერთმა ჟენეველმა პასტორმა მკითხა, კარეტაში ადგილი ჩემთვისაც ხომ არ მოგეძევებათო. კიმეთქი. სულ ცხრა მილი უნდა გაგვეველო, მაგრამ მან შუადღეზე სადილობა ისურვა და უარი არ მითქვამს. ეს ენაწყლიანი ადამიანი, მოწოდებით ღვთისმეტყველი, ჟენევამდე კარგად მართობდა. ჩემს ყოველ კვიმატ შეკითხვას, რელიგიის შესახებ რომ ვაძლევდი, საოცრად ლაღად პასუხობდა. მისთვის არავითარი საიდუმლო არ არსებობდა — ყველაფერი ნათელი და უეჭველი იყო. ვერასოდეს შემხვედრია სასულიერო პირი,

ქრისტიანობა ამ კეთილი ადამიანივით მისაღებად რომ ექადაგნა. მაგრამ იმაში დავრწმუნდი, რომ მის რწმენაში არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა — ის მხოლოდ თავისი ეკლესიის დოქტრინას იცავდა. ვეუბნებოდი, რომ მხოლოდ სიტყვიერად იყო კალვინისტი, რამეთუ ქრისტესა და მამაღმერთის ერთარსობა არ სჯეროდა, ის კი მპასუხობდა, რომ პაპისაგან განსხვავებით, კალვინი თავს უცოდველად არასოდეს თვლიდა. მე შევედავე, რომ პაპს უცოდველად მხოლოდ მაშინ მივიჩნევდით, როცა ის ამბიონიდან ქადაგებდა, და სახარებაზე დაყრდნობით ჩემი სიმართლეც დავუმტკიცე. ყურებამდე გაწითლდა, როცა ვუსაყვედურე, რომ კალვინი პაპს აპოკალიფსის ანტიქრისტეს უწოდებდა, და რომ ეს ცრურწმენა ჟენევაში არასდიდებით არ აღმოიფხვრებოდა, თუ ხელისუფლების ბრძანებით ეკლესიის კედლებზე არ ჩამოფხეკდნენ წარწერებს, რომლებშიც პაპი სწორედ ასე მოიხსენიებოდა. მაშინ მიპასუხა, რომ ხალხი ყველგან ბრიყვი და უბირია და რომ მის ოცი წლის დისწულს ამ საკითხზე მდაბიოთაგან განსხვავებული აზრი ჰქონდა.

— მინდა, შეგახვედროთ და დაგარწმუნოთ, რომ შესანიშნავი ღვთისმეტყველი მეზრდება.

— დიდი სიამოვნებით გავიცნობდი, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ მეცნიერული დისპუტებისაგან ღმერთმა დამიფაროს.

— იგი კამათში ძალით ჩაგითრევთ და გარწმუნებთ რომ კმაყოფილი დარჩებით.

მისამართი ვკითხე, მაგრამ არ მომცა და მითხრა, რომ ფუნდუკში თვითონ შემომივლიდა და წამიყვანდა. მე „სასწორში“ გავჩერდი. ბრწყინვალე ოთახი მომცეს.

ფანჯარასთან მივედი და მინაზე ალმასის წვერით ამოკაწრული წარწერა დავინახე: „შენ ჰენრიეტასაც დაივიწყებ“. მაშინვე ის წამი გამახსენდა, როცა მან ეს სიტყვები ამოჩხაპნა და თმა ყალუზე დამიდგა — ზუსტად იმ ოთახში ვიყავი, სადაც მან მიმატოვა და საფრანგეთში დაბრუნდა! სავარძელში ჩავეშვი და თავი მოზღვავებულ მოგონებებს მივეცი. ო, საყვარელო ჰენრიეტა! კეთილო, ალერსიანო ჰენრიეტა! სადა ხარ ახლა? რა ხანია შენზე არაფერი მსმენია და არც რაიმეს გაგე-

ბა მომინდომებია. როგორ მიყვარდი! ახლანდელ ჩემს თავს მაშინდელს რომ ვადარებდი, ვხედავდი, რომ მისი ღირსი უკვე აღარ ვიყავი. სიყვარული ჯერ კიდევ შემეძლო, მაგრამ აღარც ის ძველი ცეცხლი მწვავდა, არც ის გრძნობები მაფორიაქებდა, აღარც ის რბილი ხასიათი და არც ადრინდელი სიწმინდე შემრჩენოდა. და, რაც ყველაზე უფრო მაწუხებდა, აღარც წინანდელ ძალას ვგრძნობდი. მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ჰენრიეტას მხოლოდ გახსენებამაც კი ძალა აღმიდგინა. უცებ ისეთი აღფრთოვანება დამეუფლა, რომ, ოღონდ კი სადმე მიმეგნო და პატიების მუდარით ფეხებში ჩავუვარდებოდი.

დილით ადრე ბანკირ ტრაშენთან გავემართე. ჩემი ფული მასთან ინახებოდა. ანგარიში რომ წარვუდგინე, ფარსელის, გენუის, ფლორენციისა და რომის კრედიტივები გადმომიშალა. სულ ორმოცდაათი ათასი ფრანგული ეკიუ მქონდა. სარეზერვო მენდაციო წერილების ჩამორიგების შემდეგ „სასწორში“ დავბრუნდი. ოთახში პასტორი დამხვდა. სადილად მიმიწვია და დასძინა, რომ მასთან ბატონ ვილარ შანდიეს შეეხვდებოდი, რომელიც შემდეგ ბატონ დე ვოლტერთან წამიყვანდა. სასწრაფოდ გამოვეწყვე და პასტორთან წავედი, სადაც მეტად თავისებური საზოგადოება დამხვდა. უპირველეს ყოვლისა, პასტორის ახალგაზრდა დისწულმა დამაინტერესა, რომელსაც ბიძამისმა სუფრასთან ასე მიმართა:

— ამ დილით რასა იქმოდით, ჩემო საყვარელო დისწულო?

— ნეტარ ავგუსტინეს ვკითხულობდი, მაგრამ მეთექვსმეტე შეგონებაში ვერ დავეთანხმე და წიგნს თავი მივანებე.

— რას ეხება ეს შეგონება?

— ის ამტკიცებს, თითქოს ქალწულ მარიამს იესო ყურებიდან ჩაესახა. ეს სამი რამის გამო სრულებით შეუძლებელი გახლავთ. ჯერ ერთი, უფალი უსხეულოა და ღვთისმშობლის სხეულში შესაღწევად არავითარი ხვრელი არ სჭირდება. მეორეც, სასმენი მილაკები საშვილოსნოს არანაირად არ უკავშირდება. მესამეც, თუ ყურებიდან ჩაესახა, ყურებიდანვე უნდა ეშვა, ამ შემთხვევაში კი, — თქვა მან და მე გადმომხედა, — ის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგაც ქალწულად უნდა ჩაგვეთვალა.

სტუმრები გაოგნებულნი უსმენდნენ, მეც გამიკვირდა, მაგ

რამ არ შევიმჩნიე თეოლოგიის ღვთაებრივი სული ყოველგვარ ხორციელ გრძნობაზე ამაღლებულია, ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ამაღლება ძალუძს. სწავლულ დისწულს თავისი პრივილეგიების ბოროტად გამოყენების არ ეშინოდა და, რა თქმა უნდა, არც საკუთარ ღვთისმოსაობაში ეპარებოდა ეჭვი. პასუხს კი ჩემგან ელოდა.

— დაგეთანხმებოდით, მადმუაზელ, ღვთისმეტყველს დარად ჩემი თავისათვის სასწაულის გონითი რწმენის უფლება რომ მიმეცა, მაგრამ რაკიღა ღვთისმსახური არ გახლავართ, იმით დავკმაყოფილდები, რომ თქვენი აზრებით აღფრთოვანება გამოვხატო და ნეტარი ავგუსტინე გავ-კრიტიკო, რომელმაც ხარების სასწაულის გამოკვლევა განიზრახა. ერთ რამეში მტკიცედ ვარ დარწმუნებული: წმინდა ქალწული ყრუ რომ ყოფილიყო, ძე ღმერთის ჩასახვა არ მოხდებოდა. რა თქმა უნდა, სასმენი ორგანოს ნერვებს საშვილოსნოსაკენ არავითარი განტოტება არ გააჩნია და ანატომიური თვალსაზრისით წარმოუდგენელია, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. მაგრამ სასწაულიც იმიტომ არის, რომ მისი ჭეშმარიტება ვირწმუნო.

მან თავაზიანად მიპასუხა, რომ დიდი ღვთისმეტყველივით ვმსჯელობდი, ბიძამისმა კი მისი დისწულისათვის ჩატარებული კარგი გაკვეთილისათვის მადლობა გადამიხადა.

შემდეგ ბატონ დე ვოლტერისაკენ გავემართეთ. ის იყო სადილობა დაემთავრებინა და ქალბატონებითა და ბატონებით იყო გარშემორტყმული, ამიტომ საზეიმო ვითარებაში წარმადგინეს. მაგრამ ვოლტერის სახლში ზეიმურობას ცუდი სამსახურის გაწევა შეეძლო.

— ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთია, — ვუთხარი მე, — როგორც იქნა, გიხილეთ, ძვირფასო მასწავლებელო. აი, უკვე თორმეტი წერია, რაც თქვენი მოწაფე ვარ.

— პატივი დამდეთ და დღეის შემდეგაც ჩემს მოწაფედ დარჩით, ოცი წლის შემდეგ კი სწავლის ქირის მოტანა არ დაგაიწყდეთ.

— გპირდებით. თქვენ კი აღმითქვით, რომ დამელოდებით.

— სიტყვას გაძლევთ, და უმალ სიცოცხლეს გამოვეთხოვები, ვიდრე ამ პირობას დავარღვევ.

ვოლტერის პირველი მახვილსიტყვაობა სტუმრებმა მოწონების სიცილით შეაფასეს. ასე იყო მიღებული: დამცინავნი ყოველთვის ერთს უპერენ მხარს მეორის საზიანოდ, და ის, ვისაც ემხრობიან, ყოველთვის გამარჯვებული გამოდის. ამისათვის მზად ვიყავი, მაგრამ საკუთარი თავის იმედს მაინც არ ვკარგავდი.

ვოლტერს ორი ახალმოსული ინგლისელი წარუდგინეს.

— თქვენ ინგლისელები ბრძანდებით, — მიმართა შემოსულებს, — ვისურვებდი, რომ თქვენი თანამემამულე ვყოფილიყავი.

უხეირო კომპლიმენტია, რადგან ამაზე უნდა ეპასუხნათ, ჩვენ კი ფრანგობას ვისურვებდით, მათ კი შესაძლოა, ფრანგობა სულაც არ სურდათ — ტყუილს ვერ იტყოდნენ, სიმართლის თქმა კი უხერხული იყო. მე მგონია, კეთილშობილ ადამიანს უფლება აქვს, თავის ნაცია სხვაზე მეტად უყვარდეს.

ვოლტერი დაჯდა და ისევ გამკენწლა: ირონიული ღიმილით მითხრა, როგორც ვენეციელი, რა თქმა უნდა, ალგაროტის იცნობთო.

— ვიცნობ, მაგრამ არა როგორც ვენეციელი, რამეთუ ათიდან ცხრა ჩემს თანამემამულეს მისი სახელი გაგონილიც არა აქვს.

— უნდა მეთქვა, როგორც ლიტერატორი-მეთქი.

— დიახ, ვიცნობ, რადგან შვიდი წლის წინ ორი თვე პადუაში ერთად გავატარეთ. და რაკიღა თქვენი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა, მეც მისდამი პატივისცემით განვიმსჭვალე.

— ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ სახელი რომ მოიპოვოს, ვინმეს თაყვანისცემა სულაც არ სჭირდება.

— თაყვანისცემით რომ არ დაეწყო, სახელსაც ვერ გამოთქვამდა. ნიუტონის თაყვანისმცემელმა ქალებს სამყაროს აგებულება შეასწავლა.

— მართლა შეასწავლა?

— არც იმდენად, როგორც ბატონმა ფონტენელმა თავის „სამყაროთა სიმრავლეში", მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ შეასწავლა.

— არ შეგედავებით. თუ ბოლონიაში შეხვდეთ, ნუ დამზარდებით და გადაეცით, რომ ველოდები მის „წერილებს რუსეთზე". შეუძლია მილანელი ბანკირის ბიანკის მეშვეობით გა-

მომიგზავნოს. მითხრეს, რომ იტალიელებს მისი ენა არ მოსწონთ.

— არ მოსწონთ? რომელა. იტალიურად კი არა, რაღაცნაირ თავის გამოგონილ ჩიქორთულზე წერს. სულ გალიციზმებითაა დანაგვიანებული. საცოდავი აანახაობაა.

— მაგრამ განა ფრანგული გამოთქმები თქვენს ენას არ უხდება?

— აუტანელს ხდის. აბა, რაღა ფრანგული იქნებოდა, იტალიური სიტყვებით რომ იყოს დაჩურთული, მაშინაც კი, ასეთ ენაზე თვით თქვენ რომ წერდეთ.

— მართალი ბრძანდებით. ენის სიწმინდის დაცვა აუცილებელია. გავბედავ და გკითხავთ, ლიტერატურის რომელი სახე აირჩიეთ?

— არც ერთი, მაგრამ ჯერ დრო ითმენს. მანამდე კი ბევრს ვკითხულობ და დიდი სიამოვნებით ვმოგზაურობ, რათა ადამიანები შევისწავლო.

— ეს მათი გაცნობის კარგი საშუალებაა, მაგრამ ძალიან სქელი წიგნია. უფრო იოლია, ამავე მიზანს ისტორიის კითხვით მიაღწიოთ.

— ისტორია თავგზას მიბნევს, ფაქტებს ამახინჯებს, მოსაწყენია, ქვეყნის ეშუალოდ, ‘ემოელით შესწავლა კი გაცილებით საინტერესო და სასარგებლოა. ჰორაციუსი, რომელიც ზეპირად ვიცი, ჰეგზურობას მიწევს და ყველგან ვაწყდები ხოლმე.

— ალგაროტისაც გაზუთხული აქვს. ალბათ, პოეზია გიყვართ.

ძალიან.

— ბევრი სონეტი შეგითხზავთ?

— ათი თუ თორმეტი იქნება ისეთი, რომელიც მომწონს, და ორი თუ სამი ათასი ისეთი, რომლებიც, სიმართლე რომ გითხრათ, დაწერის შემდეგ აღარც გადამიკითხავს.

— იტალიაში ყველა სონეტზე აფრენს.

— დიახ, თუ გაფრენად ჩავთვლით იმის სურვილს, რომ აზრს ჰარმონიული სიმწყობრე მიანიჭონ და საუკეთესო სახით წარმოგვიდგინონ. სონეტის წერა ძნელი საქმეა, ბატონო დე ვოლტერო, რადგან აზრი თოთხმეტ სტრიქონში უნდა მოაქციო: არც მეტში და არც ნაკლებში.

— ე' პროკრუსტეს საწოლია. ამიტომაც კარგი სონეტი ცუდად გაქვთ, ჩვენ კი არც ერთი არა გვაქვს და ეს ჩვენი ენის ბრალია.

და ფრანგული გენიის — თქვენ ხომ გგონიათ, რომ გაჭიანურებული აზრი ძალასა და ბრწყინვალებას ჰკარგავს?

— თქვენ სხვაგვარად ფიქრობთ?

მაპატიეთ, მაგრამ გააჩნია როგორი აზრი. მაგალითად მოწერებული სიტყვა სონეტისათვის საკმარისი არ არის.

— იტალიელ პოეტთაგან ყველაზე მეტად ვინ მოგწონთ?

— არიოსტო, და ვერ ვიტყვი, რომ სხვაზე უფრო მიყვარს, რადგან მარტო ის მიყვარს და სხვა არავინ. მაგრამ სუყველას ვკითხულობ. როცა თხუთმეტი წლის წინ წავიკითხე, თუ როგორ ცუდად აფასებდით მის პოეზიას, მაშინვე ვთქვი, რომ დრო მოვიდოდა და თქვენს სიტყვებზე უარს იტყოდით. მიეხვდი, რომ წაკითხული არ გქონდათ.

გმადლობთ, რომ იფიქრეთ, თითქოს წაკითხული არ მქონდა. წაკითხული მქონდა, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, თქვენი ენა ეხეიროდ ვიცოდი, და ტასოს თაყვანისმცემელი იტალიელი მწიგნობრების ვავლენით, ჩემდა სამარცხვინოდ, გამოვაქვეყნე აზრები, რომელიც გულწრფელად ჩემად მიმაჩნდა. მაგრამ ვცდებოდი. მე ვაღმერთებ არიოსტოს.

ახლა კი ნამდვილად შვებით ამოვისუნთქე. მაშ, ცეცხლს მიეცით ის წიგნი რომელშიც არიოსტოს ასე მწარედ დასცინეთ!

— უკვე ყველა ჩემი წიგნი ცეცხლსაა მიცემული, მაგრამ ახლა ვაჩვენებთ, როგორი მონანიება შემიძლია.

და აქ ვოლტერმა ნამდვილად გამოაცა: ზეპირად წაიკითხა ორი დიდი მონაკვეთი ამ ღვთაებრივი პოეტის ოცდამეთოთხმეტე და ოცდამეთხუთმეტე სიმღერებიდან. არც ერთი სტრიქონი არ გამორჩენია, არც ერთ სიტყვაში პროსოდია არ დაურღვევია. მან ამ ლექსების ჭეშმარიტი ხიბლი მაგრძნობინა. ჩემს წინაშე იყო დიადი ადამიანი. სუნთქვაშეკრული ვუსმენდ მის საოცარ მსჯელობებს და უმცირესი შეცდომის შემჩნევას ამაოდ ვცდილობდი. არც ერთ იტალიელ მოაზროვნეს ასეთი ზეშთაგონებული განსჯის უნარი არ შესწევდა. დამსწ-

რეთ მივუბრუნდი და განვაცხადე, რომ ეს ნამდვილი საოცრება იყო და ჩემს გულწრფელ აღტაცებას მთელ იტალიას გავუზიარებდი.

— მე თავად ვიცნობ მთელს ევროპას, — წარმოთქვა ვოლტერმა, — რომ მოწიწებით ქედს ვიხრი და ბატიებას ვითხოვ ჩისი გენიალური შვილის წინაშე.

მეორე დღეს პატივმოყვარე მასპინძელმა არიოსტოს სტანსების მისეული თარგმანები წაიკითხა და სტუმართა აღტაცებული ტაშიც დაიმსახურა, თუმცა არც ერთ მათგანს იტალიურის ინჩიბინჩი არ ესმოდა. ვოლტერის დისწულმა, ქალბატონმა დენიმ მკითხა, ის დიდი მონაკვეთი, ბრძაჩემმა რომ წაგვიკითხა, მართლა ასეთი ბრწყინვალე სტრიქონებიაო?

— დიახ, ქალბატონო, მაგრამ არა ყველაზე ბრწყინვალე.

— ესე იგი, ყველაზე ბრწყინვალეც არსებობს?

— რა თქმა უნდა, სხვაგვარად სინიორ ლუდოვიკოს არ გაალმერთებდნენ.

— მაშ იგი წმინდანად აღიარეს? ეს არ ვიცოდი.

ამ სიტყვებზე ყველას გაეცინა, მათ შორის ვოლტერსაც, მე კი სრული სერიოზულობა შევინარჩუნე. ჩემი თავშეკავებით ნაწყენმა ვოლტერმა მითხრა:

— ვიცი, რატომაც არ იცინით. თქვენ მიგაჩნიათ, რომ ღვთაებრივი მას მოკვდავთათვის მიუწვდომელი ერთი ნაწყვეტისათვის უწოდეს.

— დიახაც!

— რომელია ეს ნაწყვეტი?

— ოცდამესამე სიმღერის ბოლო ოცდათექვსმეტი ოქტავა, სადაც როლანდის გაგიჟების მექანიკაა აღწერილი. სამყაროს დასაბამიდან დღემდე არიოსტოს გარდა არავის სცოდნია, თუ როგორ იშლებიან ჭკუიდან. ჩან შეძლო ამის ჩაწერა, სიცოცხლის დასასრულს კი თვითონაც გაგიჟდა. ეს ოქტავები შიშს გვინერგავენ.

— ჰო, მახსენდება. ისინი სიყვარულის შიშს გვინერგავენ. აუცილებლად ხელახლა უნდა წავიკითხო.

— იქნებ ბატონმა კაზანოვამ დაგვდოს პატივი? — თქვა ქალბატონმა დენიმ და ბიძას ეშმაკურად გადახედა.

— რატომაც არა, ქალბატონო. თუ მოსმენას ინებებთ...

— მაშ მართლა ზეპირად დაგიწავლიათ?

— არისტოს თხუთმეტი წლის ასაკიდან წელიწადში სამჯერ თუ ოთხჯერ ვკითხულობ და გონებაში თავისთავად ჩამეგბეჭდა.

და კითხვა დავიწყე, მაგრამ არა პოეტური დეკლამაციით და წამღერებით, როგორც იტალიელებს სჩვევიათ, არამედ პროზასავით, ხმისა და ტონის მონაცვლეობით, გულით, განცდით; ყველამ დაინახა და იგრძნო, ქვითინს როგორ ვიკავებდი და თვითონაც იცრემლებოდნენ. ქალბატონი დენი ერთიანად ცახცახებდა, ვოლტერი კი კისერზე ჩამომეკიდა, მაგრამ კითხვა არ შემიწყვეტია, რადგან როლანდს, სანამ საბოლოოდ გაგრეხებოდა, უნდა შეემჩნია, რომ იმავე სარეცელზე იწვა, სადაც ოდესღაც შიშველი ანჯელიკა უსაზღვროდ ბედნიერი მედორის მკლავებში მოექცა, რაზეც შემდეგი ოქტავა მოგვითხრობდა. უკვე ჩემს ხმაში სევდა და საყვედური კი არა, მრისხანებასთან შეზრდილი ძრწოლა და საშინელება ისმოდა. კითხვის დამთავრების შემდეგ საერთო ქება-დიდებას ნაღვლიანი სახით ვისმენდი.

— ვოლტერი მეხვეოდა, მადლობას მიხდიდა, მპირდებოდა, რომ ხვალ იმავე ოქტავებს წამიკითხავდა და ჩემსავით იტირებდა. მან თავისი სიტყვა შეასრულა.

ნასადილევს ბაღში გავედით, რომელიც, როგორც თვითონ მითხრა, მისი გაშენებული იყო. მთავარი ხეივანი წყაროსთან თავდებოდა და ვოლტერმა ამაყად განმიცხადა, ეს რონას სათავეაო. შემდეგ ყენევასა და ალპების ხედებით დამატკბო.

საუბარი კვლავ იტალიურ ლიტერატურაზე ჩამოაგდო. საქმის ცოდნითა და დიდი გონებამახვილობით ჩმახავდა ათასგვარ აბდაუბდას და ამ უცნაურ მსჯელობებს ყოვლად უთავბოლო დასკვნებით აგვირგვინებდა. არ შევკამათებივარ. ჰომეროსზე, დანტეზე, პეტრარკაზე იღაღადა — ყველასათვის ცნობილია, თუ რას ფიქრობდა ამ გენიოსებზე. საკუთარი აზრების ჩაწერა უყვარდა და ამით თავს დიდად ვნებდა.

საწოლ ოთახამდე მივაცილე. იქ ბარიკი მოიძრო და ქუდი გამოიცვალა, რომელსაც არასოდეს იშორებდა, რადგან გაციებისა ეშინოდა. შემდეგ ერთი კარი გამოაღო და არქივში შევედით. დავინახე თითქმის ასამდე უზარმაზარი შეკვრა.

— ეს ჩემი მიმოწერაა, — მითხრა მან.

— პასუხების ასლები თუ დაგრჩათ?

— უმრავლესობა მაქვს. ამ საქმეს საგანგებოდ დაქირავებული მსახური აწესრიგებს.

— მე ვიცნობ გამომცემლებს, რომლებიც ამ განძში უამრავ ფულს გადაგიხდიან.

— თუ ოდესმე საზოგადოების სამსჯავროზე რაიმეს გამოტანას განიზრახავთ, უპირველეს ყოვლისა გამომცემლებს უფრთხილდით. თუ უკვე გამოიტანეთ?

— სიბერეში გამოვიტან.

მოგვაკითხეს, წაგვიყვანეს და ორი საათი ისევ საერთო საუბრებში გავატარეთ. დიდი პოეტი ბრწყინავდა, ენამზეობდა, ყველას აცინებდა და დიდი ქებაც მოიმკა. თუმცა საკმაოდ გამქირდავი და ზოგჯერ გესლიანიც იყო, მაგრამ გამუდმებით იცინოდა და სხვებსაც ამხიარულებდა. საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. ასე გულუბვად სტუმრებს არსად არ უმასპინძლდებოდნენ. მაშინ სამოცი წლისა იყო და ას ოცი ათასი ლირის შემოსავალი ჰქონდა. ტყუიან ისინი, რომლებმაც ხმები გაავრცელეს, წიგნით მოვაჭრეთა გაცუცურაკების ხარჯზე გამდიდრდაო. პირიქით, სულ მას ატყუებდნენ, კრამერთა გარდა, რომლებიც მართლა გამდიდრა — თავის თბზულებებს ჩუქნიდა და ისინიც ყველგან ავრცელებდნენ. ჩემს იქ ყოფნაში „ბაბილონის პრინცესა“ აჩუქა — ნშვენიერი ზღაპარი, რომელიც სამ დღეში დაწერა.

ეპიკურელი — ლენდიკი, შეპირებულ-ნამებრ. „სასწორში“ მოვიდა და მეზობელ ქუჩაზე მდებარე სახლში წამიყვანა, სადაც სიყვარულისათვის გაჩენილი სამი ქალიშვილი გამაცნო. ორი მათგანი დები იყვნენ. მხიარული, გულღია, თავაზიანი ასულები აღმოჩნდნენ. ვახშმობამდე ნახევარი საათი თავისუფალ, მაგრამ ფრიადხრდილობიან საუბრებში გავიდა. ვახშამზე სინდიკმა საუბარს სხვა ელფერი შესძინა და მივხვდი ამას რაც მოჰყვებოდა. არავის მოსვლას არ ველოდით და აუტანელი სიცხისაგან შეწუხებულნი თითქმის პირველყოფილ ბუნებრივ მდგომარეობამდე გავშიშვლდით. არავითარი მიზეზი არ მქონდა საიმისოდ, რომ მათი მაგალითისათვის არ მიმებაძა. როგორი ორგია გაიმართა! ისე გავიმინდვრეთ, რომ გრეკერის „იგრეკის“ წაკითხ-

ვის შემდეგ თითოეულ ქალიშვილს ცალცალკე აუხსენი, თუ რას ნიშნავდა შევონება „gaudeant beue nati" (დაე, იხარონ კეთილად აღნაგთა. ლათ.) სინდიკი აშკარად ამაყობდა იმით რომ ჩემი სახით გოგოებს ასეთი საჩუქრები მიართვა. როგორც შეეატყვე, ეპიკურელი მათ განუწყვეტლივ ამარხულებდა, თვითონ კი მხოლოდ გონებაში მრუშობდა შუაღამის პირველ საათზე ვნებააღძრული გოგოები სურვილის დაკმაყოფილებაში დამეხმარნენ. რიგრიგობით ვუკოცნიდი მშვენიერ ხელებს, რომლებმაც სიყვარულისთვის გაჩენილი ყოველი ქალისათვის დამამცირებელი საქციელი ჩაიდინეს, რადგან ჩვენს მიერ გათამაშებულ ფარში სხვაგვარი რამ შეუძლებელი იყო: წინასწარ ვიყავი შეთანხმებული, რომ მათ ქალწულობას არ შეეხებოდი. ავსორცი სინდიკის დახმარებით გოგოებსაც სამაგიერო სიტკბოებს ვაგემებინე. წამდაუწუმ მადლობას მიხდიდნენ და საოცრად გაიხარეს იმით, რომ სინდიკმა ხვალისთვისაც მათ საზოგადოებაში მიმიწვია.

სინდიკისაგან ვიცოდი, რომ ღარიბი გოგოები იყვნენ. იუველირთან წავედი, ექვსი ოქროს დუბლონი გადავადებინე და ორ-ორ უნციანი სამი ბურთულა გავაკეთებინე. მოვიფიქრე, როგორ უნდა მეჩუქებინა მათთვის ისე, რომ არ ეუკადრისათ. საღამოს ბურთულები მზად იყო. მალე სინდიკიც მოვიდა და ორგიაზე წამიყვანა.

მსუბუქად ჩაცმული გოგოები დივანზე ისხდნენ. ჩვენ მოპირდაპირე მხარეს სავარძლებში მოვკალათდით და საუბარი გაუბით. კახშმობამდე დრომ მშვიდობიანად ჩაიარა შეტევა ნავახშმევს განვავითარეთ. ჯერ სინდიკმა ჯიბიდან სიფრიფანა ინგლისური შალითების შეკვრა ამოიღო და ამ შესანიშნავ დამცველ საშუალებას დიდი ხოტბა შეასხა იმისათვის, რომ მას უსაშინლესი განსაცდელის არიდება შეეძლო. გოგოები ძალიან გამხიარულდნენ იმის დანახვაზე თუ როგორი ფორმა მიიღო გაბერილმა საშუალებამ, მაგრამ მე განვაცხადე, რა თქმა უნდა, ქალის ღირსებას თვით სილამაზეზე მაღლა ვაყენებ, მაგრამ მასთან ყოფნის ბედნიერებას ამ უგრძნობი შალითაში შეფუთვით ვერ წავიმწარებ-მეთქი.

აი, — ვთქვი და ჯიბიდან სამი ოქროს ბურთულა ამოვიღე, — ეს დაგიფარავთ ყოველგვარი უსიამოვნო შედეგისა-

გან. თხუთმეტწლიანი გამოცდილება უფლებას მაძლევს დაგარწმუნოთ, რომ ამ ბურთულების გამოყენებით არაფრის შიში არ უნდა გქონდეთ. დამდეთ პატივი და მიიღეთ თქვენი მატმერთებელი ვენეციელისაგან ეს მცირედი საჩუქარი.

— დიდად გმადლობთ, — მიპასუხა უმცროსმა დამ, — მაგრამ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს მშვენიერი ბურთულები, რათა დამღუპველი ორსულობა ავიცილოთ?

— ორთაბრძოლის დროს ბურთულა სიყვარულის მღვიმეში უნდა იდოს. ეს არის და, ეს. ლითონის ანტიპატიური ძალა ჩასახვის წინააღმდეგ მოქმედებს.

— მაგრამ, — შენიშნა უფროსმა დამ, — შეიძლება ეს ცოცქნა ბურთულა უდროოდ გამოვარდეს.

— თუ მარჯვედ ვიმოქმედებთ, არ გამოვარდება. არსებობს პოზიცია, რომლის დროსაც საკუთარი სიმძიმის ძალით მოძრავი ბურთულა არასდიდებით გარეთ არ გამოხტება.

— გვიჩვენეთ ეს პოზიცია, — მთხოვა სინდიკმა და სანთელი აიღო, რათა ბურთულის ადგილზე მოთავსებისას მოეწათებინა.

წარმტაცმა ბიძაშვილმა უკვე ძალიან შორს შეტოპა და უკან დახევა გვიანღა იყო, ამიტომ პირველი ცდის ჩატარება მან იკისრა. ლოგინზე რომ დავაწვინე ისე დავაწვინე, რომ შიგ ჩადებული ბურთულა გარეთ არ გამოგორებულიყო, მაგრამ იგი შეტევის დაწყებისთანავე გამოვარდა და გოგო მიხვდა, რომ ვთვალთმაქცობდი, მაგრამ არ შეეშინია, ბურთულა აიღო და დებს შესთავაზა, რათა ჩემს სიმართლეში თავად დარწმუნებულიყვნენ. გოგოები უყოყმანოდ და დიდის ხალისით დამთანხმდნენ.

სინდიკმა ბურთულის ძალა არ დაიჯერა და არც ენდო, ამიტომ მხოლოდ მაყურებლის როლით შემოიფარგლა.

ნახევარი საათით სული მოვითქვი და გოგოებს ახლა უბურთულებოდ გართობა შევთავაზე, ოღონდ სიტყვა მივეცი, რომ სახიფათოს არაფერს ჩავიდენდი. პირობა, რა თქმა უნდა, პირნათლად შევასრულე.

განშორებისას გოგოებმა მოიწყინეს. თურმე იმას სწუხდნენ, რომ ვალში დამრჩნენ.

სინდიკმა მთხოვა, რომ ქალიშვილების ხათრით ქენევაში კიდევ ერთი დღით დავრჩენილიყავი და დავთანხმდი. ხვალ არ

წეცალა თანაც. კარგა გვარიანწად დავიდალე და დასვენება მჭ:ოდებოდა.

ათ-ათიანი ლ:ბმა ძილის შემდეგ ძალების ისეთი მოზღვავება ვიგრძენი, რომ ბატონ დე ვოლტერთან წასვლაც კი გავბედე, მაგრამ ამ დიადმა ადამიანმა ინება, რომ იმ დღეს დამცინაგი, ბოდმიანი და ავი ყოფილიყო. იცოდა, რომ ხვალ მივეშგზავრებოდი.

სუფრასთან მადლობა გადამიხადა იმისათვის, რომ მერლინ კოკო ვაჩუქე, მაგრამ მისი პოემის ქებისათვის საყვედურებით ამავსო, რადგან ამ სისულელის კითხვაში თურმე მთელი ოთხი საათი დავკარგვინე. თმა ყალუზე დამიდგა, მაგრამ თავი შევიკავე და მშვიდად მივუგე, რომ შესაძლო იყო სხვა დროს ამ ნაწარმოებისათვის მას ჩემზე უფრო დიდი ქება ეძღვნა. ბევრი მაგალითი მოვუყვანე იმის დასტურად, რომ მხატვრული თხზულების შესაფასებლად ხშირად ერთი წაკითხვა საკმარისი არ იყო.

— მართალი ხართ, მაგრამ ამ მერლინს მაინც თქვენ გიტოვებთ, იგი შაპლენის „ქალწულის" გვერდით დავაყენე.

— რომელიც ყველა გემოვნებიან ადამიანს მოსწონს, თუმცა უხეირო ენა აქვს, პოემაც კარგია და შაპლენიც ჭეშმარიტი პოეტია. ჩემი მასწავლებელი ბატონი დე კრებიიონიც ასე ფიქრობდა.

— თქვენ დიდ მსაჯულს ეყრდნობით, — წარმოთქვა ვოლტერმა, — მაგრამ მითხარით: რას გასწავლიდათ ჩემი თანამოძმე დე კრებიიონი?

— მან ორ წელიწადზე ნაკლებ დროში ფრანგული ენა შემასწავლა. მადლობის ნიშნად მისი „რადამისტი" იტალიურად ვთარგმნე. ამ თარგმანში იტალიელთაგან პირველმა გავბედე ალექსანდრიული ლექსის გამოყენება.

— მაპატიეთ, პირველი ჩემი მეგობარი პიერ იაკობო მარტელო გახლდათ.

— არა, ბატონო.

— ეშმაკმა დალახვროს! მე ხომ ბოლონიაში დაბეჭდილი მისი თხზულებები ოთახში მიწყვია!

— თქვენ წაკითხული გაქვთ მისი თოთხმეტმარცვლიანი ლექსები ვაეური და ქალური რითმების მონაცვლეობის გა-

რეშე. მას ეგონა, რომ ალექსანდრიული ლექსით წერდა. ამ წიგნის წინასიტყვაობამ გულიანად გამაცინა. თქვენ, ალბათ, გამოტოვეთ იგი.

— მოწყალეო ხელმწიფევ, წინასიტყვაობათა წაკითხვა ძალიან მიყვარს. მარტელო ამტკიცებს, რომ მისი ლექსი იტალიელის ყურისათვის ისევე ჟღერს, როგორც ალექსანდრიული — ფრანგისათვის.

— იგი უხეშად ცდებოდა.

— თქვენი „რადამისტის" რომელიმე ნაწყვეტს ხომ არ წამიკითხავდით?

— სიამოვნებით.

ის სცენა შევარჩიე, ათი წლის წინ დე კრებიიონს რომ წავუკითხე და მომეჩვენა, რომ ვოლტერი გაოცებული დარჩა. მითხრა, თქვენი ლექსი ძალიან ლაღად ჟღერსო და ეს ჩემთვის უდიდესი შექება იყო. პასუხად თავისი „ტანკრედის" ნაწყვეტი წამიკითხა, რომელიც მაშინ გამოქვეყნებული არ იყო და შემდეგ სავსებით სამართლიანად, შედევრად აღიარეს.

და ჩვენს შორის ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, მაგრამ როცა მისი სიტყვების დასტურად ჰორაციუსის ერთი ლექსი მოვიხმე, განაცხადა, მისი მცნებები თეატრალურ ხელოვნებაში არასოდეს დაბერდებაო.

— თქვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს არღვევთ, — ვუთხარი მე, — მაგრამ, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი.

— რომელს?

— „Contentus paucis lectoribus" („წერე მცირეთათვის". ლათ.)

— მასაც ჩემსავით ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლა რომ მოსწეოდა, ისიც მთელი ქვეყნისათვის დაწერდა.

— ჩემი აზრით, ამ დაუძლეველი ტვირთისაგან თავი უნდა დაიხსნათ, რადგან ვერასოდეს მოერევით. და თუ მოერევით, მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, რითიღა შეცვლით?

— მე მომწონს ამ ტვირთის ტარება. როცა ადამიანთა მოდგმას მისი მტანჯველი მძვინვარე მხეცისაგან ვიხსნი, განა საკითხავია, ეს მხეცი რითი უნდა შევცვალო?

— ის ადამიანებს არ ტანჯავს, პირიქით, მათი არსებობისათვის აუცილებელიც კი არის.

— მე მიყვარს კაცობრიობა და მინდა იგი ჩემსავით ბედნიერი და თავისუფალი კიხილო. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ უუფლებობას ხალხისათვის ბედნიერების მოტანა შეუძლია?

— თქვენ გსურთ, რომ ხალხი ბატონი იყოს?

— ღმერთმა დამიფაროს! ქვეყანას ერთი უნდა მართავდეს,

— მაშინ ცრურწმენა აუცილებელია, თორემ ხალხი ხელმწიფეს არ დაემორჩილება.

— არავითარი ხელმწიფე არ გამაგონოთ! ეს სიტყვა დესპოტიას მაგონებს, რომელიც ისევე მძულს, როგორც მონობა.

— მაშინ რა გსურთ? თუ გინდათ, რომ ერთი მართავდეს, ხელმწიფის გარდა სხვა ვინ უნდა იყოს?

— მე მინდა, რომ ის თავისუფალ ხალხს ხელმძღვანელობდეს; იგი იყოს მეთაური და არა თვითმპყრობელი ხელმწიფე.

— ამაზე ადისონი გიპასუხებდათ, რომ მსგავსი მმართველი ბუნებაში არ არსებობს. მე ვეთანხმები გობსს, ორი ბოროტებიდან ნაკლები ბოროტება უნდა ავირჩიოთო, რომ ამბობს. ცრურწმენის გარეშე ხალხი ფილოსოფოსობას დაიწყებს, ფილოსოფოსებს კი მორჩილება არ სურთ. მხოლოდ დაჩაგრული, დათრგუნული, ბორკილგაყრილი ხალხია ბედნიერი.

— თქვენ რომ ჩემი თხზულებები წაგეკითხათ, დაინახავდით, რომ ცრუმორწმუნეობა მეფეთა მტერია.

— რომ წამეკითხა? წაკითხულიც მაქვს და მრავალჯერ გადაკითხულიც, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც არ ვეთანხმები. თქვენი მთავარი ვნება კაცობრიობის სიყვარულია. „Et ubi peccas" („და მით სცოდავთ". ლათ.) სიყვარული გაბრმავებთ. გიყვარდეთ ადამიანთა მოდგმა, მაგრამ გიყვარდეთ ისეთი, როგორიც არის: მას არ ძალუძს თქვენი სიკეთის მიღება. მისი უშურველი გაცემით ადამიანებს აუბედურებთ, წინანდელზე უფრო აბოროტებთ. დაუტოვეთ მათ თავისი მძვინვარე მხეცი. იგი ძალიან უყვართ. არასოდეს იმდენი არ მიცინია, რამდენიც დონ კიხოტის შესახებ დაბაზე, როცა იგი გაჭირვებით იგერიებდა კატორღელებს, რომლებიც დიდსულოვნად გაათავისუფლა.

— ვენეციაში თავისუფალნი ხართ?

— რამდენადაც ეს არისტოკრატული მმართველობის პირობებში შეიძლება. ჩვენ ინგლისელებთან შედარებით ნაკ-

ლები თავისუფლება გვაქვს, მაგრამ კმაყოფილნი ვართ. მაგალითად, ჩემი დატუსაღება ყველაზე აშკარა თვითნებობა იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ მე თვითონ ბოროტად ვისარგებლე ჩემი თავისუფლებით. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ისინი მართლები იყვნენ, როცა სათანადო ფორმალობების დაუცველად ციხეში გამგზავნეს.

— აი ამიტომაც. ვენეციაში თავისუფალი არავინ არის.

— შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ დამეთანხმეთ: იმისათვის, რომ თავისუფალი იყო, საჭიროა შენ თვითონ გრძნობდე თავს თავისუფლად.

— ასე იოლად ვერ დამარწმუნებთ. სახელმწიფოს მმართველი არისტოკრატებიც კი არ არიან თავისუფალნი, რადგან უნებართვოდ მოგზაურობაც არ შეუძლიათ.

— მათ თვითვე დაუყენეს კანონი საკუთარ თავზე მაღლა, რათა თავიანთი მეუფება შეეზღუდათ. განა არათავისუფლად მიიჩნევთ ბერნელ ადამიანს, რომელიც ფუფუნების წინააღმდეგ კანონს ემოიჩილება? ის ხომ თვითონვეა კანონმდებელი?

საუბრის თემა რომ შეეცვალა, მკითხა, საიდან ჩამოხვედითო.

— რომიდან. ძალიან მეწყინებოდა, შვეიცარიიდან ბატონ გალერის უნახავად რომ წავედიყავი. თავს მოვალედ ვთვლი, თანამედროვე სწავლულება ჩემი პატივისცემა დავუდასტურო. თქვენთან შეხვედრა ბოლოსათვის დავტოვე, როგორც ნუგბარი.

— ბატონი გალერი უნდა მოგწონებოდათ.

— მასთან სამი საოცარი დღე გავატარე.

— მომილოცავს. ეს დიდი ადამიანი თაყვანისცემის ღირსია.

— გეთანხმებით. თქვენ მას სამართლიანად აქებთ. და მე იგი ძალიან მებრალება, რადგან თქვენებრ მოუკერძოებელი არ არის.

— ოჰ, ოჰ! შესაძლებელია, რომ ჩვენ ორივენი ვცდებით.

ამ უეცარ მოსწრებულ პასუხზე ირგვლივ ტაში შემოჰკრეს.

ლიტერატურაზე მეტი აღარ გვისაუბრია და ბატონ დე ვოლტერის წაბრძანებამდე მუნჯივით ვიჯექი.

წამოვედი იმით კმაყოფილი, რომ ასეთ ათლეტთან თანაბარი შერკინება შევძელი. მაგრამ მის მიმართ რაღაცნაირი მტრული გრძნობაც დამრჩა, რომელიც ზედიზედ ათი წლის განმავლობაში მაიძულებდა, რომ ყველაფერი, რაც ამ დიდი ადამიანის ხელით იყო შექმნილი, დაუნდობლად მეკრიტიკებინა. ახლა ვნანობ ამას, თუმცა ბევრი ჩემი მაშინდელი შეფასება ახლაც საფუძვლიანად მიმაჩნია. აჯობებდა გავჩუმებულიყავ, მისთვის პატივი მეცა და საკუთარი შეხედულებები არ გამემხილა. შესაძლოა, ზოგიერთი მისი მწარე დაცინვა რომ არ მწყენოდა, ასე არ გამემეტებინა. მაგრამ განრისხებულ ადამიანს თავი ყოველთვის მართალი ჰგონია. შთამომავლობა, ჩემს მაშინდელ ჩანაწერებს რომ წაიკითხავს, ზოილების ჯილაგში ჩამრიცხავს და ახლანდელ მონანიებას ყურადღებასაც არ მიაქცევს.

ღამისა და მეორე დღის დიდი ნაწილი ვოლტერთან საუბრების ჩაწერას მოვანდომე. საღამოს სინდიკმა შემომიარა და თავის გოგოებთან სავახშმოდ წამიყვანა.

ერთად გატარებული ხუთი საათის განმავლობაში ათასგვარი სიგიჟე ჩავიდინეთ. განშორებისას შევპირდი, რომ რომიდან დაბრუნებული აუცილებლად სამივეს ვინახულებდი და მიცემული სიტყვა კიდეც შევასრულე.

მეორე დღეს ენენვიდან გავემგზავრე.

ქალბატონ დ'იურფესთან შეხვედრის დაწვრილებითი აღწერით მკითხველს თავს არ შევაწყენ, რამეთუ ყველაზე ცრუ და თვალთმაქცური მოძღვრებებით ტვინარეული ააბრალო ქალის მსჯელობებიდან დალაგებული აზრის გამოტანა ყოვლად შეუძლებელი გახლდათ, ჩემს ლაპარაკში კი იმართლის ნატამალიც არ ერია. მე ყოველგვარ სიამოვნებას ლაღად ვეძლეოდი, სიცოცხლე მიყვარდა და ქალის ბოდვების ჩემს სასარგებლოდ გამოყენება სულაც არ მრცხვენოდა — მას ხომ მხოლოდ ის სურდა, რომ ვინმეს გაესულელებინა. ვერჩია, ეს კინმე მე ვყოფილიყავი და ამიტომ კომედიას კთამაშობდი.

უპირველეს ყოვლისა, მკითხა, კვერლინტი სად არისო და როცა გაიგო, რომ ტრაქტირში აღარ აყო, გაოცდა.

— ესე იგი, ის გარდამსახავს! ძირს ყოველგვარი ყოყმანი! ჩემი გენია დღემუდამ ამას ჩამჩიჩინებს. ჰკითხეთ პარა-

ლისს, ჩემი ძღვენი ღირსია თუ არა იმისა, რომ როზენკრეიცერების მეთაურმა იგი სერამიდას ხელით მიიღოს.

არ ვიცოდი რა ძღვენზე ლაპარაკობდა, მის ჩვენებებსაც ვერ ვთხოვდი და ამიტომ ვუპასუხე, რომ იგი ჯერ პლანეტარულ საათებში უნდა ეკურთხებინა ისე რომ კვერილინტს ნაწახი არ ჰქონოდა. ეს რომ მოისმინა, მაშინვე მეზობელ ოთახში გამიყვანა, სადაც სეკრეტერიდან შვიდი შეკვრა ამოიღო, რომელიც როზენკრეიცერს შვიდი პლანეტის ზვარაკად უნდა მიეღო. ყოველ შეკვრაში რომელიმე პლანეტის თანადი შვიდფუნტიანი ლითონი და შვიდკარატიანი ძვირფასი ქვა იდო.

განვუცხადე, რომ ყველაფერში პარალისის მითითებებს უნდა მივყოლოდით და კურთხევას შევუდექი — შესაწირავი საგანგებოდ დამზადებულ კოლოფში მოვათავსე. დღეში მხოლოდ ერთი მათგანი უნდა გვეკურთხებინა და მზისაგან უნდა დაგვეწყო. რიტუალს ერთი კვირა მოუნდა. შემდეგ კაბალისტიკა დავიწყე, მარკიზას, კი ციფრები ასოებად გადაჰყავდა. ორაკულმა გვაუწყა, რომ შვიდმა სალამანდრამ ჭეშმარიტი კვერილინტი ირმის ნახტომის თანავარსკვლავედში წაიყვანა, ამიტომ სერამიდა მე უნდა გამენაყოფიერებინა და ეს რიტუალის დასრულებიდან ორი დღის შემდეგ უნდა მომხდარიყო, როცა მშვენიერი უნდინა გაგვბანდა იმ ოთახში, სადაც ახლა ვიმყოფებოდით. თვით კვერილინტი ჩამომიგზავნიდა ირმის ნახტომის ძალას და გარდასახვა ბედნიერად აღსრულდებოდა.

ძვირფასი სერამიდას განაყოფიერება რომ ვიკისრე, იმაზე დავფიქრდი, ტყუილუბრალოდ რატომ უნდა გავრისკო-მეთქი. მარკიზა სანდომიანი, მაგრამ ხნიერი ქალი იყო. შეიძლება ისე მომხდარიყო, რომ ჭისთვის დენთი არ მყოფნოდა — ოცდათვრამეტი წლის კაცისათვის ეს საკვლევი მოსალოდნელი საფრთხე გახლდათ. ამიტომ მთვარის ჩამოგზავნილი მშვენიერი უნდინას როლი მარკოლინას ვარგუნე, იგი განბანვის დროს მამაკაცური ძალების აღზევებაში უნდა დამხმარებოდა. მარკოლინას უნარი კი წამითაც არ მეეჭვებოდა. მკითხველი დაინახავს, როგორ მოვახერხე მისი მთვარიდან ჩამოშვება.

მარკოლინამ კომედიის თეატრში წაყვანა მთხოვა. შევპირდი, რომ მეორე კვირას წავიყვანდი.

— რადგან ახლა, — ვუთხარი მე, — ერთი მაგიური ოპე-

რაცია მაქვს ჩასატარებელი და თეატრისათვის არ მცალია. შენი დახმარებაც დამჭირდება. ბიჭურად გამოწყობილი მარკიზას წინაშე წარსდგები და წერილს გადასცემ. ხომ არ შეგეშინდება?

— არა. შენც ხომ იქ იქნები?

— კი. ის ლაპარაკს დაგიწყებს, მაგრამ შენ ფრანგული არ იცი და ვერ უპასუხებ, ამიტომ მუნჯობას გაითამაშებ. წერილშიც ეს იქნება ნათქვამი. კიდევ ეწერება, რომ შენ განბანვაში დაგვეხმარები. როცა მარკიზა გიბრძანებს, ტანთ გახდი, მთლად გააშიშვლებ, შენც გაშიშვლდები. და ფეხის თითებიდან თეძოებამდე დაზელ. ამასობაში მე მარკიზას მაგრად ჩავეხუტები, შენ კი ერთხანს მხოლოდ გვეფერები და ხვას არაფერს გააკეთებ. როცა მოვცილდები, შენ შენი ალერსიანი და სათუთი ხელებით მას სასიყვარულო ადგილებს ჩამოპბან და კარგად გაამშრალებ. შემდეგ მეც ასეთივე სამსახურს გამიწევ და მეორეჯერაც მაგრად ჩავეხუტები. ამის შემდეგაც ჯერ მას განბან, მერე — მე და ფლორენციული კოცნებით გამიპატიოსნებ ერთ ინსტრუმენტს, რომლითაც მარკიზას ჩემს გრძნობებს არაორაზროვნად გავუმჟღავნებ. შემდეგ მესამეჯერ ჩავეხუტები. აქ უკვე ორივეს დაგვეხმარები და ორთაბრძოლის დამთავრებამდე ალერსს არ მოგვაკლებ. როცა განწმენდის რიტუალს უკანასკნელად აღასრულებ, გაგვამშრალებ, ჩაიცვამ, აიღებ იმას, რასაც მარკიზა მოგცემს და აქ დაბრუნდები. ერთი საათის შემდეგ მეც მოვალ.

— რასაც მეუბნები, ყველაფერს შევასრულებ, მაგრამ იცოდე, რომ ეს ძალიან ძვირად დამიჯდება.

— მე კი კარგ დღეში ვიქნები? სულ შენი სურვილი მექნება და არა იმ ბებრუხანასი, რომელსაც მალე იხილავ.

— მართლა ბებერია?

— საცაა სამოცდაათს მიუკაკუნებს.

— რას ამბობ! საბრალო ჯაკომეტო! იქედან ჩემთან მოხვალ და ერთად დაეძინებთ?

— რა თქმა უნდა.

— კარგი. ნახვამდის.

მარკოლინას მწვანე ხავერდის ქურთუკი და ასეთივე შარვალი შეუკერეს. მე მწვანე წინდები, ტარსიკონის ფეხსაცმე-

ლი და ხელთათმანი ვუყიდე. შავი, ფუმფულა თმა ესპანური ყაიდის მწვანე ბადურაში შეიკეცა და ამგვარად გამოწყობილი ისეთი თვალწარმტაცი იყო, რომ მარსელის ქუჩებში ყველა ფეხდაფეხ აედევნებოდა, რამეთუ ერთი ვერსის სიშორიდანაც კი ჩანდა, ქალი რომ იყო და არა ვაჟი.

შაბათს ყველა წესის აღსრულება მოვათავეთ და ორაკულის მითითებით სერამიდას გარდასახვა სამშაბათისათვის დავნიშნე. ორშაბათ ღამით, მთვარის საათი რომ დადგა, ქალბატონი დ'იურფე ზღვის ნაპირას მივიყვანე. სელენასადმი მხურვალე ლოცვები აღვავლინეთ და თან წამოღებული სამსხვერპლო კოლოფი ზღვაში მოვისროლე, რამაც ქალბატონი ძალიან გაახარა, უფრო მეტად კი — მე, რადგანაც კოლოფში მხოლოდ ორმოცდაათი ფუნტი ტყვია იდო. ნამდვილი განძით სავსე მეორე ამდაგვარი კოლოფი კი ჩემს საძინებელ ოთახში განისვენებდა. შემდეგ ტრაქტირში დავბრუნდით, სადაც მარკიზა დავტოვე და დავუბარე, რომ მშვიდად დამლოდებოდა.

მარკოლინასთან მივედი და ვიდრე ის იკაზმებოდა, რომაული შაბით თეთრ ქაღალდზე დავწერე: „მე მეუნკი ვარ, მაგრამ ყველაფერი მესმის. მე დავტოვე რონა, რათა თქვენ განგზანოთ. ჟამი დადგა“.

— აი, ეს წერილი, — ვუთხარი მარკოლინა, — წეხვედრისთანავე მარკიზას გადაეცი.

ოთახიდან შეუმჩნეველად გავედით, ტრაქტირში შევბრუნდით და მარკოლინა კარადაში დავმალე. ხალათი ჩავიცვი და მარკიზასთან შევედი, რათა მეუწყებინა, რომ სელენას მითითებით გარდასახვა ხვალ სამ საათამდე უნდა დაწყებულიყო და ექვსამდე უნდა დამთავრებულიყო.

— განკარგულება გაეცით, ქალბატონო, რომ ხვალ ნასადილევს თქვენს საწოლთან წყლიანი ვარცლი დადგან, ბრუნიოლი კი დალამებამდე არ შემოვიდეს.

— მთელი დღით დავითხოვ.

შემდეგ მაკოცა და მითხრა:

— ხვალ, ძვირფასო გალტინარდო, ჩემი ქმარი და მამა გახდებით, დაე, სწავლულებმა თავი იმტვრიონ ამ საიდუმლოს ამოხსნაზე.

კარს ვხურავ. უნდინა კარადიდან გამომყავს, ის ტანთ იხ-

დის და ლოგინში მიწვება. შეგნებული ჰქონდა, რომ ჩემი ძალები უნდა დაეზოგა, ამიტომ მთელი ღამე მშვიდად გვეძინა და ერთმანეთისათვის არც შეგვიხედავს. დილით გაკვეთილი თავიდან ბოლომდე გავამეორებინე, ვურჩიე, რომ მბიარული და ალერსიანი ყოფილიყო, უნდა ხსომებოდა, რომ მუნჯი იყო და-არა ყრუ, ზუსტად სამ საათზე შემოსულიყო, მარკიზას წინაშე მუხლი მოეყარა და ქალალდი მიეწოდებინა.

თორმეტ საათზე მარკიზას ოთახში შევედი და საწოლთან ორ მესამედზე წყლით შევსებული ვარცლი დავინახე. ორი თუ სამი წუთის შემდეგ უნატიფეს მაქმანის მოსასხამსა და ძველმოდური ძვირფას კაბაში გამოწყობილი მარკიზაც გამოჩნდა. მკერდზე, რომლის უმჯობესი ორმოცი წლის წინ მთელს საფრანგეთში არა იყო რა, აბრეშუმის აეურული თავსაფარი ეფინა, ყურებზე ზურმუხტის საყურეები, ყელზე კი წმინდა წყლის ზურმუხტით შემკული შვიდი აქვამარინის ყელსაბამი ეკეთა, რომლის ძეწკვი თვრამეტი თუ ოცი კარატნახევრიანი ბრილიანტისაგან შედგებოდა. თითზე ჩემთვის კარგად ნაცნობი კარბუნკული უელავდა — თვითონ მილიონად აფასებდა, მაგრამ ვიცოდი, რომ რიოში იყო. სხვა ქვები კი, რომლებიც აქამდე არ მენახა, როგორც შემდეგ დავრწმუნდი, ნამდვილად ძვირფასი იყო.

აგრერიგად მორთულ-მოკაზმული სერამიდა რომ დავინახე, მივხვდი, რომ მისი პატივმოყვარეობისათვის ხარკი უნდა მომეხადა და მუხლმოყრილმა ხელზე ამბორი დავუპირე, მაგრამ არ დამანება და თვითონ მომეხვია. სადილის მორთმევამდე საუბარი გავაბით.

მარტო კლერმონი გვემსახურებოდა. მარკიზამ თევზის გარდა არაფერი ისურვა. ორის ნახევარზე კლერმონს ვუბრძანე, ყველა კარი ჩაეკეტა და ექვს საათამდე სასეირნოდ წასულიყო. ქალბატონს მღელვარება დაეუფლა. მეც მოუთმენლობის ნიშნებს ვამჟღავნებდი, საათს დავცქეროდი და ერთსა და იმავეს ვიმეორებდი:

— ახლა მარსის საათია, ეზის საათი ჯერ არ დამდგარა.

როგორც იქნა, სამის ნახევარმა ჩამორეკა და ორი თუ სამი წუთის შემდეგ მომხიბლავი უნდინაც გამოგვეცხადა, სერამიდას ღიმილით მიუახლოვდა, მუხლზე დაეშვა და ფურცელი

გაუწოდა. რაკი დაინახა, რომ ადგომას არ ვაპირებდი, არც მარკიზა წამომდგარა, მაგრამ სტიქიის სული წამოაყენა, ქაღალდი გამოართვა და გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ იგი ორივე მხარეს სუფთა იყო. მაშინვე კალამი მივაწოდე. ის მიხვდა, რომ ორაკულისაგან რჩევა უნდა მიეღო და ჰკითხა, ეს რა ქაღალდიაო. მე კალამი გამოვართვი, შეკითხვა რიცხვით პირამიდად გარდავსახე, მარკიზამ კი გაშიფრა და ასეთი პასუხი მიიღო: „წყალში წერილი წყალშივე იკითხება“.

— ყველაფერი ნათელია, — თქვა მან, ადგა, აბაზანასთან მივიდა, ფურცელი შიგ ჩაუშვა და ქაღალდზე უფრო თეთრი ასოებით ამოიკითხა: „მუნჯი ვარ, მაგრამ ყველაფერი მესმის. მე დავტოვე რონა, რათა თქვენ განგბანოთ. ეამი დადგა“.

— მაშ, განმბანე, საოცარო სულო! — წარმოთქვა სერამიდამ, ქაღალდი მაგიდაზე დადო და სარეცელზე დაეშვა.

მაშინ მარკოლინამ ჯერ წინდები გახადა, შემდეგ — კაბა, შემდეგ პერანგი, ფეხები ვარცლში ნაზად ჩააყოფინა, თვალისდახამხამებაში თვითონაც სამოსისაგან განიძარცვა და მუხლამდე წყალში ჩადგა, მე კი ჩემი ხელით გავიხადე და სულს შევეევედრე, რომ ყოფილიყო ღვთიური მოწმე ჩვენი შეერთებისა, სალამანდრების მეფის, უკვდავი ორომაზისის სადიდებლად.

ეს წარმოვთქვი თუ არა, მუნჯმა, მაგრამ მახვილსმენიანმა უნდინამ ჩემი ვედრება ყურად იღო და მე, მარკოლინას მშვენებით აღტაცებულმა, შევიცან სერამიდა.

მარკიზა საამისოდ ჯერ კიდევ ვარგოდა, მაგრამ ისეთი იყო, როგორიც ახლა მე ვარ, ამიტომ უუნდინოდ ეს რიტუალი ვერ აღსრულდებოდა. სერამიდა ნაზი, ალერსიანი, გულმისასვლელი ქალი იყო და რაიმე ზიზღის მაგვარი გრძნობა სულაც არ განმიცდია.

— ახლა ვენერას ეამს დაველოდოთ, — წარმოვთქვი მე.

უნდინამ სიყვარულის კვალი ჩამოგვბანა, ჩემს თანამეცხედრეს მოეხვია, ბარძაყები დაუსუფთავა, მიეფერა, დაჰკოცნა, შემდეგ კი მეც ასევე მომექცა. სერამიდა ბედნიერებისაგან ცაში დაფრინავდა, აღტაცებული შეჰყურებდა ღვთიური არსების ტურფა ნაკვთებს და ამ მშვენიერებით ტკბობისათვის მიწვევდა. შემდეგ ვენერას ეამიც დადგა და უნდინათი აღგზ-

ნებული მეორე, უფრო ხანგრძლივ შეტევაზე გადავედი. ნახევარ საათს დაუცხრომლად ვიბრძოდი, ხვითქი გადამასკდა, სერამიდასაც სიქა გავაცალე, მაგრამ ვერა და ვერ გავათავე, თვალთმაქცობა კი არ მინდოდა. სერამიდა გაწუწული თმებიდან ჩამოღვრილ ოფლს მიმშრალებდა, უნდინა მთელი არსებით მეფერებოდა და მიხრწნილი სხეულის შეხებისას დაკარგულ ძალებს მიბრუნებდა, მაგრამ ბუნებამ ჩემს მიერ მიზნის მისაღწევად არჩეული უვარგისი ხერხები საბოლოოდ უარყო. ერთი საათის ჯახირის შემდეგ გადავწყვიტე, ამ საშარცხვინო ფარსისათვის ბოლო მომეღო და ბედნიერი დასასრულის ყველა ჩვეული ნიშანი გამოვსახე, ბრძოლის ველიდან გამარჯვებული და ძალ-ღონე შენარჩუნებული გამოვედი და მარკიზას ჩემს სიყოჩაღეში დაეჭვების საშუალება არ მივეცი.

მარკოლინაც კი მოტყუვდა. რიტუალის მესამე საათი დაიწყო და ახლა მერკურისათვის ხარკის გადახდაც გვმართებდა. წელამდე წყალში ვისხედით. უნდინა სერამიდას ისეთი ალერსით ეჯადოებდა, რომლის მაგვარსაც თვით ჰერცოგი ორლეანელიც არ ღირსებია. მარკიზამ მისი საქციელი მდინარის სულთათვის ჩვეულ თვისებად მიიჩნია და აღტაცებას ვერ მალავდა. მადლერებით აღსავსემ ნეტარების მომნიშვნელ არსებას სთხოვა, რომ თავისი ნიჭით მეც დავეტაბე, და აქ მარკოლინამ დიდებულად გამოაკლინა ყველა ის უნარი, რითაც განთქმულნი არიან ვენეციური სკოლის აღსრდილები. იგი ლესბოსელ ქალად იქცა და როცა ჩემი მორიგი შემართების მოწმობა დაინახა, მერკურისათვის ხარკის მოსახდელად წამაქეზა. მაგრამ ისევ ის განმეორდა: დიდი ჭექა-ქუხილი ავტეხე, მაგრამ წვიმა ვერა და ვერ მოვიყვანე. ჩემი ამაო ქიჩმაჩი უნდინას გულს უკლავდა, სერამიდა კი რიტუალის დამთავრებაზე ოცნებობდა, მეტის გაგრძელება არც მე შემეძლო და ისევ მოჩვენებითი აგონია და ნეტარების კრუნჩხვები გამოვსახე, რაც სერამიდამ, როგორც შემდეგ მითხრა, სამაგალითოდ მიიჩნია.

ცოტა ხნის შემდეგ სულის მობრუნების სცენაც გავითამაშე, საბანაოში მევედი და დავიბანე. მარკოლინა მარკიზას ეხმარებოდა. ბავშვი ვენიით შთაგონებულმა სერამიდამ ყელსაბამი მოიხსნა და ტერფა მობანავეს ელამაზეს ყელზე შეაბნია. მარკოლინამ ფლორენციული კოცნა უძღვნა, გაიქცა

და კარადაში დაიმალა. სერაფიდამ ორაკულს ჰკითხა, წარმატებით დასრულდა თუ არა ესე ქმედება. ამ შეკითხვით შეცბუნებულმა სასწრაფოდ ვუპასუხე, რომ მზიურმა თესლმა მის სულში შეაღწია და თებერვლის დამდეგს მამრობითი სქესის არსებად გარდასახულ თავისსავე თავს შობდა. ამასათვის კი შვიდი საათის განმავლობაში ლოგინიდან არ უნდა ამდგარიყო.

ბედნიერებით აღსავსე ქალმა ეს დავალება დგთიფრი ნების გამოვლინებად ჩათვალა. ვაკოცე და ვეთხარი, რომ ღამეს ქალაქგარეთ გავატარებდი, რათა მთვარის რიტუალის აღსრულების შემდეგ დარჩენილი წამლები წამომეღო ხვალ კი ზასთან ვისადილებდი.

რვის ნახევრამდე მარკოლინასთან ვნებივრობდი და ღამის დადგომას ველოდი, რომ შეუმჩნეველად გავპარულიყავით. ლამაზი საქორწილო სამოსი გავიხადე, ფრაკი ჩავიცვი და მარკოლინა ფიაკრით სახლში მივიყვანე. თან წამოვიღე ზეციური ძღვენით სავსე ყუთი, რომელიც პატიოსანი შრომით დაგიმსახურე. ორივენი შიმშილით ვკვდებოდით, მაგრამ საუცხოო ვახშამი სასიცოცხლო ძალების აღდგენას გვპირდებოდა. მარკოლინამ მწვანე ქუთუკი გაიძრო, კაბა ჩაიცვა და ბრწყინვალე ყელსაბამი გადმომცა.

— ამას გავყიდი, ჩემო საყვარელო და ფულს მოგცემ, — ვუთხარი მე.

— ნეტავი რა ეღირება?

არანაკლებ ათასი ცეხინისა. შენ ვენეციაში ხუთი ათასი დუკატის მფლობელად დაბრუნდები, ვინმე წესიერ კაცს გაჰყევები და არხეინად იცხოვრებთ.

— ჩემო მეგობარო, ამ ხუთი ათასსაც შენ მოგცემ, ოღონდ თან წამიყვანე. სიცოცხლეზე უფრო მეყვარები, შვილივით მოგიელი, განებივრებ და არასოდეს ეჭვიანობით არ შეგაწუხებ.

ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ, ჩემო ანგელოზო, ახლა კი, რაკი საკმაოდ მოვღონიერდით, ლოგინს მივაშუროთ, ისე მინდიხარ, როგორც არასდროს.

— დაღლილი არ ხარ?

— დაღლილი ვარ, მაგრამ არა სიყვარულით, რადგან, კიდევ კარგი, მხოლოდ ერთხელ შევძელი.

— მე ორჯერ მომეჩვენა. რა საყვარელი დედაბერია! ჯერ

კიდევ სასიამოვნოდ გამოიყურება. ორმოცდაათი წლის წინ, ალბათ, საფრანგეთის უპირველესი ქალი იქნებოდა. მაგრამ სიბერე სიყვარულის მტერია.

— შენ მაგრად ალმაგზნებდი, ის კი უფრო მაგრად მაციკებდა.

— შენ რა, როცა მას ესიყვარულები, ყოველთვის ყმაწვილ ქალს წარმოიდგენ ხოლმე?

— სულაც არა. ადრე მისთვის მამრობითი სქესის ბავშვის გაკეთება არასოდეს დამჭირვებია.

— ესე იგი, შვილის გასაკეთებლად იმუხტებოდი? ოჰ, მიშველეთ, თორემ სიცილით მოვკვდები! მართლა სჯერავს, რომ დაორსულდება?

— რა თქმა უნდა.

— სეირი თუ გინდა, ეს არის! მაგრამ ამისათვის სამჯერ დამუხტვა რა სისულელეა?

— მეგონა, რომ შენი ყურებით ამას იოლად შეეძლებდი, მაგრამ მოვტყუვდი. ხელით დაჩაჩანაკებულ ხორცს ვეხებოდი, თვალით კი მშვენიერებას ვუყურებდი და ნეტარების წამი არა და არ დგებოდა. ამალამ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში დაგარწმუნებ. ცოცხლად, ლოგინში! შენ გეუბნებიან!

— მივფრინავ!

კონტრასტის ძალა ისე დიდი იყო, რომ პარმაში ჰენრიეტასთან და მურანოში მ. მ.-სთან გატარებული ღამეები გამახსენდა. თოთხმეტ საათს ლოგინიდან არ ავმდგარვართ და ამათგან ოთხი სიყვარულს მივუძღვენით. მარკოლინას ვუთხარი, სათეატროდ გამოწყობილიყო და წარმოდგენის დაწყებამდე დამლოდებოდა. ამაზე დიდ სიამოვნებას ვერც მივანიჭებდი.

ქალბატონი დ'იურფე ლოგინში მწოლარე დამხვდა — მორთულ-მოკაზმული, ქალიშვილურად დავარცხნილი და ისეთი კმაყოფილი, როგორიც მანამდე არასოდეს მენახა. განმიცხადა, რომ ჩემგან დიდად დავალებული იყო და თავის უგონო იდეების სავსებით გონივრულად ჩამოყალიბება დაიწყო:

— დაქორწინდით ჩემზე, — მითხრა მან, — ჩემი შვილის მეურვე იქნებით და ამით ქონებასაც შემინარჩუნებთ. ყველაფერი თქვენი იქნება, რაც ჩემი ძმისაგან მემკვიდრეობით უნდა

მივიღო. იგი უკვე ძალიან ბებერია და დიდი დღე არ უწერია; თუ თქვენ არ იზრუნებთ ჩემზე, თებერვლის თვეში რომ მამაკაცის სახით ავღორძინდები, სხვამ ვინ უნდა იზრუნოს? ღმერთმა უწყის, ვის ხელში მოვხვდები. უკანონოდ შობილად ჩამთვლიან, ოთხმოცი ათას რენტას წამართმევენ, თქვენ კი შეგიძლიათ ყველაფერი უკლებლივ შეინარჩუნოთ. კარგად დაფიქრდით, გალტინარდო. მე უკვე ჩემს არსებაში თავს მამაკაცად ვგრძნობ და გამოგიტყდებით, რომ უნდინაზე შეყვარებული ვარ. მინდა ვიცოდე, თოთხმეტი ან თხუთმეტი წლის შემდეგ მასთან დაწოლა თუ შემეძლება. რატომაც არ უნდა შემეძლოს, თუ ორომაზისი ამის ნებას დაგვრთავს? რა წარმტაცი არსებაა! ვინახავთ სადმე ამისთანა მზეთუნახავი? რა სამწუხაროა, რომ ვერ ლაპარაკობს. ალბათ, მისი შეყვარებულიც წყლის სულია. ჰო, რა თქმა უნდა, ყველა წყლის სული შუნჯია. აბა, წყალში ხომ ვერ დაილაპარაკებს. უცნაურია, ყრუც რომ არ არის. მიკვირდა, რომ არ ეკარებოდით. წარმოუდგენლად ნაზი კანი აქვს. წყლის სულები ნიშნებით ლაპარაკობენ. მათი ენის შესწავლა შეიძლება. როგორ მინდა მასთან ლაპარაკი! გთხოვთ, დაეთათბირეთ ორაკულს, ჰკითხეთ, როდის უნდა ვიმშობიაარო. თუ ჩემი ცოლად შერთვა არ შეგიძლიათ, მაშინ, ალბათ, ყველაფერი უნდა გაეყიდო, რათა მომავალი უზრუნველყოფილი მექნეს. ბავშვობაში ხომ არაფერი მეცოდინება და განათლების მისაღებად ფული დამჭირდება. ყველაფრის გაყიდვით უზარმაზარი რენტის შეძენა შეიძლება. სანდო კაცს ჩავაბარებ და ყველა ჩემი საჭიროებისათვის პროცენტებიც კი მეყოფა.

ვუპასუხე, რომ ჩვენი ერთადერთი წინამძღოლი და გზის მაჩვენებელი ორაკული იქნებოდა და მე ვერაფრით ვერ მოვითმენდი, რომ ის უკანონოდ შობილად მიეჩნიათ, როცა სქესს შეიცვლიდა და ჩემი კაი ვაჟდებოდა. ამან დაამშვიდა. მისი მსჯელობა უაღრესად სამართლიანი იყო, მაგრამ უაზრობას ეფუძნებოდა და ჩემში მხოლოდ სიბრალულს იწვევდა. თუ რომელიმე მკითხველი იტყვის, რომ მე, როგორც პატიოსანი ადამიანი, ვალდებული ვიყავი საბრალო ქალი გადამერწმუნებინა, ვუპასუხებ, რომ ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ რომც შემძლებოდა, მაინც არ ვიზამდი, რათა უბედურ

ქალად არ მექცია. ისეთს, როგორიც ის იყო, მხოლოდ ქიმერული ოცნებებით არსებობა შეეძლო.

ჩემი ყველაზე პეწიანი ფრაკი ჩავიცვი და მარკოლინა, პირველად თავის სიცოცხლეში, თეატრში წავიყვანე. მოხდა ისე, რომ რომის ელჩის რანგონის ქალიშვილები ჩვენს ლოჟაში აღმოჩნდნენ. მე მათ მარსელიდან ვიცნობდი და მარკელიჩა ჩემს ბიძაშვილა წარვუდგინე.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში მარკოლინა უმცროს რანგონისთან ლაქლაქებდა, რომელმაც ბოლოს ორივენი თავის სახლში მიგვიწვია, მაგრამ მე ბოდიშის მოხდით დავეთხოვე, რადგან ქალბატონ დ'იურფესთან უნდა მივსულიყავი და როგორმე მისი ლიონში გამგზავრების საქმე მომეგვარებინა — მარსელში უკვე აღარ მჭირდებოდა და მხოლოდ ხელს ვაშლიდა.

გარდასახვიდან "ესამე დღეს დ'იურფემ მთხოვა პარალისისაგან გამეგო, სად უნდა მომზადებულიყო სიკვდილისათვის, ესე იგი, მშობიარობისათვის, და ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გავუშვებდი. ისეთი პასუხი გამოვიყვანე, რომელიც ავალებდა, რომ ორი მდინარის შესართავზე ერთი საათის განმავლობაში წყლის სულთა თაყვანისცემის რიტუალი აღესრულებინა, რის შემდეგაც ყველაფერი გადაწყდებოდა. მე განგებ დავფიქრდი, თუ სად ერთვოდა ერთმანეთს ორი მდინარე და მას საშუალება მივეცი, თვითონვე ეთქვა, რომ ეს ადგილი ლიონი იყო, სადაც რონა და სონა ერთდებოდნენ. მაშინვე დავემოწმე და ლიონში წასვლა გადავწყვიტეთ. შემდეგ პარალისისაგან ისიც შევიტყვე, რომ რიტუალამდე ერთი კვირით ადრე ამ მდინარეებში თითო ბოთლი ზღვის წყალი უნდა ჩაგვეღვარა, რისი გაკეთებაც სერამიდას ნებსმიერ დღეს, პირველი მთვარის საათის დადგომისთანავე უჩემოდაც შეეძლო.

— ესე იგი, ბოთლები აქ უნდა აივსოს, რადგან ყველა სხვა ფრანგული პორტი საკმაოდ შორს მდებარეობს, — გადაწყვიტა ქალბატონმა დ'იურფემ, — როგორც კი ლოგინიდან ადგომას შეეძლებ, მაშინვე ლიონს გაეემგზავრები და იქ დაგელოდები.

მეორე დღეს ხმელთაშუა ზღვის წყლით სავსე ორი დაბეჭ-

დილი ბოთლი მივუტანე. შევთანხმდით, რომ თხუთმეტ მაისს ამ წყალს მდინარეებში ჩაღვრიდა, მე კი ორი კვირის განვლამდე ლიონში ჩავიდოდი. გაშგზავრება ზეგისათვის დავთქვით. მთვარის ყველა საათი ჩავუწერე და ავინიონში ღამის გასათევი ადგილიც ჩავუხაზე.

მისი გამგზავრების შემდეგ მარკოლინასთან გადავსახლდი. იმავე დღეს ოთხას სამოცი ლუიდორი გადავეცი. რამდენიმე დღის შემდეგ ქალბატონმა ოდიბერმა ვახშამზე მიმიწვია და ნება დამრთო, რომ მარკოლინაც მიმეყვანა. სუფრასთან ჭაბუკი ვინმე, მდიდარი ღვინის ვაჭარი, რომელსაც თავის დროზე ვენეციაში ერთი წელი ეცხოვრა, მარკოლინას მშვენიერებით მოიხიბლა. მე ბუნებით უკიდურესად ეჭვიანი კაცი ვარ, მაგრამ თუ შევატყე, რომ მეტოქეს შეუძლია ჩემს საყვარელს ბედნიერება მოუტანოს, ეჭვებს ვძლევ ხოლმე. ქალბატონ ოდიბერს ჭაბუკის ვინაობა გამოვკითხე და გავიგე, რომ იგი წესიერი ადამიანი ყოფილა, ასი ათას ეკიუს ჰფლობდა და მარსელსა და სეტში ღვინის სარდაფები ჰქონია.

მეორე დღეს თეატრში ვიყავით და ჭაბუკი ჩვენს ლოჟაში შემოვიდა. მარკოლინა გულთბილად და თავაზიანად შეხვდა და ეს ძალიან მესიამოვნა. სირაჯიც არაჩვეულებრივი სინაზითა და სიყვარულით ეპყრობოდა. წასვლისას ვთხოვე, რომ პატივი დაედო და შინ გვწვეოდა. შეგვპირდა. მარკოლინასთან მარტო რომ დავრჩი, გამარჯვება მივულოცე და განვუცხადე, რომ მალე მდიდარი ქალი გახდებოდა.

— თუ ჩემი თავიდან მოცილება გინდა, — წარმოთქვა მან, — ჯობს ვენეციაში გამგზავნო. გათხოვების არავითარი სურვილი არა მაქვს.

დამშვიდდი, ჩემო ანგელოზო, შენი მოშორება როგორ მენდომება? რა თქმაა ეს! განა ამის საბაბი ოდესმე მომიცია? ამ ლამაზ, მდიდარ, მოსაწონი საქციელის ახალგაზრდას უყვარხარ. მეჩვენება, რომ გულგრილი არც შენ უნდა იყო, და რადგან შენი ბედნიერება მსურს, ამ მომგებიანი პარტიის შესაძლებლობაზე მიგანიშნე. შენ კი ასეთ გულსატკენ სიტყვებს მეუბნები. ნუ ტირი, საყვარელო მარკოლინა, სულს ნუ მიფორიაქებ.

— იმიტომ ვტირი, რომ შენ გგონია, ის კაცი მიყვარს.

— კარგი, გეყოფა, მეტი აღარ მეგონება. დამშვიდდი და ლოგინში ჩავწვეთ.

ცრემლიდან თვალის დახამხამებაში სიცილსა და ალერსზე გადავიდა. და ღვინის ვაჭარი ალარც გვიხსენებია.

მეორე დღეს შეყვარებული ჭაბუკი ისევ ჩვენს ლოჟაში შემოვიდა და მარკოლინა თავაზიანად, მაგრამ თავდაჭერილად შეხვდა. მისი ვახშმად მიპატიჟება ამჯერად ველარ გავბედე. ჩემთვის უკვე ყველაფერი გარკვეული იყო.

მეორე დღეს ქალბატონი ოდიბერი გვეახლა და ვაჭრის მიწვევა გადმოგვცა. მაშინვე მარკოლინას მივმართე, რას იტყვიჰეთქი და მიპასუხა, რომ ქალბატონ ოდიბერის გვერდით ყოფნას ყველგან და ყოველთვის დიდ ბედნიერებად მიიჩნევდა. ამრიგად, სალამოს ვაჭარს ვეწვიეთ. ვიხილეთ მარტოხელა კაცის სახლი, რომელსაც დიასახლისის გარდა არაფერი აკლდა. საუცხოო ვახშმის დროს მანპინძელი მარკოლინას პირდაპირ თავს ევლებოდა. ქალმაც თავისი მხიარულებით, ზნეკეთილობითა და სანაქებო საქციელით პატიოსანი ჭაბუკის გულში ნამდვილი ცეცხლი ააგიზგიზა.

მეორე დღეს ქალბატონმა ოდიბერმა ბარათი გამომიგზავნა და მასთან მისვლა მთხოვა. მივედი და გაოცება ვერ დავმალე, როცა მითხრა, რომ ვაჭარი მარკოლინას ხელს მთხოვდა. დაუფიქრებლად ვუპასუხე, მოხარული ვარ და მზითევში ასი ათას კრუსაც გავატან, მაგრამ ამ საკითხზე მასთან დალაპარაკება არ შემიძლია-მეთქი.

— თქვენთან გამოვგზავნი, ქალბატონო, და თუ მის თანხმობას მიაღწევთ, მე ჩემს სიტყვას უთუოდ შევასრულებ. მაგრამ ნუ დამიმოწმებთ, თორემ ყველაფერი წახდება.

— მე თვითონ შემოვიელი, სადილად წავიყვან და სპექტაკლის დაწყების წინ დაგიბრუნებთ.

მეორე დღეს მოვიდა და მარკოლინა წაიყვანა. ხუთ საათზე მივაკითხე და ისეთ ჩინებულ გუნებაზე დამხვდა, რომ რა შეფიქრა არ ვიცოდი. ქალბატონ ოდიბერს სალაპარაკოდ გვერდზე არ გავუხმივარ, მასთან განმარტოება არც მე მიცდია და სპექტაკლის დაწყების დროისათვის მე და მარკოლინა წამოვედით. გზაში დიდი მონდომებით აქებდა ამ ქალის ზნეკეთილობას, მაგრამ საქმეზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მაგ-

რამ შუა სპექტაკლისას ყველაფერს მიეხვდი: ჭაბუკი ამფითეატრში დავინახე. ჩვენს ლოჟაში, სადაც ორი თავისუფალი ადგილი იყო, იმ საღამოს აღარ შემოსულა.

უნდა გენახათ მარკოლინას სიხარული, როცა ვახშამზე განსაკუთრებული სინაზითა და სიყვარულით ვექცეოდი. მხოლოდ ლოგინში სიამტკბილობისას მიამბო ქალბატონ ოდიბერთან საუბრის შინაარსი:

— მე მარტო ერთ რამეს ვპასუხობდი, რომ მხოლოდ მაშინ გავთხოვდებოდი, თუ ეს შენი ბრძანება იქნებოდა. მაგრამ მაინც მადლობელი ვარ იმ ასი ათასი ეკიუსათვის, მზითევში რომ მატანდი. შენ ყველაფერი მე ამკიდე, მე -კი — შენ. თუ ლონდონში ჩემი წაყვანა არ გინდა, მაშინ როცა ისურვებ, იმ წამსვე ვენეციაში წავალ. გათხოვებით კი არ გავთხოვდები. იმ ვაჟბატონს მეტად ველარ ვიხილავთ, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ძალზე სასიამოვნო ახალგაზრდაა. შენ რომ არ მყავდე, უსათუოდ შევიყვარებდი.

იმ დღიდან ჭაბუკზე მართლაც არაფერი გვსმენია.

...ლიონში საღამოხანს ჩავედი და მაშინვე ქალბატონ დ'იურფეს მივაშურე. მან ჩვეულებისამებრ განმიცხადა, რომ სწორედ დღეს და სწორედ ამ წუთას მელოდა. იმის გაგება სურდა, სწორად შეასრულა თუ არა რიტუალები და პარალისმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ძალიან მოუწონა, რაც ქალბატონს მეტის მეტად ეამა.

მეორე დღეს ერთობლივად ვილვაწეთ იმის გასაგებად, თუ რა გზას უნდა დავდგომოდით, რომ მშობიარობის შემდეგ შამაკაცის სახით აღორძინებული სერამიდა უპოვარი და მიუსაფარი არ დარჩენილიყო. ორაკულმა გადაწყვიტა, რომ იგი პარიზში უნდა მომკვდარიყო, ყველაფერი ვაჟისათვის ეანდერძებინა. მისი ნაშიერი არამც და არაც უკანონოდ შობილად არ ჩაითვლებოდა, რადგან პარალისმა აღუთქვა, რომ ლონდონში ჩასვლისთანავე მე მას ვინმე თავადს გავუგზავნიდი, რომელთანაც ჯვარს დაიწერდა. დასასრულ, ორაკულმა უბრძანა, რომ სამი დღის შემდეგ პარიზს გამგზავრებულიყო.

მე კი გზა ლონდონისაკენ მეჭირა.

...კალეში ჩავედი და „ოქროს ხელში“ დავბინავდი. მაშინ-ვე ლოგინში ჩავწექი ვენერიული მოწამლვით გაძლიერებულ-მა ციებ-ცხელებამ ისეთ დღეში ჩამაგდო, რომ კალეს საუკე-თესო ექიმმაც კი ჩემი გაძარჩენის იმედი საბოლოოდ გადა-იწურა. მეოთხეჯერ სისხლის გამოშვებამ უკანასკნელი ძალღონე გამრმაცალა და ძილად მიმაგდო, რასაც მხსნელი კრიზისი მოჰყვა და ამ ქვეყნისაკენ მომაბრუნა. მხოლოდ უმკაცრესი რეჟიმის წყალობით შევძელი ორი კვირის შემდეგ ფეხზე დად-გომა და გზის გაგრძელება.

მძიმე ავადმყოფობით დაძაბუნებული, დაბეჩავებული, გაყ-ვითლებული, დაწყლულებული, ზანგი მსახურისაგან დაღალა-ტებული და ლონდონიდან ექსორიაქმნილი საფოსტო კარე-ტაში ჩავჯექი და გეზი ბრიუსელისაკენ ავიღე. ვენეციაში წე-რილი ვაფრინე, რომ ლონდონში მისალები ასი ფუნტი სტერ-ლინგის თამასუქი ბრიუსელში გადმოეგზავნათ. გრაველინში ცხენები გამოვცვალე და ღამე დიუნკერკში გავათიე.

პირველი, ვინც ეტლიდან გადმოსვლისთანავე შემხვდა, ვა-ჭარი ს. იყო. მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება მისი ცოლი ტე-რეზა, ტირეტას საყვარლის დისწული, შვიდი წლის წინ რომ ვეტრფოდი. ვაჭარმა მიცნო და ასე გამოცვლილი რომ ვიყავი, ძალიან გაუკვირდა. ვუთხარი, რომ მძიმე ავადმყოფობა გადა-ვიტანე და მისი ცოლი მოვიკითხე. მიპასუხა, კარგად არისო და შინ მიმიწვია. უარი ვუთხარი, რადგან ხვალ დილით ადრიანად გზას უნდა გავდგომოდი, მაგრამ არ მომეშვა. სურდა, რომ ცოლიც მენახა და მათი სამი ღლაპიც გამეცნო, ამ ხანებში რომ გაუჩენიათ. და რაკი დილით გამგზავრებას ვაპირებდი, გა-დაწყვიტა, რომ მთელი ჯალაბით აქეთ მწვეოდა. რაღა უნდა მექნა? დავთანხმდი.

მკითხველს, ალბათ, ისიც ახსოვს, ტერეზას შერთვას რომ ვაპირებდი. ეს რომ მოგონდა, უფრო დავნაღვლიანდი: არ მინდოდა ასე დაჩაჩანაკებული ვენახე.

ნახევარ საათში გამომეცხადნენ. პირმშო ექვსი წლისა იყო. ჩვეულებრივი მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ ორი უმცროსი ვაჟი მამას გააყოლა და უფროსი დაიტოვა, რამეთუ სრული საფუძ-ველი ჰქონდა ეფიქრა, რომ მისი ახლოს გაცნობა დამაინტე-რესებდა. შესანიშნავი ბიჭუნა იყო, და რადგანაც მთლად

დედას ჰგავდა, ქმარს თავის კანონიერ მამობაში ეჭვი არ ეპარებოდა. გულში მეცინებოდა, რომ ჩემს ნაშიერებს მთელს ევროპაში ვხვდებოდი. სუფრასთან ტირეტას ამბავიც მითხრა. თურმე ჰოლანდიის ინდურ კამპანიაში უმსახურნია. ბატავიაში მომხდარ არეულობებში ჩაუთრევიათ, დაუჭერიათ და კინაღამ ჩამოულრჩვიათ, მაგრამ, საბედნიეროდ, გაქცევა მოუხერხებია. ამ ქვეყანაში თავგადასავლების მაძიებელმა კაცმა, თუ იმავე დროს დაუდევარი და მცონარეც არის, შეიძლება სულ უბრალო რამის გამო თავი ყულფში გაჰყოს.

დილით ტურნში გავემგზავრე, სადაც ორი მეჯინიბე დავინახე, ცხენებს რომ ასეირნებდნენ და ვკითხე, ვისი ულაყებია-მეთქი.

— ბატონ გრაფ დე სენ-ჟერმენისა გახლავთ, სახელგანთქმული ჯადოქრისა, რომელიც ერთი თვეა აქ ცხოვრობს. იგი ჩვენი მხარის გასამდიდრებლად და ფაბრიკების ასაშენებლად ჩამობრძანდა. ყველას სურს მისი ნახვა, მაგრამ არავის იკარებს.

ასეთი პასუხის შემდეგ მასთან შეხვედრა მომინდა, ტრაქტირში გავჩერდი და იქიდან ბარათი მივწერე, რომლითაც ჩემი სურვილი ვაცნობე და შეხვედრისათვის მოსახერხებელი დროის დათქმა ვთხოვე. აი, მისი პასუხი, რომელიც დღესაც შენახული მაქვს: „ჩემი საქმიანობა არავისთან შეხვედრის უფლებას არ მაძლევს, მაგრამ თქვენ გამონაკლისი ბრძანდებით. მეწვიეთ, როცა გენებოთ. სადილის გაზიარებას არ გთავაზობთ. რამეთუ ჩემი ტრაპეზი ვერავის დააპურებს, მითუმეტეს თქვენ, თუ ძველებური მადა შეგრჩენიათ“.

ცხრა საათზე მივედი. მას დიუმის სიგრძის წვერი და სხვადასხვა სითხით სავსე ოცამდე კუბი შეეძინა, რომელთა ნაწილი ოთახის ტემპერატურის ქვიშაზე ეყენა. ამიხსნა, რომ საღებავების გამოყენებაზე მუშაობდა და ქუდების ფაბრიკის გამართვას აპირებდა, რათა ბრიუსელში იმპერატორ მარია ტერეზას სრულუფლებიანი ელჩისათვის სიამოვნება შეენიშებინა. ამ საქმისათვის მხოლოდ ოცდახუთი ათასი ფლორინი გამოუყვეს, რაც საკმარისი არ იყო, მაგრამ დანარჩენს საკუთარი ჯიბიდან დაუმატებდა. საუბარი ქალბატონ დ'იურფეზე ჩამოვაგდეთ და მან მითხრა, რომ მარკიზას უნივერსალური ელექ-

ხირის მეტისმეტად ჭარბი დოზა მიეღო და მით მოწამლულიყო.

— მისი ანდერძიდან ჩანს, — დასძინა გრაფმა, — რომ თავი ფეხმძიმედ ეგონა, და იქნებოდა კიდეც, ჩემთვის რომ მოემართა. ეს ერთ-ერთი უმარტივესი ოპერაციათაგანია, მაგრამ ვერასოდეს დარწმუნებული ვერ იქნები, ნაყოფი მამრობითი სქესისაა თუ მდედრობითის.

როცა ჩემი ავადმყოფობის ამბავი მოვუყევი, შემომიჩნდა, რომ სამი დღით ტურნში დავრჩენილიყავი და ყველაფერი ისე გამეკეთებინა, როგორც თვითონ დამარიგებდა. მარწმუნებდა, რომ ჩემი გამგზავრების დღისათვის სრულიად ჯანმრთელი ვიქნებოდი. მადლობა გადავუხადე და დარჩენაზე უარი ვუთხარი. შემდეგ პატარა ცვილით თავდაცობილ კოლბაში მოთავსებული თეთრი სითხე მაჩვენა და მითხრა, რომ ეს სხვა არა იყო რა, თუ არა უნივერსალური ბუნებრივი საწყისი, და თუ ცვილში პაწაწინა ნახვრეტს გავაკეთებდით, სითხე წამის უსწრაფესად აორთქლდებოდა. ვთხოვე, რომ ეს ყოველივე თვალნათლივ დაემტკიცებინა. მაშინ კოლბა და ქინძისთავი მომაწოდა, რათა ცდა ჩემი ხელით ჩამეტარებინა. ცვილი გავხვრიტე და ჭურჭელი იმ წამსვე ამოცარიელდა.

— გასაოცარია, მაგრამ რაში უნდა გამოიყენოთ?

— ამას კი ვერ გაგიმხელთ.

შემდეგ, თავისი ჩვეულებისამებრ, კვლავ ჩემი გაოცება მოინდომა და მკითხა, ხურდა ფული თუ გაქვსო. ჯიბიდან მონეტა ამოვიღე და მაგიდაზე დავდე. ის სიტყვის უთქმელად წამოდგა, გავარვარებული ნახშირი აიღო და ლითონის ფირფიტაზე დაყარა. მერე მონეტაზე შავი მარცვალი დადო და ნახშირში ჩამალა. ამის შემდეგ შილაკით ნახშირის გაღვივება დაიწყო და ორი წუთიც არ გასულა, რომ ჩემი თვალით დავინახე, როგორ გაწითლდა მონეტა. გაცივებას დაველოდოთო, მითხრა და ცოტა ხნის შემდეგ ჩემი მონეტის უკანვე წაღება შემომთავაზა. ვიდრე შეეხებოდი, დავინახე, რომ იგი ოქროსი იყო. და თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მონეტა თავისი ოქროს ფულით შემიცვალა, თვალთმაქცობისათვის მაინც არ დამიძრახავს. პირიქით, აღტაცებაც კი გამოვხატე და ვუთხარი, რომ სხვა დროს, თუ ჩემზე უფრო გამჭრიახი ადამი-

ანის გაოცებას მოინდომებდა; წინასწარ უნდა გაეფრთხილებინა, რომ ტრანსმუტაციის ჩატარებას აპირებს, რათა კეთილგონიერ ადამიანს მონეტა ნახშირში ჩადებამდე გულდასმით გაესინჯა და დარწმუნებულიყო, რომ იგი ნამდვილად ვერცხლისა იყო და არა ოქროსი. ამაზე მიპასუხა: ისინი, ვისაც ჩემი ხელოვნებისა არ სჯერათ, ჩემთან საუბრის ღირსნიც არ არიანო. ასეთი გახლდათ ჩემი უკანასკნელი შეხვედრა სახელგანთქმულ თვალთმაქც სწავლულთან. იგი ექვსი თუ შვიდი წლის წინ შლეზვიგში გარდაიცვალა. თორმეტი სუს ღირებულების მონეტა, მან რომ შემომატყუა, სუფთა ოქროსი იყო. ორი თვის შემდეგ იგი ბერლინში მარშალ კიტს ვაჩუქე.

მეორე დღეს ტურნიდან გავემგზავრე და ბრიუსელში ჩავედი. სადაც იმ წერილის პასუხს უნდა დავლოდებოდი, ბატონ ბრაგანდინს რომ გავუგზავნე და რომლითაც ლონდონში ფუულის მისაღებად თამასუქის გამოგზავნას ვთხოვდი. მისი ბარათი და ორასი ჰოლანდიური დუკატის თამასუქი ხუთი დღის შემდეგ მოშივიდა. მაშინვე ბრიუსელიდან გავემგზავრე, მაგრამ გზაში ისე ცუდად გავხდი, რომ ვეზელში ძლივს ჩავაღწიე. ტრაქტირში მიელასლასდი და ლოგინში ჩავწექი.

დილით, ჩემდა გასაოცრად, ოთახში გენერალი ბასკვიჩი დავინახე. ამ კეთილშობილმა ინგლისელმა, ჩემი მდგომარეობა რომ გაიგო, მირჩია, რომ ვეზელში მემკურნალა, სადაც ერთი ახალგაზრდა, მაგრამ მეტად გამოცდილი და დახელოვნებული ექიმი ცხოვრობდა. დაუყოვნებლივ გამოიძახა იგი და ჩემს გასინჯვასაც დაესწრო. ჩემი საავალო ყოფის აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ. ექიმმა პიპერსმა, რომელიც სიკეთის განსახიერება აღმოჩნდა, თავის სახლში გადასვლა შემომთავაზა, სადაც მისი დედა და დები მზრუნველობას არ მომაკლებდნენ. შემპირდა, რომ თუ მის დარიგებებს შევასრულებდი, ექვს კვირაში სავსებით განმკურნავდა. გენერალიც დათანხმებას მირჩევდა და დიდი თავპატიჟი არ გამომიდვია, რადგან ბრაუნშვაიგში გასართობად მივდიოდი და არა იმისათვის, რომ იქაურ საზოგადოებას საპყრად და ჩაჩანაკად წარვსდგომოდი. პიპერსმა გასამრჯელოს გაგონებაც არ ისურვა. მითხრა, რომ გამგზავრების წინ იმდენს გადავუხდიდი, რამდენსაც საჭიროდ მივიჩნევდი და ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა. შემდეგ

ჩემთვის ოთახის მოსამზადებლად გაემართა. ერთ საათში ჩემი ბარგი-ბარხანით ძის სახლს მივადექი. სახეს ცხვირსახოცით ვიფარავდი, რადგან ამ წესიერი კაცის დედისა და დებისა მრცხვენოდა, ექიმის გარშემო მყოფ რამდენიმე ქალიშვილს კი საერთოდ შეხედვაც ვერ გავუბედე. მისვლისთანავე ლოგინში ჩავწექი...

ერთ თვეში ისე გამოვკეთდი, რომ გამგზავრებაც შემეძლო. ექიმი პიპერსის სახლში ჩემს პიროვნებაზე ჩამოყალიბებული აზრი სინამდვილეს სულ არ შეეფერებოდა. მკურნალს დედამიწაზე ყველაზე თვინიერ ადამიანად მივაჩნდი, ხოლო მის დაიკოს — ყველაზე წესიერ კაცად. მაგრამ ჩემი სათნოობა ავადმყოფობის ბრალი იყო. ადამიანი რომ შეაფასო, მას ჯანმრთელსა და თავისუფალს უნდა იცნობდე, თორემ სნეული ან ტუსაღი თავის თავს სულ არ ჰგავს.

ქალიშვილ პიპერსს ძღვნად კაბა მივართვი, ექიმს კი ოცი ლუიდორი გადავუხადე.

გამგზავრების წინა დღეს ქალბატონ დიუ რიუმენის წერილი მივიღე. მას ჩემი ფინანსური შეჭირვების ამბავი ბალეტისაგან გაეგო და ამსტერდამის ბანკში ექვსასი ფლორინის თამასუქი გადმოიგზავნა. მწერდა, რომ ამ ფულს როცა შევძლებდი მაშინ დავუბრუნებდი, მაგრამ სამწუხაროდ, ვალის გადახდამდე გარდაიცვალა.

ხვალ დილაბნელზე გზას უნდა გავდგომოდი და საღამოს გენერალმა თავის ოჯახში სავახშმოდ მიმიწვია, სადაც, მისი თქმით, ჩემს თანამემამულეებსაც შევხვდებოდი. ამან მაიძულა მიწვევა მიმეღო, ღღონდ ექიმს სიტყვა მივეცი, რომ ზედმეტი ჭამა-სმისაგან თავს შევიკავებდი.

თურმე მართლა საოცარი რამ მელოდა: ოთახში შესვლისთანავე პარიზელი რედეგონდა და მისი ძუკნა დედა არ დავინახე!? მან ჯერ ვერ მიცნო, ქალიშვილი კი მაშინვე გამომელაპარაკა და მითხრა, რომ ძალიან გამხდარი ვიყავი. მე კი მივუგე, შენ უფრო გალამაზებულხარ-მეთქი და არც ვტყუოდი: ამ წელიწადნახევარში კიდევ უფრო ეშხიანი გამხდარიყო. ავუხსენი, რომ მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე და ახლა ბრაუნშვეიგში მივემგზავრებოდი.

— ჩვენც! — მახარა მან და დედას გადახედა.

ჩვენი ნაცნობობით გახარებულმა „გენერალმა ერთად მგზავრობა გვირჩია, მაგრამ მე ღიმილით ვუთხარი ეს ძნელი საქმე იქნება, თუ ქალბატონ დედიკოს თავისი შეხედულებები არ შეუცვლია მეთქი.

— იოტისოდენადაც არ შემიცვლია! — განაცხადა მან.

რედეგონდას მშვენიერი ფრანგული ესწავლა და საზოგადოებას ართობდა. ის ბრიუსელიდან ბრაუნშვაიგს მიემართებოდა, სადაც ნიკოლინის მეორე სოლისტად მიეწვია. წუწუნებდა, საფოსტო ოთხთვალებმა ძალიან გამაწამეს და ბრაუნშვაიგში ავადმყოფი ჩავალო. გენერალმა უთხრა, რომ მე საუცხოო კარეტით მივემგზავრებოდი და რა თქმა უნდა, მასაც წავიყვანდი.

რედეგონდას გაეღიმა, დედამ კი მკითხა, კარეტაში რამდენი ადგილიაო და გენერალმა ჩემს მაგივრად უპასუხა — ორიო. დედამ განაცხადა, რომ თავის ქალიშვილს უცხო ადამიანთან მარტო არ დატოვებდა. ყველას გაეცინა და რედეგონდამაც სიცილით თქვა, დედას ეშინა, ვინმემ არ მომკლასო. შემდეგ კლავესინს მიუბრუნდა და არია იმღერა, რითაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭა.

მეორე დილის ცხრა საათზე ექიმსა და მის სახლობას გამოვეთხოვე და გენერალთან წავედი. კარეტა მის სახლთან დავაყენებინე, რადგან ნასაუზმევს დაუყოვნებლივ გამგზავრებას ვაპირებდი. ნახევარი საათის შემდეგ რედეგონდა და დედამისიც მოვიდნენ და, ჩემდა გასაოცრად, ძმაც თან მოიყვანეს, რომელიც ფლორენციაში ჩემი ლაქია იყო.

ხალისიანი ვახშმის შემდეგ გენერალმა და მისმა სტუმრებმა გარეთ გამომაცილეს. რედეგონდამ მკითხა, შენი კარეტა მოხერხებული თუ არისო, ჩაჯდა და მეც, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, გვერდით მიეუჯექი. ამიტომ ძალიან გამიკვირდა, როცა მეეტლემ კარეტა დაძრა. შეჩერება დავაპირე, მაგრამ დავინახე, რომ რედეგონდა გულიანად ხარხარებდა და გზის გაგრძელებას ითხოვდა. ვიფიქრე, სიცილით გულს რომ იჯერებს, კარეტასაც გააჩერებინებს-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად! ნახევარი მილი რომ გავიარეთ, მითხრა:

— ჯერ იმაზე ვიცინოდი, რომ წარმოვიდგინე, თუ როგორ ახსნიდა დედაჩემი ამ მოულოდნელ ხუმრობას. მე ხომ კარე-

ტაში მხოლოდ ერთი წუთით ჩავჯექი. შემდეგ კი მეეტლეზე მეცინებოდა, რომელმაც, რა თქმა უნდა, თქვენს უნებურად მომიტაცა.

— ცხადია.

— დედიკო, რასაკვირველია, სხვამაირად გაიგებს განა სასაცილო არ არის?

— სასაცილოა, და ძალიანაც მომწონს. საყვარელო რედეგონდა, ბრაუნშვაიგამდე ერთად ვიმგზავრებთ. აქ უფრო მშვიდად იქნებით, ვიდრე საფოსტო ოთხთვალაში.

— შვონი ძალიან შევტოპეთ. პირველსავე სადგურზე გავჩერდეთ და ფოსტას დაველოდოთ.

— როგორც ინებებთ, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ პირადად მე ასეთ თავაზიანობას ვერ შეეპირდებით.

— როგორ, სადგურზე ჩემს მარტო დატოვებას იკადრებთ?

— არასოდეს, შშვენიერო რედეგონდა! ხომ იცით, როგორ მიყვარხართ! გიმეორებთ, მზად ვარ, რომ ბრაუნშვაიგში ჩაგიყვანოთ.

— თუ მართლა გიყვარვართ, საფოსტო ოთხთვალას დაელოდებით და პირდაპირ დედაჩემს ჩამაბარებთ. წარმომიდგენია, როგორ ღელავს.

— მაგის იმედი არ გქონდეთ, ჩემო საყვარელო.

თავგუნება გოგო დიდხანს იცინოდა, მე კი ამასობაში მის ბრაუნშვაიგში გატყუების გეგმას ვაწყობდი.

სადგურს მივაღწიეთ. ცხენები არ ჰყავდათ. ზეზეურად წავლუკმეთ და გზა განვაგრძეთ. შემდეგ სადგურს ბინდბუნდში მივადექით. რედეგონდას კაპასისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და ცხენები მოვითხოვე. ვიცოდი, რომ საფოსტო კარეტა აქ შუაღამისას ჩამოაღწევდა და დედა თავის ქალიშვილს დაეუფლებოდა. ეს კი სულაც არ მეპიტნავებოდა. მთელი ღამე ვიარეთ და ლაპშტადტში გავჩერდით, სადაც, უდროობის მიუხედავად, საჭმელი მოვატანინე. რედეგონდას თვალი ეხუჭებოდა, მაგრამ როცა ვუთხარი მანდენაში დავიძინებთ-მეთქი, ბუზღუნით დამთანხმდა. თუმცა მაშინვე გაიღიმა, რადგან მიხვდა, რაც ელოდა. მინდენაში ვივახშმეთ და ხუთი საათი ერთ ლოგინში გავატარეთ. მან მხოლოდ ზრდილობის გულისათვის მახვეწნინა.

საღამოს პანოვერში ჩავედით. შესანიშნავ ტრაქტირში ეიგახშმეთ და ისევ ლოგინს მივაშურეთ.

დილით საფოსტო ეტლის ხმამ გამაღვიძა. რედეგონდას შეეშინდა, დედამისი საწოლში არ შემოგვსწრებოდა, ამიტომ მსახური ვიხმე და დავავალე, ეტლიდან ჩამოსული ქალბატონი ჩვენს ოთახში არ შემოეშვა. მაგრამ უკვე გვიანლა იყო: კარი გაიღო და რედეგონდას დედა და ძმა შემოვიდნენ. ბიჭს ვუთხარი, მეორე ოთახში მოეცადა და კარი ჩავკეტე. დედამ ორივე პერანგის ამარა რომ დაგვინახა, ლანძღვა-გინება ამიტეხა და დამემუქრა, თუ ქალიშვილს ახლავე არ დავუბრუნებდი, შავ დღეს დამაყრიდა. ქალიშვილი არწმუნებდა, რომ ჩემთან ერთად წამოსვლა მხოლოდ შემთხვევამ აიძულა. როგორც იქნა, დედამ მისი სიტყვების დაჯერება ინება.

— მაგრამ, — უთხრა ქალიშვილს, — იმას ხომ მაინც ვერ უარყოფ. შე ნამუსგარეცხილო, რომ ამასთან გეძინა!

შვილმა სიცილით უპასუხა, არაფერი ისეთი არ მომხდარა და ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ადამიანებს ძინავთო. დედას მოეხვია, გადაკოცნა და უთხრა, ახლავე ჩავიცვამ და გამოგყვებიო.

შერიგების შემდეგ მეც ჩავიცვი, ყველას საუზმით გავუმასპინძლდი, ცხენები შევაბმევინე და ბრაუნშვაიგისაკენ გავწიე. სადაც მათ სამი საათით ჩავასწარი.

კარგ ტრაქტირში გავჩერდი და ჩემი ჩამოსვლა მაშინვე დატურის ვაცნობე. მან დაუყოვნებლივ მომაკითხა და ქალაქისა და სასახლის წარმოდგენათა მთავარ ანტრეპრენიორთან უბრწყინვალეს ბატონ ნიკოლინასთან წამიყვანა. ეს ადამიანი, რომელიც თავისი საქმის დიდოსტატი იყო და დიდსულოვანი პრინცის კეთილგანწყობით სარგებლობდა, ნამდვილ ფეფუნებაში ცხოვრობდა. მან კინაღამ ძალით მომინდომა თავის სახლში დაბინავება, მაგრამ რის ვაივაგლახით დავეხსენი. ყოველდღე ერთად სადილობას კი მაინც შევპირდი, რადგან არა მარტო მისმა საეცხოო მზრუნველობა მაცდუნა, არამედ იმ ბრწყინვალე ადამიანებმაც. მასთან რომ იკრიბებოდნენ და სრულიად განსხვავდებოდნენ იმ წარჩინებულ პირთა საზოგადოებისაგან, სადაც ეტიკეტით ფრთაშეკვეცილი სილაღე და მხიარულება ძალიან ძალე ინავლება ხოლმე. ნიკოლინის სტუმრები

ტალანტით შემკული ადამიანები იყვნენ. ჭეშმარიტად ვირტუოზი მუსიკოსები და მოცეკვავეები ჩემთვის ყველაზე დამატებებულ გარეგნოს ქმნიდნენ. ახალი გამოჯანმრთელებული ვიყავი, ფელიც მიჭირდა, თორემ სტუმართმოყვარე ბრაუნშვაიგი ასე მალე არ დავტოვებდი. მეორე დღეს საღამოზე რედიგონდაც მოვიდა. წაიმოდგენაც არა მაქვს საიდან, მაგრამ ჩანოვერამდე ჩვენი ერთად მგზავრობის ამბავი ყველამ იცოდა.

ბრაუნშვაიგში არავითარი საქმე არ მქონდა და გადავწყვიტე, ბერლინში წავიულიყავი და დანარჩენი ზაფხული იქ უფრო სასიამოვნოდ გამეტარებინა. სერთეკი მჭირდებოდა. ერთი ებრაელისაგან მაუდი ვიყიდე. მან ეცხოური თამასუქებით ანგარიშსწორება შეგომთავაზა. ამაზე იოლი რა უნდა ყოფილიყო? ქალბატონ დე რიუმენის მიერ გამოგზავნილი ამსტერდამის ბანკის ორმოცდაათლეიდორიანი თამასუქი თან მქონდა. საფულედან ამოვიღე და გავუწოდე. მან გულდასმით შეისწავლა და მითხრა, ამ წუთას დავბრუნდები და ჰოლანდიური დუკატებით გადაგიხდიო. მალე დაბრუნდა და ფულიც მოიტანა. მიღების საბუთზე ხელი მოვაწერე და კმაყოფილი წავიდა, რადგან ამსტერდამის ბანკის სახელზე გაცემული თამასუქის განაღდებისას დაწესებული ორი პროცენტი მოიგო. მაგრამ მეორე დილითვე მომაკითხა და ფულის დაბრუნება და თამასუქის უკან წაღება მომთხოვა. ანდა, მისი ჭკუით, საწინდარი უნდა მიმეცა იმ დრომდე, ვიდრე ფოსტით თამასუქის სინაღდის დასტურს არ მიიღებდა.

ასეთი თავხედობით გაოცებულმა და ჩემს სიმართლეში დარწმუნებულმა განვეცხადე: ხომ არ შეიშალეთ, თამასუქის ვარგისიანობის თავმდები მე ვარ და არავითარ საწინდარს არ მოგცემთ-მეთქი. დაიჩემა, რომ ან ფული უნდა დამებრუნებინა, ან საწინდარი მიმეცა, თორემ ციხეში ჩამსვამდა, რაზეც ჩემს შესახებ ყველაფერი იცოდა. ამ მუქარაზე სიცხელი თავში ამივარდა, ხელჯოხი ავიტაცე, ხუთჯერ თუ ექვსჯერ მაგრად ვხეხეს და გარეთ გავაგდე.

მეორე დღეს ქალაქის შემოგარენში ფეხით სეირნობისას ცხენზე ამხედრებული პრუსიის ტახტის ზემკვიდრე პრინცი შემომხვდა. ქედმოხრით მივესალმე. დავინახე, რომ მეჩერდა და მივუახლოვდი.

— თურმე წასელა გადაგიწყვეტია, — მომმართა მან, — ეს ამ დილით ერთი ებრაელისაგან გავიგე, რომელმაც, ამასთანავე, დაიჩივლა, რომ ჯოხით გიცემიათ. ამის მიზეზი კი ის ყოფილა, რომ განაღდებული თამასუქის ჭეშმარიტებაში დარწმენებამდე საწინდარი მოუთხოვია.

— კარგად არ მახსოვს, თქვენო ბრწყინვალებავ, სამართლიანი მრისხანებით შეპყრობილმა რა მოვიმოქმედე. ის არამზადა დამემუქრა, რომ გამგზავრებაში ხელს შემიშლიდა და ცოხეში ჩამსვამდა, მაგრამ ჩემი ღირსება მიკრძალავს ხელწერილის უკან დაბრუნებას და საწინდარს მიცემას. ჩემს აქედან გამგზავრებაზე კი მხოლოდ ტირანი თუ დაბრკოლებს, სხვა ვერავინ.

— მართალი ბრძანდებით. ეს უსამართლობა იქნებოდა. მაგრამ ებრაელს ასი დუკატს დაკარგვისა ეშინია. მითხრა, თქვენი სახელი რომ არ ეხსენებინა, ფულს არ მოვცემდი.

— ტყუის.

— თურმე ხელი სხვისი ტიტელით მოგწერია.

— ამასაც ტყუის!

— ასეა თუ ისე, ებრაელი გალახულია. როგორც თვითონ ამბობს. და ფულის დაკარგვისაც ეშინია. მეცოდება ის ბიუვი და მინდა, განზრახვაში ხელი შეკეთილი. დღესვე გავცემ განკარგულებას, რომ ის თამასუქი გამოართვან, რადგან მის ჭეშმარიტებაში ეჭვიც არ მეპარება. ასე რომ, თავისუფალი ბრძანდებით და სათაც გნებავთ, იქით გასწიეთ. მშვიდობით მგზავრობას გისურვებთ.

პრინცი ჩემს პასუხს აღარ დალოდებია და ცხენი გააქანა. მე კი შეშეძლო მეპასუხნა, რომ ოჯახი მისი უმაღლესობა ჩემს თამასუქს გამოისყიდდა, ებრაელი იფიქრებდა, პრინცმა შემიწყალა და ცოხეს გადამარჩინა, ამას მთელი ქალაქი გაიგებდა და ჩემს სახელს ჩრდილი მიადგებოდა. ეცოდი, რომ პრინცის საქციელი მისი დიდსულოვნებიდან მომდინარეობდა. შესაძლოა, მაშინაც ეს გაეკეთებინა, მე რომ მართლა თაღლითი ვგონებოდი, რადგან ამით დამანახებდა, რომ დანაშაულს მპატიობდა და ჩემი თაღლითობით მხოლოდ თვითონ ზარალდებოდა. იქნებ მართლა ასე ფიქრობს-მეთქი, ვეთბარი ჩემს თავს, როცა მარტო დავრჩი. აბა, რატომ ერევა ამ საქმეში ბო-

ლოტი და უსინდისო ცილისწამება რატომ არაფრად არ ჩაგდო? ყველერი შეიცოდა თუ მე დამინდო? თუ ეს ჩემი გულისათვის გააკეთა, ჭკუა უნდა ვასწავლო, მაგრამ ისე, რომ ღირსება არ შევუბღალო.

შინ რომ დავბრუნდი, ჩვენი დიალოგის დასასრულმაც შემაფიქრიანა. ძომეჩვენა, რომ მისგან გზის დალოცვა ამ შემთხვევაში სრულიად უადგილო იყო. ეს თავაზიანობა პრინცს ბაგეთაგან აქედან წასვლის ბრძანებასავით ეღერდა.

ბრაუნშვაიგიდან წასვლა გადავწყვიტე, რადგან თუ დავრჩებოდი, არასასურველ მითქმა-მოთქმას გამოვიწვევდი. მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რომ წასვლაც არ ივარგებდა, რადგან მაშინ პრინცს მართლა ეგონებოდა, რომ მისი სიყვითით ვისარგებლე და ორმოცდაათი დუკატი ჩავიჯიბე, რომელიც, თუ დამნაშავე ვიყავი, ებრაელისათვის უნდა დამებრუნებინა.

ასეთი განსჯის შემდეგ ბარგი ჩავალაგე, ვისადილე, სასტუმროს პატრონს ანგარიში გავუსწორე და ერთი კვირით ვოლფენბიუტელში გავემგზავრე, რამეთუ ვიცოდი, რომ იქ მთელს ევროპაში სახელგანთქმული ბიბლიოთეკა იყო და არ ძოვიწყენდი. დიდი ხანია მისი მონახულება და გამოკვლევა ძინდოდა. მთელი კვირა ამ ბიბლიოთეკაში გავატარე. ნრულ აიმშვიდეში ვცხოვრობდი. არც წარსულზე ვფიქრობდი და არც მომავალზე. გულმოდგინე შრომა აწმყოს არსებობასაც მავიწყებდა. ახლა ვხედავდი: ნამდვილი ბრძენივით რომ შეცხოვრა, სულ უმნიშვნელო გარემოებათა დამთხვევა მჭირდებოდა, რამეთუ სათნოება ყოველთვის მანკიერებაზე უფრო მეტად მიზიდავდა. თუ ვცოდავდი, ამის მიზეზი მხოლოდ ჩემი ხალასი გული და ბუნებრივი მხიარულება იყო.

ვოლფენბიუტელიდან „ილიადასა" და „ოდისეაზე" უამრავი დაკვირვება და მეცნიერული ნაზრევი წამოვიღე, რომლებიც არც ერთ განმმარტებელთან არ შემხვედრია. მათი ნაწილი „ილიადას" ჩემეულ თარგმანში შევიდა, დანარჩენი კი ზოგი სად გაიბნა და ზოგი — სად. მე არაფერს ვწვავ და ამ მემუარებსაც არ გავანადგურებ, თუმცა ამაზე ხშირად მიფიქრია. ვიცი, რომ საამისო შემთხვევას ვერასოდეს შევეარჩევ.

ბრაუნშვაიგში დავბრუნდი, იმავე სასტუმროში დავბინავდი და ჩემი ნათლული დატური ვიხმე. თურმე არვინ იცოდა,

რომ მთელი კვირა აქედან ხუთი ლიეს დაშორებით გავატარე, დარწმუნებული ვიყავი, ამ ტერდამიდან პასუხი მოსული იქნებოდა. ნათლულმა მთხოვა ნიკოლინისთან მესადილა. ეს თავისთავად იგულისხმებოდა, რადგან წასვლისას არ დავმშვიდობებივარ, ხვალ კი გამგზავრებას ვაპირებდი. და აი, რა მოხდა სადილობისას:

მწვადებს გელახლებოდით, როცა პრინცს კამერდინერი შემოვიდა და ის ბრიყვი ყველრი შემოჰყვა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, — განმიცხადა მან, — ნაბრძანები მაქვს, ბოდიში მოგიხადოთ. იმისათვის, რომ თქვენი თამასუქის სინაღდეში ეჭვი შევიტანე. ამ შეცდომისათვის მკაცრად დავისაჯე, რამეთუ ორი პროცენტი დავკარგე, რაც არ მოხდებოდა, თამასუქი ჩემთან რომ დამეტოვებინა.

ვუპასუხე, რომ ეს სავსებით საკმარისი იყო და სხვა სასჯელს მისთვის არ ვითხოვდი.

საღამოს ნიკოლინის ვკითხე, ბეღლინში რაიმეს ხომ არ დამბარებთ-მეთქი, და გამოვეთხოვე. მაგრამ ერთმა შემთხვევამ ბრაუნშვაიგში კიდევ ორი დღით დარჩენა მაიძულა.

ტრაქტირში რედეგონდას ბარათი დამხვდა, რომლითაც მსაყვედურობდა. რომ ბრაუნშვაიგში ყოფნისას ერთხელაც არ მომიკითხავს, და ქალაქგარეთ საუზმეზე მპატიჟებდა. მისი თქმით, იქ დედასთან კი არა, ერთ ჩემს ნაცნობ ქალთან ერთად იქნებოდა და მთხოვდა, დროულად მოვსულიყავი.

რედეგონდა ბრაუნშვაიგში ყოფნისას რომ ვერ ვინახულე, ამის მიზეზი დედამისი კი არ იყო. არამედ ის, რომ არ შემეძლო მისთვის რაიმე ლამაზი საჩუქარი მომეტანა. გადაეწყვიტე, ახლა აუცილებლად მოვსულიყავი, თანაც იმ ჩემი ძველი ნაცნობის ვინაობაც მაინტერესებდა.

ამრიგად, დათქმულ დროს რედეგონდას ვეწვიე. იგი ძველებურად ლამაზი და მომზიდველი იყო. პირველი სართულის სასტუმრო ოთახში დამხვდა ახალგაზრდა „ვერტეოზთან“ ერთად, რომელიც დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ პიომბოს ციხეში ჩაჯდომამდე გავიცანი. როცა სულ პატარა ბავშვი იყო. მასთან შეხვედრა დიდად მესიამოვნა. მაგრამ მთელი გულისყური მაინც რედეგონდასაკენ მქონდა მიპყრობილი. უყურადღებო-

ბისათვის ბოდიში მოვუხადე და მშვენიერი სახლი შევუქე, რომელიც თურმე ნახევარი წლით დაექირავებინა, ძაგრამ ჯერ შიგ ღამეც არ გაეთია.

ყავის შემდეგ ბაღში გავისეირნეთ და პრინცს შევხვდით. მან გამომეტყველებაზე მიეხვდი, თუ რატომ მთხოვა ქალმა, დაუგვიანებლად მივსულიყავი. ამ ათ თუ თორმეტ დღეში რედეგონდას მოეჯადოებინა ქვირფასი პრინცი, რომელიც მშვენიერი სქესისადმი გულგრილი არც არასოდეს ყოფილა, მაგრამ ინგლისის ჰეფის დახე ქორწინების პირველ წელიწადს თავისი ინსულტის გამეღვიძებას ყოველნაირად ერიდებოდა. დაახლოებით ერთი საათი ვისეირნეთ, ლონდონსა და ბერლინზე ვსაუბრობდით და არც თამასუჭსა და არც ებრაელზე სიტყვა არ დაგვცდენია. კოლფენბიუტელის ბიბლიოთეკა შევაქე, რითაც ძალიან გავახარე. ეს საეცხოო სულიერი საზრდო რომ არ ჰქონოდა, იქაური საქმელისაგან უთუოდ ფეხს ვავეშავდი-ძვთქი, ვუთხარი და გულიანად იცინა. შემდეგ რედეგონდას თავაზიანად გამოემშვიდობა, ცხენზე შეჯდა და წავიდა. ჩემს თანამემამულესთან მარტო დავრჩი და ვურჩიე, ახლახან განშორებული პიროვნება ნაზად ყვარებოდა, მაგრამ მან ჩემთვის გულის გახსნა არ ისურვა და ამ საკითხზე მეტი ალარ ვკილაპარაკია.

დღის დარჩენილი ნაწილი ტრაქტორში გავატარე და დილით ბერლინის გზას გავუყეკი. მაგდებურგში ერთმა ოფიცერმა, რომელსაც გენერალ ბასკერჩის ბარათი გადავეცი, ციხესიმაგრის ყველა საიდუმლო ხვეული ძოლატარა და სამი ღლის განმავლობაში გოგოებითა და ბანქოს თამაშით მარცხდა. მე ჯანმრთელობას გავეფრთხილდი და ჩემი საფული პატრონად შევავსე.

შემდეგ პირდაპირ ბერლინში გავაგრძელე. ერთხელ გზების ვამოირჩევთ თვრამეტი გერმანული მცირე მილის გავლას მთელი სამი ღლე მოვანდომე. როგორც იქნა ჩავედი და „ქალაქ პარიზში“ დავბინავდი...

ბერლინში ჩასვლის მეხუთე ღლეს მილორდ ორშალ კეიტს ვეახლე. სულ ბოლოს მას ლონდონში შევხვდი. ახლა ბერლინში ცხოვრობდა, მონარქის მოწყალებითა და სიმშვიდით ტკბე-

ბოდა და ოთხმოცი წლის ასაკში არავითარ სახელმწიფო საქმეებს აღარ ეკარებოდა.

ძველებურად უბრალო და გულითადი ადამიანი იყო. ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა და მკითხა, ბერლინში გაელით ვიყავი თუ გარკვეული ხნით დარჩენას ვაპირებდი. ვუპასუხე. აქ საცხოვრებლადაც დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი, ხელმწიფე ჩემი ნიჭისა და უნარის შესაფერია საქმეა. რომ გამომძებნიდეს-მეთქი. მაგრამ როცა მონარქთან შეამდგომლობა ვთხოვე, მითხრა, რომ თავის ჩარევით საგებლობაზე უფრო მეტ ზიანს მომიტანდა, მისი აზრით, მეფე ადამიანებში შესანიშნავად ერკვეოდა, ახალ გაცნობილებზე საკუთარი შეხედულებებით მაჯელობდა და მათ ღირსება-ნაკლოვანებებს სხვებზე უკეთესად აფასებდა. მილორდმა მირჩია, ხელმწიფისათვის მიმეწერა, რომ მასთან შეხვედრის პატივზე ვოცნებობდი.

— საუბარში შეგიძლიათ სხვათაშორის ჩემი სახელიც ახსენოთ. მაშინ, ვფიქრობ, თქვენზე რაიმეს მკითხავს და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩემი პასუხი სიკეთის მეტს არაფერს მოგიტანთ.

— რას ამბობთ!? მე, ყველასათვის უცნობმა ადამიანმა გავბედო და მივწერო ხელმწიფეს, რომელთანაც არავითარი ურთიერთობა არა მაქვს! ასეთ კადნიერებაზე ფიქრიც კი არ შეიძლება.

— თუ მასთან საუბარი გსურთ, ეს ნაბიჯიც უნდა გადადგათ.

— მიპასუხებს კი?

— ეჭვიც არ მეპარება. პასუხს არავის ამადლის. გაუწყებენ, თუ სად და რა დროს ინებებს თქვენს მიღებას. იმოქმედეთ. მისი უდიდებულესობა ამჟამად სან-სიუში იმყოფება. მაინტერესებს, როგორ წარიმართება თქვენი საუბარი.

აღარ დამიხანებია. რაც შეიძლებოდა უბრალო და მოკრძალებული ბარათი მივწერე და ჩემი ხაცხოვრებელი ადგილის მისამართი მივუთითე. ხელი ასე მოვაწერე: „ვენეციელი“.

მესამე დღეს ხელმწიფის მდივნის პასუხი მიიღე. ის მაუწყებდა, რომ მეფემ ჩემი ბარათი წაიკითხა და ოთხ საათზე სან-სუის ბაღში მელოდა.

სამ საათზე დათქმულ ადგილას მივედი. ვიწრო კარით ცი-

ხის ეზოში შეკდიკარ და ვერც დარაჯს, ვერც მეკარეს, ვერც ლაქიას ვერსად ვხედავ. სრული სიჩუმეა. კიბეზე ავდივარ, კარს ვაღებ და ჩემს თვალწინ სურათების შესანიშნავი გალერეა იშლება. ადამიანი, რომელიც ზედამხედველი აღმოჩნდა, გალერეის დათვალიერებას მთავაზობს, მაგრამ მადლობის მოხდით ვეუბნები, რომ არ მცალია, რადგან ოთხ საათზე ბაღში მეფეს უნდა შევხვდე.

— მას ახლა პატარა კონცერტი აქვს, — მეუბნება ზედამხედველი, — სადაც სადილის შემდეგ, ჩვეულებისამებრ, ფლეიტას უკრავს. დრო თვითონ დაგინიშნათ?

— დიახ, ზუსტად ოთხზე. ხომ არ დაავიწყდებოდა?

— ხელმწიფეს არაფერი ავიწყდება. ოთხ საათზე ჩამოვა ჯობს, ბაღში დაელოდოთ.

ეზოში ჩავდივარ და სულ მალე მსახურისა და ჩინებული ესპანური მწვანარის თანხლებით მომავალ ხელმწიფეს ეხვდავ. მიახლოვდება, მოსალმების ნიშნად ძველ ქუდს ოდნავ აგდებულად მიხდის და საზარელი ხმით მეკითხება, რა გნებავთო. ასეთი მილებით მეხდაცემული ადგილზე ვშეშდები და ხმას ვერ ვიღებ.

— რას გაჩუმებულხართ? განა თქვენ არ მომწერეთ?

— დიახ, სირ, მაგრამ აღარაფერი მახსოვს. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ხელმწიფის ბრწყინვალება ასე დამაბრმავებდა. სხვა დროს ასეთი რამ აღარ მომივა. მილორდ მარშალს უნდა გაეფრთხილებინე.

— ესე იგი, მილორდი გიცნობთ. მოდით, გავისეირნოთ. რისი თქმა გსურდათ? ამ ბაღზე რას იტყვით?

ესეც ასე! მეკითხება რისი თქმა გსურთო და მაშინვე ბაღზე ლაპარაკს მაიძულებს! სხვა ვინც არ უნდა ყოფილიყო, კეტყოდი, რომ ბაღებისა არაფერი გამეგებოდა, მაგრამ რაკი ხელმწიფემ ამ საქმის მცოდნედ მიმიჩნია, მისი მოლოდინის გაწბილება არ ივარგებდა. იმის შიშით, უგემოვნობა არ გამოვიჩინო-მეთქი, ვუთხარი, რომ ამ დიდებული ბაღით პირდაპირ მოხიბლული ვიყავი.

— მაგრამ, ვერსალის ბაღებზე გაცილებით ლამაზია...

— რა თქმა უნდა, სირ, მაგრამ შესაძლოა ეს წყლების სიუხვის გამოც იყოს.

— მართალი ხართ. მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, თუ აქაურობას წყალი აკლია. მათ გასაშვებად სამასი ათასი ეკიუ სულ ფუჭად დავხარჯე.

— სამასი ათასი ეკიუ? თქვენო უდიდებულესობავ ეს ფული რომ ერთბაშად დაგეხარჯათ, ახლა კისრამდე წყალში იქნებოდით.

— აა! არქიტექტორ-ჰიდრავლიკოსი ყოფილხართ.

უნდა მეთქვა თუ არა, რომ ცდებოდა? შემეშინდა, რომ ჩემზე გულს აიცრუებდა. თავი ჩავღუნე. ეს ჰოც იყო და არაც. მადლობა ღმერთს, რომ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ ინება. უცაბედად მკითხა, ომის დროს ვენეციის რესპუბლიკას რამოდენა ფლოტის გამოყვანა შეუძლიაო.

— ოცი სახაზო გემის, სერ, და დიდი რაოდენობის გალერების.

— საბმელეთო ჯარის?

— საბოცდაათი ათასი კაცის, სერ, და ყველანი მისი ქვეშევრდომნი იქნებიან. სოფელზე — თითო მეომარი.

— შეუძლებელია! ასეთი ზღაპრებით, ალბათ, ჩემი გაცინება გინდათ. მაგრამ თქვენ ფინანსისტიც იქნებით. მითხარით, ბეგარაზე რას ფიქრობთ?

მეფესთან პირველად ვსაუბრობდი. მისი თავისებური მეტყველება, მოულოდნელი გამოხდომები, თემიდან თემაზე ასეთი უცნაური გადასვლებ-გადმოსვლება, ჩემში ისეთ გრძნობას ჰბადებდა, თითქოს იტალიური ემპროვიზებული კომედიის სცენას დაბნეული ვთამაშობდი და მთელი პარტერი მისტვენდა. ფინანსისტის გამომეტყველება მიელე და ამპარტავან მონარქს მოვუგე, რომ შემეძლო ახლავე ჩამომეყალიბებინა გადასახადების თეორია.

— ამიტომ გეკითხებით. ბრძანეთ!

— თავისი მოქმედების მიხედვით სამგვარი სახის ბეგარა არსებობს: გამპარტახებელი, ვარდაუვალი და ყოველ მხრივ სასიკეთო.

— მომწონს. განაგრძეთ.

— გამპარტახებელია სამეფო გადასახადები. გარდაუვალია — სამხედრო; ყოველ მხრივ სასიკეთო კი — სახალხო.

— უფრო გასაგებად ამიხსენით.

ქარაგმულად უნდა მელაპარაკნა, რადგან ყველაფერს საეჭვოდ ვეხებოდი.

— სამეფო ბეგარა ის არის, რომელსაც ხელმწიფე ქვეშევრდომთ აკისრებს, რათა თავისი სკივრები ფულით აავსოს.

— და თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს გამპარტახებელი ბეგარაა.

— რა თქმა უნდა, სერ, რამეთუ ის მიმოქცევას ღუპავს. მიმოქცევა კი კომერციის სული და სახელმწიფოს საყრდენია.

— სამხედრო კი გარდაუვალად მიგაჩნიათ.

— საუბედუროდ, სერ, რადგანაც ომი უბედურებაა.

— შესაძლოა. .სახალხო?

— ყოველმხრივ სასიკეთო გახლავთ, სერ, რამეთუ მეფე ცალი ხელით ხალხისაგან იღებს, მეორეთი კი სასარგებლო დაწესებულებების შექმნისა და სასიკეთო ღონისძიებების სახით ხალხსავე უბრუნებს.

— თქვენ, რა თქმა უნდა, კალზაბიჯი გეცნობებათ?

— ვიცნობ, სერ. შვიდი წლის წინ პარიზში გენუის ლატარია ერთად დავაფუძნეთ.

— ეს რომელ კატეგორიას განეკუთვნება? ალბათ, დამეთანხმებით, რომ ესეც თავისებური ბეგარაა.

— რა თქმა უნდა, სერ. ეს შესანიშნავი ბეგარაა, თუ მეფე მოგებას რაიმე კარგი საქმისათვის გამოიყენებს.

— მაგრამ ხომ შეიძლება, რომ მეფემ წააგოს?

— ათიდან ერთ შემთხვევაში.

— ზუსტი გაანგარიშებაა?

— დიახ, სერ.

— შესაძლოა მართალიც იყოთ, მაგრამ არ მომწონს თქვენი გენუის ლატარია. თაღლითობად მიმაჩნია და მასთან არავითარი ერთიერთობა არ მინდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოგებაში დარწმუნებული ვიქნები.

— ბრძნულად მსჯელობთ, თქვენო უდიდებულესობავ, რამეთუ ყოველნაირი ლატარია უბირი ხალხის საცთუნებლადაა მოგონილი.

ასეთი დიალოგის შემდეგ, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდი ხელმწიფის ღირსებებზე მეტყველებს, მან კინაღამ ყველაფერი

წაეხდინა: კოლონადებიან თაღქვეშ შეჩერდა, თავით ფეხამდე ამხედ-დამხედა და მითხრა:

— თქვენ კი ლამაზი მამაკაცი ყოფილხართ!

— განა შესაძლებელია, სერ, რომ ასეთი მეცნიერული მსჯელობის შემდეგ ჩემში თქვენი სახელოვანი გრენადერების ერთ-ერთი მთავარი ღირსება აღმოგეჩინათ?

ალერსიანად გამიღიმა და მითხრა, რომ მარშალ კეიტს ჩემს შესახებ აუცილებლად დაელაპარაკებოდა, შემდეგ ყოვლად მოწყალე სახით მომიხადა ქუდი, რომელსაც არასოდეს იცილებდა.

იმ ხანებში ბრაუნშვაიგის ჰერცოგის მეუღლე და მისი ქალიშვილი, რომელზეც ერთი წლის შემდეგ კრონპრინცი დაქორწინდა, ბერლინს ეწვივნენ. მათ პატივსაცემად შარლოტენბურგში იტალიური ოპერის წარმოდგენა გაიმართა. თეატრში ხელმწიფეც მობრძანდა. მას ოქროს ბეზმენტებიანი ლუსტრინის კამზოლი და შავი წინდები ეცვა და ფრიად კომიკურად გამოიყურებოდა. განუყრელი ქუდი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი და ხელკავით თავისი და მოჰყავდა. ღრმად მოხუცებსაც კი არ ახსოვდათ, როდის იხილეს მუნდირისა და ჩექმების გარეშე ხალხში გამოსული ხელმწიფე.

ძალიან გამიკვირდა, როცა სპექტაკლის მოცეკვეთა შორის სახელგანთქმული დენი დავინახე. არ ვიცოდი, რომ მეფის სამსახურში იდგა. გადავწყვიტე, ძველი ნაცნობის უფლებით მესაუბრებლა და ხვალვე ვიზიტით ვწვეოდი.

თორმეტი წლისა რომ ვიყავი, დედაჩემი საქსონიაში მიემგზავრებოდა და რამდენიმე დღით ვენეციაში დოქტორ გოცისთან გამგზავნა. იქ კომედიის წარმოდგენას დავესწარი და ყველაზე მეტად ერთმა რვა წლის გოგონამ გამაოცა, სპექტაკლის დასასრულს გასაოცარი სილამაზის მენუეტი რომ იცეკვა. ამ გოგონამ, რომელიც პანტალონეს როლის შემსრულებელი მსახიობის შვილი ყოფილა, ისე მომაჯადოვა, რომ სპექტაკლის შემდეგ მოსალოცად საგრიმიოროში შევედი, სადაც ის ტანისამოსს იცვლიდა. მე სუტანა მეცვა და გოგონამ ძალიან გაიკვირვა. როცა მამამ უბრძანა, წამომდგარიყო და ჩემთვის ყოცნის საშუალება მიეცა, ის გრაციოზულად მომიახლოვდა,

მე კი საშინლად ეკერგილად მოვიქეცი, მაგრამ ისეთი გახალებული კიყავი, რომ იქ მყოფ სამკაულებით მოვაჭრე ქალს ძვირფასი ბეჭედი გამოვართვი და გოგონას ვაჩუქე. აღტაცებისაგან გაბიწყინებული პატარა მოცეკვავე კვლავ მომიახლოვდა და მეორეჯერ მაკოცა. გამყიდველ ქალს ცეხინი გადავუხადე და დოქტორთან დავბრუნდი, რომელიც ლოჟაში მელოდა. საცოდავ დღეში ჩავვარდი, რადგან ის ცეხინი ჩემი მოძღვრისა იყო და თუმცა პანტალონეს ქალიშვილი უკვე გაგიგებით მიეკარდა, უფრო ის მაგიჟებდა, რომ ასე ბრიყვულად მოვიქეცი — იმითაც, რომ სხვისი ფული მივითვისე და იმითაც, რომ ეს მითვისებული ფული მხოლოდ ერთ კოცნაში დავხარჯე.

მეორე დღეს დოქტორისათვის ვალი უნდა დამებრუნებინა, მაგრამ საიდან? მთელი ღამე თეთრად გავათენე. დილით ყველაფერი გავიგე. დედამ ჩემს მოძღვარს ცეხინი დაუბრუნა, მაგრამ დღესაც მეცინება იმის გახსენებაზე, სირცხვილით როგორ დავიწვი. დედამ მკითხა, შენი უსაყვარლესი გოგონა ვახშმად ხომ არ მოვიწვიოთო, მაგრამ ბებიამ დაუშალა და ამისათვის მისი დიდი მადლობელი ვიყავი. მეორე დღეს მოძღვართან ერთად პადუაში დავბრუნდი, სადაც ბეტინამ ჩემი პანტალონეკა დამავიწყა.

იმ დღის შემდეგ შარლოტებურგში შეხვედრამდე ის გოგო არსად მინახავს. ოცდაშვიდი წელიწადი გავიდა. ახლა, ალბათ, ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა. მისი სახელი რომ არ ეთქვათ, ვერც ვიცნობდი, რადგან რვა წლის ასაკში სახის ნაკვთები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. ერთი სული მქონდა, ვიდრე დენნა პირისპირ შეხვდებოდი და გავიგებდი, ახსოვდა თუ არა ის ამბავი. წარმოუდგენელი იყო, რომ თავის გაუხსენებლად ამდენი წლის შემდეგ ვეცნე. დავინტერესდი, ქმარი თუ ახლდა და მიპასუხეს, რომ მეფეს აეძულებინა. აქედან წასულიყო. რადგან ცოლს თურმე ცუდად ექცეოდა.

ამრიგად, მეორე დღეს დენის ვეწვივ. თავაზიანად მიმიღო, თუმცა მითხრა, რომ არ ახსოვდა, როდის ჰქონდა ჩემი გაცნობის შეხვედრება. მაშინ მისი ცნობისმოყვარეობის გაღიზიანება დავიწყე: შევახსენე თავისი ოჯახი, ბავშვობა და ის, თუ რა ლამაზი გოგონა იყო და როგორ ხიბლავდა მთელ ვენეციას

მენუეტის ცეკვით. ლაპარაკი შემაწყვეტინა და მითხრა, რომ მაშინ სულ ექვსი წლისა იქნებოდა. რა თქმა უნდა-მეთქი, დავაკორწმე, რადგან მაშინ მე, როცა ის შემოყვარდა, ათიოდე წლისა ვიყავი.

— შეუძლებელია იმის დაიწყება, როგორ დაუჯერეთ მა- მ და ჩემი უბრალო სიჩუქრისათვის კოცნით დამაჯილდოვეთ.

— გაჩუმდით! თქვენ ბეჭედი მაჩუქეთ. სუტანა გეცვათ. მეც ყოველთვის მახსოვდით. ნუთუ ეს თქვენა ხართ?

— მე ვარ.

— რა ბედნიერებაა! მაგრამ როგორ მიცანით? მე სულ ვერ გცნობთ.

— ვერც მე. თქვენი სახელი რომ არ ეთქვათ, ვერ გაგიხსენებდით.

— ჩემო მეგობარო, ოც წელიწადში ადამიანის შეცვლა არც ისე გასაკვირია.

— აჯობებდა თქვათ, რომ ექვსი წლისა საკუთარ თავს ჯერ კიდევ არ ჰგავდით.

— თქვენ შეგიძლიათ დამეთანხმოთ, რომ ოცდაექვსი წლისა ვარ, თუმცა ბოროტი ენები მთელ ათეულს მომატებენ.

— რაც უნდათ ისა თქვან. თქვენ სრული გაფერჩქვნის ხანაში იმყოფებით. პირდაპირ სიყვარულისათვის ხართ შექმნილი და უბედნიერეს კაცად ვთვლი ჩემს თავს, რომ ბოლოს-დაბოლოს შემიძლია გამოგიტყდეთ: თქვენ იყავით პირველი ქალი, ვინც ჩემს გულში სიყვარულის ცეცხლი აგიზგიზა.

აქ ორივეს გრძნობები აკვეშალა, მაგრამ გამოცდილებამ გვანიშნა, რომ თავის შეკავება და მოთმინება იყო საჭირო.

ლამაზი, ახალგაზრდა, ქორფა დენი მთელ ათ წელიწადს იკლებდა. მან იცოდა, რომ მე ეს ვიცოდი და მაინც ამის დასტურს მოხოვდა. ალბათ, შემიძულებდა. უკანასკნელი ყეყეჩივით თავი სიმართლისათვის რომ გამომედო, რომელიც მან ჩემზე უკვე უწყოდა. არ აინტერესებდა ამის გამო რას ვიფიქრებდი. ეს ჩემი საზრუნავი იყო. იქნებ მიეჩნდა, რომ მისი მადლიერიც კი უნდა ვყოფილიყავი, რამეთუ ამ შტიფარი ტყუილით მეც ათი წლით მაახალგაზრდავებდა. ჩემთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ასაკის დაკლება მსახიობთა

მოვალეობაა, რადგან უწყიან, რომ თუ პუბლიკამ წლების მატება შეატყო, მათ ტალანტი აუცილებლად ხუთრგს შეაქცევს.

თავისი სილამაზე იაფი ბრწყინვალე გულახდილობით გამოვბილა, რომ ეს კარგის მომავალ-ად მეჩვენა და ეკვე ექვი ალარ მეპარებოდა, რომ ჩემს გრძნობებს მოწყალე თვალით გადმოხედავდა. მან თავის სახლი მაჩვენა და როცა დავინახე, თუ რა ფუფუნებაში ცხოვრობდა, ვკითხე, მეგობარი თუ გყავთ-მეთქი. ღიმილით მიპასუხა, მთელი ბერლინი დარწმუნებულია. რომ მყავს, მაგრამ ის, ვინც ჩემს გულითად მეგობრად მიაჩნიათ, მამობას უფრო მიწევს, ვიდრე საყვარლობასო.

— მაგრამ თქვენ ნამდვილი სიყვარულის ღირსი ბრძანდებით. შეუძლებელია, რომ მიჯნური არ გყავდეთ.

— დამიჯერეთ, რომ ეს სულაც არ მადარდებს. მე კრუნჩხვებითა ვარ დაავადებული და ჩემი ცხოვრების მთავარი უბედურებაც ეს არის. ტფილისაში წყლებზე წასვლა მინდოდა, მარწმუნებენ, რომ უეათეოდ განვიკურნები, მაგრამ ხელმწიფე არ მიშვებს. გაისად აუცილებლად უნდა წავიდე.

გრძნობდა, რომ მისი სურვილი მკლავდა და ჩემი თავდაჭერილობით მეტად კმაყოფილი იყო. ვკითხე, ხშირი სტუმრობით თავს ხომ არ შეგაწყენთ მეთქი და მიპასუხა, თუ საწინააღმდეგო არაფერი მექნებოდა, თავს ჩემს ძმისწულად ან ბიძაშვილად გაასაღებდა. ამაზე სერიოზულად მივუგე, რომ ბიძაშვილი კი არა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ იგი ჩემი დაც კი ყოფილიყო, რამეთუ მამამისსა და დედაჩემს ერთმანეთთან მეგობრული გრძნობები აკავშირებდათ. ამ ფაქტით გულაჩეყუბულნი ნათესავთათვის სავსებით უწყინარ ალერსზე გადავედით და ერთურთს მხოლოდ მაშინ მოვწყდით, როცა შევატყვეთ, რომ შეიძლებოდა ძალიან შორს შეგვეტოპა. კიბემდე მიმაცილა და მითხრა, ხვალ ჩემთან სადილად მობრძანებას ხომ არ ისურვებდითო. უარს როგორ ვეტყოდი.

ტრაქტირში მეტისმეტად აღგზნებული დავბრუნდი. ამ ბოლო ხანების უცნაურ დამთხვევებზე ფიქრის შემდეგ გადაწყვიტე, რომ ჭეშმარიტად ბედნიერ ვარსკვლავზე ვიყავი გაჩენილი.

მეორე დღეს დენისთან იმ დროს მივედი, როცა ყველა

წვეულს უკვე თავი მოეყარა. პირველი მომვარდა და კისერზე ჩამომეკიდა ჭაბუკი მოცეკვავე ობრი, რომელსაც პარიზის ოპერიდან ვიცნობდი. შემდეგ ვენეციის უპირველესი მოცეკვავე გახდა და სახელი იმითაც გაითქვა, რომ ერთ-ერთი რჩეული ქალბატონის საყვარელი და მისი ქმრის გულითადი მეგობარი იყო. ობრი ორივეს წინააღმდეგ მარტო თამაშობდა, თანაც ისეთი წარმატებით, რომ მათ შორისაც კი იძინებდა. სახელმწიფო ინკვიზიტორებმა დიდმარხვის დასაწყისში იგი ტრიესტში გაასახლეს. და აი, ათი წლის შემდეგ დენისთან ვხვდები და იგი თავის მეუღლეს, მოცეკვავე სანტინას მაცნობს, რომელიც პეტერბურგში შეერთო და ახლა იქიდან დაბრუნებული გამოსაზამთრებლად პარიზს მოემგზავრებოდნენ.

ობრის შემდეგ ერთი სქელეა მომიახლოვდა და განმიცხადა, რომ ავერ უკვე ოცდახუთი წელი ხდებოდა, რაც ჩვენ ვმეგობრობდით, მაგრამ მაშინ ისეთი ახალგაზრდები ვიყავით, რომ ახლა ერთიმეორეს ველარ ვიხსენებდით.

— ჩვენ ერთმანეთი პადუაში გავიცანით, — მითხრა მან, — დოქტორ გოცისთან. მე ჯეზუპე ლოლო ვარ.

— დიახ, დიახ, მახსოვხართ! თქვენ რუსეთის იმპერატორის სამსახურში იდექით და შესანიშნავად უკრავდით ვიოლონჩელს.

— მართლა გახსომებიხართ! ახლა სამშობლოში ვბრუნდები, რათა აღარასოდეს მოვატოვო. ნება მიბოძეთ, ჩემი მეუღლე წარმოგიდგინოთ. ის პეტერბურგში დაიბადა. ცნობილი მეკოლინის მადონისის ქალიშვილი გახლავთ. ერთი კვირის შემდეგ დრეზდენში ვიქნები და სიამოვნებით გადავეხვევი თქვენს ძვირფას დედიკოს, ქალბატონ კაზანოვას.

ბედნიერი ვიყავი, რომ ასეთ რჩეულ საზოგადოებაში აღმოვჩნდი, მაგრამ ვხედავდი, რომ ოცდახუთი წლის წინანდელი მოგონებები მომხიბლელ ქალბატონ დენის სულაც არ ეპიტნავებოდა. საუბარი პეტერბურგის იმ მოვლენებზე გადავიტანეთ, რომელთა შედეგადაც რუსეთის ტახტზე დიდი ეკატერინე დაბრძანდა. ლოლომ გაგვიმხილა, რომ შეთქმულებაში ნაწილობრივ თვითონაც მონაწილეობდა, ამიტომ ჭკუა იხმარა და გადადგომა ითხოვა, მაგრამ საკმარისი სიმდიდრე დააგროვა და საამისოდ, რომ სიცოცხლის დარჩენილი წლები სამშობ-

ლოში გაეტარებინა და არავისზე დამოკიდებული არ ყოფილიყო.

მაგინ დენმ განაცხადა, რომ ათი თუ თორმეტი დღის წინ მას წარუდგინეს ვინმე პიემონტელი, გვარად ოდარი, რომელსაც თურმე მთელი ამ შეთქმულების ბადე მოუქსოვია და შემდეგ ისიც, იმპერატორის ბრძანებით, პეტერბურგს გაეცალა. ხელმწიფეს იგი, გაწეული სამსახურისათვის, ასეულ ათასობით მანეთით დაუჯილდოებია.

ეს ბატონი მაგულის შესაძენად პიემონტში წაბრძანებულა, იქ ბშვიდად და განცხრომით ცხოვრებას აპირებდა, მაგრამ უხეირო ადგილი შეურჩევია. ორი თუ სამი წლის შემდეგ მის ოთახში მეხი შემოვარდნილა და მოუკლავს. თუ ეს უხილავი და ყოვლის შემძლე ხელის მიერ გამოგზავნილი დარტყმა იყო, იგი რუსეთის მფარველი ანგელოზისაგან იმპერატორ პეტრე მესამის მკვლელობისათვის შურის საძიებლად მოვლენილი სასჯელი არ იქნებოდა, რადგან ამ უბედურ ხელმწიფეს კიდეც რომ ეცოცხლა და ემეფა, თავის ხალხს ათასგვარ უბედურებას დაუწყებდა.

მისმა ცოლმა ეკატერინემ, ყველა უცხოელი, ვინც ქმრის თავიდან მოშორებაში დაეხმარა, გულუხვად დაასაჩუქრა და სამშობლოში დააბრუნა, შეთქმულების მონაწილე რუსებსაც მადლობა გადუხადა, ხოლო ის დიდებულნი, ვისაც ეს რევოლუცია ჭკუაში არ მოსდიოდათ, სამოგზაუროდ განმწესა.

და ლოლომ და მისმა ლამაზმა ცოლმა რუსეთში წასვლის აზრი ჩამაგონეს, მარწმუნებდნენ, რომ იქ დიდ ქონებას შეკრებენდი და შესანიშნავი სარეკომენდაციო წერილებითაც მომამზადებენ.

მათი ბერლინიდან გამგზავრების შემდეგ დენის კეთილგანწყობასაც მივაღწიე. ჩვენი სიახლოვე დაწყო ერთ სალამოს, როცა მას კრუნჩხვებმა წამოუარა და მთელ საღამოს გაგრძელდა. ღამე მის სასთუმალთან გავატარე. დილით კი ოცდაექვსწლიანი ერთგულების ჯილდო მივიღე. ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობა ბერლინიდან გამგზავრებამდე გრძელდებოდა. ექვსი წლის შემდეგ იგი ფლორენციაში განვაახლეთ, რაზეც თავის ადგილას მოგითხრობთ.

რუსეთში გასამგზავრებლად ვემზადებოდი. ბარონმა ტრე-

იდენმაც წამაქეზა და თავის დასთან, კურლანდიის ჰერცოგის მეუღლესთან სარეკომენდაციო ბარათის გატანებას შემპირდა. სასწრაფოდ ბატონ ბრაგანდინს მივწერე და პეტერბურგელ ბანკირებთან შეამდგომლობა ვთხოვე, რათა მათგან ყოველთვიურად იმდენი ფული მიმეღო, რამდენიც უსრულნველი ცხოვრებისათვის დამჭირდებოდა.

ცხოვრების წესი და რიგი მოითხოვდა, რომ მსახურიც თან წამეყვანა და აი, ბედმა ისიც გამომიგზავნა: ტრაქტირის პატრონ რიეფენს ჭაბეკი ვინმე ლოტარინგელი გამოეცხადა. ერთი უბადრუკი ფეთის გარდა სხვა ბარგი არ გააჩნდა. გაეცინა, რომ ლამბერი ერქვა, ისის იყო ბერლინიდან ჩამოვიდა და მასთან დადგომას აპირებდა.

— მოიცადეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, — მიიწვია რიეფომ, — მაგრამ ქირა ყოველდღიურად ენდა გადამიხადოთ.

— ქალბატონო, მე გროშიც არ გამაჩნია, მაგრამ როგორც კი ჩემიანებს მისამართს ვაცნობებ, ფულს მაშინვე გამომიგზავნიან.

— მოწყალეო ხელმწიფევ, მე თქვენთვის ადგილი არა მაქვს.

გაწბილებულმა ჭაბეკმა წასვლა დაიპირა, მაგრამ შეეაჩერე და ვეუხარი რომ ამ ერთი დღის ქირას მე გადავუხდიდი და ეკითხა, ფეთაში რა გაქვს მეთქი.

— ორი პერანგი, — მიპასუხა მან, — და ორ ათეულამდე მათემატიკური წიგნი.

ჩემს ოთახში შევიყვანე, გავესაუბრე და როცა მის განსწავლულობაში დავრწმუნდი, ეკითხე, რა შემთხვევის გამო ჩავარდა ასეთ ყოფაში.

— სტრასბურგში, — მიპასუხა მან, — ამა და ამ პოლკის კადეტმა ყავახანაში სილა გამაწნა. მეორე დღეს წინ მოვაკითხე და ადგილზე მოვკალი. მაშინვე ჩემს ბინაში დავბრუნდი, ტომარაში წიგნები და პერანგები ჩავყარე და ქალაქიდან გამოვიქეცი. ჯიბეში მხოლოდ ორი ლუიდორი და პასპორტი მედო. მთელი გზა ფეხით გამოვიარე და ფული ამ დილამდე მეყო. ხვალ ლიუნევალში დედაჩემს მივწერ და დარწმუნებული ვარ, რომ ფულს გამომიგზავნის. იმედი მაქვს, რომ აქ ინვალიდთა

კორპუსში სამუშაოდ მოვეწყობი, უარეს შემთხვევაში ჯარისკაცად ჩავეწეოები.

ვუთხარი, რომ ჭსახურის ოთახში დავაბინავებდი და ვიდრე დედისაგან სასურველ დახმარებას მიიღებდა, საქმლის ფულსაც მივცემდი. ხელზე ჩაკოცა.

ენას უკადებდა და ამიტომ თაღლითად არ მიმიჩნევია, მაგრამ ჭაინც დაუყოვნებლივ მივწერე სტრასბურგში ერთ ნაცნობს, რომ ჭაბუკის მონაყოლი შემთხვევის სინამდვილე შეემოწმებინა

მეორე დღეს ინჟინერთა კორპუსის ოფიცერს მოველაპარაკე ჭან მითხრა რომ პოლკში უამრავი განათლებული ახალგაზრდა ჭყავდათ. რომლებიც სამსახურში მიღებამდე ჯერ ჯარისკაცებად ირიცხებოდნენ. ასეთი ბედისათვის ჭაბუკი რატომღაც ვერ გავიმეტე. გადავწყვიტე, რომ პეტერბურგში წამეყვანა. მან მიპასუხა, რომ უფრო დიდ ბედნიერებას ვერც ინატრებდა და მთელი ჩემი მოგზაურობის განმავლობაში ერთგულად მემსახურებოდა. ფრანგულად ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ეს არც მიკვირდა, რამეთუ ლოტარინგიელი იყო. იმან კი ნამდვილად გამაოცა, რომ არც ლათინური იცოდა და წერისას ყოველ სიტყვაში შეცდომას ეშვებდა. დავცინე, მაგრამ სულ არ შერცხვენია, სკოლაში მარტო გეომეტრიასა და მათემატიკას ეწავლობდი და გრამატიკას სათოფეზე არ ვეკარებოდით, მითხრა. მართლაც, ჭათემატიკის გარდა ყველაფრის უმეცარი იყო, არც კეთილშობილური ჩვევები ჭქონდა და საქციელითაც ნამდვილ ტეტიას ჭგავდა.

ათი-თორმეტი დღის შემდეგ სტრასბურგიდან მაცნობეს, რომ ლამბერგის ამბავი არავის სმენია და ხსენებულ პოლკში არც ერთი კადეტი არც მოუკლავთ და არც დაუჭრიათ. როცა ეს წერილი ლამბერს ვაჩვენე და სიცრუისათვის ვუსაყვედურე, გამომიტყდა, რომ სამხედრო სამსახურში შესასვლელად მამაცი კაცის სახელი სჭირდებოდა და ეს ამბავი იმიტომ მოიგონა. ისიც ტყუილი იყო, რომ დედამისი ფულს გამოუგზავნიდა, სინამდვილეში არავისაგან დახმარებას არ ელოდა. ბოდიში ჭომიხადა და აღმითქვა, რომ ამიერიდან არასოდეს იცრუებდა და პირნათლად მემსახურებოდა. გამეცინა და ვუთხარი, რომ ხუთი ან ექვსი დღის შემდეგ გავემგზავრებოდით.

პოტსდამში გავემართეთ; თან მახლდა ვენეციელი ბარონი ბოდენონი, რომელსაც განსრახული ჰქონდა, მეფისათვის ანდრეა დელ სარტოს ნახატი მიეყიდა და მისი უდიდებულესობის წინაშე ამ გზით წარმდგარიყო.

ხელოვნიფ პალაცზე სეირნობდა. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოეპართა. რათა ეკითხა, პეტერბურგს როდი მიეგზავნებოდი.

— ხუთი ან ექვსი დღის შემდეგ. სარ, თქვენი უდიდ ... ლესობის ნებართვით.

— მშვიდობიან გზას გისურვებთ, მაგრამ იმ მხარეში რას დაეძებთ?

— იმას, რასაც აქ დავეძებდი, სარ — უფალს რომ თაკი მოვაწონო.

— იმპერატორთან რეკომენდაციო მოგაქვთ?

— არა, სარ, მხოლოდ ბანკირთან.

— სიმართლე რომ გითხრათ, ეს ბევრად უკეთესია. თუ უკანაც იმავე გზით დაბრუნდებით, მინახულეთ და იქაური ამბები შემატყობინეთ. მშვიდობით.

ასეთი იყო ჩემი ორი შეხვედრა დიდ მონარქთან. რომელიც ამის შემდეგ ალარ მინახავს. ნაცნობებს გამოვეთხოვე. ბარონ ტრეიდენისაგან მიტავის დიდი კანცლერის ბატონ კარბერლინგისათვის და ჰერცოგის მეუღლისათვის გადასაცემი წერილები წამოვიღე და საღამო საყვარელ დენისთან გავატარე, რომელმაც ჩემი საფოსტო ეტლი იყიდა. ჯიბეში ორასი ათასი დუკატი მედო, რომელიც მოგზაურობის ბოლომდე მეყოფოდა. ნახევარი დანცინგში ახალგაზრდა ვაჭრებთან დარდმანდულ ქეიფში რომ დამეტოვებინა. მაგრამ იმდენი ფული მაინც დამრჩა, რომ მიტავისაკენ წარჩინებული ბატონივით მევგზავრა. ექვსცხენწყებმული ოთხადგილიანი კარეტით სამ დღეში მიველს ჩავედით.

ტრაქტირში ფლორენციელ „ვერტუოზ" ქალს ბრეგანტეს შეკვეთდი. რომელიც ჩემს დანახვაზე პირდაპირ ალერსად დადწა და მარწმუნებდა, რომ ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, ჩემი ამბავის დროს, უგონოდ მიყვარდა იგი. ის გარემოებანი, დიდის მგზნებარებით რომ დამიხატა, ამ ისტორიას სიმართლის

ელდეკს ანიჭებდა, მაგრამ მაინც ვერა და ვერ გავიხსენე. ამ ჭალა ექვსი წლის შემდეგ ფლორენციაში შევხვდი.

კიდევ ორი დღე მიტავაში ჩასვლას მოვანდომე. ციხესიმაგრის პირდაპირ დავბინავდით. საფულეში სამი დუკატილა მქონდა.

დილის ცხრა საათზე ბატონ კაიზერლინგს ვეწვიე და ბარონ ტრაიდენის წერილები გადავეცი. მან მაშინვე თავის პოლთან წარმადგინა და დროებით დამემშვიდობა, რათა ჰერცოგის მეუღლისათვის სასახლეში ძმის წერილი მიეტანა.

ქალბატონი კაიზერლინგი შოკოლადის სასმელით გამომპატიჟინძლდა, რომელიც თვალწარმტაცმა პოლონელმა მოახლე გოგომ მოგვართვა. ის ჩემს წინ, ლანგარით ხელში, თვალდახრილი იდგა, თითქოს საშუალებას მაძლევდა, რომ მისი იშვიათი სილამაზით ნებისად დავტკბარიყავი. და აქ რაღაც უცნაური სერვილი მომეძალა, თავი ვერ შევიკავე, ჯიბიდან უკანასკნელი სამი დუკატი ამოვიღე და ფინჯანის დაბრუნებისას შეუმჩნეველად ლანგარზე დავდე.

კანცლერი დაბრუნდა და მაუწყა, რომ იმჟამად ჰერცოგის მეუღლეს ჩემი მიღება არ შეეძლო, სამაგიეროდ, მეჯლისზე მიწვევდა. ამაზე მაშინვე უარი განვაცხადე, რადგან საზაფხულო კამზოლის და ისიც შაკის გარდა სხვა სამოსი არ გამაჩნდა. ოქტომბერი იდგა და საკმაოდ ცივდა. კანცლერი სასახლეში დაბრუნდა, მე ტრაქტირში წავედი.

ნახევარი საათის შემდეგ კამერგერი გამომეცხადა, მისი უმაღლესობის სალამი გადმომცა და მითხრა, რომ ნიღბებიანი ჟეჯლისი გაიმართებოდა და შემეძლო დომინოთი მოვსულიყავი. მისი შოვნა ებრაელებში არც ისე ძნელი საქმე იყო.

— მეჯლისი იყო გამოცხადებული, მაგრამ ახლა წვეულ თავადებს აუწყეს, რომ მასკარადი გაიმართებოდა, რადგან მიტავაში გავლით მყოფ უცხოელს თავისი ბარგი წინდაწინ გაუგზავნია.

სინანული გამოვთქვი იმის გამო, რომ ასეთი ცვლილებების მიზეზი გავხდი, მაგრამ კამერგერი მარწმუნებდა, პირიქით, ბალმასკარადი უფრო თავისუფალი და მხიარული გასართობია და ყველას ძალიან მოსწონს. შემდეგ დაწყების დრო მაუწყა და წავიდა.

რუსეთში პრუსიულ ფულს გასავალი არ ჰქონდა და საბ-
დანლაც მოვლენილი ებრაელი დაინტერესდა, ფრიდრიხსტა-
ლერები ხომ არ შემოგრჩათო. მათი დუკატებზე გაცვლა შე-
მომთავაზა. მე ვეთხარი, რომ მხოლოდ დუკატები მქონდა. მა-
საც ეს უნდოდა — თურმე გაეგო, რომ დუკატებს მუქთად
ვარიგებდი. ვერ მივხვდი რას გულისხმობდა, მან კი დასძინა,
რომ მზად იყო ორასი დუკატი ესესხებინა, თუ პეტერბურგ-
ში მანეთებზე დავუბრუნებდი. ასეთი გულმოწყალებით გა-
ცებულმა ვეთხარი, ასი დუკატიც მეყოფა-მეთქი და მაშინვე
ჩამითვალა. დემეტრიო პაპანელოპულოს ბანკის თამასუქი მი-
ვეცი. მადლობა გადმიხადა და წავიდა, თან დომინოს გამოგ-
ზავნას შემპირდა. ლამბერი დავდევნე, რათა წინდებიც ეთხო-
ვა. დაბრუნებულმა მაცნობა, რომ ებრაელს მასპინძლისათვის
უთქვამს, თქვენი სტუმარი ფულებს ქარში ფანტავს და სამი
დუკატი ქალბატონ კაიზერლინგის მოახლეს აჩუქაო.

ასე რომ, ამქვეყნად არც ძნელი და არც იოლი საქმე თა-
ვისთავად არ არსებობს. ყველაფერი ჩვენს მოქმედებასა და
ფორტუნის ნებაზეა დამოკიდებული. გოგოსათვის იმ სამი
დუკატის ჩაქცევა რომ არ ამეხირებინა, მიტავაში გროშსაც ვერ
ვიშოვიდი. სასოცარია, რომ გოგომ ეს ამბავი მაშინვე წამოაყ-
რანტალა და ფხიანმა ებრაელმა დაუყოვნებლივ ფულის მფანტ-
ველ უცხოელს მიაშურა, რათა ამ გაცვლით ხეირი ენახა.

დათქმულ დროზე სასახლეში ვიყავი, სადაც ბატონმა კაი-
ზერლინგმა ჰერცოგის მეუღლესთან წარმადგინა, მან კი თავი-
სი ქმარი, სახელგანთქმული ბირონი თუ ბირონი გამაცნო, რო-
მელიც იმპერატორ ანა იოანეს ასულის ფავორიტი, მისი გარ-
დაცვალების შემდეგ კი რუსეთის რეგენტი იყო. მერე ოცი
წლით ციმბირში გადაასახლეს.

თხუთმეტ წუთში მეჯლისიც დაწყო. იგი პოლონეზით გა-
ხსნა. ჰერცოგის მეუღლემ, როგორც უცხოელს, პატივი დამ-
დო და პარტნიორად ამირჩია. ეს ცეკვა არ ვიცოდი, მაგრამ
იგი იმდენად მარტივია, რომ ნებისმიერი ადამიანი საგანგებო
წვრთნის გარეშეც იცეკვებს: წარმოიდგინეთ პროცესია, რო-
მელშიც რამდენიმე წყვილი ერთიმეორის მიყოლებით მოე-
მართება და პირველი წყვილის მამაკაცი ხან მარჯვნივ და ხან
მარცხნივ უხვევს. მიუხედავად პას ერთფეროვნებისა, წყვი-

ლებს თავიანთი სინატიფისა და მოქნილობის გამოვლინების საშუალება ეძლევათ. ეს არის ყველაზე დიდებული და უბრალო ცეკვა, რომელშიც მეჯლისის მონაწილენი მთელი თავიანთი ბრწყინვალებით წარმოსდგებიან.

პოლონეზის შემდეგ მენუეტს უკრავდნენ და ერთმა არც ისე ახალგაზრდა და არც მთლად მოხუცმა ბანოვანმა მკითხა, „თავაზიანი გამარჯვებულის“ ცეკვა თუ იცითო; კი-მეთქი, ვუპასუხე და ქალბატონის სურვილი სულაც არ გამკვირვებია, რადგან, ალბათ, ქალიშვილობაში ამ ცეკვის ბრწყინვალე შესრულებით თავი მოსწონდა. რენეგატობის დროის შემდეგ მას უკვე აღარ ცეკვავდნენ. ახალგაზრდა ქალები აღტაცებით გვიცქერდნენ.

მთავარი კონტრდანსის შემდეგ, ჰერცოგის მეუღლის ოთხი ფრეილინასაგან ყველაზე ლამაზ ქალწულ მონტეიფელთან რომ ვიცეკვე, ვახშამი მოგვართვეს. მაშინვე ჰერცოგის მეუღლეს მივაშურე, ჭკლავი შევთავაზე და სუფრაზე მის გვერდით დავჯექი. თორმეტი პერსონისათვის გაწყობილ მაგიდასთან ერთადერთი მამაკაცი მე ვიყავი, დანარჩენი თერთმეტი სულ ხანდაზმული მანდილოსნები იყვნენ. გამიკვირდა, რომ ჰატარა მიტავაში ამდენი წარჩინებული მატრონა ვიხილე. ჰერცოგის მეუღლე ყურადღებას არ მაკლებდა, გულითადად მესაუბრებოდა და ვახშმის დასასრულს ძველი ინგლისური ლუდით სავსე კათხაც მომაწოდა. სასმელი შევაქე და დარბაზში დავბრუნდით.

ჭაბუკმა კამერგერმა, რომელმაც მეჯლისზე მიწვევა გადმომცა, ადგილობრივ თავადთა მშვენიერი სქესის წარმომადგენლები გამაცნო, მაგრამ მათთან არშიყობისათვის აღარ მეცალა.

მეორე დღეს ჰერცოგის სასახლეში სადილზე მიმიწვიეს. აქ მხოლოდ მამაკაცები შეკრებილიყვნენ. მოხუცი თავადი გამუდმებით ლაპარაკს მაიძულებდა. საუბარი ამ მხარის წიაღისეულ სიმდიდრეზე ჩამოვარდა და მე თავს უფლება მივეცი განმეცხადებინა, რომ წიაღისეული სიმდიდრედ მხოლოდ მისი მოპოვების შემდეგ იქცევა, რაზეც ამ ქვეყანაში არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ჩემი მოსაზრება რომ განმემტკიცებინა, ისეთი თავდაჯერებული მსჯელობა დავიწყე, თითქოს ამ

საქმის თეორიისა და პრაქტიკის წვრილმანებზე ჭეშმარიტი მქონდა მოჭრილი. კურლანდიისა და სენეგალის საბადოების მმართველმა მოხუცმა კამერგერმა ჩემი შთაგონებული საუბარი გულდასმით მოისმინა, ზოგი რამ ჭკუაში არ დაიჯერა, მაგრამ ეკონომიკასა და წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებულ ბევრ მოსაზრებაში მხარი დამიჭირა. თავიდანვე რომ მცოდნოდა, ამ საქმის როგორ მცოდნესთან ვბაქაბუკობდი, რა თქმა უნდა, კრინტსაც არ დავძრავდი, რადგან ამგვარ რაჩეებში ტყემალზე ვიჯექი, მაგრამ ამდენი ნაცრის ამუქებით რაღაცას მაინც მივაღწიე. თვით ჰერცოგი ჩემს ცოლნას დიდი პატივისცემით მოეკიდა. ნასადილევს კაბინეტში შემოყვანა და მთხოვა, ორი კვირით კიდევ დავრჩენილიყავი. თუ რა თქმა უნდა, პეტერბურგში საჭირაფო საქმეები არ მელოდა. თქვენ. განკარგულებაში მიგულეთ-მეთქი, განვუცხადე. მაშინ მითხრა, რომ კამერგერი, რომელიც წელან მეკამათებოდა, მის სამფლობელოში არსებულ ყველა საწარმოს მაჩვენებდა და ეკონომიკური მმართველობის მიმართ გამოთქმულ ყველა შენიშვნას დიდი მადლიერებით მიიღებდა. მაშინვე დავთანხმდი და მეორე დღისათვის გამგზავრება გადავწყვიტეთ.

შინ დავბრუნდი. საჭირაფოდ გავემზადე და ლამბერს ვეთხარი, რომ საფარგლე წამოელო. როცა საქმის ვითარება გავაცანი, შემპირდა, რომ თუმცა ეს მეცნიერება მისთვის ჩინურივით იყო, ჩემს დასახმარებლად მთელ თავის მათემატიკურ ბიჭსა და უნარს გამოიყენებდა.

ხამი მსახურის თანხლებით გავემგზავრეთ. თოფ-იარაღში გისხედით. ყოველ ორ-სამ საათში ცხენებს ვცვლიდით და ძალღონის მოსაკრეფად დიდებულ რეინულ ან ფრანგულ ღვინოებს მივირთმევდით.

ორი კვირა ვიმოგზაურეთ. ხუთი სოფელი მოვიარეთ, სადაც რკინისა და სპილენძის მაღაროებში მომუშავე ხალხი ცხოვრობდა. ერთ საბადოში ვცვლიდი იმას, რაც არასწორად მიმაჩნდა. მეორეში მუშაკთა რაოდენობის გაზრდას ვითხოვდი, მთავარ საბადოში, სადაც ოცდაათი კაცი შრომობდა პატარა მდინარიდან აირხი გავაყვანინე ისე, რომ რაბის გახსნისას. გადმოშვებული წყალი ამ ბორბალს აბრუნებდა, რამაც მმართველს დიდძალი მუშახელის გამოთავისუფლების საშუ-

ალება მისცა. ლამბერმა კი ჩემი მითითებების მიხედვით საშუშაოების საუკეთესო კეგმა შეადგინა, სიმაღლეები აზომა, რაბი და ბორბლები გამოხაზა, მთელ არხზე ნიშნულები განალაგა. სხვადასხვა დანიშნულების არხებით ეროცელი დაბლობები ამოვაშრე, რათა იქ დიდი რაოდენობის აჯასპისა და გოკერდის მოპოვება შესძლებოდათ.

მიტავაში აღტაცებული ვბრუნდებოდი, რადგან თურმე ტყეულად არ მიტრაბახნია, საქმე გავაკეთე და ჩემს თავში ახალი ტალანტი აღმოვაჩინე, რაზეც ადრე წარმოდგენა არ მქონია. მთელი მეორე დღე ჩემი დაკვირვებების მოწესრიგებას მოვუნდი და ჩანახატებისა და ნახაზების გადიდებული ასლები დავამზადებინე. მესამე დღეს ჩემი შენიშვნები ჰერცოგს წარვუდგინე. დიდი მადლობა გადამიხადა. მითხრა, რომ რიგაში ერთ-ერთი თავისი საუკეთესო კარეტით გამამგზავრებდა და თავის ვაჟთან, პრინც კარლთან წერილს გამატანდა. იგი იქ თავისი გარნიზონით იდგა. გამოცდილებით დაბრძნობილმა კეთილშობილმა მოხუცმა მკითხა, საჩუქრად ბექედი ვირჩევნია თუ მაი ღირებულების ფულიო. ვუპასუხე, რომ ფულს ვამჯობინებდი, თუმცა იმითაც კმაყოფილი ვიქნებოდი, თუ მის ხელზე ამბორის ბატონს დამდებდა. მაშინ ოთხასი ალბრეხტალერის ღირებულების ბილეთი გადმომცა, რომელსაც ხაზინაში წარდგენისთანავე გამინაღდებდნენ. ეს თანხა მიტავაში მოკრილი ჰოლანდიური დუკატებით მივიღე: ალბრეხტალერი ნახევარი დუკატი ღირდა. შემდეგ ჰერცოგის მეუღლის ხელს ვეამბორე და ბატონ კიზერლინგთან სადილზე გავწერე.

დილით ენაბლე ლამბერთან ერთად ჰერცოგის კარეტით გავემგზავრე და, ნახევარ გზაზე ცხენების გამოცვლის შემდეგ, ნაშუადღევს რიგაში ჩავედი, ჰერცოგის წერილი მაშინვე მის ვაჟს გავუგზავნე. ის რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, კამერგერი, ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერი კარლ ბირონი გახლდათ...

...რიგა 15 დეკემბერს საშინელ ყინვაში დავტოვე და გეზი პეტერბურგისაკენ ავიღე. სამოცი საათი თითქმის შეუჩერებლად ვიარეთ. მეეტლის გვერდით ფრანგი ლაქია იჯდა, რო-

მელმაც კოფოზე მგზავრობის საფასურად პეტერბურგამდე თავისი სამსახური შემომთავაზა. ჩინებულად მემსახურა, თუმცა კი ცუდად ეცვა, სამი დღე უსასტიკეს ყინვაში იჯდა და თავს მაინც შესანიშნავად გრძნობდა.

ჭაბუკ ლამბერს მთელ გზაზე ჭამის, სმისა და ძილის მეტი არაფერი უკეთებია. ხმასაც არ იღებდა: არც ხუმრობა, არც ჩივილი, არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რასაც გზაში ხედავდა. დიდი ბრიყვი და მუდო ვინმე იყო. რიგაში არავისთვის გამოცვნია, რადგან თავს მომჭრიდა, მხოლოდ ფარიკაობის დარბაზში დადიოდა, სადაც უსაქმურებს დაუძმაკაცდა და მათთან ერთად მთელი დღე დუქანში ლუდით იჭყიპებოდა. წარმოდგენა არა მაქვს, საამისო ფულს სად შოულობდა.

პეტერბურგში მზის პირველ სხივებს შევყევით. ერთ პატარა და მყუდრო ქუჩაზე ძალიან იაფად ორი კარგი ოთახი მომაქირავეს, სადაც თავდაპირველად არავითარი ავეჯი არ იდგა, მაგრამ მალე ორი საწოლი, ოთხი სკამი და ორი პატარა მაგიდა მომიტანეს. პირველად იქ ენახე ეხარმაზარი რუსული ღუმელები და ვიფიქრე, აუარება შეშა დასჭირდება-მეთქი, მაგრამ თურმე არა. მხოლოდ რუსეთში აკეთებენ ღუმელს ისე ოსტატურად, როგორც ვენეციაში წყალსაცავს ან წყაროს. ეს მთელი ხელოვნებაა. ზაფხულში გამოვიყენეთ ოცი ფუტის სიმაღლისა და ექვსი ფუტის სიგანის ღუმელის შიგა აღნაგობა ყველიდან საკვამურამდე და ზევითკენ აკლაკნილი საოცარი ხვეულები აღმოვაჩინე. ასეთი ღუმელები სითბოს მთელ დღეს ინარჩუნებენ. ოთახი საკვამურის ფუძესთან დატანებული ხვრელის მეშვეობით თბება. როცა მსახური დაინახავს, რომ მთელი კვამლი გასულია, ამ ხვრელს თოკის მოქაჩვით ხურავს და სითბოს ქვევიდანაც და ზევიდანაც გასასვლელს უკეტავს. დღეში ორჯერ ღუმელს მხოლოდ დიდებულთა ოჯახებში ახურებენ, სადაც მსახურს ხუფის დახურვა აკრძალული აქვს. და ეს ეონიერი აკრძალვის მიზეზი ასეთი გახლავთ:

ვთქვათ, ნადირობიდან ან მგზავრობიდან დაბრუნებულმა ბატონმა მსახურს ძილის წინ ღუმელის გაჩაღება უბრძანა. იმან კი დაუდევრობის ან სიჩქარის გამო ხუფი მაშინ დახურა, როცა მთელი კვამლი გასული არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ მძინარე ბატონს გაღვიძება აღარ უწერია — სამ-ოთხ საათში

ოქვენ ჭირს წაიღებს. დილით ოთახში შეშოდიან, მხეთრის სუნს კრძალობენ და გაფრინულ ჭიკვალებულა ხედავენ. მაშინვე ქვეყანაბერა აღებენ, იქედან ქმალის ბოლქვები მოგორავს და ოთახს ავსებს, ყარ-ფანჯრებს ფელავენ, მაგრამ რაღა ღროსია, ბატონი უკვე გაღვაა გასული. ამაოდ დაეძებენ მსახურს, რომელმაც თავს გაქცევით უშველა, და ბოლოდაბოლოს მაინც საოცრად ოლად ჰოულობენ და სახრჩობელაზე ჰკიდებენ, თუმცა კი იფიცება, ბოროტი განსრახვა გულში არ მდებიაო. ეს ჭკვიანური წესი რომ არ ჰქონდეთ, ნებისმიერი მსახური თავია ბატონს პირველი შესაძლებლობისთანავე გაგუდავდა.

ნასადილევს სახლის პატრონმა მაცნობა, რომ სასახლეში ხეთი თუ ექვსი ათასი კაცისათვის ბალ-მასკარადს მართავდნენ. იგი სამოც საათს გრძელდებოდა. შაბათი იყო. მასპინძელმა ბილეთი მომცა. მიტავაში ნაყიდი დომინო გამახსენდა და წასვლა გადავწყვიტე. ნიღაბი მოვატანინე და სასახლეში მიმიყვანეს. სადაც სხვადასხვა ოთახებში უამრავი ორკესტრის ხმებზე მოცეკვავე ხალხი ვიხილე. ყოველ ოთახში ბუფეტი იყო მოწყობილი, სადაც ნებისმიერ ადამიანს შიმშილისა და წყურვილის დაკმაყოფილება შეეძლო. ყველგან მხიარულება, სილალე, სიმდიდრე ზეიმობდა. სანთლების სიმრავლისაგან ყოველი კუთხე-კუნჭული მზიან დღესავით ჩახჩახებდა. სამი თუ ოთხი საათი შეუმჩნევლად გაფრინდა. ჩემს გვერდით მდგომი ერთი ნიღბოსანი მეორეს ეუბნება:

— შეხედე, შეხედე, ხელმწიფეც აქ ყოფილა' მას ჰგონია, რომ ვერავინ სცნობს, მაგრამ ახლავე ორლოვსაც დაინახავ: დაკალებული აქვს, დედოფლის შორიახლო იმყოფებოდეს. მისი დომინო ათ კაპიკზე მეტი ღირს.

დედოფალს მივყევი და დავრწმუნდი, რომ მართლა ის იყო, რამეთუ ასეულობით ნიღაბი იმასვე იმეორებდა, თუმცა ისე იქცეოდნენ, ვითომ ვერავინ სცნობდა. წარმოვიდგინე, როგორ სიამოვნებდა დედოფალს ეს გარემოება, ხან ერთ მოსაუბრე ჯგუფს მიუჯდებოდა და ხან მეორეს, თავისუფლად ისმენდა ნიღბოსანთა ლაპარაკს, რომელიც იქნებ მასაც კი შეეხებოდა. ასე შეეძლო მისთვის არასასიამოვნო რამეებიც კი მოესმინა, მაგრამ სამაგიეროდ იშვიათი საშუალება ეძლეოდა, რომ საკუთარ თავზე სიმართლე შეეტყო, რასაც უნიღბო მლიქვნე-

ლებისაგან ვერასოდეს გაიგებდა. შორიდან ვხედავდი ნილაბს, რომელიც ორლოვად მოინათლა — დედოფალს მხედველობის არედან არ ჰკარგავდა. თავისი სიმაღლითა და დახრილი თავით მასაც ყველა სცნობდა.

იმ დარბაზში შევედი, სადაც კადრილი გაემართათ და გაოცებით დავინახე, რომ ფრანგულ ყაიდაზე მშვენიერად ცეკვავდნენ. მაგრამ ჩემი ყურადღება ერთმა დომინოთი შემოსილმა და წიღბოსანთა გუნდით გარშემორტყმულმა ქალმა მიიპყრო, რომელიც პარიზულ კილოზე წიკვინებდა. ხმაზე ვერ ვიცანი, მაგრამ სიტყვებზე მივხვდი, რომ ეს ნილაბი ჩემი კარგი ნაცნობი იყო, რადგან მის ლაპარაკში გამუდმებით ისმოდა პარიზის საზოგადოებაში ჩემგან დამკვიდრებული გამოთქმები. საკუთარი წარმოების ფრაზათა ასეთმა სიუხვემ ცნობისმოყვარეობა აღმიძრა. ჩუმად ვდგავარ მის გვერდით და მოთმინებით ველი, როდის მოიხდის ნილაბს, რომ მალულად თვალი შევაყარო. ერთი საათის შემდეგ ბედმა გამიღიმა: ცხვირის მოსოცვა მოინდომა და მაშინვე ვიცანი ბარე, სენტ-ონორეს ქუჩაზე მცხოვრები ზეგალანტერეა ქალი, ვის ქორწილშიც შვიდი წლის წინ მაგრად ვიგრიალე. პეტერბურგში რა ქარმა გადმოაგდო? მინავლული გრძნობა აღვიძებს, ვუახლოვდები და ჩუმად ვეუბნები, რომ მისი ძველი მეგობარი ვარ. დაბნეულმა არ იცის რა მიპასუხოს. ყურში ისეთ რამეებს ვეჩურჩულები, რაც მხოლოდ მან და მისმა საყვარელმა უნდა იცოდნენ. ცნობისწადილი იპყრობს, ხალხს თავს ანებებს და გვერდზე გავყავარ. ხვდება, რომ მართლა ვიცნობ. ხოლო როცა ვეუბნები, ბატივი ვქონდა თქვენი საყვარელი ეუოფილეუავი-მეთქი, მაფიცებს, რომ მისი სახელი არ ეკეთქვა და არც სხვა რამე ეახსენო. მიყვება, რომ პარიზიდან რეანის პარლამენტის წევრს ბატონ დე ლანელადს ჩამოჰყვა. შემდეგ კომიკური ოპერის დირიქტორის გულისთვის ისიც მიატოვა და, როგორც მსახიობი, პეტერბურგში ჩამოვიდა, ახლა ქალბატონი ლანელადი ჰქვია და პოლონეთის ელჩი გრაფი რუევუსკი პატრონობს.

— მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით?

ნილაბი მოვიძვრე. მიცნო და სიხარულისაგან კინაღამ გაეოდა, მითხრა რომ პეტერბურგში წამდვილად ამისმა მფარველმა ანგელოზმა ჩამომიყვანა, რამეთუ რუევუსკი აუცლე-

ბელი საქმეების გამო პოლონეთში უნდა დაბრუნებულიყო, მას არ შეეძლო მხოლოდ ისეთ ადამიანს ეინდობოდა, როგორიც მე ვიყავი. თავისი მისამართი მითხრა და მოულოდნელი შეხვედრით აღფრთოვანებული სამეჯლისო მხიარულებას შეუერთდა.

მეორე დღეს ბერძენ ვაჭარ დემეტრიო პაპანელოპულოს ვეწვივე. მასთან თვიურად ასი ათასი მანეთის კრედიტი მქონდა გახსნილი. დონ ოლიოს სარეკომენდაციო წერილით ძალიან გულთბილად მიმიღო.

დემეტრიო პაპანელოპულომ გამაცნო კაბინეტ-მინისტრი ალსუფიევი — დიდი, მსუქანი კაცი, ერთადერთი განათლებული ადამიანი მათ შორის, ვისაც რუსეთში შევხვედრივარ. იგი ცოდნას სხვებივით ვოლტერის წიგნებიდან კი არ იძენდა. არაბედ განათლება უპსალაში ჰქონდა მიღებული. ამ იშვიათმა კაცმა, რომელსაც ქალებზე, ღვინოზე და კარგ სუფრაზე პირდაპირ სული მისდიოდა, სადილად წამიყვანა ეკატერინგოფის ბასახლეში, რომელიც იმ ხანად თეატრების დირექტორ ლოკატელის ეკუთვნოდა. მოხუცს ჩემი დანახვა ძალზე გაუკვირდა, მეც ფრიად გაოცებული დავრჩი, როცა დავინახე, რომ იგი რესტორატორი გამხდარიყო და სულზე მანეთის საფასურად ხველა ჩამოსულ საუცხოოდ კვებავდა. ბატონმა ალსუფიევმა გამაცნო აგრეთვე მეორე სტატს-მდივანი ტეპლოვი, რომელიც ლამაზი ბიჭების დიდი ტრფიალი გახლდათ. მისი დამსახურება იყო პეტრე მესამის დარიშხანით მოწამვლა, თუმცა მეფე ლიმონათმა გადაარჩინა. მესამე სტატს-მდივანი გულაგინი, როელსაც ოცი წელი ციმბირში გაეტარებინა. ბოლმა საყვარელმა, ბოკეკკაკე გეკეურმა გამაცნო. ამ ქალს ბერლინიდან ვახსოვდი. დონ ოლიოს წერილის წყალობით საკურის ლუინის სახლში შინაურ კაცად ვიქეცი. მას საოცარი ხმა ჰქონდა. ლამაზი, თავაზიანი, დიდი გურმანი და პურ-მარილიანი კაცი გახლდათ. პირველი მომღერალი კოლონა მისი საყვარელი იყო. ერთად ცხოვრობდნენ და ერთიმეორეს სიახლს უშრობდნენ. ლუინთან მეორე საკურისი... მილიკო გავიცანი, კაცი — ყურადღებიანი და მარჯვე. ობერ-ეგერმაისტერ ნარიშკინთან დაახლოებული პირი. ნარიშკინი კაზმულსიტყვაობის დიდი მოყვარუ-

ლი გახლდათ და ჩემი გაცნობა ისურვა. ის ყველასათვის ცნობილი ქალბატონის მარია პაველოვნას ქმარი იყო.

დალ ოლიოს კიდევ ერთი წერილი თავადის ასულ დ'აშკოვას მივართვი, რომელიც პეტერბურგიდან სამი ვერსის მოშორებით ცხოვრობდა. ის სასახლის კარს მას შემდეგ განარიდეს, რაც იმპერატორ ეკატერინეს ტახტზე ასვლაში დაეხმარა. იმედი ჰქონდა, რომ თვითონაც სახელმწიფოს თანამმართველი გახდებოდა, მაგრამ ეკატერინემ მისი პატივმოყვარეობა ძალიან მარტივად დააცხრო. ამ ხანებში თავადის ქალი ვარშავაში გარდაცვლილ ქმარს გლოვობდა. მან ბატონ პანინთან სიტყვა შემოწერა და შეხვედრაც ითხოვა. იმპერატორის ადექიანმა აღტაცება მომგვარა: თავადის ქალი დ'აშკოვა შერისხული ჰყავდა, მაგრამ თავის პირველ მინისტრს მასთან ყოველ ღამე სიარულს არ უშლიდა. სანდო პირთაგან გაგონილი ჰქონდა, რომ პანინი ძალიან საყვარელი კი არა, ბრძენი იყო. თავადის ქალი ამჟამად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახლავთ.

განმაცვიფრა ერთმა შემთხვევამ. მელისინოსთან ერთად რომ ვიხილე: ხუთფუტიანი ყინულით დაფარულ ნევაში ბავშვებს ნათლავდნენ. მათ პირდაპირ ყინულის ჭრილიდან გათოშილ მდინარეში აყურყუმალებდნენ. იმ დღეს ისე მოხდა, რომ ნათლობის ჩამტარებელ მღვდელს ხანგაცალებული ყმა ლიდან გაუსხლტა და ჭრილში ჩაუვარდა.

— შემდეგი, — თქვა მან. რაც ნიშნავდა მეორე ბავშვი მომაწოდეთო. მაგრამ რაზეც ყველაზე მეტად გამოცა, ეს დამბრჩვალი ბავშვის მშობლების სიხარული იყო. მათი აზრით ასე ბედნიერად გაუჩინარებული შვილი თუ არა სამოთხეში, სადაც სად უნდა მოხვედრილიყო.

ფლორენციელი ქალბატონის ბრიგანცის წერილი მის დაქალს რაკოლინის მივუტანე. მას ვინეცია ლაგუნებინა და პეტერბურგში მსახიობად ჩამოსულიყო. თუმც არც ამ ხელობისა და არც მუსიკის გაგებაში იყო. იმპერატორს მის ამ ახირებაზე ბევრი უცინია და უთქვამს. თქვენთვის ადგილი არ მომეპოვებაო. მაშინ ვიჩენცა (ასე ერქვა რაკოლინის) ერთ ფრანგ ქალს დაუახლოვდა. ის და მისი ქმარი, ვაჭარი პეტიტ ობერ-ეგერმაისტერის მდგმურები იყვნენ. ეს ქალი მასპინძლის საყვარელი და მისი ცოლის, მარია პაველოვნას მეხალიფეზელი იყო. ბი-

ასაბლის ქმარი არ უყვარდა და ძალიანაც კმაყოფილი იყო იმით, რომ ფრანკი ქალი მას მეუღლის მოვალეობის შესრულებისაგან ათავისუფლებდა. მაგრამ პროტე მაშინ პეტერბურგის ულამაზესი ქალი იყო. ვერც ერთი ბანოვანი ჩაცმა-დახურვასა და გემოვნებაში ვერ შეედრებოდა. ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი ჰქონდა და თავისი გულღიაობით ყველას აჯადოებდა. საკმარისი იყო, პეტერბურგში მისი სახელი გეხსენებინათ და ყველა მაშინვე ობერ-ეგერმაისტერის ბედს შეჰნატრებდა. და აი, ასეთი ქალის მესაიდუმლე გახდა ვიჩენცა. ის თავისთან იწვევდა ყველას, ვინც მის მეგობარს ეტრფოდა და ყურადღებას იმსახურებდა, პროტე კი ამ დახმარებით უყოყმანოდ სარგებლობდა. ვიჩენცა ორივე მხარის საჩუქრებით აივსო და ამის გამო არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა.

სინიორა ვიჩენცა დანახვისთანავე ვიცანი, მაგრამ ჩვენი პირველი შეხვედრიდან ოცი წელი გასულიყო და ამიტომ არ გაჰკვირვებია, როცა ძველი ურთიერთობა არ გავახსენე. თავადაც დუმილი ამჯობინა. მან მითხრა, რომ არავის დახმარება არ სჭირდებოდა და პეტერბურგის უმშვენიერეს ქალებთან მეგობრობდა.

მიკვირს, რომ ნარიშკინთან ასე ხშირად საუბრობთ და მის გულის რჩეულს პროტეს არ იცნობთ. ხვალ ჩემთან ყავაზე მობრძანდით და საოცრებას იხილავთ.

მივდივარ და ვხედავ: პროტე მართლაც ქების ღირსია. დიდი ფულის პატრონი არ ვიყავი და მისთვის თავი რომ მომეწონებინა, საკუთარ ჭკუას უნდა დავნდობოდი. საუბარში ვიყოლიებ, ათასგვარ ამბავს ვუყვები, ვაგრძნობინებ, თუ როგორი ცეცხლი ამინთო ულში, მაგრამ მომავალში მოკვდავთა შორის უბედნიერეს კაცად ვახდომის იმედს არ ვეპოტინები. და აი, უკვე მეგობრები ვართ. მას შემდეგ, ობერ-ეგერმაისტერთან სტუმრობისას, ყოველთვის მოვინახულებდი ხოლმე.

ამ დღეებში პოლონეთის ელჩი ვარშავიდან დაბრუნდა და იძულებული გავხდი, ლ'ანგლადის პიყვარულს გამოვთხოვებოდი. მასთან სიარული შევწყვიტე. ეს მომხიბვლელი არსება. ნაჯვარი წლის შემდეგ ყვავილმა იმსხვერპლა.

პროტეს კეთილგანწყობის მოპოვება ჭირდა და ამ-სათ-

ვის ეკატერინგოფში ლოკატელოსთან სადილზე მივწვეთ; ლეონი, კოლონა, გვარდიის ოფიცერი ზინოვიევი, პროტე და სინორა ვიჩენცა თავის მეგობარ საყვარელთან ერთად. ლადი ქეიფით აღგზნებულმა ატუმრებმა განმარტოება ისურვეს და მე მზეთუნახავს მივეჩოჩდი, მაგრამ დროის ნაკლებობის გამო მოსავარი რაზის მიღწევა არ მომინდომებია. შემდეგ ყველანი სანადიროდ მიმავალ ლუინს გავყევით.

სახლიდან ათიოდე ნაბიჯის დაშორებით გასაოცრად ლამაზი გლეხის გოგო შევნიშნე და ზინოვიევსაც დავანახე. თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და გოგოსაკენ გავემართეთ. მან თავს გაქცევით უშველა და ეზოში შეირბინა. უკან მივყევით და დავინახეთ დედა, მამა, მთელი მისი ოჯახი, თვითონ კი აწეკრეზისაგან დაფეთებული კერდლელივით კუთხეში მიეუნჭულიყო და შიმინისგან ცახცახებდა.

ზინოვიევი, რომელიც, ფრჩხილებში შევნიშნოთ, ოცი წლის შეძლებულ მადრიდში იმპერატორის ელჩის წოდებით ჩავიდა, გოგოს მამას დიდხანს რუსულად ელაპარაკა. მივხვდი, რომ საუბარი გოგოს ეხებოდა. შემდეგ მამამ შვილი იხმო. თვინიერი გოგო მოვიდა და გვერდით დაუდგა. თხუთმეტი წუთის შემდეგ ზინოვიევი ყარიაკენ გაემართა, მე მოხუცს მანეთი ვაჩუქე და ოფიცერს გავყევი. ზინოვიევმა ამიხსნა, რომ მამისადვის უკითხავს, თავის ქალიშვილს მსახურად ხომ არ მომცემდა, მამა დათანხმებია. მ ვერმ ვინ ქალწულობისათვის ასი მანეთი უთხოვია.

— თავადაც ხედავთ, რომ ამ საქმიდან ეფექტი გამოვა, — მითხრა ზინოვიევმა.

— როგორ? თუ ეს მაინ ოს ჩამოეყ-ქავ?

— მაშინ გოგო თქვენი მოახლე გახდება და უფლება გექნებათ, ლოგინშიც ჩაიწვინოთ.

— თუ უარზე იქნა?

— არა, მასე არ ხდება. თქვენ ბატონი ხართ და უფლება გაქვთ გაიძულებინოთ.

— დავუშვათ, რომ წინააღმდეგობა არ გამიწია. თუ პირველი ღამის შემდეგ უფრო მომინდა, ჩემთან დატოვება თუ შეშინდა?

— რამდენჯერ გითხრათ: თქვენ მისი ბატონი იქნებით. თუ

გაქცა და გადახდილი ასი მანეთი არ დაგიბრუნათ, შეგიძლიათ ციხეში ჩასვათ.

— ჯამაგირად რა უნდა დავუსიშნო?

— არაფერი. აჭამეთ, ასვით, შაბათობით აბანოში გაუშვით და კვირაობით — ეკლესიაში. ესაა და. ეს.

— პეტერბურგს რომ დავტოვებ, მისი თან წაყვანა თუ შეიძლება.

— არა. ამისათვის განსაკუთრებული ნებართვა და საწინდრის დატოვებაა საჭირო. მართალია, თქვენი მოახლე ჰქვია, მაგრამ პირველ რიგში ხელმწიფის ყმაა.

— კარგი. მაშინ ერთი სამსახური გამიწიეთ: ეს მანეთს მიაცეთ და იმ გოგოს წამოვიყვან. გარწმუნებთ, რომ მონასავით არ მოვეპყრობი. მაგრამ თქვენი დახმარება მჭირდება, არ მინდა, რომ გაბრიყვებული დავრჩე.

— მე მოველაპარაკები და ვერ მომატყუებენ. საქმეს ახლავე შევუდგეთ?

— არა, ხვალ ჯობია. ოღონდ ეს ამბავი არავინ არ უნდა იცოდეს. დილის ცხრა საათზე თქვენთანა ვარ.

დილით დათქმულ დროს ზინოვიევთან ვიყავი და გლეხის სახლისაკენ გავეშურეთ. გზაში მითხრა, თუ გინდა, ორ-სამ დღეში მთელ სერალს შეგიდგენ, რამდენ გოგოსაც ისურვებ, იმდენს მოგიყვანო. ასი მანეთი გადავეცი.

გლეხის ქოხში შევდივართ. გოგოც იქაა. ზინოვიევი მამას ეთათბირება. გლეხი გარდამოვლენილი წყალობისათვის უფალს ბადლობას სწირავს, გოგოს მიმართავს, ის კი მე მიყურებს და ამბობს: „დიახ“. მაშინ ზინოვიევი მიხსნის, რომ მის ქალწულობაში უნდა დავრწმუნდე, რადგანაც ხელწერილით უნდა ჩავიბარო. ვწუხვარ, რომ გოგო ეხერხულობაში უნდა ჩავაგდო, მაგრამ ზინოვიევი მაგულიანებს და მეუბნება, რომ მას კიდეც გაეხარდება, თუ მშობლებს თავის პატიოსნებას დაუმოწმებს. მაშინ დავჯექი, გოგო ფეხებს შუა ჩავიყენე, ხელი შევუყავი და დავრწმუნდი, რომ მთელი იყო. ზინოვიევმა მამას ასი მანეთი ჩაუთვალა. ჩემი მსახური და მეეტლე ვიხმეთ და მათ ხელმოწერებით დაადასტურეს ის, რაც არ იცოდნენ. ქალიშვილი, რომელსაც ზაირა ვეწოდე, კარეტაში ჩავისვით და პეტერბურგში წამოვიყვანეთ. ზინოვიევს დიდი მადლობა

გ-დავუხადე. ოთხი დღე სახლიდან არ გამოვსულვარ და გოგოს მანამდე არ მოვშორებივარ, ვიდრე ფრანგულ ყაიდაზე არ გამოვაწყე, უბრალოდ, მაგრამ ძალიან ლამაზად. რუსული ენის უცოდინარობა მტანჯავდა, მაგრამ მან სამ თვეში იმდენი იტალიური შეისწავლა, რომ გაქცეულს მოაბრუნებდა. ძალიან შემიყვარდა, შემდეგ ეჭვიანობა დაიწყო და ერთხელ კინაღამ სულიც გამაფრთხობინა, რასაც მკითხველი ქვემორე დაინახავს.

ზაირას მოყვანის დღეს ლამბერი დავითხოვე. ძალიან იბრუეებოდა და ვერაფერი მოვეხერხე. მხოლოდ ჯარისკაცად თუ ივარგებდა. პასპორტი გავუკეთე და ბერლინამდე სამგზავრო ფული მივეცი. შვიდი წლის შემდეგ გორიციაში შევეტყვე, რომ სამხედრო სამსახურში ჩამდგარიყო.

მაისის თვეში ზაირა ისე გაიფურჩქნა, რომ როცა მოსკოვში წასვლა მოვინდომე, მისი მარტო დატოვება შემეშინდა და თან წავიყვანე. აუწერელ სიამოვნებას განვიცდიდი, როცა მისი ვენეციური ლაპარაკი მესმოდა. შაბათობით რუსულ აბანოში დამყავდა და ორმოცამდე ქალისა და მამაკაცის საზოგადოებაში ვიბანდით. სრულიად დედიშობილანი იყვნენ. არავის არ უყურებდნენ და ეგონათ, რომ მათაც არავინ უცქერდა. მათი ასეთი ურცხვობა ზნეობრივი სიწმინდიდან მომდინარეობდა. შიშველი ზაირა ფსიქეს გაცოცხლებულ ქანდაკებად მესახებოდა და მიკვირდა, რომ თვალებდაპრაწული არ მისჩერებოდნენ. მკერდი ჯერ კიდევ ეკსებოდა. ცამეტი წლისა იყო და საბოლოო მომწიფებამდე ბევრი აკლდა. თოვლივით ქათქათა კანი ჰქონდა, ყურყუმა თმა კი ამ სითეთრეს მეტ ბრწყინვალებას ანიჭებდა. მისი წყეული ეჭვიანობა და ბანქოზე მარჩიელობის ბრმა რწმენა რომ არა, ალბათ, ვერასოდეს დავშორდებოდი.

ერთი ახალგაზრდა ლამაზი ფრანგი, გვარად კვეკერი, ვისაც თავისი კეთილშობილი წარმომავლობის შესაფერისი აღზრდაც მიეღო, პეტერბურგს ჩამოვიდა და თან ჩამოიყვანა პარიზელი გოგო, რომელსაც ლა რივერა ერქვა. ამ გოგოს არცთუ ურიგო გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ არავითარი ტალანტი არ გააჩნდა გარდა იმისა, რაც თავიანთი სიტურფეების ხარჯზე მცხოვრებ პარიზელ გოგოებს აქვთ ხოლმე.

ჰაბუკმა კურლანდიის პრინცის, კარლის წერილი ჩამომი-

ტანა. პრინცი მწერდა, რომ ამ უმაწვილისათვის რაიმე დახმარება გაწევით ძალიან ვასიამოვნებდი.

— გისმენთ, — ვუთხარი მე, — ბრძანეთ, რით შემიძლია გემსახუროთ.

— თქვენი საზოგადოებისა და თქვენი ნაცნობობის გამოყენების ნებართვით, — მომიგო მან.

— მე უცხოელი ვარ და აქ ჩემი საზოგადოება არაფერს ნიშნავს. შემიძლია, თქვენთან სტუმრად მოვიდე. შემდეგ, როცა მოგესურვებათ, თქვენ მეწვევით, ესაა და ეს. მაგრამ მე შინ არასოდეს ვსადილობ. რაც შეეხება ჩემს ნაცნობობას, რა თქმა უნდა, გესმით, რომ რაკიღა უცხოელი ვარ, დიდი უწესობა იქნებოდა, ქალბატონთან ერთად წარგადგინოთ. მკითხავენ, ვინ არიან, პეტერბურგში რისთვის ჩამოვიდნენო. რა უნდა ვუპასუხო? უცნაურია, რომ პრინცმა კარლმა სწორედ ჩემთან გამოგზავნათ.

— მე ლოტარინგიელი თავადი ვარ. აქ გასართობად ჩამოვედი. ქალწული ლა რივერა ჩემი საყვარელია.

— ასეთი ტიტულებით თქვენი საზოგადოებაში წარდგენა ნამდვილად გამიჭირდება. თანაც, მე მგონია, უჩემოდაც მშვენივრად შეგიძლიათ გართობაც და აქაურ ზნე-ჩვეულებათა გაცნობაც. სპექტაკლები, სეირნობები, სასახლის კარის წვეულებებიც კი ყველასათვის ხელმისაწვდომია. ვფიქრობ, საკმარისზე ჰეტი ფული გექნებათ?

— სწორედ ეს არ მაქვს და არც ირსაიდან ველოდები.

— მითუმეტეს ჩემგან. მაოცებთ პირდაპირ, რა ახირებაა აქ უფულოდ ჩამოსვლა?

— ამან დამარწმუნა, რომ ყოველდღიურად სახარჯო ფული არ გაგვიჭირდებოდა. პარიზიდან უგროშოდ წამოვედით და ჯერ ჯერობით რივერას სიტყვები მართლდება. უკვე ბევრი ადგილი მოვინახულეთ.

— ესე იგი, ხაზინადარი თქვენი საყვარელია.

— ჩემი ხაზინა, — მიპასუხა ქალმა, — ჩემი მეგობრების ჯიბეებია.

— გასაგებია, და ვფიქრობ, რომ მათ ყოველ მხარეში პოულობთ. ასეთი მეგობრობისათვის ჩემს საფულეს მეც სიამოვნებით გაგიხსნიდით, მაგრამ სამწუხაროდ იგი არც ისე სავსეა.

ამ დროს მოვიდა ჰამბურგელი ბომბახი, რომელიც ინგლისში გავიცანი, სადაც მევალეებს ემალებოდა. შემდეგ თავი პეტერბურგს შეაფარა და იქ სამხედრო სამსახურში შევიდა. მდიდარი ვაჭრის შვილმა შეიძინა სახლი, მსახურეულნი, ეკიპაჟი, უყვარდა ქალები, ქეიფი, ბანქოს თამაში და ვალების აღება. მახინჯი, მკვირცხლი და ჭკვიანი კაცი იყო, როგორც ყველა გარყვნილი და ლოთბაზარა. მისმა შემოსვლამ მეგობართა ჯიბეებში ფულის შემნახველ ქალთან საუბარი შეაწყვეტინა. ჩემი სტუმრები ერთმანეთს გავაცანი. ბომბახს ახალგაზრდა წყვილის უჩვეულო თავგადასავალი მოვუყევი და მხოლოდ ერთი პუნქტი — ფულის ამბავი გამოვტოვე. ბომბახი აღფრთოვანდა, ლა რიეერს გაელაქუცა, იმანაც კაცის არშიყი სათანადოდ შეიშნოვა და თხუთმეტი წუთის შემდეგ სიცილს ძლივს ვიკავებდი: დავინახე, რომ ქალს მართალი უთქვამს. ბომბახმა ისინი მეორე დღისათვის სადილად მიიწვია და ხვეწნა დაუწყო, რომ დღეს წითელ დუქანში ჭიქა ღვინის დასალევად წაჰყოლოდნენ. მეც დამპატიჟა. ზაირამ ჩვენი ფრანგული ვერ გაიგო და გვკითხა, რაზე ლაპარაკობთო. შემდეგ განაცხადა, რომ წითელ დუქანში წამოსვლა მასაც არ აწყენდა. მისი ეჭვიანობის ამბავი ვიცოდი და უარი არ მითქვამს, შემეშინდა, რომ გაიბუტებოდა, აწუწუნდებოდა, ატირდებოდა და მაიძულებდა, მაგრად მიმეტყუპა, როგორც არაერთხელ მომხდარა. ეს იყო ერთადერთი საშუალება იმისათვის, რომ ჩემს სიყვარულში დამერწმუნებინა. ცემა-ტყეპის შემდეგ საოცრად თვინიერი და ნაზი ხდებოდა და შერიგებას საუცხოო სიყვარულით აგვირგვინებდა.

მშვენივრად მოვილხინეთ. ბომბახი ფათერაკების მაძიებელ ქალს თვალს ვერ სწყვეტდა. ზაირა ჩემი მეუბლეებიდან არ ჩამოდიოდა, კრეკერი ჭამდა, მიზეზით თუ უმიზეზოდ იცინოდა და შემდეგ სასეირნოდ გავიდა. მისმა ლამაზმანმა ბომბახს ბანქოს თამაში შესთავაზა. კაცმა გალანტურად წაავო ოცდახუთი მანეთი, იქვე გადაუხადა და სანაცვლოდ მხოლოდ ერთი კოცნა სთხოვა. ჩემი ერთგულებით გაამაყებული ზაირა კრეკერს აბუჩად იგდებდა და ამასხარავებდა იმისათვის, რომ არ ეჭვიანობდა. ის კი ვერაფრით ვერ გაეგო, როგორ იტანდა ქალი საყვარლის ასეთ ვულგრილობას თუ თავდაჯერებას.

— აი, მეც მჯერა. შენი, შენ: კი მაინც გიყვარვარ, — კუ-
ლხარი ზაირას.

— ეს იმიტომ, რომ ამასავით ბოზი არა ვარ.

მეორე დღეს ბომბახთან მარტო წავედი, რადგან ვიცოდი, რომ იქ აუცილებლად შევხვდებოდი ახალგაზრდა რუს ოფიცრებს, რომლებიც თავიანთ ენაზე ზაირას ცდუნებას შეეცდებოდნენ და შეიძლებოდა შარს გადაეყროდი. ბომბახთან ჩვენი ნაცნობი მოგზაური წყვილი და ძმები ლუნინები დამხვდნენ, რომლებიც მაშინ პორუჩიკები იყვნენ, ახლა კი ორივე გენერალია. უმცროსი ძმა ლამაზი, ქერათმიანი ახალგაზრდა იყო, რომელსაც ცრუ რწმენები ფეხებზე ეკიდა და ცდილობდა, რომ თავისი ალერსით ყველა ახალგაცნობილი მამაკაცის სიყვარული და პატივისცემა მოეპოვებინა. მოეჩვენა, რომ ბომბახი ის ადამიანი იყო, რომელსაც სწორედ ასე უნდა მოქცეოდა და არც შემცდარა. მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ შეიძლებოდა თავი დამცირებულად მეგრძნო, თუ თავისი უუარადღებით მეც არ მასიამოვნებდა, ამიტომ გვერდით მომიჯუჯუპდა და მთელი საღამოს განმავლობაში ისე მეკბეკლუცებოდა, რომ სიმართლე გითხრათ, ბიჭად გადაცმული ქალიშვილი მეგონა.

საღამოს შემდეგ, ბუხრის პირას ლუინსა და ფრანგ მოგზაურ ქალს შორის რომ ვიჯექი, მას ჩემი ეპვები გავუმხილე. შეურაცხყოფილმა მაშინვე იშიშვლა ის, რითაც სუსტი სქესისაგან განსხვავდებოდა, შემდეგ კი, იმის დასამტკიცებლად, რომ მისი სილამაზის მიმართ გულგრილი ვერ დავრჩებოდი, ჩემსას დაეუფლა. რატომღაც ეგონა, რომ ეს ყველაფერი ძალიან მომეწონა და აქტიურ მოქმედებაზე ვადავიდა, რათა ჩემთვისაც და საკუთარი თავისთვისაც სიტკბოება მიენიჭებინა, და განზრახვას კიდეც აღასრულებდა ლა რივერი იქ რომ არ ყოფილიყო: თავისი კანონიერი უფლებების ხელყოფით შეურაცხყოფილი ქალი ჭაბუკს ფრჩხილებით ჩააფრინდა და ამ რაინდული კვეთების სხვა დროისათვის გადადება აიძულა.

მათმა პაექრობამ გულიანად მაცინა, მაგრამ რაკიღა ამ საქმის მონაწილე მეც ვიყავი, თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ ორთაბრძოლისათვის გარეშე კაცივით არ მეცქირა და ქალს მრისხანე ხმით ვკითხე, ჩვენს საქმეში ცხვირს რა უფლებით

ჰყოფ-მეთქი. ლეონმა ჩემი შეკითხვა მისდამი კეთილგანწყობად და მხარდაჭერად ჩათვალა, მთელი თავისი ავლა-დიდება გამოფინა, ღამაზი თეთრი მკერდი მოიშიშვლა და ქალსაც იგივეს გაკეთება მოსთხოვა, რაზეც იმან მტკიცე უარი განაცხადა და მამათმავლები გეძახა, ჩვენ კი ჰას ბოზი ვუწოდეთ. ქალი წამოხტა და გაიქცა. მე და რუსმა ჰაბუკმა ერთმანეთს უნაზესი მეგობრობა დავუმტკიცეთ და მარადიული ერთგულება შევფიცეთ.

საღამოს უფროსი ლეონი, კრეკერი და ბომბახი ორ თუ სამ ამხანაგთან ერთად სეირნობიდან დაბრუნდნენ და ფრანგ ქალს ჩვენი ცუდი მოპყრობა იოლად დააიწყეს.

ღამის თერთმეტ ნახევრამდე ფარანი ვითამაშეთ და მერე ვახშმად დავსხედით. შემდეგ კი დიდი ორგია დაიწყო. ლა რიეერი ბომბახის, ეფროსი ლეონის და ორი ახალგაზრდა ოფიცრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. კრეკერი დასაძინებლად წავიდა. მხოლოდ მე და ჩემი ახალგაზრდა მეგობარი მშვიდად ვისხედით და ღიმილით ვუყურებდით ორთაბრძოლებს, სადაც პოზები ხშირხშირად და სწრაფად იცვლებოდა, ხოლო საბრალო კრეკერის საყვარელი მაგრად იდგა. იმით შეურაცხყოფილი რომ ჩვენ მხოლოდ მაყურებლის როლით ვკმაყოფილდებოდით, დროდადრო უშვერად გვაგინებდა, მაგრამ ამაზე უურსაც არ ვაბარტყუნებდით. გათენებამდე ერთი საათით ადრე დავიშალეთ.

შინ ვბრუნდები, ოთახში შევდივარ და სრულიად შემთხვევით ვიცილებ ბოთლს, რომელიც ზაირამ პირდაპირ თავში მტყორცნა. საფეთქელში რომ მომხვედროდა, სულსაც გავაფრთხობდი. ოდნავ გამკრა სახეზე. გააფთრებული ქალი ძირს ეცემა და იატაკზე თავს აჩაჩქუნებს. მივრბივარ, ხელს ვავლებ, რა მოგვიდა-მეთქი, ვეკითხები და გულგახეთქილი ხალხის დაძახებას ვაპირებ. როდის როდის წყნარდება, მაგრამ ახლა გულამოსკვნით ქვითინებს და მოღალატესა და ავაზაკს მეძახის. დანაშაულში რომ მამხილოს, ოცდახუთი ბანქოს ქალალდისაგან შედგენილ კარეს მაჩვენებს და მასზე კითხულობს, რომ მთელი ღამე დროს ვატარებდი. გამოჰყავს გარყვნილი ქალი, ლოგინი, ორთაბრძოლები და ყველაფერი, ჩემი არაბუნებრივი გართობის ჩათვლით. მე ვერაფერს ამის მაგვარს ვერ

ვხედავ, მას კი წარმოუდგენია, რომ ყველაფერი თვალნათლივ ჩანს.

გულის მოოხების საბუალება მივეცი, რაღა გააფთრებული ეჭვები დაცხრობოდა, შემდეგ კი ჰთელ ამ წყეულ ჯადოქრობას ცეცხლში შევეძახე. მერე შეკეცილი შემეგნებინებინა, რომ კინაღამ მომკლა და განვეცხადე, ხვალ ერთმანეთს სამუდამოდ დავშორდებით-მეთქი. ისიც ვუთხარი, რომ ბომბახთან ღამე მართლაც გავათენე და რომ იქ ქალიც იყო, მაგრამ მრავალი ცდის მიუხედავად ვერ მაცდუნა. შემდეგ გავიხადე და დავწექი. ისიც შემომწვა, მაგრამ მაშინვე დავიძინე, რათა პატიების მისაღწევად და თავისი მონანიების დასამტკიცებლად რაიმე არ მოენდომებინა.

ხუთი თუ ექვსი საათის შემდეგ გავიღვიძე და როცა დავინახე, ჯერ ისევ ეძინა, გამოსავალის ძებნა დავიწყე. ვიდრე მრისხანების მორიგ შემოტევაზე მართლა არ მიმასიკვდილებდა, როგორმე თავიდან უნდა მომეშორებინა. მაგრამ ეს განზრახვა როგორ უნდა შემესრულებინა, როცა გალეიძებისთანავე პატიებისა და შებრალების მუდარით მუხლებზე დაცა და კურცხლების ღვარღვარით შემომფიცა, რომ მუდამ კრავივით თვინიერი იქნებოდა? ჯულაჩუყებული ჩავეხვიე და სიტყვა ჩამოვართვი, რომ თავის ღღეში ბანქოს არ გაეკარებოდა. ამ შემთხვევიდან სამი დღის შემდეგ მოსკოვს გამგზავრება გადავწყვიტე და თან წაყვანას შევპირდი. სიხარულით ცას ეწია. სამი რამ იპყრობდა ზარას გულს: პირველი ის, რომ ხშირად დამყავდა ეკატერინგოფში ჭშობლების სანახავად და მათ ყოველთვის ჭანეთს კუტოვებდი; მეორე ის, რომ სტუმრებთან ერთად სუფრასთან დაჯდომის უფლებას ვაძლევდი; და მესამე ის, რომ რამდენჯერმე მაგრად მივტყეპე, როცა სადმე წასვლას მიშლიდა.

უცნაურია ეს რუსული ჩვეულება — მსახურისათვის ცემა-ტყეპით ჭკუის სწავლება. აქ სიტყვებს არავითარი ძალა არა აქვთ. დამარწმუნებელი მხოლოდ როზგია. გაროზგილი მსახური კეფას მოიქექავს და გადაწყვეტს: „ბატონი არ მაგდებს, მაშასადამე ვუყვარვარ. ამიტომ ერთგულად უნდა ვემსახურო“. მსოფლიოში არ მოიძებნება რუსზე უკეთესი მსახური — მუხლჩაუხრელი მშრომელი, ბატონის მოსასვენებელი ოთახის

ზღურბლზე მძინარე, პირველი დაძახებისთანავე რომ ეახლოს; დამჯერე, მორჩილი, დანაშაულის მაშინვე ამღიარებელი, ქურდობის ვერ შემძლებელი; მაგრამ ჭიქა არაყს რომ გადახუხავს, მაშინვე მხეცდება ან შტერდება, და ეს მთელი ნაცის თეისებაა.

იმ ხანებში იმპერატორმა თავისი სასახლის წინა მოედანზე ვრცელი ხის არენის აგება ბრძანა. ამ წაგებობაში ეკატერინეს მთელი თავისი იმპერიის მამაც რაინდთა აღლუმის მოწყობა სურდა.

მოსკოვში გამგზავრების დღეც დადგა. ზაირასთან ერთად დორმეზში ჩავჯექი, უკან გერმანულად და რუსულად მოლაპარაკე მსახური მოთავსდა და ექვსცხენიანი ეკიპაჟით გზას გაუდექით.

ორ დღე-ღამეში ნოვგოროდს მივაღწიეთ, სადაც ხუთი საათით შევისვენეთ. აქ ერთმა შემთხვევამ ძალიან გამაკვირვა. ერთი კაცი ჭიქა არაყზე დავპატიჟეთ. მან ზაირას ნაღელიანად უთხრა, რომ მისი ცხენი საკვებს არ ეკარებოდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ველარც გაიჭცელდა. თავლაში წავყევით და დავინახეთ, რომ მოწყენილი ცხენი უძრავად იდგა და ბაგას ზედაც არ უყურებდა. პატრონმა დაყვავება დაუწყო, სათუთად და პატივისცემით უალერსა ხელი და საკვების მირთმევას ევედრებოდა. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ ცხენს აკოცა, თავზე ხელი მოჰკიდა და ბაგაში ჩააყოფინა. სულ ამაოდ. გლეხი ისე აზლუქუნდა, რომ კინაღამ სიცილით გავიგუდე, რადგან ვხედავდი, რომ ამით პირუტყვის გულს მოლბობას ცდილობდა. ტირილს რომ მორჩა, ცხენი ისევ გადაკოცნა და ჩიჩვირი ბაგაში ჩააყოფინა. კვლავ ამაოდ. ჯიუტ პირუტყვზე გაბოროტებული რუსი სამაგიეროს გადახდას იფიცება, ცხენი თავლიდან გამოჰყავს, ბოძზე აბამს, კომბალს იღებს და მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში გამეტებით უბაპუნებს. შემდეგ ისევ თავლაში შეჰყავს, ჩიჩვირს ვარცლში უტენის და ცხენიც ხარბად ეტანება თივას, კაცი კი იცინის, დახტის, სიხარულისაგან ტლინკებს ყრის. ეს ამბავი ძალიან გამიკვირდა. ვიფიქრე, რომ ამისთანა რამე მხოლოდ რუსეთში თუ მოხდებოდა, სადაც ჯოხს ისეთ პატივს სცემენ, რომ მას სასწაულების მოხდენა შეუძლია. მაგრამ მგონია. რომ სახედარი ამას

ორ იხამდა, რადგან ცემას ცხენზე უკეთ იტანს. მითხრეს, რომ ახლა რუ-ეთში ჯოხი იცეთ პატივში აღარაა, უწინ რომ იყო. ერთმა რუსმა ოფიცერმა მიამბო, თურმე პეტრე პირველი მრისხანების დროს თავის გენერლებს ჯოხით სცემდა. მას შემდეგ დამკვიდრდა ეს ჩვეულება: პორეჩიკი ვალდებულია მოთმინებით აიტანოს ცემა კაპიტნისაგან, კაპიტანმა — მაიორისაგან, მაიორმა — პოდპოლკოვნიკისაგან, პოდპოლკოვნიკმა — პოლკოვნიკისაგან, ამან კი თავის მხრივ — გენერლისაგან. ახლა ასე აღარ ხდება. ეს პეტრე პირველის აღზრდილმა გენერალმა ვოიკოვმა მითხრა, რომელიც ჯერ კიდევ პეტერბურგის დაარსებამდე დაბადებული.

ვგონებ, ამ სახელოვან ქალაქზე ჯერ არაფერი მითქვამს. მხოლოდ დიდი ადამიანის გენიას შეეძლო ჩაეფიქრებინა უვრცესი იმპერიის მომავალი დედაქალაქის აშენება ისეთ უკარგის ადგილას, სადაც ქვის ნაგებობათა ალმართვას თვით ნიადაგიც კი ეწინააღმდეგება. ამბობენ ახლა ქალაქი დავაჟკაცდა და ეს ეკატერინე დიდის დამსახურებაო, მაგრამ 1765 წელს მე მას ყრმობის ხანაში შევესწარი. ყველაფერი საგანგებოდ დაწყობილ ნაგვრევებს მაგონებდა. აგებდნენ ქვაფენილებს და წინასწარვე იცოდნენ, რომ ნახევარი წლის შემდეგ ხელახლა დაგება მოუწევდათ. მე ვიხილე საჩქაროდ, სახელდახელოდ ახოხოლავებული ქალაქი. და მართლაც, პეტრე პირველმა იგი ცხრა თვეში შობა. ცხრა თვე სწორედ მშობიარობას მოუნდა, ჩასახული კი, ალბათ, დიდი ხნით ადრე იქნებოდა. წინასწარ ვეჭვრეტ, რომ საუკუნის შემდეგ პეტერბურგი ბრწყინვალე ქალაქი გახდება, სულ ცოტა ორი საუკუნით მაინც ამაღლდება და ამიტომ უზარმაზარი სასახლეები საყრდენთა ნაკლებობის გამო აღარ დაინგრევა. აკრძალავენ ფრანგი ხუროთმოძღვრების ბარბაროსულ არქიტექტურას, რომელიც თოჯინური ხუხულების ასაგებად თუ გამოდგება. მოვა დრო და რასტრელიზე და რინალდიზე წინ აღარ დააყენებენ ვილაც პარიზელ ლა მოტს, რომელმაც პეტერბურგი დიდად განაცვიფრა თავისი ოთხსართულიანი სახლით, რომლის უდიდესი ღირსშესანიშნაობა, მისი აზრით, ის გახლდათ რომ ვერც დაინახავდით და ვერც მიხვდებოდით კიბეები სად ჰქონდა.

მოსკოვში მგზავრობას ექვსი დღე-ღამე მოვანდომეთ. ცხე-

ნების გამოუცვლელად ამაზე უფრო ადრე ჩასვლა შეუძლებელი იყო. ერთმა შემხვედრმა კაცმა გვითხრა, იმპერატორმა ელიზავეტამ ეს გზა ორმოცდათორმეტ საათში გაიარაო.

— რა თქმა უნდა, — თქვა მეორე რუსმა, — მან საგანგებო „უკაზი" გამოსცა, რითაც თავისი მგზავრობისათვის საჭირო დრო დაადგინა. ბრძანებით განსაზღვრული დრო რომ შეემცირებინა, უფრო მალეც ჩავიდოდა.

ჩემს დროს „უკაზის" (რაც „დეკრეტს" ნიშნავს) შესრულების შესაძლებლობაში ეჭვის შეტანა მართლაც აკრძალული იყო. ამისათვის ადამიანს ხელმწიფის შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ და სასტიკად სჯიდნენ. პეტერბურგში მელისინოსთან, პაპანელოპულოსთან და კიდევ სამ თუ ოთხ თანამგზავრთან ერთად ხის ხიდზე გადავდიოდი. ერთმა მათგანმა, როცა გაიგონა, რომ ხიდი დავიწუნე, თქვა: ამა და ამ დროისათვის აქ ქვის ხიდს ააგებენ, რადგან იმპერატორმა უნდა გამოიაროსო. ნახევრებ დღემდე საბიოდე კვირა რჩებოდა და მე ვთქვი, რომ ეს შეუძლებელი იყო. რუსმა ალმაცერად გადმოხედა და მითხრა, რომ ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა, რადგან მის თაობაზე „უკაზი" იყო გამოცემული. შეკამათება დავაპირე, მაგრამ პაპანელოპულომ ხელი მომიჭირა და გაჩუმდით, მანიშნა. ბოლოსდაბოლოს ხიდი არც აუგიათ, მაგრამ მე მაინც მტკიცანი ალმოვჩნდი, რადგან ვადამდე ერთი კვირით ადრე იმპერატორმა ახალი „უკაზი" გამოსცა, რომლითაც გულმოწყალედ ბრძანა, რომ ხიდის მშენებლობა გაისისათვის გადაეტანათ.

რუსი მეფეები ყველგან და ყოველთვის თავიანთ თავს თვითმპყრობელ ხელმწიფეებად თვლიან და სხვა რამის გაგონებაც არ სურთ. ერთხელ ჩემი თვალით ვიხილე, რომ მამაკაცურად ჩაცმული დედოფალი ცხენზე ამხედრებას აპირებდა. ობერ-შტალმაისტერ თავად რეპნინს პირუტყვის აღვირი ეჭირა, რათა ხელმწიფეს შეჯდომა გაადვილებოდა. ამ დროს ულაყმა ისეთი წიხლი ჩააზილა, რომ კოჭი ჩაუმსხვრია. გაკვირვებულმა იმპერატორმა ცხენის მოშორება ბრძანა და „უკაზი" გამოსცა, რომ თუ ამის შემდეგ თავხედი პირუტყვი სადმე დაენახვებოდა, დამნაშავეს სიკვდილით დასჯიდნენ. სასახლის კარისკაცები დღესაც სამხედრო წოდებებს ღებულობენ, რაც სა-

ხელმწიფო მმართველობის ბუნებაზე მეტყველებს. დედოფლის მეეტლეს პოლკოვნიკის ჩინი აქვს ისევე, როგორც მთავარ მხარეულს. საჭირისი ლეონი პოდპოლკოვნიკი იყო, მხატვარ ტორელის კი მხოლოდ კაპიტნობა უწყალობეს, რადგან მისი წლიური შემოსავალი ოთხმოც მანეთს არ აღემატებოდა. იმპერატორის საძინებლის კართან გადაჯვარადინებული თოფებით მდგარი მცველები ხელმწიფესთან შესვლის ყველა მსურველს ჩინს ეკითხებიან და პასუხის მიხედვით ან უშვებენ ან არა. „რა რანგის ბრძანდებით?" — ასე გამოთქვამენ ამ შეკითხვას. მე რომ ეს პირველად მკითხეს და სიტყვების მნიშვნელობა ამიხსნეს, არ ვიცოდი რა მეპასუხნა, მაგრამ იქ მყოფი ოფიცერი ჩემი შემოსავლით დაინტერესდა და როცა შეიტყო, რომ სამასი ათასი მანეთი მქონდა, იმავ წამს გენერლობა მომანიჭა და უყოყმანოდ გამატარა. იმავე დარბაზში დავინახე, როგორ გამოვიდა იმპერატორი, ზღურბლზე შეყოვნდა, ხელთათმანი წაიძრო და თავისი მშვენიერი ხელი მცველებს ამბორსაყოფად გაუწოდა. ასეთი გულმოწყალებით მოიპოვა თავისი ჯარისკაცების ერთგულება, რომლებსაც თავადი ორლოვი სარდლობდა და ბუნტის დროს ხელმწიფის უსაფრთხოების დაცვა ევალებოდათ.

აი, რისი მოწმე გავხდი ერთხელ, როცა ხელმწიფე-იმპერატორს სამლოცველოში წირვაზე გავყევი. „პროტო-პაპა" ეპისკოპოსი კარებში შეეგება, რათა ნაკურთხი წყალი ეპკურებინა დედოფალი მღვდელმსახურის ბეჭედს ემთხვია და იმავდროულად არშინის სიგრძის წვერიანი მეუფეც დაიხარა, რათა თავისი მბრძანებლის — საერო მეუფისა და პატრიარქის — ხელს მილაციცებოდა. წირვის დროს იმპერატორი ჭეშმარიტ ღვთისმოსავ ქალად წარმომიდგა. იგი ყოველგვარ პირმოთნეობაზე მაღლა იდგა და გარშემო მყოფთ ალერსიანად უღიმოდა. დროდადრო თავის ფავორიტს მიმართავდა, თუმცა, ეტყობოდა, სალაპარაკო ბევრი არაფერი ჰქონდა, მაგრამ უნდოდა, ყველასათვის დაენახვებინა, რომ მას განსაკუთრებულ, სხვათაგან გამორჩეულ პატივს მიაგებდა.

ერთხელ, როცა დედოფალი ვეტასტაზიოს „ოლიმპიადის" მოსმენის შემდეგ ოპერიდან გამოდიოდა, მისი სიტყვები გავიგონე:

— ოპერამ ყველას განუზომელი სიამოვნება მიანიჭა და ეს ძალიან მიხარია. მე კი მოწყენილი ვიყავი. მუსიკა დიდებული რამაა, მაგრამ არ მესმის, ასე თავდავიწყებით რატომ უყვართ. ახლახან ბურანელო მოვიწვიე და ვნახოთ, შეძლებს თუ არა, რომ მუსიკის სიყვარული მეც გამიღვიძოს".

ყოველთვის ასე გულახდილად ლაპარაკობდა. მოსკოვიდან რომ დავბრუნდი მასთან საუბრის შესაძლებლობა მეც მომეცა.

შემოდგომის დამდეგს რუსეთიდან წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ბატონმა პანინმა მითხრა, პეტერბურგიდან ისე როგორ უნდა წახვიდე, რომ იმპერატორთან არ

საუბროო; ვეპასუხე, მე თვითონაც ძალიან მაწუხებს ეს ამბავი, მაგრამ ვერავინ ვიპოვე ისეთი, ვინც ხელმწიფესთან წარმადგენდა-მეთქი.

პანინმა მირჩია, დილადრიანად სახაფხულო ბაღში გამესეირნა, სადაც დედოფალიც ხშირად იყოფებოდა ხოლმე. იქნებ შემთხვევით წამწყდომოდა და გამომსაუბრებოდა.

მართლაც, მეორე დილით ბაღში შევედი. მარტოკა ვსეირნობდი, ინტერესით ვათვალიერებდი ხეივნის გასწვრივ ჩარიგებულ ცუდი ქვის ქანდაკებებს, რომლებიც ამავე დროს უხეირო ნაკეთებიც იყო და ზედ სასაცილო რამეები ეწერა. მოტირალ ქანდაკებაზე დემოკრიტეს სახელი იყო ამოკვეთილი, მოცინარზე — ჰერაკლიტესი. გრძელწვერა მოხუცს საფო ერქვა, ხოლო ჩამოწლაწულ მკერდიან დედაბერს — ავიცენა. სხვა წარწერებიც ამდაგვარი იყო. უეცრად შუა ხეივანში მომავალი ხელმწიფე დავინახე. წინ გრაფი ორლოვი მოუძღოდა, უკან — ორი ბანოვანი, ხელმარცხნივ გრაფი პანინი მოჰყვებოდა და რაღაცას ელაპარაკებოდა. ცოცხალ ღობესთან მივდექი და გზა დავუთმე. იმპერატორმა ღიმილით მკითხა, ქანდაკებებმა ხომ არ მოგხიბლათო. მე უკან მივუვევი და ვუპასუხე, ისინი აქ იმიტომ დაუდგამთ, რომ ან ბრიყვები გაამასხარაონ, ანდა ისტორიაში ოდნავ მაინც ჩახედული ადამიანები ეაცინონ-მეთქი.

— მაგრამ იმედი მაქვს, — მითხრა მან, — რომ სხვა ყველაფერი, რაც ჩვენთან იხილეთ, ასე სასაცილოდ არ მოგჩვენებიათ.

ჭეშმარიტებისა და თავაზიანობის წინაშე უთუოდ შევცოდავდი, ესოდენ მაღალი რანგის ქალბატონის ბაგეთაგან წარ-

მოიქმული შეკითხვის შემდეგ რომ არ მემტკიცებინა, რუსეთში სასაცილო უმნიშვნელოდ ცოტა იყო იმასთან შედარებით, რაც აღტაცების ღირსად მიმაჩნდა. და თითქმის ერთი საათი პეტერბურგის ღირსშესანიშნაობებზე ვისაუბრეთ.

იმპერატორმა თავაზიანად მისაყვედურა, რომ არასოდეს „კერტაგზე" არ ვუნახივარ. „კერტაგი" ისეთი კონცერტია, სადაც მღერიან და მუსიკას უკრავენ. იგი სასახლეში კვირა დღეობით იმართება და დასწრება ყველა მსურველს შეუძლია. ვუპასუხე, „კერტაგზე" სულ ერთხელ ვიყავი, რადგან, ჩემდა საუბედუროდ, მუსიკა არ მიყვარს-მეთქი. ამ სიტყვებზე პანინს გადახედა და სიცილით უთხრა, რომ კიდევ ერთ ადამიანს იცნობდა, ვისაც ეს უბედურება სჭირდა. ეს ადამიანი თვითონ იყო.

ამით ჩვენი საუბარი დასრულდა. ის გრაფ ბაცკის გამოელაპარაკა; მე კი გამოვეთხოვე და შინ წამოვედი.

საშუალო სიმაღლის, მაგრამ კეთილად აღნაგი და მართლაც მეფური გარეგნობის ეკატერინე მისი გაცნობის მსურველ ადამიანთა მოჯადოების დიდოსტატი გახლდათ. კალმით ნახატიანი ვერ იტყოდით, მაგრამ თავაზიანობით, ალერსით, ჭკუითა და თავმდაბლობით ყველას გულს ინადირებდა. თუ მართლაც ისეთი უბრალო იყო, როგორიც ჩანდა, მაშინ ნამდვილი გმირი ყოფილა, რადგან მედიდურობისა და სიამაყის მიზეზი დიახაც რომ ჰქონდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გრაფმა პანინმა მითხრა, იმპერატორმა ორჯერ მოგიკითხათ და დარწმუნებული ვარ, ძალიან მოეწონეთო. მირჩია; რომ კიდევ ერთი შეხვედრა მომეხერხებინა, რის შემდეგაც. თუ სამსახურში ჩადგომას მოვისურვებდი, ხელმწიფე ყურადღებას არ მომაკლებდა.

წარმოდგენა არ მქონდა, ამ უცხო ქვეყანაში რა სამსახურისათვის გამოვდგებოდი, მაგრამ სასახლის კართან დაახლოების იმედი კი ჩამესახა და ყოველ დილით ბაღში სეირნობა დავიწყე. კვლავ გამიმართლა და ერთხელ იმპერატორსაც წავაწყდი. შორიდანვე შემნიშნა და მაშინვე მიმიხმო.

იმ ხანად ყველა მხოლოდ კარუსელზე ლაპარაკობდა, რომელიც უამინდობის გამო ვერ იმართებოდა, და მან მკითხა, ასეთ ზეიმებს ვენეციაში თუ აწყობენო. მე დაწვრილებით მო-

ეუყევი ვენეციელთა დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ, რითაც ძალიან გაერთო. ისიც ეუთხარი, რომ ჩემი სამშობლოს ჰავა რუსეთისას მერჩია, რადგან ვენეციაში თითქმის მუდამ კარგი დარი იდგა, პეტერბურგში კი მზიანი ამინდები არც ისე ხშირი იყო. თუმცა ყოველი უცხოელი იტყვის, რომ აქაური წელიწადი სხვა ქვეყნების წელიწადებზე უმცროსია-მეთქი, დავძინე ბოლოს.

— მართალი ბართ, — დამეთანხმა ის, — ჩვენი წელიწადი თერთმეტი დღით იგვიანებს.

— განა გრიგორიანული კალენდარის შემოღება თქვენი უდიდებულესობისათვის ღირსეული საქციელი არ იქნებოდა? — ვკითხე მე, — ამ ცვლილებას ყველა პროტესტანტი შეურიგდა. ინგლისშიც კი თოთხმეტი წლის წინ თებერვალს ბოლო თერთმეტი დღე ჩამოაკლო და ამით რამდენიმე მილიონის სარგებელი ნახა. ასეთი საყოველთაო თანხმობის ვითარებაში ევროპა გაოცებულია, რომ ძველი სტილი ჯერაც მოქმედებს იმ ქვეყანაში, სადაც ხელმწიფე ეკლესიის აშკარა მეთაურია და მეცნიერებათა აკადემიაც არსებობს. თქვენო უდიდებულესობავ, ბევრს მიაჩნია, რომ უკვდავი პეტრე, რომელმაც წლის დასაწყისად პირველი იანვარი დაადგინა, ძველ სტილსაც შეცვლიდა. რუსული და ინგლისური კალენდრების შეთანადება აუცილებლად რომ არ მიეჩნია, რაც თქვენს უვრცეს იმპერიაში ვაჭრობის განვითარებისათვის იყო საჭირო.

— თქვენთვის ცნობილია, — თავაზიანად, მაგრამ ეშმაკური გამომეტყველებით მითხრა დედოფალმა, — რომ პეტრე დიდი სწავლული არ გახლდათ.

— მე მგონია, თქვენო უდიდებულესობავ, რომ ის სწავლულზე მეტიც იყო. ეს ხელმწიფე ეშმარიტად ზეგარდმო მადლით ცხებული გენიოსი ბრძანდებოდა. სწავლულობის სამაგიეროდ მას არაჩვეულებრივად გამჭრიახი გონება ჰქონდა, უცდომლად აფასებდა ყველაფერს, რასაც მის ქვეშევრდომთათვის სიკეთის მოტანა შეეძლო. ბოროტების აღმოფხვრის ძალასა და სიმამაცეს გენია აძლევდა.

დედოფალი შეპასუხებას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ორი ქალბატონი შენიშნა და მათი მოყვანა ბრძანა.

რვა თუ ათი დღის შემდეგ, როცა მეგონა, რომ ჩემთან საუბარი უკვე აღარ სურდა, კიდევ ერთხელ შევხვდი.

საუბრის დასაწყისშივე მაუწყა, რომ რუსეთის დიდებისაკენ მიმართული ჩემი სურვილი აღსრულებული იყო.

— ეცხო ქვეყნებში გაგზავნილ ყოველ წერილს, — მითხრა მან, — ისტორიისათვის საინტერესო ყოველ კანონს ორ თარეულს ვაწერთ და ყველამ იცის, რომ ის, რომელიც თერთმეტი დღით მეტია, ახალ სტილს აღნიშნავს.

— მაგრამ, — შევბედე მე, — საუკუნის ბოლოს თერთმეტი დღე მოიყრის თავს.

— სულაც არა. ყველაფერი გათვალისწინებულია. ამ ასწლეულის უკანასკნელი წელიწადი, გრიგორიანული რეფორმით, ნაკიანი არ იქნება, ესე იგი, არც ჩვენთან იქნება ნაკიანი და ამგვარად, არავითარი სხვაობა არ დარჩება. ამ მცირე შესწორებით მომავალ დიდ ცდომილებას ავირიდებთ. ხომ მართალია? რაც შეეხება აღდგომის დღესასწაულს, რაც უნდათ ისა თქვან. თქვენში ბუნიობა ოცდაერთ მარტზე მოდის, ჩვენთან კი ათ რიცხვზე და ასტრონომებს საკამათო არ ელევათ. ხან თქვენ ხართ მართლები, ხან — ჩვენ, რამეთუ ბუნიობა ხშირად ერთი დღით ადრე ან გვიან დგება ხოლმე. ბოლოს-დაბოლოს, აღდგომის დღეთა შორის განსხვავება საზოგადოებრივ წესრიგს არ ვნებს, ხალხს არ აწუხებს, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო კანონების შეცვლას არ გვაიძულებს.

— თქვენი უდიდებულესობის მსჯელობა ჭეშმარიტად ბრძნულია და დიდი აღტაცების ღირსიც გახლავთ, მაგრამ რაც შეეხება შობას...

— მხოლოდ ამაშია. რომი მართალი, რამეთუ შობას ზამთრის მზებუდობის დღეს არ ვზეიმობთ, როგორც წესი მოითხოვს. ჩვენ ვიცით ეს, მაგრამ ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ ესეც უმნიშვნელო წვრილმანია. ჯობს ეს მცირე შეცდომა დავუშვათ, ვიდრე ჩემს ქვეშევრდომთ ვაწყენინო, რადგან კალენდრის თერთმეტი დღით შემცირებით მილიონობით ადამიანის დაბადების დღეებს ან სახელობით დღესასწაულებს წავართმევდით. უფრო უარესიც, ხალხი იფიქრებდა, რომ ჩემი გაუგონარი ტირანობის გამო სიცოცხლე ყველას თერთმეტი დღით შევუმოკლე. ხმამაღლა არავინ მისაყვედურებს, ეს ჩვენ-

ში მიღებული არ არის, მაგრამ ერთმანეთს ყურებში უჩურჩულებენ, რომ ღმერთი არ მწამს და ნიკეის საეკლესიო კრების სიწმინდეს ხელვყოფ. ესოდენ ბრიყვული და სასაცილო განკცხვა სულაც არ გამახალისებს. მხიარულებისათვის გაცილებით უფრო სასიამოვნო საბაბს ვიპოვი.

ჩემი გაოცებით დამტკბარი იმპერატორი თავაზიანად გამომეთხოვა და საკუთარ ფიქრებთან დამტოვა. აშკარა იყო, რომ თავის მოსაწონებლად ეს საკითხი გულმოდგინედ გამოეკვლია ან ჩვენი ბოლო საუბრის შემდეგ, კალენდრის რეფორმაზე რომ ველაპარაკე, რომელიმე ასტრონომს დათათბირებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბატონმა ალ-ეფიევმა მართლაც მითხრა, რომ დედოფალს თურმე ამ თემაზე მცირე ტრაქტატი წაუკითხავს ან შესაძლოა, უფრო საფუძვლიანადაც მომზადებულიყო, რამეთუ ამ საქმეში საუკეთესოდ ერკვეოდა. თავის შეხედულებებს ძალიან სადად და მკაფიოდ გამოთქვამდა და ვერძნობდი, რომ მისი დაბნევა ან მოთმინებიდან გამოყვანა შეუძლებელი იყო. მუდამ მოუშორებელი ღიმილი, რაც მისი ხასიათის სიმტკიცეზე მეტყველებდა, უკვე ჩვევად გადაქცეოდა, რაც ნაკლი კი არა, ღირსება უფრო იყო, რადგან ამის მიღწევას ჩვეულებრივ ადამიანურ ბუნებაზე ბევრად აღმატებული სულის სიძლიერე სჭირდება. დედოფალი თავისი ჩვევებითა და ქცევის წესებით პრუსიის მეფისაგან სრულებით განსხვავდებოდა, რაც მისი დიდი გენიის ნიშანი გახლდათ. ნაძალადევი სიკეთე, რომლითაც ყველას ამხნევებდა, მისი წარმატების საწინდარი იყო, მაშინ. როცა მეორე თვითმპყრობელისათვის თავის უკმეხობას ხშირად ზიანიც კი მოუტანია. პრუსიის მეფის ცხოვრებას რომ აკვირდები, მისი სიმამაცით აღტაცებული რჩები, მაგრამ -მასაც ხედავ, რომ ფორტუნის დაუხმარებლად იგი ვერ გაიმარჯვებდა, რუსეთის ხელმწიფის ცხოვრების გამოკვლევისას კი რწმუნდები, რომ იგი განგების იმედად კი არ იყო, არამედ თავისი ბედი საკუთარი ხელით გამოკვერა და ტახტზე აბრძანდა. ამით თითქოს იმის თქმა სურდა, რომ მთელი ქვეყნიერება არარაობად მიაჩნდა.

ერთ ახლანდელ ჟურნალში წავიკითხე, რომ ეკატერინე, მეორე ისევე ბედნიერად აღესრულა, როგორც იცხოვრაო. სი-

ნამდვილეში კი იგი, მოგეხსენებათ, მოულოდნელად გარდაიცვალა. ჟურნალისტი, რომელმაც ასეთ სიკვდილს ბედნიერი უწოდა, შეფარვით გვაგრძნობინებს, რომ თავისთვის სწორედ ამგვარ აღსასრულს ისურვებდა. ღმერთი შეეწიოს. ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვუსურვოთ, რომ იგი ნეტარების წამს სწვეოდეს. მაგრამ სიკვდილი ბედნიერი მხოლოდ მაშინ იქნება, თუ მას, ვინც აღესრულა, იგი სულით და გულით სურდა. ჟურნალისტს კი ვინ მოახსენა, რომ ეკატერინეს სიკვდილი უნდოდა? თუ ასე იმიტომ ფიქრობს, რომ დედოფლის დიდი გონიერება უწყის, რასაც ვერავინ უარჰყოფს, მაშინ გავბედავ და ვკითხავ. განა გონიერი ადამიანი უეცარ სიკვდილს ბედნიერებად მიიჩნევს? საკუთარი თავის მიხედვით ხომ არ მსჯელობს ჩვენი ჟურნალისტი? ბრიყვი რომ არ იყოს, შეცდომის შეეშინდებოდა. და თუ ცდება, ესე იგი მართლაც ბრიყვი ყოფილა. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ცდება თუ არა, მაინც ბრიყვის სახელს იმსახურებს. ამაში რომ დავრწმუნდეთ, აწ განსვენებულ დედოფალს გავესაუბროთ.

— კმაყოფილი ბრძანდებით თუ არა, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი უეცარი გარდაცვალებით?

— რა სისულელეა! ასეთი შეკითხვა შეიძლება სასოწარკვეთილ ან სნეულ ქალს დაუსვათ, ვისაც ნელი, მტანჯველი სიკვდილის შიში აქვს. მაგრამ არც ერთი და არც მეორე მე არ მეხება. მუდამ ბედნიერი ვიყავი და თავსაც შესანიშნავად ვგრძნობდი. იმაზე დიდი უბედურება, რაც შემემთხვა, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რამეთუ მხოლოდ ეს ერთი რამ ვერ განვჭვრიტე. ამ უბედური შემთხვევის გამო უამრავი საქმე დაუსრულებელი დამრჩა, რომლებსაც იოტისოდენა დაბრკოლების გარეშე აუცილებლად ბოლომდე მივიყვანდი, ღმერთს რომ ჩემთვის თუნდაც რაიმე ავადმყოფობა ებოძებინა და ამით სიკვდილის არსებობა შეეხსენებინა. გარწმუნებთ, რომ მის მოახლოებას ყოველგვარი ეჭვიმის გარეშე ვიგრძნობდი. მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა. მე ჩამომესმა ზეციური ხმა, რომელმაც მიბრძანა, რომ უშორეს მოგზაურობას სრულიად მოუმზადებელი შევდგომოდი. განა შეიძლება, ბედნიერად მიმიჩნიონ იმის გამო, რომ ამ ქვეყანას ნეტარებით განვეშორე? იმათ, ვინც ფიქრობს, რომ ძალა არ მეყოფოდა

იმისათვის, რათა ყველა მოკვდავისათვის გარდაუვალ ბუნების კანონს უდრტვინველად დავმორჩილებოდი, როგორც ჩანს, ჩემს სულში სიმხდალე შენიშნეს, მაგრამ საამისო საბაბი არავისთვის მიმიცია. ახლა, როცა უხორცო ჩრდილად ვიქეცი, შემიძლია დავიფიცო, რომ კმაყოფილი და ბედნიერი მაშინ ვიქნებოდი, სასტიკ განგებას აღსასრულამდე ერთი დღე-ღამით ადრე აზრის სინათლე რომ ებოძებინა. მაშინ მის უსამართლობაზე არ დავიჩივლებდი.

— როგორ, თქვენო უდიდებულესობავ, ღმერთს უსამართლობას საყვედურობთ?

— ამაზე იოლი არა არის რა; რამეთუ მარადიული ტანჯვა მაქვს. მოსჯილი. მითხარით, განა შეუძლია მსჯავრდებულს, დედამიწის ზურგზე ყველა დამნაშავეთაგან უდამნაშავესიც რომ იყოს, სამართლიანად მიიჩნიოს ისეთი სასჯელი, რომელიც მას მარადიული ტანჯვისათვის სწირავს?

— ეს მართლაც შეუძლებელი უნდა იყოს, რამეთუ იმის აღიარება, რომ სამართლიანად ხარ დასჯილი, ცოტაოდენ შვებას მაინც მოგგვრის.

— სწორი ბრძანებაა. უსამართლოდ მსჯავრდებული კი სამარადისოდ უნუგეშოდ რჩება.

— მაგრამ მაინც გამოჩნდებიან ისეთი ფილოსოფოსები, რომლებიც ბედნიერად ჩაგთვლიან.

— ჯობს თქვათ ბრიყვებიო, რამეთუ ჩემი სიტყვები ამტკიცებს, რომ უეცარი აღსასრული ჩემი უბედურებაა, მაშინაც კი, ახლა ჩემს თავს ბედნიერად რომ ვთვლიდე.

— უეჭველია. გაბედავ და გკითხავთ: შეიძლება თუ არა, თქვენო უდიდებულესობავ, რომ აგბედით სიკვდილს სამუდამო ნეტარება მოპყვეს, ხოლო ბედნიერ სიკვდილს — მარადიული ტანჯვანი?

— ერთიც შეუძლებელია და მეორეც. სამუდამო ნეტარებას სულს ზეგარდმო სიმშვიდე უმკვიდრებს იმ წამს, როცა ის წარმავალ სხეულს დაუტოვებს. ხოლო სამარადისო ტანჯვისთვის განწირულია ქენჯნითა და ამაო სინანულით დაფლეთილი გული. მაგრამ კმარა, ჩემი კუთვნილი სასჯელი თქვენთან შეტი ლაპარაკის უფლებას არ მაძლევს.

— მოწყალება მოიღეთ და მიბრძანეთ, ეს რა სასჯელია?

— მოწყენილობა. მშვიდობით.

მკითხველი, ალბათ, მადლიერი დამრჩება, თუ ამ გრძელი წიაღსვლის შემდეგ ჩემს მოთხრობას დავუბრუნდები.

პეტერბურგიდან გამგზავრების წინ ეკატერინგოფში ჩემი მეგობრებისათვის ფეიერვერკიანი ზეიმი გავმართე. ოცდაათი კაცისათვის განკუთვნილი ვახშამი საუცხოო იყო, მეჯლისი — ბრწყინვალე. ჩემი საფულე გვარიანად შეთხელდა, მაგრამ კმაყოფილი ვიყავი, რომ მეგობრების წინაშე მოვალეობა მოვიხადე და ჩემდამი დიდი პატივისცემისათვის მადლიერება გამოვხატე.

შემდეგ კომედიანტ ვალვილთან ერთად გავემგზავრე. ალბათ საჭიროა, მკითხველს ისიც მოვუთხრო, თუ როგორ გავიცანი ეს ქალი.

ფრანგულ კომედიაში მარტოდმარტო წავედი და მესამე იარუსის ლოჟაში დავჯექი. ჩემს გვერდით ეულად მყოფი მშვენიერი ქალბატონი დავინახე და საუბარი გავუბი. მსახიობების თამაშს ვაფასებდი, ზოგს ვიწონებდი, ზოგს ვიწუნებდი, ქალი მპასუხობდა და თავის გონიერებით ისევე დამატყვევა როგორც — სილამაზით. წარმოდგენის ბოლოს ვკითხე, სადაური ბრძანდებით მეთქი.

— პარიზელი ვარ, — მიპასუხა მან, — პროფესიით — კომედიანტი. ჩემი სცენური სახელია ვალვილი და თუ იგი არ გეცნობათ. სულ არ გამიკვირდება. ერთი თვეა, რაც ჩამოვედი და მხოლოდ ერთხელ ვითამაშე მოახლის როლი „სამეჯნეურო სიგიჟეებში".

— რატომ მხოლოდ ერთხელ?

— იმიტომ, რომ ხელმწიფეს არ მოვეწონე. მაგრამ რადგან ერთი წლის ვადით ვარ ანგაჟირებული, ბრძანა, რომ ჩემთვის თვეში ასი მანეთი გადაეხადათ, ერთი თვის შემდეგ კი პასპორტსა და გზის ფულს მომცემენ და აქედან ავიბარგები.

— ხელმწიფეს, ალბათ, ჰგონია, რომ დიდი მოწყალება გაიღო, რაკი არ თამაშობთ და ფულს მაინც გიხდით.

— სხვა რა უნდა ეგონოს, ის ხომ მსახიობი არასოდეს ყოფილა. საიდან უნდა იცოდეს, რომ უსცენოდ გაცილებით მეტს ვკარგავ, ვიდრე მისგან ვიღებ, რადგან ხელობა თანდათან მავიწყდება.

— ეს ამბავი ხელმწიფეს უნდა ვაუწყოთ.

— მასთან აუდიენცია ჩემი ოცნებაა.

— ეს აუცილებელი სულაც არ გახლავთ. რა თქმა უნდა, საყვარელი გეყოლებათ?

— არა.

— წარმოუდგენელია!

მეორე დილით ასეთ წერილს ვუგზავნი:

„ქალბატონო, თქვენთან ინტრიგა მწყურია. ჩემში შემაღონებელი სურვილები გაღვიძეთ და ორთაბრძოლაში გიწვევთ — ვითხოვ დაკმაყოფილებას. თქვენთან ვახშმობა მწადია და მინდა წინასწარ გიცოდე, რისი იმედი მქონდეს. მომავალ თვეში ვარშავაში მივემგზავრები და ჩემს ეკიპაჟში ადგილს გთავაზობთ, რაც მხოლოდ იმ უხერხულობაში ჩაგაგდებთ, რომ თქვენს გვერდით ძილი მომიწევს. მე ვიცი, როგორ მოგაპოვებინოთ პასპორტი. ამ ბარათს მომტანს დავალებული აქვს, პასუხს დაელოდოს, რომელიც, იმედი მაქვს, ისეთივე მკაფიო იქნება, როგორიც ჩემი წერილია“.

ორ საათში პასუხი მივიღე:

„მოწყალეო ხელმწიფევ, ვფლობ რა ყოველგვარი ინტრიგის იოლად გახსნის უდიდეს უნარს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ნაჩქარევადაა გახლართული, თანახმა ვარ თქვენთან ახალი ინტრიგის წამოწყებაზე. რაც შეეხება სურვილებს, თქვენში რომ გამოიღვიძებია, მწყინს თუ ასეროგად გაღონებენ, რამეთუ ეს გარემოება დიდად მეთნევა და თანახმა ვარ დავაკმაყოფილო თქვენი წადილი, რათა იგი კიდევ უფრო მეტად გავაღვივო. თქვენი ნაბრძანები ვახშამი ამ საღამოსათვის მზად იქნება, შემდეგ კი ვივაჭროთ, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. თქვენს ეკიპაჟში ადგილი ჩემთვის მითუმეტეს ძვირფასი იქნება, თუ პასპორტის გარდა პარიზში გასამგზავრებელ ფულსაც მიშოვით. იმედი მაქვს, რომ ჩემი სიტყვები საკუთარი ნაუბარიკით მკაფიოდ მოგეჩვენებათ. ნახვამდის, მოწყალეო ხელმწიფევ, საღამოს შეხვედრამდე“.

ეს ველვილი თავის შესანიშნავ ბინაში მარტო დამხვდა. ჩინებული ვახშმის შემდეგ, რომელიც ვალვილმა პარიზულ ყარგონზე წარმოთქმული ხუმრობებით შეაზავა, იგი ყოველგვარი ცერემონიების გარეშე დამნებდა. მხოლოდ ერთი წუთით ჩა-

ვედი ქვეკეთ, რათა კარეტა გაშეშვა და მეეტლისათვის დამეპარებინა, რომ ზაირასათვის ეთქვა, თითქოს კროწშტადტში ვავემგზავრე და ამალამ იქ დავრჩებოდი. მაშინვე მივხვდი, რაკი ვალვილის საყვარელი გავხდი, ზაირას უკვე ველარ გავიჩერებდი.

ანტრაქტებში ვალვილმა თავისი თავგადასავლები მიამბო, რომელთა მიხედვითაც მთელი მისი არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების ისტორია წარმოვიდგინე: მსახიობი კლერვალი პეტერბურგის კარის თეატრისათვის დასის შესადგენად პარიზში ჩავიდა, იქ შემთხვევით შეხვდა ვალვილს და მისი ნიჭითა და გონიერებით მოხიბლულმა დაარწმუნა, რომ იგი მსახიობისათვის იყო გაჩენილი, თუმცა თვით ქალს ამის წარმოდგენაც არ შეეძლო. თავგზააბნეულმა ვალვილმა იცა, რომ თავის უნარში დარწმუნება არც ეცდია, ანგაჟემენტზე ხელი მოაწერა. პარიზიდან ექვს სხვა ქალთან და მამაკაცთან ერთად გავემგზავრა, რომელთა შორის მხოლოდ თვითონ იყო ისეთი, სცენაზე ფეხი რომ არ დაედგა.

— მე მეგონა, — თქვა მან, — რომ აქაც ისევე იოლად შეიძლებოდა მსახიობად გახდომა, როგორც ჩვენთან, მითუმეტეს ჩემთვის, რადგანაც თვით კლერვალი მარწმუნებდა, რომ პირდაპირ თეატრის ვარსკვლავად ვიყავი დაბადებული და ამის დასტურად პეტერბურგშიც წამომიყვანა. მცირეოდენი გამოცდის შემდეგ ჩემში მოახლე ქალის როლებისათვის ზედგამოჭრილი თვისებები აღმოაჩინა და, რა თქმა უნდა, ჩემი მოტყუება სულაც არ უნდოდა. ეგ იყო, რომ თვითონვე მოტყუვდა. აქ ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ ჩემი დებიუტიც შედგა, და, როგორც იტყვიან, ჩავფლავდი. მაგრამ არაფერია, სულაც არ მრცხვენია.

— ალბათ, შეგეშინდა.

— შემეშინდა? არა მგონია. კლერვალი იფიცებდა, შიში რომ დაგტყობოდა, გულკეთილი ხელმწიფე შენს გამხნევებას თავის მოვალეობად მიიჩნევდაო.

ვალვილისაგან დილით გამოვედი, მას შემდეგ, რაც თხოვნის წერილი თავისი ხელით გადაწერა და მითხრა, რომ ხვალ თვითონვე წაიღებდა დედოფლისათვის გადასაცემად, მე კი

შევპირდი, რომ მეორეჯერ ვახშმად მაშინ ვეწვეოდი, როცა ზაირას მოვიშორებდი. მან გადაწყვეტილება მომიწონა.

ვენერას მსახურ ფრანგ გოგოებს ცოცხალი გონება და გულკეთილობა კი ახასიათებთ, მაგრამ ვალვილივით ყველანი უენებო და უტემპერამენტონი არიან და ამიტომ არც სიყვარული შეუძლიათ. ისინი მხოლოდ სიამოვნებას განიჭებენ და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესებით მოქმედებენ. თავიანთი საქმის ჭეშმარიტი ოსტატები ერთნაირი სიმსუბუქით აბამენ და წყვეტენ ურთიერთობებს და ეს მათი ქარაფშუტობა კი არა, ცხოვრების პრინციპია. და თუ იგი საუკეთესოდ არ ჩაითვლება, მოსახერხებელი მაინც არის.

შინ რომ დავბრუნდი, ზაირა გარეგნულად მშვიდი, მაგრამ მოწყენილი დამხვდა. ეს ყოველთვის უფრო მაწუხებდა, ვიდრე მისი მრისხანება, რადგან ჭართლა მიყვარდა. მაგრამ საჭირო იყო დამთავრება და იმ ტკივილისათვის მომზადება, მისი ცრემლები რომ მომაყენებდა. მან იცოდა, რომ გამგზავრებას ვაპირებდი და რადგანაც რუსი არ ვიყავი, მისი წაყვანის უფლება არ მქონდა. ამიტომ თავის ბედზე წუხდა. მთელი დღე და ღამე სიყვარულსა და განშორების სევდაში გავატარეთ.

ერთი ღირსეული მამაკაცი ზაირასათვის პირდაპირ სულს ლევდა. ეს გახლდათ სამოცდაათწლიანი ცხოვრებისეული სიბრძნით დამძიმებული არქიტექტორი რინალდი. იგი წამდაუწუმ მახსენებდა, რომ უდიდეს კმაყოფილებას მივანიჭებდი, თუ გამგზავრებისას ზაირას დავუთმობდი და იმაზე ორჯერ მეტ თანხასაც მთავაზობდა, რაც მე გოგოში გადავიხადე. მუდამ ვპასუხობდი, რომ ზაირას მხოლოდ იმას დავუთმობდი, ვისაც თვითონ ისურვებდა, რამეთუ განზრახული მქონდა, რომ მთელი ფული, რასაც ჩისი ახალი მფლობელი გადამიხდიდა, გოგოსთვის მეჩუქებინა. რინალდის ეს არ მოსწონდა, რადგან არ იყო დარწმუნებული, რომ ქალი სწორედ მას აირჩევდა, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა.

არქიტექტორი ჩემს მიერ დათქმულ დღეს გვეწვია, რათა ეს საქმე საბოლოოდ გაგვერიგებინა და გოგოს თავისი გრძნობები გაუმხილა. ზაირამ უპასუხა, რომ იმისი კუთვნილება გახდებოდა, ვისაც მე პასპორტს გადავცემდი, ამდენად, მთხოვნელს ჩემთვის უნდა მოემართა და არა მისთვის. ჩვენგან მტკი-

ცე პასუხი რომ ვერ მიიღო, პატიოსანი მოხუცი სადილის შემდეგ გამოგვეთხოვა და ჩემი დახმარების მცირეოდენი იმედიც გაიყოლა.

ზაირას ვკითხე, რას იფიქრებდა ჩემზე, თუ ამ ღირსეულ ადამიანთან დავტოვებდი. პასუხის გაცემას აპირებდა, როცა ვალვილის წერილი შემომიტანეს. მთხოვდა, რომ სასწრაფოდ მივსულიყავი, დაუყოვნებლივ ცხენების შებმა ვბრძანე.

— კარგი, — მშვიდად მითხრა ზაირამ, — წადი, შენს საქმეებს მიხედე, და რომ დაბრუნდები, პასუხსაც დაგახვედრებ.

ვალვილი დიდად ბედნიერი დამხვდა. თურმე სამლოცველოდან თავის საძინებელ ოთახში მიმავალ დედოფალს დაუდარაჯდა და თხოვნა გადასცა. ხელმწიფეს წაუკითხავს, მოწყალება გაუღია და დაცდა უბრძანებია. რამდენიმე წუთის შემდეგ ვალვილს თავისი თხოვნის ქაღალდი დაუბრუნეს, რომელზეც იმპერატორის ოთხპწკარიანი განკარგულება ეწერა. იგი თავის სტატს-მდივანს ვალვილისათვის პასპორტის, ერთი წლის ჯამაგირისა და გზის ფულის მიცემას ავალებდა. ვალვილი დარწმუნებული იყო, რომ ორ კვირაში ყველაფერს მიიღებდა. მადლიერებით აღსავსემ მარადიული მეგობრობა შემომფიცა. გამგზავრების დღეც დავთქვით.

შინ დავბრუნდი და ზაირასთან ერთად ვივახშმე. ძალიან მხიარულობდა. მკითხა, თავის სახლში წაყვანის შემდეგ დამიბრუნებდა თუ არა ბატონი რინალდი იმ ას მანეთს, მამამისს რომ გადავუხადე. კი-მეთქი, ვუპასუხე.

— მაგრამ ახლა, — მითხრა მან, — შენგან დატოვებული მთელი ჩემი ავლა-დიდებით, ალბათ, უფრო მეტი ვღირვარ, და იტალიურად ლაპარაკიც შემიძლია.

— რა თქმა უნდა, ჩემო პატარავ, მაგრამ არ მინდა ილაპარაკონ, რომ შენზე ფული გავაკეთე, მითუმეტეს ის ასი მანეთიც უნდა გაჩუქო.

— თუ ჩემი დასაჩუქრება გადაგიწყვეტია, ხომ არ აჯობებდა, რომ შშობლებთან ჩაგეყვანე? ამით ნამდვილ გულუხვობას გამოიჩენდი. რაკი ბატონ რინალდის ვუყვარვარ, შენ უნდა უთხრა, რომ ჩემს სათხოვნელად მამაჩემთან ჩამოვიდეს. მან რუსული იცის, ფასზე მორიგდებიან, მეც თანახმა ვიქნები. ხომ არ გაბრაზდები, თუ შუქთად არ ჩავბარდი?

— რას ამბობ, ჩემო სიცოცხლეე, პირიქით, ძალიან გამიხარდება, თუ შენ ოჯახს შეეწევი. ბატონი რინალდი მდიდარი კაცია.

— სიკვდილამდე არ დაგივიწყებ. წამოდი, დავწვეთ. დილით ეკატერინგოფში წამიყვანენ, ახლა კი — ლოგინში, სწრაფად!

აი, ამ გოგოსთან განშორების მთელი სტორია. ზინოვიევი მარწმუნებდა, საწინდარს თუ დატოვებ, შეგიძლია ზაირა თან წაიყვანოო, და ამისათვის ხრეტნას თვითონ კისრულობდა. შედეგებზე რომ დავფიქრდი, უარი ვუთხარი. ეს გოგო ისე მიყვარდა, რომ შესაძლოა მთლად დავემონებინე. მაგრამ იმ ხანად ვალვილი რომ არ შემყვარებოდა, ალბათ, არც ამას შეგუშინდებოდი და მართლა წავიყვანდი.

მთელ დილას თავის ავლადიდებას აგროვებდა. ხან ტიროდა, ხან იცინოდა და ყოველთვის, როცა სკივრს მოსწყდებოდა და საკოცნელად მომვარდებოდა, ჩემს თვალებშიაც ცრემლს ხედავდა.

როცა მამამისს ჩავუყვანე და მისი პასპორტი გადავეცი, მთელი ოჯახი მუხლებზე დაეცა და ჩემდამი ლოცვა აღავლინა, თითქოს მათი ღმერთი ვყოფილიყავი.

ეს რომ რინალდის ვაუწყე, სულაც არ გაბრაზებულა. ზაირას მოპოვების იმედი ჰქონდა და მაშინვე მათთან გაემგზავრა, მაგრამ საწადელს მხოლოდ ჩემი რუსეთიდან წასვლის შემდეგ მიაღწია. ქალს მის ხელში კარგის მეტი არაფერი უნახავს და კაცის გარდაცვალებამდე ერთად ცხოვრობდნენ.

ამ სევდიანი განშორების შემდეგ ჩემი ერთადერთი მეგობარი ვალვილი გახდა. სამი თუ ოთხი კვირის შემდეგ გამგზავრებისათვის მზად ვიყავით. მე საერკომენდაციო ბარათებით აღვიჭურვე, დორმეზში საბნები და ბალიშები შეეჩურთეთ და გვერდიგვერდ მოვკალათდით. ქალმა ასეთი მგზავრობა სასიამოვნოდ და ძალიან კომიკურად მიიჩნია, რადგან მაშინვე სახელდახელოდ გაწყობილ ლოგინში ჩავგორდით.

აქედარს გზები გაეფუჭებინა და რიგამდე ჩასვლას მთელი კვირა მოვუნდით. კიდევ ოთხი დღე კენიგსბერგამდე ვიარეთ. აქ ვალვილი იძულებული იყო დავეტოვებინე — ბერლინში ელოდნენ. ორი წლის შემდეგ მას პარიზში შევხვდი. აქ კი

ერთმანეთს მხიარულად დავცილდით. ჩვენი ხალისიანი განწყობილება არავითარ ნაღვლიან ფიქრებს არ დაუბინდავს. საყვარლები მხოლოდ იმიტომ გავხდით, რომ სიყვარულს არაფრად ვაგდებდით. მაგრამ ერთმანეთს გულითად მეგობრებად დავცილდით. რიგაში ჩასვლამდე ერთ ადგილას ღამის გასათევად რომ გავჩერდით, ზან მთელი თავისი ფული და ძვირფასეულობაც კი შემომთავაზა.

კენიგსბერგში დორმეზი გავყიდე, მარტო დარჩენილმა კარეტაში ადგილი დავიქირავე და ვარშავისაკენ გავწიე.

1765 წლის შემოდგომა იწურებოდა.

სტეფან ცვაიგი

HOMO EROTICUS

იგი ღმერთის მიერ შექმნილ ყველა ხელოვნებაში პატიოსანი, მაგრამ ცუდი დილეტანტია: წერს არც ისე გამართულ ლექსებსა და მოსაწყენ ფილოსოფიურ ტრაქტატებს, ასე თუ ისე აწრიპინებს ვიოლინოს და უკეთეს შემთხვევაში, ენციკლოპედისტივით საუბრობს. უფრო კარგად ეშმაკის მოგონილი თამაშები აითვისა — ფარაონი, ბანქო, კამათელი, დომინო, თაღლითობა, ალქიმია, დიპლომატია... მაგრამ არის საქმიანობის ერთი სფერო, სადაც კაზანოვა უბადლო მაგი და მაესტროა — სასიყვარულო თამაშები. შემოქმედებითი ქიმიის პროცესში მისი ასეულამდე ძვალტყავა და საეჭვო ტალანტები სრულყოფილი ეროტიკის წმინდა გენიად ერთიანდება. მისი სხეული თითქოს საგანგებოდ ბორციელი სიყვარულისთვისაა შექმნილი. ჩვეულებრივ ძუნწმა ბუნებამ ამჯერად თავისი სკივრიდან ჭისთვის ვეება პეშვით ამობაპა ვნება, ძალა, უშრეტი ენერგია და სილამაზე, რათა ქალის გულის გასახარად შეექმნა ნამდვილი მამაკაცი, „mâle" — „დაუოკებელი მამრი" და „ხვადი" როგორც გენებოთ, ისე თარგმნეთ — და ამავე დროს მოქნილი, სასტიკი, მშვენიერი ჯიშის სანიმუშო ეგზემპლარი — მასიურად ხმული და სრულყოფილი ფორმა. ცდებიან ისინი, ვისაც კაზანოვას ფიზიკური გარეგნობა ჩვენს დროში მოდური ნატიფი სილამაზის სახით წარმოუდგენია. პირიქით, ესაა ულაყი, რომელსაც აქვს ფინეზის ჰერკულესის მხრები, რომაელი ფალავნის კუნთები, ბოშა ჭაბუკის შავგვრემანი ეშხი, წყლის ნაკადის ძალა, კონდოტიერის თავხედობა და გაწეწილი ფავნის გზნება. მის ლითონურ სხეულში დაუთრგუნველი ენერგია ბობოქრობს. ოთხზის ათაშანგი, ორი მოწამლულობა, უამრავი დაშნის ნაჩხვლეტი, ვენეციურ და აშმორებულ ესპანურ საპყრობილეებში გატარებული საზარელი, პირქუში წლები, უეცარი გადასვლები სიცილიური ხვატიდან რუსეთის ჭახჭახა ყინვებში ერთი დიუმითაც არ ამცირებენ მის პოტენციასა და მამაკაცურ ძლიერებას. სადაც არ უნდა იყოს და როცა არ უნდა იყოს, საკმარისია ქალის

ერთი ნაპერწკლიანი შემოხედვა, შორეული ფიზიკური კონტაქტი, დიაცის ახლომახლო არსებობა, რომ ამოიფრქვეს და ამოქმედდეს ეს ვულკანური სექსუალურობა.

მუდამ ცვალებადი კაზანოვა ქალისადმი ლტოლვაში მარად ეცცლელია. შესთავაზეთ მას ვენეციელი დოჟის ბეჭედი, ფლორთა განძი, მემამულის პატენტი, სახლი და საჯინიბოები, მთავარსარდლის ან პოეტის დიდება. მთელ ამ ავლა-დიდებასა და უმაქნის სამშვენისებს უყოყმანოდ უარყოფს ახალი სხეულის ბრომატისათვის, განუმეორებელი ვნებიანი შემოხედვისათვის, თანდათან ჰინაველული წინააღმდეგობის უკანასკნელი წამისათვის, თითქმის დანებებული, მაგრამ ჯერ კიდევ დასამორჩილებელი დიაცის წუთიერად მოელვარე, ბოლოს კი ნეტარებით დანისლული მზერისათვის. მთელი ქვეყნის სიმდიდრეს, პატივს, სახელ-დიდებას, ძალაუფლებას, ჯანმრთელობას, დროსა და ნებისმიერ სხვა სიკეთეს თამბაქოს კვამლიანთ გააფშუილებს ერთი თავგადასავლის, უფრო მეტიც, თავგადასავლის შესაძლებლობისათვის. რამეთუ ამ ეროტიკულ მოთამაშეს თავისი ვნების დასაკმაყოფილებლად შეყვარება სულაც არ აჭირდება ჰხოლოდ წინაგრძნობა, მორიგი ავანტურის ჯერ ვაურკვეველი, ოდენ ბუნდოვანი შესაძლებლობა მის ფანტაზიას ვნებისა და სიტკბოების წინასწარგანცდით ალაგზნებს. ოღონდ კი უცნობ ქალთან ერთი საათით განმარტოვდეს და ყოველგვარი სისულელის ჩასადენად მზად არის. როცა გულისთქმა იპყრობს, მაშინ არავითარი საფასური არ აშინებს, როცა გამარჯვება სურს. არანაირ დაბრკოლებას არ ერიდება. მთელ ღამეს ვირთხებითა და მწერებით ამოშუშებულ გაყინულ სარდაფში მშიერ-მწყურვალი და გათოშილი გაატარებს, თუ იცის, რომ ალიონზე თუნდაც არც ისე მოსახერხებელი პაემანი ელოდება. საოცარ რისკზე მიდის, არ ერიდება არც მახვილს, არც ტყვიას, არც შეურაცხყოფასა და დამცირებას, არც სნეულებებს და თანაც არა ჭეშმარიტად საყვარელი, მთელი სულითა და გულით სასურველი ქალის დასაუფლებლად. არამედ ნებისმიერი დიაცისათვის, ყოველი ადეილად მოსაპოვებელი მეძავისთვისაც კი. ყოველ მაჭანკალსა და მეჭალთანეს შეუძლია სახელგანთქმული მაცდუნებლის გაძარცვა, ყოველ ცბიერ ქმარს ანდა მოხერხებულ ძმას შეუძ-

ლია კაზანოვას ჩაცრეცა უბინძურეს საქმეებში, როცა გაღვიძებულია მისი ვნება, მაგრამ როდის არ არის იგი გაღვიძებული? განა ოდესმე საკუთარი ეროტიკული წყურვილი? მისი გულისთქმანი განუწყვეტლივ ელტვიან შეეცნობილს შესაცნობად, უფათერაკო ქალაქი მიათვის ქალაქი აღარაა, სამყარო ქალების გარეშე არ არის სამყარო; მის ცოცხალ ორგანიზმს ჟანგბადივით, ძალივით, მოძრაობასავით სჭირდება ავსორცული ღამეული საზრდო. არც ერთი თვე, არც ერთი კვირა, ერთი დღეც კი არ შეუძლია უქალოდ ყოფნა. კაზანოვას ლექსიკონში თავშეკავება სიჩლუნგესა და მოწყენილობას ნიშნავს.

გასაკვირი არაა, რომ ასეთი მგლური მადისას საკვები ყოველთვის რჩეული და ხარისხიანი ვერ იქნება. როცა მგრძნობელობას აქლემის კუჭი აქვს, გურმანობის დრო აღარ არის, ჩვეულებრივი მსუნაგი და ბელტიყლაპია უნდა გახდე. აქედან გამომდინარე, კაზანოვას საყვარლობა თავისთავად განსაკუთრებულ ღირსებას არ წარმოადგენს, რადგან არ არის აუცილებელი მაინცდამაინც ელენე ან უმანკო ქალწული იყო, არც გამორჩეულად გონიერი, კეთილად ზრდილი ან მომხიბლავი ასული, რათა ამ სახელგანთქმულმა ბატონმა მოწყალე თვალით გადმოგხედოს. ამისათვის საკმარისია ჩვეულებრივი ქალობა, სხეული, პოლარული სქესი, საგანგებოდ შექმნილი იმისათვის, რომ მისი ჟინი დააკმაყოფილოს. სილამაზე, ჭკუა, სინაზე, რა თქმა უნდა, საქმეს არ აწყენს, მაგრამ რა სასაცილო წვრილმანებია ეს ყოველივე იმ ერთადერთ გადამწყვეტ ფაქტორთან შედარებით, რომელსაც უბრალოდ ქალი ჰქვია. რამეთუ კაზანოვას სწორედ ეს ქალობა, მარად ახალი, მარად ცვალებადი ქალურობა სწყურია. მისი კოლექცია სრული სიჭრელით გამოირჩევა და ღმერთმა უწყის, მზეთუნახავთა როგორ გალერეას წარმოადგენს. ზოგიერთი სახე — ნაზი, მწყაზარი, ჯერაც ბავშვური უმანკო სახეები მისი თანამემამულეების, გვიდო რენისა და რაფაელის ტილოებიდან გადმოსულთ გვანან, ზოგიერთი რუბენსის ნახატებს ანდა ბუშეს ხელით აბრეშუმის მარაოზე დაჩითულ ფერადოვან სურათებს მოგვაგონებს, მაგრამ მათ გვერდით არიან ინგლისელი ქუჩის მეძავებიც, რომელთა უტიფარი სიფათების აღბეჭდვას მხოლოდ

გოგარტს მკაცრი ფანქარი თუ შეძლებდა; უზნეო კუდიანი ბებრუხანები, რომლებიც მხოლოდ გოიას დაინტერესებდნენ; ტელეზ-ლოტრეკის სნეულსახეებიანი გოგოები, მძლავრი ბრეიგელის ყალმის შეხაფერისი გლეხი ქალები და მოახლეები — სილამაზისა და სიბინძურის, გონიერებისა და ვულგარულობის ველური სიჭრელე. განურჩევლობისა და შემთხვევითობების ნამდვილი ბაზრობა. ამ უსაზღვრო, ყოვლის შთანთქმელმა ეროტიკამ არ იცის არც მორალური და არც ესთეტიკური სადაგი. არც ასაკი, არც დაბალი და მაღალი ფენები, არც ადრე და არც გვიან. კაზანოვას ეროტიკული თავგადასავლების პერსონაჟთა გალერეა მოიცავს ყოველგვარ ასაკს — სრულიად ნორჩი ქალწულებიდან სამოცდაათწლოვან ნანგრევებად ქცეულ ქალბატონ დ'იურფემდე — ამ ყველაზე შემაძრწუნებელ სასიყვარულო ფათერაკამდე. რომლის მემუარებში აღბეჭდვას და შთამომავლობისათვის ურცხვად დატოვებას კაზანოვას გარდა ვერავინ გაბედავდა. ყველა ქვეყანაში, ყოველ კლასში ბობოქრობს ეს არა კლასიკური ვალპურგის ღამე. პირველი სიმორცხვის განცდით მთრთოლვარე უნაზესი. და უწმინდესი ქალიშვილები, მაქმანებით შებურვილი და ტძვირფასსელი სამკაულებით მოელვარე დიდგვაროვანი ქალბატონები ხელიხელჩაკიდებულ ფერხულში ჩაბმულან საოსკიპოებისა და ბინძური დუქნების ნაძირალა დიაცებთან. კაზანოვას შეუპოვარი libido ყოველგვარ დაბრკოლებას აცამტვერებს. უჩვეულო ჩვეულებრივზე მეტად იზიდავს, არ არის ანომალია, ის რომ არ აღაგზნოს, არ არსებობს აბსურდი, ის რომ გამოაფხიზლოს. მკბენარიანი ლოგინები, ჭუჭყიანი თეთრეული, სავსე სანი, სუტენიორთა ნაცნობობა, იდუმალი თუ აშკარა მაყურებლის თვალთვალი, ეხლში გამომძალველობა და სნეულებანი — ყველაფერი ეს უმნიშვნელო წვრილმანებია ამ ღვთიური კეროსათვის, რომელსაც სურს, რომ თავისი ბუნებრივი და ფანტასტიკური, თითქმის მანიაკალური ავხორცობით მოიცვას და დაატკბოს მთელი საქალეთი. და სწორედ ეს ჰანის საკადრისი ბობოქარი ძალა და ვულისთქმათა ბუნებრივობა ანიჭებს კაზანოვას მდედრობითი სქესის გაუგონარი, თითქმის გარდაუვალი დამორჩილების უნარს. ადუღებული სისხლის უეცრად გაღვიძებული ინსტიქტით გრძნობენ ისინი

მათ შესახვედრად მსწრაფ ცეცხლისმფრქეველ ადამიან-მხეცს და ბოლოსდაბოლოს ემორჩილებიან იმიტომ, რომ თავად არის მათი მორჩილი; ნებდებიან, რადგან თავადაც მთელი არსებით ნებდება მათ, მაგრამ არა რომელიმე ერთ მათგანს არამედ ყველა ქალს ერთად, თავის საპირისპირო მხარეს, მეორე პოლუსს. ქალები სქესის ინტუიციით გრძნობენ, რომ ეს ის არსებაა, ვინც მათ არსებობას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებს. იგი არა ჰგავს სხვებს — საქმეებისაგან დაღლილს, ზარმაცებსა და ცოლიანებს, მუდამ მოჩქარეთ და მათთან მხოლოდ სხვათაშორის მყოფთ. ეს მთელი თავისი არსების დაუნაწევრებელი გრიგალური ძალით ისწრაფვის მათკენ, არ არის ძუნწი; იგი გულუხვია; არ ყოყმანობს, არ არჩევს. მზად არის თავისი სასიცოცხლო ძალების უკანასკნელი წვეთი, თავისი ჯიბის უკანასკნელი დუკატი დაუფიქრებლად გაიღოს ნებისმიერი დიაცისათვის მხოლოდდამხოლოდ იმიტომ რომ იგი მდედრია და ამწამიერ წყურვილს მოუკლავს. ბედნიერი, სასიამოვნოდ განცვიფრებული, აღტაცებული, მოღიმარი და შეყვარებული ქალის დანახვა კაზანოვასათვის უმაღლესი ნეტარებაა. ყოველი ქალი ინსტინქტით გრძნობს, რომ ასეთი მამაკაცი წარმოუდგენელია ქმრის ან ერთგული მიჯნურის როლში. მათ სისხლში სამუდამოდ რჩება მისი, როგორც ერთი ღამის ღვთაების ხსოვნა. თუმცა კაზანოვა დიდხანს არავისთან ჩერდება, მაინც არ სურთ, რომ იგი სხვანაირი იხილონ. კაზანოვა სწორედ ის უნდა იყოს, რაც არის — პატიოსანი ვერაგი. და მაშინ ყოველ კაბიანს დაეუფლება. არც ერთი მისგან მიტოვებული ქალი თავს არ იკლავს, სასოწარკვეთილებაში არ ვარდება, მისი შინაგანი წონასწორობა არ ირღვევა, რამეთუ კაზანოვას სწორხაზოვანი და თავისი ბუნებრივობით ჯანსაღი ვნება მათ ბედ-ილბალში არ იჭრება, ის მხოლოდ ტროპიკული ქარიცით ეხვევა მათ, რომელშიც უფრო ძლიერი გრძნობებისათვის იფურჩქნებიან. კაზანოვა ათბობს, მაგრამ არ სწვავს, ის დაუნგრეველად იმარჯვებს, დაუღუპველად აცდუნებს, და იმის გამო, რომ მისი ეროტიკა მხოლოდ სხეულს ეხება, რომელიც უფრო მტკიცეა, ვიდრე სული, გამარჯვებები კატასტროფებს არ წარმოშობს. ამიტომ კაზანოვა — საყვარელში არაფერია დემონური, ის არასოდეს იქცევა

ტრაგიკულ გმირად სხვის ცხოვრებაში და არასოდეს გაუგებარი არ არის. ის რჩება სასიყვარულო თამაშობათა ყველაზე გასაღალტერ ოსტატად მათ შორის, ვინაც მსოფლიო ოდესმე იცხოვრა.

მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა: შესაძლებელია კი საკრთოდ, რომ ეს ფიზიკური, ყოველ კაბის გამოჩენით აგიზგიზებელი სიყვარულად იწოდებოდეს? რა თქმა უნდა, არა, თუ კაზანოვას, ამ Homo eroticus-ს ან eroticissimus-ს, უკვდავ მოჯნურებს ვერთერს ან ენ-პრეს შევადარებთ. საყვარლის გამოჩენისთანავე აღძრული თითქმის თაყვანისმცემლური ღვთაებრივი ეგზალტაცია, ეროსის შექმნილი ალმაფრენა სულისა კაზანოვასათვის პირველიდან უკანასკნელ დღემდე მიეწვდომელი რჩება. არც ერთი მისი წერილი, არც ერთი ლექსი არ მოწმობს მასში ნამდვილი სიყვარულის არსებობას, თვინიერ ლოგინში გატარებული საათებისა. ასეთი კითხვაც კი იბადება: შეიძლება თუ არა, რომ მასში ჭეშმარიტი ვნებების არსებობა დავეშვათ? რამეთუ ვნება, Amous passion, როგორც მას სტენდალი უწოდებს, თავის განუმეორებლობაში შეუთავსებელია ყოველდღიურობასთან. ის ხომ იშვიათად წარმოიშობა და ყოველთვის მხოლოდ გრძნობათა ხანგრძლივი დაბოგვისა და დაგროვების შედეგად ჩნდება, ოდესმე განთავისუფლებული კი ელვისებურად ისწრაფვის საყვარელი სახეების შესახვედრად. მაგრამ კაზანოვა გამუდმებით ხარჯავს თავის ცეცხლს, ის მეტისმეტად ხშირად ინმუხტება და ალარ ძალუძს უდიდესი ელვური ძაბვის შექმნა. მისი ვნება წმინდად ეროტიკულია და დიადი ვნების ექსტაზი არ იცის. ამიტომ არ არის საჭირო ჩვენი მღელვარება, როცა ის ჰენრიეტას ან მშვენიერი პორტუგალიელი ქალის განშორების გამო საშინელ სასოწარკვეთილებაში ვარდება. ის თავის მოსაკლავად რევოლვერს არ აიღებს. და მართლაც, ორი დღის შემდეგ სხვა ქალთან ან საროსკიპო სახლში ვხედავთ. როგორღაც თავადვე წამოსცდა სახიფათო სიტყვები: „ჯერ კიდევ მაშინ ბუნდოვნად ვგრძნობდი, რომ სიყვარული მხოლოდ მეტ-ნაკლებად ცოცხალი ცნობისმოყვარეობაა და მეტი არაფერი. „საჭიროა ამ აღიარებას ჩავებღაუქოთ და მისი არსის დასაჭერად გავყოთ სიტყვა „ცნობისმოყვარეობა" როგორც „ცნობის მოყ-

ვარეობა", ანუ მარადიული სიახლის, მარადიული სხვადასხვაობის, მარადიული ახალგაზრდა ქალთა შეცნობის მარადიული წყურვილი. ამას არ იტაცებს ცალკეული პიროვნება, ის ილტვის ვარიანტებისაკენ, ეროსის საჭადრაკო დაფაზე გაეთანაშებელი კომბინაციებისაკენ და ეს გვიხსნის, თუ რატომაა, რომ კაზანოვა — მხატვარი ათასი ქალის აღწერილობათა შორის არც ერთ პლასტიკურ სულიერ სახეს არ გვიტოვებს; ყველახდილად რომ ვთქვათ, ეს გარემოება აღგვძრავს ეჭვებს, რომ მას თავისი საყვარლებისათვის სახეში ხელიანად არც კი შეუხედავს, მხოლოდ ერთგვარი საყოფაცხოვრებო. გამოცანებითი კუთხით შეავლებდა თვალს. ის ტკბებოდა ქალის ყანით, შეიგრძნობდა მის ეპიდერმას, შეიცნობდა ხორცს, მას აღაფრთოვანებდა და აღაგზნებდა მხოლოდ თვალშისაცემად მგრძნობელობითი, ხელშესახები სქესობრივი ნიშნები: „ალეგორიის მკერდი", „ლვთაებრივი ნახევარსფეროები", „იუნონას წელი", მუდამ რაღაც შემთხვევითობის ძალით გაბნეული „იდუმალი სიტურფენი" — ყოველივე ის, რაც მოახლე ქალის დაფარული ნაკვთების დანახვას ჭაბუკი გრანდიზიტის მზერასაც შეულტენდა. ამრიგად, ამ ურიცხვი ჭენრიეტების, ირენეების, ბაბეტების, მარიეჩების, მარკოლინების, ლუჩიების, ესთერების, სარებისა და კლარებისაკენ არ დარჩა თითქმის არაფერი, გარდა თბილი ტონებით შეფერადებული სხეულების ავხორცული მასისა, გარდა ცეფრებისა და ხარკვებისა, წარმატებებისა და აღტაცებების ბაკხური ქაოსისა. თუ უმაღლესი მოთხოვნილებების დონეზე განვიხილავთ, კაზანოვას მემუარები უფრო სტატისტიკური რეფერატია, ვიდრე რომანი, უფრო სამხედრო ლაშქრობათა დღიურებია, ვიდრე ეროტიკული კოდექსი. ესაა ხორცის ოდისეა, მარადიულ ელენეს მიმართ მარადიულ მამაკაცურ გულისთქმათა ილიადა. მის ღირებულებას წარმოადგენს არა ხარისხი, არამედ რაოდენობა. იგი ფასეულია, როგორც ვარიანტები და არა როგორც სულიერი ღირებულება.

მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: დ. ბაცაცაშვილი, ი. დეკანოსიძე
გამომშვები ნ. კვატაშიძე.

შეკვეთა № 9

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერანი" რუსთაველის გამზ. 42.
თბილისი 1994

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიის და საგამომცემლო საქმიანობის
კორპორაცია. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა,
გრ. რობაქიძის გამზარი № 7.